ეროსი კიწმარიშვილი: „მოამბეს“ კონკურენციას ვერ გავუწევდით“

For.ge

2015-04-28 11:30:28

http://for.ge/view.php?for_id=40211&cat=3

საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი For.ge იწყებს ბატონი ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას, რომელიც მან რედაქციას 2014 წლის მაისის ბოლოს გადასცა და რომლის ერთი, მცირე ნაწილი, ბატონი ეროსის გარდაცვალების შემდეგ გამოვაქვეყნეთ. მოგონებები მოიცავს 1992-2008 წლებს. საიტის რედაქცია კიდევ ერთხელ უსამძიმრებს ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს და ახლობლებს, და იმედს გამოვთქვამთ, რომ ბატონ ეროსის გარდაცვალების საქმე უახლოეს მომავალში იქნება გამოძიებული.

****

საბჭოთა კავშირის დაშლისას სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი. შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობით აღტკინებულმა, სიხარულით რაჭას მივაშურე, სადაც სოფლის ექიმად გამანაწილეს. სოფლის ამბულატორიის მთავარი ექიმის ხელფასი ვის ეყოფოდა, მაგრამ მე რაჭის მაღალმთიან სოფელში მუშაობით ვამაყობდი. ეროვნული მოძრაობის პირველ წლებში ჩემსავით ბევრი მოიქცა. ზოგი ექიმად, ზოგი მასწავლებლად შედარებით რთულ რეგიონებში სამუშაოდ წავიდა.

რაჭაში მუშაობისას დავრწმუნდი, რომ ჩვენი პედიატრია ხალხს სათანადო დახმარებას ვერ უწევდა. არის საკითხები, რომლებზეც ჩვენთან დღემდე არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვთ. ერთ-ერთი მარტივი მაგალითია - აკვანი.

აკვანი ახალშობილის ძვალსახსროვან სისტემას აზიანებს, რაც სხვადასხვა დაავადებებს იწვევს. ის, რომ ბარძაყის სახსრის ამოვარდნილობა ჩვენში ძალიან გავრცელებულია, სწორედ იმის ბრალია, რომ მშობლები სათანადოდ ინფორმირებულები არ არიან. ჩემი დასკვნით, აუცილებელი იყო ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის სისტემის შექმნა, რომელიც თავის მხრივ ოჯახის ექიმის ინსტიტუტის დამკვიდრებას ხელს შეუწყობდა.

რუსთავის პრეფექტად მერაბ კოსტავას მეგობარი, მომღერალთა გუნდის ყოფილი დირიჟორი თემურ ჯანელიძე მუშაობდა. მას ჩემი იდეა მოეწონა და სემომთავაზა: რუსთავის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ დაგნიშნავ და ახალი ინიციატივების დანერგვაშიც დაგეხმარებიო.

დავთანხმდი. 25 წლის კაცისთვის ეს იშვიათი თანამდებობა გახლდათ, თუმცა მთავარი იყო, რომ საშუალება მეძლეოდა, ის რეფორმები განმეხორციელებინა, რომელთა აუცილებლობაზე მეგობრებთან ერთად ბევრი მიფიქრია. მეგობრებმაც თანადგომა აღმითქვეს და მუშაობა დავიწყე.

რუსთავის ჯანდაცვის განყოფილებაში ხუთი ათასი კაცი ირიცხებოდა. თანამდებობაზე ერთი წელი ვიმუშავე და ჩემივე ინიციატივით სამსახურის მოადგილედ გადავაყვანინე თავი, ვინაიდან კერძო სადაზღვევო პროექტის ასე მეტ დროს დავუთმობდი.

ინიციატივა მეგობარს, დღეს უკვე პროფესორ ირაკლი რცხილაძეს გავანდე და რუსთავში ბავშვთა სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება დავიწყეთ. ერთ-ერთ პოლიკლინიკაში ოთახი ვიქირავეთ, რამდენიმე მეგობარი პედიატრი სამუშაოდ მოვიწვიეთ და პროექტის რეალიზებას შევუდექით.

რუსთავში ჩვენი სადაზღვევო პროექტის თაობაზე მხოლოდ ნაცნობებმა იცოდნენ. იდეას პოპულარიზაცია ესაჭიროებოდა. მაშინ რეკლამა ცოტა ბუნდოვანი ცნება იყო.

ქალაქში ერთადერთი გაზეთი “სოციალისტური რუსთავი” გამოდიოდა. თავდაპირველად ვფიქრობდი ამ გაზეთში დაგვებეჭდა პოპულარულ თუ სამეცნიერო ენაზე სტატიები, მაგრამ ჩავთვალე, რომ კვირაში თითო ოროლა სტატია საკმარისი ვერ იქნებოდა, ვერც ჩვენი საქმიანობისთვის და ვერც მოსახლეობის ინფორმირებულობისთვის. გადავწყვიტე თვითონ გამომეშვა გაზეთი, რომლის ძირითადი მიზანი ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის რეკლამირება (მაშინ ეს სიტყვა ბუნდოვნად

გვესმოდა) თუ პოპულარიზაცია იქნებოდა.

როგორ უნდა გამომეშვა, გაზეთი არც წარმოდგენა მქონდა, არც მისი გამოსაშვები ფული. ჩემი მეგობარი ჯარჯი აქიმიძე გამახსენდა, რომლის ნაცნობები თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე და ნიკო ნიკოლოზიშვილი თბილისში "ახალგაზრდა ივერიელს" უშვებდნენ. გაზეთის გამოშვებაზე ჯარჯისაც რაღაც წარმოდგენა ჰქონდა. იმხანად იგი აფხაზეთის ომიდან ახალი დაბრუნებული იყო. მას შევხვდი და გადავწყვიტეთ ერთად გაგვეკეთებინა გაზეთი, რომელიც მხოლოდ სამედიცინო თემატიკით არ შემოიფარგლებოდა.

ასე დავაარსეთ "რაგი" - რუსთავის ახალი გაზეთი. რუსთაველი ახალგაზრდა ჟურნალისტები გამოჩნდნენ, ვიპოვეთ დამკაბადონებელი და იოლ საქმედ მომეჩვენა, ბეჭდვა სულ რამდენიმე კუპონი გვიჯდებოდა და კვირაში ერთი ნომრის გამოშვებაც არ გვიჭირდა. პირველივე ნომრის 10 ათასამდე გაზეთი გავყიდეთ. ასი ათასიან რუსთავში თითქმის ყოველი მეორე ოჯახი ჩვენი მკითხველი გახდა.

მახსოვს მეხუთე ნომერში, რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრემიერ ოლეგ სოსკოვეცზე, რაღაც დავწერეთ და დავიხურეთ კიდეც. სტამბის მეპატრონე სოსკოვეცის მეგობარი აღმოჩნდა, ამის გამო გაბრაზდა და სტამბიდან გამოგვყარა, გაზეთს აღარ დაგიბეჭდავთო.

გაზეთის სხვაგან დაბეჭდვა აღარ გვიცდია. გადავწყვიტეთ ტელევიზია გაგვეხსნა. ჩვენი წარმოდგენით ტელევიზია უფრო იოლი გასაკეთებელი იყო. მას არც ქაღალდი, აღარც სტამბა, დაკაბადონება და ნომრის გაყიდვაზე თავის ტეხა დაჭირდებოდა. თავდაპირველად ვიყიდდით 2 ვიდეო კამერას, ტელევიზორს, გადამცემს და ეთერში გავიდოდით.

მე და ჯარჯის გვყავდა საერთო მეგობარი - დათო დვალი, რომელიც სულ ტელევიზიის გაკეთებაზე ოცნებობდა და მისი ეს ოცნება ყველასთვის და, მათ შორის, ჩვენთვისაც დიდ უცნაურობას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დროს, კერძო ტელეკომპანიის გახსნაზე ოცნებას მართლაც ფანტაზიის დიდი უნარი ესაჭიროებოდა.სფერო იყო. ომიდან დათო დვალიც ახალი დაბრუნებული იყო. ის კარგი ფიზიკოსი და საკმაოდ განათლებული ადამიანია, თავისუფალ დროს თავისი "პაიანიკით" მთელ სამეგობროს გაფუჭებულ ტელევიზორებს, უთოებს თუ სხვა ელექტრო მოწყობილობებს უკეთებდა. ამიტომ, ვიფიქრე, რომ მან იცოდა ტექნიკურად როგორ მუშაობს ტელევიზია. ჟარჯი ჟურნალისტებთან მეგობრობდა, ხშირად სტუმრობდა მის ერთ-ერთ მეგობარს სახელმწიფო ტელევიზიაში და ჩავთვალე, რომ ჯარჯის ეცოდინებოდა როგორ უნდა მომზადებულიყო სატელევიზიო გადაცემები. მე ვიცოდი, როგორ გვეშოვა ფული ტელევიზიის გასაკეთებლად.

ქალაქის მერთან მივედი და სოსო არეშიძეს დიდხანს ვარწმუნებდი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თავად მერიისთვის და ქალაქისთვის თუ ის ჩვენ ტელევიზიის აპარატურას გვიყიდდა!

დიდი წვალების შემდეგ მე და არეშიძე შევთანხმდით: მერია იყიდდა აპარატურას, რაც მისი კუთვნილება იქნებოდა და რომელსაც ჩვენ, როგორც კერძო სტრუქტურა მოვიხმარდით და სანაცვლოდ მერიის საქმიანობას უსასყიდლოდ გავაშუქებდით.

საბოლოო ჯამში კი, ყველაფერს სამედიცინო დაზღვევის პოპულარიზაციისთვის ვაკეთებდი.

1993 წლის შემოდგომაზე მე, დათო დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ შპს "გამა+" დავაფუძნეთ. "გამა+" აიღო სიხშირე ეთერში გასასვლელად. სანამ მერია ტექნიკას გადმოგვცემდა, სამედიცინო ბიზნესში ჩემმა პარტნიორმა ირაკლი რცხილაძემ საქმე მიატოვა და გაუჩინარდა! ამის გამო, დაზღვევის თემამ აზრი დაკარგა.

ამასობაში ეს დაპირებული ტექნიკაც მოგვცეს: რამდენიმე ცალი ვიდეო კამერა და სხვა უმნიშვნელო აპარატურა. თავი უბედნიერეს ადამიანებად მიგვაჩნდა. კავშირგაბმულობის სამინისტრომ მეთერთმეტე მეტრულ არხზე მაუწყებლობის უფლება მოგვცა, რომლის გავრცელების არეალი მხოლოდ რუსთავს და ნაწილობრივ გარდაბნის რაიონს მოიცავდა.

მახსოვს, მთელი რუსთავი ირონიულად მიყურებდა, ზოგს ეგონა, რომ გავგიჟდი. მივატოვე საექიმო კარიერა, თანამდებობა, უარი ვთქვი მძღოლზე, ავტომობილზე და სატელევიზიო საქმიანობა დავიწყე. იმ დროს საკაბელო ტელევიზიები ახალი გახსნილი იყო, რომლებიც მხოლოდ "მეკობრულ" ფილმებს და დაბადების დღეების მისალოცად მუსიკალურ კლიპებს აჩვენებდნენ და საკაბელო ტელევიზია, ჩვეულებრივი ტელევიზიის დამაკნინებელად მოიაზრებოდა. ამ ტელევიზიებს არანაირი პოპულარობა ან

პატივისცემა არ ჰქონიათ. ხალხი მას არასერიოზულად აღიქვამდა. ამიტომ ჩემგან ამ საქმის დაწყება სიგიჟედ მიაჩნდათ.

ეთერში გასასვლელად 6-7 თვე ვემზადებოდით. თანამშრომლები ძირითადად ჩემი ძმის მეგობრები 17-20 წლის ახალგაზრდები იყვნენ. მათ შორის: ნანა ლეჟავა, ნათია კობერიძე, ირმა ნადირაშვილი. მათ მეტყველების გაკვეთილებს ვუტარებდით, ირაკლი ონოფრიშვილი ოპერატორებს ახელოვნებდა, ვიწვევდით ეკონომისტებს, ფსიქოლოგებს და ეთერში გასვლამდე სიუჟეტებს ამზადებდნენ.

ტელევიზიამ ბინა რუსთავის სასტუმროს ოთხ ნომერში დაიდო. ეს ფართი ბიზნესმენმა დათო თავაძემ უსასყიდლოდ გამოგვიყო. ძალიან ვიწროდ ვიყავით, პროგრამისტი უნიტაზზე იჯდა და ხელ-პირის საბანზე ჩამოდებულ კომპიუტერში სიუჟეტისთვის ტიტრებს კრეფდა.

მოსამზადებელმა სამუშაომ, ისე გაგვიტაცა ეთერში გასვლის წინ აღმოვაჩინეთ, რომ საინფორმაციო გადაცემის სახელი მოფიქრებელი არ გვქონდა. ჯარჯის იდეა იყო მისთვის - “კურიერი” დაგვერქმია, რაც ყველას მოგვეწონა და დავარქვით კიდეც.

1994 წლის 1 მაისს ტელევიზია “რუსთავი” ეთერში ერთი დღით გავიდა. ეთერში გასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოფისში შემოლაგდნენ რუსთაველი “მხედრიონელები” და საქმე გაგვირჩიეს. აღმოჩნდა, რომ რუსთავში მოქმედი საკაბელო ტელევიზია ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს და მხედრიონელ თემურ ხაჩიშვილს ეკუთვნოდა და პრეტენზია ჰქონდათ სახელწოდებაზე - “რუსთავი” ჩვენ ტელევიზიას ჰქვია და სახელი შეიცვალეთო. რახან სხვა არაფერი პრეტენზია ჰქონდათ დიდი კამათის გარეშე დავპირდით - კი, ბატონო, ჩვენ დავირქმევთ “რუსთავი 2”-ს. 1 ივნისიდან უკვე ამ სახელით დავიწყეთ მაუწყებლობა. “კურიერი” თავდაპირველად რვის თუ ცხრის ნახევარზე იწყებოდა, ვინაიდან რვა საათზე “მოამბეს”, ხოლო ცხრა საათზე ტელეკომპანია “იბერვიზიის” საინფორმაციო გადაცემას კონკურენციას ვერ გავუწევდით.

მახსოვს, აწ გარდაცვლილი ოპერატორი გოჩა რამიშვილი ქუჩის კადრების გადასაღებად ოფისის მეორე მხარეს გადავიდა და ვიდეო გადაღება დაწყებული არ ჰქონდა შავი “ბმვ”-დან შეიარაღებული ბიჭები კამერის წასართმევად გადმოუხტნენ.

კიდევ ერთი ისტორია, მეორე ოპერატორს აჩიკო ჭიჭიბოშვილს შეემთხვა. ეს ნიშანდობლივი მაგალითია თუ რა მოკრძალებულად დავიწყეთ მაუწყებლობა. აჩიკოს ნათესავი - ძმები ჭიჭიბოშვილები რუსთავში “ავტორიტეტები” იყვნენ და ამის გამო პოლიციასთან ამასაც სულ პრობლემები ჰქონდა; მიუხედავად იმისა, რომ აჩიკო ძალიან წესიერი ახალგაზრდაა, სულ პოლიციის განყოფილებაში დაატარებდნენ. ერთხელაც, აჩიკო მთავრობის სხდომის გადასაღებად სახელმწიფო კანცელარიაში გავგზავნეთ. შევარდნაძე ძალიან შორიდან გადაეღო და ამის გამო გავუბრაზდი - სახელმწიფოს მეთაური ახლოდან რატომ არ გადაიღე მეთქი?” - მეშინია მასთან მიახლოების, ვერ გავბედე და შორიდან ვიღებდიო,”- მიპასუხა.

ეს მარტო აჩიკოს პრობლემა არ იყო, ასეთივე მოკრძალებული იყო მთლიანად ტელევიზია. შევარდნაძე, მთავრობა, “მხედრიონი” - ამ თემების გაშუქება ცოტა გვიან დავიწყეთ.

მაუწყებლობის ერთი წლის თავზე რუსთაველთა საყვარელი ტელევიზია გავხდით. ჩვენი ჟურნალისტები ქალაქში ძალიან პოპულარულები გახდნენ.

1994 წლის ცხელ ზაფხულში სახლების ღია ფანჯრებიდან “კურიერის” მუსიკის ხმა მთელ რუსთავში მესმოდა. პირველად მაშინ მივხვდი, თუ რამხელა ძალაუფლება და პასუხიმგებლობა არის ტელევიზია.

ამ პერიოდში ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია “ინტერნიუსის” მიწვევით ლიკანში სამ დღიან სემინარს დავესწარი. ამ სემინარმა თვალი ამიხილა და აღმოვაჩინე ძალიან საინტერესო, უზარმაზარი და რთული სატელევიზიო სამყარო. ახლაც მიმაჩნია, რომ ამერიკელთა ყველაზე წარმატებული მედია-პროექტი პოსტ საბჭოთა სივრცეში “ინტერნიუსმა” განახორციელა. მან დასაბამი დაუდო თავისუფალ ტელევიზიებს. დღეს საქართველოში მათი ძალისხმევის შედეგი შეიძლება აღარ ჩანს, ვინაიდან ყველა დიდ ტელეკომპანიას უკვე ხელისუფლება აკონტროლებს, მაგრამ საზოგადოებას ეს აღარ მოსწონს, ხალხს ახსოვს, თუ როგორ მუშაობდა თავისუფალი “რუსთავი-2” და ახლა იოლად ანსხვავებს სიმართლეს და დეზინფორმაციას.

მაშინ კი სულ იმას ვნატრობდით, რომ ჩვენს ტელეკომპანიაში ვინმე ამერიკელს ფული ჩაედო და

აპარატურა შეგვეძინა. რამდენიმე წლის შემდეგ, ასეთი ამერიკელი მართლაც გამოჩნდა, რომელსაც “რუსთავი-2”-ის ყიდვა სურდა, მაგრამ ეს ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილის ხრიკი გამოდგა, რომელზეც მოგვიანებით მოგითხრობთ.

რთული პერიოდი გვედგა და თავი ძლივს გაგვქონდა. ცნება - რეკლამა, იმ შინაარსით, რაც ახლა ვიცით, მაშინ არ არსებობდა. მე მიწევდა ქარხნების დირექტორებთან ხვეწნა-მუდარა, რომ ქარხნის მუშაობის გაშუქების სანაცვლოდ, ტელევიზიისთვის რაიმე მოეცათ. ესენი რეკლამის სანაცვლოდ გვარჯილას და კოქსს გვიხდიდნენ?! მახსოვს მერე ეს კოქსი ვიღაც ახალქალაქელ სომეხს დიდი “კრაზით” ერევანში გასაყიდად გავატანეთ და ის კიდევ კოქსიანად დაიკარაგა! მის ასავალ-დასავალს ვეღარ მივაგენი და გამოცდილებამიღებულმა გვარჯილა აღარავის ვანდე, თვითონ ჩავიტანე სასომხეთის საზღვრამდე. აქ ჩვენმა სამხედროებმა თუ რაღაც შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა კინაღამ გვარჯილიანად გამაქრეს.

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დროს მცირეოდენი თანხა შემოგვივიდა, მთელი წლის მანძილზე კი - 20-22 ათასი დოლარის, რაც მინიმალურადაც ვერ წვდებოდა ხარჯებს.

შევარდნაძის მაშინდელი პრესსამსახურის უფროსი რამაზ საყვარელიძის დახმარებით, პრეზიდენტთან ინტერვიუ ჩავწერეთ. კითხვებს მე ვუსვავდი, დათო დვალი ოპერატორი იყო, ვიდეოკამერით გვიღებდა. ინტერვიუს ბოლოს შევარდნაძემ რუსთაველებს ახალი ტელეკომპანიის გახსნა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა გვისურვა. Eეს ინტერვიუ ვარდების რევოლუციის დროს გამახსენდა და ბევრი ვიცინე: რას ვაკეთებთ, თავის დროზე ხომ შევარდნაძემ დაგვლოცა მეთქი.

ეროსი კიწმარიშვილი: ნახევარი თბილისი გიგა ბოკერიას აგინებდა

For.ge

2015-04-29 16:00:33

http://for.ge/view.php?for_id=40235&cat=3

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილი მოგონებების გამოქვეყნებას.

1994 წლის ბოლოს თვითმართველობის არჩევნების შემდეგ, შევარდნაძემ ქვემო ქართლის გუბერნატორად ლევან მამალაძე დანიშნა, რომელმაც მოინდომა, რომ ტელევიზია მის ჭკუაზე მოგვეწყო და შესაბამისი საინფორმაციო პოლიტიკა გაგვეტარებინა. უფრო მეტიც, მამალაძე ითხოვდა რომ სატელევიზიო სიხშირე რომელიც “გამა+” ეკუთვნოდა მერიისთვის გადაგვეცა. ეს ძლიან თავხედური და უსამართლო მოთხოვნა იყო, რაზეც, რა თქმა, უნდა არ დავთანხმებულვარ, მაგრამ მამალაძემ მაშინდელ კავშირგაბმულობის მინისტრს, ფრიდონ ინჯიას სთხოვა და 1995 წლის 17 ივლისს ჩვენი სატელევიზიო სიგნალი გათიშეს, ხოლო ლიცენზია ჩამოგვართვეს.

დასახმარებლად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მივმართეთ. მაშინ გავიცანი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე დათო უსუფაშვილი. Aადვოკატებმა ზვიად კორძაძემ და გოჩა სვანიძემ სასარჩელო გაცხადება მოამზადეს და სასამართლოს მივმართეთ. ჩვენს დავაზე მაშინდელ პრესაში ერთი ამბავი ატყდა. წამყვანი გაზეთები ობიექტურად გვიჭერდნენ მხარს. შევარდნაძე დაინტერესდა, თუ რატომ ატყდა ამხელა ხმაური რეგიონალური ტელევიზიის, რაღაც პრობლემის გამო და ამას მამალაძესთან არკვევდა.

“გუბერნატორი” კი სახელმწიფოს მეთაურს ატყუებდა, რომ ვითომდა მხედრიონელები ვიყავით და ლიცენზია სამართლიანად წაგვართვეს.

შევარდნაძემ დაიჯერა, რომ მამალაძე მართალს ეუბნებოდა და რომ არა პარლამენტარი ფიქრია ჩიხრაძე, შესაძლოა ჩვენი მომავალი ტელევიზიას საერთოდ აღარ დაკავშირებოდა. ფიქრია ჩიხრაძე შევარდნაძის ფავორიტი გახლდათ და მასთან ჯარჯი აქიმიძე მეგობრობდა. ის მეც მიცნობდა და კარგად იცოდა, რომ ჩვენ მხედრიონთან არაფერი გვაკავშირებდა. ამის თაობაზე მან შევარდნაძეს პირადად

უთხრა და დაარწმუნა, რომ ლიცენზია უსამართლოდ წაგვართვეს.

ამის შემდეგ შევარდნაძემ მიიღო გაწყვეტილება, ჩვენთვის სიხშირის დაბრუნებაზე და სასამართლომაც სიხშირე დაგვიბრუნა.

სიხშირე დავიბრუნეთ, მაგრამ ლევან მამალაძემ ის ვიდეოტექნიკა წაგვართვა, რაც თავის დროზე რუსთავის მერიამ იყიდა და სამუშაოდ გადმოგვცა და დავრჩით მხოლოდ საკუთარი სახსრებით შეძენილი ტექნიკის ამარა. მიუხედავად ამისა, სექტემბერში ეთერში დავბრუნდით. ვმუშაობდით სახალხო ფრონტის ვიდეოკამერით, რომელიც დილით მოჰქონდათ და საღამოს ისევ უკან ვუბრუნებდით. ჩვენმა ერთ-ერთმა გადაცემამ ამ პირობებში სატელევიზიო კონკურს "მანას" ნომინაციაში გაიმარჯვა. ეს ერთადერთი ჯილდო იყო, რომელიც რეგიონალურმა ტელევიზიამ მოიგო.

ტელევიზიის გადასარჩენად დათოს ძმა, მეცნიერი გია დვალი, რომელიც მაშინ გერმანიაში მუშაობდა, ყოველთვიურად 400 დოლარს გვიგზავნიდა.

ამ პერიოდში სამივე შვილი მყავდა. ოჯახს სრულიად მწირი და ჩემთვისაც გაუგებარი შემოსავლით ვაცხოვრებდი. მაშინ რუსთავში ერთოთახიანი ბინა 800 დოლარად გავყიდე, იას დას 1500 დოლარი ვესესხე და ოროთახიან ბინაში გადავედით. ჩვენი ოჯახისთვის ეს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი დღეა.

1995 წლის შემოდგომაზე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გაიმართა და სატელევიზიო რეკლამიდან იმდენი შემოსავალი მივიღეთ, რომ საკუთარი აპარატურის შეძენა შეგვეძლო.

ამასთან, "დოიჩე ველემ" 5000-დოლარიანი გრანტი, მოგვცა ასევე ტექნიკური აღჭურვილობისთვის და ტელევიზიას ასე თუ ისე მინიმალურ დონეზე გავმართავდით.

ჩვენ არ დაგვიწყებია ფიქრია ჩიხრაძის მიერ აღმოჩენილი დახმარება და გადავწყვიტეთ მისთვის ტელეკომპანიის 25 პროცენტი გვეჩუქებინა. მე მას ვუთხარი, რომ სამმა მეგობარმა დავაფუძნეთ "რუსთავი-2" და მას ვიღებდით მეოთხე მეგობრად, წილსაც თანაბრად გადავინაწილებდით.

ჩვენ მაუწყებლობის გაფართოება გვსურდა, რისთვისაც დეციმეტრული სიხშირე უნდა მოგვეპოვებინა.

პარალელურად, ფიქრია ჩიხრაძე თავის მეგობრებთან ერთად ტელეკომპანია "თამარიონის" აღდგენას აპირებდა. 1994 წელს ამ ტელეკომპანიის გადამცემს ხანძარი გაუჩნდა და შედეგად მთაწმინდაზე სატელევიზიო ანძა დაიწვა. მას შემდეგ ამ სიხშირეს არავინ იყენებდა. აღნიშნული სიხშირე თავდაცვის მინისტრს - გია ყარყარაშვილს ეკუთვნოდა, ფიქრია მასთან მეგობრობდა ვინაიდან თავისუფალი სიხშირე ეგულებოდა ტელევიზიის გაკეთებას აპირებდა.

ამ დროს სიხშირეები გავლენის მიხედვით ჰქონდათ გადანაწილებული. სატელევიზიო სიხშირე ჰქონდა ყოფილ თავდაცვის მინისტრს, თენგიზ კიტოვანს, "მხედრიონს", კავშირგაბმულობის მინისტრს და ასე შემდეგ. სიხშირეს კონკურსის გზით ვერ მოიპოვებდი. "გამა+"-მა რუსთავში მეტრული სიხშირე ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ლიდერის და პარლამენტარ მიხეილ ნანეიშვილის დახმარებით მოიპოვა. დათო დვალი მისი პარტიის წევრი იყო და ნანეიშვილი დაგვეხმარა.

ჩვენ ტელეკომპანიის თბილისში გადმოტანა გვსურდა, ვინაიდან დედაქალაქის მეტი ასპარეზი, რეკლამა და შესაბამისად, შემოსავალიც მეტი გვექნებოდა.

ფიქრია ჩიხრაძეს შევარდნაძესთან განსახილველად ორი წერილი უნდა მიეტანა. "რუსთავი-2-სთვის დეციმეტრული სიხშირის მოსაცემად და "თამარიონის" სიხშირის მოდიფიცირებისთვის.

ჩვენი შეთანხმება ჩიხრაძისთვის 25-პროცენტიანი წილის ჩუქებაზე ძალაში იყო, თუმცა ეს დოკუმენტურად არ გაგვიფორმებია. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ სიტყვას არ გავტეხდით და ამის გაფორმება, არც თავად ფიქრიას უთხოვია.

უცნაური და სასიხარულო ფაქტი მოხდა - ჩიხრაძემ გვითხრა, რომ "თამარიონს" ვერ აღადგენდა და მისი სიხშირე ჩვენ გვაჩუქა. თუკი ტელეკომპანია 6 თვეზე მეტი ხნის მანძილზე ეთერში არ გავიდოდა, მაშინდელი კანონმდებლობით მას კუთვნილი სიხშირე ჩამოერთმეოდა. "თამარიონს" ეს ვადა დარღვეული ჰქონდა და მას სიხშირის დაკარგვა ემუქრებოდა.

ამის გათვალისწინებით, ფიქრიამ სიხშირე გვაჩუქა. ამას არანაირად არ ველოდით, სიხარულით მეცხრე ცაზე დავფრინავდით. ჩვენ დავფარავდით თბილისს, სადაც ფინანსური რესურსი სატელევიზიო ბიზნესისთვის შეუდარებლად მეტი იყო, ვიდრე რეგიონში.

“თამარიონის” სიხშირე, მართლაც გადმოგვცეს, რაშიც გია ყარყარაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის. ჩვენ სასწრაფოდ ჩავედით მოსკოვში, ვიყიდეთ აპარატურა და ოფისი გადმოვიტანეთ თბილისში ”საქსოფმშენის” მეჩვიდმეტე სართულზე, სადაც დღესაც განთავსებულია “რუსთავი 2”, მაშინ მხოლოდ სამი ოთახი დავიქირავეთ. შემდეგი ეტაპისთვის ახალი გადაცემები დავგეგმეთ, მოვიფიქრეთ ახალი პროექტები და სოროსის ფონდში 20 ათასი დოლარის გრანტის მისაღებად პროექტი შევიტანე.

1996 წლის გაზაფხულზე სოროსის ფონდის საბჭო ჩვენი პროექტის დაფინანსების საკითხს განიხილავდა. ამ სხდომაზე მეც მიმიწვიეს. ჩემთვის მოულოდნელად სხდომაზე რაჭის გუბერნატორი თედო ისაკაძე შემოვარდა და საბჭოს წევრებს გამოუცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში ჩვენთვის გრანტი არ მოეცათ, ვინაიდან თურმე სატელევიზიო სიხშირე არ გაგვაჩნდა და “რუსთავი-2”-ის დამფუძნებლების ვინაობაც ბუნდოვანიაო. გავოგნდი.

ამათი გააქტიურების მიზეზი მალე გაცხადდა. ჩიხრაძე, ისაკაძე და ნიკოლოზიშვილი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ. ისაკაძემ და ნიკოლოზიშვილმა ჩათვალეს, რომ ჩვენ ჩიხრაძეს უსამართლოდ დავუთმეთ ტელეკომპანიის 25 პროცენტი, ვინაიდან სიხშირე ჩიხრაძემ მოგვცა, ამის სანაცვლოდ ტელეკომპანიის 50 პროცენტი წილი მოითხოვეს.

საქმის გასარჩევად ნიკოლოზიშვილის სახლში დაგვიბარეს. პარალელურად ჯარჯი აქიმიძის გადაბირებას ცდილობდნენ, რა გინდა მაგათთან, ჩვენთან ერთად იყავიო.

მათ მოთხოვნას მარტივად და გასაგებად ვუპასუხე: “დავა რომ გვქონდეს თონის აშენებაზე, კი ბატონო, თუკი მიწას გამოგვიყოფდით სანაცვლოდ, ნამდვილად მოგცემდით თონის 50 პროცენტს. რაც შეეხება ტელევიზიას, ჩვენ არ ვაპირებთ არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან ერთად ტელევიზიის გაკეთებას. ჩვენ ვაკეთებთ თავისუფალ ტელევიზიას. ფიქრიას 25 პროცენტს მხოლოდ მეგობრობისთვის ვუთმობდით”.

მათაც, გასაგებად მიპასუხეს: ყველაფერს დაკარგავთ!

ერთმანეთს ასე დავშორდით.

მათ წერილით მიმართეს პრეზიდენტს, რომ თითქოსდა “რუსთავი 2”-ს დროებით გადასცეს სიხშირე და რომ ახლა შექმნეს საკუთარი კომპანია და ეს სიხშირე, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ უკან დაგვიბრუნეო.

1996 წლის 1 ივნისს ახალი სიხშირით დავიწყეთ მაუწყებლობა. თვის ბოლოს 28 თუ 29 ივნისს გიგა ბოკერიას გადაცემა უნდა გასულიყო. მაშინ ვენაში რიჩო ჯავახაძე, ავიაკომპანია “ორბის” მეპატრონე თუ მეწილე მოკლეს. ბოკერიამ გადაცემის ანონსში გამოაცხადა, ჩვენ ვიცით, ვინ მოკლა ჯავახაძე და ხვალ მას ეთერში დავასახელებთო.

მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა კვირაიას ეს არ მოეწონა და მთავრობის სხდომაზე ერთი ამბავი ატეხა - ვისია ეს ტელეკომპანია “რუსთავი 2,” საიდან გავიდა ეთერში და ა.შ.

ბოკერიას ჯავახაძის მკვლელობაზე ამის შემდეგ აღარაფერი უთქვამს. ვფიქრობ, რომ არც არაფერი იცოდა და პროვოკაცია მოაწყო, რასაც ჩვენი დახურვა მოჰყვა.

ამას, თან დაემატა ფიქრია ჩიხრაძესთან ჩვენი დავა, რაც შევარდნაძეს ასევე აღიზიანებდა. მთავრობის სხდომაზე Mმან კვირაიას თავის დაქნევით ანიშნა, რომ მასაც ყელში ამოუვიდა ეს “რუსთავი 2” და შევარდნაძის თანხმობით, ივლისის დასაწყისში ეთერიდან გაგვთიშეს, ხოლო სიხშირე ჩიხრაძის რაღაც ფირმას გადასცეს.

ბოკერიამ ჩვენი უფლებების აღსადგენად “თავისუფლების ინსტიტუტი” დაარსა, ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას ებრძვისო - გაიძახოდა, და ამით სახელი გაითქვა. დღეს “თავისუფლების ინსტიტუტი” თავად ებრძვის თავისუფალ სიტყვას და უნდა ვთქვა, რომ ამ საქმეში უფრო მეტი წარმატება აქვთ, ვიდრე მაშინ ჰქონდათ, როცა ჩვენ გვიცავდნენ. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფის წევრები

არავითარი ლიბერალური ღირებულებების დამცველები არ ყოფილან, მათ ჩვენი უფლებების დაცვის საბაბით გრანტები მოიპოვეს, მერე ასევე საზღაურის სანაცვლოდ "იეღოველებს" იცავდნენ და როცა საშუალება მიეცათ, მას-მედია მთლიანად საკუთარ ცენზურას დაუქვემდებარეს.

კავშირგაბმულობის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შევიტანეთ. თუმცა ჩვენს მოპასუხედ სასამართლომ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად, ჩიხრაძეც ცნო. ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე, ომი ქერი აქტიურად დაგვეხმარა. ერთ-ერთ სასამართლო პროცესს 5 წამყვანი ქვეყნის დიპლომატიც დაესწრო. ის პროცესი წავაგეთ, თუმცა საბოლოოდ სასამართლოს გზით, მაინც გავიმარჯვეთ და 1997 წლის 10 აპრილს ეთერში დავბრუნდით.

ვინაიდან ხელისუფლებას ჩვენი დახურვა არ გამოუვიდა, სტრატეგია შეცვალეს და კონტროლირებული ტელეკომპანიების საშუალებით ჩვენი "დაძირვა" განიზრახეს. ამ მიზნით, სახელმწიფო ტელევიზიის უფროსად ზაზა შენგელია დანიშნეს, რომელმაც პირველ არხზე "იბერვიზიიდან" ჟურნალისტთა ძლიერი გუნდი გადაიყვანა. სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხიც პოპულარული იყო, იქ კიდევ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ გააკეთა ტელევიზია, კარგი სიხშირე მისცეს და მას არც ფინანსები უჭირდა.

ჩავებით კონკურენციაში. "რუსთავი 2"-ს ამ დაპირისპირებაში მხოლოდ ინოვაციებით შეეძლო გამარჯვება და ჩვენ გეზი ამისკენ ავიღეთ. აქედან მოყოლებული ჩემი გენერალური დირექტორად მუშაობის ბოლომდე - "რუსთავი 2" მუდმივად ინოვაციური ტელეკომპანია გახლდათ.

ჩვენ პირველებმა ვაჩვენეთ პირდაპირ ეთერში ინგლის-საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრებების მატჩი. ქართველმა კომენტატორებს, გიგა ბოკერიას და გოგი ქავთარაძეს, პირდაპირი რეპორტაჟი "უემბლის" სტადიონიდან მიჰყავდათ. ჩვენი გუნდის გასვლითი მატჩი მანამდე პირდაპირ ეთერში ლეგალურად არასდროს გადმოუციათ. ფეხბურთელებს თამაშის მეორე დღეს შავბნელი ვიდეოკასეტა ჩამოჰქონდათ და მაყურებელს იმას უჩვენებდნენ. ერთი ეგ იყო, რომ ფეხბურთის მეორე დღეს ნახევარი თბილისი ბოკერიას ცუდად გადმოცემული რეპორტაჟისთვის აგინებდა, მეორე ნახევარი - მე, მაგისი ლონდონში გაგზავნისთვის.

"რუსთავი-2" გახდა პირველი ქართული არხი თანამგზავრზე. მაშინ ტელეკომპანია "მირთან" ხელშეკრულება გავაფორმეთ და ყოველდღე ერთი საათით თანამგზავრიდან ვმაუწყებლობდით. ამის გამო ზაზა შენგელიას კინაღამ ოჯახი დავანგრევინეთ. საქმე ის არის, რომ "მირის" დირექტორი მისი მეუღლე, სესილი გოგიბერიძე გახლდათ და ხელშეკრულება მან გაგვიფორმა. ის მოიქცა ისე, როგორც ძალიან წესიერი მენეჯერი უნდა მოქცეულიყო. ჩვენს თანამგზავრზე გასვლას დიდი პიარ-კამპანია გავუკეთეთ. ქუჩებში სარეკლამო ბილბორდებზე წამყვანი ჟურნალისტების აკაკი გოგიჩაიშვილის, ეკა ბერიძის, გიორგი სანაიას სურათები გამოვკიდეთ. ამ სურათებზე მათ კოსმონავტის სკაფანდრები ემოსათ. ესეც, ტელევიზიის პირველი პროფესიონალურად განხორციელებული პიარ აქცია აღმოჩნდა.

საპასუხოდ შენგელიამ თანამგზავრიდან 24-საათიანი მაუწყებლობა პირველმა დაიწყო, მაგრამ თანამგზავრზე პირველები ჩვენ გავედით.

1998 წლის ბოლოს ჩვენ პოპულარობით ყველა კონკურენტს გავუსწარით, რაც სარეკლამო ბაზარზეც აისახა. ჩვენ სარეკლამო ბაზრის 55 პროცენტი დავიკავეთ.

ეროსი კიწმარიშვილი: „იმდენად დიდია ნაგაზი თუ იმდენად პატარაა ასლანი..."

For.ge

2015-04-30 17:16:44

http://for.ge/view.php?for_id=40252&cat=3

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილი მოგონებების გამოქვეყნებას.

1999 წელს საპარლამეტო არჩევნები ტარდებოდა და ამ პერიოდში პირველობა ფინანსურად ბევრ რამეს ნიშნავდა. პოლიტიკური ჯგუფები ყველაზე პოპულარულ სატელევიზიო არხზე სარეკლამო კლიპებს განათავსებდნენ, რაც სერიოზულ ფინანსურ სარგებელს მოგვიტანდა. გარდა იმისა, რომ კომერციულ რეკლამას პოლიტიკური რეკლამაც ემატებოდა, ჩვენთვის ეს არჩევნები ქვეყნის მომავლის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი და საინტერესო გახლდათ.

შევარდნაძის პოლიტიკური გაერთიანება “მოქალაქეთა კავშირი” არჩევნების წინ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1997 წლამდე შევარდნაძის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საზოგადოება პოზიტიურად აფასებდა, მაგრამ მომდევნო წლებში რუსული დეფოლტით განპირობებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ეკონომიკაში ერთი ადგილის ტკეპნამ, გაუცემელმა ხელფასებმა და პენსიებმა, ელექტროენერგიის დეფიციტმა მას პოპულარობა დაუკარგა და მის მიმართ იმედგაცრუება გაჩნდა. ამ ფონზე სრულიად ლოგიკურად ოპოზიციური სპექტრი გაძლიერდა.

ოპოზიციის ცენტრად ბათუმი ჩამოყალიბდა. ასლან აბაშიძის ირგვლივ ბევრმა პოლიტიკურმა მოთამაშემ მოიყარა თავი: ვახტანგ რჩეულიშვილი, აკაკი ასათიანი, თვითონ “აღორძინება”, ერთ-ერთი ზვიადუსტური მოძრაობა... საკმაოდ ძლიერი ბირთვი შეიქმნა და მას მთლიანად ასლან აბაშიძე აფინანსებდა. ცხადია, ეს პრორუსული მიმართულების გაერთიანება იყო, ცხადია, ასლანის გარშემო შეკრებილ ხალხს ერთი მიზანი ჰქონდა: გაერთიანების გზით პარლამენტში მოხვედრილიყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ იმხანად საკმაოდ პოპულარული ასლან აბაშიძის ფლაგმანობით ამ მიზანს იოლად მიაღწევდნენ.

მათ უპირისპირდებოდა ზურა ჟვანია - მოქალაქეთა კავშირის და საქართველოს პოლიტიკური სივრცის გამოკვეთილი ლიდერი, მას უკვე ჰქონდა ერთი ვადით პარლამენტის თავმჯდომარეობის გამოცდილება. გარდა ამისა, მოქალაქეთა კავშირში და შევარდნაძის გარემოცვაშიც დიდი კონკურენცია იყო, ყველა ცდილობდა, შევარდნაძეზე გავლენა მოეპოვებინა და ამ გზით სულ სხვადასხვა სფეროში თავისი პოზიციები გაემაგრებინა.

საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე ორივე მხარე გააქტიურდა და ჩვენც დაგვიკავშირდნენ. სწორედ ამ პერიოდში რამდენიმე მიზეზის გამო ბათუმში ასლან აბაშიძეს შევხვდი.

ასლან აბაშიძესთან სულ ორი ასეთი შეხვედრა მქონდა. პირველი იყო უზარმაზარი რიტუალი, რომელიც ნამდვილად იმსახურებს აღწერას.

ასლან აბაშიძესთან შესახვედრად ჯერ ბათუმში უნდა ჩასულიყავი.

საზღვარზე, ჩოლოქზე, გეკითხებოდნენ, სად მიდიხარ. 1999 წელს “რუსთავი 2”-ის ხელმძღვანელს ჯერ ნაკლებად მცნობდნენ და არც საზღვარზე მდგომმა შავფორმიანმა ბიჭებმა იცოდნენ, ვინ ვიყავი, ამიტომ ისინი დიდი ყურადღებით, მკაცრი სახით ამოწმებდნენ საბუთებს და დაუვიწყარი რეაქცია ჰქონდათ, როცა ვუთხარი, რომ ასლან აბაშიძესთან მივდიოდი.

მომენტალურად შეშფოთდნენ, აღელდნენ, უმალვე ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. შემდეგ ხაზგასმული ზრდილობით დამიბრუნეს საბუთები, ხაზგასმული ზრდილობით გამაცილეს, მისურვეს წარმატება, ბედნიერი მგზავრობა...

“კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აჭარაში!”

აჭარაში ორი მიზეზის გამო გავემგზავრე. პირველი, რუსთავი 2-ის გავრცელებასთან დაკავშირებით შეგვექმნა პრობლემა. ჩვენი პარტნიორი ტელეკომპანია “25-ე არხი” გახლდათ, დაუჯერებლად მამაცი ადამიანები, რომელთა ინტერესებიც მუდამ ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების ინტერესებს, იმ მარტივი

მიზეზის გამო, რომ მათ თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება სურდათ. იმ დროისთვის 25-ე არხი მის დამფუძნებლებს აღარ ეკუთვნოდა, რამდენიმე ადამიანი მენეჯერებად ჰყავდათ დატოვებული. ერთი დამფუძნებელი თბილისში იყო წასული და ბათუმში საერთოდ ვერ ბრუნდებოდა. არხს ფორმალურად ფლობდა ასლან სმირბა, რომელიც იძულების წესით აძლევდა დანარჩენ მფლობელებს რაღაც 50 000 დოლარს, რომ არხი ბოლომდე მის სახელზე გაფორმებულიყო.

მოკლედ, შეიქმნა პრობლემები, ჩვენ კი აჭარაში საინფორმაციო გადაცემებს 25-ე არხის საშუალებით გადავცემდით, "კურიერის" გასავრცელებლად სხვა არხები არ გვქონდა და ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ასლანს შეეძლო, მამას და მარჩენალს.

მოკლედ, ჩავედი ასლანთან მე, დირექტორი ერთ-ერთი ტელევიზიისა, რომელიც კი, ყველაზე პოპულარულია, მაგრამ არანაირი პოპულარობა არაა საკმარისი იმისთვის, რომ ბათუმში "რუსთავი 2" გაუშვან. ჩავედი და დაიწყო რიტუალი.

ნაბიჯი პირველი: კონტაქტი პრესმდივანთან. იმხანად ასლანს გიორგი თარგამაძე ჰყავდა პრესმდივნად, ის ასლანის გარემოცვაში ერთ-ერთ რუხ კარდინალად ითვლებოდა. შესაბამისად, შემხვდა თარგამაძე, ძალიან საქმიანი, შეწუხებული სახით, თავისი ასაკისათვის მეტისმეტად სერიოზული იყო ან სერიოზულს თამაშობდა. "იცით, ბატონი ასლანი დაკავებულია, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ საათზე გაქვთ შეხვედრა დათქმული, როგორც კი მოიცლის, შეგატყობინებთ" - და დიდი პატივისცემით წამიყვანეს ბათუმის, აჭარის და მთელი საქართველოს საამაყო სასტუმრო "დავითში".

ესეც რიტუალის ნაწილი იყო: ოთხიოდე საათი "დავითის" კაფე და ათიოდე ფინჯანი ყავა ბათუმურად. რაღაც დროის შემდეგ შეწუხებული თარგამაძე ტელეფონს იღებს, ჩუმად ლაპარაკობს, შემდეგ მიდის, შემდეგ მოდიან ვალერი გელბახიანი და ჯემალ გოგიტიძე, რომლებიც აგრძელებენ ჩემს გართობას, თუ დროის გაყვანას, თუ არ ვიცი, რას. პერიოდულად კვლავ ხდება გადარეკვები, გადმორეკვები... მოკლედ, წვალობენ

მაშინ თვითონ ბათუმი ძალიან დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებდა. წარმოიდგინეთ: ზღვა, ფანტასტიკური სუბტროპიკები, მოდუნებული უნდა იყო - და ირგვლივ შავ, უცნაურ ტანსაცმელში, დანარჩენი საქართველოს ძალოვანებისგან განსხვავებულად გამოწყობილი მამაკაცები დადიან, ავტომატიანი ბიჭებით სავსე მანქანა ხან აიქროლებს, ხან ჩაიქროლებს. ასლან აბაშიძის რეზიდენციასთან და მის მისადგომებთან კილომეტრებზე დგას პოლიცია, ყველაფერი გადაკეტილია. ძალიან შთაგონებულები არიან, როლში შეჭრილები. ლათინოამერიკული ფილმები თუ გინახავთ, პატარა დიქტატორების შესახებ, 1960-70 წლებიდან, - დაახლოებით ასეთი ტიპის კადრები იქნებოდა იქაც.

საერთოდ, ბათუმელები ძალიან გულღია ხალხია, კარგი იუმორის გრძნობითYგამოირჩევა, და მაშინ ძალიან თვალშისაცემი იყო, რომ ქალაქი ცალკე სამყაროში ცხოვრობს, ბელადს კი სხვა სამყარო აქვს. დღეს, როცა ყველაფერს ნეგატიურად აფასებენ, ყველას უცებ დაავიწყდა ის უამრავი სისაძაგლე, დაავიწყდათ, რა სიტუაცია იყო ბათუმში, უკანონობის და განუკითხავობის ის ხარისხი. ძალიან დამთრგუნველი იყო, ამ ადამიანს განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა.

ოთხსაათიანი ლოდინის შემდეგ ცა გაიხსნა, შეხვედრა შედგა. წავედით ასლანთან, რეზიდენციაში, რომელსაც აჭარის მეთაურის რეზიდენცია ერქვა. პატარა აგურის შენობაა, არაფრით განსხვავებული, სიმპათიური ბათუმური სახლია.

ბუნებრივია, გამჩხრიკეს. რა იარაღით უნდა შევსულიყავი, მაგრამ მაინც ძალიან გულდასმით მჩხრეკდნენ. მერე - წითელხალიჩიანი კიბე, მისაღები დარბაზი მეორე სართულზე და იქ - ასლან აბაშიძე.

ჩია კაცი, საკმაოდ ნავარჯიშები, კარგად ჩაცმული, ყოველთვის მოწესრიგებული, და მასთან ერთად - უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი. იმდენად დიდია ნაგაზი თუ იმდენად პატარაა ასლანი, ყოველ შემთხვევაში, მის ფონზე ძაღლის ზომები უფრო შთამბეჭდავი ხდება. ერთობ ცივად მომესალმა, სხვა ოთახში შევიდა და იქ გააგრძელა შვილთან, თუ ცოლთან, თუ მეორე შვილთან, თუ სიძესთან ურთიერთობა - არ ვიცი, ეს ყველაფერი კარს უკან ხდებოდა. კიდევ ნახევარსაათიანი ლოდინი და ბოლოს მდივანმა დიდ დარბაზში მიმწვია.

დიდი დარბაზია, შუაში უზარმაზარი მაგიდა დგას. რომ შევედი, ფანჯრების მხარეს დამხვეს. მარცხენა მხარეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზარმაზარი დროშაა, ზედ - ასლანისეული დიზაინის არწივი, ლურჯი, უშველებელი, ფრთაგაშლილი, რაღაც შვიდი ვარსკვლავით ფრთებზე. იქვე დიდეკრანიანი

ტელევიზორი დგას, რაც იმ დროისთვის დიდი ფუფუნების საგანი იყო, აქსესუარი.

მისაღები დიდია, ადამიანი - პატარა. კადრი ჩარლი ჩაპლინის “დიდი დიქტატორიდან”: ასლანი შემოვიდა:

- გამარჯობა.

- გამარჯობა.

დავსხედით.

საუბრის დეტალურ აღწერას აზრი არა აქვს. თვითონ რიტუალია აღსანიშნავი.

იწყება ასლანის ნახევარსაათიანი მონოლოგი, აბსოლუტურად გაუგებარი. ის ჰყვება რაღაც ამბებს, რომლებზეც წარმოდგენა არა გაქვს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ყველაფერი იცი: როგორ გადაარჩინა თავის დროზე აჭარა მხედრიონის შემოჭრისგან, როგორ დაიცვა საქართველოს ეს კუთხე, მისი წინაპრები როგორ იბრძოდნენ ერთიანი საქართველოსთვის... პერიოდულად მქონდა საუბარში ჩართვის, სიტყვის ჩაგდების მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. ეტყობოდა, რომ ძალიან სიამოვნებდა თავისი მონოლოგი, თავისი თავის მოსმენა. პერიოდულად მდივანი შემოდიოდა, ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ასლანი საქმიანი სახით დგებოდა, გადიოდა, დავალებებს გასცემდა, ვიღაცა შემოდიოდა, ვიღაც გადიოდა, და განცდა მქონდა, რომ ეს არასოდეს მორჩება. Aასლანი უკვე კულტუროლოგიურ ასპექტებს შეეხო, ის მოჰყვა, როგორია ბათუმის ოპერა, როგორი საუკეთესოა...

რიტუალის შემდეგი ნაწილი ყველაზე სახალისოა. მის შესახებ ბევრისგან მსმენია და აი, თვითონაც დავესწარი: სახლგანთქმული ტრაპეზი ასლან აბაშიძესთან.

შემოდის მზარეული თუ ოფიციანტი, შემოაქვს უზარმაზარი, შავი ქვაბი, ასეთში ფლავს აკეთებენ ხოლმე. ქვაბში ამჯერად სპაგეტია. ასლანის ქალიშვილი იტალიაში იყო გათხოვილი, და სპაგეტი ასლანის ერთ-ერთი მთავარი კერძი გახდა.

მაშ, ასე: სპაგეტი, პირდაპირ ქვაბით, და ასლანის საყვარელი აჭარული კერძი, პომიდორში მთლიანად ჩახლილი კვერცხი, მართლა უგემრიელესი რაღაცაა. ასლანთან ტრაპეზი, ამ კვერცხის ჭამა, თეფშის პურით მოწმენდა – კარგი სანახაობაა.

რიტუალი, - ის სამი საათი თუ სამსაათნახევარი გაგრძელდა; ზურა ჟვანიას და სხვებს ნათქვამი აქვთ, რომ ზოგჯერ ოთხსაათიანიც ყოფილა, - მორჩა იმით, რომ მე ათიოდე წუთი ველაპარაკე, რომ არჩევნები იწყება, რომ რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან გაგვიხარდებნა, თუ აჭარის საარჩევნო ბიუჯეტში ჩვენთვის იმის შესაბამის წილს დაგეგმავენ, რამდენიც ჩვენი გავლენის გათვალისწინებით გვეკუთვნის. ვუთხარი, რომ სახელისუფლებო და ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი არხებისაგან განსხვავებით, ჩვენთან მას გარკვეული თავისუფლება ექნებოდა – თუ რამე ღონისძიება იქნებოდა ან საინფორმაციო აქტივობა, ეთერში გამოსვლის საშუალებას მივცემდით.

საბოლოოდ ასლანი ძალიან კმაყოფილი დარჩა, ჭკუა დამარიგა, მასწავლა, რას ნიშნავს დემოკრატია, როგორ უნდა გაშუქდეს მოვლენები, რამდენჯერ სცადა მან საქართველოს გადარჩენა და ახლაც ამ ბრძოლაშია, და ა.შ. შევთანხმდით, რომ როცა მისი თანამოაზრეები საარჩევნო ბიუჯეტს დაგეგმავდნენ, “რუსთავი 2” აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

ამ შეხვედრის შემდეგ ასლან აბაშიძე და მისი საარჩევნო პოლიტიკური ბლოკი “აღორძინება” ძალიან გააქტიურდნენ. ასლანმა ჟურნალისტებთან თავისი სახელგანთქმული ორშაბათის თუ სამშაბათის შეხვედრების ტელეტრანსლაციები დაიწყო. ჟურნალისტებთან ურთიერთობა საათობით გრძელდებოდა, ის საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებდა და აჭარის მთავრობის წარმატებების დემონსტრაციას ახდენდა.

მოგვიანებით, როცა მე და ზურა ჟვანია დავმეგობრდით, ის სულ მეუბნებოდა: “აი, იცი რა, აი, შენ მაშინ... რამდენი გადაგიხადა ასლანმა? აშკარად ბევრი გადაგიხადა, შენ მაგათზე მუშაობ...” თუმცა მსგავსი არაფერი ყოფილა. უბრალოდ, მოქალაქეთა კავშირი სათანადოდ ვერ მოემზადა, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო და ამიტომ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ცენტრალური ხელისუფლება და

მოქალაქეთა კავშირი ასლანს ჯეროვნად ვერ პასუხობდნენ. ინიციატივა ასლანმა მოიხელთა და ეს ბუნებრივია, საინფორმაციო სფეროზეც აისახა.

სინამდვილეში, საქართველოს დედაქალაქში დასახარჯად ბათუმიდან წამოღებული, იმ დროისთვის კოლოსალური თანხებიდან ასლან აბაშიძის გარემოცვამ დიდი ნაწილი ტელეკომპანია "საქართველოს ხმას" მისცა. ეს ტელევიზია ბევრს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მისი მეპატრონეები ასლანთან მეგობრობდნენ და დაფინანსებაც ამის გამო მიიღეს. ასლანმა სახელმწიფო არხზეც სერიოზული თანხა გადაიხადა.

ყველაზე ცოტა - 20 ათასი დოლარი "რუსთავი 2"-ში მოიტანეს, თუმცა ჩვენ აზრად არ მოგსვლია, რაიმე თანხის საფასურად არხის პოლიტიკა შეგვეცვალა.

ასლანის კვალად მოქალაქეთა კავშირიც გააქტიურდა და მათაც დიდი საარჩევნო კამპანია გააჩაღეს. მათ ფინანსების საკითხიც, მოაგვარეს და მოქალაქეთა კავშირმა ძალიან ამაყად გადაიხადა ნაღდი ფულით 150 ათასი დოლარი.

ეროსი კიწმარიშვილი: ბადრიმ გადაწყვიტა, თვითონ არ გამოჩენილიყო

For.ge

2015-05-01 15:00:01

http://for.ge/view.php?for_id=40269&cat=3

For.ge აგრძლებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

იმხანად შევარდნაძის გარემოცვაში ერთი ალიაქოთი ჰქონდათ, მომავალი პირველობისთვის ერთმანეთს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე და პარლამენტის თავმჯდომარე ზურა ჟვანია იბრძოდნენ. ჟვანია ლორთქოიფანიძის საპირწონედ განიხილებოდა, რაც ვაჟას ძალიან ანერვიულებდა.

ზურა ქართულ პოლიტიკაში ახალ ხაზს წარმოდგენდა, ეროვნული მოძრაობიდან, დისიდენტური მოძრაობიდან, საუნივერსიტეტო წრიდან წამოსულს. მან თავისი გზა ყოველგვარი კომკავშირულ-პარტიული სიმძიმეების გარეშე გაიარა, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლიდერშიფის საუკეთესო შტოს წარმოადგენდა. მეორე მხარეს იყო ვაჟა, რომელიც ასევე საკმაოდ ძლიერი, აქტიური, ასე ვთქვათ, ბექგრაუნდის მქონე ადამიანია, მაგრამ მას სრულიად კომუნისტური, ნომენკლატურული წარსული ჰქონდა- საბჭოთა პერიოდში, ვაჟა ლორთქიფანიძე საქართველოს კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი იყო, შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. შევარდნაძის სახელმწიფო მეთაურობის პერიოდში, ის მის კანცელარიას ხელმძღვანელობდა და შევარდნაძის გარემოცვაში ყველაზე გავლენიან კაცად ითვლებოდა. სახელმწიფო მინისტრობამდე მოსკოვში ელჩად რამდენიმე წელი იმუშავა.

პრესას ორივე მხარე მეტ-ნაკლები წარმატებით სათავისოდ იყენებდა. ამ მხრივ, საქმე ზურას უკეთ ჰქონდა აწყობილი: ჟურნალისტურ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, მისი ლიბერალური იდეები უფრო მოსწონდა, მას გამომცემლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მათ გრანტების მოპოვებაშიც ეხმარებოდა. ყოველივე ამის გამო ზურა მეტი პოპულარობით სარგებლობდა.

1999 წლის არჩევნები, მოგეხსენებათ, შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირის გამარჯვებით დამთავრდა და სრულიად სამართლიანად: კამპანიის თვალსაზრისით მოქალაქეთა კავშირმა ძალიან სერიოზულად აჯობა მოწინააღმდეგეს. თუ დავაკვირდებით, ეს კამპანია ძალიან ჰგავდა 1996 წლის ელცინის კამპანიას, აქაც იგივე ტექნოლოგია გამოიყენეს: კომუნისტებისაგან შეიქმნა ე.წ. რევანშიზმისა და წარსულის უკან დაბრუნების საფრთხობელა, "საფრთხე", კამპანიამ ხალხი ამ "საფრთხის" ირგვლივ გააერთიანა და ელცინი, რომელსაც მარტის დასაწყისში 7 პროცენტი უჭერდა მხარს, თუმცა მეორე ტურის შემდეგ, მაინც რუსეთის პრეზიდენტად "გაიყვანეს". ელცინი, დავარდნილი, ფაქტიურად, ნახევრადცოცხალი ადამიანი.

აქ მთლად ასეთი სიტუაცია არ ყოფილა. შევარდნაძე, მიუხედავად 1997 წლის ტერაქტისა, საკმაოდ მტკიცედ იდგა ფეხზე, მაგრამ ასლან აბაშიძის სახით საფრთხობელის შექმნა მაინც საჭირო გახდა. რუსი იმიჯმეიკერების დახმარებით ამ საფრთხობელის და ზურა ჟვანიასა და მისი თანამოაზრეების გამოცდილების წყალობით მოქალაქეთა კავშირმა გაიმარჯვა და ზურა ჟვანიამ 1999 წლის მოწვევის პარლამენტის ახალი უმრავლესობა დააკომპლექტა და შევარდნაძეს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე გია არსენიშვილი დაანიშნინა.

პარლამენტი ჩამოყალიბდა და ექვსი თვის მერე, ანუ მარტში, პრეზიდენტის არჩევნებია დაგეგმილი.

შევარდნაძესთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია. ჩვენი ტელეკომპანია ამ დროისთვის უკვე ყველაზე გავლენიანი გახდა.

ზემოთაღწერილი მოვლენების განვითარების დროს, რამდენიმეთვიანი მოლაპარაკების შემდეგ, შემოგვიერთდნენ - აკაკი გოგიჩაიშვილი და მისი გუნდი, ორი ჟურნალისტი: ეკა სარია და ლიკა ბასილია. ჩაფიქრებული ჰქონდათ ჟურნალისტური გადაცემა ეკონომიკაზე, დაახლოებით ისეთი, როგორიც აკაკიმ შემდგომ გააკეთა, მაგრამ მაშინ ეს იდეა უპერსპექტივოდ მომეჩვენა, ჩავთვალე რომ პროექტი წარუმატებელი იქნებოდა.

ეთერში სხვა გადაცემა გავიდა, აკაკი გოგიჩაიშვილის “60 წუთი”. პირველივე გადაცემების მთავარი გმირი შევარდნაძე გახდა. აკაკი სარგებლობდა იმ ინფორმაციით, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები და კონტროლის პალატა აწვდიდა. ამ მასალის გამოყენებით მან შევარდნაძის ოჯახს რამდენიმე მძიმე ბრალდება წაუყენა. პირველად თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ედუარდ შევარდნაძე - ღიად, მთელი ქვეყნის გასაგონად, მისი ნათესავების კორუმპირებულობისთვის დაადანაშაულეს. იყო მინიშნებებიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში არამარტო შევარდნაძის სახელით სარგებლობდნენ, არამედ უკანონო გარიგებებისთვის პირადად შევარდნაძესაც იყენებდნენ.

ამ გადაცემების ჩვენების შემდეგ შევარდნაძე გააქტიურდა. მან შეხვედრა დამინიშნა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პირისპირაც შევხვდი.

შევარდნაძე იმ დროისათვის ლეგენდარული ადამიანი იყო. გამჭოლი მზერა აქვს, უძლიერესი პოლიტიკოსი, “თეთრი მელა”, ადამიანი, რომელმაც ბერლინის კედელი დაანგრია, ადამიანი, რომელიც 30 წელი მართავდა და მართავს საქართველოს, ანუ მართლა ადამიანი-ლეგენდა, და ბუნებრივია, ვღელავდი.

მანამდე მხოლოდ ერთხელ შევხვედრივარ - როცა “რუსთავი 2”-ს ვიწყებდით, შევარდნაძის პრეს-მდივანი რამაზ საყვარელიძე იყო, და რამაზს ვთხოვეთ, დაგვხმარებოდა, რომ შევარდნაძეს რუსთაველებისთვის ახალი ტელევიზიის დაბადება მიელოცა. შეიძლება ითქვას, რომ “რუსთავი 2” მისი დალოცვილი იყო.

მახსოვს, არ ვიცოდი, რომ შევარდნაძეს ცალი ყურით გაგონება უჭირდა. მახსოვს, რაღაც კითხვა დავუსვი, ალბათ, ხმადაბლა მომივიდა და მან მხოლოდ გაკვირვებულმა შემომხედა, პასუხი არ გამცა. კიდევ ერთხელ გავუმეორე, კიდევ არ მიპასუხა და ცოტა ხმამაღლა მომივიდა, „გასაგებია?“ მაშინ ეს დიდი სამხიარულო თემა გახდა.

ახლა კი კვლავ შევარდნაძეს უნდა შევხვედროდი.

გავიარეთ “ცისანას ბარიერი”. ცისანა იყო ათწლეულების განმავლობაში შევარდნაძის პირადი მდივანი, თბილი, გაწონასწორებული ქალი. გავიარეთ “ცისანას ბარიერი” და მოვხვდი შევარდნაძესთან.

შევარდნაძის კაბინეტი მრავალს ახსოვს: შესასვლელში, ხელმარცხნივ - ძალიან გრძელი მაგიდა, კაბინეტის სიღრმეში - დიდი სამუშაო მაგიდა და ორი სავარძელი სტუმრებისთვის, მარჯვენა მხარეს - დივანი და ორი სავარძელი.

მე ველაპარაკე იმაზე, რომ პრესას დახმარება სჭირდება, რომ აი, როგორ ფიქრობთ? როგორ წარმოგიდგენიათ? და ჩვენ ასე წარმოგვიდგენია ქვეყნის მომავალი... მან კი სადღაც შუა საუბარში ისე, სხვათა შორის მკითხა, რას ფიქრობ, შენი ტელევიზია ვინმე რუს ოლიგარქს რომ მიყიდოო? აი, გუსინსკისნაირსო, მაგრამ არა გუსინსკისო.

გაკვირვებულმა შევხედე - რატომ-მეთქი?

- არა, სულ კი არა, რაღაც ნაწილი რომ მიჰყიდო.

- არ მიფიქრია, ბატონო ედუარდ, მაგაზე და არ ვიცი.

შევარდნაძემ უცბად სხვა თემაზე დამიწყო საუბარი.

სინამდვილეში, კი მას ტელევიზიის გაყიდვაზე სურდა საუბარი.

შევარდნაძესთან საუბრიდან კი რატომღაც დამამახსოვრდა, საუბრის ის ნაწილი, რომელიც ტელევიზიის გაყიდვას შეეხებოდა. ჩემი პოზიცია ძალიან დელიკატური მოსინჯეს. საერთოდ დავივიწყებდი ამ საუბარს, მას რომ რაღაც დროის შემდეგ ბადრი პატარკაციშვილამდე არ მივეყვანე.

პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პატარკაციშვილს და მის პარტნიორს, ბერეზოვსკის, პუტინთან ურთიერთობა გაუფუჭდათ. უფრო სწორად, ბერეზოვსკის გაუფუჭდა, რაც ბადრის მონაყოლის თანახმად, კურსკის ჩაძირვის ამბავს უკავშირდებოდა. ბადრი კურსკის ტრაგედიის გამო პირადად პუტინს ადანაშაულებდა.

მე ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა მაინც უფრო დიალექტიკური ხასიათისა იყო: იმ ხალხს, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღოდა მის აღზევებაში, პუტინი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ იმით გადაუხდიდა, რითაც გადაუხადა, ანუ თავიდან მოიშორებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირადად მას პუტინთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ბადრი უკვე საქართველოში წამოსვლას აპირებდა. ის ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა, მან ბერეზოვსკის, რომელზეც ძებნა გამოცხადდა და რომელიც გადაყვანილი ჰყავდათ ნომერ პირველ მტრის რეჟიმში სოლიდარობა გამოუცხადა და რუსეთი დატოვა. ბერეზოვსკის უარყოფის შემთხვევაში ბადრის რუსეთში ძალიან მშვიდი და ტკბილი ცხოვრება ელოდა. ისევე, როგორც აბრამოვიჩს, მასაც სიბნეფტის აქციებით ფრიად კომფორტულად შეეძლო თავი ეგრძნო.

მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოში ჩამოვიდა. 1999 წლის ბოლოს - 2000-ის დასაწყისში ის უკვე თბილისის დიდი ჭორების და ინტერესის საგანი იყო. წარმოიდგინეთ: 90-იანი წლების ბოლოს გაღარიბებული ქართული ინტელიგენცია, ქალაქი, რომელშიც ცხოვრების დონე მაღალი ნამდვილად არაა, და უცებ რუსეთიდან ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ჩამოდის. ბადრის სიმდიდრე კი ასეთი იყო: სიბნეფტის აქციების დაახლოებით ერთი მესამედი ეკუთვნოდა მას, მესამედი - ბერეზოვსკის, მესამედი - აბრამოვიჩს.

სწორედ ამ დროსMუცნაური ამბავი შემემთხვა: უცხოეთიდან უცხო კაცმა დამირეკა და თქვა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მედია-მოთამაშის, ნიუს კორპორეიშენის ევროპის ფილიალის დირექტორს საქართველოში ჩამოსვლა და ჩვენთან საუბარი სურდა.

მართლაც, ამ ტელეკომპანიის ევროპის ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი მარტინ პომპადური ტელევიზიაში გვეწვია. სიმპათიური, მაღალი, ახოვანი, ელეგანტური დასავლელი, განათლებული, ბრწყინვალედ ჩაცმული, პროფესიონალი. მაშინ, 2000 წელს, როცა ასეთი უზარმაზარი მედია-კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი “რუსთავი 2”-ში, მე-17 სართულზე ამოვიდა, პატარა, სადაც ოფისი გვქონდა, თუმცა ჩვენ გვეგონა, რომ ძალიან დიდი იყო და კომფორტული.

გაოცებისაგან ენა გადავყლაპეთ და ყბა ჩამოგვივარდა. ამ კაცმა კი მშვიდად მოგვახსენა, რომ მას და ნიუს კორპორეიშენს ევროპის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის რუმინეთსა და ბულგარეთში სურთ ინვესტიციების ჩადება, რომ რუსეთშიც აქვთ რაღაც ინტერესი, მაგრამ იქ ტელევიზიების მოპოვება უჭირთ, მხოლოდ რადიოებით იფარგლებიან, და რომ შემდეგი მათ სიაში საქართველოა. აქ, რა თქმა უნდა, საუკეთესო ჩვენა ვართ და ამიტომ მზად არიან, ჩვენი საკითხი განიხილონ, მზად არიან, ინვესტიია განახორციელონ, მზად არიან, ხელი მოაწერონ ძალიან დიდი შეთანხმებას, რომელიც ტრენინგსაც გულისხმობს. პირადად ჩემთან რაღაც ხუთწლიანი ხელშეკრულების გაფორმება უნდათ, მე ამერიკაში დამპატიჟებენ, სადაც მედიის, ტელევიზიის მენეჯმენტს მასწავლიან - მოკლედ, კონკიას ამბავი.

ჩვენც სრულიად გულწრფელად, გახსნილები ვესაუბრებოდით, ვეუბნებოდით, რომ კი, გვესმის, რომ ჩვენ ძლიერი ტელევიზია ვართ, მაგრამ მარკეტი ძალიან პატარაა და მულტიპლიკატორი სულ სამი თუ ოთხია, და შეშინებულები ვუყურეთ თვალებში, მართლა სამი თუ ოთხია... ჩვენ ექვსჯერ-შვიდჯერ ნაკლებად დავაფასეთ საკუთარი თავი, რეალურად ტელევიზიის ღირებულება ბევრად მაღალი იყო.

აღტყინებულები ვართ პარტნიორები, უბედნიერესები. ეს რა გვეღირსა! ამერიკული ინვესტიცია! ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვექნება ამერიკული ქოლგა, ჩვენ დაცულები ვიქნებით და ვერანაირი შევარდნაძე, ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგვემუქრება! ცალკე ცოდნა, ცალკე ტელევიზიის განვითარება, ამერიკული ოცნება ახდა!

უცნაური ამბავი აეროპორტში შეგვემთხვა, როცა ჩვენს მაღალ სტუმარს ვაცილებდით. ძველ აეროპორტის შენობაში მარცხენა მხრიდან იყო ვიპი, არა სამთავრობო, არამედ ჩვეულებრივი ვიპი. აი, ამ ვიპში მივედი, რომ მომსახურების ღირებულება, რამდენიმე ათეული ლარი გადამეხადა, და მითხრეს, რომ სტუმრის მომსახურების ფასი გადახდილია. ძალიან გაკვირვებულმა ვიკითხე, ვინ გადაიხადა-მეთქი. აი, ბატონმა გოგი ჯაოშვილმა გადაიხადაო.

მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო. ვკითხე, ეს რატომ გააკეთეთ-მეთქი, და უცბად მივხვდი, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს იცნობდნენ, ეს პომპადურის გარემოცვა და ჯაოშვილი ერთად არიან.

მაშინ ვერაფერს ვერ მივხვდი. რამდენიმე დღის შემდეგ რამდენიმე ჩემს ნაცნობს ვკითხე, ვინ არის გოგი ჯაოშვილი-მეთქი, და ბოლოს მითხრეს, რომ ის არის ბადრი პატარკაციშვილის თანაშემწე და უახლოესი მეგობარი იყო. ყველაფერი გაირკვა: შევარდნაძის ნათქვამი, რუსი ოლიგარქის ვინაობა, რომელსაც ტელევიზიის ნაწილი უნდა ეყიდა...

ბადრიმ სხვა სქემით ითამაშა, გადაწყვიტა, თვითონ არ გამოჩენილიყო და ამერიკელების სახელს ამოფაროდა. სწორად გათვალა - მიხვდა, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, ტელევიზიის ბიზნეს-ფასს დავასახელებდით, ის კი ჩრდილში დარჩებოდა და მთელი ისტორია, ასე ვთქვათ, რაფინირებულად იქნებოდა შეფუთული. მაგრამ ამ შემთხვევის გამო თვალები ამეხილა. კიდევ იყო რაღაც დეტალები, ჯერ კიდევ პამპადურის ჩამოსვლამდე, როცა ჩვენი კომპანიის შესასწავლად რამდენიმე ჯგუფი რატომღაც რუსეთიდან ჩამოვიდა. ძალიან მიკვირდა. მერე ერთ წევრს სავიზიტო ბარათი გამოვართვი, ზედ ეწერა: “ლოგოვაზ ნიუს კორპი”. ბერეზოვსკის და პატარკაციშვილის “ლოგოვაზი” ცნობილი კომპანია იყო, მაგრამ “ლოგოვაზი” და “ნიუს კორპი” თუ პარტნიორები იყვნენ, წარმოდგენა არ მქონდა. პასუხად კითხვაზე, ჩვენ “ნიუს კორპს” ველაპარაკებით თუ “ლოგოვაზს”-მეთქი, მოგვახსენეს: “იცით რა, თქვენ ხომ რუსულად ლაპარაკობთ, ინგლისურად ვერ ლაპარაკობთ, ამიტომ, ბუნებრივია, რუსულენოვან სპეციალისტებს ვგზავნით. მხოლოდ ამის გამო. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვყავს მეგობრები რუსეთში, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ.”

საბოლოო ჯამში, ყველაფერი გასაგები გახდა და ბადრის შევუთვალე, რომ თუ საუბარი ტელევიზიის ყიდვა-გაყიდვას ეხება, მოდი, ჩვენ დავილაპარაკოთ და ამ ეშმაკობას თავი დაანებე-მეთქი.

2000 წლის გაზაფხულზე ბადრის შევხვდი.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: “ახალი მემარჯვენეები” მთლიანად ბადრის შპს იყო“

For.ge

2015-05-04 15:00:57

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

ბადრის რიტუალების სასახლე ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნაყიდი, ან იქნებ ნაყიდი ჰქონდა, მაგრამ ჯერ გარემონტებული არა ჰქონდა. ჩვეულებრივი რვასართულიანი სახლის უკანა შესასვლელთან ხალხი ფუსფუსებდა, ავტომატიანი დაცვა, იმ დროის თბილისისთვის ამდენი ტოპ-მანქანა ეგზოტიკა იყო, ამდენი

ერთად საერთოდ არავის ენახა. გარედან დაყენებული ლიფტით ბოლო სართულზე ავედით, ორსართულიან ბინაში, სადაც უცნაური ხალხით გარშემორტყმული ბადრი დამხვდა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, მისი დიდი, ნახევრადძვირფასი ქვისგან დამზადებული მარტორქების უზარმაზარი კოლექცია იყო. ოთახში ერთი, ათამდე მარტორქა იდგა.

მე ვუთხარი, რომ იცით რა, მოდი, დავანებოთ თავი ერთმანეთის მოტყუებას და იმაზე ვილაპარაკოთ, მას რა ინტერესი აქვს, რა სურს ჩვენგან. რა თქმა უნდა, ძალიან მოწიწებით ველაპარაკებოდი - ის რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო, მე კი - ქართული ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი, კი, 1999-2000 წლების საუკეთესო ბიზნეს-კომპანიათა ათეულში დასახელებული, მაგრამ მასშტაბი მასშტაბია.

ვიღაცამ დაურეკა და როცა დაამთავრა, მითხრა, რომ რუპერტ მერდოკს ელაპარაკა. ისტორიას მომიყვა: “იცი შენ?” - ასე იცოდა ბადრიმ, უყვარდა გრძელი ისტორიების მოყოლა. მომიყვა, როგორ გადაიღეს „ტიტანიკი“ და როგორ მივიდა “ტიტანიკის” რეჟისორი მერდოკთან, როგორ შესთავაზა მერდოკს ეს იდეა, როგორ მისცა მერდოკმა 100 მილიონი თუ 200 მილიონი, და როგორ დააკლდა ამ კაცს კიდევ 40 მილიონი და კიდევ ერთხელ მივიდა მერდოკთან, და როგორ უთხრა მერდოკმა, არა, მე აღარ დაგაფინანსებო. და ამის შემდეგ წავიდა რეჟისორი და 40 მილიონისთვის რაღაც უფლებები ვიღაცას გადასცა, რასაც თურმე მერე მერდოკი ძალიან ნანობდა, იმიტომ რომ “ტიტანიკი” კინოს ისტორიაში ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფილმი იყო.

ძირითად თემას მხოლოდ ცოტა ხნით შევეხეთ. ბადრიმ თქვა, რომ ფული, რა თქმა უნდა, პრობლემა არაა, მაგრამ ის არ თვლის საჭიროდ, რომ ზედმეტი ფლანგოს, რომ თუ შევთანხმდებით, მას უნდა, რომ ჩვენ კომფორტულად ვიყოთ, რომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ...

მას ასეთი საუბრის მანერა ჰქონდა. „კომფორტულობა“ და “რელაქსირებულობა ბიზნესში” მისი საყვარელი სიტყვათშეთანხმებები იყო. დიდი პაუზის შემდეგ ვუთხარი, რომ ბიუჯეტებზე დავფიქრდები. ბუნებრივია, უწინ დასახელებული თანხა უნდა დავივიწყოთ-მეთქი, და ამ მომენტიდან მოყოლებული მოლაპარაკებები დავიწყეთ, რომლებიც დაახლოებით ერთი წელი გაგრძელდა.

პოლიტიკური ბრძოლა ძალიან გამწვავდა: 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძემ გაიმარჯვა, მან ზემოთნახსენები რუსული სცენარით აბაშიძეს მოუგო, ბუნებრივია, მესამე ვადით ის პრეზიდენტი ვეღარ გახდებოდა და ამიტომ პოსტშევარდნაძისეული პერიოდისათვის ძალიან აქტიური მომზადება დაიწყო. შევარდნაძის ოცდაათწლიანი მმართველობა 2005 წელს დასრულდებოდა და კლანები აღელდნენ - რა როგორ დაიბევებინათ, ვინ მოიგებდა, როგორ გადალაგდებოდა ყველაფერი...

ამ პირობებში ერთ-ერთი მთავარი როლი ტელევიზიამ უნდა შეასრულოს და ქვეყანაში ყველაზე რეიტინგული ტელევიზია ჩვენ გვეკუთვნოდა.

როგორც მოგვიანებით გავარკვიე, შევარდნაძემ პირდაპირ მოსთხოვა საქართველოში დაბრუნებულ ბადრის, რომ „რუსთავი 2“ - მას გაეკონტროლებინა. შევარდნაძე ვარაუდობდა, რომ მართული „რუსთავი 2“-ის პირობებში 2005 წელს მისთვის სასურველი სიტუაცია შეიქმნებოდა.

ამ დროს, ბადრიმ უშუალოდ მისი პოლიტიკური გუნდი ჩამოაყალიბა. “ახალი მემარჯვენეები” - მთლიანად ბადრის პროექტს წარმოადგენდა. ამ პროექტში ახალგაზრდა, ანუ ჩემი თაობის ბიზნესის წარმომადგენლები ჩაერთნენ.

მანამდე მომავალი “ახალი მემარჯვენეები” ნიკო ლეკიშვილის სახით ჟვანიას კონტროლირებად ბიზნესმენთა ჯგუფს წარმოადგენდნენ. ამ ჯგუფს მოქალაქეთა კავშირში ჟვანია მფარველობდა, პარლამენტში მან შეიყვანა, და უცბად, სრულიად მოულოდნელად, თან ზუსტად საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ეს ჯგუფი ჟვანიას დაუპირისპირდა.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაჩეჩილაძე და გამყრელიძე ჟვანიას ცალსახად გაემიჯნენ, მათ მოქალაქეთა კავშირის სიით გასული რამდენიმე დეპუტატიც შეურთდა, კიდევ რამდენიმე ადამიანი შეუერთდათ: ახალი სახეები, წარმატებული ბიზნესმენები.

მომხდართან დაკავშირებით ათასი ვერსია გავრცელდა. ამბობდნენ, რომ წინასწარი შეთანხმებით, პრემიერ-მინისტრის პოსტი უნდა შემოეღოთ და პრემიერ-მინისტრად დათო გამყრელიძე უნდა დაენიშნათ, და ჟვანიამ ეს შეთანხმება დაარღვია - პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ პოზიცია შეიცვალა, ისინი, ვინც პრემიერი ან დარგობრივი მინისტრები უნდა გამხდარიყვნენ, გადააგდო, რის გამოც ეს ხალხი ჟვანიას გაემიჯნა და თავად გააქტიურდა.

სინამდვილეში “ახალი მემარჯვენეების” დაფინანსება მთლიანად ბადრიმ იკისრა. ეს, უხეშად რომ ვთქვათ, მისი შპს იყო.

მეც გამიხსენეს. 2000 წლის სექტემბერში ჩემთან ლევან გაჩეჩილაძე მოვიდა, რომელმაც შემომთავაზა, მოდი, შევიკრიბოთ და მომავლის გეგმებზე ვილაპარაკოთ. “ჩვენი თაობა, ახალი გეგმები... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება...”

სიამოვნებით შევხვდი. მართლა ჩვენი თაობის წარმომადგენელი იყო, ლევანის მეუღლე და მე კურსელები ვიყავით, დათო გამყრელიძეც ჩემი კურსელი იყო...

რამდეჯერმე Georgian Glass end mineral Waters Kompany-ს მაშინდელ ოფისში, ჭავჭავაძეზე - მამუკა ხაზარაძის კაბინეტში შევიკრიბეთ მე, მამუკა ხაზარაძე, დათო გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, “მოდი, დავიწყოთ მოძრაობა, დროა, რომ ჩვენმა თაობამ მოიპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი პოლიტიკაში, ქვეყნის მართვაში,” - და მე დავეთანხმე, მაგრამ რეალურ ბერკეტებს მაინც სხვა თაობა ფლობდა.

ამავე საუბარში მითხრეს, თან ძალიან ბოდიშის მოხდით, რომ პროექტში მონაწილეობა სახელგანთქმულ გია თორთლაძეს და ფიქრია ჩიხრაძეს უნდა შესთავაზონ: “იცი, რა, გია თორთლაძე ჩვენი მეგობარია, ჩვენთანაა, შენ ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო? და ფიქრია ჩიხრაძე...” - რომელთანაც მანამდე ასევე დიდი დაპირისპირება მქონდა.

გია თორთლაძის ამბავი ცალკე საუბრის თემაა. მე და გია, უფრო სწორად, გია ჩემზე ადრე, მერე კი უკვე ერთად, მთაში დავდიოდით, ერთად ვიყავით საქართველოს მთამსვლელთა ძირითად გუნდში, ნაკრებში, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წლებში ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. გია არ ითვლებოდა საუკეთესო მთამსვლელად, მაგრამ იყო საუკეთესო მენეჯერი, კარგი ორგანიზატორი, ფანტასტიკური იუმორი ჰქონდა.

შემდგომ საქმიანობის გამო ჩვენი გზები გაიყო, მე ალპინიზმს ჩამოვშორდი. მთელი 90-იანი წლები მე ალპინიზმთან აქტიური ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ჩემს სამეგობროში ხშირად ხუმრობდნენ, თუ როგორ დადიოდა მთაში გია თორთლაძე.

გიამ მთამსვლელობაზე ბიზნესის კეთება დაიწყო. მაგალითად, ასლან აბაშიძისგან რაღაც თანხას მიიღებდა, და თუკი ექსპედიცია ჯდებოდა 50 ათასი, სინამდვილეში ხარჯავდა 10 ათასს, 40 ათასი რჩებოდა თორთლაძეს – მთელი ბიზნესი ეს იყო. ძირითადად, გია ექსპედიციებში მარტო მიდიოდა და ბევრი მთამსვლელი ამბობდა, რომ ამ ექსპედიციების დროს გია მთაზე არ ასულა. ამას ყურადღებას არავინ არ აქცევდა: ჯერ ერთი, საქართველოში ომი მიმდინარეობდა და ვინ შეამოწმებდა, გია ავიდა თუ არ ავიდა მწვერვალზე, ამიტომ ითვლებოდა, რომ ხალხს მისდამი შური ალაპარაკებდა.

ასე იარა გიამ მთელი 90-იანი წლები. მეგობრები მას პადოშას ვეძახდით და ერთად შეკრებილები ხშირად მის მიერ მორიგი ვითომცდა მწვერვალის დაპყრობაზე ვხუმრობდით.

ასლან აბაშიძის გარდა მან სხვა სპონსორებიც გამოძებნა. ხან თბილისის მერია აფინანსებდა, 1999 წელს კი ზურა ჟვანის თხოვნით სიგარეტის კომპანია “ომეგამ” მას ექსპედიციისთვის კოლოსალური თანხა - 200 000 დოლარი გამოუყო.

ფაქტიურად, ეს თანხა ქართული ალპინიზმის განვითარებას უნდა მოხმარებოდა და არა ერთი ადამიანის თუნდაც ჰიმალაებში გამგზავრებას, მით უმეტეს, რომ ეს ადამიანი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბევრ მთაზე არ ასულა, საქართველოში ჩამოსული კი ამბობდა: “ავედი!”

ერთხელაც კოკამ წყალი არ მოიტანა. 1999 წელს მოხდა ისე, რომ ჰიმალაებში ორი ქართული ექსპედიცია ერთდროულად წავიდა. ერთმა, რომელსაც ჩემი მეგობარი ბენო ქაშაკაშვილი ხელმძღვანელობდა, საჭირო სახსრები დამოუკიდებლად იშოვა, და ევერესტისკენ ტიბეტის მხრიდან, ანუ ჩრდილოეთიდან, ჩინეთიდან წავიდა. მეორე ექსპედიცია და მასთან ერთად ასევე ჩემი მეგობარი, გია თორთლაძე, სამხრეთიდან, ანუ კლასიკური მარშრუტით წავიდა. თორთლაძე ჟვანიამ დააფინანსა.

ორივე დელეგაცია ევერესტზე წარმატებულად ავიდა, მაგრამ გაჩნდა კითხვა მათ შორის ვინ ავიდა მწვერვალზე პირველი? Aმას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან სხვაობა სულ რამდენიმე დღე იყო, მაგრამ საქართველოში დაბრუნებულ თორთლაძეს მთელი საქართველო შეეგება, პირადად პარლამენტის თავმჯდომარე აეროპორტში დახვდა და პადოშა ქალაქში ხელში ატაცებული შემოიყვანეს.

Mმეორე დელეგაციის ჩამოსვლა არავის გაუგია, ყველაფერმა ძალიან კამერულად ჩაიარა.

ჩავთვალოთ, რომ ეს ჟვანიას საარჩევნო კამპანიის ძალიან ეფექტური ნაწილი იყო.

გადის დღეები, გადის კვირეები და უცებ იმის თაობაზე ალაპარაკდნენ, რომ თორთლაძის, ექსპედიცია ევერესტზე კი ავიდა, მაგრამ თავად გია, რომელიც ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, სადღაც შუაგზაში დარჩა. ამაში არაფერი დრამატული არ არის, ექსპედიცია ავიდა და გიას შეეძლო საერთოდ არაფერი ეთქვა, მაინც ჩაითვლებოდა, რომ მან წარმატებას მიაღწია, მაინც გმირი იქნებოდა. მაგრამ გიას უნდა იცნობდეთ! ძალიან გაღიზიანდა: „როგორ არ ავსულვარ!“

ჩემმა ჟურნალისტმა ამის თაობაზე სიუჟეტი მოამზადა. სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ თბილისში ხმა დაირხა, რომ გია თორთლაძე ევერესტზე არ ასულა.

მე ამ დროს ტელეკომპანიის მორიგი ტექნიკური პრობლემების გამო სადღაც ვარ გადახვეწილი.

ამ სიუჟეტში თვითონ პადოშას ინტერვიუც იყო, ის ამბობდა: „რა სისულელეა! აი, ბატონო, გადაღებული სურათები, აი, აგერ, აპა შერპას კვალი, აი ის დროშა, აგერ - ეს“. ვიდეო არა აქვს, მაგრამ ამბობს, რომ „სურათები აგერაა, რას ლაპარაკობთ, როგორ არ ავსულვარ!“

როგორც მერე გავარკვიე, გიამ შუალედური ბანაკიდან საბაზო ბანაკში გადმოსცა, მწვერვალზე ყველანი ავედითო. სხვა მთასვლელები იმის გამო გაჩუმდნენ, რომ ამ ექსპედიციის წევრები იყვნენ და უხერხულ დღეში აღმოჩნდნენ.

ცოტა ხანში დიდი სკანდალი ატყდა. სკანდალი დაიწყო არა ამ სიუჟეტის გასვლის გამო, - მისთვის ბევრს ყურადღება არ მიუქცევია, თანაც იქ მხოლოდ კითხვა დაისვა - ავიდა თუ არა პადოშა ევერესტზე, სადაც თავად გია ამტკიცებდა - როგორ არ ასულა!

ამ სიუჟეტის შემდეგ თორთლაძემ დამირეკა. მე ვუთხარი, რომ ჩემთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, იმიტომ რომ ვიცოდი, რაც მოხდა, და ისიც ვუთხარი, რომ სიუჟეტი ვნახე და მე მგონი, სიუჟეტი საშენოა, და ახლა ძალიან თუ დაიწყებ იმის მტკიცებას, რომ ნამდვილად ახვედი, პირიქით, ბევრი კითხვა გაჩნდება-მეთქი. არ დაკმაყოფილდა, ხან ირინა სარიშვილს დაარეკინა, ხან ზურა ჟვანია ათხოვნინა, მოკლედ, მთელი თბილისი, ჩარია, ვისაც, მისი აზრით, ჩვენზე გავლენა ჰქონდა. საბოლოოდ, ვუპასუხეთ, რომ თემას აღარ გავაგრძელებდით.

ამის შემდეგ უზარმაზარი კამპანია დაიწყო. ყველა არხზე - გამოდიოდა და განუწყვეტელ რეჟიმში ჰყვებოდა იმას, რომ მწვერვალზე ავიდა, სადღაც მთამსვლელებიც მიიყვანა, მათთან ერთად იჯდა ეთერში, „აი, ხომ გახსოვთ“, და ესენი მდუმარედ თავს უქნევდნენ. ამ შოუების ძირითადი აზრი ის იყო, რომ უსინდისო „რუსთავი 2“ და მისი უსინდისო ხელმძღვანელობა პადოშას ცილს სწამებს!“

ბოლოს გაბრაზებულმა „საღამო მშვიდობისას“ წამყვანს ნანა ჯაფარიძეს შუა ქაქანში დავურეკე და ვუთხარი, მოდი, გია, რამე ვქნათ - ან თქვან იმ ალპინისტებმა, ვინც შენთან ერთად იყვნენ, რომ ახვედი, თუ არადა, დავამთავროთ ამ თემაზე დისკუსიები-მეთქი. ამაზე გია თორთლაძეს საბოლოოდ მოეშალა ნერვები და მაშინ მთელი თბილისი ლაპარაკობდა, რომ რა არის, რა უბედურებაა, „რუსთავი 2“-ს არანაირი ზნეობა არ გააჩნია, საწყალ ბიჭს ჩაგრავენ, რას ერჩიან, მაგათთვის ხომ წმინდა არაფერია...

დაიწყო დიდი ბრძოლა. მე ვთხოვე ჟურნალისტებს - “იქნებ ადგეთ და გააკეთოთ რამე, გამოიკვლიეთ, ჟურნალისტები ხართ თუ რა, ბოლოს და ბოლოს”.

ხან ბენო ქაშაკაშვილი მოიწვიეს, ხან - სხვა, გაიმართა დებატები, მაგრამ ... საქართველოში ხომ ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია, საბოლოოდ ხომ ყველაფერი ლეგენდად უნდა დარჩეს, და ახლაც ასე გამოვიდა: გაირკვა, რომ რაღაცა მოხდა, მაგრამ რა? აღარავის აინტერესებდა, ავიდა პადოშა თუ არ ავიდა - ეს საქართველოს არ ადარდებს. სამაგიეროდ, ყველამ გაიგო, რომ ”რუსთავი 2” პადოშას ერჩის და კაცი დაიჩაგრა. ასე დამთავრდა ეს ისტორია.

ბუნებრივია, გიასთან ურთიერთობა აღარ მქონდა და როცა მითხრეს, რომ ამ საქმეში გიაც მონაწილეობს, რა თქმა უნდა, გაღიზიანებულმა ვთქვი, რომ ევერესტის ცრუ დამპყრობთან მეგობრობა, ცოტა არ იყოს, ძნელია, მით უმეტეს, იმის შემდეგ, რაც მან გააკეთა.

თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, გიამ მერე ივაჟკაცა და 2001 წელს მართლა ავიდა ევერესტზე. ამით

თითქოს დაამტკიცა, რომ პირველადაც ასული იყო. ყოველ შემთხვევაში ამბობდა, ერთხელ კი არა, ორჯერ ავედი მაგათ ჯინაზეო.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „სად დამახლიდნენ ტყვიას და სად მიპოვნიდნენ მკვდარს...“

For.ge

2015-05-07 18:30:22

http://for.ge/view.php?for_id=40368&cat=3

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ”ახლებთან” საუბრის დროს, ფიქრია ჩიხრაძის სახელიც წამოტივტივდა. ლევან გაჩეჩილაძეს ჩემთან ურთიერთობის დროს მანამდეც ჰქონდა მცდელობა, რაღაცეები გაერკვია: ”რა ღირს ეს შენი ტელევიზია, ფული ხომ არ ჩაგვედო, ხომ არ გაყიდდი...” მე პოლიტიკურ ბიზნესში მონაწილეობა არ მიმიღია. პირიქით, ვუთხარი: ”ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მე, როგორც ტელევიზიის მეპატრონე, სიამოვნებით მივესალმები ახალი პოლიტიკური ძალის გაჩენას, კონკურენციას გინდ ჟვანიასთან, გინდ შევარდნაძესთან, ვისთანაც გინდათ.” ამიტომ დავრჩეთ კარგ ნაცნობებად - დიდი მეგობრობა არასოდეს გვქონია. მათ თავისი პროექტის კეთება გააგრძელეს, თუმცა მერე აღმოჩნდა, რომ რომ სინამდვილეში ეს ბადრის პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენდა.

ჩვენ არც ერთ გუნდს არ ვეკედლებოდით. ჩვენთვის ვიყავით. ხაზგასმით ვამბობ - პოლიტიკური ამბიცია არ გვქონია. მსგავსი ამბები ჩვენთვის მხოლოდ მედია თვალსაზრისით იყო საინტერესო და თუ ძალით არ გვიბიძგებდნენ, ამ პროცესებში ჩაბმას არ ვაპირებდით.

მაგრამ ხელისკვრა დაიწყო, აშკარად გზაზე გადავეღობეთ. ბუნების ერთგვარი შეცდომა აღმოვჩნდით, მათთვის ჩვენი არსებობა ლოგიკაში არ იჯდა. ყველა ტელევიზია ან რაიმე ბიზნესზე მიბმული ან პოლიტიკური გუნდის ნაწილი უნდა ყოფილიყო, ან არ უნდა ეარსება, სხვა ალტერნატივას ქართული რეალობა არ ცნობდა.

ჩვენ ქართული მასშტაბებით, საშუალო ზომის დამოუკიდებელი ბიზნეს ჯგუფი ვიყავით; ჯგუფიც არა, რეალურად, ამ ორომტრიალში ორი ადამიანი მოვყევით. ჩვენი, როგორც მედიის გავლენა, ძალიან გაიზარდა. თუ გავიხსენებთ მაგ პერიოდის კვლევებს, ეკლესია და „რუსთავი 2“ თანაბარი გავლენით სარგებლობდნენ. თუმცა შემოსავლების და ხარჯის დაბალანსება დღითიდღე ჭირდდა, ვინაიდან ქვეყანა წინ ვერ მიდიოდა და სარეკლამო შემოსავლებიც ვეღარ იზრდებოდა. Aამ ფონზე ბადრი გვევაჭრება, რომ ტელევიზია მივყიდოთ.

2000 წელი ჩვენ ბადრისთან მუდმივი მოლაპარაკების რეჟიმში გავიარეთ.

ბადრი - ანუ, უზარმაზარი ფული და უძლიერესი მეგობრები. ერთი მეგობარია ვაჟა ლორთქიფანიძე, მათ მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდათ, ჯერ კიდევ რუსეთიდან. ბადრის სწორედ ვაჟა დაეხმარა საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად. ისინი თბილისშიც ახლობლობდნენ.

ვაჟას გარდა, ბადრის თანამებრძოლი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძეც, რომელიც მაშინ დიდ ძალაუფლებას ფლობდა. კახა თარგამაძე ბადრი პატარკაციშვილის მარჯვენა ხელი გახლდათ.

შეიძლება ითქვას, რომ პატარკაციშვილი სახელმწიფოში, უკვე ძალიან სერიოზულ ბერკეტებს ფლობდა, ფლობდა პოლიტიკურ ძალაუფლებას, აკონტროლებდა ძალოვანებს, უზარმაზარ ფულს. ამ ჯგუფის ხელისუფლების სათავეში მოსვლის საფრთხე ძალიან რეალური იყო. ხალხი, რომელიც ბადრის ორგანიზებულად დაუპირისპირდებოდა, არ ჩანდა.

მეტნაკლებად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია, რომელიც შევარდნაძის დიდი ნდობით სარგებლობდა და კახა თარგამაძეს დიდად ემტერებოდა.

შესაბამისად, ის ბადრი პატარკაციშვილის მტერიც იყო. ნუგზარ საჯაიას ჯგუფს წარმოადგენდნენ შევარდნაძის დაცვის უფროსი ნუგზარ პაპაშვილი, გამინისტრებული კობა ნარჩემაშვილი, ვალერი ხაბურზანია, სულხან მოლაშვილი...

ამრიგად, ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ბადრი და მისი ჯგუფი, რომელიც მრავალ მეტასტაზს მოიცავდა, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ასლან აბაშიძესთანაც და შევარდნაძესთან; მეორეს მხრივ - საჯაიას ჯგუფი; და, იყო ზურა ჟვანია, კვლავ შევარდნაძის მხარდამჭერი, პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ჯგუფის რამდენიმე მოთამაშე მინისტრები არიან: სააკაშვილი იუსტიციის მინისტრია, მიშა მაჭავარიანი - შემოსავლების მინისტრი... ჩავთვალოთ, რომ სამი დაჯგუფებაა. ალბათ, მეტიც იყო, მაგრამ სამი - მკვეთრად გამოკვეთილი.

ამ დაჯგუფებებს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა: მედიას მიმართავდნენ, ერთმანეთს ასუსტებდნენ, უპირატესობების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე სუსტი ჯგუფი საჯაიას ჰყავდა, ყველაზე ძლიერი და გამოცდილი კი - ჟვანიას. ბადრის ჯგუფი წინ სწრაფად მიიწევდა, თანდათან შევარდნაძეზე დაწოლა გააძლიერა და მასზე გავლენაც მოიპოვა. ამის ნათელი დადასტურება იყო „ბორჯომის“ თაობაზე შეთანხმება - ბადრიმ შევარდნაძის ოჯახისგან „ბორჯომის“ აქციები გამოისყიდა და ამით მის ოჯახს ფინანსური გარანტიები შეუქმნა.

ჩვენ ვაკეთებდით ბიზნესს და მივიღეთ წარმატებული კომპანია, მაგრამ არ გვქონდა ფული. არაფერი არ გვქონდა. ზურა ჟვანია შაყირობდა ხოლმე, აი, როგორები ვართ ჩვენ, ახალი ბიზნესმენები, ამერიკელი ცნობილი ბიზნესმენებივით, მილიარდერები რომ არიან და თან წუწურაქები... მას ასე ესმოდა, სინამდვილეში კი ფული მართლა არ გვქონდა, რაღაც გაუმართავი „07 ჟიგულით“ დავდიოდით.

ჰოდა, ჩემი პოზიცია ასეთი იყო: გავყიდოთ ტელეკომპანია და ლეგალურად გვექნება დიდი თანხა. ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავდი. ბოლო-ბოლო, 1994 წელს, როცა ტელევიზიის კეთებას ვიწყებდით, არანაირი სურვილი არ გვქონია, რომ აქტიური პოლიტიკური მოთამაშეები გავმხდარიყავით. ერთადერთი, გვეეჭვებოდა, ამ ფულის მფლობელები, რამდენად დაცულები ვიქნებოდით. მით უმეტეს, რომ მაშინდელ საქართველოში კრიმინალი ჩვეულებრივ საქმედ ითვლებოდა. კვირა არ ჩაივლიდა, პანკისის ხეობაში რომელიმე გამოჩენილი ბიზნესმენი რომ არ გაეტაცებინათ.

საქართველოში ჩვენი არსებობა ძალიან ბევრს აღიზიანებდა და მქონდა საფუძველი მეფიქრა, თუ სად დამახლიდნენ ტყვიას და სად მიპოვნიდნენ მკვდარს, სადარბაზოს ამოსასვლელში, ჩასასვლელში თუ კიდევ სადმე სხვაგან.

ჩვენს ირგვლივ რაღაცა მზადდებოდა. 2001 წლის ივლისის დასაწყისისთვის, ერთის მხრივ, ბადრის მხრიდან აქტივობამ პიკს მიაღწია, მეორეს მხრივ კი შევარდნაძემ შემოგვიტია. ჩვენს წინააღმდეგ მრავალი კამპანია დაიწყო. გაზაფხულზე საგადასახადო შემოსავლების მინისტრის, მიშა მაჭავარიანის ინიციატივით, ჩვენი ეთერის სარეკლამო ქრონომეტრაჟის მონიტორინგი დაიწყეს: სატელევიზიო რეკლამები უნდა დაეთვალათ და თუ რამე დარღვევას აღმოგვიჩენდნენ, ეკონომიკური სანქციები განეხორციელებინათ. ამის თაობაზე გია არსენიშვილმა მითხრა, რომელიც სახელმწიფო მინისტრი იყო და ძალიან არ მოეწონა, როცა „რუსთავი 2-ს“ ასეთი ფორმით შეეხნენ.

იქ კახა თარგამაძე გააქტიურდა, იქ პროკურატურამ დაიწყო „60 წუთის“ წინააღმდეგ გალაშქრება, მანამდე კი უზარმაზარი სკანდალი გადავიტანეთ, კბილებით მოგვიწია გენერალური პროკურორის, ბაბილაშვილის და მისი მოადგილის ბალუაშვილის მოგერიება. ბალუაშვილი “60 წუთის” წამყვანს აკაკი გოგიჩაიშვილს ქვეყნიდან გაქცევას აიძულებდა და კაკო რამდენიმე ღამით ტელეკომპანიის ოფისში ათენებდა.

ეს ყველაფერი აშკარად კამპანიის ხასიათს ატარებდა, საბოლოო მიზნით - ტელევიზია უნდა გაგვეყიდა. კომპანიის დამფუძნებლებმა, მე და დვალმა, საფრთხე ვიგრძენით. ერთი მხრივ, იყო პერსპექტივა იმისა, რომ ყველაფერს დავკარგავდით, მეორე მხრივ კი, გაყიდვის შემთხვევაში, არ იყო არანაირი გარანტია, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა სქემით არ იმუშავებდნენ, არ გვქონდა გარანტია, რომ მშვიდად ცხოვრების საშუალებას მოგვცემდნენ - ჩვენ საწინააღმდეგოდ აშკარად აგროვდებდნენ, ვითომდაც კომპრომატებს და ერთ მშვენიერ დღეს მათ გამოყენებასაც შეეცდებოდნენ.

სანამ ამაზე ვმსჯელობდით, ბადრის ნდობით აღჭურვილი პირი, ვალოდია ვორონოვი თბილისში ჩამოვიდა და შემოგვთავაზა: მოდით, გავაკეთოთ რაღაც პრე-პრე-შეთანხმება, ანუ მოვაწეროთ ხელი ქაღალდს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ჩვენ გვაქვს წინასწარი შეთანხმება ტელევიზიის ყიდვა-გაყიდვაზე და ვიღებთ ვალდებულებას, რომ დისკუსიას გავაგრძელებთ, რათა ჩვენი მოლაპარაკებები

უპერსპექტივო არ გამხდარიყო. მე და ჩემი პარტნიორი დიდი კამათის და ჩხუბის შემდეგ მოვრიგდით, რომ ვორონოვს დავთანხმებოდით. დვალი ამერიკაში ძმასთან გაემგზავრა და მე მარტო დავრჩი. მეორე დღეს, საღამოს რვის ნახევარზე ვაკეში ბადრისთან უნდა მივსულიყავი და მე და მას ამ წინასწარ შეთანხმებაზე ხელი უნდა მოგვეწერა.

ამ პერიოდში ვაჟა ფშაველაზე ვცხოვრობდი, მესამე თუ მეოთხე კვარტალში. მახსოვს, საღამოს ექვსი საათი იყო, სახლიდან გასასვლელად ვემზადებოდი - ვორონოვი უკვე მელოდებოდა და მას უნდა შევხვედროდია და უცებ: „რუსთავი 2“-ზე ჰედლაინის ბადე ირთვება და პაუზის მერე გვეუბნებიან, რომ დღეს 2001 წლის 26 ივლისს საკუთარ სახლში მოკლული გიორგი სანაია იპოვეს.

მე სასწრაფოდ დავურეკე ბადრის, ვუთხარი, რომ სანამ არ გაირკვევა, რა მოხდა რეალურად და სანამ ყველა კითხვას პასუხი არ გაეცემა - რის გამო ან ვინ მოკლა სანაია, მანამდე მოლაპარაკება უნდა შევწყვიტოთ. ბადრი უყოყმანოდ დამეთანხმა. ტელევიზიისკენ დავიძარი, გზად დავრეკე - რა ხდება? ტელევიზიაში სრული ისტერიკაა, ჟურნალისტები ტირიან. ვიღაცა მანქანაში ჩავისვი და დავიძარით სანზონისკენ, სადაც გიორგი სანაია ცხოვრობდა.

ჩემთვის გიორგი სანაიას მკვლელობა დღემდე ბურუსით მოცული საკითხია. გიორგი ჩვენთან 1999 წლის ბოლოს გადმოვიდა. მანამდე მას გაზეთ „რეზონანსიდან“ ვიცნობდი, სადაც კარგ წერილებს აქვეყნებდა. მისი გადმოყვანის სურვილი მეც მქონდა, რადგან ჟურნალისტიკაში ბიჭების ნაკლებობა იყო და მას წარმატებული სატელევიზიო კარიერისთვის ბევრი მონაცემი ჰქონდა: იყო ნიჭიერი და სიმპათიური ახალგაზრდა, ჰქონდა ხმის კარგი ტემბრი, საკმარისი ჟურნალისტური გამოცდილება. თავდაპირველად სანაია კორესპოდენტად მუშაობდა, შემდეგ მიჰყავდა - “ღამის კურიერი,” რომელიც ლეგენდარული გადაცემა გახდა.

მისი მკვლელობა უცნაურად დაემთხვა იმ დღეს, როცა მე ტელევიზიის გაყიდვასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება უნდა გამეფორმებინა. ბუნებრივია, მაშინვე გავიფიქრე, რომ სანაია ამ ხელშეკრულების ჩასაშლელად მოკლეს.

დანარჩენი სულ ბოდვითი თეორიები იყო; მათ შორის, ელენე თევდორაძე

აქტიურად ავრცელებდა ზღაპარს, თითქოსდა სანაიას რაღაც ექსკლუზიური ვიდეომასალა ჩაუვარდა ხელში, რის გამოც ის მოკლეს.

საქმე ის არის, რომ სანაია არ იყო იმ ტიპის ჟურნალისტი რომელსაც შეიძლებოდა რაიმე ექსკლიზიური “ბომბა” მასალა მოეპოვებინა, მას სტუდიიდან ტელე-დებატები მიჰყავდა და მის, მოვალეობაშიც არც შედიოდა ასეთი ტიპის მასალის მოძიება. მით უმეტეს, სანაია არასოდეს ყოფილა რაიმე რეპორტაჟის მოსამზადებლადან პანკისის ხეობაში, სადაც ვითომდა მას ეს კასეტა გადასცეს.

მის მკვლელობასთან დაკავშირებით, ჩემთვის ბევრი რამ უცნობი და გაურკვეველია, ახლაც მხოლოდ აზრს გამოვთქვამ, რომ შესაძლოა ამ მკვლელობის მიზანი, ის იყო, რომ მე „რუსთავი 2“ ბადრი პატარკაციშვილისთვის არ მიმეყიდა. უკვე ვთქვი, რომ საათებიღა რჩებოდა ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე, როცა ტელევიზიით შევიტყვე, რომ გიორგი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვნეს.

იმ პოლიტიკური ჯგუფებიდან, რომელიც ამ შეთანხმების შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტდებოდა, საჯაიას გუნდი იყო, ხოლო გაძლიერებით ბადრი და მისი მეგობრები - თარგამაძე, ჩხარტიშვილი და ლორთქიფანიძე ძლიერდებოდნენ.

ცნობილია, რომ შევარდნაძე მუდმივად ბალანსირების პოლიტიკას ატარებდა. ამ პერიოდში ერთი ყურით უშიშროების საბჭოს მდივანს, ნუგზარ საჯაიას უსმენდა, მეორეთი შინაგან საქმეთა მინისტრ - თარგამაძეს და ორივე ჯგუფზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა.

„რუსთავი 2“-ის ხელში ჩაგდებით ბადრის ჯგუფი მის ნება-სურვილზე წარმართავდა ქვეყნის მომავალს, თუ გავითვალისწინებთ მის გავლენებს, ფინანსურ შესაძლებლობებს და ასევე მის გავლენიან მოკავშირეებს, ეს ძალიან რეალური პერსპექტივა გახლდათ, რომელსაც საჯაიას დაპირისპირებული ჯგუფი ვერანაირ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა.

მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ სანაიას მკვლელობა საჯაიას ინტერესში შედიოდა, მან მოწინააღმდეგის კიდევ მეტად გაძლიერება შეაფერხა.

სანაიას მკვლელობის დღეს ტელევიზია ისტერიკამ მოიცვა. მე რომელიღაც თანამშრომელი მანქანაში ჩავისვი და გიორგის სახლისკენ წავედით. სახლი, სადარბაზო სავსე იყო რიგითი მოქალაქეებით, ჩვენი თანამშრომლებით, იქით პოლიცია და პროკურატურა რაღაცას ფაციფუცობდა და მახსოვს, არავის სჯეროდა, რომ მათი ძალისხმევით გიორგის მკვლელს დააპატიმრებდნენ. უმრავლესობის აზრით, ისინი პროცესუალურ ვალდებულებებს ვალის მოხდის მიზნით ახორციელებდნენ. ეს ამაზრზენი მოსასმენია და ამასთან დამთრგუნველიც, როცა აცნობიერებ თუ როგორი დაუცველები ვიყავით. ამასთან, არ არსებობდა არანაირი გარანტია იმისა, რომ სანაიას მკვლელობის შემდეგ ყველაფერი დასრულდა და სხვებს აღარ შეეხებოდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ შევარდნაძეს შევხვდი. პრეზიდენტი შვებულებაში გადიოდა და სანამ ლიკანში გაემგზავრებოდა, მისმა პრეს-სამსახურის უფროსმა, ვატო აბაშიძემ მასთან შეხვედრა მომიწყო. ამ შეხვედრაზე შევარდნაძეს უნდა დავერწმუნებინე, რომ იგი არაფერს მერჩოდა და სანაიას მკვლელებს თუ მკვლელს აუცილებლად იპოვნიდნენ დასჯიდნენ.

შეხვედრის ბოლოს გადავწყვიტე, გამერკვია იყო თუ არა მის ინტერესში „რუსთავი 2“-ის ბადრისთვის მიყიდვა და ამ შემთხვევაში რამდენად ვიქნებოდი დაცული.

- ბატონო ედუარდ, 1999 წელს, რომ მკითხეთ, რომ შემეძლო თუ არა რუსი ოლიგარქისთვის ტელევიზია მიმეყიდა, აი, ბადრი პატარკაციშვილი მთავაზობს, რომ ტელეკომპანია მას მივყიდო. მეც ვფიქრობ, რომ გავყიდო, მგონი ასე აჯობებს.

შევარდნაძემ გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა, ტელევიზიას, რომ გაყიდი, მერე რას აპირებო?

- ვხედავ, რომ საქართველოში ჩემი ყოფნა არავის უნდა, ჩემი საქმიანობით ბევრს ვაღიზიანებ, საზღვარგარეთ წავალ, ამ პრობლემებს გავერიდები, და მიღებული ფულით რაიმე ახალ საქმეს დავიწყებ.

- არა, შენ ტელევიზიას გაყიდი და ვერსადაც ვერ წახვალ, და ფულსაც აქ დატოვებ! - მეუბნება შევარდნაძე.

- რა ბრძანეთ ბატონო ედუარდ? - ხომ არ მომესმა მეთქი, გაკვირვებულმა ვკითხე.

- ჰოო, ჰოო, ვერსადაც ვერ წახვალ და ფულსაც აქ დატოვებ, - გამიმეორა პრეზიდენტმა.

უცებ წამოვდექი, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი - ცივად ვუთხარი და კარისკენ წამოვედი.

- ცხენი გყაავს? - მეძახის.

- რა ბრძანეთ? - მოვტრიალდი და ვკითხე.

- ცხენი გყაავს შეკაზმული, რომ გამასწრო? - კითხვას მიმეორებს.

- ყველაფერი გასაგებია, ნახვამდის - ვეუბნები და კაბინეტიდან გამოვდივარ.

გაბრაზებული ვატო აბაშიძესთან ჩავდივარ. ეგეც, ბერლინის კედლის დამანგრეველი, დიდი დემოკრატი, თეთრი მელა, მემუქრება, რომ ცარიელ-ტარიელს აქ დამტოვებს. ალბათ დამაპატიმრებს, სხვანაირად ქვეყნიდან როგორ არ უნდა გამიშვას, ვერ წარმომიდგენია. გაცხარებული ვატოს მივეჭერი:

- შევარდნაძეს გადაეცი, რომ არაფერსაც არ ვყიდი, ბოლომდე ვეომები და არაფერს დავუთმობ, - ვეუბნები ფერდაკარგულ აბაშიძეს, რომელიც ჩემს დაწყნარებას ცდილობდა.

ორი დღის შემდეგ, პრეზიდენტის ასევე ლეგენდარულმა დაცვის უფროსმა, სულხან პაპაშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ პრეზიდენტს ჩემთან საუბარი სურდა.

- როგორა ხარ? - მეკითხება შევარდნაძე.

- რა ვიცი, ნელ- ნელა, - ვპასუხობ.

- აი, ახლა ლიკანში ვარ და გიგზავნი ორ ვედრო ოზონს, - მეუბნება და ცდილობს დამამშვიდოს, ვითომ არაფერი მომხდარა. მიხვდა, რომ ძალიან დავიძაბე.

მე მტკიცედ გადავწყვიტე, ტელევიზია აღარ გამეყიდა, რამაც შინაგან საქმეთა მინისტრი ძალიან გააღიზიანა და ვანო ჩხარტიშვილის აგარაკზე დაიქადნა და მერე შემომითვალა, რომ სანაიას მკვლელობის იარაღს ვიპოვნი და ზედ შენი თითის ანაბეჭდები იქნებაო.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „თითქოს, სანაია მე მოვკალი“

For.ge

2015-05-08 16:30:41

http://for.ge/view.php?for_id=40383&cat=3

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

პროკურატურის დაფინასებულ გაზეთებში შეკვეთილი წერილები იბეჭდებოდა, რომ თითქოსდა სანაიამ ტელევიზიის საქმიანობაში რაღაც ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა და ამის გამო ის მე მოვკალი. პარალელურად თარგამაძე მპირდებოდა, რომ მკვლელობისთვის დამაპატიმრებდა. ქვეყნის პირველი პირიდან დაწყებული, მთელი სახელმწიფო ჩემს წინააღმდეგ მოიმართა. მაიძულებენ, რომ “რუსთავი 2” აუცილებლად გავყიდო და შემდეგ კიდევ ბუნდოვან მომავალზე დავთანხმდე. მე, რა თქმა უნდა, ამ პერსპექტივას აღარ ვთანხმდები.

29 ოქტომბერს, ტელეკომპანიაში უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები შემოიჭრნენ. ცხადია, თარგამაძემ ჩრდილში დარჩენა ამჯობინა.

მოგვიანებით, შევიტყვე, რომ ტელევიზიაში უშიშროების შემოჭრის უმთავრესი მიზანი ჩემი ლიკვიდაცია იყო. მათ კაბინეტის ფანჯრიდან უნდა გადმოვეგდე, რასაც თვითმკვლელობად გაასაღებდნენ, თითქოსდა ფინანსური პრობლემების გამო დაპატიმრებას მეთოთხმეტე სართულიდან გადმოხტომა ვამჯობინე.

საზოგადოების მხრიდან დიდმა მხარდაჭერამ უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებს გეგმები აურია. საზოგადოებამ შიშველი ხელებით დაიცვა „რუსთავი 2“ და საპროტესტო ტალღამ პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლა.

საპროტესტო ტალღის მამოძრავებელი ძალა სტუდენტობა აღმოჩნდა, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, ვინაიდან ასეთი დარაზმული სტუდენტობა ეროვნული მოძრაობის შემდეგ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად გამოვიდა ასპარეზზე.

ხალხის საპროტესტო ტალღამ მოვლენების ესკალაცია გამოიწვია და ხელისუფლება კინაღამ დავამხეთ, რისი სურვილიც ნამდვილად არ მქონია.

ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა, რის შემდეგაც კახა თარგამაძე - შინაგან საქმეთა მინისტრი და უშიშროების მინისტრი - ვახტანგ ქუთათელაძე პოსტებიდან წავიდნენ.

აღმოჩნდა, რომ ამ ამბების შედეგად ბადრის დაჯგუფებამ ყველაფერი წააგო - სანაიას მკვლელობის შემდეგ ტელევიზია ვერ შეიძინეს და მისმა მარჯვენა ხელმა, თარგამაძემ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაკარგა. მოიგო ნუგზარ საჯაიამ, რომელიც თანამდებობაზე დარჩა, ძალოვანი უწყებები მისმა კანდიდატებმა ჩაიბარეს - შინაგან საქმეთა მინისტრად კობა ნარჩემაშვილი დაინიშა, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურზანია, სამთავრობო დაცვის სამსახურის უფროსი სულხან პაპაშვილი.

თარგამაძის გადადგომიდან ერთი თვის შემდეგ ნუგზარ საჯაია საკუთარ კაბინეტში მკვდარი იპოვნეს. საჯაიას სიკვდილი, ისევე როგორც გიორგი სანაიას მკვლელობა და მოგვიანებით ასევე ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება, რაღაც ჰომოსექსუალური ისტორიებით შეფუთეს.

ბევრისგან გამიგია, რომ საჯაიას თავი არ მოუკლავს, ის მისსავე კაბინეტში მოკლეს. ჩემი ვარაუდით, სანაიას მკვლელობის შემდეგ კლანებს შორის ურთიერთობა მაქსიმალურ კონფრონტაციაში გადაიზარდა

და ბრძოლის ეს ეტაპი სტატუს ქვოს აღდგენით, ანუ საჯაიას სიკვდილით დასრულდა.

სანაიას მკვლელი ნარჩემაშვილის მინისტრობისას დააპატიმრეს, იგი ლევან გაჩეჩილაძის ყოფილი მძღოლი თუ დაცვის წევრი - გრიგოლ ხურცილავა აღმოჩნდა. მისი მტკიცებით, მან სექსუალური ძალადობისგან თავდასაცავად შემთხვევით მოკლა სანაია, რაც ჩემთვის ძნელად დასაჯერებელია. თუმცა, ამ რამდენიმე ხნის წინ ვიღაც ქართველმა ანალოგიურ გარემოებაში ცნობილი ბერძენი ჰომოსექსუალი მომღერალი მოკლა. ამიტომ, სანაიას თაობაზე გადაჭრით რაიმის თქმა ძალიან მეძნელება და მხოლოდ მსჯელობით ვიფარგლები.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა ჩავთვალე რომ ჩემი მეგობრები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში შევეცადე სანაიას მკვლელობის საქმეზე მეტი ინფორმაცია მიმეღო. მაშინ გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი იყო და მას ვთხოვე, იქნებ ხელახლა გამოეძიებინა ეს მკვლელობა, თუმცა ვერაფერს გავხდი, ჩათვალა, რომ თემა აქტუალური აღარ იყო და, ეგ საქმე შევისწავლე და გამოსაძიებელი აღარაფერიაო - მიპასუხა.

2002 წლის გაზაფხულზე ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში შალვა ნათელაშვილმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე მიშა სააკაშვილი გავიდა, რომელიც იმ პერიოდში „რუსთავი 2“-ის და “60 წუთის” აქტივობით სარგებლობდა და კორუფციასთან მებრძოლის იმიჯით ქულებს იწერდა. ამ ძალების გამარჯვება ყველასთვის ძალიან მოულოდნელი იყო, უბრალოდ, წინა წლის პოლიტიკურმა რყევებმა ყველას არაქათი გამოაცალა და ასპარეზი პოპულისტებს დარჩათ. ამ მხრივ სააკაშვილს ნათელაშვილი აღემატებოდა, მან არჩევნები მოიგო და ჩემი აზრით, კატასტროფული შეცდომა დაუშვა: თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი სააკაშვილს დაუთმო, რომელმაც თავის მხრივ ეს პოსტი არ იუკადრისა და მიიღო უშესანიშნავესი სასტარტო მოედანი პიარის საკეთებლად და თან ბიუჯეტის კონტროლის საშუალება.

ზურა ჟვანიამ არჩევნები სასტიკად წააგო. იგი პირველად გამოვიდა არჩევნებში დამოუკიდებლად და მარცხი განიცადა. მას ემტერებოდა ოპოზიციაც და სხვადასხვა სახელისუფლებო გუნდიც. ჩანდა, რომ ჟვანიას პოლიტიკური კარიერა თავქვე დაეშვა და მას დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა, რომ პოლიტიკური სცენის მიღმა არ აღმოჩენილიყო.

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებმა ახალი რეალობა წარმოქმნა, ბადრი მოვლენების სათავისოდ წარმართვას ესწრაფოდა და აქტიურად ხვდებოდა პოლიტიკური და სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებს, რაღაც მოლაპარაკებებს მართავდა, ამ პერიოდში რიტუალების სასახლეში გაქანებული სარემონტო სამუშაოები გაჩაღა, რაღაც ინფრასტრუქტურებს აწყობდა, ყველა მხრივ დღითი-დღე ძლიერდებოდა.

2002 წლის ივლისის დასაწყისში მისმა უახლოესმა თანაგუნდელმა ვანო ჩხარტიშვილმა დამირეკა. ამ დროს ის უკვე მთლიანად პატარკაციშვილის პროექტებით იყო დაკავებული და სახელმწიფო თანამდებობა აღარ ჰქონდა.

- შევხვდეთ, ეროსი? - მეკითხება.

- შევხვდეთ, რა პრობლემაა. G

მაშინ უკვე დაცვით მიწევდა სიარული. შუადღე იყო. ავედი ყოფილი „ექსიმბანკის“, იმხანად კი მისი „გაერთიანებული ქართული ბანკის“ შენობაში, გრიბოედოვის ქეგლთან. პირველად ვიყავი მის კაბინეტში, სადაც ვანო ტელევიზორებთან მოკალათებილი დამხვდა.

- რაო, ვანო, - ვეკითხები, - რა გაქვს ახალი, საინტერესო, რით გავაგრძელოთ ჩვენი ურთიერთობა? ისე, მე მგონია, არავითარი აზრი არა აქვს ამ ურთიერთობას.

- არა, არა, როგორ არა! მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მეგობარი და შენ უნდა შეხვდეთ, მას შენთვის რაღაც წინადადებები აქვს.

ბუნებრივია, ბადრის გულისხმობდა.

- ვანო, ერთხელ ხომ უკვე ვილაპარაკეთ და არ გამოვიდა ეგ საქმე, და შენ კი იცი, რომ მოლაპარაკება ჩემი მიზეზით არ ჩაშლილა. ეჭვი მეპარება, რომ ამ საუბარს ახლაც რამე დიდი პერსპექტივა ჰქონდეს.

- არა, არა, მე მგონია, რომ უნდა შეხვდეთ, უნდა დაილაპარაკოთ.

- რა უნდა, რაზეა საუბარი? - ვეკითხები.

- რა ვიცი, ახალი წინადადება აქვს, ახალი წინადადება ახალ რეალობაში. ადრინდელი შეცდომები ყველა გათვალისწინებულია.

მე ვიწყებ გახსენებას, თუ რა ტიპის შეცდომები დაუშვეს, ვეუბნები, რომ უკაცრავად, მაგრამ ყველაფერი, რაც მოხდა, მისმა ძმაკაცებმა გააკეთეს - კახას ვგულისხმობ, თარგამაძეს. თუმცა უკვე ცნობისმოყვარეობა გამიჩნდა, თან 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა და ძალიან მაინტერესებდა, როგორ ლაგდებოდა ახალი რეალობა. მით უმეტეს, შევარდნაძესთან კონფრონტაციული რეჟიმი იქმნებოდა, კონტაქტის არც ერთი მცდელობა არ უნდა დამეტოვებინა უყურადღებოდ, მით უმეტეს, პატარკაციშვილის მხრიდან. ის უკვე საბოლოოდ დაფუძნდა საქართველოში და მის კავშირებზე და მის მოძრაობებზე, მის ირგვლივ ხალხის გაერთიანებებზე უამრავი ჭორი დადიოდა. თავისთავად საინტერესო იქნებოდა მასთან შეხვედრა და შევთანხმდით, რომ ბადრის შევხვდებოდი.

ჩხარტიშვილთან შეხვედრას ამხელა ყურადღებას არ დავუთმობდი, რომ მასთან და ბადრისთან ურთიერთობას "ვარდების რევოლუციამდე" არ მივეყვანე. აქვე მინდა ვთქვა, რომ ეს რევოლუცია არავითარ ამერიკელებს და სოროსს არ მოუწყვია, ეს არის ლეგენდა, რომელიც ინფორმაციის ნაკლებობის გამო საზოგადოების რაღაც ნაწილმა აიტაცა და დღემდე ჰგონიათ, რომ აი, სოროსი და ბრაიზა, თუ მაილსი რომ არ ყოფილიყვნენ საქართველოში არაფერი მოხდებოდა. ისიც ზღაპარია, რომ შევარდნაძემ სააკაშვილს ძალაუფლება ნებით გადააბარა, თუმცა მოვლენებს წინ არ გავუსწრებ და თხრობას ისევ ბადრისთან შეხვედრით განვაგრძობ.

ივლისის ბოლოს ბადრის პირადი ვერტმფრენით მე და ჩხარტიშვილი მასთან ურეკში ჩავფრინდით. ვერტმფრენი მინდორში დაეშვა, სადაც ჯიპებით ავტომატებით შეიარაღებული ხალხი დაგვხვდა. მათ ავტომანქანაში გადაგვსხეს და შეიარაღებული ესკორტის თანხლებით ბადრის სახლისკენ გაგვაქანეს.

ბადრიმ ვანო ჩხარტიშვილის ბიძაშვილისგან ზღვის პირას ხუთსართულიანი სახლი შეიძინა. პლაჟი დაცვას გადაეკეტა, რომ სახლის პატრონი არავის შეეწუხებინა, აქაც სარემონტო სამუშაოებს ატარებდნენ. სახლის კედელზე ბარომეტრი ეკიდა, ეზოში თევზების და ცხოველების ფიტულები ელაგა, სახლში დიდი აკვარიუმი და საზღვაო კვანძებიანი დაფა ჩამოეკიდათ. სიღრმეში დიდი საჩრდილობლებიანი მოსასვენებელი ადგილი ჰქონდა მოწყობილი, პლაჟი კარგად დასუფთავებული ჰქონდათ და ზღვის ნაპირზე სკუტერები იდგა. ოცამდე მზარეული ფუსფუსებდა და ტრაპეზს ამზადებდა. მოკლედ მთელი დღით ბადრის სტუმარი უნდა ვყოფილიყავი.

სანამ საქმეზე დავილაპარაკებდეთ, ბადრი თავის ცნობილ რიტუალს ასრულებდა - „აი, ბერეზოვსკი რეკავს", - მეუბნება და მასთან მასლაათობს, მერე სხვა ცნობილ რუსებთან გააბა საუბარი.

გავიცანი ბადრის მეუღლე და სახტად დავრჩი: ძალიან სიმპათიური, წყნარი, განათლებული ქალის შთაბეჭდილება დამრჩა და სულ არ მოველოდი, რომ ბადრის ასეთი მეუღლე ეყოლებოდა.

საღამოს, სუფრა ჩრდილში გაიშალა, ათასნაირი კერძი და სასმელი დაახვავეს, მოკლედ სრულ სამოთხეში აღმოვჩნდი.

- მე და შენ საქართველოს უნდა მივხედოთ, - მეუბნება ბადრი, - ხომ ხედავ, ქვეყანა საითაც მიდის, ეკონომკა დასუსტებულია, მე ვიცი ის როგორ გავაჯანსაღო. უამრავი მეგობარი მყავს, რომლებიც ჩვენთან ფულს დააბანდებენ. აი, ახლა, ფრანგებთან მოლაპარაკება მაქვს, რომ ურეკში გოლფის მოედნები გავაკეთოთ, და ურეკიდან ქობულეთამდე სანაპირო ზოლის მოწყობის საინვესტიციო პროექტი გავაკეთე: ფიჭვნარში დახურულ სარეზიდენციო ზონას ავაშენებთ, სადაც საშუალო ზომის სახლებს ჩავდგამთ, თავისი გამოყოფილი პლაჟით და გოლფის მოედნებით".

შემდეგ, განაგრძო, რომ ქობულეთში ტურისტულ ინფრასტრუქტურას სერიოზულად განავითარებდა. ამავე პერიოდში ბადრიმ ე.წ. "იმედის" ქალაქის პრეზენტაცია მოაწყო, რომელსაც თავიდანვე სკეპტიკურად ვუყურებდი. საბოლოო ჯამში, რაც მან ამ იმედის ქალაქში გააკეთა, ძველი ბაზარი დაანგრია და მის ადგილზე შადრევანი ჩადგა. შადრევნების თემა მერე სააკაშვილმა აიტაცა და იმდენი შადრევანი დადგა, ხალხმა - „შადრევან პირველი" შეარქვა.

ბადრის ურეკში დასახლებამ ეს ადგილი ძალიან გააძვირა. ყველაფრის ფასმა მოიმატა „ბადრი ამას

იყიდის, ის მიწის ნაკვეთი მოსწონებია“, - გურულებში ასეთი ტიპის საუბრები პოპულარული გახდა და რახან ბადრის უნდა ეყიდა, ყველაფერს აძვირებდნენ.

- შენ გაქვს ტელევიზია, მე მაქვს ფული და პოლიტიკური გამოცდილება. ჩვენ შეგვიძლია ქვეყნის სასიკეთოდ ეს ყველაფერი ერთმანეთს შევუხამოთ და ერთი დიდი და კომფორტული პროექტი შევიმუშაოთ - აგრძელებს ბადრი საუბარს.

- ბადრი, მე არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ გამაჩნია, თუმცა პირდაპირ პასუხი რომ არ გითხრა, დავფიქრდები, პარტნიორებს მოვეთათბირები და რასაც გადავწყვეტთ შეგატყობინებ, დალაპარაკებას წინ არაფერი უდგას.

კვლავ პოლიტიკურ ორომტრიალში ვეხვეოდი, თუმცა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. ტელევიზიას ვერ გავაჩერებდი, ასე უფრო დაუცველები აღმოვჩნდებოდით, ვმუშაობდით და ყველას თვალში ვეჩხირებოდით, შევარდნაძიდან დაწყებული, ფინანსურ საკითხებამდე - ყველაფერი პრობლემა გაგვიხდა. ცალკე ჟურნალისტებს ავიწროებდნენ და ეს ცალკე თავის ტკივილად გვექცა.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „ფასი ვანო ჩხარტიშვილთან შევათანხმე“

For.ge

2015-05-12 15:00:34

http://for.ge/view.php?for_id=40443&cat=3

For.ge აგრძლებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას

თბილისში ჩამოსვლისთანავე პარტნიორს დათო დვალს შევხვდი და ვიმსჯელეთ რა გვეღონა. Bბადრის არ სურდა თავად ემართა ქვეყანა, მას სურდა რომ ჩრდილში დარჩენილიყო და სიტუაცია ჩვენთან ერთად ეკონტროლებინა.

- ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ამიტომ მოდი ირაციონალური გზით წავიდეთ. ბადრის შევთავაზოთ, რომ შევთანხმდეთ საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე და ჩვენ სატელევიზიო რესურსით, ხოლო მან ფინანსებით ვუზრუნველყოთ მისი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება,-თქვა დათომ.

საპრეზიდენტო კანდიდატად სულ ორ ადამიანს განვიხილავდით - მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას. სააკაშვილი თითქმის კამათის გარეშე გამოვრიცხეთ, ვინაიდან ორივეს მიგვაჩნდა, რომ აბსოლუტურად განუჭვრეტადი, პიარზე ორიენტირებული პოპულისტი კაცი იყო და მისი პრეზიდენტად გახდომა ქვეყანისთვის საფრთხილო იყო. ჩვენი აზრით, მასთან ერთად რაიმე სერიოზული პროექტის რეალიზება შეუძლებელი იყო და სერიოზულად დავფიქრდით - ზურაბ ჟვანიას კანდიდატურაზე.

ზურა ჩვენი თაობის პოლიტიკოსი იყო, ჩვენ საერთო პრინციპები და ხედვები გვქონდა. მას არ ჰქონდა პოლიტიკასი ისეთი სენტიმენტები, როგორიცაა მეგობრობა, ნათესაობა. მას საოცარი ცინიზმით შეეძლო უარი ეთქვა ბევრ კომპრომისზე.

გადავწყვიტეთ ბადრისთვის შეგვეთავაზებინა, რომ ზურას ერთობლივი ძალებით მივხმარებოდით და დასაწყისისთვის საპარლამენტო არჩევნები მოეგო, ხოლო შემდეგ ამ სასტარტო პოზიციიდან 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაგვემარჯვა.

ჟვანიას მხარდაჭერის სანაცვლოდ ბადრი მინიმალურ ფასად ტელევიზიას მიიღებდა. Gგასაყიდ ფასს 2002 წელსვე დავაფიქსირებდით და 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ანუ მას შემდეგ რაც ჟვანია პრეზიდენტი გახდებოდა ჩვენ ტელე- ბიზნესს დავტოვებდით და რუსთავი 2 –ის მართვასაც ბადრის გადავაბარებდით.

ჩვენ მივიღებდით ახალი საქმის დასაწყებად საჭირო თანხას და ჩვენი მეგობარი გახდებოდა ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც წინამორბედისგან განსხვავებით ბიზნესის საწარმოებლად ხელს აღარ შეგვიშლიდა. 1999 წელს ჩვენ წარმატებულად დავიწყეთ საკომუნიკაციო ბიზნესი, ჯორჯიან ონლაინი რუსთავი 2- ის მაშველი ქამარი გახდა, საიდანაც სატელევიზიო ხარჯების დეფიციტს ვავსებდით.

ჩვენ წინადადება შევიმუშავეთ და ახლა ჟვანია უნდა დაგვეყოლიებინა პროექტში მონაწილეობაზე. ზურა ამ პერიოდში ძალიან დაგვიმეგობრდა, მან პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი პროტესტის ნიშნად რუსთავი 2 ში უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების შემოვარდნის გამოა დატოვა.

სიმართლე გითხრათ ჩემთვის მისი ეს ნაბიჯი გაუგებარი იყო, ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარეს დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად მეტი საშუალება ექნებოდა, თუმცა ზურა ამბობდა, რომ პოსტიდან რომ არ გადამდგარიყო შევარდნაძე და თარგამაძე პარლამენტის წინ სეკრებილ ხალხს ძალის გამოყენებით დაშლიდნენ და შესაძლოა სისხლიც დაღვრილიყო.

ფაქტობრივად ზურას მის დაუზინებელ მტრებთან გარიგებას ვთავაზობდი. ბადრის გუნდში იყვნენ კახა თარგამაძე, ვანო ჩხარტიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, დათო გამყრელიძე და მით უმეტეს ვაჟა ლორთქიფანიძე. ჩვენ გარანტიას ვაძლევდით, რომ თუ ამ ძალასთან დამეგობრდებოდა მას ბადრი დააფინანსებდა, ჩვენ სატელევიზიო რესურსს მოვახმარდით და შევარდნაძის შემდეგ პრეზიდენტი გახდებოდა არა რომელიმე მარგინალი პოლიტიკოსი, არამედ ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ზურა ჟვანია.

შევარდნაძის დამხობა აზრად არ მოგსვლია, სათავეში მოსვლას არჩევნების გზით ვგეგმავდით. მარგინალი პოლიტიკოსები ასლან აბაშიძე, შალვა ნათელაშვილი და მიხეილ სააკაშვილი იყვნენ, კონკურენტებად მათ განვიხილავდით.

ჟვანიას საბურთალოზე მის სახლში შევხვდი. ზურა ოჯახთან ერთად გერმანიაში იენის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მიემგზავრებოდა.

ზურა ფაქტობრივად პოლიტიკურ ემიგრაციაში მიდიოდა, ბოლო არჩევნები წააგო, პარტიის დაფინასებისთვის კაპიკი აღარ ჰქონდა და პოლიტიკურ საქმიანობას წყვეტდა.

- ზურა, ბოლო წლების განმავლობაში შენში დიდი ცოდნა, გამოცდილება და პოლიტიკური ინვესტიციაა ჩადებული და ჩვენს ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ერთ-ერთი გამოკვეთილი პოლიტიკოსი აქედან ასე უბრალოდ გადაიხვეწოს. თვითმფრინავის ეგ ბილეთები ამოიღე და ჩემს თვალწინ დახიე, დარჩი და გამარჯვებამდე ერთად ვიბრძოლოთ.

ჟვანია რომ წასულიყო სათავეში გარანტირებულად რომელიმე მარგინალი აღმოჩნდებოდა.

ხელისუფლების დანებება არც ბადრისთვის შეიძლებოდა. მაშინვე ვფიქრობდი, რომ საქართველოსი ბადრის გამარჯვება რუსეთის გამარჯვების ტოლფასი იყო. ამასთან არც თუ სახარბიელო ბეგრაუნდი გააცნდა, რომელიც რუსეთში კრიმინალურ გარჩევებს და ქონების გადანაწილებას უკავშირდებოდა.

საქართველოში ისეთი პერიოდი იდგა, რომ საქმის გასარჩევად კანონიერ ქურდებთან თავად პროკურორრები დადიოდნენ და ქურდები მოსამართლეებს რესტორნებში სცემდნენ. ბადრი ამ სამყაროსგან შორს არ იდგა. მე მას ამ ტიპის ადამიანად განვიხილავდი, განსხვავებით იმ ინტელიგენციისაგან, რომელიც ჯერ ასლან აბაშიძეს ეთაყვანებოდა და მერე ბადრის უმართავდა რიტუალურ ცეკვებს.

- ზურა დარჩი და ვიომოთ. ჩვენ ფინანსურად გვიჭირს, მაგრამ 2005 წლამდე სულს კბილებით მივიტანთ და შენ საპრეზიდენტო არჩევნებს მოგაგებინებთ.

- კარგი, დავრჩები და ვიომოთ, - დამთანხმდა.

ამის შემდეგ მე და ზურა ერთხელ კიდევ შევხვდით ერთმანეთს და შეჯერებული გეგმით ბადრისთან ურეკში ერთად ჩავედით, სადაც მოლაპარაკებები რამდენიმე დღე გაგრძელდა.

ბადრიმ გვითხრა, რომ მზად არის ეს პროექტი განიხილოს, მაგრამ ითხოვს, რომ ახალ მემარჯვენეებსაც დაეკითხება.

- ახლები ჩემი მეგობრები არიან, მე მათ ვერ ვეტყვი, რომ ახლა ჟვანიასთან დავმეგობრდი და თქვენთან ურთიერთობას ვწყვეტ, მეგობრების მიმართ რალატი არ მჩვევია, ამბობს ბადრი და ითხოვს, რომ პროექტში ახლებიც ჩავრთოთ.

- თუ შენ იმას გულისხმობ, რომ ახლებს ვეტოს უფლება აქვთ, მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, ვინაიდან დათო გამყრელიძე უარს იტყვის, რომ მისი ლიდერი ჟვანია გახდეს და თუ მათ გარეშე შეგიძლია გადაწყვეტილების მიღება, მასინ დროს ვაჯანჯლებთ,-ვეუბნები ბადრის.

ამის შემდეგ ბადრი გვეკითხება, რომ რა გარანტია აქვს, როცა ეს პროექტი განხორციელდება, რომ სეთანხმებას დავიცავთ და პუტინივით არ მოვექცევით.

- გარანტია არის ტელევიზია, რომელსაც აუცილებლად მიიღებ, ვპასუხობ მე.

- ეს ბიზნესის სფეროა, მას პოლიტიკასთან საერთო არ აქვს. პუტინი ჩემი და ბერეზოვსკის პროექტი იყო, მაგრამ რაც გაგვიკეთა ყველამ კარგად იცით. ამის გათვალისწინებით მე უფრო მყარი გარანტიები მჭირდება, რომ პირის გატეხვის შემთხვევაში ეს ინსტრუმენტი თქვენს წინააღმდეგ გამოვიყენო,- ამბობს ბადრი და მივხვდი, რომ ასეთ ინსტრუმენტად რაიმე სახის კომპრომატს გულისხმობდა.

- რა უნდა იყოს ისეთი კომპრომატი, რომ თუ კაცი პრეზიდენტი გახდება და შეთანხმების დარღვევას დააპირებს, რომ ამით შეაშინო და აიძულო, რამე ნაბიჯი არ გადადგას? პუტინის მაგალითიც, ხომ ამას მოწმობს?

- კი ეს ზოგადად ასეა, მაგრამ ისეთი კომპრომატებიც არსებობს, რომელსაც ვერც პრეზიდენტი აუვლის გვერდს.

- მაგალითად?- ცნობისმოყვარედ ვკითხე.

- აი, გენერალი ლებედი ხომ გახსოვთ? ის, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ელცინს, რომ მხარი დაუჭირა?

რა თქმა უნდა, ცნობილი გენერალი ყველამ ვიცოდით. ის შემდეგ კრასნოიარსკის გუბერნატორი გახდა.

- ლებედი ჩვენს პოლიტიკურ პროექტში მონაწილეობდა და შეთანხმება, რომ არ დაერღვია ჩვენ მას პატარა ბიჭი გავაცანით, რომელიც მან გაჟიმა და ჩვენ ეს ფარულად ვიდეოკამერით გადავიღეთ.

ამის გაგონებაზე შოკში ჩავვარდი.

- გამყრელიძემაც ბიჭი გაჟიმა, მის ერთგულებაში რომ ეჭვი არ გეპარება?- ვეკითხები ბადრის.

- არა, არა, - იცინის და გვეუბნება, რომ გამყრელიძეს უნდა დავუმეგობრდეთ.

ამ გარანტიების თემაზე დისკუსიამ დიდი დრო წაიღო. საბოლოო ჯამში ბადრიმ რაღაც შეთანხმება დაწერა, რომელზეც ჟვანიამ ხელი მოაწერა და ეს ქაღალდი უცხოეთის რომელიღაც ბანკსი დაიდებოდა და ბადრი მას იმ შემთხვევაში გამოიყენებდა, თუ ზურა მასთან შეთანხმებას დაარღვევდა.

მოგვიანებით ზურამ მითხრა, რომ ამ ფურცელზე რაღაც ბოდვები წერია, რომელსაც ბადრი რატომღაც დაცვის გარანტად მიიჩნევდა.

ბადრი თავს გვევლებოდა, სკუტერებით აჭარის სანაპიროსკენ გავცურეთ. ზურას მხრიდან ეს რისკიანი ნაბიჯი იყო, ასლანი მას აბრალებდა, რომ მის მოწამვლას აპირებდა. ჟვანია ამაზე ხითხითებდა ხოლმე.

უკან მოვბრუნდით და სადილზე ბადრი გვიყვება, რომ რუსეთში (რაღაც გააკეთა). Mმე ვუთხარი ნამდვილი - ცისფერყანწელივით მოქცეულხარ მეთქი.

- რა ცისფერი? - უცებ დაიძაბა და ხმა გაუმკაცრდა.

- ჰო, ჰო, ცისფერყანწელები, არ იცი, კაცო, ასეთი ლიტერატურული მიმდინარეობა არსებობდა.

არ იცოდა და ამიტომ ცისფერს ყური, რომ მოკრა დაიძაბა, ეგონა ცუდი რამე ვუთხარი.

- რუსეთში მაგ დროს “სერებრიანნი ვეკ” იყო - ჩავთვალე, რომ რუსულ ლიტერატურაში მეტად ერკვეოდა.

- რა “სერებრიანნი ვეკ”? - აქეთ მეკითხება.

ამის შემდეგ მე და ზურა “სერებრიანნი ვეკს” ხშირად ვიხსენებდით ხოლმე.

სადილზე მე, ჟვანია, ბადრი და ვანო ჩხარტიშვილი ვისხედით. ბადრის ურეკში ერთი იაფფასიანი მომღერალი ქალი ჰყავდა ჩამოყვანილი, რომელიც ამ დროს მღერის და ამავე დროს საწყალი, გაცრეცილ ფეხსაცმელებიანი შუა ხნის კაცი ვიოლინოზე უკრავდა. Eეს მევიოლინე, რომელიც ბათუმიდან ჩამოიყვანეს, ძალიან ჰგავდა აბესალომ ლორიას გმირს ფილმიდან :არ დაიდარდო:.

ეს ოთხი ადამიანი სუფრასთან ვსხედვართ და ეს საწყალი უკრავს. ზურა ძალიან დაითრგუნა: ბობოლები ვსაუზმობთ და ეს კიდევ რაღაც გროშების საფასურად გვართობს. ამის შემდეგ რამდენჯერმე ტკივილით გამახსენა ეს სცენა, გახსოვს რა საცოდაობას ვუყურებდითო?

ურეკში დათო გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე ჩამოვიყვანეთ. დათო ძალიან გაღიზიანდა და არ სურდა პირველობა ზურასთვის დაეთმო. Mან ნინადადება წამოაყენა, რომ საუკეთესო გამოვლენილიყო და ამის შემდეგ გადაწყვეტილიყო ვინ გახდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატი. ზურა წყნარად უსმენდა, არ ეკამათებოდა, მე ვაქტიურობდი და დათოს ვარწმუნებდი, რომ ზურას მეტი გამოცდილება აქვს, თუ გვინდა, რომ რაციონალურად ვიმოქმედოთ, ერთადერთი გამოსავალი ზურას პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენება იქნება მეთქი.

თავდაპირველად დათო ბოლომდე არაფერზე გვეთანხმებოდა, გარკვევით არაფერს ამბობდა, მაგრამ დიდი კონსულტაციების შემდეგ, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ პროექტის რეალიზებას ცვენი გეგმის მიხედვით შევუდგებოდით.

შესათანხმებელი დაგვრჩა ტელევიზიის გასაყიდი ფასი. ეს შეთანხმება ჩემსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის უნდა მომხდარიყო. ჩხარტიშვილმა კუნძულ როდოსზე დამპატიჟა, სადაც მე ჩავედი და რაღაც თანხაზე შევთანხმდით. ფულს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მივიღებდით, მას შემდეგ, რაც ჩვენი გათვლით, ჟვანია საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებდა. გახარებულმა ვანომ ბადრის დაურეკა და აცნობა, რომ - აი, ამ ფასზე ჩამოვყალიბდით.

მე ჩემის მხრივ პარტნიორებს დავურეკე, რომ აი, ამდენ თანხაზე მოვილაპარაკეთ.

შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი პირობა, იყო ის რომ ბადრი ტელევიზიას არ გააკეთებდა და პროექტი რუსთავი 2-ის საშუალებით განხორციელდებოდა.

რეალობა სხვაგვარად წარიმართა. 2002 წლის შემოდგომიდან სულ მესმოდა ხმები, რომ ეთერში გასასვლელად ორი ტელევიზია ემზადებოდა, ერთს ზაზა სენგელია აკეთებდა, მეორეს თავად ბადრი. თავდაპირველად ბადრის ტელევიზიას ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილი აკეთებდა, მერე ეს საქმე სხვას გადააბარა.

რუსეთში როცა მეგობარ ჟურნალისტებს ვხვდებოდი, მეუბნებოდნენ, რომ სულ მალე ეთერში ბადრის მაგარი ტელევიზია გავიდოდა და მეკითხებოდნენ, მასთან კონკურენციის მეშინოდა თუ არა.

ბადრი ყველაფერს უარყოფდა: - არა, რა სისულელეა, არანაირ ტელევიზიას არ ვაკეთებ.

ვეუბნებოდი, რომ ჩხარტიშვილი აკეთებდა ტელევიზიას და მე არაფერი ვიციო, მპასუხობდა.

ეჭვი გამიჩნდა, რომ რაღაც არასასურველი ხდებოდა, თუმცა ამის გამო ბადრისთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია.

ბადრის ოფისში ვიკრიბებოდით და იქ უკვე მოქმედების დეტალებს განვიხილავდით. ხანგრძლივი დისკუსია გვქონდა, თუ რა რაოდენობის ფინანსები დაჭირდებოდა ზურას პოლიტიკურ პარტიას წარმატების მისაღწევად. მე ვცდილობდი, ზურასთვის რაც შეიძლება მეტი ფინანსები გადაეხადა.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „ბადრის ორბიტაზე გიორგი თარგამაძე გამოჩნდა“ for.ge

2015-05-14 00:25:58

http://for.ge/view.php?for_id=40464&cat=3

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

ნოემბერში ბადრის შევთავაზე, რომ ახალ წელს ახალი პოლიტიკური გაერთიანების პრეზენტაცია მოგვეხდინა. მთელი ქრისტიანული სამყარო შობას ოჯახებში ნათესაურ წრეში აღნიშნავს, ხოლო ახალ წელი საერთო-სახალხო დღესასწაულად ითვლება და მას მთელი მსოფლიო ქუჩებში ზეიმით ხვდება. კომუნისტები შობის ღიად აღნიშნვას ეწინააღმდეგებოდნენ და ქართველები შობის მსგავსად ახალ წელს აღნიშნავდნენ. ყველანი საკუთარ ოჯახებში საცივის და ღვინის თანხლებით ძველ წელს აცილებდნენ და ტელევიზორში „სტარიე პესნი ო გლავნომ“-ს უცქერდნენ, რომელიც “ირონია სუდბი, ილი ს ლიოგკიმ პარომ” კინოფილმთან ერთად ახალი წლის უცვლელ ატრიბუტად იქცა.

ჩემი გეგმით, ჩვენ შეგვეძლო ბადრის არტ-იმედის საშუალებით ქუჩაში გრანდიოზული ცოცხალი კონცერტი მოგვეწყო და ახალი წლის შესახვედრად ხალხი სახლებიდან გამოგვეყვანა. ასიათასობით მოქალაქე ახალ წელს შეხვდებოდა ისე, როგორც ამას მთელ მსოფლიოში აკეთებენ და კონცერტის ფინალურ ნაწილში ზუსტად ღამის 12 საათზე - სცენაზე ავიდოდნენ - ჟვანია, სააკაშვილი, ბურჯანაძე, გაჩეჩილაძე და გამყრელიძე! ესენი ხელების ერთმანეთზე ჩაკიდებით და ზევით აწევით შეხვდებოდნენ ახალ წელს, ამ ყველაფრის კვინტენსაცია კი გახდებოდა სპეციალურად ამ მომენტისთვის შექმნილი ახალი სიმღერა.

საზოგადოება შევარდნაძის საახალწლო მიმართვის ნაცვლად უცქერდა ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, რომლებიც ერთიანობის დემონსტრირებას მოახდენდნენ და განაცხადებდნენ, რომ ახალგაზრდა თაობა საპარლამენტო არჩევნებზე ერთიანი გუნდით წარდგებოდა.

ხელიხელჩაკიდებულ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სურათები კი მომდევნო დღიდან ქუჩის ბილბორდებზე გამოიფინებოდა.

ბადრის იდეა მოეწონა და ყველანაირ თანადგომას დაგვპირდა. აღფრთოვანებული ჟვანია მეუბნება, რომ მან იცის, ვის შეუძლია მსგავსი ღონისძიების საუკეთესოდ ორგანიზება და ზურამ სოფელ დიღომში, მის სახლში, დათო დოიაშვილი და ნიკა მემანიშვილი მოიყვანა.

ბუხრის პირას დავსხედით და მათ ავუხსენი დეტალურად თუ როგორ წარმომედგინა პროექტის რეალიზაცია. გავწერეთ ბიუჯეტი, ამ თანხის ნაწილს მე ვიხდიდი, ნაწილს ბადრი, თუმცა ამათ ვეუბნები, რომ პროექტს მთლიანად მე ვაფინანსებ, რადგან ბადრის ამის გახმაურება არ სურდა.

კონცერტი უნდა გაეხსნა სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც ვერდის “ნაბუქოს“ „ებრაელ მონებს” შეასრულებდა. ერთია, რომ ეს უმშვენიერესი მუსიკაა, თუმცა ეს მუსიკა მე სხვა მხრივ გამოვარჩიე უფრო - ეს გახლდათ იტალიის ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰიმნი, თავისუფლების და გამარჯვების ჰიმნი. ამ სიმბოლური მუსიკით უნდა გაგვეხსნა კონცერტი.

ახალი წლის დადგომამდე, რამდენიმე წუთით ადრე ნანი ბრეგვაძეს და მის შვილს, ეკა მამალაძეს უნდა ემღერათ და ამ დროს სცენაზე ავიდოდნენ ეს პოლიტიკოსები.

ჩემი ვარაუდით, ეს შევარდნაძის პოლიტიკურად დასამარებას გამოიწვევდა, რასაც თავადაც მიხვდა და გააფრთებულმა პრეზიდენტმა ჯერ გამყრელიძე-გაჩეჩილაძეს ათქმევინა ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი, შემდეგ ჩხარტიშვილმა დამირეკა, რომ ბადრი პროექტს ვერ დააფინანსებდა და ბოლოს ბურჯანაძემ და ჟვანიამაც გადაიფიქრეს.

ჩვენ დამოუკიდებლად გავმართეთ ეს კონცერტი და ათიათასობით ადამიანი პირველად ქუჩაში ერთად შეხვდა ახალი წლის დადგომას, თუმცა გრანდიოზული ჩანაფიქრი შევარდნაძემ ჩაგვიშალა, რამაც ჩემთვის ღონისძიებას პეწი დაუკარგა.

ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით, რომ სინქრონიზებულად გვემოქმედა, თუმცა ახალმა მემარჯვენეებმა დამოუკიდებელი მოქმედებები დაიწყეს. ამის პარალელურად ბადრიმ ამ შეთანხმების საწინააღმდეგოდ ტელეკომპანია "იმედი" შექმნა. უფრო მეტიც, მათ "იმედზე" ჩემი ჟურნალისტების გადაბირება დაიწყეს, რაც რა თქმა უნდა ძალიან უსიამოვნო იყო.

ბადრის ამ ნაბიჯებმა მაფიქრებინა, რომ იგი ახალი გეგმით მოქმედებდა და ახალი მემარჯვენეების სეპარატიული ქმედებებიც ამით აიხსნებოდა.

ამასთან, გავრცელდა ხმები, რომ ბადრიმ „რუსთავი 2“ იყიდა, რაც დესტრუქციულად მოქმედებდა როგორც ჟურნალისტებზე, ასევე კომპანიის სარეკლამო შემოსავლებზე. მე ბადრის დავპირდი, რომ ჩვენს შეთანხმებას, ტელევიზიის გაყიდვაზე, საიდუმლოდ შევინახავდი და ამის გამო ვერ ვამბობდი, გავყიდე თუ არა „რუსთავი 2“.

საერთაშორისო ბაზარზე ტელეპროდუქციის ფასმა "იმედის" გამოჩენის შემდეგ კატასტროფულად მოიმატა. სატელევიზიო პროდუქციას ჩვენ ძირითადად რუსეთში ვყიდულობდით და ახლა კონკურენცია უნდა გამეწია პატარკაციშვილისთვის, რომელიც ტელეკომპანია ოერტე-ს სრული ბატონ-პატრონი გახლდათ და სატელევიზიო სფეროში თითქმის ყველას იცნობდა.

ამავე პერიოდში მის ორბიტაზე გიორგი თარგამაძე გამოჩნდა, რომლის აბაშიძისგან გადმობირებას ბადრი მნიშვნელოვან წარმატებად აფასებდა და თარგამაძეს მომავალ პოლიტიკურ პროექტად განიხილავდა.

"იმედი" ეთერში გავიდა, რასაც მე მშვიდად შევხვდი, ვინაიდან თავს ზევით ძალა არ იყო და რა უნდა მექნა?

მართალია, ფინანსური თვასაზრისით "იმედი" დიდ რესურსს ფლობდა, მაგრამ ჩვენ ჟურნალისტებს თავისუფალი სამუშაო სივრცე შევუქმენით და თითოეული მათგანი იმას აკეთებდა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა. მე მათ საქმიანობაში არანაირად არ ვერეოდი და როცა მათ არჩევანი მიეცათ - რა ერჩივნათ, თავისუფალ რეჟიმში მუშაობის გაგრძელება თუ "იმედის" მაღალი ხელფასები, აბსოლუტურმა უმრავლესობამ, არჩევანი თავისუფლების სასარგებლოდ გააკეთა.

ოქტომბრის პირველ ნახევარში ჩემთვის უკვე სრულიად ცხადი გახდა, რომ "მოქალაქეთა კავშირი", რომელსაც ამ დროს უკვე "ახალი საქართველო" ერქვა, საარჩევნო კამპანიისას ჩვენს არხზე არაფრის დახარჯვას აპირებდა, ანუ ყველაზე დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ჯგუფისაგან პოლიტიკური რეკლამა არ გვექნებოდა.

მანამდე მე რამდენჯერმე შევხვდი იმ ხალხს, ვინც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შევარდნაძის პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას წარმართავდნენ. ამ შტაბს ფორმალურად სახელმწიფო მინისტრი - ავთო ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა, რეალურად კი, მაშინ შევარდნაძის გარშემო იმდენად დიდი ქაოსი სუფევდა, იქ იმდენი პოლიტიკური ძალა დაჯგუფდა, თან ისეთები, მანამდე ერთმანეთს საერთოდ რომ არ ელაპარაკებოდნენ და ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ, რომ სწორად მომართული მექანიზმის აწყობა და კამპანიის წარმართვა ძალიან ჭირდა.

შევარდნაძის საარჩევნო ბლოკს მთლიანად ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა.

ამ ნაბიჯით ბადრიმ კიდევ ერთხელ დაარღვია ჩვენს შორის არსებული შეთანხმება, ზურა ჟვანიას მხარდაჭერის ნაცვლად 2003 წლის მეორე ნახევარიდან ძალიან აქტიურად დაუახლოვდა შევარდნაძეს. თუმცა, ის მარტო შევარდნაძის ბლოკს არ აფინანსებდა, მან მისი აზრით წაუგებელი ტაქტიკა აირჩია და ბადრიმ ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალის დაფინანსება გადაწყვიტა.

ბადრი, ძალიან მდიდარი ადამიანი, ცდილობს, რომ კვერცხი ყველა კალათში ჩადოს, - ეგებ რამდენიმე მაინც მიიტანოს მიზნამდე. ბადრი სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის გარდა ყველას ფინანსური დონორი გახდა. (ჟვანიას აძლევდა 200000)

აგვისტო-სექტემბერში, დიდი ჭიდაობის შემდეგ, ავთო ჯორბენაძესთან შეთანხმებას მივაღწიე, თუ რა ბიუჯეტი უნდა ყოფილიყო ჩვენი არხისთვის გამოყოფილი. ოქტომბრის დასაწყისში, ერთ მშვენიერ დღეს, ავთომ გამოგვიცხადა, რომ მას "რუსთავი 2"-ზე რეკლამის განთავსების არანაირი ინტერესი არ აქვს და რომ შევარდნაძის ბლოკმა გადაწყვიტა, საერთოდ არაფერი განათავსოს ჩვენს არხზე. მიზეზი მარტივია:

არსებობს სამი არხი - “იმედი”, “მზე” და საკმაოდ ძლიერი სახლმწიფო მაუწყებლობა, რაც მათ სავსებით აკმაყოფილებს და სავსებით გამოდგება “რუსთავი 2”-ის საპირწონედ. მოკლედ, მითხრეს, კარგად იყავით და ჩვენგან არანაირი ფული არ გექნებათო.

ეს ჩვენთვის საშინელი დარტყმა იყო. მანამდე ჩვენ ჩვენი კალკულაცია გავაკეთეთ და გავთვალეთ, რომ არჩევნების დროს შემოსული ფინანსები ტელეკომპანიის საარსებოდ კიდევ ერთ წელიწადს ან წელიწადნახევარს გვეყოფოდა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯახირით და გაჭირვებით მივაღწევდით.

ახლა კი, ამ აგრესიულ გარემოში, ძალიან გაგვიჭირდებოდა თავის გადარჩენა და “რუსთავი 2” შეიძლება ბაზრიდან საერთოდ ამოვარდნილიყო. თუ კომპანიაში ფინანსური მდგრადობა არ გვექნებოდა, ბუნებრივია, ვერც თანამშრომლებს შევინარჩუნებდით: ჯერ ის ხალხი წავიდოდა, ვისაც “რუსთავი 2”-თან დაკავშირებით “პატრიოტული” განცდები არ ჰქონდა, შემდეგ ნაკლებად თავდადებულები წავიდოდნენ, დარჩებოდნენ ყველაზე ერთგულები, მაგრამ რა... ბოლოს მაინც კოლაფსის წინაშე აღმოვჩნდებოდით. 2005 წლამდე, როცა, კონსტიტუციის თანახმად, ახალი საპრეზიდენტო არჩევნების უნდა გამართულიყო, “რუსთავი 2” ვერანაირად ვერ მიაღწევდა.

ჩემი აზრით, სახელისუფლებო ბლოკი ბადრის დირექტივის საფუძველზე სწორედ ამიტომ არ აპირებდა ჩვენს არხზე არც ერთი კაპიკის დახარჯვას. ბადრი ამ გზით ჩვენს ფინასურ გაკოტრებას ცდილობდა.

სხვა გამოსავალი არ გვრჩებოდა - ზურას დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. მას უმძიმესი საარჩევნო გრაფიკი ჰქონდა, ნინო ბურჯანაძე ერთი მიმართულებით მოძრაობდა, ჟვანია - მეორე მიმართულებით. მათ ერთიანი საარჩევნო ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ შექმნეს, რომლის ლიდერი ბურჯანაძე იყო, თუმცა ეს ჟვანიას პროექტი იყო და რეალურად ყველაფერს ის მართავდა. ახლა წარმოიდგინეთ, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე რა მასშტაბის დატვირთვა ექნებოდა პოლიტიკურ პარტიას და მის ლიდერს, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების და პირველობის ამბიცია ჰქონდა. მაგრამ მე და ზურას ჩვენ სხვა ურთიერთობა გვქონდა და ამიტომ მის მოუცლელობაზე არც მიფიქრია.

ზურას მეგრული სამზარეულო გამორჩევით უყვარდა და ჩვენ ერთმანეთს ხშირად დიღმის გზაზე ვხვდებოდით, ზურას ვაშლიჯვარის ოფისის ახლოს მდებარე ერთ ჩინებულ მეგრულ რესტორანში.

2002-2003 წლებში მე, ზურა და დათო დვალი ლამის დღეგამოშვებით ვხვდებოდით ერთმანეთს ამ რესტორანში.

2003 წლის აგვისტოდან ჩვენ შორის ურთიერთობა გაცივდა.

ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ბადრი და შევარდნაძე დემონსტრატიულად დაახლოვდნენ, ბადრი მას ხაზგასმით უჭერდა მხარს, და ზურა, რომელიც, წესით, ამის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო, ასევე ბადრისთან მეგობრობდა. ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარი იყო. ზურას ბადრისთან დამეგობრების ერთადერთი მოტივაცია - ფული იყო, რომელსაც იგი საარჩევნოდ ბადრისგან იღებდა.

ზურას შევხვდი და ვუთხარი: “ზურა, უნდა დაგვეხმარო. ბადრიმ თავისი ვალდებულებები ორჯერ არ შეასრულა, რამაც ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩაგვაყენა; ბადრი, როგორც “ახალი საქართველოს” მთავარი დამფინანსებელი, კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ “რუსთავი 2”-თვის სარეკლამო ბიუჯეტი გამოეყოთ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ბადრის ურთიერთობა ძალიან დაძაბულია, მიუხედავად იმისა, რომ ბადრი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უმძიმესი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდე და ჩვენმა კომპანიამ უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ მიაღწიოს, მე მის მიმართ ყოველგვარი აგრესიისგან თავს შევიკავებ. მისგან მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ: უხეში შეფასებებით, ჩვენი ზარალი რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს, და თუ ბადრის უნდა, რომ ჩვენს შორის კონფრონტაცია არ გაღრმავდეს, და ეს კონფრონტაცია ძალიან დამანგრეველი არ იყოს, ყველაფრისათვის, მათ შორის ჩემი და შენი ურთიერთობისათვის, შენი და მისი ურთიერთობისათვის, ის ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით გადაიხადოს ეს თანხა, როგორც კომპენსაცია ჩვენი არხის ასე დაზარალებისთვის”.

ზურა ძალიან შეიშმუშნა. შეხვედრის მერეც საკმაოდ უსიამოვნოდ დავშორდით ერთმანეთს. ნაწყენი არ წასულა, უბრალოდ, ისეთი დაძაბული იყო, რომ მეც ვიგრძენი: ზურა ამ საქმეს ვერ ან არ გააკეთებდა.

მართლაც, მეორე დღის ბოლოს დამირეკა და მითხრა: „იცი რა, მე შევხვდი ბადრის, მას ველაპარაკე და მან გაღიზიანებულმა მკითხა, რა ქუჩურად „მაპრისტავკებს“, რას ჰქვია, ჩემგან ფულს ითხოვს, ჩემგან რა კომპენსაციას ითხოვსო”.

ძალიან ცივი უარი მივიღეთ.

კრიზისი გაღრმავდა.

ისღა დამრჩენოდა, რომ კიდევ ერთხელ შევხვედროდი ავთო ჯორბენაძეს და მეთქვა: “ავთო, შენ პრინციპულ შეცდომას უშვებ“

(გაგრძელება იქნება).

ეროსი კიწმარიშვილი: “ბოლო ვადა 2 ნოემბრის 8 საათი“

http://for.ge/view.php?for_id=40501&cat=3

for.ge

2015-05-16 00:43:33

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

იმ პერიოდში როცა ავთო ჯორბენაძეს საარჩევნო კამპანიის დაგეგმვაზე ველაპარაკებოდით, „რუსთავი 2“ სარეკლამო ბაზრის დაახლოებით 75%-ს განკარგავდა. მე ვეუბნები ჯორბენაძეს: „თუ სხვა ტელევიზიებზე პირობითად 100 დოლარს ხარჯავთ, „რუსთავი 2“-ზე 60-70 დოლარი დაგჭირდებათ - ესაა პროპორცია, ესაა ცქერადობის განაწილება, ამდენი მაყურებელი ჰყავს, ასეთი რეიტინგი აქვს, ასეთი წილი აქვს ამ ბიზნესში. თუ გინდათ იგივეს მიაღწიოთ, რასაც აღწევს, ვთქვათ, „პროქტერ ენდ გემბელი“, „ქოლგეითი“ ან ნებისმიერი საერთაშორისო კომპანია, რომელმაც იცის, რა უნდა გააკეთოს მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, საამისოდ ჩვენზე მეტად არავინ გამოგადგებათ...“

ავთოს მანამდეც ვიცნობდი. ერთი პერიოდი, 1990-1992 წლებში, ჩვენ კოლეგები ვიყავით:Mმე რუსთავის ჯანდაცვის სამსახურს, ხოლო ავთო - თბილისისას ხელმძღვანელობდა.

ავთო და მე ერთმანეთს შენობით მივმართავდით, ღიად ვსაუბრობთ და ასეთ ღია საუბარში მას ვეუბნები: „თუკი საარჩევნო კამპანიისას არ გაგვითვალისწინებთ, ბუნებრივია, ეს ჩვენთვის დიდი პრობლემა იქნება, მაგრამ თქვენც დიდი პრობლემა გელით“. ავთომ მკითხა: „რას გვთავაზობ? კარგი, დავუშვათ, დაგთანხმდით. თქვენგან რას მივიღებთ არჩევნებში?“ მე ავუხსენი, რომ ისინი, სახელისუფლებლო პარტია, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არიან, იმიტომ რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი მათ დაარტყამთ, იმიტომ, რომ შევარდნაძე, მათი მთავარი ძალა, ამდენი წელი ხელისუფლების სათავეშია და ცხადია, თავის დაცვა გაუჭირდებათ. მე ნეიტრალიტეტს ვთავაზობდი ანუ: „როცა მოწინააღმდეგე რაღაცას გააკეთებს, რაიმე ღონისძიებას ჩაატარებს ან თქვენს წინააღმდეგ დემარშს განახორციელებს, აუცილებლად მოგეცემათ პასუხის გაცემის საშუალება. მე ვითამაშებ ობიექტურ რეჟიმში, არც თქვენს და არც ოპოზიციის მხარეს. ესაა ჩემი ერთადერთი და მთავარი წინადადება“. მანამდე „რუსთავი 2“ საკმაოდ აქტიური იყო, აგრესიულად ანტისახელისუფლებო, და ეს თამაში არ ყოფილა, ასეთი გახლდათ ქვეყანაში შექმნილი რეალობა. ახლა კი ხელაღებით კრიტიკაზე მორატორიუმის გამოცხადებას ვთავაზობდით, თავად პოლიტიკოსებს ვთავაზობდით თავად ემტკიცებინათ საკუთარი სიმარლე. ჩვენ სიტუაციას არ დავამძიმებდით, არ გავამძაფრებდით.

პასუხად ავთომ მომიგო: „ჩემო კარგო, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს შესაძლებელი და მნიშვნელოვანი იქნებოდა, ერთი წლის წინ, მაშინ როდესაც შენ სრული მონოპოლისტი იყავი. დღეს ძლიერია სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხი, ჩვენ გვაქვს უკვე ორი ძლიერი კერძო ტელევიზია -

„იმედი“ და „მზე“, ყველა ეს არხი ჩვენზე მუშაობს Dთამამად შეგვიძლია ყველა თქვენი წინადადების იგნორირება“.

კიდევ რამდენჯერმე ვცადე, მისთვის „რუსთავი 2“-ის როლი და მნიშვნელობა მეჩვენებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვფიქრობ, თავად ავთო არ იყო დაინტერესებული, რომ „რუსთავი 2“-სთვის ფული არ მოეცა, მაგრამ რეალურად იქ სულ სხვა ვითარება იყო დამოგვიანებით, 24 ოქტომბერს, ამის ნათელი დადასტურება მივიღეთ.

საქმე ისაა, რომ ჩვენს ხელისუფლებასთან შეთანხმებას კიდევ ერთი ნაწილი ჰქონდა. „რუსთავი 2“ ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთი ლიცენზიით არსებობდა, მხოლოდ ერთი ლიცენზიით თბილისზე, და ისიც ინვალიდი ლიცენზიით - ჩვენს სიხშირეს აზერბაიჯანის მხრიდან სერიოზული ხელშეშლა ჰქონდა. ჩვენი გავრცელება საკმაოდ შეზღუდული იყო, ჩვენი რეგიონალური მაუწყებლობა - ბეჩავი. ამ დროს „იმედს“ ძალიან კარგი ხარისხის სიგნალი ჰქონდა, ის პროვინციაში ულამაზესი სურათით გავიდა, რაც მნიშვნელოვანი იყო. მას ყველგან უყურებდნენ. ჩვენ კი მხოლოდ ერთი, ძალიან საწყალობელი სიხშირე გვებადა და რეგიონალური პატარ-პატარა ტელევიზიების ნახევრადკუსტარული გადამცემები. შესაბამისად, ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ე.წ. ორტ-ს მეტრული სიხშირე, რომელიც კარგა ხანს უფუნქციოდ იყო ტენდერის გზით გაცემულიყო. ჩვენ, როგორც საქართველოს უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სატელევიზიო კომპანია, ამ ტენდერს ნებისმიერ კონკურენტთან მშვიდად მოვიგებდით. მიუხედავად ამ მოთხოვნის სამართლიანობისა, მას 2003 წლამდე ყურადღებას არავინ აქცევდა. 2003 წელს, როგორც იქნა, დაგვთანხმდნენ და 23 თუ 24 ოქტომბერს სიხშირის გაცემაზე ტენდერი გამოცხადდა.

ამ დროს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელი ვახტანგ აბაშიძე იყო. მას რამდენჯერმე შევხვდი. თავიდან კონკურენტი არ გვყავდა, შემდეგ ბადრის კიდევ ერთმა ბიზნეს-ჯგუფმა - „ტექნომედიამ“, ხაზგასმულად, დემონსტრატიულად შემოიტანა განაცხადი, ანუ ბადრიმ კიდევ ერთი სატელევიზიო სიხშირის შეძენა გადაწყვიტა. მას უკვე ჰქონდა “იმედის” და “მზის” სიხშირეები, რომლებიც ხელისუფლების მხარდაჭერით მიიღო.

ვინაიდან ხელისუფლებამ ერთი ვალდებულება შეასრულა და ორტ-ს სიხშირეზე ტენდერი გამოაცხადა, მე მშვიდად ველოდებოდი ამ ტენდერის ჩატარებას, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ობიექტურად ჩვენ საუკეთესოები ვიყავით და სამართლიანობის შემთხვევაში ამ სიხშირეს მოვიგებდით. ტენდერის წინა საღამოს 23 ოქტომბერს, ოფისში ვატო აბაშიძე და ავთო ჯორბენაძე მესტუმრნენ. კაბინეტში ფრანგული კონიაკი ყოველთვის მქონდა და ვსვამდით “ჰენესს” და ვსაუბრობდით, ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდით. ავთომ თქვა, ხვალ ტენდერია და მოდი, ვივაჭროთო. მე ვუთხარი, სისულელეს თავი დაანებეთ, არანაირ ვაჭრობას არ ვაპირებ, ეს სიხშირე სრულიად სამართლიანად ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენ მას ნებისმიერ შემთხვევაში მივიღებთ-მეთქი. ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენ დავიმსახურეთ და არც იოცნებოთ, რომ რამე სხვანაირად მოხდება-მეთქი. მერე გავიხსენეთ ჩვენი ახალგაზრდობა, ძველი მეგობრობა, დავლიეთ და დავიშალეთ. მანამდე კი ავთოს შევახსენე, რომ მეორე ვალდებულებაც შესასრულებელი აქვს.

ავთოს ხაზგასმით ვუთხარი: “თუ ამ ვალდებულებას 2 ნოემბრის 8 საათამდე შეასრულებთ, 2 ნოემბრის შემდეგ თქვენს მიმართ ნეიტრალურ რეჟიმში ვიმოქმედებ - არანაირი მხარდაჭერა არ გექნებათ, მაგრამ არც მხარე ვიქნები. მაგრამ თუკი გადაწყვეტთ, რომ „რუსთავი 2“-ზე საარჩევნოდ რეკლამას არ განათავსებთ, ეს ნიშნავს, რომ მწირავთ, თქვენ, ხელისუფლება, მებრძვით, და ბუნებრივია, მე თავს ყველა ჩემს ხელთ არსებული საშუალებით დავიცავ, თქვენს წინააღმდეგ ლეგალურად ვიბრძოლებ.” ავთომ მითხრა, არ ვიცი, მე მაგას ვერ შეგპირდებიო. M

- “კარგად იფიქრე, ბოლო ვადა 2 ნოემბრის 8 საათია, მერე ყოველ დღე, რომ იგივე თანხა მომიტანოთ და თუნდაც, ეს თანხა ათზე გაამრავლოთ, მე ხელს აღარ მოვკიდებ,” - ვუთხარი ჯორბენაძეს.

შუაღამეს კარგა გადაცილებული იყო, როცა მეგობრულად დავიშალეთ. ვატო ძალიან კმაყოფილი წავიდა, მეც კმაყოფილი წავედი და დავიძინე.

ტენდერი დილით, 11 თუ 12 საათზე იყო დანიშნული. კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში უამრავი კამერა დამხვდა, ჟურნალისტები ფუსფუსებდნენ, მაგრამ ვატო არსად ჩანდა. ეს არ მესიამოვნა, მაგრამ ვატო, თავისი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, სამსახურში, ისეც ცოტა გვიან მიდიოდა და მეც ჩავთვალე, რომ არაფერი უჩვეულო არ ხდებოდა.

გახდა პირველის ნახევარი, ვატო თავის კაბინეტში შევიდა და მდივანს სთხოვა, ეროსი შემოვიდესო. შევედი.

ვატო გაფითრებული დამხვდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. მითხრა, რომ შევარდნაძესთან იყო და გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა.

გავშრი. ვერ გავიგე, რატომ გადადგა ვატომ ეს ნაბიჯი?

მან მითხრა, რომ შევარდნაძესთან თათბირზე ავთო ჯორბენაძე იყო, შემდეგ ვაჟა ლორთქიფანიძე და ვახტანგ რჩეულიშვილიც მოვიდნენო, იქ ერთი გამიშვი-გამატარე ამტყდარა და მოკლედ, ბადრიმ თავისი გაიტანა - გამოგზავნა თავისი მთავარი დამრტყმელი ძალა, პარლამენტის მისი თავმჯდომარეობის კანდიდატი, ვაჟა ლორთქიფანიძე, მას დაემატა ვახტანგ რჩეულიშვილი და გადაწყვიტეს, “რუსთავი 2”-ს არანაირი სიხშირე არ უნდა მივცეთო. მე ვალდებული ვარ, რომ ამაზე რეაქცია მქონდეს და თანამდებობიდან წავედიო.

ეს ვაჟკაცური ჟესტი იყო. ვატომ ვერ გადააბიჯა ვერც შევარდნაძეს, ვერც ვაჟასთან მეგობრობას და საბოლოო ჯამში საკუთარი თავი იმისთვის გაწირა, რომ საკუთარი იმიჯი შეენარჩუნებინა. ვაჟკაცური საქციელია. არც მანამდე, არც ამის შემდეგ მსგავსი - დასაფასებელი და ღირსეული ნაბიჯი ბევრს არ ჩაუდენია.

ასე, რომ ტენდერი ჩაიშალა და ორტ-ს სიხშირე ვერ მივიღეთ. ეს მოხდა

2003 წლის 24 ოქტომბერს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ვარდების რევოლუცია

ხალხს შევარდნაძის 30-წლიანი მმართველობა ყელში ამოუვიდა. ყველას მობეზრდა მისი კორუმპირებული სისტემა, რომელიც მოსახლეობას მუდმივად ელემენტარული სასიცოცხლო პირობების გარეშე: შუქის, წყლის, გაზის, ხელფასის გარეშე ამყოფებდა და ადამიანებს ისღა დარჩენოდათ უკეთესი მომავლის მოსაწყობად სამუშაოდ საზღვარგარეთ გადახვეწილიყვნენ.

ხალხი საკუთარ სახლებს ყიდდა, რომ როგორმე ქვეყნიდან გაეღწია და ამ ფონზე “60 წუთი” მუდმივად აჩვენებდა იმ კორუმპირებული ჩინოვნიკების ახლად წამოჭიმულ ფეშენებელურ სასახლეებს, რომლებიც ამ ადამიანების გაჭირვების ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ენერგომაფია შუქს საზღვარგარეთ ყიდდა და აქ რეანიმაციებში ადამიანებს უშუქობის გამო გადაუდებელ ოპერაციებს ვერ უკეთებდნენ, რის გამოც ბევრი იღუპებოდა, პოლიციის თავნებობას საზღვარი აღარ ჰქონდა, თუ ვინმეს რაიმე ფული გაუჩნდებოდა მას

ჯიბეში ნარკოტიკს უდებდნენ და შემდეგ ფულს სძალავდნენ, ავტო ინსპექტორების გადამკიდე ტრასებზე მოძრაობა ერთი ხათაბალა გახდა. მთელი ქვეყანა კონტრაბანდას მიჰქონდა, შეძლებული და ფულიანი პირი სასამართლოში ყოველთვის ჩაგრავდა მართალ, მაგრამ უფულო ადამიანს. ბაზრობებზე კრიმინალები ხალხს ფულს აწერდნენ და შემდეგ ამ თანხას სახელმწიფო მოხელეებს უნაწილებდნენ. კანონიერი ქურდები ქვეყნის მართვაში აქტიურად მონაწილეობდნენ, მახსოვს ქუთაისის ერთ-ერთ რესტორანში ქურდებმა მოსამართლეებს სცემეს კიდეც და ამის გამო სასჯელიც არ დაკისრებიათ.

ცალკე პრობლემა იყო რელიგიური უმცირესობების შეუწყნარებლობა. ექსტრემისტული ჯგუფები, რომლებთაც ან ქვემო ქართლის გუბერნატორი მამალაძე, ანაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მფარველობდა, სადაც კი წაასწრებდა სხვა რელიგიის აღმსარებლებს, იქვე პოლიციის თვალწინ სასტიკად უსწორდებოდნენ. ჩვენ ამას მკვეთრად ვაპროტესტებდით და საზოგადოება მხარს გვიჭერდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „სააკაშვილი მაგიდის ქვეშ იმალებოდა“

http://for.ge/view.php?for_id=40540&cat=3

For.ge

2015-05-18 17:30:57

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

მთელი ამ წლების განმავლობაში, “რუსთავი 2” შევარდნაძის კორუმპირებულ და უსამართლო მმართველობას ამხელდა და ამის გამო საზოგადოებაც სიყვარულით და პატივისცემით გვეპყრობოდა. ჩვენს მიმართ პატივისცემას გამოხატავდნენ ის პატიოსანი ჩინოვნიკებიც, რომლებიც პრინციპების თუ სხვა მიზეზების გამო ამ კორუციულ სისტემაში ჩართულები არ იყვნენ და უამრავი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიდნენ.

“რუსთავი 2”-ს საზოგადოება იმედის თვალით უცქერდა. ტელევიზიაში ყოველდღიურად უამრავი უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანი მოდიოდა და სამართალს ჩვენი დახმარებით ეძებდა. მახსოვს ეს ხალხი განცხადებებს გვიტოვებდა, რომ მათ გასაჭირზე რეპორტაჟი მოგვემზადებინა და განცხადებას ადრესატებად თავზე ეწერა: “საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის პრეზიდენტს - ეროსი კიწმარიშვილს, ან რომელიმე გადაცემის რედაქტორს”. ეს ხალხი საბოლოო ინსტაციად განგვიხილავდა, სადაც ცენზურის (ამ სიტყვის განმარტებაც არ ვიცოდით) გარეშე ჟურნალისტები მათ გასაჭირს ფართო საზოგადოებამდე მიიტანდა.

ჩვენ ვამბობდით სიმართლეს და საზოგადოება შევარდნაძის მიმართ დღითი დღე კრიტიკულად ეწყობოდა. თუმცა, ამას არ ვაკეთებდით იმის, გამო, რომ მერე რევოლუცია მოგვეწყო. შევარდნაძეს არავინ უშლიდა რაიმე საქმის გამოსწორებას, მაგრამ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ვერ ელეოდა და ესენიც იოლ გამოსავალს პოულობდნენ, აცხადებდნენ, რომ თითქოსდა “რუსთავი 2” შევარდნაძეს

ებრძოდა და ამის გამო ჩვენ რაღაცეებს ვიგონებდით. შემდეგ ესენი გარკვეული თანხის საფასურად სხვა ტელეკომპანიებში თავიანთთვის სასურველ სიუჟეტებს უკვეთავდნენ და მოსთქვამდნენ, ნახეთ რა კარგი ბიჭი ვარ და “რუსთავი 2”-მა კიდევ ცილი დამწამაო.

სიამაყით ვიტყვი, რომ ჩვენ არასდროს გვივაჭრია ცალკეული ადამიანის ბედითაც კი. არაფრის ფასად არ მიგვიჩქმალავს საზოგადოებისთვის მათი გასაჭირი. უამრავი შემოთავაზება გვქონია, რომ - აი, თუ თქვენ ამ სიუჟეტს არ გაუშვებთ... ყველაფერი აქ მთავრდებოდა. შევარდნაძის სიძე, გია ჯოხთაბერიძე “მაგთის” რეკლამას განათავსებდა თუ “60 წუთის” წამყვანს აკაკი გოგიჩაიშვილს სამსახურიდან გავუშვებდი, აკაკი ჩხაიძე ნახევარ მილიონს იხდიდა თუ რკინიგზის თაობაზე გადაცემას არ გავუშვებდი, შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველი წლის დასაწყისში 100 ათას დოლარს გადაიხდიდა თუ პოლიციის უკანონო ქმედებაზე თვალს დავხუჭავდით. ჰქონდათ ცალკეული ჟურნალისტების მოსყიდვის სურვილიც, თუმცა უშედეგო.

დღეს მთელი ელიტა შალვა რამიშვილს ქომაგობს, ჟურნალისტს, რომელმაც პირველივე შემხვედრს 30 ათასი დოლარი გამოართვა იმისთვის, რომ მასზე კრიტიკულ სიუჟეტს ეთერში არ გაუშვებდა და ამ საქციელის შემდეგ მას რამდენიმე პარტიის ლიდერი საარჩევნოდ სიაში ჩასმას უპირებს, რაც ჩემი აზრით, არ არის მორალური საქციელი და მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ ჩემი ჟურნალისტები ასე არასდროს იქცეოდნენ.

ამიტომ სურდათ, რომ “რუსთავი 2”-ს არსებობა შეეწყვიტა და ეს უნდა მომხდარიყო მაქსიმუმ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს ყველა მეტნაკლებად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერი საპრეზიდენტო პოსტის ხელში ჩასაგდებ პლაცდარმად განიხილავდა. ძირითადი მოთამაშეები იყვნენ - შევარდნაძე, რომელსაც ყველა თვალებში შესციცინებდა, რომ მის მემკვიდრედ დაასახელებდა, ასევე ბადრი პატარკაციშვილი, ასლან აბაშიძე და ზურა ჟვანია. თუმცა ბადრი რთულ პარტიას თამაშობდა, იგი აფინანსებდა შევარდნაძის სახელისუფლებო ბლოკს “ახალი საქართველოსთვის”, აფინასებდა “ახალ მემარჯვენეებს” და ზურა ჟვანიას “ბურჯანაძე-დემოკრატებს”. ბადრი ზურას 2003 წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად 200 ათას დოლარს აძლევდა. ირაკლი ჩუბინიშვილი ყოველი თვის დასაწყისში “გაერთიანებულ ქართულ ბანკში” ვანო ჩხარტიშვილს აკითხავდა და იქიდან ცელოფნის პარკით ეს ფული ოფისში მიჰქონდა. ბადრიმ რამდენიმე ადგილი ნათელაშვილის ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო სიაშიც იყიდა და იქ თავისი ხალხი ჩასვა.

2003 წლის ოქტომბერში სააკაშვილს სერიოზულად არავინ განიხილავდა. არც სააკაშვილი იკლავდა თავს სპონსორის ძიებით, მას როგორც მისი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა რამდენიმე ხნის წინ გაიხსენა, ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა.

ოქტომბრის დასაწყისში “აი-პი-ეს”-მა წინასაარჩევნო გამოკითხვა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ ზურა დამაჯერებლად ლიდერობდა. მას მოჰყვებოდნენ სააკაშვილი და ნათელაშვილი.

სააკაშვილს დედაქალაქზე მეტად რეგიონებში წყალობდნენ. ის შევარდნაძეს და მის გარემოცვას კორუპირებულობისთვის ადანაშაულებდა და ხალხს ეს მოსწონდა. ამასთან სააკაშვილმა ჩაგრულის იმიჯი შეიქმნა, რაც მის მიმართ კეთილგანწყობას აძლიერებდა.

ოქტომბრის ბოლოს წინასაარჩევნოდ ბოლნისში ჩასულ სააკაშვილს და მის მხარდამჭერებს იქაური გამგებელი დაუხვდა და ერთმანეთს სულ ცხვირ-პირი დაუმტვრიეს. ამ ჩხუბში გამგებელიც გაილახა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მიშამ წინასწარ ამ ჩხუბისთვის კარატეს რომელიღაც ფედერაციის წევრები დაიქირავა და მერე ეს ბიჭები ჩიოდნენ, მიშამ ტყუილად გვაჩხუბა, ფული აღარ გადაგვიხადაო.

29 ოქტომბერს სააკაშვილი ზუგდიდში ჩავიდა და იქაც ერთი ამბავი ატეხა, მოკვლას მიპირებდნენო. მიშა ქალაქის ცენტრში მიტინგს მართავდა, მომიტინგეებში ავტომანქანა გამოჩნდა, რომელიც ნელი სვლით ხალხში გზას იკვლევდა. სააკაშვილის მომხრეებმა ავტომანქანა ამოიცნეს - ეს ბადრი ზარანდიას ავტომანქანაა და შიგ მსხდომ პირებს მივარდნენ, გადმოათრიეს და სასტიკად სცემეს.

ბადრი ზარანდია ზუგდიდის ყოფილი სამხედრო კომენდანტი იყო და შემდეგ მხედრიონის ლიდერს ჯაბა იოსელიანს დაუძმაკაცდა, რომელიც მიშას ვერ იტანდა. თვითმართველობის არჩევნების წინ ზარანდიამ ზუგდიდში ჩასული სააკაშვილი სცემა და მას მიშა ერთ-ერთი რესტორნის მაგიდის ქვეშ ემალებოდა. მახსოვს, ზარანდია სააკაშვილს პირდებოდა, რომ მეორედ ზუგდიდში არ ჩაუშვებდა, თუმცა საპარლამენტო არჩევნების წინ მიშას ეს მუქარა აღარ აშინებდა, ვინაიდან ზარანდია რესტორანში ჩაცხრილეს და საქმე დღემდე გაუხსნელია.

მართალია ის ავტომანქანა ზარანდიას ეკუთვნოდა, თუმცა ამ ინციდენტამდე ერთი წლით ადრე იგი ტელეკომპანია მეცხრე არხის ზუგდიდელმა კორესპოდენტმა იყიდა და გადაღებაზე ამ მანქანით დადიოდა. აღნიშნულ მიტინგზეც, ჟურნალისტმა მძღოლს დაურეკა, რომ ანძაზე ვიდეომასალის წასაღებად მისულიყო, რომ ვიდეოკასეტა გადაეცა. მძღოლი ჟურნალისტისკენ მანქანით წავიდა, რომ ვიდეომასალა სხვა ტელეკომპანიებზე ადრე გადაეგზავნა თბილისში და ამის გამო სასტიკად მოხვდა კიდეც.

ამ ინციდენტის შემდეგ გმირი სააკაშვილი ტელეკომპანიებს უყვებოდა, თუ რა სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. კოტე კემულარია ყველას უჩვენებდა პისტოლეტს, რომელიც ვითომდა თავდამსხმელებს წაართვა. არც ეს პისტოლეტი გადაუციათ ნივთმტკიცებად პოლიციისთვის და არც თავდამსხმელები ჩაუბარებიათ პოლიციისთვის. ჟურნალისტი კიდევ ნაცემ მძღოლსა და დამტვრეულ ავტომანქანას მისტიროდა, თუმცა ეს არავისთვის საინტერესო აღარ იყო: მიშამ მაგარი პიარი გაიკეთა.

23 ნოემბერს სააკაშვილის მომხრეები ბათუმში მართლა სასტიკად სცემეს. ყველას ახსოვს ნაცემი კობა დავითაშვილი, გივი თარგამაძე, დავით ბერძენიშვილი. ეს ხალხი როცა დემონსტრაციას წინ მიუძღოდა და მართლა საფრთხეში იგდებდა თავს, სააკაშვილი კაფეში იჯდა, აჭარულ ხაჭაპურს ჭამდა და დიდი ეჭვი მაქვს, ნატრობდა, რომ მორიგი პიარ აქციისთვის, მისი მომხრეები აბაშიძის ხალხს გაელახა.

ამ ცემა-ტყეპის ფონზე სააკაშვილის პოპულარობა მატულობდა, რომელსაც მანამდე მხოლოდ ნათელაშვილ-2-ად განიხილავდნენ.

ოქტომბერში თავად ნათელაშვილის რეიტინგმა მოიკლო, ვინაიდან იგი შევარდნაძის კრიტიკიდან ჟვანია-სააკაშვილის ლანძღვაზე გადაერთო.

ჟვანია-ბურჯანაძემ რესპექტაბელური საარჩევნო კამპანია აწარმოეს, რასაც შედეგი განვითარებულ ქვეყნებში მოაქვს, რომელსაც საქართველო არც მაშინ წარმოადგენდა და არც იმ არჩევნების შემდეგ. ნინო ლიდერის როლში პირველად წარსდგა ამომრჩევლის წინაშე და მისმა გამოუცდელობამაც თავი იჩინა. ამომრჩევლები ბურჯანაძეს ეკითხებოდნენ: თუ თქვენ აგირჩევთ, შუქი გვექნება? გზებს დააგებთ? პენსია გაიზრდება? ნინო პასუხობდა, რომ ეს აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა და პარლამენტი ამ საკითხებს ვერ გადაწყვეტდა. მახსოვს, ვანო მერაბიშვილი თავისი მსტოვრებისგან გებულობდა თუ რა ილაპარაკა ბურჯანაძემ ამა თუ იმ შეხვედრაზე და ნინოს ამ პასუხზე ხშირად ქირქილებდა.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „რუსთავი 2“-მა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ეგზიტპოლი ჩაატარა. ეგზიტპოლი ჩავატარეთ 2001 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების

დროსაც და მაყურებელი მიეჩვია, რომ არჩევნების წინასწარ მონაცემს „რუსთავი 2“ის მეშვეობით უკვე საღამოს 8 საათზე შეიტყობდა.

ეგზიტპოლს ვატარებდით 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც. რამდენიმე არასამთავრობო საერთაშორისო ფონდთან ერთად, სადაც ძირითადი დონორი ჩვენ ვიყავით, დავიქირავეთ ამერიკული “გლობალ სტრატეგი გრუპ”-ი. ამ ორგანიზაციას ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა, თანაც ამერიკელები შემთხვევით არ აგვირჩევია, მათ მონაცემებს საზოგადოება ყველაზე მეტად ენდობოდა. პარალელურად ხელისუფლებამაც დაიქირავა ეგზიტპლისთვის რუსული ორგანიზაცია “ნიკოლო მ“.

არჩევნების მოსალოდნელი შედეგი მაშფოთებდა, თუმცა მამშვიდებდა წინასაარჩევნო კვლევები, სადაც ჟვანია დამაჯერებლად ლიდერობდა. მართალია მას პატარკაციშვილი აფინანსებდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ზურა ლიბერალურ ღირებულებებს არანაირ ფასად არ შეელეოდა და ამას უკავშირდებოდა ჩემი იმედიც. პატარკაციშვილი ჩემთვის საშიში გახდებოდა თუ არჩევნებში ზურა დამარცხდებოდა. ვნატრობდი, რომ სახელისუფლებო ბლოკს და ბადრი პატარკაციშვილს მარცხი განეცადათ, ვინაიდან ტელეკომპანიის გადარჩენისთვის ეს ერთადერთ გზად მეჩვენებოდა.

არჩევნებამდე ერთი ალიაქოთი ატყდა ამომრჩეველთა საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. ბევრი ამომრჩეველი ამ სიებში თავის თავს ვერ პოულობდა, ზოგს დაბადების თარიღად 1800 წელი ეწერა, ხალხი აპროტესტებდა და ხელისუფლება ვერ ხსნიდა რატომ აირია სიები.

მოგვიანებით ხელისუფლების მხარდამჭერებმა ამ სიების არევა მე დამაბრალეს. მსგავსი აბსურდი არასდროს მომისმენია, ამიტომ ეს სერიოზულად არც მიმიღია. მე რა შეხება მქონდა სიებთან? არანაირი. ამომრჩეველთა სიები შინაგან საქმეთა სამინისტროს მოამზადა კომპიუტერული ვერსიის შესაქმნელად კომპანია “აი-ფი- ეს”-ს გადასცა. იმ საანკეტო მონაცემში სადაც დაბადების თარიღი გაურკვევლად ეწერა კომპიუტერმა ავტომატურად 1800 წელი ჩაწერა, ამას გარდა მთელი კორპუსები გამორჩათ და აქ მაცხოვრებლები სიაში ვერ მოხვდნენ. ეს ყველაფერი კი მე დამაბრალეს: “რუსთავი 2“-ის დირექტორი გოჩა ქუმსიაშვილი “აი-ფი-ეს”-ში მუშაობს და ეროსის დავალებით ამომრჩეველთა სიებს ეგ აურევდაო. სრული სისულელე, ჩვენ რომ ამის მოხერხება შეგვძლებოდა, ჩემი ციხეში ჩასმა ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ, თუმცა ამაზე თავი არც არასდროს მიმართლებია, აბსურდულ ბრალდებაზე რა პასუხი უნდა გავცე?

არეულმა სიებმა ყველაზე მეტად მე დამაზარალა, ვინაიდან ამით უამრავი ხმა დაკარგა იმ ძალამ, რომლის გამარჯვებაც ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ამის თაობაზე თანმიმდევრულად მოგითხრობთ.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სახელმწიფო ტელევიზიამ, “იმედმა” და “მზემ” ეგზიტპოლის საწინააღმდეგო სერიოზული კამპანია წამოიწყეს. კოკა ყანდიაშვილმა ამ თემაზე რამდენიმე გადაცემა მოაწყო და დასკვნა ერთი გახლდათ: რა საჭიროა ეს ეგზიტპოლი, ის ხომ არაზუსტ მონაცემებს გულისხმობს და ვერსად ვერ გაამართლა. ესეც მიზანმიმართული სისულელე. რეალურად კი მათ ეგზიტპოლის იდეის გაკოტრება სურდათ, რომ შემდეგ მათთვის სასურველი პროცენტები ჩამოერიგებინათ საარჩევნო სუბიექტებისთვის, რასაც არჩევნებთან არაფერი საერთო ექნებოდათ და ეს მაჩვენებლები საზოგადოებას უტყუარ ჭეშმარიტებად უნდა მიეღო. ეგზიტპოლის შედეგი კი წინასწარვე ბავშვურ გართობად გამოაცხადეს.

ვფიქრობ ხელისუფლებამ სამიზნე სწორად შეარჩია; ვინაიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ პოლიტიკური სუბიექტები უკმაყოფილებას ყოველთვის გამოთქვამდნენ და გამარჯვებული ძალა ამას იოლად აბათილებდა: რახან დამარცხდა შედეგიც ამიტომ არ მოეწონათო და საზოგადოებაც ამას

მტკივნეულად არ აღიქვამდა. „რუსთავი-2“ პოლიტიკური პარტია არ გახლდათ, თავისუფალი მედია იყო და მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საზოგადოება ენდობოდა. მას ის სანდოობა ჰქონდა, რასაც პოლიტიკოსების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეს სანდოობა ობიექტურად ვერ ექნებოდა, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდნენ.

ჩემი აზრით, ხელისუფლებას აფიქრებდა, რომ ჩვენ ეგზიტპოლის ჩასატარებლად ამერიკული გავლენიანი ორგანიზაცია მოვიწვიეთ, რომელთა კომპეტენტურობასა და წესიერებაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა და ამის გასაბათილებლად თავად ეგზიტპოლის იდეას დაუწყეს დაკნინება. ჩემთვის ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ მმართველ ჯგუფს პატიოსანი არჩევნების ჩატარება არ სურდა. ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც გაყალბების შემთხვევაში დისონანსის შეტანა შეეძლო - ჩვენი ტელეკომპანია და ეგზიტპოლი გახლდათ.

(გაგრძლება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „მაგიდის ქვეშ გივი თარგამაძეც იმალებოდა“

http://for.ge/view.php?for_id=40594&cat=3

For.ge

2015-05-21 21:54:03

For.ge აგრძლებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას

არჩევნებამდე პოლიტიკურმა ტემპერატურამ მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია. ხელისუფლების მომხრეები სასტიკად სცემდნენ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, ნაძალადევში მაჟორიტარი კანდიდატი დაჭრეს, ვიღაცა მდინარე ყვირილაში გადააგდეს, ლევან პირველმა „რუსთავი 2“-ის ოფისში დებატების შემდეგ, ნაციონალ ბესო ჯუღელს თავი გაუხეთქა, უკვე ვთქვი რაც დაემართათ აჭარაში ჩასულ სააკაშვილის მომხრეებს. იმავე ლევან პირველმა რესტორან ძველ სახლში გივი თარგამაძეს სცემა და შემდეგ იარაღი მოუმარჯვა, რა დროსაც თარგამაძე სააკაშვილის მსგავსად მაგიდის ქვეშ შეძვრა და თავი ასე გადაირჩინა. ამ ამბებს ირონიით სულაც არ ვიხსენებ, მოგვიანებით ხელისუფლებაში მოსულმა სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმაც, ასევე წარმატებით განაგრძეს ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა სასტიკად სცემა და არა მარტო არჩევნების დროს. ხაშურელი დეპუტატი გელაშვილი ამის კარგი მაგალითია.

სახელისუფლებო ბლოკს ოპოზიციონერთა რუსეთის აგენტობისთვის დადანაშაულებაც არ დავიწყებია და პრეს-სპიკერმა ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ ნინო ბურჯანაძეს ბრალი დასდო: იგორ გიორგაძესთან აქვს კავშირი და რაღა თქმა უნდა, ბურჯანაძე რუსეთის აგენტიაო. ჰოი, საკვირველებავ! ამის შემდეგ, თავად სარიშვილი-ჭანტურია გიორგაძის პარტიას სათავეში ჩაუდგა და დღემდე უშიშროების ყოფილი და ამჟამად ძებნილი მინისტრის პოლიტიკურ პარტიას ხელმძღვანელობს. მისი შეფი კი კარგა ხანია მოსკოვში ცხოვრობს.

მშვიდად არც არჩევნების დღეს ჩაუვლია, ჩვენი კორესპოდენტები თბილისსა თუ რეგიონებში დიდი რისკის ხარჯზე აფიქსირებდნენ ყველა უკანონობას, ეს იქნებოდა ე.წ „კარუსელი“ თუ სხვა უმსგავსობა. რუსთავში მაკა ფანქველაშვილმა გადაიღი საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც საარჩევნო ყუთს სადღაც მიაცუნცულებდა, რომ ყუთი კარგად გაეტენა მმართველი პარტიის სასარგებლოდ შემოხაზული ბიულეტენებით.

ამ დარღვევების გაშუქების გამო, ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მათმა მხარდამჭერმა ინტელიგენციამ, როგორადაც თვის თავს უწოდებდა შევარდნაძისადმი მაამებლურად განწყობილი ელიტა, ჩვენ ოპოზიციურ ტელეკომპანიად, ანუ მხარედ გამოგვაცხადეს.

ჩვენ პატიოსნად ვაშუქებდით უკანონობის ამსახველ ვიდეომასალას და ნამდვილად არ მიფიქრია მხარე ვიყავი თუ ჰორიზონტი. მთავარია, არავის აეჭვებდა თავად გადაღებული ვიდეომასალის უტყუარობა, თავისუფალი მედია საშუალება ვიყავით და მოპოვებულ მასალას მაყურებელს შეულამაზებლად ვაჩვენებდით და თუკი ვინმეს მხარეზე ვიყავით, ვიყავით ხალხის, საზოგადოების მხარეს, რომელიც სიმართლის შესატყობად წლების მანძილზე შემოგვყურებდა. სიუჟეტებში ცუდად ჩნდებოდა ის ხალხი, ვინც ამ უკანონობას ჩადიოდა და ეს სახელისუფლებო პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერები იყვნენ, ვინაიდან გაყალბების საშუალება მხოლოდ მათ გააჩნდათ. ოპოზიციონრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ და ამ გაჭირვებულებს რისი დაშავების თავი ჰქონდათ.

მოკლედ, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებმა ძალიან - ქართულად ჩაიარა. გაიტაცეს ყუთები, ურტყეს ერთმანეთს, და სიახლე აღმოჩნდა ის, რომ უამრავმა ადამიანმა ვერ მისცა ხმა, ვინაიდან საარჩევნო სიებში არ აღმოჩნდნენ. ეს ძირითადად დედაქალაქში ხდებოდა, თუ რატომ ამაზეც ვისაუბრებ.

ჩემსა და „გლობალ სტრატეჯი გრუპს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ეგზიტპოლის შედეგი არჩევნების დამთავრებისთანავე, ანუ 8 საათისათვის უნდა გადმოეცათ. ამ საათს მოუთმენლად ველოდებოდი. არჩევნების დასრულებამდე ერთი საათით ადრე მობილურ ტელეფონზე ზურა ჟვანიას გუნდის აქტიურმა წევრმა ხათუნა გოგორიშვილმა დამირეკა და მკითხა:

- ეროსი იცი შედეგები?

- საიდან უნდა ვიცოდე შედეგები, ჯერ ეგზიტპოლიც არ მიმიღია.

გოგორიშვილი მიხსნის, რომ მარცხდებიან, ვინაიდან ზურას მომხრეები საარჩევნო სიებიდან ამოუღიათ. ძალიან მეწყინა, ეს მოულოდნელი ინფორმაცია იყო, მაგრამ რას ვუშველიდი.

8 საათამდე ცოტა ხნით ადრე, თავად ზურა ჟვანიამ დამირეკა. ზურა მიხსნის, რომ არჩევნები გაუყალბეს და თუ მე ეგზიტპოლის შედეგს გამოვაქვეყნებ სწორი არ იქნება. დიდი კამათის შემდეგ, მას ვუთხარი, რომ მე აუცილებლად გამოვაქვეყნებდი ეგზიტპოლის შედეგს, ვინაიდან ეს „რუსთავი 2“-ის რეპუტაციის და ღირსების საკითხი იყო.

„ბოლო ხუთი წლის მანძილზე ხალხი მიეჩვია, რომ ჩვენ ეგზიტპოლის შედეგს ვაქვეყნებთ და რა ვუთხრა, რომ ჟვანიამ მთხოვა და ამიტომ არ გამოვაქვეყნე? მამაზეციერმაც რომ მთხოვოს, მე ამას ვერ გავაკეთებ“, - ვხაოდი ტელეფონში.

- ახლა მე ვეტყვი ნანა დევდარიანს, რომ ქუთაისში ორი უბანი ღამის 12 საათამდე არ დახუროს და იქნებ ამის მერე გაგეშვა ეგზიტპოლის შედეგი?“ - მეკითხება ჟვანია. ქუთაისში მართლა რაღაც ინციდენტები მოხდა, მგონი იქაც საარჩევნო ყუთები გაიტაცეს. ეს წესად ჰქონდათ, სადაც ხელისუფლება ვერ იმარჯვებდა იმ უბნებზე შუქებს აქრობდნენ და მერე საარჩევნო ყუთებს იტაცებდნენ.

- არა მეთქი ზურა, როგორც წესი და რიგია ისე მოვიქცევი, როცა მექნება შედეგები მაშინვე ვაქვეყნებ- მეთქი.

ამ პასუხმა ჟვანია ძალიან გააბრაზა და უცერემონიოდ გამითიშა ტელეფონი. ამასობაში 8 საათიც გახდა

და მართლაც ქუთაისის ორი უბნის გარდა არჩევნები ყველგან დასრულდა. „გლობალ სტრატეგი გრუპ“-მა ეგზიტპოლის შედეგი არ გადმომიგზავნა. დავიძაბე. დავურეკე სკოტ ელდერს, ამ ჯგუფის ხელმძღვანელს და მეუბნება, რომ შედეგებს ამუშავებენ და ჯერ მზად არ აქვს. გახდა 9 საათი შედეგი კიდევ არ მოიტანეს. უკვე ძალიან გავბრაზდი, რადგან „კურიერშიც“ ვერ ვაჩვენებდით წინასწარ შედეგს და უკვე ელდერთან საჩხუბრად წასასვლელად გავემზადე, რომ ამ დროს გიგა ბოკერია მესტუმრა. სააკაშვილს ყველა მხრიდან ეუბნებიან, რომ არჩევნებს იგებს, მაგრამ მან არ იცოდა მე გამოვაქვეყნებდი თუ არა ეგზიტპოლის შედეგს. ბოკერია ამის გასაგებად გამომიგზავნა.

- არა გრცხვენია გიგა, რას ჰქვია არ ვაქვეყნებ, რა წუთშიც შედეგებს მომიტანენ, მაშინვე ვაჩვენებ - ვეუბნები ბოკერიას. ბოკერია გაიბადრა და გახარებულმა ჩემივე კაბინეტიდან დაურეკა სააკაშვილს და უთხრა, რომ - „ეროსი ეგზიტპოლის შედეგს აჩვენებს“.

ამ დროისათვის არც ერთი ტელეკომპანია ეგზიტპოლის არანაირ შედეგს არ აჩვენებდა, არადა, როგორც უკვე ვთქვი, ხელისუფლებამ პატარკაციშვილის ფულით „ნიკოლო მ“ დაიქირავა.

„თუკი ეგზიტპოლს ვერ გავუშვებ ვერავინ გაიგებს, რომ შევარდნაძე დამარცხდა“ - გამიელვა თავში და ეს მართლაც ასე იქნებოდა. რეალურ ანუ ხელისუფლებისთვის არასასურველ შედეგს არც ცენტრალური საარჩევნო კომისია და არც ეს „ნიკოლო მ“ არ გამოაქვეყნებდა და განრისხებული მივვარდი ჩემს მიერ დაქირავებული „გლობალ სტრატეგი გრუპი“-ს ოფისში. - ფული გადაგიხადე? გადაგიხადე. შევთანხმდით, რომ 8 საათზე შედეგებს მომცემდი? შევთანხმდით. მაშინ მომეცი შედეგი, ხომ ხედავ 10 საათი ხდება? - ვეუბნები სკოტს.

ეს დაბნეულია, არ იცის რა ქნას და მეუბნება, რომ მისი სათაო ოფისიდან დაურეკეს, რომ ეგზიტპოლის შედეგი არ გამოაქვეყნოს. გავგიჟდი - რა სათაო ოფისი? ხო არ გადაირიეთ, შედეგები მომეცით, - უკვე მკაცრად ვითხოვ კუთვნილს. ეჭვი გამიჩნდა, რომ ჟვანიამ დარეკა ამათ სათაო ოფისში და ახლა მათ თავისებურად აუხსნა, რომ ამ ეგზიტპოლის გამოქვეყნება არ შეიძლება, იმიტომ რომ არჩევნები გაყალბდა და ეს მათ რეპუტაციაზე ცუდად იმოქმედებს.

10 საათზე ეგზიტპოლის შედეგი ხელთ მქონდა, სკოტ ელდერი დამნებდა, ვინაიდან ნახა, რომ სხვა გამოსავალს ნამდვილად არ დავუტოვებდი. თერთმეტის რაღაც წუთებზე ეგზიტპოლის შედეგი მაყურებელს ვაჩვენე:

„ნაციონალური მოძრაობა“ - 20,8; „ახალი საქართველოსთვის“ - 12,9; “ლეიბორისტები”-12,8; “აღორძინება”- 9.7; “ბურჯანაძე- დემოკრატები”- 7,6; “ახალი მემარჯვენეები”- 7,0

ამ შედეგის ნახვის შემდეგ გახარებული სააკაშვილი მომხრეებთან ერთად ქუჩაში გავარდა და გამარჯვებას ზეიმობდა. ამასთან, გაიძახოდა, რომ ძალიან წუხდა, რომ „ბურჯანაძე- დემოკრატებმა“ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს?! თუმცა ეგზიტპოლი ამას არ უჩვენებდა, ზურა მეხუთე ადგილზე გავიდა და დიდი რისკი იყო, რომ ბარიერს მიღმა დარჩენილიყო, თუმცა სააკაშვილი მაინც ავად წინასწარმეტყველებდა. ზურა დეპრესიაში ჩავარდა. მას ეჭვი გაუჩნდა, რომ სააკაშვილი სახელმწიფო მინისტრს გაურიგდა და ესენი მის პარლამენტს გარეთ დატოვებას ცდილობდნენ.

მართლაც ყველაზე მეტად საარჩევნო სიები აირია იმ უბნებში სადაც ზურას მყარი ელექტორატი ჰყავდა: მთაწმინდაზე, ვაკეში, საბურთალოზე, დიდუბეში, ჩუღურეთში. მას ქალაქის ცენტრალურ უბნებში ბევრმა მომხრემ ხმა ვერ მისცა, დაიჩაგრნენ მისი დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატებიც.

სამ ნოემბერს მთაწმინდის საარჩევნო უბანზე “ბურჯანაძე- დემოკრატების” მაჟორიტარმა კანდიდატმა

გიგი წერეთელმა დაიჩივლა, რომ მისი მომხრეები არჩევნებამდე ერთი დღით ადრე საარჩევნო სიებიდან ამოიღეს და უამრავმა მხარდამჭერმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო. საპირისპიროდ, კი მთაწმინდის ოლქს სამთავრობო დაცვის ორი ათას კაციანი კონტიგენტი მიაწერეს და მათმა უმრავლესობამ ზემდგომთა ბრძანებით, ხმა სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატს თბილისის ყოფილ პრემიერს ზურა ბიბილეიშვილს მისცა.

“ მთაწმინდა ირჩევს ნაღდ მთაწმინდელს,”- გამოეპასუხა წერეთელს ბიბილეიშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი - გოგა ხაინდრავა, რომელიც საპროტესტო ღონისძიებებზე 15 ნოემბერს გამოჩნდა. რევოლუციამდე სამი დღით ადრე, ახალგაზრდა მწერლებთან ერთად უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა და განაცხადა - კიი, აბა, ამ უსინდისო ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბაო. ვითომ თავად არ ხელმძღვანელობდა იმ კანდიდატის საარჩევნო შტაბს, რომელმაც გაყალბებული ხმებითაც ვერ მიაღწია სრულ გამარჯვებას და მეორე ტურში გავიდა. მეორე ტურში რეალურად გია თორთლაძე გადიოდა, მაგრამ ბიბილეიშვილმა ის უბნები გააუქმებინა, სადაც თორთლაძე ლიდერობდა. რევოლუციურ მთავრობაში ხაინდრავა კონფლიქტების დარეგულირების მინისტრი გახდა. თუ რევოლუცია დამარცხდებოდა, ამაგს არც შევარდნაძის კარზე დაუკარგავდნენ.

3 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც რაღა თქმა უნდა, ეგზიტპოლის შედეგებისგან სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ განსხვავდებოდა:

“ნაციონალური მოძრაობა“ - 23,5%; “ახალი საქართველოსთვის” - 24,3%; “ლეიბორისტები” - 14,7%; “აღორძინება”- 8,1%; “ბურჯანაძე- დემოკრატები”- 8,8%; “ახალი მემარჯვენეები” - 6,7%; “მრეწველები” – 7%.

ამ შედეგმა სააკაშვილი გაახელა და უმალვე საპროტესტო აქციები წამოიწყო. ზურას დიდად ეიმედებოდა, რომ არჩევნებს მოიგებდა და შედეგად მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, სათუო გახდა საერთოდ გადალახავდა თუ არა საარჩევნო ბარიერს. ის დეპრესიაში ჩავარდა და ვაშლიჯვრის ოფისში გამოიკეტა.

სამ ნოემბერს სააკაშვილის საპროტესტო აქციას სულ რამდენიმე ასეული კაცი დაესწრო. მიშა ითხოვდა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეალური შედეგი გამოექვეყნებინა და მისი გამარჯვება ეღიარებინა, ისე როგორც ამას ჩვენი ეგზიტპოლი აჩვენებდა.

მეეჭვებოდა, რომ მარტო სააკაშვილი რაიმე შედეგს მიაღწევდა, ის არ იყო დედაქალაქში პოპულარული და თბილისის მოსახლეობის საპროტესტოდ მოსამართად აუცილებელი იყო - ზურა ჟვანიას გააქტიურება.

ზურას საკმარისად ვიცნობდი, მისი ხასიათიდან გამომდინარე ის აუცილებლად ძალიან უნდა გამეღიზიანებინა, რომ დეპრესია დაევიწყებინა და ამოქმედებულიყო. 2001 წლის თვითმართველობის არჩევნებში დამარცხების შემდეგ ზურა პოლიტიკიდან საერთოდ ჩამოშორებას აპირებდა და ოჯახთან ერთად ამერიკაში ლექციების წასაკითხად მიემგზავრებოდა. ნაბიჯს, რომელსაც გადავდგამდი, ზურა გარანტირებულად უნდა გაემწარებინა. ვფიქრობდი, მოცემულ მომენტში მას რა გაბრაზებდა ყველაზე მეტად და მოვიფიქრე: ვაშლიჯვრის ოფისში ზურასთან შესახვედრად - გიგა ბოკერია წავიყვანე. ჯერ ისე ეზიზღებოდა ეს ბოკერია და ხარს რომ წითელ ნაჭერს აუფრიალებ, ზურაზე ისე იმოქმედა - გამარჯვებული ბოკერიას დანახვამ. კაბინეტში შესვლისთანავე მეცა - შენ დაღუპე ყველაფერი, რაც ხდება სულ შენი ბრალიაო და ამისთვის მლანძღა და მთათხა. გაბრაზდა.

- ზურა ფანჯარასთან მოდი, რაღაც უნდა გაჩვენო, - ვეუბნები მას და ზურა გაკვირვებული მოვიდა.

- ხომ ხედავ ახლა შენი ოფისის ეზოში რამდენი მანქანა დგას? თუ ხვალიდანვე ქუჩაში არ გამოხვალ ერთი

კვირის შემდეგ აქ მხოლოდ შენი მანქანა იდგება.

ჟვანიამ ჩემზე უკეთ იცოდა, რომ დამარცხებულ ზურას თანამებრძოლები მიატოვებდნენ, მაგრამ ბოკერიას თანდასწრებით რომ ამას ვეუბნებოდი, ეს არჩევნებში მარცხზე მეტად აღელვებდა. მან კიდევ იბუზღუნა, იბუზღუნა და ჩვენ წამოვედით.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „თავად ჩავიხერგე უკან დასახევი გზა“

http://for.ge/view.php?for_id=40696&cat=3

For.ge

2015-05-29 00:13:18

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარისვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

4 ნოემბერს დილით ირაკლი ჩუბინიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ თქვენი წასვლის შემდეგ ზურამ 2 საათი გამოიძინა, მერე ადგა და ყველას გამოგვიცხადა: მოემზადეთ, ხვალიდან ისევ ვიქოქებითო და მართლაც 4 ნოემბერს ჟვანიამ ფილარმონიაში მოხრეები შეკრიბა და არჩევნების შედეგები გააპროტესტა. ჟვანია სააკაშვილს შეუერთდა. მიშა ითხოვდა, რომ გამარჯვებულად ეღიარებინათ, ჟვანია აცხადებდა, რომ არჩევნები გაყალბდა.

5 ნოემბერს ცეესკო- ახალი მონაცემები გამოაქვეყნა:

“ნაციონალური მოძრაობა - 22,0; “ახალი საქართველოსთვის”- 24,7; “ლეიბორისტები” - 13,5; “აღორძინება” - 6,5; “ბურჯანაძე-დემოკრატები” - 8,85; “ახალი მემარჯვენეები” - 7,76; “მრეწველები” - 6

5 ნოემბერს სახელმწიფო კანცელარიასთან გამართულ საპროტესტო მიტინგზე ანტიტერორისტული ცენტრის უფროსმა, ლევან კენჭაძემ ნანა ლეჟავას ვიდეოკამერა დაუმტვრია. ხელისუფლებას მხოლოდ „რუსთავი 2“ აღიზიანებდა.ს

6 ნოემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აჭარიდან საარჩევნო მონაცემები ჩამოიტანეს. შედეგი გაუგონარი: 284 ათასი ამომრჩევლიდან “აღორძინებამ” 270 ათასი ხმა მიიღო. ამასთან, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 50 ათასით გაუზრდიათ. 6 ნოემბერს ასლანი უკვე ფავორიტი გახდა და შესაბამისად პარლამენტის თავმჯდომარეობაზე პრეტენზიაც გაუჩნდა. ჯერ პარლამენტის თავმჟდომარის პოსტი, ხოლო შემდე პრეზიდენტობაც - ასლანსაც ამის სურვილი ჰქონდა. აჭარის ხმების გათვალისწინებით ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

“ნაციონალური მოძრაობა - 18,5; “ახალი საქართველოსთვის” - 20,2; “ლეიბორისტები” - 11,7; “აღორძინება” - 21,0; “ბურჯანაძე- დემოკრატები” - 7,76; “ახალი მემარჯვენეები” - 6,5; “მრეწველები”- 5

შედეგების გამოქვეყნების შემდეგ უკმაყოფილოები დარჩნენ შალვა ნათელაშვილი და ირინა სარიშვილი-ჭანტურია. სარიშვილმა-ჭანტურიამ შევარდნაძეს ულტიმატუმი წაუყენა - ჟვანია ხმებს აყალბებს და თუ იგი ბარიერს მიღმა არ დარჩება მაშინ მე საარჩევნო სიიდან ამომიღეთო. შალვა ნათელაშვილმაც თქვა, რომ უცხოეთში ხმები ჟვანიას სასარგებლოდ ყალბდება და თუ ასე გაგრძელდა, მე პარლამენტში შესვლაზე უარს ვაცხადებო. შალვას, რა თქმა უნდა, აწყობდა, რომ ცოტა პარტიას გადაელახათ ბარიერი, ასე ხომ

მეტ მანდატს მიიღებდა, რაც მისთვის მეტ პოლიტიკურ და ფინანსურ სარგებელს ნიშნავდა. არც ერთს არ გაუპროტესტებია ის ფაქტი, რომ აჭარაში არჩევნები საშინლად გაყალბდა. 6 ნოემბერს სააკაშვილის, სარიშვილის და ნათელაშვილის პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა: ჟვანია პარლამენტში არ უნდა შესულიყო. ამით სააკაშვილი პოსტშევარდაძისეული პერიოდისთვის საპრეზიდენტო მარათონში ყველაზე საშიში მეტოქის გამოთიშვას ესწრაფვოდა.

არც ზურა იჯდა გულხელდაკრეფილი და მას უცხოეთიდან ხმები ნამდვილად ჩამოუვიდა, ისევე როგორც "ახლებს" და "მრეწველებს". თუმცა, ასლანის შედეგის გადასაფარად იქაც სახელისუფლებო ბლოკი ლიდერობდა. ემიგრანტები, რომლებიც შევარდნაძის ხელისუფლებამ ლუკმა პურის საშოვნელად აიძულა, რომ სხვა ქვეყნებში გადახვეწილიყვნენ, ვითომდა შევარდნაძეს აძლევდნენ ხმას. მოსკოვში თითო ამომრჩეველი 8 წამში ასწრებდა ხმის მიცემას, ეს შედეგი ქვემო ქართლში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სააკაშვილმაც გაიმეორა. სადღაც სვეტლოგრადში, რომელსაც შესაძლოა რუკაზეც ვერ იპოვით, ქართველ ემიგრანტებს არჩევნებზე დიდად უაქტიურიათ და ხმები მრეწველების, ახლების და შევარდნაძის სასარგებლოდ მიუციათ. თუმცა გადამოწმების შემდეგ საარჩევნო უბნის მისამართზე სუპერმარკეტი აღმოჩნდა, რომელიც ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძეს ეკუთვნოდა. ნოვოსიბირსკში საარჩევნო უბანი ვითომდაც ვიღაცის კერძო კომუნალურ ბინაში მოუწყვიათ.

არჩევნების გაყალბება სახეზე გახლდათ. ჩვენ არჩევნების შემდეგ "კმარას" კლიპებს მუდმივად ეთერში ვატრიალებდით. ეს კლიპები ალექსანდრე ლომაიამ მოამზადებინა და საზოგადოებას არჩევნების გამყალბებლებს ვუჩვენებდით. "ეს არ არის მისი სახე" - ისმოდა ტექსტი გამყალბებლების სახეების ფონზე.

7 ნოემბერს ოფისში ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა რაღაც გაფრთხილების წერილი გამომიგზავნა, "კმარას" ეს კლიპები აღარ აჩვენო, თორემ სასამართლოში გიჩივლებთო. ყურადღება არ მიმიქცევია, პირიქით ახალ ახალ გამყალბებლებს ვამათრახებდით.

ამასთან საღამოს დებატებზე იწვევდნენ დაპირისპირებულ მხარეებს და გამყალბებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ დებატებში, როგორც წესი, მარცხდებოდნენ. ეს საუბრები თითქმის ნონ-სტოპის რეჟიმში მუშაობდა.

ჟვანია და სააკაშვილი ცალ-ცალკე ცდილობდნენ ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგის დაფიქსირებას, თუმცა მე მათ ვუთხარი, რომ თუკი რომელიმე მათგანი ხელისუფლებასთან გარიგდებოდა, მის წინააღმდეგ „რუსთავი 2" აუცილებლად მწვავე რეაგირებას მოახდენდა. ხმებით ვაჭრობას არაფერი საერთო ჰქონდა არჩევნებთან და ამ მომენტში გამყალბებლებთან გარიგება ამორალურად მიმაჩნდა.

8 ნოემბერს დიდი საპროტესტო მანიფესტაცია გაიმართა. საღამოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა ზაზა შენგელიამ დამირეკა და მითხრა, რომ ჯორბენაძეს და ხელისუფლების სხვა პირებს ჩემთან შეხვედრა სურდათ. საღამოს მე შენგელიას სახლში მივედი, სადაც ავთო ჯორბენაძე, შევარდნაძის დაცვის უფროსი სულხან პაპაშვილი, შინაგან და უშიშროების მინისტრები დამხვდნენ. მათ აწუხებდათ ქუჩაში გამოსული ხალხი და მთხოვდნენ, რომ საპროტესტო მიტინგი პირდაპირი ეთერიდან გამომერთო.

- რა ვქნათ, ახლა რა გავაკეთოთ? - მეკითხება ჯორბენაძე.

- ავთო, მე შენ გაფრთხილებდი, გეუბნებოდი, რომ რაც მეკუთვნოდა, ის უნდა გადაგეხადა, შენ პატარკაციშვილს დაუჯერე და ჩემი ტელეკომპანიის დახურვა გადაწყვიტე. რაც მიიღე, ხომ ხედავ?

- კი, მაგრამ, ჩვენ თანახმა ვართ 5 მილიონი ახლავე გადაგიხადოთ, თუ მიტინგებს აღარ გააშუქებ და მოვლენებს ნეიტრალურ რეჟიმში გააშუქებ.

- არა, ეს საქმე აღარ გამოვა, - ვპასუხობ მე.

- აბა, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

- რა ქენით და თუ შევარდნაძე რამე სისულელეს გიბრძანებთ, გიჟის ხალათი ჩააცვით, გაკოჭეთ და დააშოშმინეთ, - ვურჩიე გამოსავალი.

არ ვიცი შევარდნაძეს რა გადასცეს, მაგრამ ამერიკის ელჩის, მაილსის შუამავლობით მეორე დღეს ბურჟანაძე, ჟვანია და სააკაშვილი შევარდნაძეს მოსალაპარაკებლად კანცელარიაში ეწვივნენ. ამაზე ძალიან გავცხარდი. მე ვითხოვდი, რომ ეს შეხვედრა ნეიტრალურ ადგილზე შემდგარიყო, ესენი მაინც კანცელარიაში ესტუმრნენ, რითაც შევარდნაძემ აჩვენა, თუ ვინ იყო ოჯახის უფროსი.

ამ შეხვედრამ ის შედეგი გამოიღო, რომ სააკაშვილმა რესპექტაბელური ჟვანია-ბურჯანაძის ფონზე კვლავ ქულები ჩაიწერა. შეხვედრიდან გამოვარდა, შევარდნაძე ჩაუშესკუა და მე მასთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვსო იძახა. შევარდნაძემ თავი მოისაწყლა, დარღვევებზე არაფერი ვიციო და ჟვანიას შეთავაზა, რომ მოდი სამუშაო ჯგუფი შევქმნათ, რომ დარღვევები აღმოვხვრათო. ეს იყო სრულიად უადგილო შეთავაზება. შევარდნაძე მოვლენებს ადექვატურად ვერ აფასებდა და რამდენიმე დღის შემდეგ ეს ყველასთვის თვალნათელი გახდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ზურა მომიტინგეებთან ჩავიდა და განაცხადა, რომ შევარდნაძის დანიშნული პარლამენტი ვერ უნდა შეიკრიბოსო. ამის პასუხად ნათელაშვილი გაიძახოდა, რომ სოროსი, რაღაც სომხური ლობი და მადლენ ოლბრაიტი რევოლუციას აწყობენო. შემდეგში მხოლოდ სომხურ ლობს და სოროსს ახსენებდა, ოლბრაიტი დაივიწყა.

სააკაშვილი კი ახალ საპარლამენტო არჩევნებს თანხმდებოდა, თუ ერთდროულად საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩატარდებოდა. მან იგრძნო, რომ საპროტესტო გამოსვლების შემდეგ მისი რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა.

10 ნოემბერს ცსკო-მ ახალი მონაცემი დააფიქსირა, სადაც უკვე შევარდნაძის საარჩევნო ბლოკმა ასლანს გადაასწრო:

“ნაციონალური მოძრაობა - 18,1; “ახალი საქართველოსთვის” - 20,6; “ლეიბორისტები” - 12,2; “აღორძინება” - 18,8; “ბურჯანაძე- დემოკრატები”- 8,81; “ახალი მემარჯვენეები” - 6,7; “მრეწველები”- 4,9

10 ნოემბერს სააკაშვილის და ჟვანიას მომხრეებმა პარლამენტის წინ შიმშილობა გამოაცხადეს. “შევარდნაძემ აღიაროს არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება ან გადადგეს,” - მოითხოვდნენ მოშიმშილეები.

10 ნოემბერს “მრეწველებმა”, “ლეიბორისტებმა” და “აღორძინების” წარმომადგენლებმა ერთობლივი პრესკონფერენცია მოიწვიეს და გამოაცხადეს, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს ინტერვიუებს აღარ მისცემდნენ და აღარც თავთავიანთ ოფისებში შეუშვებდნენ. ცოტნე ბაკურიამ გამოაცხადა, რომ ჩვენ დანაშაულებრივი დაჯგუფება ვიყავით და მან იცოდა, რომ ჩვენ ორი გლობალური სექტა გვაფინასებდა, “ლეიბორისტები” ამტკიცებდნენ, რომ თურმე ჟვანიამ 14 მილიონ დოლარად მოგვისყიდა. სრული

იდიოტიზმი.

11 ნოემბერს შევარდნაძემ ბადრი პატარკაციშვილს გადასცა ჯილდო - “სახალხო აღიარებისთვის.”

11 ნოემბერს ჯორბენაძის მითითებით სამგორის რაიონის სასამართლომ იმ საარჩევნო უბნების შედეგები გააუქმა, სადაც “ბურჯანაძე-დემოკრატების” მაჟორიტარი კანდიდატი მიხეილ მაჭავარიანი ლიდერობდა. ჟვანიამ და მაჭავარიანმა ერთი ამბავი ატეხეს, მანდატს გვართმევენო, თუმცა მიტინგებზე აცხადებდნენ, რომ უკანონოდ არჩეულ პარლამენტში არ შევიდოდნენ.

12 ნოემბერს ზაზა შენგელიამ კვლავ დამირეკა და მთხოვა, კიდევ ერთხელ შევხვედროდი ჯორბენაძეს და ძალოვან მინისტრებს. ეს შეხვედრაც შენგელიას ბინაზე შედგა და პირველი შეხვედრის მსგავსად უშედეგოდ დამთავრდა. ის თანხა, რომელსაც არჩევნების წინ ჯორბენაძეს ვთხოვდი, მე საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხელისუფლების და ბადრის წინააღმდეგ საბრძოლველად, საკუთარი ტელეკომპანიის გადასარჩენად მჭირდებოდა და არა გასამდიდრებლად. რის სანაცვლოდ ამეღო ფული, რომ მშვიდად მეცქირა გამარჯვებული ჯორბენაძე-პატარკაციშვილისთვის? ესენი ხომ პირველივე ხელსაყრელ მომენტში სასტიკად გამისწორდებოდნენ? ამიტომ იმ მილიონების აღებაზე უარი ვთქვი და კვლავ პირდაპირ ეთერში ვაჩვენებდი საპროტესტო აქციებს, ყოველ საღამოს დებატები იმართებოდა და “კმარას” რეკლამასაც ვაჩვენებდი. ამ დროს პირველად ვაჩვენე დოკუმენტური ფილმი სერბულ რევოლუციაზე, სადაც რეგიონებიდან ჩამოსულ ხალხთან ერთად ბელგრადელებმა მილოშევიჩი დაამხეს.

12 ნოემბერს შუა ღამით ჯორბენაძე და სააკაშვილი საიდუმლოდ შეხვდნენ ერთმანეთს. სააკაშვილი, რომელიც ორი დღის წინ აცხადებდა, რომ შევარდნაძესთან მოლაპარაკებას წყვეტდა, ჯორბენაძეს ეთათბირებოდა. მე მათი შეხვედრის თაობაზე, ტელევიზიით ამერიკის ელჩისგან შუადღისით შევიტყვე. სააკაშვილი მანამდე გატრუნული იყო, ვითომ არაფერი მომხდარა. მაილსი წინ და უკან დარბოდა, რომ როგორმე ოპოზიციას ხელისუფლებასთან საერთო ენა გამოენახა და “პროცესები კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არ გასულიყო”.

სააკაშვილი უხერხულ დღეში ჩავარდა, შესაძლოა არ ეგონა, თუ მაილსი ჯორბენაძესთან მის ღამეულ შეხვედრას არ გაახმაურებდა, თუმცა ფაქტის წინაშე დადგა და, მაილსის თხოვნით შევხდითო - თავს იმართლებდა. თავის მხრივ ჯორბენაძე ამტკიცებდა, რომ სააკაშვილთან პრობლემის გადაჭრის გზებს განიხილავდა. ზურა თამაშგარე დატოვეს. 2009 წელს ჟურნალისტებთან 4-საათიანი შეხვედრისას, სააკაშვილმა ჯორბენაძესთან შეხვედრის მიზეზი დაასახელა: ის დამატებით სამ სადეპუტატო მანდატს ითხოვდა, 32 ადგილის ნაცვლად - 35-ს. სულ ეს იყო მისი რევოლუციონერობა. მანამდე კიდევ ჟვანია სამგორის სადეპუტატო მანდატს მისტიროდა.

ფაქტია, რომ ესენი საპარლამენტო ადგილებს ითხოვდნენ. ხელისუფლება მათ უარეს შემთხვევაში სასურველი რაოდენობის მანდატებს არ მისცემდა, მხოლოდ მე არ დავიტოვე და თავად ჩავიხერგე უკან დასახევი გზა. ჯორბენაძე სააკაშვილს ჰპირდებოდა, რომ მას გამარჯვებულად გამოაცხადებდნენ, მაგრამ “ნაციონალები” სახელისუფლებო ბლოკს 0,1 პროცენტით გაუსწრებდა. სააკაშვილს ეს პირობა არ აკმაყოფილებდა, მას პარლამენტში მეტი კანდიდატის გაყვანა სურდა. ჯორბენაძეს და სააკაშვილს ფარული ალიანსი ჰქონდათ. დაუკვირდით, რევოლუციის შემდეგ სააკაშვილმა შევარდნაძის ჩინოვნიკებს ტყავი გააძრო, ფულები გადაახდევინა, ციხის კედლები ახეხინა და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, რომელიც შევარდნაძის საარჩევნო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა ამ ეგზეკუციას გადაურჩა. მას არც კაპიკი გადაუხდია და არც მის ბიზნესს შეხებია ვინმე. ამიტომ, ზურას ეჭვი, რომ სააკაშვილი ჯორბენაძესთან ერთად ცდილობდა, მის პარლამენტს გარეთ დატოვებას, სავსებით ლოგიკურია.

13 ნოემბერს, ანუ მეორე დღეს როცა ჯორბენაძე მოლაპარაკებიდან გაწბილებული გავუშვი, ცსკო-მ „რუსთავი 2“-ს აკრედიტაცია გაუუქმა.

14 ნოემბერს ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა არმაზ თავაძემ “კმარას” რეკლამის გაშვების გამო ვაკის სასამართლოში გვიჩივლა.

14 ნოემბერს ახალმა მემარჯვენეებმა გამოაცხადეს რომ ისინი პარლამენტში შევიდოდნენ. ამ დროს ცსკო-ს მონაცემი შემდეგია:

“ნაციონალური მოძრაობა - 17,5; “ახალი საქართველოსთვის”- 20,7; “ლეიბორისტები” – 12; “აღორძინება” - 18,5; “ბურჯანაძე- დემოკრატები”- 8,81; “ახალი მემარჯვენეები” - 6,7; “მრეწველები”- 5,18

სად უნდა შესულიყვნენ “ახლები”? ამ მონაცემებით ხომ ბარიერს ვერ ლახავდნენ? მაგრამ მათ ბადრის იმედი ჰქონდათ, რომ 7-პროცენტიან ბარიერს ის გადაალახვინებდა. მე ამ მომენტით ვისარგებლე და მამუკა ხერხეულიძის სახლში ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეებს და დათო გამყრელიძეს შევხვდი. მათ ვურჩევდი, რომ ჟვანია-სააკაშვილის საპროტესტო აქციას შეერთებოდნენ. გიორგი მეთანხმებოდა, მაგრამ გამყრელიძემ დაიჟინა, რომ ჟვანიასთან და სააკაშვილთან არ გაერთიანდებოდნენ და ჩემი ინიციატივა საპროტესტო აქციის გასაძლიერებლად წარუმატებლად დასრულდა.

შალვა ნათელაშვილისთვის იდეალური სურათი შეიქმნა. პარლამენტში ვერც “მრეწველები” და ვერც “ახლები” ხვდებოდნენ, თუმცა “ბურჯანაძე-დემოკრატებზე” მიუთითებდა, რომ საარჩევნო ბარიერი ვერც მათ გადალახეს. 14 ნოემბერს შალვა აცხადებდა, რომ შევარდნაძემ სააკაშვილი გამარჯვებულად უნდა აღიაროსო. შალვას სურდა, რომ სიტუაცია ჩამცხრალიყო, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, უკვე მერამდენედ, პარლამენტს გარეთ დარჩებოდა. მისმა პარტიულმა აქტივმა ნათელაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატად გამოაცხადა. ისიც, საპრეზიდენტო სავარძელს თავისებურად უმიზნებდა.

საარჩევნო ბარიერის გადასალახად ძალიან ჯახირობდნენ “მრეწველები,” მათ საზღვარგარეთიდან 20 ათასი ხმა დაუმატეს, მაგრამ ასლან აბაშიძემ და ლევან მამალაძემ იმდენად გაბერეს საარჩევნო სიები, რომ ბარიერის გადასალახად აღარც ეს ხმები ჰყოფნიდათ. ცსკო-მ თამასის დასაწევად ბათილი ხმების რაოდენობა სათვალავში აღარ მიიღო, რომ როგორმე არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა შეემცირებინა, რათა “ახლებს” და “მრეწველებს” პარლამენტში შესვლა მოეხერხებინათ, თუმცა ეს ნაბიჯი მხოლოდ “ახლებს” წაადგათ.

(გაგრძლება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „სააკაშვილმა შარდი პირველმა ჩააბარა“

http://for.ge/view.php?for_id=40771&cat=3

For.ge

2015-06-03 09:00:28

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

14 ნოემბერს ოპოზიციამ ქუჩაში 50 ათასი კაცი გამოიყვანა. ეს იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი აქცია, რომელიც 22 ნოემბრამდე გაიმართა.

15 ნოემბერს შიმშილობის აქცია შეწყდა და ოპოზიცია ხალხის თბილისში ჩამოსაყვანად რეგიონებში გაემართა. შევარდნაძემ კიდევ ერთი არაადექვატური გამოსავალი მონახა და ოპოზიციას რამდენიმე მეორე ხარისხოვანი საპარლამენტო კომიტეტის დათმობას დაპირდა. ცხადი, იყო, რომ შევარდნაძე სიტუაციას ვერ აკონტროლებდა, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა თუ როგორ ძულდა ხალხს მისი მმართველობა. მისი გარემოცვა კი მაამებლურად ამშვიდებდა, რომ არაფერი სერიოზული ოპოზიციის ძალისხმევას არ მოყვებოდა. ამის გამო შევარდნაძე არაფრის დათმობას არ აპირებდა. იგი ბათუმში ასლან აბაშიძეს ესტუმრა და იქ მიიღო გარანტია, რომ ასლანი მას ყველანაირ დახმარებას აღმოუჩენდა. შესაძლოა, რომ ორი „ბაბუ“ გარიგდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ასლანის კანდიდატი დაიკავებდა. ამ შეხვედრის შემდეგ ასლანის მხარდამჭერები გააქტიურდნენ და პარლამენტის წინ შეიკრიბნენ.

19 ნოემბერს „ახალი მემრჯვენეების“ მაჩვენებელი 6,9 პროცენტი გახდა. ცხადია, ხელისუფლება „ახლების“ პარლამენტში შესაყვანად ბადრის თანხაზე ევაჭრებოდა. თუმცა ცესკო-ს ეს მცდელობა ნათელაშვილმა გააპროტესტა და გამოაცხადა, რომ თუ „ახლები“ პარლამენტში შევიდოდნენ, მაშინ ლეიბორისტები პირველ სხდომას არ დაესწრებოდნენ.

19 ნოემბერს სამთავრობო თათბირზე შევარდნაძემ პირველი არხის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია გააკრიტიკა და მას უსაყვედურა, რომ ხელისუფლების ინტერესს „მზე“ და „იმედი“ უფრო იცავდნენა, ვიდრე სახელმწიფო ტელეკომპანია. ეს ტელეკომპანიები ცდილობდნენ, მიტინგები ისეთი რაკურსით გადაეღოთ, რომ მიტინგზე რაც შეიძლება ცოტა ხალხი გამოჩენილიყო, ამით ხელისუფლების დაკვეთას ახორციელებდნენ. ზაზა შედარებით, ნეიტრალურად აშუქებდა პროცესებს, თუმცა მარტო ეს არ იყო შევარდნაძის გაბრაზების მიზეზი.

საქმე ისაა, რომ ნოემბრის მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე მე ზაზა შენგელიასთან და მის მოადგილე კახა ბექაურთან ერთად სარეკლამო კომპანია „მაგი მედია“ დავაფუძნე. ეს კომპანია ფლობდა „რუსთავი 2“-სა და პირველ არხზე რეკლამის გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებას და შევარდნაძეს ენა მიუტანეს, რომ შენგელია ეროსი კიწმარიშვილის ბიზნეს-პარტნიორრიაო. ამიტომ წამოაძახა შევარდნაძემ შენგელიას, რომ ან ჩვენსკენ იყავი ან იმათკენო. ზაზა გადადგომას აპირებდა, თუმცა ტელევიზიაში ავთო ჯორბენაძემ მიაკითხა და მოთხოვა, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა, ვინაიდან სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებდა. იგივე არგუმენტით, მე შენგელიას გადადგომა მოვთხოვე და მან გადადგომა ამჯობინა.

19 ნოემბერსვე ვაკის სასამართლომ ქურდულად ჩაატარა სასამართლო სხდომა და ანტიმონოპოლიურ სამსახურს სარჩელი დაუკმაყოფილა: ჩვენ „კმარას“ რეკლამის გაშვების გამო 130 ათასი დოლარით დაგვაჯარიმა. დღეს ამ ანტიმონოპოლიური სამსახურის ყოფილი უფროსი არმაზ თავაძე სადაზღვევო კომპანია „ირაოში“ მიშა სააკაშვილის ბიზნეს პარტნიორია!

20 ნოემბერს ცსკო-მ პროპორციული წესით არჩევნების საბოლოო შედეგი გამოაქვეყნა:

„ნაციონალური მოძრაობა“ - 18,8; „ახალი საქართველოსთვის“ - 21,58; „ლეიბორისტები“ – 12;

„აღორძინება“ - 18,84; „ბურჯანაძე-დემოკრატები“- 8,75; „ახალი მემარჯვენეები“ - 7,35; „მრეწველები“- 6,17.

ამ პერიოდში ბრძოლა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტისთვის პიკს აღწევს. ბადრი პატარკაციშვილი ვაჟა ლორთქიფანიძეს, ხოლო ასლან აბაშიძე - ჯემალ გოგიტიძეს ლობირებდნენ. ჯემალ გოგიტიძემ ბადრი პატარკაციშვილისთვის რიტუალების სასახლის ჩამორთმევა და მისი ლტოლვილებისთვის გადაცემა მოითხოვა, ვითომ ძალიან აწუხებდა ამ ხალხის ბედი. მეტიც, გოგიტიძე ბადრის საქართველოდან გასახლებას ითხოვდა, ძებნილია და რუსეთს გადავცეთო. ამ ბრძოლის ერთადერთი მიზეზი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი გახლდათ, ანუ ეს პოსტი ბადრის და ასლანს პრეზიდენტად გახდომისთვის ტრამპლინად ესაჭირეობოდათ.

20 ნოემბერს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, რომლებიც ამ უკანონოდ არჩეულ პარლამენტს ვითომდა ბოიკოტს უცხადებდნენ, დეპუტატის მანდატის მისაღებად აუცილებელი სამედიცინო შემოწმება გაიარეს. როგორც ვიცი, ჟვანია-ბურჯანაძის ჯგუფიდან შარდის ანალიზი მხოლოდ ვასილ მაღლაფერიძეს არ ჩაუბარებია. გია ბარამიძე აცხადებდა, რომ შარდის ანალიზი იმის დასამტკიცებლად ჭირდებოდა, რომ ნარკომანი არ იყო. ვითომ ვინმე ადანაშაულებდა, რომ როდესმე ნარკომანი იყო. სააკაშვილმა 20 ნოემბერს პირველმა ჩააბარა შარდი და ამის შემდეგ გაემართა დასავლეთში საპროტესტო ელექტორატის თბილისში ჩამოსაყვანად.

საკაშვილი საპროტესტო აქციების ლიდერი გახდა. მან თბილისზე მარში წალენჯიხიდან დაიწყო. ჩვენ მის ყოველ გადაადგილებას პირდაპირ ეთერში ვაჩვენებდით: აი, მიშა მომხრეებთან ერთად წალენჯიხიდან გამოვიდა, შევიდა ზუგდიდში, ქუთაისში და ა.შ.

21 ნოემბერს, საღამოს, მიშა გორში ჩავიდა. გორიდან მიშას ყველაზე მეტი 200 ავტომანქანა გამოჰყვა, სადაც ჰა-ჰაა 1000 მომხრე თუ იქნებოდა. ამასთან ეს კოლონა სავალი ნაწილის ორივე ზოლზე ნელი სვლით მოძრაობდა, ის ავტომანქანებიც იძულებით შეერიათ რომლებთა მძღოლებს აქციასთან საერთო არაფერი ჰქონდათ. მცხეთასთან მოახლოებულ კოლონას ჩვენი ოპერატორი ბაქარ შარაშენიძე ჯვრის მონასტრიდან იღებდა და მართლა შთამბეჭდავი სურათი გამოვიდა: ჩაბნელებულ ტარასაზე წინ მოიწევდა სინათლის გველეშაპი. „რუსთავი 2“-ის მეშვეობით თბილისელებმა დეტალურად იცოდნენ ავტოკოლონის გადაადგილების მარშრუტი და დიდი დიღმის, დიღმის მთელი მოსახლეობა მათ დასახვედრად ქუჩებში გამოეფინა. 21 ნოემბერს მე კიდევ ერთხელ ვაჩვენე ფილმი სერბულ რევოლუციაზე, მუდმივად კადრში იყო სააკაშვილის ავტოკოლონა და მეორე დღისით დედაქალაქის ათეულ ათასობით მოსახლეობა და მთელი რეგიონები თბილისში ჩამოვიდნენ.

ჟვანიას იდეა იყო, რომ კანცელარია მანამ მოგვექცია ალყაში, ვიდრე შევარდნაძე არ გადადგებოდა. სამი დღე რომ კანცელარიაში ვერ შევა გადადგებაო - ამბობდა ზურა. მე და დვალი ვამბობდით, რომ თავისუფლების მოედნიდან პარლამენტისკენ დავძრულიყავით, რომ შევარდნაძეს სხდომა არ ჩაეტარებინა. ვისაც უნახავს ეს კადრები, იოლად დარწმუნდება, რომ ზურა მომიტინგეებთან ერთად რუსთაველის პროსპექტიდან კანცელარიისკენ მიემართებოდა. მე 8 მონიტორი მქონდა ჩართული და ყველაფერს ვხედავდი, რა ხდებოდა პარლამენტში, პარლამენტის წინ თუ ოპოზიციურ მომიტინგეებთან. ყველას დავხაოდი, რომ პარლამენტისკენ, პარლამენტისკენ წადით, სხდომა უკვე იკრიბება მეთქი.

შევარდნაძის პრობლემა ის იყო, რომ ბოლო მომენტში გამყრელიძემ პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა. სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრეც კი ის პარლამენტში არ მიდიოდა. არადა, მის გარეშე ქვორუმი ვერ იკრიბებოდა, ნათელაშვილი გაცხარებული იყო, რომ “ახლებს” და “ბურჯანაძე-დემოკრატებს” საარჩევნო ბარიერი გადაალახვინეს და ის თვლიდა, რომ ამის გამო მას უსამართლოდ ჩამოართვეს მანდატები. ამიტომ პირველ სხდომას არც ნათელაშვილის ფრაქცია ესწრებოდა.

„ახლების“ ოფისში, სადაც დეპუტატების გარდა ჟურნალისტებიც მრავლად იმყოფებოდნენ, მოულოდნელი ზარი დაირეკა და ამ ზარის შემდეგ გამყრელიძემ აზრი შეიცვალა: მან გამოაცხადა, რომ სხდომას უნდა დაესწრონ. პირველად პარლამენტში ბადრის დები გავარდნენ. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, გამყრელიძეს იმ სატელეფონო საუბრისას დაპირდნენ, რომ კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ, იგი პრემიერ-მინისტრი გახდებოდა.

ამასობაში სააკაშვილმა, დაცვის კორდონი გაარღვია და პარლამენტში შეიჭრა. დღემდე ვფიქრობ, რომ პარლამენტში მისი შეჭრა შევარდნაძის დაცვის ყოფილი უფროსის, სულხან პაპაშვილის დამსახურებაა. პაპაშვილი რევოლუციამდე ირაკლი ოქრუაშვილთან მეგობრობდა. ამ ქმედების სანაცვლოდ, მან არამარტო ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო, არამედ რევოლუციიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 31 ქარხანა კონსიგნაციის წესით შეიძინა.

იმისათვის, რომ პარლამენტში შეჭრილ ხალხს ეჩვენებინა, რომ შეუიარაღებლები იყვნენ, დათო მუმლაძემ მოიფიქრა, ხელში ვარდები დაეჭირათ და ხელებაწეულები შესულიყვნენ სხდომათა დარბაზში.

შევარდნაძე ამ დროს ციფრულ განხეთქილებაზე საუბრობდა. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ ქვეყანას არავინ მართავდა.

შევარდნაძე გაიქცა. სააკაშვილი გმირი და უკვე მომავალი პრეზიდენტი გახდა. მე და დვალმა მაშინვე თავში ხელი შემოვირტყით: ახლა დაგვერხა, ეს გადარეული პრეზიდენტი გახდება.

თუმცა მაგის დრო არ იყო, რევოლუცია ბოლომდე უნდა მიგვეყვანა. მოგვიანებით, ზურა ჟვანია მიყვებოდა, რომ პარლამენტში ერთ ერთ კაბინეტში ტახტზე მეძინა, გასაღვიძებლად შემანჯღრიეს და ვხედავ თავზე იგორ ივანოვი მადგასო.

სააკაშვილიც დაიბნა - გავგიჟდი, როცა გავიგონე, რომ მიტინგზე ვიღაც სიტყვით რუსულად გამოდიოდა. ჩავედი და ვხედავ - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრია. მოკლედ, არავინ იცოდა, რა მიზნით ჩამოვიდა თბილისში იგორ ივანოვი, თუმცა მას არ სურდა იმ შედეგის მიღება, რომელიც ვარდების რევოლუციამ მოიტანა. შევარდნაძის გადადგომიდან მესამე დღეს მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თბილისში არანაირი ხავერდოვანი რევოლუცია არ მომხდარა და ეს გადატრიალება ქართველ ხალხს კარგს არაფერს მოუტანსო.

მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ ელოდა. ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფი ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მზად არ იყო, ან საიდან უნდა ყოფილიყვნენ მზად, როცა სააკშვილის პარტიაში ყველაზე გამოცდილი ადამიანი ვანო მერაბიშვილი იყო. შევარდნაძის უნიათობით მათ ძალაუფლება პირდაპირ ციდან ჩამოუვარდათ.

ერთადერთი, რაც მამშვიდებდა, ის იყო, რომ ხელისუფლების სათავეში ზურა ჟვანიაც მოვიდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან ზურა მიშას აუცილებლად „შეჭამდა“. ზურას სიკვდილამდე მის გარემოცვას ჰქონდა განცდა, რომ ის იმდენად ძლიერი იყო, მტკვარს თუ ეტყოდა აღმა წადიო, მდინარე აღმა წავაო. თუმცა ყველაფერი ასე არ განვითარდა.

რევოლუციის შემდეგ

შევარდნაძის გადადგომიდან მეორე დღეს, პარლამენტში გიგი წერეთლის კაბინეტში მე, მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე შევიკრიბეთ. ბურჯანაძეს თან ახლდა მეუღლე - ბადრი

ბიწაძე. შეხვედრის ინიციატორი ზურაბ ჟვანია გახლდათ.

მას სურდა, რაც შეიძლება მალე გაერკვია თავისი სტატუსი. პრეზიდენტი სააკაშვილი ხდებოდა, ჟვანია - პრემიერ-მინისტრი, მაგრამ მას არ სურდა შევარდნაძის პერიოდის სახელმწიფო მინისტრის მსგავსი უფლებები ჰქონოდა. ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებდა. უმაღლესი სახელისუფლებო თანამდებობები ამგვარად გადაინაწილეს და მერე სამივენი ჩემკენ შემობრუნდნენ და ჟვანიამ მკითხა - შენ რა გეგმები გაქვს? მეკითხებოდნენ, ჩვენ თანამდებობი დავინაწილეთ და შენ რა გსურს? “არაფერი არ მინდა. რა ბედნიერებაა, რომ ერთი მეგობარი პრეზიდენტი მეყოლება, მეორე - პარლამენტის თავმჯდომარე და მესამე - პრემიერ-მინისტრი. მე ბიზნესს გავაგრძელებ. ერთადერთი, როგორც მედია-საშუალების წარმომადგენელი, გთავაზობთ: მე ვიზრუნებ, რომ თქვენ დაიცვათ თქვენივე შეთანხმება თანამშრომლობაზე. თუკი რომელიმე თქვენგანი უსამართლოდ დაუპირისპირდება მეორეს, მე ტელევიზიის საშუალებით უსამართლოდ დაჩაგრულს გამოვექომაგები,” - ვუპასუხე და ესენი ჩემს წინადადებაზე დათანხმდნენ.

ჩემი გავლენიდან გამომდინარე, შემეძლო მომეთხოვა ვიცე-პრემიერის ორი პორტფელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ორი პოსტი და საპარლამენტო ფრაქცია, ულაპარაკოდ დამთანხმდებოდნენ. თუკი მოვინდომებდი, დიდი ალბათობით, პრემიერ-მინისტრიც გავხდებოდი. Aამის გამო ჟვანია დამიპირისპირდებოდა, მაგრამ ჩემს უკან უზომოდ პოპულარული ტელეკომპანია იდგა, საპარლამენტო არჩევნების წინ უზარმაზარი რესურსი გამაჩნდა, რომელსაც, თუ გამოვიყენებდი, ამ ჯგუფს სერიოზულად დავაზარალებდი. სააკაშვილი პრეზიდენტი ულაპარაკოდ გახდებოდა, მაგრამ ამ პერიოდში ჟვანიას რა რესურსი ჰქონდა? არც არაფერი. მას საპარლამენტო ფრაქციაც არ გააჩნდა.

მე არაფერი მომითხოვია, “რუსთავი 2”-ში დავრჩი. ეს არ გახლდათ ჩემი შეცდომა, ეს იყო ჩემი პოზიცია, რომელმაც ამ რევოლუციისთვის გულწრფელად ყველაფერი გავიღე.

მართალია, წიგნებიდან ვიცოდი რევოლუციის შემდეგ იაკობინელების ბედის თაობაზე, თუნდაც 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე, მაგრამ მე ამ დიალექტიკას უნდა გავქცეოდი. რევოლუციის სხვა ლიდერებს ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველაფერი გავუკეთე და აქედან არაფერი მიმიღია და ესენი რატომ უნდა გამხდარიყვნენ ჩემი მტრები?

24 ნოემბერს ხელისუფლება ჰაერში იყო გამოკიდებული. შევარდნაძე გადადგა, მაგრამ ჯარი და პოლიცია ჩვენ არ გვემორჩილებოდა. ხალხი ქუჩაშია გამოსული. ამ სიტუაციაში ჩვენს შორის რაიმე დაპირისპირების გაჩენა, ყველას დაგვაზარალებდა. ჩვენი შეხვედრის შემდეგ ყველაფერი გაირკვა და ამიტომაც, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

25 ნოემბერს სასტუმრო “მარიოტის” შესასვლელში ვანო ჩხარტიშვილი შემხვდა.

- ვაა, ვანო, შენ კიდევ ცოცხალი ხარ? - ვეუბნები ნახევრად სერიოზულად.

- კი, აბა როგორ? ჩემმა მეგობრებმა რევოლუცია მოაწყვეს და სათავეში მოვდივართ, - მპასუხობს ჩხარტიშვილი - ბადრი პატარკაციშვილის უახლოესი მეგობარი და შევარდნაძის ყველაზე დიდი მხარდამჭერი!

კინაღამ ინფარქტი მივიღე. ჩემი ინიციატივით ისევ შევიკრიბეთ რევოლუციის ლიდერები და მოვითხოვე პასუხი, თუ რატომ იყვნენ რევოლუციის შემდეგ ჩხარტიშვილი და მისნაირები გაპარპაშებულები.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: მთავარ საფრთხედ პატარკაციშვილს განვიხილავდი

http://for.ge/view.php?for_id=40835&cat=3

For.ge

2015-06-06 12:16:36

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

ჩვენთვის მთავარი იყო, 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე მშვიდად მივსულიყავით. კონსტიტუციით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს - ნინო ბურჯანაძეს - უფლება არ ჰქონდა თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა სახელმწიფო და ძალოვანი მინისტრები. ამდენად, შესაძლებელი იყო საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვითარება შევარდნაძის გუნდს ეკონტროლებინა.

25 ნოემბერს სახელმწიფო მინისტრი ჯორბენაძე გადადგა. მასთან სააკაშვილს ჰქონდა ურთიერთობა და მან გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი გაჯიუტდა და გადადგომას არ აპირებდა. მინისტრი, რომლის ბრძანებით კახეთიდან მომავალ მომიტინგეებს ფეხებში ტყვია ესროლეს, გადაკეტეს რიკოთის უღელტეხილი, მისი მითითებით სცემდნენ ჟურნალისტებს, აზერბაიჯანიდან მომიტინგეების დასაშლელად შემოჰქონდათ ცრემლსადენი გაზი, დაუპირისპირდა პირადად მიხეილ სააკაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობას აგრძელებდა, რაც რა თქმა უნდა, ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

“მერიოტში” შეხვედრა მქონდა, როცა მითხრეს, რომ ნარჩემაშვილი გადადგომას არ აპირებდა. ამ დროს თან მახლდნენ ნიკა რურუა და გიგა ბოკერია. სასწრაფოდ დავურეკე ნარჩემაშვილს და ვუთხარი:

- კობა, როგორ ბედავ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ პოსტიდან გადადგომას არ აპირებ? გაძლევ 20 წუთს, ამ პერიოდში თუ შენ ტელევიზიით გადადგომის თაობაზე განცხადებას არ გააკეთებ, ჩემი ფეხით მოვალ სამინისტროში და ყურით ჩაგათრევ შენს მეხუთე იზოლატორში.

ამ ტონით მას სულიერად გასატეხად ვესაუბრე, სხვები თხოვდნენ, მე მოვთხოვე რომ პოსტიდან დაუყოვნებლივ გადამდგარიყო.

ნარჩემაშვილი 15 წუთში გადადგა. ტელევიზიით ყვებოდა, ტელეფონზე მირეკავენ და მემუქრებიან გადადექიო, ცრემლებს აღვარვარებდა, უნდა გადავდგეო.

დეზორიენტირებული ჯარისკაცები პარლამენტის წინ მოდიოდნენ და ჩაგბარდითო, გვეუბნებოდნენ, ამას აკეთებდნენ რიგითი პოლიციელებიც. ეს ძალიან სახალისო საცქერი იყო.

ნარჩემაშვილის გადადგომის მოთხოვნა მე არ ამიხირებია. სააკაშვილმა დამირეკა და შემომჩივლა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგომას არ აპირებდა. ამიტომ გავხდი იძულებული, რომ კობას მკაცრად მოვთხოვე პოსტი დაეტოვებინა. ჩემი მონაწილეობა ამგვარ ისტორიებში საყმაწვილო ჟურნალ “ერალაშის” ერთ სერიას მაგონებდა, “ჩემპიონი” ჰქვია. პიონერები ბანაკში ერთმანეთს სირბილში

ეჯიბრებიან. ბანაკის ჩემპიონი მაღალი, გამხდარი ბიჭია და მწვრთვნელად ჰყავს, დაბალი, “შუსტრი” თანატოლი. ეს მწვრთვნელი მიდის და შეგირდის კონკურენტებს ზვერავს, თუ ვინ როგორ ფორმაშია, მერე მოდის და ჩემპიონს აკვალიანებს, თუ ვინ შეიძლება მას აჯობოს. მარათონი იწყება და მწვრთვნელი შეგირდს თან მისდევს. გაიქცევა, სადღაციდან გასაგრილებლად წყალს მოუტანს, მერე კიდევ გაასწრებს, გაიგებს ვინ არის მის შეგირდზე წინ წასული, მობრუნდება, ეტყვის რა მანძილით ასწრებს კონკურენტი, ბოლოს კიდევ გაასწრებს და ფინიშზე დახვდება და გამარჯვებული ხელში აჰყავს.

მეც, ზუსტად ასეთი როლი მქონდა, ჩემს მარათონს ხომ დავრბოდი, ესენიც ხელში აყვანილები დამყავდა და ფინიშის გადაკვეთისას მათ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს ვულოცავდი. ეს უბრალოდ კომედია იყო.

მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ამ პერიოდში მივიღე უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს - ირაკლი ალასანიას უკავშირდება. ნინო ბურჯანაძეს მისი უშიშროების მინისტრად დანიშნვა სურდა. მინისტრი ხაბურძანია ბოლო ხანს რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსნებთან აქტიურად მეგობრობდა, კერძოდ პატრუშევთან. მე ამ დანიშნვას არ დავეთანხმე, მეშინოდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ალასანია ძალაუფლების ხელში აღებას ვერ მოასწრებდა და რამე ცუდი თუ მოხდებოდა, ხაბურძანიას პასუხს ვეღარ მოვთხოვდით. ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე ალასანიას თავად ვუთხარი. ირაკლი ალასანიას გზა შემდეგ სხვანაირად განვითარდა. მას ბოკერია და ოქრუაშვილი დაუპირისპირდნენ და რომ არა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, საერთოდ უმუშევარი დარჩებოდა. მოგვიანებით, მან ცოტა ხანს თავდაცვის სამინისტროში იმუშავა.

მთავარ საფრთხედ პატარკაციშვილს განვიხილავდი. სააკაშვილს ვურჩევდი, რომ ბადრი ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენდა და ვითხოვდი, რომ მას თავისი ტელევიზია “იმედი” თავის შენობიან-აპარატურიანად საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის ეჩუქებინა. სანაცვლოდ, ჩვენ ბადრის კომპენსაციას გადავუხდიდით და შემდეგ რაც უნდოდა ის ეკეთებინა, უნდა ბიზნესში დარჩეს უნდა პოლიტიკაში. მას ვითხოვდი, არა როგორც ბიზნესმენი ან ტელევიზიის მფლობელი, არამედ როგორც რევოლუციით მოსული ერთ-ერთი ხელისუფალი, რომლისთვისაც მთავარი რევოლუციის შედეგის შენარჩუნება იყო.

მაშინ “იმედი” რევანშიზმის ბუდეს წარმოადგენდა. ბადრის იქ დაბოღმილი ადამიანები გადაჰყავდა - გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია, მათე კირვალიძე და გაზეთ “ალიას” სხვა შავბნელი ჟურნალისტები. რევოლუციის დროს “იმედი” სასტიკად პროსახელისუფლებო კურსს ატარებდა. მთავარი ომი “რუსთავი 2”-ის წინააღმდეგ აწარმოეს არა გაზეთებმა, არამედ ამ ტელეკომპანიამ. მომიტინგეებს ისეთი რაკურსით აჩვენებდნენ, რომ კადრში რაც შეიძლება ცოტა ხალხი გამოჩენილიყო. მათი მაშინდელი კორესპოდენტი და დღეს უკვე, სააკაშვილი მთავარი საყრდენი სატელევიზიო სივრცეში - ალეკო ფარულავა, ოპოზიციური მიტინგის მონაწილეებს - „ეგრეთ წოდებულ ხალხს“ ეძახდა.

ბადრი გაწბილებული იყო, ვინაიდან თუკი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები დამტკიცდებოდა, ის პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას შექმნიდა და “ვარდების რევოლუციამ” მას გეგმები ჩაუშალა. გავიხსენოთ, ვის რა შედეგი ჰქონდა იმ არჩევნებში. ამერიკელების ეგზიტპოლის მიხედვით - ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა- 20,8%, ბლოკი “ახალი საქართველოსათვის” - 12, 9%. ამ ბლოკს მთლიანად ბადრი აკონტროლებდა, გარდა სულხან პაპაშვილის ერთი ფრაქციისა, მას ეკუთვნოდა ლეიბორისტული პარტიის გამსვლელი სიის ნახევარი და ამ პარტიამ მიიღო - 12,8%. ჟვანიასთან კავშირით ის აკონტროლებდა “ბურჯანაძე-დემოკრატებს,” მთლიანად მისი იყო “ახალი მემერჯვენეები”, რომლებიც დაახლოებით ხმების 7%-ს აგროვებდნენ. “აღორძინებაც” არ იქნებოდა ბადრისგან შორს მდგომი ძალა.

ახლა მთავრობის ეგზიტპოლის, ანუ “ნიკოლო ემის” მონაცემები ვნახოთ: ბლოკი “ახალი

საქართველოსათვის” - 22,1%, ბურჯანაძე-დემოკრატები - 16,4%, ლეიბორისტები - 13,5%, ნაციონალური მოძრაობა - 13,2%, “ახალი მემარჯვენეები” - 11,3%, პლუს მაჟორიტარები. ბადრის 75 მაჟორიტარიდან 50 გარანტირებულად მხარს უჭერდა. მოგვიანებით, როცა მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ძალაში დატოვეს, ამ ფრაქციას ბადრის უახლოესი მეგობარი ვანო ჩხარტიშვილი ჩაუდგა სათავეში. 235 დეპუტატიდან საკონსტიტუციო უმრავლესობა 160 კაცი გამოდიოდა. ძალიან უხეში გათვლებით, ჟვანია-სააკაშვილი ერთადაც რომ ყოფილიყვნენ და ჟვანია პატარკაციშვილს განდგომოდა, მათ მხოლოდ 40-45 პროპორციული მანდატი ექნებოდათ, დანარჩენ დეპუტატებს კი ბადრი გააკონტროლებდა. “აღორძინების” ლიდერი ასლან აბაშიძე ივაჭრებდა, მაგრამ ბადრისთან მაინც ითანამშრომლებდა. ბადრი 160-170 კაცს ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობას თავისუფლად აგროვებდა.

ამას დავუმატოთ, ისიც რომ პარლამენტის თავმჯდომარე მისი მეგობარი - ვაჟა ლორთქიფანიძე ხდებოდა, ხოლო “ახალი მემარჯვენეების” ლიდერი დავით გამყრელიძე - პრემიერ-მინისტრი. ამიტომ დათანხმდა გამყრელიძე შევარდნაძეს და ბოლო მომენტში სესიაზე ქვორუმის შესაკრებად პარლამენტში შევიდა.

ბადრი არჩევნებიდან 6 თვის თავზე აბსოლუტურად ქმედუუნარო შევარდნაძეს პოსტიდან გადააყენებდა, ისევე როგორც მან და ბერეზოვსკიმ რუსეთში ელცინი გადააყენეს დაAამის შემდეგ პრეზიდენტი თავად გახდებოდა. ბადრი რუსეთში დაშვებული შეცდომის გამეორებას აღარ აპირებდა, მან ერთხელ მეც მითხრა, რომ პუტინზე კომპრომატები გვქონდა და ამიტომ ვფიქრობდით, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ ის ერთგულად გვემსახურებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდაო.

ბადრის პრეზიდენტად გახდომის პირველი მცდელობა ჩაეშალა და ის შევარდნაძის ელიტასთან ერთად რევანშისთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. მათი რუპორი “იმედი” გახლდათ და ამას უკავშირდებოდა ჩემი სიფრთხილეც. ამასთან, არ გვემორჩილებოდა ჯარი, იქით კოდორის ხეობის გუბერნატორი და შეიარაღებული ფორმირება “მონადირის” მეთაური ემზარ კვიციანი აქტიურობდა, პარტიზანების დაჯგუფება “ტყის ძმების” ლიდერი დათო შენგელიაც მასთან ერთად მოძრაობდა.

ჩვენი მტერი კრწანისის რეზიდენციაში გამოკეტილი შევარდნაძე აღარ იყო, მტრულად განეწყო მისი კორუმპირებული ელიტა, მთელი სისტემა. ჩვენ არ გვყავდა პოლიცია, სპეცსამსახური, არ გვქონდა ფინანსები და გვიპირისპირდებოდა კარგად ორგანიზებული ძალა.

ამის გამო, მივდივარ მიშასთან და ვეუბნები - მიშა, თუ ჩვენ გვინდა რევოლუციის შედეგების შენარჩუნება, რაღაც უნდა გავითვალისწინოთ. მაკიაველის მიხედვით, თუ გინდა ქალაქი შეინარჩუნო, ორი ალტერნატივაა, ან უნდა გაურიგდე არსებულ ელიტას, ან უნდა გაჟლიტო ის და ახალი ელიტა შექმნა. გაჟლეტაში დახვრეტას არ ვგულისხმობდი, შევარდნაძის ე.წ ინტელიგენციისთვის ელიტის ფუნქცია უნდა წაგვერთმია და ახალი ელიტა შეგვექმნა.

სააკაშვილმა მოგვიანებით ეს თეორიები ერთმანეთში აურია, თავისი ელიტის შექმნაც დაიწყო და, ნაწილობრივ, ძველსაც გაურიგდა. ფაქტიურად, მან ამ ელიტების ცუდი ნაზავი მიიღო. ამას უკავშირდება მისი ახლანდელი პრობლემები ეკონომიკაში და საზოგადოებრივ გავლენებშიც. მას დასაყრდენი აღარ ჰყავს. დარჩა მხოლოდ ე.წ. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები, რომელთა ლოიალობა მხოლოდ ხელფასთანაა დაკავშირებული. ნუგზარ წიკლაურის და ეკა ხერხეულიძის, ანუ ზვიადიზმის ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი გამოვლინებების და ხათუნა ოჩიაურის გარდა, იდეური მხარდამჭერები აღარ ჰყავს. გიგა ბოკერია მისი ერთ-ერთი უკანასკნელი დამცველია. წარმოგიდგენიათ? მან მოახერხა და ის ხალხი, რომლებიც მის სიახლოვეს ათასობით იდგნენ საერთოდ შემოეფანტა. ის ახლა მხარდამჭერებს ყიდულობს, ამიტომ ამ მოსყიდულებს მასთან არანაირი იდეური სიახლოვე არ აკავშირებთ.

ახლა, რა გააკეთეს ჟვანიამ და სააკაშვილმა? მომკიდეს ხელი და ბადრისთან შესარიგებლად “ქაჯეთის

ციხეში” ძალით წამათრიეს. ჩემი და ბადრის შეხვედრას ჩხარტიშვილი, სააკაშვილი, ჟვანია და ჩუბინიშვილი ესწრებოდნენ.

მახსოვს, ბადრის სტილიზებული კუთხე ჰქონდა - თავისი ბავშვობის იტალიური ეზო, სახლის აივანზე კი არღნით ხელში, იპოლიტე ხვიჩიას ცვილის ფიგურა იდგა.

ამ შეხვედრის შემდეგ მე და ბადრი ერთმანეთს აღარ უნდა დავპირისპირებოდით, ვინაიდან ჩვენ ორივენი ჟვანია-სააკაშვილის მეგობრები ვიყავით. ამან შოკი მომგვარა. ბადრი აღიარებდა, რომ შერიგება სურდა და ამის დასტურად დამპირდა, რომ კომუნიკაციების სფეროში ერთი თეთრის ინვესტიციასაც არ განახორციელებდა. პირველი ორი დაპირება მან არ შეასრულა. დამპირდა, რომ ტელევიზიას არ შექმნიდა და “რუსთავი 2”-ის საწინააღმდეგოდ “იმედი” შექმნა, “ჯორჯიან ონლაინს” “ტელენეტი” დაუპირისპირა. ახლა, მაიძულებდნენ, მისთვის მესამედ დამეჯერებინა. რევოლუციის შემდეგ ყველაფერი უცებ დაავიწყდათ, თითქოს ბადრი არ იყო მათი, ამ შემთხვევაში რევოლუციონერების, სამკვდრო-სასიცოცხლო მტერი. ყველაფერი დალაგდა და მე გავხდი დასაწყნარებელი. ამის გამო თითქოს “სოსკა” მომცეს, აჰა, შენ ტელეკომუნიკაციებიო.

შევთანხმდით, რომ ბადრი ტელეკომუნიკაციების სფეროს მითმობდა. მოგვიანებით მე და დათო დვალმა მართლა ჩავიბარეთ ელექტროკავშირის მენეჯმენტი და კომპანიის საშემოსავლო ნაწილი ისე გავზარდეთ, რომ არც ერთი თეთრი აქედან მოგება არ მიგვიღია. ელექტროკავშირი ზარალიდან უზარმაზარ მოგებაზე გავიყვანეთ.

იმავე შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ბადრი ტელებიზნესში დარჩებოდა. ჩემი აზრით, ეს ჟვანიას იდეა იყო. მან სააკაშვილი დაარწმუნა, რომ მათთვის მე ბადრიზე საშიში ვიყავი და „რუსთავი 2“-ის საპირწონედ “იმედი” მოიაზრეს. „რუსთავი 2“-ის პოპულარობა არც ჟვანიას ეწერებოდა, არც სააკაშვილს. მე მეწერებოდა და ამას საფრთხედ მიიჩნევდნენ. ბურჯანაძეს ამ კონტექსტში საერთოდ არ განიხილავდნენ. ისინი მას სერიოზულ ფიგურად არ აღიქვამდნენ და ეს პარლამენტის როლის დაკნინებით მალევე გამოჩნდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „ოქრუაშვილი მიშას თვალში იყო მაჩო“

http://for.ge/view.php?for_id=40877&cat=3

For.ge

2015-06-09 15:00:21

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

მე ჟვანიას მეგობრად მივიჩნევდი და მას ვენდობოდი. საერთოდაც, ადამიანებს ძალიან ადვილად ვენდობი და ასევე იოლად ვუჯერებ. პოლიტიკაში ეს თვისება არავის სჭირდება, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ შევარდნაძის რეჟიმი უსისხლოდ მოვიშორეთ, ეიფორიაში ჩამაგდო. არავის წინაშე არანაირად ვალდებულები არ ვყოფილვართ, არც შეერთებული შტატების, არც რუსეთის, ბიზნესმენების თუ სამხედროების. ჩვენ ქვეყნის განვითარება სუფთა ფურცლიდან უნდა დაგვეწყო, რისთვისაც 5 იანვარს

საპრეზიდენტო არჩევნებზე ხალხმა სააკაშვილს და ჩვენ ყველას ნდობის 96 პროცენტიანი მანდატი მოგვცა. ეს არ იყო მხოლოდ სააკაშვილისთვის მიცემული ხმები. ნოემბერში მას ამომრჩეველთა მხოლოდ 20 პროცენტი უჭერდა მხარს, იანვარში კი მან ხმების 96 პროცენტი მიღო. ასეთ მოკლე ხანში, ასეთი გრადაცია წარმოუდგენელია. ეს ხმები ერთად მოვიპოვეთ რუსთავი 2-მა, სააკაშვილმა, ჟვანიამ და ბურჯანაძემ. იმაზე საუბარს აღარ ვაპირებ, ამ ოთხეულიდან თითოეულს რა მხარდაჭერა და პოპულარობა ჰქონდა. ჩემთვის მთავარი იყო, რომ ამ გაერთიანებას უამრავმა ადამიანმა თავისი იმედები დაუკავშირა.

2003 წლის 20 დეკემბერს „რუსთავი 2“-ის შენობას ე.წ “მუხა” ესროლეს. მსხვერპლს სასწაულებრივად გადავურჩით. ბომბი ფანჯარას ასცდა და კედელს მოხვდა, თორემ ოთახში აფეთქდებოდა და იმ დროს “კურიერის” სტუდიაში მომუშავე ხალხს დახოცავდა. რთული დრო იყო და რომელიმე ჩვენგანის სიკვდილს უმართავი სიტუაციის გამოწვევა შეეძლო. პირადი დაცვა გიორგი სანაიას სიკვდილის შემდეგ ავიყვანე. ჟვანიას დაცვის 5 წევრი შემცირებაში მოყვა და ისინი დავიქირავე. რევოლუციის შემდეგ ჟვანიამ და სააკაშვილმა დაჯავშნული ავტომანქანით სიარული მომთხოვეს. ბურჯანაძის, სააკაშვილის ან ასლან აბაშიძის ნაქონი ავტომანქანით უნდა მესარგებლა, მაგრამ შემდეგ დაჯავშნული ავტომანქანები თავად დაიტოვეს და ჩემთვის არაფერი მოუციათ. ამ აფეთქების შემდეგ იძულებული გავხდი, ჩემს უსაფრთხოებაზე მეტი ყურადღება გამომეჩინა და ბიზნესმენმა დათო ზოდელავამ თავისი ძველი ამერიკული ჯიპი მათხოვა. სასაცილო სანახავი ვიყავი თუ როგორ დავდიოდი ამ “კონსერვის ქილით.” დათოზე კი მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

ამ პერიოდში გაჩნდა სახელგანთქმული სლოგანი “გამარჯვებული ხალხის ტელევიზია”, რომელიც მაშინდელ ოპოზიციას დღემდე ყურს ჭრის და შემდეგ ეს სალანძღავ სიტყვად აქციეს. ჩვენ დავიწყეთ ტელევიზიის რებრენდინგი, ვინაიდან ტელევიზიის იმიჯი მნიშვნელოვანწილად “ვარდების რევოლუციას” მოვახმარეთ. გვსურდა იმ ხალხის შემობრუნება, ვინც რევოლუციის მხარდამჭერი არ იყო; ასევე იმათიც, ვინც რევოლუციას მხარს უჭერდა, მაგრამ რისთვისაც იბრძოდა ის შედეგი მაშინვე ვერ მიიღო. ბუნებრივია, ბევრს ეგონა რომ რევოლუციის მერე გავიღვიძებდით და უცებ, ახალ და უკეთეს საქართველოში ვიცხოვრებდით. ჩვენ რევოლუციიდან დისტანცირებას ვერ მოვახდენდით, პირიქით, მის პოზიტიურ როლზე ვსაუბრობდით და ამის გამო გაჩნდა ეს სლოგანიც, რომელსაც ჩემი ინიციატივით ფონად ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია დაედო.

პრეზიდენტის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებდა, როცა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი გარდაიცვალა. ნინო ბურჯანაძე ბაქოში სამძიმარზე წასვლას აპირებდა და საპრეზიდენტო რეისით შევარდნაძეც თან უნდა წაეყვანა.

გეგონებოდა, ვითომ ეს შევარდნაძე რამდენიმე დღის წინ არ დაგვემხო. თითქოს არაფერი მომხდარა, ვითომ ვადის ამოწურვის შემდეგ გადადგა და თავის მემკვიდრესთან ერთად თავისი მეგობრის დასაფლავებაზე მიემგზავრებოდა. ნინოსთან ახლო ურთიერთობა არ მქონდა და ამიტომ ჟვანიას დავურეკე და ვუთხარი, რომ ჩემთვის ბურჯანაძის საქციელი მიუღებელი იყო, მის საქციელს საზოგადოებაც ნეგატიურად აღიქვამდა და შევარდნაძე პრეზიდენტის რეისით არ წაეყვანა.

ამის შემდეგ შევარდნაძე დამოუკიდებლად ჩავიდა ბაქოში, მე მისი გაწვალება არ მდომებია, უბრალოდ, გუშინ კაცი დავამხეთ და დღეს ისევ ჩვენთან ერთად დადის... ეს რა ლოგიკაა?

ამან ბურჯანაძე გაანაწყენა, თუმცა ვთვლი, რომ ჟვანიაც მას ეთანხმებოდა და ჩემმა კატეგორიულობამ გადააფიქრებინა შევარდნაძესთან ერთად ბაქოში გაფრენა.

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ დამირეკა და მითხრა, რომ თბილისში რუსეთის ხელისუფლებისგან ძებნილი ბორის ბერეზოვსკი ჩამოვიდა. გავგიჟდი.

ბადრი პატარკაციშვილთან ჩამოვიდოდა, აბა სხვასთან ვისთან? ვიცოდი, რომ შევარდნაძის დროს ის და რომან აბრამოვიჩი ბადრის არცთუ იშვიათად სტუმრობდნენ, მაგრამ რევოლუციის შემდეგ როგორ გაბედა აქ ჩამოსვლა? ეს ჩემს გეგმაში არანაირად არ ჯდებოდა, ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის გამოკეთებას ხელს ნამდვილად არ შეუწყობდა, ჩვენ კიდევ ეს მიზანი დავისახეთ.

ვალერი ხაბურძანიამ ვიდეოკასეტა მომცა, სადაც ნათლად ჩანდა ბორის ბერეზოვსკიმ აეროპორტში თუ როგორ გადმოკვეთა სახელმწიფო საზღვარი.

ბუნებრივია, ეს კადრები ტელევიზიით ვაჩვენე და ეს ინფორმაცია რუსულ საიტებზე მომენტალურად გაჩნდა, რასაც რუსეთის ხელისუფლების გაღიზიანება მოჰყვა. ამის შემდეგ ჩვენი ჟურნალისტები დაინტერესდნენ თუ რატომ ჩამოვიდა ბერეზოვსკი?

მე სააკაშვილს დავურეკე და ვკითხე, რა უნდოდა ბერეზოვსკის თბილისში. ბუნებრივია, ბადრისთან იყო, მაგრამ კიდევ ვინ მიიწვიეს ამ შეხვედრაზე? ამაზე სააკაშვილმა პირში წყალი ჩაიგუბა, არაფერი მიპასუხა. ვერაფერს მივხვდი. ჩემთვის, ძნელი საფიქრებელი გახლდათ, რომ რევოლუციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჟვანიამ და სააკაშვილმა ბერეზოვსკისთან მეგობრობა დაიწყეს. ვხვდებოდი, რომ ესენი უჩემოდ რაღაც გარიგებებს დებდნენ, შეხვედრებს აწყობდნენ, მაგრამ იყო რაღაც, რასაც მაშინ ვერ დავუშვებდი. მოგვიანებით გავიგე, რომ ბადრისთან ამ შეხვედრას ჟვანია, სააკაშვილი და ვანო ჩხარტიშვილიც ესწრებოდნენ. ბერეზოვსკიც ამათი თანხმობით ჩამოსულა და რაღაც მოლაპარაკებებს მართავდა.

სანამ ამ ყველაფერს შევიტყობდი, ჩვენმა კორესპოდენტმა ინტერვიუ სთხოვა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ვალერი ჩხეიძეს. მას ჰკითხეს, თუ როგორ მოახერხა საერთაშორისო ძებნილმა, ავანტიურისტმა - ბერეზოვსკიმ საქართველოში შემოსვლა?

ვალერი ჩხეიძემ უპასუხა, რომ ის აუცილებლად დასჯის მათ, ვინც გამოიჩინა სამსახურებრივი დაუდევრობა თუ გულგრილობა და ვერ დააფიქსირა საზღვრის უკანონოდ გადმომკვეთი, მაგრამ ბერეზოვსკი თუ კიდევ გაბედავს ასეთი ფორმით აქ ჩამოსვლას, ის აუცილებლად განახორციელებს ყველა იმ ზომას, რაც საერთაშორისო კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

ამ ფრაზამ ჩხეიძის კარიერას დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა. იგი ჯერ საბჭოთა უშიშროების საკადრო ოფიცერი და ავღანეთის ომის ვეტერანი იყო, მაგრამ შემდეგ საქართველოს სამსახურში ჩადგა და მის წესიერებაზე ძალიან ბევრი ისტორია მომისმენია. ის რუსეთის სპეცსამსახურებთან არ თანამშრომლობდა, პირიქით, ძალიან აქტიურად ეხმარებოდა აშშ-ის ცენტრალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელიც ჩვენი უმთავრესი მეგობარი ქვეყნის სპეცსამსახურს წარმოადგენს.

ცოტა მოგვიანებით ვალერი ჩხეიძემ საბედისწერო შეცდომაც დაუშვა, რამაც მისი კარიერა დაასრულა. მან სააკაშვილს საპრეზიდენტო ინაუგურაციის შემდეგ ე.წ. ჯარის ალბომი საჩუქრად გადასცა. სააკაშვილი უშიშროების ჯარში მსახურობდა. სასაზღვრო ჯარები უშიშროების სისტემაში შედიოდა. მე არ დამავიწყდება სააკაშვილის შეშფოთებული სახე, როცა მან თავისი სამხედრო სამსახურის ამსახველი ფოტოალბომი ნახა: მიშა სამხედრო ფორმით, რუს სამხედროებთან ერთად. იმ წუთში მისი სახე საშინელ გაღიზიანებას გამოხატავდა. ეს ორი ისტორია ვალერი ჩხეიძისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ამის შემდეგ, როგორც ვიცი, მას ემუქრებოდნენ და აიძულეს თანამდებობიდან გადამდგარიყო. ვალერი ჩხეიძე ემიგრაციაში წავიდა. ის დიდი ხნის განმავლობაში უკრაინაში ცხოვრობდა. მას პირდაპირ სამაგიერო გადაუხადა ბადრი პატარკაციშვილმა და “ზედმეტი” საუბრისთვის პასუხი აგებინა.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ბერეზოვსკიმ უკრაინაში გადაბარგება განიზრახა. მიმაჩნია, რომ

რაღაც კავშირი შეიკრა ბერეზოვსკის, ჩვენი რევოლუციის ლიდერებსა და უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის ლიდერთა შორის. ბერეზოვსკიმ უკრაინის რადის დეპუტატს, დავით ჟვანიას 15 მილიონი დოლარი გადასცა, რომლითაც ვიქტორ იუშენკოს საპრეზიდენტო კამპანია დაფინანსდა.

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ თბილისში უკრაინის ჯერ კიდევ ოპოზიციის ლიდერი - იუშჩენკო ჩამოვიდა. ვანო მერაბიშვილმა რამდენიმე პირთან ერთად ის ისნის მეტროს სიახლოვეს მდებარე სომხურ რესტორანში დაპატიჟა. ეს რესტორანი გარედან სადად გამოიყურება, მაგრამ უგემრიელეს სომხურ კერძებს: გუფთას, დაბეგვილ ხორცს, სომხურ ყველს ამზადებენ. ეს რესტორანი ზურა ადეიშვილის და ვანო მერაბიშვილის საყვარელი ადგილია. ვანოც და ზურაც სამცხიდან არიან, ზურას ოჯახი მოგვიანებით გადასახლდა კახეთში. სომხური სამზარეულო მათთვის სოფელ უდედან კარგად ნაცნობია.

აი, ამ რესტორანში მასპინძლობდნენ იუშენკოს და სუფრის ერთმა წევრმა ჩემი სადღეგრძელო თქვა: მოდი, ეროსის გაუმარჯოს, რომელმაც ეს რევოლუცია გააკეთა, ქვეყანას შევარდნაძე და ეს კორუმპირებული ხალხი მოაშორა, მისი ტელევიზია რომ არ ყოფილიყო, არაფერიც არ იქნებოდაო.

ვანო მას საუბარს უცბათ აწყვეტინებს და ქართულად, ძალიან აგრესიულად ეუბნება - რა სისულელეს ლაპარაკობ, რა შუაშია ეროსი და „რუსთავი 2“, ეს ტელევიზია არ იქნებოდა და სხვა ტელევიზია გვექნებოდა, ჩვენ მაინც მოვიდოდით ხელისუფლებაში.

ამ პიროვნებას არ ვასახელებ, არ მინდა პრობლემები შეექმნას... დამირეკა და მითხრა, ესენი მე მგონი ვერ არიან, მგონი პრობლემები გექნება, მაგათ შენზე აკრეფილი აქვთო. მე ვუთხარი, რა სისულელეა, რამდენი ვიღაცა რაღაცას დაიბოდიალებს-მეთქი. ენის მიტან-მოტანა არასოდეს მიყვარდა. თუმცა რა გამოდიოდა, სააკაშვილმა და ჟვანიამ - ბადრი ჩვენი მეგობარიაო და მასთან შემარიგეს, შემდეგ უჩემოდ რაღაც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ბერეზოვსკისთან და ვანო მერაბიშვილი, რომელიც სააკაშვილის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირია, იძახის - ეროსი რა შუაშია ვარდების რევოლუციაშიო. სასიამოვნო მოსასმენი ნამდვილად არ იყო, თუმცა ჩავთვალე, რომ ეს მერაბიშვილის კერძო აზრი იყო და არა რევოლუციის “მამების.” ამაზე გაბრაზება არ შეიძლებოდა.

დეკემბერში ირაკლი ოქრუაშვილი შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნეს. ის ჩემთან მოვიდა და აკანკალებული ხმით მთხოვა - გეხვეწები პიარში დამეხმარეო. თანამდებობაზე სადღაც პროვინციაში მიდიოდა და თავის გამოჩენა სურდა. მე ვუთხარი, არა გრცხვენია, შენ ოღონდ კარგი საქმე გააკეთე და რას ჰქვია, მხარდაჭერა არ გექნება, ჯერ ერთი, იქ არის ჩვენი სპეცკორესპონდენტი, მერე იქ მუშაობს რეგიონული ტელეკომპანია “თრიალეთიც”.

მე ვიცი, მან შემდეგ რა საქმეებიც დაიწყო, მიხეილ ქარელთან და პოლიციის უფროს სუხიტაშვილთან ერთად, კონტრაბანდის გაკონტროლება გზების გადაკეტვებით თავად დაიწყეს. შემდეგ ბევრი რაღაც მოვისმინე, მაგრამ იმ მომენტში ირაკლი საკმაოდ გულწრფელი მომეჩვენა. ის თავიდან ბორდელებს ხურავდა და კონტრაბანდულ გზებზე თხრილებს ავლებდა, რაღაცას აქტიურობდა და კარიერული წინსვლისთვის ემზადებოდა.

მიშასთვის ირაკლი „მეორე მე“ იყო. მიშა უმამოდ გაიზარდა. რაც დაიბადა, მის მშობლებს ერთად არ უცხოვრიათ, რაც მოზარდის ფსიქიკაზე ცუდად აისახება. მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ მას კლასში ძალიან ჩაგრავდნენ. მან ბავშვობაში უმძიმესი დაავადება - მენინგოენცეფალიტი გადაიტანა, ინფექციური დაავადება, რომელიც სერიოზულ კვალს ტოვებს, მას ახლაც აქვს კოორდინაციის პრობლემა. თუ დაუკვირდებით სააკაშვილი მოუწესრიგებელი კოორდინაციის ადამიანია, მას სამხედრო მარშით სიარულიც არ შეუძლია. ბაქოში ილხამ ალიევთან პირველი ვიზიტის დროს ვნახე - ერთსა და იმავე ხელს

და ფეხს ერთდროულად წევდა. ვფიქრობ, მის ხასიათში ჩადებული იმპულსურობა ამ დაავადებასაც უკავშირდება. მას ყოველთვის პიონერის დაღეჭილი ყელსახვევი ეკეთა, ანუ ჩვევა, რომელიც ბბს-ზე გამოჩნდა, მის ბავშვობასთანაა დაკავშირებული.

მიშასთვის ოქრუაშვილი იყო ადამიანი, რომელიც ბავშვობის შიშებს და სკოლის ჩაგვრების ემოციებისგან ათავისუფლებდა. ის მიშას თვალში იყო მაჩო. სხვათა შორის, ოქრუაშვილი მინისტრობის დროს თანამშრომლებთან სიუხეშით, დაუნდობლობით, ძალიან აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა და ითვლებოდა, რომ ქუჩურ თემებშიც მაგარი იყო.

მიშა განათლებულია, ტალანტი აქვს, მაგრამ მშიშარაა და ამ შიშს მის წარმოდგენაში ოქრუაშვილი ფარავდა. ამიტომ ვერ იმეტებდა მიშა მას გასაწირად და ოქრუაშვილიც მიიჩნევდა, რომ მიშა მის წინააღმდეგ წასვლას ვერ გაბედავდა.

დღეს ოქრუაშვილის როლი ქუჩურ ნაწილში რურუამ აიღო, დანარჩენ ნაწილში - ბოკერიამ. ერთი ოქრუაშვილი შეიცვალა ბოკერია-რურუათი, ამიტომ არიან ისინი მისთვის ასე ახლო ადამიანები.

ძალიან გამიკვირდა, როცა 5 იანვრის არჩევნების შემდეგ საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე მოსაწვევი არ გამომიგზავნეს! როცა ვიკითხე, რატომ არ გამომიგზავნეთ მოსაწვევი-მეთქი, პროტოკოლის სამსახურს გამორჩიო - მიპასუხეს. ინაუგურაციაზე მაინც მივედი და მომათავსეს არა იმ სექტორში, სადაც დეპუტატები თუ ვიღაც ჩინოვნიკები ისხდნენ, არამედ უკან - სოროში, მერამდენიღაცა რიგში.

მთელ ამ პერიოდში თანამდებობაზე დასანიშნად სულ რამდენიმე ადამიანს გავუწიე რეკომენდაცია. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ჩემმა ბავშვობის მეგობარმა - კახა კობერიძემ მთხოვა, ახალ მინისტრს იმის გამო არ აეთვალწუნებინა, რომ ძველი და გამოცდილი კადრი იყო. გახსოვთ, რომ ამათმა თანამდებობებზე პარტიული ნიშნით ახალგაზრდების დანიშნვა დაიწყეს და სტაჟიან თანამშრომლებს ათავისუფლებდნენ. ასევე მიხეილ სააკაშვილს ვთხოვე, „რუსთავი 2“-ის გადაცემა “კურიერის” წამყვანის, ნათია ლაზაშვილის ქმარი, რომელიც ეკონომიკის მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრად დაენიშნა.

ჯანდაცვის მინისტრად შესანიშნავი ექიმის, ირაკლი სასანიას კანდიდატურა შევთავაზე. ზურა ჟვანიამ თავი მოიკლა და მინისტრად არ დანიშნა. მან ეს პოსტი მის პარტიულ მეგობარს, გიგი წერეთელს ჩააბარა და ეს კიდევ სამი კვირის შემდეგ პოსტიდან გადადგა. ჯანდაცვის მინისტრად შემდეგ “დიდი” რეფორმატორი ლადო ჭიპაშვილი გამონახეს, რომელმაც ხალხს გული გაუხეთქა - ქათმის გრიპი ჩვენი მოსახლეობის 15 პროცენტს ამოწყვეტსო.

ჟვანიამ არ ამიხსნა, თუ რატომ არ სურდა სასანიას მინისტრად დანიშვნა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის და სასანია ერთ ეზოში გაზრდილან, ზურა ბავშვობაში არასპორტული, მამიკოს და დედიკოს ბიჭი იყო და ბავშვები ფეხბურთის თამაშისას კარშიც არ აყენებდნენ. ზურას ბავშვობისდროინდელი ეზოს ეს ურთიერთობები მწარედ ახსოვდა და ამის გამო სასანიას მიმართ არაობიექტურობას იჩენდა. ერთადერთი, მასზე იძახდა, რომ მესამე კლასში ოროსანი იყო.

აი, ამ კრიტერიუმით დაიწუნა სასანია, თუმცა ვატყობდი, რომ მან ეს ნაბიჯი გააზრებულად ცემს საწინააღმდეგოდ გადადგა. ჟვანია - სააკაშვილს ჩემი ზედამხედველობა, რაზეც 24 ნოემბერს შევთანხმდით, არაფერში ჭირდებოდათ და ამიტომ ჩემი გავლენის შემცირებას ცდილობდნენ. მათ ძალთა ბალანსის თავიანთ სასარგებლოდ დარღვევა დაიწყეს.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „პირველი დონაძე გაიქცა“

http://for.ge/view.php?for_id=40932&cat=3

For.ge

2015-06-13 09:36:48

For.ge განაგრძობს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

მე და ჩემმა პარტნიორმა დათო დვალმა გადავწყვიტეთ, რომ კომუნიკაციების ბიზნესში გადავრთულიყავით. “რუსთავი 2” კი საზოგადოებრივ ტელევიზიად გადაგვექცია. ვაპირებდი ტელევიზიის აქციები ჟურნალისტებისთვის და საზოგადოების პატივსაცემი ადამიანებისთვის მეჩუქებინა.Aამის თაობაზე სააკაშვილსაც ვუთხარი. თუმცა, ამ პროექტს ტელევიზიის ბალანსის გამოსწორების გარეშე ვერ განვახორციელებდით.

ტელევიზიას ყოველწლიურად 3 მილიონი დოლარი დეფიციტი ჰქონდა, რომელსაც ჩვენ “ჯორჯიან ონლაინიდან” ვავსებდით.

ეს, დეფიციტიც პატარკაციშვილის გამო გაგვიჩნდა, ვინაიდან 2001 წელს ჩვენ უკვე მომგებიანი კომპანია გავხდით. ბადრიმ ფასები ხელოვნურად გაზარდა, მე თუ ვუხდიდი ოპერატორს 300 ლარს, მან 1000 დაუნიშნა, თუ ჟურნალისტს ჩემთან მაქსიმუმ 1000 ლარი ჰქონდა, ბადრიმ 1500 დაუნიშნა. მე თუ სერიალს 50 დოლარად ვყიდულობდი, ამან 500 დოლარად იყიდა. მე მეუბნებოდნენ, - კი, ძველი მეგობარი ხარ, მაგრამ 500 დოლარს თუ არ გადაიხდი, მაშინ “იმედს” მივყიდით. საერთაშორისო ბაზარზეც გააქტიურდა. მან “გლობოსთან” ექსკლუზიური ხელშეკრულება გააფორმა და ბრაზილიური სერიალები დაისაკუთრა. კონკურენცია აუტანელი გახდა. შემოსავალი იგივე გვქონდა, ხარჯი კი რამდენჯერმე გაიზარდა. ამას ომის ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე კონკურენციის. მეორეს მხრივ, კომპრომისს ხარისხთან დაკავშირებით არ ვაკეთებდით, ვერც ჟურნალისტს შევუმცირებდით ხელფასს, ისეც ოპტიმიზირებული გვქონდა ყველაფერი.

გარდა ამისა, მე და ჩემს პარტნიორებს გვსურდა, რომ “რუსთავი 2” ისევ დამოუკიდებელ, თავისუფალ ტელეკომპანიად გვექცია. მე რევოლუციის ერთ-ერთი ავტორი ვიყავი და პოლიტიკურ პროცესებში საკმაოდ ჩაბმული, რაც ჩვენს ჟურნალისტებს მოვლენების ობიექტურად გაშუქებისთვის ხელს უშლიდა. ამიტომ ტელევიზიიდან ჩემი დისტანცირებით ტელევიზია უფრო თავისუფალი გახდებოდა. თავად ჟურნალისტებიც არჩევანის წინაშე დადგნენ, ახალი ხელისუფლების წევრებთან მეგობრობდნენ და ესაც ხელს უშლიდა მოვლენების ობიექტურად გაშუქებას.

ჟურნალისტები შევკრიბე და ვუთხარი, ვისაც გინდათ ჟურნალისტობა, დარჩით, ვისაც გინდათ თანამდებობა, არჩევანი გაქვთ და წადით. გურამ დონაძე პირველი გაიქცა, ნანა ინწკირველიც წავიდა, ტაბატაძე საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

ერთ დღესაც, სააკაშვილმა დამირეკა და კრწანისის რეზიდენციაში ასვლა მთხოვა, ის ჯერ კიდევ იქ ცხოვრობდა.

ავდივარ კრწანისში, ლავრენტი ბერიას ყოფილ სახლში. ძალიან ლამაზი სახლია, სადაც ორი ასასვლელია, თუ ეზოდან შედიხარ, მარმარილოს ფოიეში ხვდები, მერე დიდი დარბაზია ბუხრით, საიდანაც აივანზე გადიხარ და თბილისის ულამაზესი ხედი იშლება. მიშამ მთელი ეს ტერიტორია,

სახლიან-ეზოიანად, 10 მილიონად გაყიდა. მაშინ ამბობდა, რომ მას ვითომ არაფერი ჭირდებოდა და მოკრძალებულად იცხოვრებდა. ახლა კი ავლაბარში 200 თუ 300 მილიონიან სასახლეს იშენებს.

ბერიას სახლში მხვდება მიშა და, კიდევ, გამხდარი, ინტელიგენტური გარეგნობის, ფერმკრთალი, სადღაც ასე 45 წლის კაცი, ძვირფას, მაგრამ სადა კოსტიუმში, ნაქსოვ პერანგში. მთლად ქართული იერი არ აქვს, გარეგნობასა და ჩაცმულობაზე ეტყობა, რომ მდიდარია. იმ პერიოდში, სადაც მივდიოდი ყველგან პირდაღებულები მხვდებოდნენ, ცოცხალ ლეგენდასავით მიყურებდნენ. ამ კაცს დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით მსგავსი არაფერი გამოუხატავს, თავისუფლად, მშვიდად შემხვდა. ამან გამაკვირვა და ცოტა დავიძაბე, ჩავთვალე, რომ ან ქართველი არ იყო, ანაც მე საერთოდ არ მიცნობდა. ამასობაში მიშამ ერთმანეთი გაგვაცნო და ეს კაცი ყველაზე მდიდარი ქართველი - ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა, რომელზეც მეც უამრავი ლეგენდა მსმენოდა. მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ის მიშასთან ძალიან დაახლოებული ყოფილა.

2 ნოემბრის არჩევნებსა და რევოლუციის წინა პერიოდში ივანიშვილი მიშას მთავარი დონორი იყო. დანარჩენ პარტიათა უმეტესობას და ზურაბ ჟვანიას პატარკაციშვილი აფინანსებდა. ჟვანიას არ სურდა საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილთან ერთ ბლოკში გაერთიანება, რასაც მე ვაპროტესტებდი, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ერთიანი ძალით უფრო იოლად დავამარცხებდით შევარდნაძის რეჟიმს. ეს მცდელობა ჯერ კიდევ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისას მქონდა, მაგრამ ამათი გაერთიანება არც მაშინ მოხერხდა. ჟვანიას გარემოცვის წევრები, სააკაშვილს კრიმინალებისაგან დაფინანსების გამო აკრიტიკებდნენ. ამბობდნენ, რომ სააკაშვილი თვითმართველობის არჩევნებში კანონიერმა ქურდმა ტარიელ ონიანმა დააფინანსა, რაც ფანტაზიის სფერო სულაც არ არის. სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია ბიზნესმენ მიხეილ სურგულაძესთან მეგობრობს, რომელიც თავის მხრივ ტარიელ ონიანის უახლოესი მეგობარიცაა.

სააკაშვილმა მე და ბიძინა ერთმანეთს გაგვაცნო და რამდენიმე ხნით მარტო დაგვტოვა. ბიძინა ძალაუფლებას შეჩვეული კაცის ტონალობით მესაუბრა. ის ამ ტიპის საუბარს შეჩვეულია, როცა მისი ნათქვამი განხილვას აღარ ექვემდებარება.

- მიხარია, რომ გაგიცანით და ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ იმისთვის, რაც გააკეთეთ. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ეს რევოლუცია არ მოხდებოდა. სულ მქონდა განცდა, რომ “რუსთავი 2”-ს გაყიდდით. მე ვიცოდი, რომ ბადრის თითქმის ნაყიდი ჰქონდა თქვენი ტელევიზია და ამის გამო მე-9 არხს ვაფინასებდი, რათა მთელი სატელევიზიო სივრცე მას არ გაეკონტროლებინა - მითხრა ბიძინამ.

ბადრის მიმართ უარყოფითად საუბრობდა, რაც გულზე სალბუნივით მომხვდა. გამეხარდა იმ ფონზეც, რომ სააკაშვილი და ჟვანია ბადრისთან დამეგობრობას ცდილობდნენ. ჩემთვის ეს დიდი სიურპრიზი იყო.

- მინდა მადლობა გამოვხატო თქვენს მიმართ და რახან ბადრი დამარცხდა, მე მე-9 არხი აღარ მჭირდება, თქვენ გაჩუქებთ მის ტექნიკას, სიხშირეს, შენობებს და რაც მოგეწონებათ ყველაფერი წაიღეთ.

გამიხარდა. კაცი მეცენატია, გჩუქნის. რაც შეეხება პერსონალს, თუ ვინმეს საჭიროდ ჩათვლით თქვენათან გადაიყვანეთ, დანარჩენებზე მე ვიზრუნებ ქუჩაში, რომ არ დარჩნენო.

ასე გადმოვიდა “რუსთავი 2”-ში ანუკა ქინქლაძე, გადმოვიტანეთ ჩართვის მეორე მანქანა, ტოიოტას ჯიპზე დამონტაჟებული უძვირფასესი ტექნიკა. ბევრი არაფერი წამომიღია, ძირითადად, ბიძინასაც წეწავდნენ, ბევრი ფული ჰქონდა გადაყრილი.

მეცხრე არხის ტერიტორიაც დავათვალიერეთ, ვნახე შენობები, ყველა ადგილი ფეხით მოვიარე და ეს ადგილი ჩვენთვის უინტერესო აღმოჩნდა. ეს ის ტერიტორიაა ახლა სადაც “ორთაჭალის ტურფა” შენდება,, მერე ამ მიწის გამო დიდი ხმაური ატყდა და ნაცემი დეპუტატი ვალერი გელაშვილი რეანიმაციაშიც მოხვდა. ჩვენ გვაჩუქეს და უარი ვთქვით.

ივანიშვილმა იცოდა, რომ ჩვენ ტელევიზიის აქციების დარიგებას და მის საზოგადოებრივ მაუწყებლობად გადაქცევას ვაპირებდით. ამ თემაზე თვითონ ჩამოაგდო საუბარი. ამ პროექტის განსახორციელებლად თავად შემომთავაზა დახმარება.

მან მითხრა, რომ “რუსთავი 2”-ის ანგარიშზე 20 მილიონ დოლარს ჩარიცხავდა, რათა ტელეკომპანიას დეფიციტი აღარ შექმნოდა, ხოლო მომავალი აქციონერების სია ერთად უნდა ჩამოგვეწერა. ის აპირებდა ტელევიზიის დამფუძნებლებისთვის მატერიალური კომპენსაცია გადაეხადა.

მას სურდა, რომ ტელევიზიის გენერალურ დირექტორად ისევ მე დავრჩენილიყავი, თუმცა მე ვიუარე, ვინაიდან ზუსტად იმიტომ გავდიოდი ტელევიზიიდან, რომ ჩემი სახელი მას ობიექტურობაში უკვე ხელს უშლიდა.

- ერთადერთი თხოვნა მაქვს, ეს ჩვენი შეთანხმება საიდუმლოდ დარჩეს, მე რუსეთში ვშოულობ ფულს და არ მინდა პუტინმა და რუსეთის ხელისუფლებამ გაიგოს აქ რას ვაკეთებ, ამის გამო შესაძლოა პრობლემები შემექმნას, - მთხოვა მან.

მე ვუთხარი, ერთადერთი ადამიანი, ვისაც ყველაფრის საქმის კურსში ვაყენებ, არის ჩემი პარტნიორი დათო დვალი და მას საკუთარ თავზე მეტად ვენდობი. ამასთან, ჩემს ინტერესში არ შედის ამ პროექტის ჩაშლა.

ამ საუბარს სააკაშვილიც ესწრებოდა, ისიც კმაყოფილი ჭყლოპინებდა. ერთმანეთს კარგად დავშორდით. ამის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ შევხვდით ერთმანეთს. “ქართუს” შენობაში ერთად ვისადილეთ მე, ბიძინამ და კახა ლომაის ძმამ, რომელიც “ქართუ ჯგუფს” ხელმძღვანელობდა. ჩვენი პროექტის ირგვლივ დეტალებს ვათანხმებდით, თითქმის დავმეგობრდით, მართლა სასიამოვნო იყო ჩემთვის ასეთი ალტრუიზმი, ადამიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვეხმაროს, ამხელა მატერიალურ დანახარჯზე მიდიოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ბიძინა გაქრა. მე მასთან შეხვედრაზე მივედი და მის ნაცვლად ლომაიას ძმა დამხვდა, რომელმაც გადმომცა, რომ ივანიშვილს ვანო ჩხარტიშვილმა დაურეკა და ჰკითხა - მართლა “რუსთავი 2”-ს ყიდულობო?

ამის მერე ბიძინა ივანიშვილი საერთოდ აღარ მინახავს. არც მიცდია მისი მოძებნა, მაგრამ გამოვიდა, რომ მან რაღაც მთხოვა და მე ეს ვერ შევასრულე.

ვიღაცამ ჩვენი შეთანხმება გაახმაურა, რაც პირობის დარღვევა იყო. ზუსტად ვიცი, რომ მე და დვალს არავისთვის არაფერი გვითქვამს, ეს არანაირად გვაწყობდა. ლომაიას ძმა ივანიშვილის თანამშრომელი იყო და ამას ნამდვილად ვერ გაბედავდა, ეს მისთვის თვითმკვლელობა იქნებოდა.

რჩება მხოლოდ მიშა სააკაშვილი. შედეგიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეთანხმება მან ჩაშალა. მას დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სატელევიზიო არხი არ ჭირდებოდა. ასეთ არხს ვერც ხელში ჩაიგდებდა, როგორც ეს მოგვიანებით გააკეთა და ძნელადაც თუ გააკონტროლებდა, ვინაიდან

აქციებს საზოგადოებისთვის ნაცნობ წესიერ და პრინციპულ ადამიანებს ვჩუქნიდით. ამიტომ ზუსტად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი და ივანიშვილის შეთანხმება მიშას ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ამ პერიოდში მახსოვს, ირაკლი ჩუბინიშვილმა საკრალური ფრაზა მითხრა, რომელიც თავში ჩამრჩა: მიშას "რუსთავი 2"-ის ეშინია და იძახის - არ მინდა რაღაც დროის მერე "რუსთავი 2"-ზე, "60 წუთში" ჩემზე ჟურნალისტური გამოძიება მოამზადონ, რომ მე სახლი მაქვს ლონდონშიო. მას ეშინოდა "60 წუთში" მოხვედრის, ამ გადაცემის ნახევარი თანამშრომლები სამუშაოდ უშიშროების სამინისტროში გადაიყვანა. მან ბიძინას შემოთავაზება დაბლოკა და ყველაფერი ისე გააკეთა, ვითომ თავად მე დავარღვიე შეთანხმების პირობა.

ბიძინამ სიტყვა შეასრულა, ყველაფერი რასაც დაგვპირდა გადმოგვცა, მაგრამ გაქრა. როგორც ვიცი, შემდეგ, მან ის 20 მილიონი ვანო მერაბიშვილს მისცა, რომლის მცირე ნაწილი "რუსთავი 2"-ის წილის გამოსყიდვისას დათო დვალს გადაუხადეს, დანარჩენი ვანომ და მაგ ბიჭებმა სად წაიღეს, მათ გარდა არავინ იცის.

თებერვლის დასაწყისში, საპრეზიდენტო ინაუგურაციიდან ერთი თუ ორი კვირის შემდეგ მიშა პრეზიდენტის რანგში პირველი ვიზიტით მოსკოვში მიემგზავრებოდა.

სააკაშვილს ვთხოვე, რომ მოსკოვში მის ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდოდი და ვიზიტის მომზადებაში დავეხმარებოდი. ამას ვაპირებდი არა როგორც დიპლომატი, არამედ კერძო პირი, ვისაც რუსეთში ძალიან კარგი ჟურნალისტური სამეგობრო წრე გააჩნდა. ჩემი მეგობრები არიან კისილიოვი, საროკინა, ვენედიქტოვი, პარფიონოვი, მანანა ასლამაზიანი: მათ ჰქონდათ კლუბი, რომელსაც "კლუბ 42" ერქვა და გაერთიანებულები იყვნენ ძალიან გავლენიანი ჟურნალისტები, რომლებიც რუსეთში ჟურნალისტური ეთიკის უმაღლეს სტანდარტს ამკვიდრებდნენ. ვიცნობდი სატელევიზიო ბიზნესის წარმომადგენლებსაც.

ვინაიდან მოსკოვში ეს მიშას პირველი ვიზიტი გახლდათ, ვთვლიდი რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ დაიწყებდნენ რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტები ურთიერთობას. შევარდნაძეს პუტინის უბრალოდ ეშინოდა, საბჭოთა პარტიულ ფუნქციონირებს კგბ-ს შიში ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ პუტინთან შეხვედრისას, ვიზუალურადაც ჩანდა, რომ შევარდნაძე ამ როლიდან ვერ გამოვიდა. ამას დაემატა ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძემ პანკისში კრიმინალური ანკლავის მოსაშლელად რუსეთს სპეცოპერაციის ჩატარებაზე უარი უთხრა. კარგად მოიქცა თუ ცუდად, ამის გამო პუტინი შევარდნაძეზე განაწყენდა და მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია და საქართველოს სავიზო რეჟიმი დაუწესა. მიმაჩნია, რომ ამისგან კარგიც მივიღეთ: ჩვენ დემონსტრირება მოვახდინეთ, რომ ნამდვილად დამოუკიდებლები ვიყავით და ჩვენი სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა დროშა, გერბი და ჰიმნი ბუტაფორია არ იყო.

გარდა ამისა, ითვლება, რომ შევარდნაძემ დაანგრია საბჭოთა კავშირი და შემდეგ ბერლინის კედელი, რასაც რუსული სამხედრო და იმპერიული ელიტა მას ვერ პატიობდა. ამიტომ შევარდნაძეს აღარ ენდობოდნენ. შევარდნაძე მიიჩნევდა, რომ რუსებმა ორჯერ მოუწყვეს მას ტერაქტი. საქართველოს შევარდნაძის გამო სჯიდნენ, მაგრამ აქ სიტუაცია შეიცვალა რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში ის ადამიანები მოვიდნენ, რომლებმაც შევარდნაძე დაამხეს. რუსეთთან ახალი ურთიერთობების დასაწყებად პრეზიდენტების პირველ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველი, რაც გავაკეთე, რუსეთში ჩვენს ელჩს, ზურა აბაშიძეს შევხვდი. ზურა აბაშიძეს მდიდარი დიპლომატიური გამოცდილება აქვს. მისი კარიერა საბჭოთა კავშირიდან დაიწყო, იყო ამ ქვეყნის ელჩი ინდოეთში, შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში.

იგი ირაკლი აბაშიძის შვილია, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უცნობილესი საზოგადო მოღვაწე გახლდათ, მას რუსეთში უამრავი მეგობარი ჰყავს, რომლის გამოყენებასაც ახლა ვაპირებდით. ამას დაუმატეთ რუსეთში მოღვაწე გავლენიანი ქართველები - ზურა წერეთელი, დათო იოსელიანი, გიორგი გიგინეიშვილი, ლეო ბოკერია, გია დანელია, მელორ სტურუა - საქართველოს დიდი პატრიოტი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საბჭოთა ჟურნალისტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აშშ-ში "იზვესტიას" კორესპონდენტი იყო.

2004 წელს მელორ სტურუას 80 წელი შეუსრულდა. მიშა სააკაშვილს დიდი ხვეწნით დავაწერინე მისი ღირსების ორდენით დაჯილდოების ბრძანება, რომელიც მოსკოვში მისთვის დაბადების დღეზე უნდა გადამეცა, მაგრამ სტურუამ დამირეკა - დაბადების დღეს სხვა მიხდის, მას ასლან აბაშიძე დაუპატიჟებია და მოსვლას აპირებსო. ამის გამო მე ორდენი გავუგზავნე, დაბადების დღეზე აღარ მივსულვარ.

რუსეთში პატივსაცემი ადამიანია ვიქტორ გელოვანი, ერთადერთი ქართველი მარშალის - არჩილ გელოვანის ვაჟი.

ზურა აბაშიძეს ვთხოვე რუსეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარესთან, ევგენი პრიმაკოვთან შევეხვედრებინე. პრიმაკოვი გავლენიანი კაცია და მას პუტინის შესახებ ბევრი სასარგებლო რჩევის მოცემა შეეძლო. შევარდნაძე მასზე განხორციელებულ ბოლო ტერაქტისთვის პრიმაკოვს ადანაშაულებდა. შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას პრიმაკოვი ამ უწყებაში მუშაობდა. "ძალიან ცუდად მექცეოდა, სულ ეჭვიანობდა, რომ ფარულად მის წინააღმდეგ ვმოქმედებდი" - მითხრა პრიმაკოვმა. მათ ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ პრიმაკოვის დედა თბილისშია არის დასაფლავებული, შევარდნაძის დროს აქ შეგნებულად არ ჩამოდიოდა.

პრიმაკოვის საყვარელი რესტორანი "კურა" "ჩისტიე პრუდიზე"მდებარეობს. იქ შევიკრიბეთ: პრიმაკოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, პრიმაკოვის სიძე, მძახალი, მისი ბავშვობის ქართველი მეგობარი, გია დანელია, მელორ სტურუა, დათო იოსელიანი და მე.

ამ სუფრაზე პრიმაკოვს ვეუბნები - ევგენი მაქსიმოვიჩ, ვიცი, რომ შევარდნაძეს ვერ იტანდით. ჩვენ რევოლუცია მოვახდინეთ და შევარდნაძე გადავაყენეთ, რომელიც თქვენი და ჩვენი აზრითაც, საქართველოსთვის კარგს ვერაფერს აკეთებდა.

- ახლა ახალი პრეზიდენტი გვყავს, ახალგაზრდა, ტალანტის მქონე, ენერგიული, გვინდა ახალი კარგი საქართველოს აშენება და ჩვენი მთავარი ამოცანაა რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება. მოგვეხმარეთ. პრეზიდენტმა მე გამომგზავნა პუტინთან შეხვედრის მოსამზადებლად და ეგებ გვითხრათ, როგორ უნდა მოიქცეს სააკაშვილი, რომ მან და ვლადიმერ პუტინმა ერთმანეთს გაუგონ. თავადაც გესმით, რამხელა მნიშვნელობა აქვს ორი პრეზიდენტის კარგ ურთიერთობას. კარგი იქნება თუ პუტინთან შეხვედრამდე სააკაშვილი თქვენთან კონსულტაციას გაივლის.

სიამოვნებითო, - მითხრა, -აუცილებლად დავეხმარებიო"

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: რა ესაქმებოდათ ტარიელ ონიანის ძმაკაცებს პრეზიდენტის გარემოცვაში?

http://for.ge/view.php?for_id=41020&cat=3

For.ge

2015-06-20 09:00:17

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

მე მართლაც სერიოზულად დავაინტერესე პრიმაკოვი. სააკაშვილის პირველი ვიზიტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ პრიმაკოვი თბილისში ჩამოვიდა. პრივატული შეხვედრები ჰქონდა ჯერ ჟვანიასთან, მერე მე და ჟვანია შევხვდით. მისი ხელშეწყობით 2004 წლის მაისში თბილისში ბიზნეს-ფორუმი ჩატარდა, რომელშიც რუსმა ოლიგარქებმა მონაწილეობა მიიღეს.

პრიმაკოვი თბილისშია გაზრდილი და ის თავისებური პატრიოტია ჩვენი ქვეყნის. მას უყვარს ეს ქალაქი, ქართველები და თავისებურად აენთო, სურვილი გაუჩნდა დაგვხმარებოდა და დამპირდა, რომ სააკაშვილს პუტინთან შეხვედრის წინ დააკვალიანებდა.

მეორეს მხრივ, ჩემს მეგობარ ჟურნალისტს მანანა ასლამაზიანს ვთხოვე სააკაშვილისთვის რუს ტოპ-ჟურნალისტებთან შეხვედრაში დამხმარებოდა.

ვაპირებდი შევხვედროდი ჟურნალისტ ნატალია გევორქიანს, რომელმაც პუტინზე პირველი წიგნი დაწერა. ნატალია რუსეთის პრეზიდენტს თვეების განმავლობაში ყველგან თან დაყვებოდა და ამ წიგნს მასთან ერთად წერდა. მან ბევრი რამ იცოდა პუტინზე და იმაზეც, თუ როგორ უნდა იმუშაო მასთან.

ჩემთვის რუსეთის პოლიტიკის შიდა სამზარეულო საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც ამ ინფორმაციას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოვიყენებდით. ნაკლებად მაინტერესებდა, პუტინი ლიბერალია, დემოკრატია თუ ვინაა, ან მისი საგარეო პოლიტიკის ვექტორები საითაა მიმართული. ეს რუსების პრობლემაა, ჩემი პრობლემა გახლდათ, რომ რუსეთს საქართველოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა.

სააკაშვილის ვიზიტის და ჩვენი ქვეყნების დაახლოების, რუსული ინვესტიციების საქართველოში ჩადების გეგმებზე ვსაუბრობდით, პრიმაკოვს სიყვარულს ვეფიცები და ამ დროს ზურა აბაშიძეს - საგარეო საქმეთა მინისტრი, თედო ჯაფარიძე ურეკავს. ზურას ჯერ ფერი დაეკარგა, მერე გალურჯდა და ამბობს, რომ მინისტრმა შეატყობინა, რომ ის ელჩობიდან გამოწვეულია!

ზურა შემობრუნდა ჩემსკენ და გაკვირვებული მიყურებს მე - რევოლუციის ერთ-ერთ ავტორს, რომელიც მასთან ერთად გეგმებს ვაწყობდი. თედო ჯაფარიძემ ზურას უთხრა, რომ მისი ელჩობიდან გამოწვევა მას არ გადაუწყვეტია.

მაშინვე ჟვანიას დავურეკე და ვკითხე, პრეზიდენტის ვიზიტამდე სამი დღით ადრე, რატომ გაიწვიეს ელჩი? ზურა მეუბნება - მე არ ვიციო და ყურმილს მიშა სააკაშვილს აჩეჩებს - აჰა, ამას ელაპარაკეო. - შენ არ იცი, მაგან რუსეთში არჩევნები გააყალბა, მაგან ისეთი რაღაცეები ჩაიდინა, როგორ შეიძლება მაგის მანდ ყოფნა, კიდევ მადლობა თქვას, რომ არ ვიჭერ - ხავის მიშა.

2003 წლის ნოემბრის არჩევნების დროს საუბრობდნენ, რომ რუსეთში ხმები ედუარდის და მემარჯვენეების სასარგებლოდ ძალიან გაყალბდა, მაგრამ ელჩი რა შუაში იყო? რუსეთში ელჩობისას მეც ჩავატარე საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ არც გამიგია, საელჩოში ისე მოვიდა საარჩევნო კომისია, ჩაატარა არჩევნები და ხმების 60-65% მიშას პარტიამ აიღო.

- ჩაიაროს ამ შენმა ვიზიტმა და აბაშიძე მერე გაიწვიე - ვუთხარი სააკაშვილს.

მიშამ მიპასუხა, რომ ახლა ელჩად ჩემს უახლოეს თანამებრძოლს კოტე კემულარიას ვნიშნავ და რუსებისთვის ეს უფრო მაგარი მესიჯი იქნება, ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის გასაძლიერებლად, მანდ ჩემს მეგობარს ვნიშნავ.

ზურა აბაშიძე გაშრა, მე სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

იქ იმდენად კარგად აღზრდილი ადამიანები ისხდნენ, რომ ამ ინფორმაციაზე ფურთხება და დედის გინება არ დაუწყიათ. სუფრა დაიშალა, ზურა დარჩა დაბნეული და პარალიზებული. გასათვალისწინებელია, რომ პრეზიდენტის ვიზიტი ყოველთვის დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ვიზიტს კვირეების მაძილზე ამზადებენ. აბაშიძემ უამრავი შეხვედრა დაუგეგმა სააკაშვილს და მოულოდნელად მას ასე უპატივცემულოდ მოექცა.

პრეზიდენტს მოსკოვში დავხვდი. პირველი შეხვედრა სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, პრიმაკოვთან ჰქონდა. პრიმაკოვმა გააკეთა ყველაფერი, მიეხმარა. მათ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან პრიმაკოვი თავის შტაბეჭდილებებს პუტინს გაუზიარებდა. პრიმაკოვმა პუტინი შეხვედრისთვის პოზიტიური განწყობით მოამზადა. თუმცა, შემდეგ, მიშა პრიმაკოვის როლს ძალიან აუბრალოებდა, წარმატება ჩემთვისაც რომ არ გაეზიარებინა.

იმავე საღამოს მეორე შეხვედრა ჟურნალისტებთან გვქონდა. ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტის კომუნალურ სამოთახიან ბინაში ჯინსებში გამოწყობილი სააკაშვილი წავიყვანე. რუსების მიერ გამოყოფილ პრეზიდენტის დაჯავშნულ ლიმუზინში ვსხდებით მე და მიშა და ესკორტის თანხლებით მივდივართ ამ ოჯახში, სადაც გვხვდება 50-60-მდე ჟურნალისტი.

მათ შორის ბევრი ცნობილი ჟურნალისტი. იქაურობა ხალხით გაიტენა. ეს პრივატული შეხვედრა იყო, რა თქმა უნდა, კამერების გარეშე. ამ შეხვედრის პეწიც ეგ იყო, არაფორმალურ ვითარებაში, მიშა ჯინსებში იატაკზე იჯდა და პლასტმასის ჭიქებით ვსვამდით, არაყს, ღვინოს და ათას თემაზე ვსაუბრობდით.

ამ ჟურნალისტებს თავიდან სააკაშვილის მიმართ ძალიან სკეპტიკურად განწყობა ჰქონდათ, თუმცა მე ვეუბნებოდი, არა, ჩვენიანია, ლიბერალია, თავისუფალი ადამიანი, ჰიპი!

მართლაც, დაინახეს ახალგაზრდა ბიჭი, ჯინსებში, იატაკზე, სადაც ხალიჩებიც არ ეფინა და მისდამი სიმპათია გაუჩნდათ. ფაქტიურად, რუსული ჟურნალისტიკის მეტრები მიშასთან დავამეგობრე. რაც აინტერესებდათ, ყველაფერზე ისაუბრეს. შეხვედრის შემდეგ, მეც კმაყოფილი ვიყავი და მიშაც ჭყლოპინებდა.

დილით სააკაშვილი პუტინს უნდა შეხვედროდა. მან ამ შეხვედრაზე 45 წუთი დააგვიანა. იმიტომ, რომ მას ჯერ სასტუმროს აუზში ბანაობა გადაუწყვეტია. მისი ბანაობაც თავისებური კომედიაა - უნდა ნახოთ მიშას ბანაობა, ეს ორმეტრიანი არასპორტული კაცი, სანამ წყალში ჩახტება, ჰაერშივე ხელების ქნევას იწყებს, თითქოს უნდა გაფრინდესო და ზღართანით ეშვება წყალში, რაც სასაცილო სანახაობაა.

იბანავა, აუზიდან ამოსვლა დააგვიანდა, მას დროის შეგრძნებაც საკმაოდ არეული აქვს და ამის გამო რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე 45 წუთით დააგვიანდა. პუტინთან შეხვედრაზე წავიდნენ - მიშა, კოტე კემულარია, რომელიც ელჩი არ იყო, მაგრამ სააკაშვილი მას ელჩად ასაღებდა, რაც პროტოკოლის დარღვევაა, ოქრუაშვილი და პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელი.

მეორე კომიკური ისტორია ის იყო, რომ მან სხვადასხვა შარვალი და პიჯაკი ჩაიცვა, რაც ხშირად

ემართებოდა. მაშინ ვთვლიდით, რომ იგი მაღალი მატერიებით იმდენად იყო დაკავებული, რომ ასეთ წვრილმანებს ვერც კი ამჩნევდა. საერთოდაც, დიდი ადამიანები ხომ დაბნეულები არიან?! მიშას შეიძლებოდა სხვადასხვა ფეხსაცმელი ცმოდა და ეს ითვლებოდა იმ შარმად, იმ ქარიზმად, რომლის გამოც ხალხს სააკაშვილი უყვარდა.

პუტინთან შეხვედრის შემდეგ მიშა აღარ მინახავს. მე მასთან უკვე დისტანცირებული ვიყავი და პრეზიდენტთან ურთიერთობისას წესს ვიცავდი, მას თავისი ახლო წრის ხალხი შემოერტყა: თედო ჯაფარიძე, გელა ბეჟუაშვილი, დიდი შავი სათვალით ფოიეში სრულიად მოულოდნელად ბიძამისი თემურ ალასანია გამოჩნდა. იქვე ვნახე უცნაური პერსონაჟები - ძმები ხიხინაშვილები, რომლებიც რუსეთის დაზვერვის შეფის პატრუშევის მეგობრები არიან, მერე მათ ჩვენთან მეტალურგიულ ქარხანაზე დიდი პრეტენზიები ჰქონდათ; მიშა სურგულაძე, ტარიელ ონიანის ძმაკაცი. მოკლედ, სასტუმრო “მერიოტში” უცნაური წარმოშობის ქართველები “გაიჩითნენ”.

პუტინ-სააკაშვილის შეხვედრის დეტალებზე ოქრუაშვილი მომიყვა. დაგლიჯა, ძალიან მაგარი ვიზიტი იყოო - იძახდა ოქრუაშვილი. რატომ, ირაკლი-თქო - ვკითხე. ჩვენ ვიცოდითო, რომ როცა პუტინი კარგ ხასიათზეა, რელაქსაციის დროს იგინებაო, როცა ჩვეულებრივზე 2-3 -ჯერ გაგრძელებული შეხვედრის შემდეგ გამოვედით და საქმიანი ლანჩი გაიმართა, პუტინი იგინებოდაო, ანუ ძალიან კმაყოფილი დარჩაო?!

ამის შემდეგ, სააკაშვილი რუს ბიზნესმენებს შეხვდა. ამ შეხვედრაზე მე, გოგი თოფაძე და სააკაშვილი ვიყავით. თოფაძე წამოიყვანა როგორც უდიდესი ქართველი ბიზნესმენი, მეინსტრიმი. იგი, რატომღაც, მიშასთან ახლობლობდა. შეგხვდნენ ჩუბაისი, დერიპასკა, ბენდუქიძე - მაშინ ჯერ იქაური ოლიგარქი, გენერალოვი, იტერას ხელმძღვანელი - მაკაროვი, სულ 15 ტოპბიზნესმენი.

მოსკოვურმა ვიზიტმა კარგად ჩაიარა. მიშას და პუტინის ურთიერთობა ფანტასტიურად დაიწყო. მათ ერთმანეთს გაუგეს და ერთმანეთს დიდი სიმპათიით დაშორდნენ. იმის ლაპარაკი, რომ პუტინი თავიდანვე გადაკიდებული იყო მიშაზე, არასწორია.

ჩემთვის გაუგებარი დარჩა, საიდან გაჩნდა ის უცნაური ხალხი ჩვენს ირგვლივ და რა ესაქმებოდათ ტარიელ ონიანის ძმაკაცებს პრეზიდენტის გარემოცვაში?

მე ხომ ჩემი მისია შევასრულე, გარდა ამისა, მიშას ქალებსაც ვართობდი, ლელა კილაძეს - სააკაშვილის გრიმიორს და მარიკა ვერულაშვილს რესტორან-კაფეებში დავატარებდი. სააკაშვილს გრიმიორი ოფიციალურად, სატელევიზიო გამოსვლების წინ გრიმის წასასმელად ჭირდებოდა და მას პირისფარეშივით სულ თან დაატარებს. ლელა კილაძე ახლა გრიმიორი აღარაა, თბილისის მერიაში ძალიან დიდი თანამდებობაზე მუშაობს და დიდ საქმეებს აკეთებს.

სავაჭრო პალატა

ახალმა ხელისუფლებამ უცნაური საკადრო პოლიტიკა დაიწყო. ეს ძალიან მანერვიულებდა და ხშირად ვფიქრობდი ჰქონდა, თუ არა ჟვანიას პრემიერ მინისტრის და სააკაშვილს - პრეზიდენტის კომპეტენცია. 2003 წლის შემოდგომაზე სააკაშვილი ვერც კი იოცნებებდა, რომ წლის ბოლოს პრეზიდენტი გახდებოდა. ამიტომ არც თავად და არც მისი გუნდი ამხელა ძალაუფლების ხელში ასაღებად მზად არ იყვნენ. სააკაშვილის გუნდს მისი პარტიის წევრები - ვანო მერაბიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, გია ხევიაშვილი, გია ნაცვლიშვილი და კოტე კემულარია წარმოადგენდნენ.

“თავისუფლების ინსტიტუტი” სადღაც, ნახევრად დანგრეულ შენობაში შეხიზნული ცალკე ჯგუფი იყო,

რომლის წევრებს მაქსიმალიზმისთვის პერიოდულად ხან მამა ბასილის მხარდამჭერები, ხანაც ლევან მამალაძის “ზონდერკამანდები” ცემდნენ. ბოკერია, ლევან რამიშვილი და ამ ჯგუფის სხვა წევრები სულ ცემა-ტყეპაში ჰყავდათ, ამიტომ ისინი ხალხს ეცოდებოდა, თუმცა მათ წინააღმდეგ პროპაგანდა ძლიერად მუშაობდა და ხალხს არწმუნებდა, რომ ესენი იეღოველები იყვნენ, რის გამოც ესენი ბევრს ეზიზღებოდა.

სააკაშვილის გუნდში არ იყო ზურა ადეიშვილი, რომელსაც, მიშას თხოვნით, მოგვიანებით ვარწმუნებდი, რომ იუსტიციის მინისტრი გამხდარიყო. სააკაშვილის გუნდს არც კახა ლომაია წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, არც სააკაშვილმა და არც ჟვანიმ არ იცოდნენ რისთვის უნდა გამოეყენებინათ ხელისუფლება. შესაძლოა, ზურა ჟვანიამ თავის შესაძლებლობები დროებით დამალა, რომელსაც მომავალში, თუ პრეზიდენტი გახდებოდა, მერე გამოიყენებდა. მიშამ მხოლოდ ის იცოდა, რომ პრეზიდენტი შევარდნაძის და მისი გარემოცვის ლანძღვითა გახდა და პირველივე დღიდან ყოფილი ჩინოვნიკების მასობრივი დაპატიმრება დაიწყო.

ინგლისელმა ჟურნალისტმა, ჯონათან ლითლმა ამ კამპანიის თაობაზე ძალიან საინტერესო წერილი დაწერა, სათაურად ერქვა - “საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ - ლიბერალურ-ბოლშევიზმის ახალი ექსპერიმენტი.” ეს წერილი მოგვიანებით წავიკითხე და გავოცდი, იმდენად კარგად ასახავს 2004 წლის მარტ-აპრილის მოვლენებს.

ვფიქრობდი, რომ მიშაც და ზურაც “ლიბერალები” იყვნენ. ზურაზე ახლაც ასე ვფიქრობ, თუმცა სააკაშვილი არანაირი ლიბერალური ღირებულების მატარებელი არ აღმოჩნდა, ის კლასიკური ავტორიტარული მმართველია.

ხელისუფლებში მოსვლის შემდეგ სააკაშვილს მარტივი და ცინიკური გეგმა ჰქონდა, მას მიაჩნდა, რომ მოკლე დროში ეფექტის მისაღწევად, ძველი შენობების ფასადები უნდა ეღება და ეღება. მისი აზრით, თუ რუსთაველის პროსპექტს თანამედროვედ მოაწყობდა, მას ლამპიონებით გაანათებდა და ფასადებს შეალამაზებდა ხალხი ამით კმაყოფილი იქნებოდა. შემდეგ კი იმ პოპულარობის ფონზე, რომელიც მას გააჩნდა - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეეცდებოდა. მისთვის და ქვეყნისთვის სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, მან დასახული გეგმა, მხოლოდ ფასადების შეღებვის ნაწილში შეასრულა.

რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ რევოლუცია არ მსურდა. მე ეს მართლა არ მინდოდა. მოვლენების ასეთ განვითარებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: შევარდნაძე სუსტი მმართველი იყო და ის და მისი კორუმპირებული გარემოცვა ხალხს მობეზრებული ჰქონდა; „რუსთავი 2“-ს ხელისუფლება და ბადრი პატარკაციშვილი განვითარების საშუალებას უსპობდნენ. ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძოდით და ამას რევოლუცია მოჰყვა, რის შემდეგაც ფიქრი დავიწყე, თუ როგორ უნდა გამოგვეყვანა ქვეყანა კრიზისიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჩვენ, ცხოვრების დონით, ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა ვიყავით. შევარდნაძის დროს საქართველო ეკონომიკური თვალსაზრისით და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, არა მარტო სომხეთს და აზერბაიჯანს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა ქვეყანას ჩამორჩებოდა.

მართალია, პოლიტიკური ძალაუფლების აღებას მოვერიდე, ვინაიდან ტელევიზიის მფლობელი ვიყავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ქვეყნის განვითარების კონცეფციის შექმნასაც გამოვკლებოდი.

მიმაჩნდა რომ ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად ჩვენ არც სათანადო ცოდნა გვქონდა და არც საამისო გამოცდილება, ამიტომ ქვეყნის განვითარების კონცეფციის დამუშავება უცხოელი ექსპერტებისთვის უნდა შეგვეკვეთა. ასეთად ეგორ გაიდარი მესახებოდა. გაიდარმა რუსეთის

პოსტსაბჭოთა ეკონომიკა კაპიტალისტურ რელსებზე გადაიყვანა. ის კარგად იცნობს იმ სირთულეებს, რაც მსგავსი ტიპის ეკონომიკების გაჯანსაღებას ესაჭიროება და მას შევთავაზე, კიდეც დაეწერა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მისეული ხედვები. გაიდარი დამთანხმდა, მან ამისთვის 250 ათასი დოლარი მოითხოვა, რაც აბსოლუტურად მისაღები ფასია. მზად ვიყავი ეს თანხა ჩემი ჯიბიდან გადამეხადა.

ვინაიდან გაიდარი მაინც, პოსტსაბჭოთა ეკონომიკის ექსპერტია, მისი ნაშრომი ძირითად დოკუმენტად არ უნდა წარმოგვედგინა. მქონდა ინიციატივა ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე სოლიდური კონფერენცია ჩაგვეტარებინა. ჩემი წარმოდგენით, უნდა მოგვეწვია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის რამდენიმე ლაურეატი, გამოჩენილი რეფორმატორები და ასევე მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოგვეწვია ცნობილი ეკონომისტები.

გვქონდა წინადადება, რომ ეს კონფერენცია კენიაში ჩაგვეტარებინა. შეგვეძლო მყუდრო გარემოში ჩავკეტილიყავით და ეს ფუნდამენტური ნაშრომი შეგვექმნა. ჩვენი მხრიდან მე და პრემიერ-მინისტრი ვგეგმავდით ამ კონფერენციაში მონაწილეობას. სააკაშვილს მსგავსი ტიპის პრობლემები არ აწუხებდა. მისთვის მაშინ უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ იჟღერებდა ახალი ჰიმნი.

მინდოდა შეგვექმნა საქართველოს მრავალწლიანი განვითარების გეგმა, რაზეც დღესაც ვლაპარაკობ. ამ გეგმით უნდა მომხდარიყო ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და ნორმალური, განვითარებული ქვეყნის წყნარად ჩამოყალიბება.

გვსურდა, რომ თვითოეულ სფეროს განვითარებაზე გაწერილი პროგრამით გვემუშავა. გლობალური ეკონომიკის პირობებში რა უნდა გამხდარიყო სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტული დარგი, რა იქნებოდა საექსპორტო კულტურები, ჩაი მოგვეყვანა თუ არა? მეღვინეობა როგორ განგვევითარებინა, სად, რომელ რაიონში აჯობებდა მეცხოველეობის განვითარება, შეგვესწავლა ტრადიციული და ახალი ბაზრები. ეკონომიკის რა სფეროები წამოგვეწია - მძიმე მრეწველობა, მოპოვებითი მრეწველობა, ტურიზმი თუ სხვა. რა უნდა ყოფილიყო პრიორიტეტი მეცნიერებაში, განათლების სფეროში და ასე შემდეგ. მთავარია, რომ ეს პრობლემები სისტემურად განიხილებოდა. უნდა შეხედო სად არის შენი ტრადიციული ბაზრები, რომელი დარგის განვითარება შეგიძლია, ქვეყანას რისი წარმოების პოტენციალი აქვს, შეგვეფასებინა ადამიანური რესურსები - ასეთ ფუნდამენტურ გამოკვლევას ვაპირებდით.

ამ დოკუმენტის მომზადების შემდეგ უნდა შემდგარიყო მთავრობის ეკონომიკური გუნდი, რომელიც რეფორმატორულ ღონისძიებებს კვალიფიციურად განახორციელებდა. ჩვენ საამისო ხალხი არ გვყავს, ამიტომ უცხოეთში კვალიფიციური ადამიანები მინისტრებად უნდა დაგვექირავებინა.

ჩვენ პრემიერ-მინისტრად კარგა ხანს ბრიტანეთის მოქალაქე ლადო გურგენიძე გვყავდა, თავდაცვის მინისტრად - ისრაელის მოქალაქე კეზერაშვილი, ეკონომიკის მინისტრად ამერიკის მოქალაქე - ეკა შარაშიძე, რუსეთის მოქალაქეები არიან - საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე და ეკონომიკის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი - კახა ბენდუქიძე.

არ ვიცი ეს ხალხი რა ნიშნით შეარჩიეს, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ჩვენთვის, მთავარი იყო ქვეყნის წინსვლისთვის ჭკვიანი მინისტრები გვყოლოდა, მათი მოქალაქეობას სულ არ მივაქცევდით ყურადღებას.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „ბარამიძე ამბობდა, რურუა მკვლელიაო“

http://for.ge/view.php?for_id=41068&cat=3

For.ge

2015-06-23 22:43:18

For.ge აგრძლებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

რეფორმები ხალხისთვის მძიმე იქნებოდა და ამიტომ მათი ავტორები გარანტირებულად არაპოპულარულები იქნებოდნენ. მათი ნაშრომი შედეგს წლების შემდეგ მოიტანდა. მთავარი იყო შეგვექმნა რეფორმის ფუნდამეტი, რომელიც შეუქცევად პროცესად გადაიქცეოდა. ჩემი წინადადება გახლდათ, რომ რეფორმატორებისთვის ე.წ "ოქროს ქოლგა" შეგვექმნა, ანუ 5 წლის შემდეგ, როცა შედეგს მივიღებდით, თითოეული მათგანი რამდენიმე მილიონ დოლარს მიიღებდა და მშვიდად გააგრძელებდა ცხოვრებას.

ჩემთვის სამაგალითოა დუბაის ფენომენი. პირდაპირ სასწაულია, რაც გაერთიანებულ ემირატებში ხდება: ამ უდაბნოში ლამის ყოველდღე შენდება ცათამბჯენები, უდაბნოში ერთი პალმის შენახვაზე ყოველწლიურად დაახლოებით 5 000 დოლარი იხარჯება, იხსნება უნივერსიტეტები და ამ ფენომენის ფუნდამენტი ბრიტანულ განათლებაში დევს, რომელიც შეიხის ოჯახის რამდენიმე წევრმა მიიღო. მათ ქვეყანაში ინგლისელი ექსპერტები ჩამოიყვანეს და მათთან ერთად შექმნეს ეს საოცრება. ამ ქვეყანაში ნავთობიდან და გაზიდან შემოსავალი მთლიანი ბიუჯეტის მხოლოდ შვიდ პროცენტს შეადგენს.

გასული 5 წლის მანძილზე ჩვენ, რომ რეფორმები გაგვეტარებინა ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდებოდა. ფასადების ღებვით მხოლოდ ფასადურ წარმატებას მოიმკი, აგვისტოს ომმა ეს, სამწუხაროდ, ნათლად აჩვენა.

შესაძლოა ასეთი შედეგის მიზეზი, ისიც იყო რომ სააკაშვილი საკადრო პოლიტიკას ძალზე ზერელედ ეკიდებოდა. ალბათ თავიდანვე განზრახული ჰქონდა, რომ ყველაფერი თვითონ ემართა და ამის გამო დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ვინ რისი და როგორი მინისტრი იქნებოდა.

ძალოვან მინისტრებს პრეზიდენტი ნიშნავდა, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებაში არასოდეს ჩავრეულვარ. აქ პროფესიონალი კადრები უნდა დაეწინაურებინათ და წარმოდგენა არ მქონდა ვინ ივარგებდა თავდაცვის, უშიშროების ან შინაგან საქმეთა მინისტრებად.

ჩემთვის გაუგებარი იყო რა დამსახურებისთვის დანიშნეს, გიგი წერეთელი ჯანდაცვის მინისტრად. გიგი წერეთელი შევარდნაძეს ოპოზიციაში ისე ჩაუდგა, რომ არც მანამდე და არც ამის შემდეგ, მის წინააღმდეგ ხმა არასოდეს ამოუღია. 5 ნოემბერს საპროტესტო აქციაზე გაიარ-გამოიარა, მერე შეხედა მოვლენებს, 20 ნოემბერს წავიდა და შარდი ჩააბარა, რომ ამ გაყალბებული არჩევნებით, დეპუტატის მანდატი მიეღო და რევოლუციის შემდეგ, უცბად სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში აღმოჩნდა. გიგი ყველა ხელისუფლებაში იქნება, ის მარადიული ფიგურაა, სააკაშვილს სულ არ დაუპირისპირდება, ისე გადაინაცვლებს მომავალ ხელისუფლებაში.

ეს კაცი დანიშნეს ჯანდაცვის მინისტრად და ორ კვირაში თქვა, აღარ მინდა მინისტრობა, ისევ პარლამენტარობა მირჩევნიაო და ალღომ არ უმტყუნა: მას შემდეგ რამდენიმე ჯანდაცვის მინისტრი გამოიცვალა, გიგი მერამდენიმეღაცედ გახდა დეპუტატი და თავს კომფორტულად გრძნობს.

ასევე, გაუგებარი გახლდათ კონფლიქტების დარეგულირების მინისტრად გოგა ხაინდრავას დანიშვნა. ხაინდრავა არანაირი რევოლუციონერი არ იყო, გოგა 15 ნოემბერს შეუერთდა საპროტესტო აქციის

მონაწილეებს და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უმალვე მინისტრად დანიშნეს.

თავდაპირველად, კონფლიქტების დარეგულირების მინისტრად ნიკა რურუას კანდიდატურას განიხილავდნენ და ჟვანია მის გამინისტრებას აპირებდა, მაგრამ გია ბარამიძე სასტიკი წინააღმდეგი წავიდა: მკვლელია, ბანდიტი, "ბოროტების საძმოს" წევრი იყოო - გაიძახოდა და ჟვანიამ მის დანიშვნაზე თავი შეიკავა და მინისტრი ხაინდრავა გახდა. ხაინდრავა ზურასთან მეგობრობდა და ეს ფაქტორი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას ის მინისტრად დაენიშნა.

ამ ხალხის კომპეტენტურობაშიც და გულწრფელობაშიც ეჭვი მეპარებოდა, ორივენი ბოლო მომენტში შემოგვიერთდნენ და თუ რევოლუცია დამარცხდებოდა, წერეთელს შარდი ჩაბარებული ჰქონდა და დეპუტატი გახდებოდა, ხაინდრავას კი დამსახურება ჰქონდა - ის ხომ ოპოზიციის კანდიდატებს უპირისპირდებოდა არჩევნებში, რასაც მას ალბათ დაუფასებდნენ.

„რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნიკა ტაბატაძემ სანაიას მკვლელობის შემდეგ მიმატოვა და ინგლისში წავიდა, მერე ამერიკაში ჩავიდა და რევოლუციამდე გაქრა. არადა, მე მას "რუსთავი 2"-ის წილის 10 პროცენტი ვაჩუქე, იმის დასამტკიცებლად, რომ მას ძალიან ვენდობოდი. ეს ტაბატაძე რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდა და სააკაშვილმა მასზე მკითხა, რას იტყვი ეკონომიკის მინისტრად რომ დავნიშნოო. - "აუ, არა რატომ, რა ეკონომიკის მინისტრი ტაბატაძე იქნება, რაის ეკონომიკა, ეგ უბრალოდ უსინდისო კაცია", - ვუკივლე სააკაშვილს.

ტაბატაძეზე ნაწყენი ვიყავი, შუა გზაში ჯერ აქ ჩვენ მიგვატოვა და მერე ინგლისში მისი მეუღლე ნინო ქაჯაიაც მიატოვა, რომელმაც აქ ჟურნალისტის წარმატებული კარიერა მიატოვა და მაგას "დეკაბრისტის" ცოლივით უკან გაჰყვა.

მეც უსინდისოდ მომექცა. ის ნაჩუქარი წილი გაყიდა და ფული შეირგო, ხოლო კრიტიკულ სიტუაციაში ერთხელაც არ გავხსენებივართ.

მიუხედავად ამისა, მე სააკაშვილს მაინც ვუთხარი, მაგის დანახვაც არ მინდა და შენ სადაც გაგეხარდება იქ დანიშნე - მეთქი.

სააკაშვილი ადგა და ტაბატაძე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნა. ეკონომიკის მინისტრად რატომ ნიშნავდა ან საგარეო საქმეთა სამინისტროში რატომ დანიშნა - ერთმა სააკაშვილმა უწყის.

ძირითად მიზნად, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას ვისახავდით და ჟვანიამ ეკონომიკის მინისტრად აბსოლუტურად მოუმზადებელი, 26 წლის ახალგაზრდა - ირაკლი რეხვიაშვილი სრულიად უარგუმენტაციოდ დანიშნა.

რეხვიაშვილის დანიშვნამდე ეკონომიკის მინისტრის პოსტი მე შემომთავაზეს.

მიხეილ სააკაშვილმა დამირეკა და პეროვსკაიას ქუჩაზე ნორვეგიულ რესტორანში დამპატიჟა. ეს რესტორანი იმით იყო ცნობილი რომ მწვადს ქვებზე წვავდნენ. მივედი. აქ დამხვდნენ სააკაშვილი, ჟვანია, მიშა მაჭავარიანი და ირაკლი ჩუბინიშვილი.

სააკაშვილმა ამათი თანდასწრებით მითხრა: ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ და ვფიქრობთ, რომ იქნებ შენ გახდე ეკონომიკის მინისტრი.

პირველად რევოლუციის მეორე დღესვე ვთქვი თანამდებობაზე უარი, მიშას არც ამჯერად დავთანხმდი. ჩემი არგუმენტაცია მარტივად ჩამოვაყალიბე: მანამ, სანამ მე „რუსთავი 2“-ის მფლობელი და დირექტორი ვიყავი, ჩემი მინისტრად დანიშნვა შეუძლებლად მიმაჩნდა, ვინაიდან მერე მართლა ოლიგარქობას დამაბრალებდნენ, რაც ძალიან არ მსურდა და ამასთან, სააკაშვილს ვურჩიე, იქნებ მინისტრად ჩემზე გამოცდილი ეკონომისტი დაენიშნა. ამის მერე დანიშნეს მინისტრად ეს ირაკლი რეხვიაშვილი.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ზურა ჟვანიამ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტობა შემომთავაზა. ჟვანიას თქმით, ეს არ იყო სახელმწიფო თანამდებობა, შემეძლო ბიზნესში ლეგალურად დავრჩენილიყავი და პარალელურად ქვეყანაში ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე მემუშავა. ჟვანიას სიხარულით, დაუფიქრებლად დავთანხმდი და რამდენიმე დღეში სავჭრო პალატის წევრთა ყრილობა გაიმართა.

ყრილობაზე პრემიერ-მინისტრი და ეკონომიკის მინისტრები მოვიდნენ. ჟვანიამ ბიზნესმენებს მიმართა, რომ პალატის თავმჯდომარედ მათ სიხარულით წარუდგენდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენს და მის მეგობარს - ეროსი კიწმარიშვილს.

“ვიოცნებოთ, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლიდან პირველივე წელს, ინვესტიციამ მილიარდს გადააჭარბოს, აი ეს არის ჩემი ორიენტირი” - ვუთხარი ბიზნესმენებს და დავპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი მათთვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შესაქმნელად.

მე გავხდი საჭრო პალატის ხელმძღვანელი, რაც პრესამ შეაფასა, რომ ხელისუფლებამ ბიზნესის სახედ კიწმარიშვილი აირჩია. საზოგადოებას და მით უფრო ბიზნესმენებს, თავიანთი მენტალობიდან გამომდინარე ისე წარმოედგინათ, რომ ყველა საქმეს და მათ შორის ბიზნესმენთა დავებს გადავწყვეტდი. Iსინი ფიქრობდნენ, რომ მე ბიზნესში “ქურდი” გავხდი.

ჩემამდე სავაჭრო პალატას ედუარდ შევარდნაძის მძახალი, პაატას სიმამრი გურამ ახვლედიანი ხელმღვანელობდა. ამ დროს ის უკვე ქვეყნიდან გაიქცა. მის სახელს ბევრი ჩრდილოვანი საქმიანობა უკავშირდებოდა, იგი არაოფიციალურად მართავდა ფოთის პორტს, მასვე მიაწერდნენ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის 150 მილიონ დოლარიან დავალიანებას.

პირველად, რაც ამ თანამდებობაზე ყოფნისას გავაკეთე, კინოთეატრ “ამირანის” დარბაზში ბიზნესმენთა ყრილობა მოვიწვიე. ვფიქრობდი, რომ აუცილებელიად უნდა გამოგვეცხადებინა ფინანსური ამნისტია. ეს მთავარ ღონისძიებად მესახებოდა. ჟვანიამ შემომთავაზა, ყრილობის მუშაობაში ბიზნესმენთა ფედერაციაც გაგვერია, რომლის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი გახლდათ. მე დავთანხმდი, თუმცა მერე ბადრი ფინანსური ამნისტიის ავტორობაში შემომიზიარდა.

ყრილობას მსხვილი და საშუალო ბიზნესის 1000 წარმომადგენელი დაესწრო. ვინც თავს ბიზნესმენად თვლიდა ყველა დავაპატიჟებინე.

პირველ რიგში ვსხედვართ ჟვანია, სააკაშივილი და მე. ყრილობა მე გავხსენი. მე ვთქვი, რომ სახელმწიფომ ბიზნესს სამართლიანი თამაშის წესები უნდა დაუწესოს, რათა ბიზნესმენი პირნათელი იყოს ბიუჯეტის და ქვეყნის წინაშე, ხოლო მეორეს მხრივ, თავად დაცული იყოს ხელისუფლებისგან. მიმაჩნდა, რომ შევარდნაძის დროს, უვარგისი საგადასახადო კოდექსი გვაიძულებდა შემოსავლები დაგვემალა და ბევრი უსამართლო გადასახადისთვის გვერდი აგვევლო. მას შემდეგ, რაც ჩვენ ხელისუფლების სათავეში მოვედით, უნდა შევეცადოთ, რომ ყველა იყოს მხოლოდ კანონის წინაშე ვალდებული და არავითარი სხვა ვალდებულება მათ არ ჰქონდეთ.

ჩემი ინიციატივით ხელისუფლებას ახალი საგადასახადო კოდექსი უნდა მიეღო, სადაც გადასახადები ოპტიმიზირებული გახდებოდა და თანაც შემცირდებოდა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მაშინ ბიზნესს გააჩნდა ამ კოდექსის ბუნდოვანი შინაარსი იყო. ერთი და იგივე წინადადებას შენ კითხულობდი ერთნაირად, შენი ფინანსისტი წაიკითხავდა მეორენაირად, და როცა საგადასახადო სამსახურის წარმომადგენელი მოგაკითხავდა ის ამას მესამენაირად წაგიკითხავდა. შემდეგ ეს ჯიბიდან კოდექსის მუხლის განმარტებას გააძრობდა და მისი მიხედვით ვალებს დაგიწესებდა და მერე იწყებოდა ვაჭრობა, რომ მოდი ამდენს გადაგიხდი და ეს ვალი ჩამომაწერე. ამის გამო ყველა კრიმინალურ საქმიანობას ჩავდიოდით, მოკლედ, რომ ვთქვათ, საქართველოში ბიზნესმენს თუ რამის კეთება უნდოდა, ყველას რაღაცა უნდა მოეპარა. საგადასახადო კოდექსი დამოკლეს მახვილივით გვეკიდა თავზე.

ფინასური ამინისტიის გამოცხადებით ჩვენ ბიზნესმენებთან ურთიერთობას სუფთა ფურცლიდან დავიწყებდით. მხოლოდ ერთი პირობა გვქონდა, ყველას უნდა გამოეცხადებინა რა თანხა ჰქონდა ბიუჯეტისთვის გადამალული, რომელსაც ამნისტია ჩამოაწერდა და რის შემდეგაც, ახალი სამართლიანი საგადასახადო კოდექსის მიხედვით პატიოსნად უნდა დაეწყოთ გადასახადების გადახდა.

ჩემს შემდეგ პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა დაადასტურეს, რომ ჩემს ინიციატივებს მხარს უჭერდნენ.

ამის შემდეგ, ტრიბუნაზე ბადრი პატარკაციშვილი მივიპატიჟე. ბადრი სცენაზე ამოვიდა და ჩემს გვერდით დადგა. უამრავი სურათი გადაგვიღეს, გაზეთები ჯერ წერდნენ, რომ ჩვენს შორის კონფრონტაცია დასრულდა, ხოლო მოგვიანებით ჩვენს ერთობლივ ფოტოებზე დააწერეს: „ვინ გაიმარჯვებს ოლიგარქების ომში“.

ბადრის მიმართ მე ტოლერანტულად განვეწყვე, ამიტომ მივიპატიჟე ტრიბუნაზე. მე მისგან ყოველთვის თავს ვიცავდი, არც ერთხელ კონფრონტაციაზე პირველი არ წავსულვარ. თუ დაპირისპირება დასრულდებოდა მე ეს ნამდვილად არ მეწყინებოდა.

მინდოდა სავაჭრო პალატა ბიზნესმენთა აქტიური შეხვედრების ადგილად მექცია. ეს მის ძველ ვიწრო და მოუხერხებელ ოფისში წარმოუდგენელი იყო, ეს ფართი მხოლოდ კულუარული შეხვედრებისთვის გამოდგებოდა, მე კიდევ ღია, საჯარო ფორუმების თუ შეხვედრების ჩასატარებლად ვემზადებოდი.

ზურა ჟვანიას ვთხოვე, რომ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე საქინფორმის ნახევრად უფუნქციო შენობა უზურფუქტის წესით, სავაჭრო პალატას გადმოსცემოდა. ეს საბჭოთა პერიდში, 30-იან წლებში ე. წ. სოცარტის სტილში აგებული ულამაზესი შენობაა. საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი შედევრი. ჩემი გეგმით, მოზიდული ინვესტიციების საშუალებით ეს შენობა მოწვეულ რუს არქიტექტორებს საბჭოთა სტილში უნდა გაერემონტებინათ. ამ მიზნით, საქინფორმის დირექტორად “რუსთავი 2”-ის წამყვანი ნინო ხოშტარია დავანიშნინე, რომელსაც, ჩემი აზრით, საკმაოდ კარგი გემოვნება აქვს.

განახლებული სავაჭრო პალატის პირველ სართულზე პრესკონფერენციების დარბაზი უნდა მომეწყო, სადაც ბიზნესმენები ჟურნალისტებს შეხვდებოდნენ. აქვე ახალგაზრდა ბიზნესმენებისთვის სასწავლო სემინარებს ჩავატარებდით. ეს უნდა გამხდარიყო უცხოელ ბიზნესმენებთან კომუნიკაციის ადგილი. მეორე მხარეს, იქ სადაც, სარდაფში თეატრია განთავსებული, მსხვილი ბიზნესმენებისთვის დახურული კლუბი უნდა მოგვეწყო. ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც ამ კლუბის ძვირადღირებულ ბარათს იყიდდა ამ კლუბის წევრი გახდებოდა და მათთვის საინტერესო საკითხებზე ნებისმიერი რანგის და ინტერესის შეხვედრებს მოვაწყობდი. შენობის მეორე სართულზე თავად სავაჭრო პალატა განთავსდებოდა, თავისი დივერსიფიცირებული მიმართულებებით.

ფაქტობრივად, ქალაქის ცენტრში სახელმწიფო ერთი თეთრის დაუხარჯავად ულამაზეს და უძვირეს შენობას მიიღებდა, რომელშიც ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ მრავალმხრივი მუშაობა გაჩაღდებოდა.

სამწუხაროდ, ჩემი პროექტი რიგი მიზეზების გამო, რომელსაც შემდგომ მოგახსენებთ, ვერ განხორციელდა. ეს შენობა, კი მგონი 5 მილიონ დოლარად გაყიდეს და ის დღესაც ბინძურად გამოიყურება, სადაც პირველ სართულზე სიგარეტის ჯიხურებია ჩამწკრივებული.

პარალელურად, ჩემი ბიზნესის განვითარებაზე ვზრუნავდი. ”ჯორჯიან ონლაინში” ჩემს პარტნიორებთან, დათო დვალთან და მერაბ ბუზალაძესთან ერთად კომუნიკაციის ბიზნესის განვითარების მარტივი სქემა შევიმუშავეთ.

ფიქსირებულ ქსელებს, რომელსაც პოპულარული ენით, ქალაქის ტელეფონს ვეძახით, ახალ სეგმენტს, ე.წ უმავთულო სატელეფონო კომპანიას დავუმატებდით და უმსხვილეს კომპანიას მივიღებდით, რომლის საერთო კაპიტალიზაცია სოლიდური თანხა გახდებოდა. ამ უკაბელო სატელეფონო კომპანიის შესაქმნელად ლიცენზიის აღებას ვაპირებდი. ჩვენ უკვე შეთანხმებული ვიყავით ფრიდონ ინჯიასთან, ვისაც კერძო კომპანია “ახალი ქსელები” ეკუთვნის, ჩვენი რესურსები გაგვეერთიანებინა. ამ რესურსით გავერთიანდებოდით „ელექტროკავშირთან“, რომელიც სახელმწიფო კომპანიად დარჩებოდა, მაგრამ ამ ყველაფრის მენეჯმენტს, ხუთი წლის ვადით ჩვენ განვახორციელებდით.

„ელექტროკავშირს“ 300 000 აბონენტი ჰყავდა, ახალ ქსელებს - 180 000.

დადგენილია, რომ საშუალოდ, ერთი სატელეფონო აბონენტი 300 დოლარი ღირს. 300 000 აბონენტის პირობებში ელექტროკავშირის მთლიანი ღირებულება 90 მილიონი გამოდიოდა, თუმცა ეს არარეალურად მაღალი ფასია, ვინაიდან ამ 300 ათასიდან აქტიური 150 000 ათასი აბონენტია, ანუ თბილისის მოსახლეობა. რაიონების აბონენტთაგან წლიური შემოსავალი მიზერულ თანხას შეადგენს. შევარდნაძის პერიოდში პირობითად ელექტროკავშირის ფასი 50 მილიონს თუ შეადგენდა.

ჩვენი მენეჯმენტის პირობებში, როცა სერვისს გავზრდიდით, დავამატებდით საკაბელო ტელევიზიას, ინტერნეტს, ოპტიკურ - ბოჭკოვან კაბელს, და მომხმარებელთა არეალს მნიშვნელოვნად გავზრდიდით, 5 წლის თავზე ამ კომპანიის ფასი ნახევარი მილიარდი გახდებოდა.

ამის შემდეგ, თვითონ სახელმწიფო გადაწყვეტდა, როგორ გაეყიდა ეს კომპანია: პირველი, შესაძლოა კომპანია დაექსაქსა და ცალ ცალკე სეგმენტად გაეყიდა. მარტო ვაკის 22-იან ატეესს 100 მილიონ დოლარად გავყიდდით. მეორე გზა იყო, კომპანიის ლონდონის ბირჟაზე გაყიდვა. მესამე, შეგვეძლო ეს სტრატეგიული ინვესტორისთვის მიგვეყიდა, ისეთებისთვის, როგორებიცაა - ბრითიშ ტელეკომი, თურქტელეკომი, ფრანსტელეკომი ან დოიჩეტელეკომი.

ჩვენ აქ უნდა მოგვეყვანა მსხვილი ინვესტორი და არა სპეკულიანტები ყაზახეთიდან, რომელთაც, რაღაც ფული ჩადეს ამ ბიზნესში და ეს სფერო სულს ღაფავს, რის გამოც ხან სატელეფონო და ხანაც ინტერნეტ მომხმარებელია დაზარალებული. სფერო არ ვითარდება. ჩვენმა ხელისუფლებამ „ელექტროკავშირი“ 80 მილიონ დოლარად გაყიდა, როცა ჩვენი გეგმით ამაზე მეტ თანხას ერთი ატეესის გაყიდვიდან მივიღებდით. ასეთი სტრატეგიით, ჩვენ ყველა მოვიგებდით. თუკი მე 50 მილიონიან კომპანიას ნახევარ მილიარდ დოლარის ღირებულებამდე გავზრდიდი, ჩვენი ბიზნეს ჯგუფი წარმატებული ბიზნეს პროექტისთვის 10 პროცენტს მიიღებდა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმაა.

გარდა იმისა, რომ ვაპირებდით „ელექტროკავშირის“ მენეჯმენტის ხელმძღვანელობას, ჩვენი საკომუნიკაციო ბიზნესი 5-6 სეგმენტს მოიცავდა. შესაძლებელი იყო მობილური კომპანიაც შემექმნა და ფიჭური კავშირგაბმულობის სეგმენტშიც დავმკვიდრებულიყავით. ამას გარდა, რახან ბიზნესში დარჩენას ვაპირებდი, გადავწყვიტე მეხამრიდის ფუქცია მეკისრა და ხელისუფლებაში გადაბარგებული რევოლუციონერებისთვის ფინანსურად ხელი გამემართა.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: ნიკა რურუა თვალებს აცეცებდა

http://for.ge/view.php?for_id=41146&cat=3

For.ge

2015-06-29 22:00:26

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ინაუგურაციის შემდეგ პირდაპირ აჭარაში ჩავიდა და ბათუმში ასლან აბაშიძემ მას, როგორც ქვეყნის მთავარსარდალს სამხედრო აღლუმი მოუწყო. სააკაშვილი დემონსტრირებას ახდენდა, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი ის იყო. ცხადად ჩანდა, რომ მიშა ასლან აბაშიძის თავნებობას არ დაუშვებდა. მით უფრო, რომ აბაშიძე ცენტრალურ ხელისუფლებას აღიზიანებდა, აჭარა შევარდნაძის დროინდელი მაღალჩინოსნების თავშესაფარი გახდა. ასე შეაფარა ბათუმს თავი რკინიგზის ყოფილმა ხელმძღვანელმა აკაკი ჩხაიძემ, რომელზეც გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და პასუხისგების თავიდან ასაცილებლად მან ბათუმს მიაშურა, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გია ბარამიძემ მის დასაპატიმრებლად ვერტმფრენით სპეცრაზმი გადასხა და ოპერაცია წარმატებით ჩაატარა.

ხელისუფლებას ბუნებრივია აშფოთებდა სარფის საბაჟოც, რომელსაც ის ვერ აკონტროლებდა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენდა.

ბათუმში ვიზიტის შემდეგ, სააკაშვილმა საპრეზიდენტო ფიცი დავით აღმაშენებლის საფლავზე - გელათის მონასტერში დადო და მის უპირველეს მიზნად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გამოაცხადა. მან მითებში გადაინაცვლა. სააკაშვილის ამ მიმართულებით სწრაფვა ასლანს თრგუნავდა, ისევე როგორც თრგუნავდა თავად სააკაშვილიც: ასლანი სიმაღლით, მგონი მეტრი და 55 სანტიმეტრია, მიშა კიდევ - 2 მეტრზე მაღალი.

გარდა პოლიტიკური ოპონირებისა, აბაშიძე და სააკაშვილი ერთმანეთს პიროვნულადაც ემტერებოდნენ. რამდენიმე წლით ადრე, მიშა საპარლამენტო არჩევნებში კენჭს ვაკის რაიონში იყრიდა და არჩევნების წინ თბილისში ვიდეოკასეტები გავრცელდა, სადაც მიშა აბანოში ბანაობის დროს ვიღაც მეგობარ ქალს ესაუბრებოდა და თან ანანიზმს ეწეოდა. ამ კასეტას მიშას მეტოქე კომპრომატად იყენებდა. ეს ვიდეომასალა აჭარაში, დაბა ჩაქვის სასტუმროში ფარულად გადაიღეს და სააკაშვილი ამის გამო აბაშიძეს ადანაშაულებდა. ამდენად, მიშას ასლანის მიმართ შურისძიებაც ამოძრავებდა.

სააკაშვილი ასლანზე ზეწოლას აძლიერებდა. იქ ჯერ რესპუბლიკური პარტია გააქტიურდა, რომელთა ლიდერებს ასლანთან დიდი ხნის დაპირისპირება ჰქონდათ, მერე ვანო მერაბიშვილმა და გივი თარგამაძემ ასლანის გარემოცვის წევრების და მაღალი თანამდებობის პირების მოსყიდვა და გადმობირება დაიწყეს, რის გამოც დაძაბულობამ პიკს მიაღწია. მე ამ დროს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პროექტებზე ვმუშაობდი და ამ პროცესებში არ ვმონაწილეობდი. ჩემთვის შემაშფოთებელი გახლდათ ის, რომ ასლანს გარემოცვაში ვიღაც რუსი გენერალი ნეტკაჩოვი ჰყავდა, რომელიც იქ რაღაც სპეცრაზმებს აყალიბებდა და ვშიშობდი, რომ დაპირისპირება სისხლისღვრაში არ გადაზრდილიყო.

სიტუაციის განსამუხტად ასლანთან მორიგეობით ჩავიდნენ ზურაბ ჟვანია, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, მაგრამ ამ ვიზიტებმა შედეგი ვერ მოგვცა.

ამის შემდეგ, სააკაშვილს ვუთხარი, რომ მე ჩავიდოდი ასლანთან მოსალაპარაკებლად. ჩემთვის ამის გაკეთება უფრო იოლი იყო, ვინაიდან მე სახელმწიფო თანამდებობა არ მქონდა, რაც ლავირების მეტ საშუალებას მაძლევდა, თანამდებობრივი პასუხიმგებლობისგან თავისუფალი ვიყავი და შემეძლო თამამად მესაუბრა. მთავარი იყო, გამეგო რა სურდა ხელისუფლებას ასლანისგან, რომ მისთვის სათქმელი ზუსტად ჩამომეყალიბებინა.

ხელისუფლებას სურდა, რომ ასლანი გადამდგარიყო და ამის სანაცვლოდ უსაფრთხოების გარანტიას მიიღებდა. მისი ოჯახი შეინარჩუნებდა იმ ბიზნესებს, რომელიც მანამდე გააჩნდათ. ასევე თუ ქვეყნის დატოვებას მოისურვებდა მას უსაფრთხოების კორიდორს გაუკეთებდნენ. მისი გადადგომის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტს მისი ვაჟი - გიორგი ჩაიბარებდა.

ასლანს, რომელსაც განდიდების მანია სჭირდა და ფიქრობდა, რომ დედამიწა მის ირგვლივ ტრიალებდა, ვერავინ უბედავდა პირდაპირ თქმას, რომ ერთადერთი გამოსავალი მისი თანამდებობიდან წასვლა იყო. ეს მისია ჩემს თავზე ავიღე და გადავწყვიტე ბათუმში ნიკა რურუა წამეყვანა. ეს იმიტომ, რომ გიორგი აბაშიძე მის ძმასთან მეგობრობდა.

გიორგი აბაშიძე ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა. ის ძვირადღირებული მანქანებით მოძრაობდა, ერთობოდა, თავს აწონებდა ქალებს, მაგრამ ამას პროვინციულ ბათუმში ნაკლები ფასი ჰქონდა, ამიტომ მისი გართობის ძირითადი ადგილი თბილისი იყო. ეს ყველა ქართველი ახალგაზრდისთვის ასეა, გასართობად ბათუმი და ზღვა მხოლოდ ზაფხულშია კარგი. მართალია, გიორგი აბაშიძეს ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ასლანის შვილობით ევროპული ახალგაზრდობის “ტუსოვკის” წევრი ვერ გახდებოდა, მას ამის გაქანება არ ჰქონდა. სად ეამაყება ქართველს რომ კარგად ჩანდეს? შარდენზე, ვაკეში, ბარნოვზე, აი აქ დადიოდა გიორგიც და აქაურ ახალგაზრდებთან ინტეგრირებული იყო. მამამისისგან განსხვავებით, რომელიც დედაქალაქში საერთოდ არ ჩამოდიოდა, გიორგის თბილისური კავშირები გვაძლევდა საშუალებას, რომ ის თანამდებობრივადაც ასლანის მემკვიდრედ განგვეხილა.

რურუამ წინასწარ დაურეკა გიორგი აბაშიძეს და გადასცა, რომ მამამისთან მოსალაპარაკებლად ჩავდიოდით და ამ შეხვედრის ორგანიზება გაეკეთებინა.

ბათუმში ჩემი მანქანით წავედით. ყოველთვის დამთრგუნველად მოქმედებდა მდინარე ჩოლოქზე ავტონომიის საზღვრის გადაკვეთა. ასლანს იქ პოლიციელთა გაძლიერებული რეჟიმი ჰქონდა დაწესებული. თუმცა, ამ ჯერზე ძალიან თავაზიანად დამხვდნენ, უკვე ძალიან ცნობილი ადამიანი ვიყავი და დიდი ფაცი-ფუცით ბათუმამდე ესკორტით ჩაგვაცილეს.

ბათუმში კორტებთან მდებარე სასტუმროსთან გიორგი აბაშიძე გველოდებოდა. ეს ტერიტორია საგანგებოდ დაცული ჰქონდათ, ყველა ხის უკან შეიარაღებული პირი იდგა და ერთი კილომეტრის რადიუსში ასლანის და მისი გარემოცვის გარდა არავის ჰქონდა გავლის უფლება.

გიორგი აბაშიძეს პირველად შევხვდი, ძალიან გამხდარი, ფერმკრთალი, დაღლილი თვალებით იყურებოდა და წყნარად საუბრობდა. მისი მონსტრობის თაობაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ, თუმცა პირად ურთიერთობაში უსიამოვნო შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. როგორც ამბობდნენ, მაშინ აქტიური ნარკომანი იყო.

გიორგის ავუხსენი, რომ ვითარების ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო და სახელმწიფოს გავლენის გაძლიერება მათი ოჯახის ინტერესების შეულახავად რომ განხორციელებულიყო, მაქვს წინადადება, რომ ასლანის ადგილი შენ დაიკავო, ვინაიდან ის ჯიუტი კაცია, დღევანდელ ხელისუფლებასთან ბოლომდე გაფუჭებული აქვს ურთიერთობა და მასთან მორიგება ძალიან არარეალურად ჩანს მეთქი.

გიორგიმ წყნარად მომისმინა, მას არც შეკითხვები დაუსვამს და არც წყენა გამოუხატავს, - კი, რაA თქმა უნდა, მამაჩემს შეგახვედრებთო და ამბის გადასაცემად ასლანთან წავიდა.

ახლა ველოდებოდი, რომ ასლანი თავისი ცნობილი რიტუალიდან გამომდინარე, მთელ დღეს აქ დაგვაყუდებდა, მაგრამ გიორგიმ სწრაფადვე დაგვირეკა, ასლანი ნახევარ საათში მიგიღებთო და მისი რეზიდენციისკენ წავედით.

ასლანს მისაღებში თბილისიდან გაქცეული ფირმა “ომეგას” პრეზიდენტი ზაზა ოქუაშვილი და მისი მეუღლე, ყოფილი პარლამენტარი ნატო ჩხეიძე ელოდებოდნენ.

კაბინეტში შევედით, შემდეგ ასლანი მეორე ოთახიდან შემოვიდა და ხელის ჩამორთმევის დროს ზრდილობიანი, ღიმილიანი სახით ვეკითხები - როგორ ბრძანდებით ბატონო ასლან?

- როგორ ვიქნები შენს ხელში, - მპასუხობს ის და მე ვიცინი, ჩავთვალე რომ მეხუმრება.

ჩემს სიცილზე ასლანს სახე მოეღუშა. “შენი მოაწყვე ეს რევოლუცია, შენ დაღუპე ეს ქვეყანა, ხო ხედავ რა დღეში ვართ და რა არის აქ სასაცილო” - შემომწყრა ის.

- ბატონო ასლან, მთლად ასე არ არის ყველაფერი და ახლა იმიტომ ჩამოვედი, რომ თუ თქვენს თავს რაიმე ცუდი ხდება ეს პრობლემაც იქნებ როგორმე მოვაწესრიგოთ, - ვეუბნები მას.

- გისმენ, - მპასუხობს ის.

- ბატონო ასლან, მე ბევრი ვიცი თქვენი ოჯახის ისტორიის შესახებ და ხშირად მომისმენია თქვენგან, რომ ხართ მრავალსაუკუნოვანი, უცნობილესი ქართული გვარის წარმომადგენელი და თქვენმა გვარმა და თქვენმა ოჯახმა ბევრი იღვაწა, რომ აჭარა საქართველოს ფარგლებში დარჩენილიყო და ამაში თქვენს წინაპარს მემედ აბაშიძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ამიტომ მე ვთვლი, რომ იგივე თქვენი გვარის ისტორიიდან გამომდინარე, თქვენ უფლება არ გაქვთ, რომ საქართველოს იტორიაში ახლა ცუდი როლი ითამაშოთ, მე მაქვს თქვენთან წინადადება, რომელსაც თუ დათანხმდებით, ვფიქრობ მთელ ქვეყანას გამოადგება.

- რას გულისხმობ, იქნებ პირდაპირ მითხრა, - მოუთმენლად მკითხა ასლანმა.

- ბატონო ასლან, საქართველოს პატრიოტი ხართ და თქვენი გვარის, ასე ვთქვათ, კარგი ტრადიციის გამგრძელებელი, ამიტომ ახლა უნდა გაითვალისწინოთ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით ძლიერი ხელისუფლება გვყავს, რომელიც მოვლენებზე ადექვატურად რეაგირებს, ამიტომ სიტუაციის განსამუხტად, საჭიროა, რომ ამ ხელისუფლებას კანონის და კონსტიტუციის ფარგლებში დაემორჩილო, მაგრამ ვთვლი, რომ თქვენ ეს არ შეგიძლიათ და იქნებ რამე ფორმით სხვა გამოსავალი მოვძებნოთ, არც თქვენი ოჯახის ინტერესი რომ შეილახოს და საქმეც გამოვიდეს.

- რას გულისხმობ, - იკითხა ასლანმა.

მე ვუთხარი, რომ ახლა ის დროა, რომ ასე ვთქვათ ჩემოდნები ჩაალაგოთ და ხელისუფლება დათმოთ, ჩვენ ხელშეუხებლობის გარანტიას მოგცემთ და ვფიქრობთ, რომ თქვენს ადგილზე თქვენი შვილი გიორგი დარჩეს მეთქი.

ამ საუბრისას ვატყობ ასლანს ფერი ეცვლება, ეს კაცი უცბად ლურჯდება, მერე წითლდება, მწვანდება და უცბად გაცოფებული სკამიდან წამოხტა და ყვირილი დაიწყო - ჩემს კაბინეტში რას მიბედავთ, რას მეუბნებით, რომ მე პოსტიდან და ქვეყნიდან წავიდეო?

- ჰო, გეუბნებით, რომ პოსტიდან უნდა წახვიდე, - მშვიდად ვეუბნები ასლანს.

- ამ თემაზე კი არა, საერთოდ აღარ მინდა თქვენთან საუბარი - იყვირა ასლანმა და ოთახიდან გავარდა. ჩვენც წამოსასვლელად წამოვდექით. რურუა და გიორგი აბაშიძე გაფითრდნენ. ასლანის კაბინეტის ტრაგიკული ისტორიები ხომ ყველასთვის ნაცნობია. სულაც არ იყო გამორიცხული ნოდარ იმნაძის ისტორია განმეორებულიყო.

მე და რურუა ჩამოვდივართ კიბებებზე და ეს თვალებს აცეცებს საიდან შეიძლება, რომ გვესროლონ. მთელ შენობაში ასლანს შეიარაღებული "ამბალები" ეყენა. ეზოში ჩამოვედით და მანქანით უკან გამოვემგზავრეთ. გიორგი აბაშიძე გზაში დაგვეწია, მამამისის საქციელის გამო ბოდიში მოგვიხადა და ზრდილობიანად დაგვემშვიდობა.

სააკაშვილმა ასლანზე წნეხი გააზლიერა და 2004 წლის 5 მაისს ასლან აბაშიძე ოჯახთან ერთად მოსკოვში გაიქცა.

2003 წლის თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში "ბურჯანაძე- დემოკრატების" ბლოკი "ნაციონალურ მოძრაობას" შეუერთდა და ამ საარჩევნო სუბიექტს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა. რევოლუციის შემდეგ ეს არც იყო გასაკვირი. ამომრჩეველთა უდიდესი მხარდაჭერის გამო, იმდენი დეპუტატი გაყავდათ, რომ ამხელა მხარდაჭერის გამო ვანო მერაბიშვილმა, რომელიც საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა, აღარ იცოდა სიაში ვინ ჩაეწერა. მეც შემომთავაზა, ერთი ათი კაცი მოიფიქრე, რომ სიაში ჩავწეროო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამხელა წარმატებისთვის ეს ჯგუფი მზად არ იყო, ამიტომ საქმე კურიოზამდე მივიდა. მე შემეძლო გამეხსენებინა სოფელში მცხოვრები ნათესავები, მეგობრები ან უბრალოდ კარგი ნაცნობები და პარლამენტში ერთი ფრაქცია მექნებოდა. თუმცა, პოლიტიკური ძალაუფლების აღებაზე არასდროს მიფიქრია და ვანოს ვუთხარი, საპარლამენტო სიები ჩემი საქმე არ არის, ვინც გინდა სიაში ის ჩაწერე-თქო. სამწუხაროდ პარლამენტში ისეთი ხალხი მოხვდა, მათ უმრავლესობას მარტო ოჯახში იცნობდნენ და ფაქტობრივად უამრავმა ადამიანმა შრომითი ბიოგრაფია დეპუტატობით დაიწყო, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მანამდე ბოლნისსა და ზუგდიდში შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთი-ორჯერ მარჯვედ ქვები ესროლეს.

ვშიშობდი, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მაღალი რეიტინგის გამო, პარლამენტი ერთპარტიული

გახდებოდა და პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური პარტიები ქუჩის აქციებს დაიწყებდნენ, რაც ნებისმიერი ხელისუფლებისთვის უსიამოვნოა. ამას ემატებოდა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც იმდენად უსუსურები და მორჩილები იყვნენ, რომ ყველაფერს მხარს უჭერდნენ.

პარტიების წინასაარჩევნო რეიტინგის მიხედვით, მეორე ადგილზე ლეიბორისტები გადიოდნენ, მაგრამ საეჭვო იყო, გადალახავდნენ თუ არა საარჩევნო შვიდპროცენტიან ბარიერს. მე ვანო მერაბიშვილს ვესაუბრე, რომ იქნებ შალვა ნათელაშვილს დავხმარებოდით, რომ პარლამენტში მოსახვედრად საჭირო რაოდენობის ხმები მიეღო.

ამის შემდეგ, ნათელაშვილს რამდენჯერმე შევხვდი. პირველ შეხვედრაზე შალვა სულ ბუზღუნებდა და მეჩხუბებოდა, რადგან თვლიდა რომ ის მე დავღუპე. ნათელაშვილმა სააკაშვილს 2001 წლის ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში მოუგო, ამიტომ ის ფიქრობდა, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი მას ჰქონდა და შევარდნაძის Eშემდეგ პრეზიდენტი გახდებოდა. მისთვის მოულოდნელად, რევოლუცია მოხდა და პრეზიდენტი ამ რევოლუციის ხარჯზე სააკაშვილი გახდა. ამიტომ გამწარებული ნათელაშვილი გულისჯავრს იყრიდა, მისი აზრით, პრეზიდენტობა მე დავაკარგვინე რადგან “ვარდების რევოლუცია” მოვაწყვე. მან ერთხელ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა კიდეც, რომ ეროსი კიწმარიშვილი და “რუსთავი 2” რომ არ ყოფილიყვნენ სააკაშვილი “უბნის კოლორიტი” იქნებოდაო, აი, “პლეხანოველი” გიჟი მარინას ვარიანტი.

შალვას ვუთხარი, რომ ჩვენ მას დავეხმარებოდით, ტელევიზიის საშუალებით, კიდევ რამენაირად, რომ პარლამენტში შემოსულიყო. ჩემი რჩევა იყო, რომ “მრეწველთა” პარტიასთან გაერთიანებულიყო, რაც საქმეს ყველას გაგვიადვილებდა. შალვა ძალიან დაინტერესდა, ვინაიდან მისი პარტიის ფინანსები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გაიყვანს თუ არა ხალხს პარლამენტში. ის გამსვლელ სიაში ხშირად ყველასთვის უცნობ ხალხს წერდა, ცხადია, მატერიალური დაინტერესების გამო, რომლებიც შემდეგ პირველივე სხდომაზე სახელისუფლებო ფრაქციაში გარბოდნენ.

ხელისუფლებამ სხვაგვარად განსაჯა, “მრეწველები” და “ახალი მემარჯვენეები” გააერთიანა და ესენი შეიყვანა პარლამენტში. ცხადია ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება ბადრი პატარკაციშვილთან მეგობრობის გამო მიიღეს. დამარცხებულმა ბადრიმ მაინც მოახერხა, რომ პარლამენტში ფრაქცია შეექმნა.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „მეორე ფრონტს გოგორიშვილი ხელმძღვანელობდა

http://for.ge/view.php?for_id=41192&cat=3

For.ge

2015-07-02 23:41:17

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას.

საპარლამენტო სიების დაკომპლექტებისგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ უფრო აქტიურად უნდა

ჩავრეულიყავი კონსტიტუციური ცვლილებების მიღების პროცესში.

ზურა ადეიშვილმა საქმის კურსში ჩამაყენა, რომ პრემიერ - მინისტრის პოსტის შემოღების გამო კონსტიტუციაში ცვლილებები შეჰქონდათ, ბურჯანაძე პარლამენტის ინსტიტუციონარულ დასუსტებას აპროტესტებდა და ამაზე სულ ბუზღუნებდა. ადეიშვილს ვუთხარი, რომ შენ, სააკაშვილი და ბურჯანაძე ყველანი იურისტები ხართ და როგორმე უჩემოდ გადაწყვიტეთ რა სახის კონსტიტუციური ცვლილებები უნდა გაატაროთ მეთქი.

ჩემი პრობლემებით გადაღლილი ვიყავი და ვფიქრობ ზერელედ მოვეკიდე ამ საკითხს. საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტზე მეტი უფლებები მიიღო, რის გამოც საქართველოში ბევრი პროცესი არასწორი გზით წარიმართა.

ამის გამო ბურჯანაძე დღემდე მსაყვედურობს, რომ მე ძალთა ბალანსის თაობაზე სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის 24 ნოემბრის შეთანხმება არ დავიცავი, რომელიც ამ შეთანხმების გაკონტროლებას გულისხმობდა.

ნინო ბურჯანაძემ ასევე გააპროტესტა საპარლამენტო კვოტები. თუ არ ვცდები “ნაციონალური მოძრაობის” სიით პარლამენტში საბოლოოდ 135-ზე მეტი დეპუტატი მოხვდა, საიდანაც ბურჯანაძის კვოტა მგონი 15 კაცი იყო.

სააკაშვილი ამ დროს კანცელარიაში თავის კაბინეტს “რუსთავი 2” ში ჩემი კაბინეტის ყაიდაზე არემონტებდა და სახელმწიფო ჰიმნის შერჩევით იყო დაკავებული. არჩევნების წინ, მისი მთავარი საზრუნავი და გასართობიც - ახალი ჰიმნი გახლდათ. მან ბაბინაზე ფალიაშვილის მუსიკა მომასმენინა, რომელიც ცუდი ხარისხით იყო ჩაწერილი და თავად მუსიკაც, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ თითქოს დაუმთავრებელია. “არა, ჩვენ ახლა ამ მუსიკის ხელახალ არანჟირებას გავაკეთებთ და ეს იქნება ახალი ჰიმნი” - ჩემს შეფასებას არ დაეთანხმა სააკაშვილი და ჰიმნის მუსიკაზე მუშაობა გააგრძელა.

ჟვანიასთან დაპირისპირება

რევოლუციის შემდეგ მე და ზურა ჟვანია დემონსტრაციულად ვმეგობრობდით, თუმცა ჩვენს ურთიერთობას ძნელად თუ დაარქმევდი მეგობრობას.

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენს შორის დაძაბულობა რამდენჯერმე წარმოიქმნა: პირველად, 2003 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, როცა მე მას ვუთხარი, რომ ბადრი პატარკაციშვილს ჩემთვის დარღვეული შეთანხმების სანაცვლოდ პირგასამტეხლო უნდა გადაეხადა. ჟვანიამ მხარი არ დამიჭირა, რაც ჩემი ტელეკომპანიის არსებობისთვის შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო. მეორედ, მაშინ განაწყენდა, როცა შეუძლებელს მთხოვდა, “გლობალ სტრატეგი გრუპის” ეგზიტპოლის შედეგი არ გამოაქვეყნო, ვიცი, რომ არასასურველი რეიტინგი მაქვსო. შემდეგ ბადრი პატარკაციშვილს კომპანია “ბრითიშ პეტროლიუმიდან” 35 მილიონი დოლარის მიღებაში დაეხმარა, როცა მე მიმაჩნდა, რომ ეს თანხა სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ, თითქოს კვლავ დათბა ჩვენი ურთირთობა, როცა მან სავაჭრო პალატის თავმჯდომარედ წარმადგინა, ჩემი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

შემდეგ ისევ დაგვეძაბა ურთიერთობა და ამის მიზეზი სახელმწიფო ტელევიზიის დაფინანსების საკითხი გახდა. მე ვითხოვდი, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნილი სახელმწიფო პირველი არხი ძლიერ ტელეკომპანიად ჩამოყალიბებულიყო. ამ არხს ხელისუფლების რუპორის ფუნქცია უნდა ეტვირთა,

ვინაიდან “რუსთავი 2” მუდმივად ამ ფუნქციას ვერ შეასრულებდა. თავდაპირველად მე ხელისუფლებას ლოიალური დამოკიდებულებით ვანებივრებდი, რადგან მიმაჩნდა, რომ ახალი ხელისუფლება ჯერ სუსტი იყო და მას დახმარება ესაჭიროებოდა. ჟვანიას ავუხსენი, რომ „რუსთავი 2“-ის ფუნქცია არ იყო ხელისუფლების ქება-დიდების ტირაჟირება, ეს, ჩვენს ჟურნალისტებს, რომლებიც თავისუფალი ადამიანები იყვნენ, არც ესმოდათ და წარმოდგენაც არ ჰქონდათ ეს როგორ კეთდებოდა. ამ ჟურნალისტებმა რევოლუციისთვის დარაზმეს ხალხი, რევოლუციამ გაიმარჯვა და ამის შემდეგ ესენი თავისუფლად აზროვნებას როგორ გადაეჩვეოდნენ? მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნდა, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც, როცა არხი პროტესტის ნიშნად უამრავმა საინტერესო ადამიანმა დატოვა.

ამიტომ ჟვანიას შევთავაზე, მე გამათავისუფლე ამ წნეხისგან, სახელმწიფო პირველ არხს დაფინანსება გაუზარდე, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი ძლიერი ტელეკომპანია გაკეთდეს მეთქი.

პირველი არხის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია რეფორმირების და არხის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის 25 მილიონ ლარს ითხოვდა. იმხანად ამ ტელეკომპანიის ბიუჯეტი 12 მილიონ ლარს შეადგენდა.

25 მილიონის გაგონებაზე ჟვანია გადაირია, ძალიან ბევრიაო. შენგელიას მაქსიმალურად დავაწურინე ბიუჯეტი, რაღაც პროექტების განხორციელებაზე უარი ვათქმევინე და ამ პირობებში არხს სასიცოცხლოდ 15 მილიონი ლარი ესაჭიროებოდა.

თურქეთში ვიყავი, როცა ზაზა შენგელიამ დამირეკა და მითხრა, რომ პირველ არხს 9 მილიონი ლარი გამოუყვეს.

გავგიჟდი. თურქეთიდან ჟვანიას დავურეკე და ვეჩხუბე. მიმაჩნდა, რომ მას სპეციალურად არ სურდა, არც სახელმწიფო არხის გაძლიერება და “რუსთავი 2”-ის რეიტინგიც თუ დაბლა დაიწევდა, ესაც არ ეწყინებოდა, ვინაიდან ამ პერიოდში ბადრისთან გარიგებული იყო და მას მხოლოდ “იმედის” მზარდი პოპულარობა ახარებდა. ჩვენ კი პრესაში უკვე დაგვცინოდნენ, რომ “გამარჯვებული ხალხის ტელევიზია” სახელისუფლებო არხი გახდაო.

თურქეთიდან 3 მაისს დავბრუნდი. ეკა ხოფერიამ, საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, მითხრა, რომ ვიღაც ანდრიაძეებს ელიავას ბაზრობის წილებს ართმევდა “პაპუასა” - ზაზა პაპუაშვილი, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ ჟვანიას პოლიტიკურ ოპონენტს ვახტანგ რჩეულიშვილს პარლამენტში თავი გაუტეხა და ჟვანიას გუნდს “კუალდად” ჰყავდა. „მერე გააკეთე სიუჟეტი. მე რატომ მითანხმებ?”- ვეკითხები ხოფერიას“. „არა, იცი რა ხდება? მასთან ერთად ზურა ჟვანიას ძმა - გოგა ჟვანიაც არის და რა ვიცი, საქმის კურსში ჩაგაყენე” - მითხრა ხოფერიამ.

ხოფერიას ვუთხარი, რომ მე თავზე ხელის გადასმას აღარავიზე ვაპირებდი და როგორც მას უნდოდა ისე მოემზადებინა სიუჟეტი.

სიუჟეტი ეთერში გავიდა და გააფრთებულმა ჟვანიამ დამირეკა:

- ეს რა გააკეთე, ჩემს ძმას როგორ შეეხე? - აკანკალებული ხმით მეუბნება, - შენ არ იცი რა დღეში ჩაგვაგდე, დედაჩემი ძალიან ცუდად გახდა, ამას არ გაპატიებ,”- მემუქრება პრემიერ-მინისტრი.

მე ვუპასუხე, რომ “ჯერ ერთი, მე არაფერი გამიკეთებია, მეორეც, საერთოდ არ ვერევი ჟურნალისტების საქმიანობაში და ეს როგორც გინდა ისე გაიგე”. „მაშინ ყველაფერი გასაგებიაო”, - და მან ტელეფონი გათიშა.

მეორე დილას, როცა გავიღვიძე ჩემს წინააღმდეგ უბინძურესი ცილისმწამებლური კამპანია უკვე დაწყებული ჰქონდათ. ჟვანიამ საამისოდ შექმნა შტაბი, რომელის ხელმძღვანელობა “რეზონანსის” რედაქტორს ლაშა ტუღუშს შეთავაზეს, მაგრამ მან ეს არ იკადრა. “აღარ უნდა დამთავრდეს ეს კიწმარიშვილი და მისი ამბიციები?!” -ამუნათებდნენ ლაშას, რომ მათ წინადაებაზე დათანხმებოდა.

ამ შტაბს ჩემს საწინააღმდეგოდ, ვითომდაც კომპრომატები უნდა შეეგროვებინა და პრესით და ტელევიზიით მისი ტირაჟირება მოეხდინა. რეალურად კი, ჟვანიას თანაშემწეს, ეთერ მაისაშვილს, რედაქციებში ცილისმწამებლური წერილები და კონვერტში ჩადებული 500 დოლარი ერთად დაჰქონდა, რის გამოც ბევრი გაზეთის რედაქტორი უღირსად მოიქცა. აქეთ დეპუტატი ხათუნა გოგორიშვილი “მეორე ფრონტს” ხელმძღვანელობდა და ეს კამპანია კარგა ხანს არ გაჩერებულა, მე ამასობაში ამერიკაში გავიქეცი, მაგრამ მაინც ვერ დაშოშმინდნენ. ბევრი წერილი შევინახე, რომელთაც ასეთი სათაურები ჰქონდათ:

“რა გაუმხილა სააკაშვილზე ლეიბორისტებს ეროსი კიწმარიშვილმა აშშ-ი გაქცევის წინ”, “ეროსიმ რკინიგზა დაანგრია”, “დანაშაულებრივი გარიგება ქართულ ეკონომიკას ანადგურებს” - სადაც ეწერა, რომ -“ეროსი ჩამოალაბორანტეს, არ არის გამორიცხული თვითონაც გადადგა, როდესაც მიხვდა, რომ დანაპირების შესრულების თავი არ ჰქონდა.”

“კიწმარიშვილს იტალიელებიც აუმხედრდნენ”, “კიწმარიშვილ-ქაშაკაშვილის დუეტი ხიხინაშვილის წინააღმდეგ ახალ ინტრიგებს ამზადებს”. “რატომ გააკოტრა კიწმარიშვილმა „რუსთავი 2”, “რატომ დასცხო “ვერსიამ” კიწმარიშვილს”, “რა ვერ გაიყვეს პატარკაციშვილმა და კიწმარიშვილმა”, “როგორც ჩანს, კლანურ ბიზნესს ვარდების რევოლუცია ვერ მოერია”.

“რუსთავი 2“-ზე რაღაც სიუჟეტი გავიდა იმის თაობაზე, რომ ურეკში “აზოტის” ქარხნის კუთვნილი პანსიონატი გაიყიდა, სადაც ადრე ამ ქარხნის მუშები იაფად ისვვენებდნენ. პანსიონატი საეჭვო ვითარებაში ოზურგეთელმა ვინმე ტარიელ ბერიძემ იყიდა, რომლის უკან რეალურად პატარკაციშვილი იდგა. “ვერსია” წერდა:

“ამ სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ ტელეკომპანია “იმედმა” კიწმარიშვილის მაკომპრომიტირებელი მასალები სასწრაფოდ მოიკვლია და მათზე დაყრდნობით, სავაჭრო პალატის შეფს ინტრიგანისა და პროვოკატორის იარლიყი მიაწება, ამასთან არც მისი სამიზნეების გაშიფვრა დავიწყნია, ამისთვის ქვემო ქართლის გუბერნატორის სოსო მაზმიშვილის გარშემო აგორებული შავი პიარი გაიხსენა და ქვემო ქართლის უმსხვილესი ობიექტების გარდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორიაც ამოსწია. იტალიელი ინვესტორების გაძევება, ქარხნის ხელოვნურად გაკოტრება სწორედ ეროსი კიწმარიშვილის მიერ იყო ორგანიზებული. ეროსი კიწმარიშვილს ინტერესები მძიმე მეტალების გარდა ქალისა და მამაკაცის თეთრეულშიც ჰქონია, თუმცა თუ „იმედის“ პათოსით ვიმსჯელებთ, სავაჭრო პალატის შეფს კონკურენტებთან შანტაჟის გზით ბრძოლის გაგრძელების შემთხვევაშიც, მაინც არაფერი გამოუვა და სრული კრახი გარანტირებული იქნება”.

ტელეკომპანია “იმედი” საშინელ ბრალდებებს მიყენებდა. გიორგი ახვლედიანი, რომელიც ახლა დეპუტატი გახდა, მოამბის ყოფილი წამყვანის დავით სოკოლოვის ინტონაციით, პირდაპირ ეთერში საშინელ ბრალდებებს ახმოვანებდა. მას სიუჟეტიც არ ჰქონდა, უბრალოდ იმ შტაბში დაწერილ ცილისმწამებლურ საშინელ ტექსტებს კითხულობდა.

პარალელურად, ჟვანიას დირიჟორობით ხმებს მიყრიდნენ, რომ “ამ ეროსის ძალიან ბევრი მოუნდა, დიდი ამბიცია აქვს, რაღაც ბევრი მოინდომა. პრეზიდენტობა მოუნდა და ზურას პრემიერობას ეცილება და

საერთოდ ამ კაცმა სახე საერთოდ დაკარგა”.

მე მათთვის არანაირი პასუხი “რუსთავი 2”-ის საშუალებითაც კი არ გამიცია. მე და ჩემს პარტნიორებს ჩვენი ტელეკომპანია პირადი ინტერესებისთვის არასდროს გამოგვიყენებია.

უბრალოდ ვიცოდი, რომ ამ კამპანიას ჟვანია ხელმძღვანელობდა და ველოდებოდი, პრეზიდენტი მას როდის გააჩერებდა, როდის შეაწყვეტინებდა ამ კამპანიას.

ზოგიერთი რედაქტორი ჩემი განქიქებით სიამოვნებას იღებდა, მათ ჩემთან პირადი ანგარიში ჰქონდათ.

ამ მხრივ გაზეთების ”ვერსიის” და “ყველა სიახლის” გამომცემელი მალხაზ რამიშვილი აქტიურობდა. ის ადრე „რეზონანსის“ ერთ-ერთი მეპატრონე იყო. მას ზურა ჟვანია დაეხმარა და საბეჭდი მანქანის შესაძენად 400 ათასი დოლარის გრანტი მოაპოვებინა. ამის შემდეგ ზურა ჟვანია და მალხაზ რამიშვილი მეგობრობდნენ. რაღაც დროის შემდეგ, რამიშვილმა „რეზონანსში“ თავისი წილი დაკარგა, ასევე დაკარგა “მამაჩემის რადიოც”, რომელიც მას ეკუთვნოდა.

მას 2003 წლის დასაწყისში ფინანსური პრობლემები შეექმნა. იგი ჩემთან მოვიდა და შემომთავაზა, რომ “ვერსიის”, “ყველა სიახლის” და კიდევ რაღაც ჟურნალებს უშვებდა და 50 პროცენტს დამითმობდა, თუკი მე ჩემი ტელეკომპანიის ეთერით ამ პროდუქციას რეკლამას გავუწევდი.

მართალი გითხრათ, დიდად არ მოვხიბლულვარ ამ იდეით, მაგრამ მას შევთავაზე, რომ დროის რაღაც მონაკვეთი საცდელად აგვეღო, როცა მე ამ ჟურნალ-გაზეთებს რეკლამას გავუწევდი და შემდეგ რეზულტატის მიხედვით, გვემსჯელა წილებზეც და ამ საქმის გაგრძელება-არგაგრძელებაზეც.

ასეც გავაკეთე, მე ამ პროდუქციას რეკლამას ვუწევდი, მაგრამ არანაირი შედეგი ამას არ მოჰქონდა. სხვა გამომცემლები დაიძაბნენ, სულ კითხულობდნენ, საიდან გაუჩნდა რამიშვილს იმდენი ფული, რომ მისი პროდუქციის ფართო რეკლამირებას ახერხებდა.

საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ დროც და ფულიც წყალში გადავყარე და რამიშვილს შევუთვალე, რომ მე ამ პროექტიდან გავდიოდი. ის ამაზე დაიბოღმა და მერე ჟვანიამ შანსი გაუჩინა, რომ ამ ბოღმისგან დაცლილიყო.

ჩემს საწინააღმდეგო კამპანიაში ჩაერთო შალვა რამიშვილი, “სახელგანთქმული” 202-ის შემოქმედი, რომელსაც მე “დარდუბალა” შევუკვეთე, აპარატურა ვაყიდინე და ამ გადაცემას მთლიანად ჩემი დაფინანსებით აკეთებდა.

ესაც, ჩემი მტრების რიგში ჩადგა და ჩემზე დასაცინ სიუჟეტებს აკეთებდა. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ რაღაცაზე ორნაირად რეაგირებენ: ან ცხვირ-პირს ულეწავენ, მართლა პირდაპირი მნიშვნელობით, ან სასამართლოში უჩივიან, მე არც ერთი გავაკეთე არც მეორე იმიტომ, რომ ელოდებოდნენ, რომ ნერვები მიმტყუნებდა და ამას გავაკეთებდი.

ამ ცილისმწამებლური კამპანიის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ შევიტყვე, რომ ჟვანიას სურდა ჩემთვის ობსტრუქცია მოეწყო და როგორც სავაჭრო პალატის ვითომდა არშემდგარი თავმჯდომარე, თანამდებობიდან გადავეყენებინე. თუმცა, ამ პერიოდში მხოლოდ ჟვანია აღარ იყო ჩემი გაღიზიანების მთავარი სუბიექტი.

ეს გახდა, ის ბოლო წვეთი, რომლის გამოც 2004 წლის აგვისტოში პრეზიდენტთან მივედი და

გამოვუცხადე, რომ - მე თანამდებობიდან გადავდექი.

(გაგრძლება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „ნახევარი თბილისი გიგა ბოკერიას აგინებდა“

http://for.ge/view.php?for_id=46469&cat=2

for.ge

2016-10-03 14:10:21

საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი For.ge თავიდან იწყებს ბატონი ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას. ბატონმა ეროსიმ სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, მემუარები ექსკლუზიურად For.ge-ს რედაქციას გამოსაქვეყნებლად გადასცა, თუმცა საბოლოო სახის მისაცემად რამდენიმე პასაჟის დამუშავებას აპირებდა. შემდგომ კი, მოვლენათა ასეთ განვითარებას არავინ მოელოდა. For.ge-მ აღნიშნული მოგონებების ბეჭდვა ბატონი ეროსის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო, თუმცა მისი ოჯახის თხოვნით, გამოქვეყნება შეწყდა. ბატონი ზურაბ კიწმარიშვილის თქმით, ის და ქალბატონი ია კიწმარიშვილი ამ მოგონებების წიგნად გამოცემას აპირებდნენ. მათი თხოვნა იყო, გამოგვეჩინა კეთილი ნება და მემუარების ბეჭდვა შეგვეწყვიტა, რაზეც, ისევ და ისევ ბატონი ეროსი კიწმარიშვილის ხსოვნისადმი პატივისცემით უარი ვერ ვუთხარით. წელიწადზე მეტი გავიდა, თუმცა მემუარები არც წიგნად გამოსულა და არც სხვა მედია-საშუალებაში გამოქვეყნებულა, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამჯერად მოგონებები თავიდან დასრულად გამოვაქვეყნოთ. მოგონებები მოიცავს 1992-2008 წლებს და ვფიქრობთ, ის დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან სრულად აღწერს „ნაციონალური მოძრაობის“ ბუნებას.

****

საბჭოთა კავშირის დაშლისას სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი. შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობით აღტკინებულმა, სიხარულით რაჭას მივაშურე, სადაც სოფლის ექიმად გამანაწილეს. სოფლის ამბულატორიის მთავარი ექიმის ხელფასი ვის ეყოფოდა, მაგრამ მე რაჭის მაღალმთიან სოფელში მუშაობით ვამაყობდი. ეროვნული მოძრაობის პირველ წლებში ჩემსავით ბევრი მოიქცა. ზოგი ექიმად, ზოგი მასწავლებლად შედარებით რთულ რეგიონებში სამუშაოდ წავიდა.

რაჭაში მუშაობისას დავრწმუნდი, რომ ჩვენი პედიატრია ხალხს სათანადო დახმარებას ვერ უწევდა. არის საკითხები, რომლებზეც ჩვენთან დღემდე არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვთ. ერთ-ერთი მარტივი მაგალითია - აკვანი.

აკვანი ახალშობილის ძვალსახსროვან სისტემას აზიანებს, რაც სხვადასხვა დაავადებებს იწვევს. ის, რომ ბარძაყის სახსრის ამოვარდნილობა ჩვენში ძალიან გავრცელებულია, სწორედ იმის ბრალია, რომ მშობლები სათანადოდ ინფორმირებულები არ არიან. ჩემი დასკვნით, აუცილებელი იყო ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის სისტემის შექმნა, რომელიც თავის მხრივ ოჯახის ექიმის ინსტიტუტის დამკვიდრებას ხელს შეუწყობდა.

რუსთავის პრეფექტად მერაბ კოსტავას მეგობარი, მომღერალთა გუნდის ყოფილი დირიჟორი თემურ ჯანელიძე მუშაობდა. მას ჩემი იდეა მოეწონა და სემომთავაზა: რუსთავის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ დაგნიშნავ და ახალი ინიციატივების დანერგვაშიც დაგეხმარებიო.

დავთანხმდი. 25 წლის კაცისთვის ეს იშვიათი თანამდებობა გახლდათ, თუმცა მთავარი იყო, რომ საშუალება მეძლეოდა, ის რეფორმები განმეხორციელებინა, რომელთა აუცილებლობაზე მეგობრებთან ერთად ბევრი მიფიქრია. მეგობრებმაც თანადგომა აღმითქვეს და მუშაობა დავიწყე.

რუსთავის ჯანდაცვის განყოფილებაში ხუთი ათასი კაცი ირიცხებოდა. თანამდებობაზე ერთი წელი ვიმუშავე და ჩემივე ინიციატივით სამსახურის მოადგილედ გადავაყვანინე თავი, ვინაიდან კერძო სადაზღვევო პროექტის ასე მეტ დროს დავუთმობდი.

ინიციატივა მეგობარს, დღეს უკვე პროფესორ ირაკლი რცხილაძეს გავანდე და რუსთავში ბავშვთა სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება დავიწყეთ. ერთ-ერთ პოლიკლინიკაში ოთახი ვიქირავეთ, რამდენიმე მეგობარი პედიატრი სამუშაოდ მოვიწვიეთ და პროექტის რეალიზებას შევუდექით.

რუსთავში ჩვენი სადაზღვევო პროექტის თაობაზე მხოლოდ ნაცნობებმა იცოდნენ. იდეას პოპულარიზაცია ესაჭიროებოდა. მაშინ რეკლამა ცოტა ბუნდოვანი ცნება იყო.

ქალაქში ერთადერთი გაზეთი “სოციალისტური რუსთავი” გამოდიოდა. თავდაპირველად ვფიქრობდი ამ გაზეთში დაგვებეჭდა პოპულარულ თუ სამეცნიერო ენაზე სტატიები, მაგრამ ჩავთვალე, რომ კვირაში თითო ოროლა სტატია საკმარისი ვერ იქნებოდა, ვერც ჩვენი საქმიანობისთვის და ვერც მოსახლეობის ინფორმირებულობისთვის. გადავწყვიტე თვითონ გამომეშვა გაზეთი, რომლის ძირითადი მიზანი ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის რეკლამირება (მაშინ ეს სიტყვა ბუნდოვნად გვესმოდა) თუ პოპულარიზაცია იქნებოდა.

როგორ უნდა გამომეშვა, გაზეთი არც წარმოდგენა მქონდა, არც მისი გამოსაშვები ფული. ჩემი მეგობარი ჯარჯი აქიმიძე გამახსენდა, რომლის ნაცნობები თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე და ნიკო ნიკოლოზიშვილი თბილისში “ახალგაზრდა ივერიელს” უშვებდნენ. გაზეთის გამოშვებაზე ჯარჯისაც რაღაც წარმოდგენა ჰქონდა. იმხანად იგი აფხაზეთის ომიდან ახალი დაბრუნებული იყო. მას შევხვდი და გადავწყვიტეთ ერთად გაგვეკეთებინა გაზეთი, რომელიც მხოლოდ სამედიცინო თემატიკით არ შემოიფარგლებოდა.

ასე დავაარსეთ “რაგი” - რუსთავის ახალი გაზეთი. რუსთაველი ახალგაზრდა ჟურნალისტები გამოჩნდნენ, ვიპოვეთ დამკაბადონებელი და იოლ საქმედ მომეჩვენა, ბეჭდვა სულ რამდენიმე კუპონი გვიჯდებოდა და კვირაში ერთი ნომრის გამოშვებაც არ გვიჭირდა. პირველივე ნომრის 10 ათასამდე გაზეთი გავყიდეთ. ასი ათასიან რუსთავში თითქმის ყოველი მეორე ოჯახი ჩვენი მკითხველი გახდა.

მახსოვს მეხუთე ნომერში, რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრემიერ ოლეგ სოსკოვეცზე, რაღაც დავწერეთ და დავიხურეთ კიდეც. სტამბის მეპატრონე სოსკოვეცის მეგობარი აღმოჩნდა, ამის გამო გაბრაზდა და სტამბიდან გამოგვყარა, გაზეთს აღარ დაგიბეჭდავთო.

გაზეთის სხვაგან დაბეჭდვა აღარ გვიცდია. გადავწყვიტეთ ტელევიზია გაგვეხსნა. ჩვენი წარმოდგენით, ტელევიზია უფრო იოლი გასაკეთებელი იყო. მას არც ქაღალდი, აღარც სტამბა, დაკაბადონება და ნომრის გაყიდვაზე თავის ტეხა დაჭირდებოდა. თავდაპირველად ვიყიდდით 2 ვიდეოკამერას, ტელევიზორს, გადამცემს და ეთერში გავიდოდით.

მე და ჯარჯის გვყავდა საერთო მეგობარი - დათო დვალი, რომელიც სულ ტელევიზიის გაკეთებაზე ოცნებობდა და მისი ეს ოცნება ყველასთვის და, მათ შორის, ჩვენთვისაც დიდ უცნაურობას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დროს, კერძო ტელეკომპანიის გახსნაზე ოცნებას მართლაც ფანტაზიის დიდი უნარი ესაჭიროებოდა. ომიდან დათო დვალიც ახალი დაბრუნებული იყო. ის კარგი ფიზიკოსი და საკმაოდ განათლებული ადამიანია, თავისუფალ დროს თავისი "პაიანიკით" მთელ სამეგობროს გაფუჭებულ ტელევიზორებს, უთოებს თუ სხვა ელექტრო მოწყობილობებს უკეთებდა. ამიტომ, ვიფიქრე, რომ მან იცოდა ტექნიკურად როგორ მუშაობს ტელევიზია. ჟარჯი ჟურნალისტებთან მეგობრობდა, ხშირად სტუმრობდა მის ერთ-ერთ მეგობარს სახელმწიფო ტელევიზიაში და ჩავთვალე, რომ ჯარჯის ეცოდინებოდა როგორ უნდა მომზადებულიყო სატელევიზიო გადაცემები. მე ვიცოდი, როგორ გვეშოვა ფული ტელევიზიის გასაკეთებლად.

ქალაქის მერთან მივედი და სოსო არეშიძეს დიდხანს ვარწმუნებდი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თავად მერიისთვის და ქალაქისთვის თუ ის ჩვენ ტელევიზიის აპარატურას გვიყიდდა!

დიდი წვალების შემდეგ მე და არეშიძე შევთანხმდით: მერია იყიდდა აპარატურას, რაც მისი კუთვნილება იქნებოდა და რომელსაც ჩვენ, როგორც კერძო სტრუქტურა, მოვიხმარდით და სანაცვლოდ მერიის საქმიანობას უსასყიდლოდ გავაშუქებდით.

საბოლოო ჯამში კი, ყველაფერს სამედიცინო დაზღვევის პოპულარიზაციისთვის ვაკეთებდი.

1993 წლის შემოდგომაზე მე, დათო დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ შპს "გამა+" დავაფუძნეთ. "გამა+" აიღო სიხშირე ეთერში გასასვლელად. სანამ მერია ტექნიკას გადმოგვცემდა, სამედიცინო ბიზნესში ჩემმა პარტნიორმა ირაკლი რცხილაძემ საქმე მიატოვა და გაუჩინარდა! ამის გამო, დაზღვევის თემამ აზრი დაკარგა.

ამასობაში ეს დაპირებული ტექნიკაც მოგვცეს - რამდენიმე ცალი ვიდეოკამერა და სხვა უმნიშვნელო აპარატურა. თავი უბედნიერეს ადამიანებად მიგვაჩნდა. კავშირგაბმულობის სამინისტრომ მეთერთმეტე მეტრულ არხზე მაუწყებლობის უფლება მოგვცა, რომლის გავრცელების არეალი მხოლოდ რუსთავს და ნაწილობრივ გარდაბნის რაიონს მოიცავდა.

მახსოვს, მთელი რუსთავი ირონიულად მიყურებდა, ზოგს ეგონა, რომ გავგიჟდი. მივატოვე საექიმო კარიერა, თანამდებობა, უარი ვთქვი მძღოლზე, ავტომობილზე და სატელევიზიო საქმიანობა დავიწყე. იმ დროს საკაბელო ტელევიზიები ახალი გახსნილი იყო, რომლებიც მხოლოდ "მეკობრულ" ფილმებს და დაბადების დღეების მისალოცად მუსიკალურ კლიპებს აჩვენებდნენ და საკაბელო ტელევიზია, ჩვეულებრივი ტელევიზიის დამაკნინებელად მოიაზრებოდა. ამ ტელევიზიებს არანაირი პოპულარობა ან პატივისცემა არ ჰქონიათ. ხალხი მას არასერიოზულად აღიქვამდა. ამიტომ ჩემგან ამ საქმის დაწყება სიგიჟედ მიაჩნდათ.

ეთერში გასასვლელად 6-7 თვე ვემზადებოდით. თანამშრომლები ძირითადად ჩემი ძმის მეგობრები 17-20 წლის ახალგაზრდები იყვნენ. მათ შორის: ნანა ლეჟავა, ნათია კობერიძე, ირმა ნადირაშვილი. მათ მეტყველების გაკვეთილებს ვუტარებდით, ირაკლი ონოფრიშვილი ოპერატორებს ახელოვნებდა, ვიწვევდით ეკონომისტებს, ფსიქოლოგებს და ეთერში გასვლამდე სიუჟეტებს ამზადებდნენ.

ტელევიზიამ ბინა რუსთავის სასტუმროს ოთხ ნომერში დაიდო. ეს ფართი ბიზნესმენმა დათო თავაძემ უსასყიდლოდ გამოგვიყო. ძალიან ვიწროდ ვიყავით, პროგრამისტი უნიტაზზე იჯდა და ხელ-პირის საბანზე ჩამოდებულ კომპიუტერში სიუჟეტისთვის ტიტრებს კრეფდა.

მოსამზადებელმა სამუშაომ, ისე გაგვიტაცა ეთერში გასვლის წინ აღმოვაჩინეთ, რომ საინფორმაციო გადაცემის სახელი მოფიქრებელი არ გვქონდა. ჯარჯის იდეა იყო მისთვის - “კურიერი” დაგვერქმია, რაც ყველას მოგვეწონა და დავარქვით კიდეც.

1994 წლის 1 მაისს ტელევიზია “რუსთავი” ეთერში ერთი დღით გავიდა. ეთერში გასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოფისში შემოლაგდნენ რუსთაველი “მხედრიონელები” და საქმე გაგვირჩიეს. აღმოჩნდა, რომ რუსთავში მოქმედი საკაბელო ტელევიზია ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს და მხედრიონელ თემურ ხაჩიშვილს ეკუთვნოდა და პრეტენზია ჰქონდათ სახელწოდებაზე - “რუსთავი” ჩვენ ტელევიზიას ჰქვია და სახელი შეიცვალეთო. რახან სხვა არაფერი პრეტენზია ჰქონდათ დიდი კამათის გარეშე დავპირდით - კი, ბატონო, ჩვენ დავირქმევთ “რუსთავი 2”-ს. 1 ივნისიდან უკვე ამ სახელით დავიწყეთ მაუწყებლობა. “კურიერი” თავდაპირველად რვის თუ ცხრის ნახევარზე იწყებოდა, ვინაიდან რვა საათზე “მოამბეს”, ხოლო ცხრა საათზე ტელეკომპანია “იბერვიზიის” საინფორმაციო გადაცემას კონკურენციას ვერ გავუწევდით.

მახსოვს, აწ გარდაცვლილი ოპერატორი გოჩა რამიშვილი ქუჩის კადრების გადასაღებად ოფისის მეორე მხარეს გადავიდა და ვიდეო გადაღება დაწყებული არ ჰქონდა შავი “ბმვ”-დან შეიარაღებული ბიჭები კამერის წასართმევად გადმოუხტნენ.

კიდევ ერთი ისტორია, მეორე ოპერატორს აჩიკო ჭიჭიბოშვილს შეემთხვა. ეს ნიშანდობლივი მაგალითია თუ რა მოკრძალებულად დავიწყეთ მაუწყებლობა. აჩიკოს ნათესავი - ძმები ჭიჭიბოშვილები რუსთავში “ავტორიტეტები” იყვნენ და ამის გამო პოლიციასთან ამასაც სულ პრობლემები ჰქონდა; მიუხედავად იმისა, რომ აჩიკო ძალიან წესიერი ახალგაზრდაა, სულ პოლიციის განყოფილებაში დაატარებდნენ. ერთხელაც, აჩიკო მთავრობის სხდომის გადასაღებად სახელმწიფო კანცელარიაში გავგზავნეთ. შევარდნაძე ძალიან შორიდან გადაეღო და ამის გამო გავუბრაზდი - სახელმწიფოს მეთაური ახლოდან რატომ არ გადაიღე მეთქი?” - მეშინია მასთან მიახლოების, ვერ გავბედე და შორიდან ვიღებდიო,”- მიპასუხა.

ეს მარტო აჩიკოს პრობლემა არ იყო, ასეთივე მოკრძალებული იყო მთლიანად ტელევიზია. შევარდნაძე, მთავრობა, “მხედრიონი” - ამ თემების გაშუქება ცოტა გვიან დავიწყეთ.

მაუწყებლობის ერთი წლის თავზე რუსთაველთა საყვარელი ტელევიზია გავხდით. ჩვენი ჟურნალისტები ქალაქში ძალიან პოპულარულები გახდნენ.

1994 წლის ცხელ ზაფხულში სახლების ღია ფანჯრებიდან “კურიერის” მუსიკის ხმა მთელ რუსთავში მესმოდა. პირველად მაშინ მივხვდი, თუ რამხელა ძალაუფლება და პასუხიმგებლობა არის ტელევიზია.

ამ პერიოდში ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია “ინტერნიუსის” მიწვევით ლიკანში სამდღიან სემინარს დავესწარი. ამ სემინარმა თვალი ამიხილა და აღმოვაჩინე ძალიან საინტერესო, უზარმაზარი და რთული სატელევიზიო სამყარო. ახლაც მიმაჩნია, რომ ამერიკელთა ყველაზე წარმატებული მედია-პროექტი პოსტ საბჭოთა სივრცეში “ინტერნიუსმა” განახორციელა. მან დასაბამი დაუდო თავისუფალ ტელევიზიებს. დღეს საქართველოში მათი ძალისხმევის შედეგი შეიძლება აღარ ჩანს, ვინაიდან ყველა დიდ ტელეკომპანიას უკვე ხელისუფლება აკონტროლებს, მაგრამ საზოგადოებას ეს აღარ მოსწონს, ხალხს ახსოვს, თუ როგორ მუშაობდა თავისუფალი “რუსთავი-2” და ახლა იოლად ასხვავებს სიმართლეს და დეზინფორმაციას.

მაშინ კი სულ იმას ვნატრობდით, რომ ჩვენს ტელეკომპანიაში ვინმე ამერიკელს ფული ჩაედო და

აპარატურა შეგვეძინა. რამდენიმე წლის შემდეგ ასეთი ამერიკელი მართლაც გამოჩნდა, რომელსაც “რუსთავი-2”-ის ყიდვა სურდა, მაგრამ ეს ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილის ხრიკი გამოდგა, რომელზეც მოგვიანებით მოგითხრობთ.

რთული პერიოდი გვედგა და თავი ძლივს გაგვქონდა. ცნება - რეკლამა, იმ შინაარსით, რაც ახლა ვიცით, მაშინ არ არსებობდა. მე მიწევდა ქარხნების დირექტორებთან ხვეწნა-მუდარა, რომ ქარხნის მუშაობის გაშუქების სანაცვლოდ, ტელევიზიისთვის რაიმე მოეცათ. ესენი რეკლამის სანაცვლოდ გვარჯილას და კოქსს გვიხდიდნენ! მახსოვს მერე ეს კოქსი ვიღაც ახალქალაქელ სომეხს დიდი “კრაზით” ერევანში გასაყიდად გავატანეთ და ის კიდევ კოქსიანად დაიკარაგა! მის ასავალ-დასავალს ვეღარ მივაგენი და გამოცდილებამიღებულმა გვარჯილა აღარავის ვანდე, თვითონ ჩავიტანე სასომხეთის საზღვრამდე. აქ ჩვენმა სამხედროებმა თუ რაღაც შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა კინაღამ გვარჯილიანად გამაქრეს.

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დროს მცირეოდენი თანხა შემოგვივიდა, მთელი წლის მანძილზე კი - 20-22 ათასი დოლარის, რაც მინიმალურადაც ვერ წვდებოდა ხარჯებს.

შევარდნაძის მაშინდელი პრესსამსახურის უფროსის, რამაზ საყვარელიძის დახმარებით, პრეზიდენტთან ინტერვიუ ჩავწერეთ. კითხვებს მე ვუსვამდი, დათო დვალი ოპერატორი იყო, ვიდეოკამერით გვიღებდა. ინტერვიუს ბოლოს შევარდნაძემ რუსთაველებს ახალი ტელეკომპანიის გახსნა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა გვისურვა. ეს ინტერვიუ ვარდების რევოლუციის დროს გამახსენდა და ბევრი ვიცინე: რას ვაკეთებთ, თავის დროზე ხომ შევარდნაძემ დაგვლოცა-მეთქი.

1994 წლის ბოლოს თვითმართველობის არჩევნების შემდეგ, შევარდნაძემ ქვემო ქართლის გუბერნატორად ლევან მამალაძე დანიშნა, რომელმაც მოინდომა, რომ ტელევიზია მის ჭკუაზე მოგვეწყო და შესაბამისი საინფორმაციო პოლიტიკა გაგვეტარებინა. უფრო მეტიც, მამალაძე ითხოვდა, რომ სატელევიზიო სიხშირე რომელიც “გამა+” ეკუთვნოდა მერიისთვის გადაგვეცა. ეს ძლიან თავხედური და უსამართლო მოთხოვნა იყო, რაზეც, რა თქმა, უნდა არ დავთანხმებულვარ, მაგრამ მამალაძემ მაშინდელ კავშირგაბმულობის მინისტრს, ფრიდონ ინჯიას სთხოვა და 1995 წლის 17 ივლისს ჩვენი სატელევიზიო სიგნალი გათიშეს, ხოლო ლიცენზია ჩამოგვართვეს.

დასახმარებლად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მივმართეთ. მაშინ გავიცანი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე დათო უსუფაშვილი. ადვოკატებმა ზვიად კორძაძემ და გოჩა სვანიძემ სასარჩელო გაცხადება მოამზადეს და სასამართლოს მივმართეთ. ჩვენს დავაზე მაშინდელ პრესაში ერთი ამბავი ატყდა. წამყვანი გაზეთები ობიექტურად გვიჭერდნენ მხარს. შევარდნაძე დაინტერესდა, თუ რატომ ატყდა ამხელა ხმაური რეგიონალური ტელევიზიის, რაღაც პრობლემის გამო და ამას მამალაძესთან არკვევდა.

“გუბერნატორი” კი სახელმწიფოს მეთაურს ატყუებდა, რომ ვითომდა მხედრიონელები ვიყავით და ლიცენზია სამართლიანად წაგვართვეს.

შევარდნაძემ დაიჯერა, რომ მამალაძე მართალს ეუბნებოდა და რომ არა პარლამენტარი ფიქრია ჩიხრაძე, შესაძლოა ჩვენი მომავალი ტელევიზიას საერთოდ აღარ დაკავშირებოდა. ფიქრია ჩიხრაძე შევარდნაძის ფავორიტი გახლდათ და მასთან ჯარჯი აქიმიძე მეგობრობდა. ის მეც მიცნობდა და კარგად იცოდა, რომ ჩვენ მხედრიონთან არაფერი გვაკავშირებდა. ამის თაობაზე მან შევარდნაძეს პირადად უთხრა და დაარწმუნა, რომ ლიცენზია უსამართლოდ წაგვართვეს.

ამის შემდეგ შევარდნაძემ მიიღო გაწყვეტილება, ჩვენთვის სიხშირის დაბრუნებაზე და სასამართლომაც სიხშირე დაგვიბრუნა.

სიხშირე დავიბრუნეთ, მაგრამ ლევან მამალაძემ ის ვიდეოტექნიკა წაგვართვა, რაც თავის დროზე რუსთავის მერიამ იყიდა და სამუშაოდ გადმოგვცა და დავრჩით მხოლოდ საკუთარი სახსრებით შეძენილი ტექნიკის ამარა. მიუხედავად ამისა, სექტემბერში ეთერში დავბრუნდით. ვმუშაობდით სახალხო ფრონტის ვიდეოკამერით, რომელიც დილით მოჰქონდათ და საღამოს ისევ უკან ვუბრუნებდით. ჩვენმა ერთ-ერთმა გადაცემამ ამ პირობებში სატელევიზიო კონკურს "მანას" ნომინაციაში გაიმარჯვა. ეს ერთადერთი ჯილდო იყო, რომელიც რეგიონალურმა ტელევიზიამ მოიგო.

ტელევიზიის გადასარჩენად დათოს ძმა, მეცნიერი გია დვალი, რომელიც მაშინ გერმანიაში მუშაობდა, ყოველთვიურად 400 დოლარს გვიგზავნიდა.

ამ პერიოდში სამივე შვილი მყავდა. ოჯახს სრულიად მწირი და ჩემთვისაც გაუგებარი შემოსავლით ვაცხოვრებდი. მაშინ რუსთავში ერთოთახიანი ბინა 800 დოლარად გავყიდე, იას დას 1500 დოლარი ვესესხე და ოროთახიან ბინაში გადავედით. ჩვენი ოჯახისთვის ეს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი დღეა.

1995 წლის შემოდგომაზე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გაიმართა და სატელევიზიო რეკლამიდან იმდენი შემოსავალი მივიღეთ, რომ საკუთარი აპარატურის შეძენა შეგვეძლო.

ამასთან, "დოიჩე ველემ" 5000-დოლარიანი გრანტი, მოგვცა ასევე ტექნიკური აღჭურვილობისთვის და ტელევიზიას ასე თუ ისე მინიმალურ დონეზე გავმართავდით.

ჩვენ არ დაგვიწყებია ფიქრია ჩიხრაძის მიერ აღმოჩენილი დახმარება და გადავწყვიტეთ მისთვის ტელეკომპანიის 25 პროცენტი გვეჩუქებინა. მე მას ვუთხარი, რომ სამმა მეგობარმა დავაფუძნეთ "რუსთავი-2" და მას ვიღებდით მეოთხე მეგობრად, წილსაც თანაბრად გადავინაწილებდით.

ჩვენ მაუწყებლობის გაფართოება გვსურდა, რისთვისაც დეციმეტრული სიხშირე უნდა მოგვეპოვებინა.

პარალელურად, ფიქრია ჩიხრაძე თავის მეგობრებთან ერთად ტელეკომპანია "თამარიონის" აღდგენას აპირებდა. 1994 წელს ამ ტელეკომპანიის გადამცემს ხანძარი გაუჩნდა და შედეგად მთაწმინდაზე სატელევიზიო ანძა დაიწვა. მას შემდეგ ამ სიხშირეს არავინ იყენებდა. აღნიშნული სიხშირე თავდაცვის მინისტრს - გია ყარყარაშვილს ეკუთვნოდა, ფიქრია მასთან მეგობრობდა ვინაიდან თავისუფალი სიხშირე ეგულებოდა ტელევიზიის გაკეთებას აპირებდა.

ამ დროს სიხშირეები გავლენის მიხედვით ჰქონდათ გადანაწილებული. სატელევიზიო სიხშირე ჰქონდა ყოფილ თავდაცვის მინისტრს, თენგიზ კიტოვანს, "მხედრიონს", კავშირგაბმულობის მინისტრს და ასე შემდეგ. სიხშირეს კონკურსის გზით ვერ მოიპოვებდი. "გამა+"-მა რუსთავში მეტრული სიხშირე ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ლიდერის და პარლამენტარ მიხეილ ნანეიშვილის დახმარებით მოიპოვა. დათო დვალი მისი პარტიის წევრი იყო და ნანეიშვილი დაგვეხმარა.

ჩვენ ტელეკომპანიის თბილისში გადმოტანა გვსურდა, ვინაიდან დედაქალაქის მეტი ასპარეზი, რეკლამა და შესაბამისად, შემოსავალიც მეტი გვექნებოდა.

ფიქრია ჩიხრაძეს შევარდნაძესთან განსახილველად ორი წერილი უნდა მიეტანა. "რუსთავი-2-სთვის დეციმეტრული სიხშირის მოსაცემად და "თამარიონის" სიხშირის მოდიფიცირებისთვის.

ჩვენი შეთანხმება ჩიხრაძისთვის 25-პროცენტიანი წილის ჩუქებაზე ძალაში იყო, თუმცა ეს დოკუმენტურად არ გაგვიფორმებია. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ სიტყვას არ გავტეხდით და ამის გაფორმება, არც თავად ფიქრიას უთხოვია.

უცნაური და სასიხარულო ფაქტი მოხდა - ჩიხრაძემ გვითხრა, რომ “თამარიონს” ვერ აღადგენდა და მისი სიხშირე ჩვენ გვაჩუქა. თუკი ტელეკომპანია 6 თვეზე მეტი ხნის მანძილზე ეთერში არ გავიდოდა, მაშინდელი კანონმდებლობით მას კუთვნილი სიხშირე ჩამოერთმეოდა. “თამარიონს” ეს ვადა დარღვეული ჰქონდა და მას სიხშირის დაკარგვა ემუქრებოდა.

ამის გათვალისწინებით, ფიქრიამ სიხშირე გვაჩუქა. ამას არანაირად არ ველოდით, სიხარულით მეცხრე ცაზე დავფრინავდით. ჩვენ დავფარავდით თბილისს, სადაც ფინანსური რესურსი სატელევიზიო ბიზნესისთვის შეუდარებლად მეტი იყო, ვიდრე რეგიონში.

“თამარიონის” სიხშირე, მართლაც გადმოგვცეს, რაშიც გია ყარყარაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის. ჩვენ სასწრაფოდ ჩავედით მოსკოვში, ვიყიდეთ აპარატურა და ოფისი გადმოვიტანეთ თბილისში ”საქსოფმშენის” მეჩვიდმეტე სართულზე, სადაც დღესაც განთავსებულია “რუსთავი 2”, მაშინ მხოლოდ სამი ოთახი დავიქირავეთ. შემდეგი ეტაპისთვის ახალი გადაცემები დავგეგმეთ, მოვიფიქრეთ ახალი პროექტები და სოროსის ფონდში 20 ათასი დოლარის გრანტის მისაღებად პროექტი შევიტანე.

1996 წლის გაზაფხულზე სოროსის ფონდის საბჭო ჩვენი პროექტის დაფინანსების საკითხს განიხილავდა. ამ სხდომაზე მეც მიმიწვიეს. ჩემთვის მოულოდნელად სხდომაზე რაჭის გუბერნატორი თედო ისაკაძე შემოვარდა და საბჭოს წევრებს გამოუცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში ჩვენთვის გრანტი არ მოეცათ, ვინაიდან თურმე სატელევიზიო სიხშირე არ გაგვაჩნდა და “რუსთავი-2”-ის დამფუძნებლების ვინაობაც ბუნდოვანიაო. გავოგნდი.

ამათი გააქტიურების მიზეზი მალე გაცხადდა. ჩიხრაძე, ისაკაძე და ნიკოლოზიშვილი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ. ისაკაძემ და ნიკოლოზიშვილმა ჩათვალეს, რომ ჩვენ ჩიხრაძეს უსამართლოდ დავუთმეთ ტელეკომპანიის 25 პროცენტი, ვინაიდან სიხშირე ჩიხრაძემ მოგვცა, ამის სანაცვლოდ ტელეკომპანიის 50 პროცენტი წილი მოითხოვეს.

საქმის გასარჩევად ნიკოლოზიშვილის სახლში დაგვიბარეს. პარალელურად ჯარჯი აქიმიძის გადაბირებას ცდილობდნენ, რა გინდა მაგათთან, ჩვენთან ერთად იყავიო.

მათ მოთხოვნას მარტივად და გასაგებად ვუპასუხე: “დავა რომ გვქონდეს თონის აშენებაზე, კი ბატონო, თუკი მიწას გამოგვიყოფდით სანაცვლოდ, ნამდვილად მოგცემდით თონის 50 პროცენტს. რაც შეეხება ტელევიზიას, ჩვენ არ ვაპირებთ არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან ერთად ტელევიზიის გაკეთებას. ჩვენ ვაკეთებთ თავისუფალ ტელევიზიას. ფიქრიას 25 პროცენტს მხოლოდ მეგობრობისთვის ვუთმობდით”.

მათაც, გასაგებად მიპასუხეს: ყველაფერს დაკარგავთ!

ერთმანეთს ასე დავშორდით.

მათ წერილით მიმართეს პრეზიდენტს, რომ თითქოსდა “რუსთავი 2”-ს დროებით გადასცეს სიხშირე და რომ ახლა შექმნეს საკუთარი კომპანია და ეს სიხშირე, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ უკან დაგვიბრუნეო.

1996 წლის 1 ივნისს ახალი სიხშირით დავიწყეთ მაუწყებლობა. თვის ბოლოს 28 თუ 29 ივნისს გიგა ბოკერიას გადაცემა უნდა გასულიყო. მაშინ ვენაში რიჩო ჯავახაძე, ავიაკომპანია “ორბის” მეპატრონე თუ მეწილე მოკლეს. ბოკერიამ გადაცემის ანონსში გამოაცხადა, ჩვენ ვიცით, ვინ მოკლა ჯავახაძე და ხვალ მას ეთერში დავასახელებთო.

მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, შოთა კვირაიას ეს არ მოეწონა და მთავრობის სხდომაზე ერთი ამბავი ატეხა - ვისია ეს ტელეკომპანია “რუსთავი 2,” საიდან გავიდა ეთერში და ა.შ.

ბოკერიას ჯავახაძის მკვლელობაზე ამის შემდეგ აღარაფერი უთქვამს. ვფიქრობ, რომ არც არაფერი იცოდა და პროვოკაცია მოაწყო, რასაც ჩვენი დახურვა მოჰყვა.

ამას, თან დაემატა ფიქრია ჩიხრაძესთან ჩვენი დავა, რაც შევარდნაძეს ასევე აღიზიანებდა. მთავრობის სხდომაზე მან კვირაიას თავის დაქნევით ანიშნა, რომ მასაც ყელში ამოუვიდა ეს “რუსთავი 2” და შევარდნაძის თანხმობით, ივლისის დასაწყისში ეთერიდან გაგვთიშეს, ხოლო სიხშირე ჩიხრაძის რაღაც ფირმას გადასცეს.

ბოკერიამ ჩვენი უფლებების აღსადგენად “თავისუფლების ინსტიტუტი” დააარსა, ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას ებრძვისო - გაიძახოდა, და ამით სახელი გაითქვა. დღეს “თავისუფლების ინსტიტუტი” თავად ებრძვის თავისუფალ სიტყვას და უნდა ვთქვა, რომ ამ საქმეში უფრო მეტი წარმატება აქვთ, ვიდრე მაშინ ჰქონდათ, როცა ჩვენ გვიცავდნენ. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფის წევრები არავითარი ლიბერალური ღირებულებების დამცველები არ ყოფილან, მათ ჩვენი უფლებების დაცვის საბაბით გრანტები მოიპოვეს, მერე ასევე საზღაურის სანაცვლოდ “იეღოველებს” იცავდნენ და როცა საშუალება მიეცათ, მას-მედია მთლიანად საკუთარ ცენზურას დაუქვემდებარეს.

კავშირგაბმულობის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შევიტანეთ. თუმცა ჩვენს მოპასუხედ სასამართლომ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად, ჩიხრაძეც ცნო. ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე, ომი ქერი აქტიურად დაგვეხმარა. ერთ-ერთ სასამართლო პროცესს 5 წამყვანი ქვეყნის დიპლომატიც დაესწრო. ის პროცესი წავაგეთ, თუმცა საბოლოოდ სასამართლოს გზით, მაინც გავიმარჯვეთ და 1997 წლის 10 აპრილს ეთერში დავბრუნდით.

ვინაიდან ხელისუფლებას ჩვენი დახურვა არ გამოუვიდა, სტრატეგია შეცვალეს და კონტროლირებული ტელეკომპანიების საშუალებით ჩვენი “დაძირვა” განიზრახეს. ამ მიზნით, სახელმწიფო ტელევიზიის უფროსად ზაზა შენგელია დანიშნეს, რომელმაც პირველ არხზე “იბერვიზიიდან” ჟურნალისტთა ძლიერი გუნდი გადაიყვანა. სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხიც პოპულარული იყო, იქ კიდევ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ გააკეთა ტელევიზია, კარგი სიხშირე მისცეს და მას არც ფინანსები უჭირდა.

ჩავებით კონკურენციაში. “რუსთავი 2”-ს ამ დაპირისპირებაში მხოლოდ ინოვაციებით შეეძლო გამარჯვება და ჩვენ გეზი ამისკენ ავიღეთ. აქედან მოყოლებული ჩემი გენერალური დირექტორად მუშაობის ბოლომდე - “რუსთავი 2” მუდმივად ინოვაციური ტელეკომპანია გახლდათ.

ჩვენ პირველებმა ვაჩვენეთ პირდაპირ ეთერში ინგლის-საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრებების მატჩი. ქართველ კომენტატორებს, გიგა ბოკერიას და გოგი ქავთარაძეს, პირდაპირი რეპორტაჟი “უემბლის” სტადიონიდან მიჰყავდათ. ჩვენი გუნდის გასვლითი მატჩი მანამდე პირდაპირ ეთერში ლეგალურად არასდროს გადმოუციათ. ფეხბურთელებს თამაშის მეორე დღეს შავბნელი ვიდეოკასეტა ჩამოჰქონდათ და მაყურებელს იმას უჩვენებდნენ. ერთი ეგ იყო, რომ ფეხბურთის მეორე დღეს ნახევარი თბილისი ბოკერიას ცუდად გადმოცემული რეპორტაჟისთვის აგინებდა, მეორე ნახევარი - მე, მაგისი ლონდონში გაგზავნისთვის.

“რუსთავი-2” გახდა პირველი ქართული არხი თანამგზავრზე. მაშინ ტელეკომპანია “მირთან” ხელშეკრულება გავაფორმეთ და ყოველდღე ერთი საათით თანამგზავრიდან ვმაუწყებლობდით. ამის გამო ზაზა შენგელიას კინაღამ ოჯახი დავანგრევინეთ. საქმე ის არის, რომ “მირის” დირექტორი მისი

მეუღლე, სესილი გოგიბერიძე გახლდათ და ხელშეკრულება მან გაგვიფორმა. ის მოიქცა ისე, როგორც ძალიან წესიერი მენეჯერი უნდა მოქცეულიყო. ჩვენს თანამგზავრზე გასვლას დიდი პიარ-კამპანია გავუკეთეთ. ქუჩებში სარეკლამო ბილბორდებზე წამყვანი ჟურნალისტების - აკაკი გოგიჩაიშვილის, ეკა ბერიძის, გიორგი სანაიას სურათები გამოვკიდეთ. ამ სურათებზე მათ კოსმონავტის სკაფანდრები ემოსათ. ესეც, ტელევიზიის პირველი პროფესიონალურად განხორციელებული პიარ აქცია აღმოჩნდა.

საპასუხოდ შენგელიამ თანამგზავრიდან 24-საათიანი მაუწყებლობა პირველმა დაიწყო, მაგრამ თანამგზავრზე პირველები ჩვენ გავედით.

1998 წლის ბოლოს ჩვენ პოპულარობით ყველა კონკურენტს გავუსწარით, რაც სარეკლამო ბაზარზეც აისახა. ჩვენ სარეკლამო ბაზრის 55 პროცენტი დავიკავეთ.

1999 წელს საპარლამეტო არჩევნები ტარდებოდა და ამ პერიოდში პირველობა ფინანსურად ბევრ რამეს ნიშნავდა. პოლიტიკური ჯგუფები ყველაზე პოპულარულ სატელევიზიო არხზე სარეკლამო კლიპებს განათავსებდნენ, რაც სერიოზულ ფინანსურ სარგებელს მოგვიტანდა. გარდა იმისა, რომ კომერციულ რეკლამას პოლიტიკური რეკლამაც ემატებოდა, ჩვენთვის ეს არჩევნები ქვეყნის მომავლის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი და საინტერესო გახლდათ.

შევარდნაძის პოლიტიკური გაერთიანება “მოქალაქეთა კავშირი” არჩევნების წინ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1997 წლამდე შევარდნაძის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საზოგადოება პოზიტიურად აფასებდა, მაგრამ მომდევნო წლებში რუსული დეფოლტით განპირობებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ეკონომიკაში ერთი ადგილის ტკეპნამ, გაუცემელმა ხელფასებმა და პენსიებმა, ელექტროენერგიის დეფიციტმა მას პოპულარობა დაუკარგა და მის მიმართ იმედგაცრუება გაჩნდა. ამ ფონზე სრულიად ლოგიკურად ოპოზიციური სპექტრი გაძლიერდა.

ოპოზიციის ცენტრად ბათუმი ჩამოყალიბდა. ასლან აბაშიძის ირგვლივ ბევრმა პოლიტიკურმა მოთამაშემ მოიყარა თავი: ვახტანგ რჩეულიშვილი, აკაკი ასათიანი, თვითონ “აღორძინება”, ერთ-ერთი ზვიადუსტური მოძრაობა... საკმაოდ ძლიერი ბირთვი შეიქმნა და მას მთლიანად ასლან აბაშიძე აფინანსებდა. ცხადია, ეს პრორუსული მიმართულების გაერთიანება იყო, ცხადია, ასლანის გარშემო შეკრებილ ხალხს ერთი მიზანი ჰქონდა: გაერთიანების გზით პარლამენტში მოხვედრილიყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ იმხანად საკმაოდ პოპულარული ასლან აბაშიძის ფლაგმანობით ამ მიზანს იოლად მიაღწევდნენ.

მათ უპირისპირდებოდა ზურა ჟვანია - მოქალაქეთა კავშირის და საქართველოს პოლიტიკური სივრცის გამოკვეთილი ლიდერი, მას უკვე ჰქონდა ერთი ვადით პარლამენტის თავმჯდომარეობის გამოცდილება. გარდა ამისა, მოქალაქეთა კავშირში და შევარდნაძის გარემოცვაშიც დიდი კონკურენცია იყო, ყველა ცდილობდა, შევარდნაძეზე გავლენა მოეპოვებინა და ამ გზით სულ სხვადასხვა სფეროში თავისი პოზიციები გაემაგრებინა.

საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე ორივე მხარე გააქტიურდა და ჩვენც დაგვიკავშირდნენ. სწორედ ამ პერიოდში რამდენიმე მიზეზის გამო ბათუმში ასლან აბაშიძეს შევხვდი.

ასლან აბაშიძესთან სულ ორი ასეთი შეხვედრა მქონდა. პირველი იყო უზარმაზარი რიტუალი, რომელიც ნამდვილად იმსახურებს აღწერას.

ასლან აბაშიძესთან შესახვედრად ჯერ ბათუმში უნდა ჩასულიყავი.

საზღვარზე, ჩოლოქზე, გეკითხებოდნენ, სად მიდიხარ. 1999 წელს “რუსთავი 2”-ის ხელმძღვანელს ჯერ

ნაკლებად მცნობდნენ და არც საზღვარზე მდგომმა შავფორმიანმა ბიჭებმა იცოდნენ, ვინ ვიყავი, ამიტომ ისინი დიდი ყურადღებით, მკაცრი სახით ამოწმებდნენ საბუთებს და დაუვიწყარი რეაქცია ჰქონდათ, როცა ვუთხარი, რომ ასლან აბაშიძესთან მივდიოდი.

მომენტალურად შეშფოთდნენ, აღელდნენ, უმალვე ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. შემდეგ ხაზგასმული ზრდილობით დამიბრუნეს საბუთები, ხაზგასმული ზრდილობით გამაცილეს, მისურვეს წარმატება, ბედნიერი მგზავრობა...

“კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აჭარაში!”

აჭარაში ორი მიზეზის გამო გავემგზავრე. პირველი, რუსთავი 2-ის გავრცელებასთან დაკავშირებით შეგვექმნა პრობლემა. ჩვენი პარტნიორი ტელეკომპანია “25-ე არხი” გახლდათ, დაუჯერებლად მამაცი ადამიანები, რომელთა ინტერესებიც მუდამ ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების ინტერესებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება სურდათ. იმ დროისთვის 25-ე არხი მის დამფუძნებლებს აღარ ეკუთვნოდა, რამდენიმე ადამიანი მენეჯერებად ჰყავდათ დატოვებული. ერთი დამფუძნებელი თბილისში იყო წასული და ბათუმში საერთოდ ვერ ბრუნდებოდა. არხს ფორმალურად ფლობდა ასლან სმირბა, რომელიც იძულების წესით აძლევდა დანარჩენ მფლობელებს რაღაც 50 000 დოლარს, რომ არხი ბოლომდე მის სახელზე გაფორმებულიყო.

მოკლედ, შეიქმნა პრობლემები, ჩვენ კი აჭარაში საინფორმაციო გადაცემებს 25-ე არხის საშუალებით გადავცემდით, “კურიერის” გასავრცელებლად სხვა არხები არ გვქონდა და ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ასლანს შეეძლო, მამას და მარჩენალს.

მოკლედ, ჩავედი ასლანთან მე, დირექტორი ერთ-ერთი ტელევიზიისა, რომელიც კი, ყველაზე პოპულარულია, მაგრამ არანაირი პოპულარობა არაა საკმარისი იმისთვის, რომ ბათუმში “რუსთავი 2” გაუშვან. ჩავედი და დაიწყო რიტუალი.

ნაბიჯი პირველი: კონტაქტი პრესმდივანთან. იმხანად ასლანს გიორგი თარგამაძე ჰყავდა პრესმდივნად, ის ასლანის გარემოცვაში ერთ-ერთ რუხ კარდინალად ითვლებოდა. შესაბამისად, შემხვდა თარგამაძე, ძალიან საქმიანი, შეწუხებული სახით, თავისი ასაკისათვის მეტისმეტად სერიოზული იყო ან სერიოზულს თამაშობდა. “იცით, ბატონი ასლანი დაკავებულია, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ საათზე გაქვთ შეხვედრა დათქმული, როგორც კი მოიცლის, შეგატყობინებთ” - და დიდი პატივისცემით წამიყვანეს ბათუმის, აჭარის და მთელი საქართველოს საამაყო სასტუმრო “დავითში”.

ესეც რიტუალის ნაწილი იყო: ოთხიოდე საათი “დავითის” კაფე და ათიოდე ფინჯანი ყავა ბათუმურად. რაღაც დროის შემდეგ შეწუხებული თარგამაძე ტელეფონს იღებს, ჩუმად ლაპარაკობს, შემდეგ მიდის, შემდეგ მოდიან ვალერი გელბახიანი და ჯემალ გოგიტიძე, რომლებიც აგრძელებენ ჩემს გართობას, თუ დროის გაყვანას, თუ არ ვიცი, რას. პერიოდულად კვლავ ხდება გადარეკვები, გადმორეკვები... მოკლედ, წვალობენ.

მაშინ თვითონ ბათუმი ძალიან დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებდა. წარმოიდგინეთ: ზღვა, ფანტასტიკური სუბტროპიკები, მოდუნებული უნდა იყო - და ირგვლივ შავ, უცნაურ ტანსაცმელში, დანარჩენი საქართველოს ძალოვანებისგან განსხვავებულად გამოწყობილი მამაკაცები დადიან, ავტომატიანი ბიჭებით სავსე მანქანა ხან აიქროლებს, ხან ჩაიქროლებს. ასლან აბაშიძის რეზიდენციასთან და მის მისადგომებთან კილომეტრებზე დგას პოლიცია, ყველაფერი გადაკეტილია. ძალიან შთაგონებულები არიან, როლში შეჭრილები. ლათინოამერიკული ფილმები თუ გინახავთ, პატარა დიქტატორების შესახებ, 1960-70-იანი წლებიდან, - დაახლოებით ასეთი ტიპის კადრები იქნებოდა იქაც.

საერთოდ, ბათუმელები ძალიან გულღია ხალხია, კარგი იუმორის გრძნობით გამოირჩევა, და მაშინ ძალიან თვალშისაცემი იყო, რომ ქალაქი ცალკე სამყაროში ცხოვრობს, ბელადს კი სხვა სამყარო აქვს. დღეს, როცა ყველაფერს ნეგატიურად აფასებენ, ყველას უცებ დაავიწყდა ის უამრავი სისაძაგლე, დაავიწყდათ, რა სიტუაცია იყო ბათუმში, უკანონობის და განუკითხავობის ის ხარისხი. ძალიან დამთრგუნველი იყო, ამ ადამიანს განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა.

ოთხსაათიანი ლოდინის შემდეგ ცა გაიხსნა, შეხვედრა შედგა. წავედით ასლანთან, რეზიდენციაში, რომელსაც აჭარის მეთაურის რეზიდენცია ერქვა. პატარა აგურის შენობაა, არაფრით განსხვავებული, სიმპათიური ბათუმური სახლია.

ბუნებრივია, გამჩხრიკეს. რა იარაღით უნდა შევსულიყავი, მაგრამ მაინც ძალიან გულდასმით მჩხრეკდნენ. მერე - წითელხალიჩიანი კიბე, მისაღები დარბაზი მეორე სართულზე და იქ - ასლან აბაშიძე.

ჩია კაცი, საკმაოდ ნავარჯიშები, კარგად ჩაცმული, ყოველთვის მოწესრიგებული, და მასთან ერთად - უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი. იმდენად დიდია ნაგაზი თუ იმდენად პატარაა ასლანი, ყოველ შემთხვევაში, მის ფონზე ძაღლის ზომები უფრო შთამბეჭდავი ხდება. ერთობ ცივად მომესალმა, სხვა ოთახში შევიდა და იქ გააგრძელა შვილთან, თუ ცოლთან, თუ მეორე შვილთან, თუ სიძესთან ურთიერთობა - არ ვიცი, ეს ყველაფერი კარს უკან ხდებოდა. კიდევ ნახევარსაათიანი ლოდინი და ბოლოს მდივანმა დიდ დარბაზში მიმწვია.

დიდი დარბაზია, შუაში უზარმაზარი მაგიდა დგას. რომ შევედი, ფანჯრების მხარეს დამხვეს. მარცხენა მხარეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზარმაზარი დროშაა, ზედ - ასლანისეული დიზაინის არწივი, ლურჯი, უშველებელი, ფრთაგაშლილი, რაღაც შვიდი ვარსკვლავით ფრთებზე. იქვე დიდეკრანიანი ტელევიზორი დგას, რაც იმ დროისთვის დიდი ფუფუნების საგანი იყო, აქსესუარი მისაღები დიდია, ადამიანი - პატარა. კადრი ჩარლი ჩაპლინის “დიდი დიქტატორიდან”:

ასლანი შემოვიდა:

- გამარჯობა.

- გამარჯობა.

დავსხედით.

საუბრის დეტალურ აღწერას აზრი არა აქვს. თვითონ რიტუალია აღსანიშნავი.

იწყება ასლანის ნახევარსაათიანი მონოლოგი, აბსოლუტურად გაუგებარი. ის ჰყვება რაღაც ამბებს, რომლებზეც წარმოდგენა არა გაქვს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ყველაფერი იცი: როგორ გადაარჩინა თავის დროზე აჭარა მხედრიონის შემოჭრისგან, როგორ დაიცვა საქართველოს ეს კუთხე, მისი წინაპრები როგორ იბრძოდნენ ერთიანი საქართველოსთვის... პერიოდულად მქონდა საუბარში ჩართვის, სიტყვის ჩაგდების მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. ეტყობოდა, რომ ძალიან სიამოვნებდა თავისი მონოლოგი, თავისი თავის მოსმენა. პერიოდულად მდივანი შემოდიოდა, ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ასლანი საქმიანი სახით დგებოდა, გადიოდა, დავალებებს გასცემდა, ვიღაცა შემოდიოდა, ვიღაც გადიოდა, და განცდა მქონდა, რომ ეს არასოდეს მორჩება. ასლანი უკვე კულტუროლოგიურ ასპექტებს შეეხო, ის მოჰყვა, როგორია ბათუმის ოპერა, როგორი საუკეთესოა...

რიტუალის შემდეგი ნაწილი ყველაზე სახალისოა. მის შესახებ ბევრისგან მსმენია და აი, თვითონაც დავესწარი: სახლგანთქმული ტრაპეზი ასლან აბაშიძესთან.

შემოდის მზარეული თუ ოფიციანტი, შემოაქვს უზარმაზარი, შავი ქვაბი, ასეთში ფლავს აკეთებენ ხოლმე. ქვაბში ამჯერად სპაგეტია. ასლანის ქალიშვილი იტალიაში იყო გათხოვილი, და სპაგეტი ასლანის ერთ-ერთი მთავარი კერძი გახდა.

მაშ, ასე: სპაგეტი, პირდაპირ ქვაბით, და ასლანის საყვარელი აჭარული კერძი, პომიდორში მთლიანად ჩახლილი კვერცხი, მართლა უგემრიელესი რაღაცაა. ასლანთან ტრაპეზი, ამ კვერცხის ჭამა, თეფშის პურით მოწმენდა – კარგი სანახაობაა.

რიტუალი, - ის სამი საათი თუ სამსაათნახევარი გაგრძელდა; ზურა ჟვანიას და სხვებს ნათქვამი აქვთ, რომ ზოგჯერ ოთხსაათიანიც ყოფილა, - მორჩა იმით, რომ მე ათიოდე წუთი ველაპარაკე, რომ არჩევნები იწყება, რომ რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან გაგვიხარდებნა, თუ აჭარის საარჩევნო ბიუჯეტში ჩვენთვის იმის შესაბამის წილს დაგეგმავენ, რამდენიც ჩვენი გავლენის გათვალისწინებით გვეკუთვნის. ვუთხარი, რომ სახელისუფლებო და ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი არხებისაგან განსხვავებით, ჩვენთან მას გარკვეული თავისუფლება ექნებოდა – თუ რამე ღონისძიება იქნებოდა ან საინფორმაციო აქტივობა, ეთერში გამოსვლის საშუალებას მივცემდით.

საბოლოოდ ასლანი ძალიან კმაყოფილი დარჩა, ჭკუა დამარიგა, მასწავლა, რას ნიშნავს დემოკრატია, როგორ უნდა გაშუქდეს მოვლენები, რამდენჯერ სცადა მან საქართველოს გადარჩენა და ახლაც ამ ბრძოლაშია, და ა.შ. შევთანხმდით, რომ როცა მისი თანამოაზრეები საარჩევნო ბიუჯეტს დაგეგმავდნენ, “რუსთავი 2” აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

ამ შეხვედრის შემდეგ ასლან აბაშიძე და მისი საარჩევნო პოლიტიკური ბლოკი “აღორძინება” ძალიან გააქტიურდნენ. ასლანმა ჟურნალისტებთან თავისი სახელგანთქმული ორშაბათის თუ სამშაბათის შეხვედრების ტელეტრანსლაციები დაიწყო. ჟურნალისტებთან ურთიერთობა საათობით გრძელდებოდა, ის საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებდა და აჭარის მთავრობის წარმატებების დემონსტრაციას ახდენდა.

მოგვიანებით, როცა მე და ზურა ჟვანია დავმეგობრდით, ის სულ მეუბნებოდა: “აი, იცი რა, აი, შენ მაშინ... რამდენი გადაგიხადა ასლანმა? აშკარად ბევრი გადაგიხადა, შენ მაგათზე მუშაობ...” თუმცა მსგავსი არაფერი ყოფილა. უბრალოდ, მოქალაქეთა კავშირი სათანადოდ ვერ მოემზადა, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო და ამიტომ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ცენტრალური ხელისუფლება და მოქალაქეთა კავშირი ასლანს ჯეროვნად ვერ პასუხობდნენ. ინიციატივა ასლანმა მოიხელთა და ეს ბუნებრივია, საინფორმაციო სფეროზეც აისახა.

სინამდვილეში, საქართველოს დედაქალაქში დასახარჯად ბათუმიდან წამოღებული, იმ დროისთვის კოლოსალური თანხებიდან ასლან აბაშიძის გარემოცვამ დიდი ნაწილი ტელეკომპანია “საქართველოს ხმას” მისცა. ეს ტელევიზია ბევრს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მისი მეპატრონეები ასლანთან მეგობრობდნენ და დაფინანსებაც ამის გამო მიიღეს. ასლანმა სახელმწიფო არხზეც სერიოზული თანხა გადაიხადა.

ყველაზე ცოტა - 20 ათასი დოლარი “რუსთავი 2”-ში მოიტანეს, თუმცა ჩვენ აზრად არ მოგსვლია, რაიმე თანხის საფასურად არხის პოლიტიკა შეგვეცვალა.

ასლანის კვალად მოქალაქეთა კავშირიც გააქტიურდა და მათაც დიდი საარჩევნო კამპანია გააჩაღეს. მათ

ფინანსების საკითხიც, მოაგვარეს და მოქალაქეთა კავშირმა ძალიან ამაყად გადაიხადა ნაღდი ფულით 150 ათასი დოლარი.

იმხანად შევარდნაძის გარემოცვაში ერთი ალიაქოთი ჰქონდათ, მომავალი პირველობისთვის ერთმანეთს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე და პარლამენტის თავმჯდომარე ზურა ჟვანია იბრძოდნენ. ჟვანია ლორთქოიფანიძის საპირწონედ განიხილებოდა, რაც ვაჟას ძალიან ანერვიულებდა.

ზურა ქართულ პოლიტიკაში ახალ ხაზს წარმოდგენდა, ეროვნული მოძრაობიდან, დისიდენტური მოძრაობიდან, საუნივერსიტეტო წრიდან წამოსულს. მან თავისი გზა ყოველგვარი კომკავშირულ-პარტიული სიმძიმეების გარეშე გაიარა, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლიდერშიფის საუკეთესო შტოს წარმოადგენდა. მეორე მხარეს იყო ვაჟა, რომელიც ასევე საკმაოდ ძლიერი, აქტიური, ასე ვთქვათ, ბექგრაუნდის მქონე ადამიანია, მაგრამ მას სრულიად კომუნისტური, ნომენკლატურული წარსული ჰქონდა- საბჭოთა პერიოდში, ვაჟა ლორთქიფანიძე საქართველოს კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი იყო, შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. შევარდნაძის სახელმწიფო მეთაურობის პერიოდში, ის მის კანცელარიას ხელმძღვანელობდა და შევარდნაძის გარემოცვაში ყველაზე გავლენიან კაცად ითვლებოდა. სახელმწიფო მინისტრობამდე მოსკოვში ელჩად რამდენიმე წელი იმუშავა.

პრესას ორივე მხარე მეტ-ნაკლები წარმატებით სათავისოდ იყენებდა. ამ მხრივ, საქმე ზურას უკეთ ჰქონდა აწყობილი: ჟურნალისტურ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, მისი ლიბერალური იდეები უფრო მოსწონდა, მას გამომცემლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მათ გრანტების მოპოვებაშიც ეხმარებოდა. ყოველივე ამის გამო ზურა მეტი პოპულარობით სარგებლობდა.

1999 წლის არჩევნები, მოგეხსენებათ, შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირის გამარჯვებით დამთავრდა და სრულიად სამართლიანად: კამპანიის თვალსაზრისით მოქალაქეთა კავშირმა ძალიან სერიოზულად აჯობა მოწინააღმდეგეს. თუ დავაკვირდებით, ეს კამპანია ძალიან ჰგავდა 1996 წლის ელცინის კამპანიას, აქაც იგივე ტექნოლოგია გამოიყენეს: კომუნისტებისაგან შეიქმნა ე.წ. რევანშიზმისა და წარსულის უკან დაბრუნების საფრთხობელა, “საფრთხე”, კამპანიამ ხალხი ამ “საფრთხის” ირგვლივ გააერთიანა და ელცინი, რომელსაც მარტის დასაწყისში 7 პროცენტი უჭერდა მხარს, თუმცა მეორე ტურის შემდეგ, მაინც რუსეთის პრეზიდენტად “გაიყვანეს”. ელცინი, დავარდნილი, ფაქტიურად, ნახევრადცოცხალი ადამიანი.

აქ მთლად ასეთი სიტუაცია არ ყოფილა. შევარდნაძე, მიუხედავად 1998 წლის ტერაქტისა, საკმაოდ მტკიცედ იდგა ფეხზე, მაგრამ ასლან აბაშიძის სახით საფრთხობელის შექმნა მაინც საჭირო გახდა. რუსი იმიჯმეიკერების დახმარებით ამ საფრთხობელის და ზურა ჟვანიასა და მისი თანამოაზრეების გამოცდილების წყალობით მოქალაქეთა კავშირმა გაიმარჯვა და ზურა ჟვანიამ 1999 წლის მოწვევის პარლამენტის ახალი უმრავლესობა დააკომპლექტა და შევარდნაძეს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე გია არსენიშვილი დაანიშნინა.

პარლამენტი ჩამოყალიბდა და ექვსი თვის მერე, ანუ მარტში, პრეზიდენტის არჩევნებია დაგეგმილი.

შევარდნაძესთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია. ჩვენი ტელეკომპანია ამ დროისთვის უკვე ყველაზე გავლენიანი გახდა.

ზემოთაღწერილი მოვლენების განვითარების დროს, რამდენიმეთვიანი მოლაპარაკების შემდეგ, შემოგვიერთდნენ - აკაკი გოგიჩაიშვილი და მისი გუნდი, ორი ჟურნალისტი: ეკა სარია და ლიკა ბასილაია. ჩაფიქრებული ჰქონდათ ჟურნალისტური გადაცემა ეკონომიკაზე, დაახლოებით ისეთი, როგორიც აკაკიმ შემდგომ გააკეთა, მაგრამ მაშინ ეს იდეა უპერსპექტივოდ მომეჩვენა, ჩავთვალე, რომ

პროექტი წარუმატებელი იქნებოდა.

ეთერში სხვა გადაცემა გავიდა, აკაკი გოგიჩაიშვილის “60 წუთი”. პირველივე გადაცემების მთავარი გმირი შევარდნაძე გახდა. აკაკი სარგებლობდა იმ ინფორმაციით, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები და კონტროლის პალატა აწვდიდა. ამ მასალის გამოყენებით მან შევარდნაძის ოჯახს რამდენიმე მძიმე ბრალდება წაუყენა. პირველად თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ედუარდ შევარდნაძე - ღიად, მთელი ქვეყნის გასაგონად, მისი ნათესავების კორუმპირებულობისთვის დაადანაშაულეს. იყო მინიშნებებიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში არამარტო შევარდნაძის სახელით სარგებლობდნენ, არამედ უკანონო გარიგებებისთვის პირადად შევარდნაძესაც იყენებდნენ.

ამ გადაცემების ჩვენების შემდეგ შევარდნაძე გააქტიურდა. მან შეხვედრა დამინიშნა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პირისპირაც შევხვდი.

შევარდნაძე იმ დროისათვის ლეგენდარული ადამიანი იყო. გამჭოლი მზერა აქვს, უძლიერესი პოლიტიკოსი, “თეთრი მელა”, ადამიანი, რომელმაც ბერლინის კედელი დაანგრია, ადამიანი, რომელიც 30 წელი მართავდა და მართავს საქართველოს, ანუ მართლა ადამიანი-ლეგენდა, და ბუნებრივია, ვღელავდი.

მანამდე მხოლოდ ერთხელ შევხვედრივარ - როცა “რუსთავი 2”-ს ვიწყებდით, შევარდნაძის პრეს-მდივანი რამაზ საყვარელიძე იყო, და რამაზს ვთხოვეთ, დაგვხმარებოდა, რომ შევარდნაძეს რუსთაველებისთვის ახალი ტელევიზიის დაბადება მიელოცა. შეიძლება ითქვას, რომ “რუსთავი 2” მისი დალოცვილი იყო.

მახსოვს, არ ვიცოდი, რომ შევარდნაძეს ცალი ყურით გაგონება უჭირდა. მახსოვს, რაღაც კითხვა დავუსვი, ალბათ, ხმადაბლა მომივიდა და მან მხოლოდ გაკვირვებულმა შემომხედა, პასუხი არ გამცა. კიდევ ერთხელ გავუმეორე, კიდევ არ მიპასუხა და ცოტა ხმამაღლა მომივიდა, „გასაგებია?“ მაშინ ეს დიდი სამხიარულო თემა გახდა.

ახლა კი კვლავ შევარდნაძეს უნდა შევხვედროდი.

გავიარეთ “ცისანას ბარიერი”. ცისანა იყო ათწლეულების განმავლობაში შევარდნაძის პირადი მდივანი, თბილი, გაწონასწორებული ქალი. გავიარეთ “ცისანას ბარიერი” და მოვხვდი შევარდნაძესთან.

შევარდნაძის კაბინეტი მრავალს ახსოვს: შესასვლელში, ხელმარცხნივ - ძალიან გრძელი მაგიდა, კაბინეტის სიღრმეში - დიდი სამუშაო მაგიდა და ორი სავარძელი სტუმრებისთვის, მარჯვენა მხარეს - დივანი და ორი სავარძელი.

მე ველაპარაკე იმაზე, რომ პრესას დახმარება სჭირდება, რომ აი, როგორ ფიქრობთ? როგორ წარმოგიდგენიათ? და ჩვენ ასე წარმოგვიდგენია ქვეყნის მომავალი... მან კი სადღაც შუა საუბარში ისე, სხვათა შორის მკითხა, რას ფიქრობ, შენი ტელევიზია ვინმე რუს ოლიგარქს რომ მიყიდოო? აი, გუსინსკისნაირსო, მაგრამ არა გუსინსკისო.

გაკვირვებულმა შევხედე - რატომ-მეთქი?

- არა, სულ კი არა, რაღაც ნაწილი რომ მიჰყიდო.

- არ მიფიქრია, ბატონო ედუარდ, მაგაზე და არ ვიცი.

შევარდნაძემ უცბად სხვა თემაზე დამიწყო საუბარი.

სინამდვილეში, კი მას ტელევიზიის გაყიდვაზე სურდა საუბარი.

შევარდნაძესთან საუბრიდან კი რატომღაც დამამახსოვრდა საუბრის ის ნაწილი, რომელიც ტელევიზიის გაყიდვას შეეხებოდა. ჩემი პოზიცია ძალიან დელიკატურად მოსინჯეს. საერთოდ დავივიწყებდი ამ საუბარს, მას რომ რაღაც დროის შემდეგ ბადრი პატარკაციშვილამდე არ მივეყვანე.

პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პატარკაციშვილს და მის პარტნიორს, ბერეზოვსკის, პუტინთან ურთიერთობა გაუფუჭდათ. უფრო სწორად, ბერეზოვსკის გაუფუჭდა, რაც ბადრის მონაყოლის თანახმად, „კურსკის“ ჩაძირვის ამბავს უკავშირდებოდა. ბადრი კურსკის ტრაგედიის გამო პირადად პუტინს ადანაშაულებდა.

მე ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა მაინც უფრო დიალექტიკური ხასიათისა იყო: იმ ხალხს, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღოდა მის აღზევებაში, პუტინი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ იმით გადაუხდიდა, რითაც გადაუხადა, ანუ თავიდან მოიშორებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირადად მას პუტინთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ბადრი უკვე საქართველოში წამოსვლას აპირებდა. ის ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა, მან ბერეზოვსკის, რომელზეც ძებნა გამოცხადდა და რომელიც გადაყვანილი ჰყავდათ ნომერ პირველ მტრის რეჟიმში სოლიდარობა გამოუცხადა და რუსეთი დატოვა. ბერეზოვსკის უარყოფის შემთხვევაში ბადრის რუსეთში ძალიან მშვიდი და ტკბილი ცხოვრება ელოდა. ისევე, როგორც აბრამოვიჩს, მასაც „სიბნეფტის“ აქციებით ფრიად კომფორტულად შეეძლო თავი ეგრძნო.

მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოში ჩამოვიდა. 1999 წლის ბოლოს - 2000-ის დასაწყისში ის უკვე თბილისის დიდი ჭორების და ინტერესის საგანი იყო. წარმოიდგინეთ: 90-იანი წლების ბოლოს გაღარიბებული ქართული ინტელიგენცია, ქალაქი, რომელშიც ცხოვრების დონე მაღალი ნამდვილად არაა, და უცებ რუსეთიდან ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ჩამოდის. ბადრის სიმდიდრე კი ასეთი იყო: „სიბნეფტის“ აქციების დაახლოებით ერთი მესამედი ეკუთვნოდა მას, მესამედი - ბერეზოვსკის, მესამედი - აბრამოვიჩს.

სწორედ ამ დროს უცნაური ამბავი შემემთხვა: უცხოეთიდან უცხო კაცმა დამირეკა და თქვა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მედია-მოთამაშის, „ნიუს კორპორეიშენის“ ევროპის ფილიალის დირექტორს საქართველოში ჩამოსვლა და ჩვენთან საუბარი სურდა.

მართლაც, ამ ტელეკომპანიის ევროპის ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი, მარტინ პომპადური ტელევიზიაში გვეწვია. სიმპათიური, მაღალი, ახოვანი, ელეგანტური დასავლელი, განათლებული, ბრწყინვალედ ჩაცმული, პროფესიონალი. მაშინ, 2000 წელს, ასეთი უზარმაზარი მედია-კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი “რუსთავი 2”-ში, მე-17 სართულზე ამოვიდა, სადაც პატარა ოფისი გვქონდა, თუმცა ჩვენ გვეგონა, რომ ძალიან დიდი იყო და კომფორტული.

გაოცებისაგან ენა გადავყლაპეთ და ყბა ჩამოგვივარდა. ამ კაცმა კი მშვიდად მოგვახსენა, რომ მას და „ნიუს კორპორეიშენს“ ევროპის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის რუმინეთსა და ბულგარეთში სურთ ინვესტიციების ჩადება, რომ რუსეთშიც აქვთ რაღაც ინტერესი, მაგრამ იქ ტელევიზიების მოპოვება უჭირთ, მხოლოდ რადიოებით იფარგლებიან, და რომ შემდეგი მათ სიაში საქართველოა. აქ, რა თქმა უნდა, საუკეთესო ჩვენა ვართ და ამიტომ მზად არიან, ჩვენი საკითხი განიხილონ, მზად არიან, ინვესტიია განახორციელონ, მზად არიან, ხელი მოაწერონ ძალიან დიდი შეთანხმებას, რომელიც ტრენინგსაც

გულისხმობს. პირადად ჩემთან რაღაც ხუთწლიანი ხელშეკრულების გაფორმება უნდათ, მე ამერიკაში დამპატიჟებენ, სადაც მედიის, ტელევიზიის მენეჯმენტს მასწავლიან. მოკლედ, კონკიას ამბავი.

ჩვენც სრულიად გულწრფელად, გახსნილები ვესაუბრებოდით, ვეუბნებოდით, რომ კი, გვესმის, რომ ჩვენ ძლიერი ტელევიზია ვართ, მაგრამ მარკეტი ძალიან პატარაა და მულტიპლიკატორი სულ სამი თუ ოთხია, და შეშინებულები ვუყურეთ თვალებში, მართლა სამი თუ ოთხია... ჩვენ ექვსჯერ-შვიდჯერ ნაკლებად დავაფასეთ საკუთარი თავი, რეალურად ტელევიზიის ღირებულება ბევრად მაღალი იყო.

აღტყინებულები ვართ - პარტნიორები... უბედნიერესები. ეს რა გვეღირსა! ამერიკული ინვესტიცია! ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვექნება ამერიკული ქოლგა, ჩვენ დაცულები ვიქნებით და ვერანაირი შევარდნაძე, ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგვემუქრება! ცალკე - ცოდნა, ცალკე - ტელევიზიის განვითარება... ამერიკული ოცნება ახდა!

უცნაური ამბავი აეროპორტში შეგვემთხვა, როცა ჩვენს მაღალ სტუმარს ვაცილებდით. ძველ აეროპორტის შენობაში მარცხენა მხრიდან იყო ვიპი, არა სამთავრობო, არამედ ჩვეულებრივი ვიპი. აი, ამ ვიპში მივედი, რომ მომსახურების ღირებულება, რამდენიმე ათეული ლარი გადამეხადა, და მითხრეს, რომ სტუმრის მომსახურების ფასი გადახდილია. ძალიან გაკვირვებულმა ვიკითხე, ვინ გადაიხადა-მეთქი. აი, ბატონმა გოგი ჯაოშვილმა გადაიხადაო.

მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო. ვკითხე, ეს რატომ გააკეთეთ-მეთქი, და უცბად მივხვდი, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს იცნობდნენ, ეს პომპადურის გარემოცვა და ჯაოშვილი ერთად არიან.

მაშინ ვერაფერს ვერ მივხვდი. რამდენიმე დღის შემდეგ რამდენიმე ჩემს ნაცნობს ვკითხე, ვინ არის გოგი ჯაოშვილი-მეთქი, და ბოლოს მითხრეს, რომ ის ბადრი პატარკაციშვილის თანაშემწე და უახლოესი მეგობარი იყო. ყველაფერი გაირკვა: შევარდნაძის ნათქვამი, რუსი ოლიგარქის ვინაობა, რომელსაც ტელევიზიის ნაწილი უნდა ეყიდა...

ბადრიმ სხვა სქემით ითამაშა, გადაწყვიტა, თვითონ არ გამოჩენილიყო და ამერიკელების სახელს ამოფაროდა. სწორად გათვალა - მიხვდა, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, ტელევიზიის ბიზნეს-ფასს დავასახელებდით, ის კი ჩრდილში დარჩებოდა და მთელი ისტორია, ასე ვთქვათ, რაფინირებულად იქნებოდა შეფუთული. მაგრამ ამ შემთხვევის გამო თვალები ამეხილა. კიდევ იყო რაღაც დეტალები, ჯერ კიდევ პამპადურის ჩამოსვლამდე, როცა ჩვენი კომპანიის შესასწავლად რამდენიმე ჯგუფი რატომღაც რუსეთიდან ჩამოვიდა. ძალიან მიკვირდა. მერე ერთ წევრს სავიზიტო ბარათი გამოვართვი, ზედ ეწერა: “ლოგოვაზ ნიუს კორპი”. ბერეზოვსკის და პატარკაციშვილის “ლოგოვაზი” ცნობილი კომპანია იყო, მაგრამ “ლოგოვაზი” და “ნიუს კორპი” თუ პარტნიორები იყვნენ, წარმოდგენა არ მქონდა. პასუხად კითხვაზე, ჩვენ “ნიუს კორპს” ველაპარაკებით თუ “ლოგოვაზს”-მეთქი, მოგვახსენეს: “იცით რა, თქვენ ხომ რუსულად ლაპარაკობთ, ინგლისურად ვერ ლაპარაკობთ, ამიტომ, ბუნებრივია, რუსულენოვან სპეციალისტებს ვგზავნით. მხოლოდ ამის გამო. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვყავს მეგობრები რუსეთში, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ”.

საბოლოო ჯამში ყველაფერი გასაგები გახდა და ბადრის შევუთვალე, რომ თუ საუბარი ტელევიზიის ყიდვა-გაყიდვას ეხება, მოდი, ჩვენ დავილაპარაკოთ და ამ ეშმაკობას თავი დაანებე-მეთქი.

2000 წლის გაზაფხულზე ბადრის შევხვდი.

ბადრის რიტუალების სასახლე ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნაყიდი, ან იქნებ ნაყიდი ჰქონდა, მაგრამ ჯერ

გარემონტებული არა ჰქონდა. ჩვეულებრივი რვასართულიანი სახლის უკანა შესასვლელთან ხალხი ფუსფუსებდა, ავტომატიანი დაცვა, იმ დროის თბილისისთვის ამდენი ტოპ-მანქანა ეგზოტიკა იყო, ამდენი ერთად საერთოდ არავის ენახა. გარედან დაყენებული ლიფტით ბოლო სართულზე ავედით, ორსართულიან ბინაში, სადაც უცნაური ხალხით გარშემორტყმული ბადრი დამხვდა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, მისი დიდი, ნახევრადძვირფასი ქვისგან დამზადებული მარტორქების უზარმაზარი კოლექცია იყო. ოთახში ერთი, ათამდე მარტორქა იდგა.

მე ვუთხარი, რომ იცით რა, მოდი, დავანებოთ თავი ერთმანეთის მოტყუებას და იმაზე ვილაპარაკოთ, მას რა ინტერესი აქვს, რა სურს ჩვენგან. რა თქმა უნდა, ძალიან მოწიწებით ველაპარაკებოდი - ის რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო, მე კი - ქართული ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი, კი, 1999-2000 წლების საუკეთესო ბიზნეს-კომპანიათა ათეულში დასახელებული, მაგრამ მასშტაბი მასშტაბია.

ვიღაცამ დაურეკა და როცა დაამთავრა, მითხრა, რომ რუპერტ მერდოკს ელაპარაკა. ისტორიას მომიყვა: “იცი შენ?” - ასე იცოდა ბადრიმ, უყვარდა გრძელი ისტორიების მოყოლა. მომიყვა, როგორ გადაიღეს „ტიტანიკი“ და როგორ მივიდა “ტიტანიკის” რეჟისორი მერდოკთან, როგორ შესთავაზა მერდოკს ეს იდეა, როგორ მისცა მერდოკმა 100 მილიონი თუ 200 მილიონი, და როგორ დააკლდა ამ კაცს კიდევ 40 მილიონი და კიდევ ერთხელ მივიდა მერდოკთან, და როგორ უთხრა მერდოკმა, არა, მე აღარ დაგაფინანსებო. და ამის შემდეგ წავიდა რეჟისორი და 40 მილიონისთვის რაღაც უფლებები ვიღაცას გადასცა, რასაც თურმე მერე მერდოკი ძალიან ნანობდა, იმიტომ რომ “ტიტანიკი” კინოს ისტორიაში ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფილმი იყო.

ძირითად თემას მხოლოდ ცოტა ხნით შევეხეთ. ბადრიმ თქვა, რომ ფული, რა თქმა უნდა, პრობლემა არაა, მაგრამ ის არ თვლის საჭიროდ, რომ ზედმეტი ფლანგოს, რომ თუ შევთანხმდებით, მას უნდა, რომ ჩვენ კომფორტულად ვიყოთ, რომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ...

მას ასეთი საუბრის მანერა ჰქონდა. „კომფორტულობა“ და “რელაქსირებულობა ბიზნესში” მისი საყვარელი სიტყვათშეთანხმებები იყო. დიდი პაუზის შემდეგ ვუთხარი, რომ ბიუჯეტებზე დავფიქრდები. ბუნებრივია, უწინ დასახელებული თანხა უნდა დავივიწყოთ-მეთქი, და ამ მომენტიდან მოყოლებული მოლაპარაკებები დავიწყეთ, რომლებიც დაახლოებით ერთი წელი გაგრძელდა.

პოლიტიკური ბრძოლა ძალიან გამწვავდა: 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძემ გაიმარჯვა, მან ზემოთნახსენები რუსული სცენარით აბაშიძეს მოუგო, ბუნებრივია, მესამე ვადით ის პრეზიდენტი ვეღარ გახდებოდა და ამიტომ პოსტშევარდნაძისეული პერიოდისათვის ძალიან აქტიური მომზადება დაიწყო. შევარდნაძის ოცდაათწლიანი მმართველობა 2005 წელს დასრულდებოდა და კლანები აღელდნენ - რა როგორ დაიბევებინათ, ვინ მოიგებდა, როგორ გადალაგდებოდა ყველაფერი...

ამ პირობებში ერთ-ერთი მთავარი როლი ტელევიზიამ უნდა შეასრულოს და ქვეყანაში ყველაზე რეიტინგული ტელევიზია ჩვენ გვეკუთვნოდა.

როგორც მოგვიანებით გავარკვიე, შევარდნაძემ პირდაპირ მოსთხოვა საქართველოში დაბრუნებულ ბადრის, რომ „რუსთავი 2“ - მას გაეკონტროლებინა. შევარდნაძე ვარაუდობდა, რომ მართული „რუსთავი 2“-ის პირობებში 2005 წელს მისთვის სასურველი სიტუაცია შეიქმნებოდა.

ამ დროს, ბადრიმ უშუალოდ მისი პოლიტიკური გუნდი ჩამოაყალიბა. “ახალი მემარჯვენეები” - მთლიანად ბადრის პროექტს წარმოადგენდა. ამ პროექტში ახალგაზრდა, ანუ ჩემი თაობის ბიზნესის წარმომადგენლები ჩაერთნენ.

მანამდე მომავალი “ახალი მემარჯვენეები” ნიკო ლეკიშვილის სახით ჟვანიას კონტროლირებად ბიზნესმენთა ჯგუფს წარმოადგენდნენ. ამ ჯგუფს მოქალაქეთა კავშირში ჟვანია მფარველობდა, პარლამენტში მან შეიყვანა, და უცბად, სრულიად მოულოდნელად, თან ზუსტად საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ეს ჯგუფი ჟვანიას დაუპირისპირდა.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაჩეჩილაძე და გამყრელიძე ჟვანიას ცალსახად გაემიჯნენ, მათ მოქალაქეთა კავშირის სიით გასული რამდენიმე დეპუტატიც შეურთდა, კიდევ რამდენიმე ადამიანი შეუერთდათ: ახალი სახეები, წარმატებული ბიზნესმენები.

მომხდართან დაკავშირებით ათასი ვერსია გავრცელდა. ამბობდნენ, რომ წინასწარი შეთანხმებით, პრემიერ-მინისტრის პოსტი უნდა შემოეღოთ და პრემიერ-მინისტრად დათო გამყრელიძე უნდა დაენიშნათ, და ჟვანიამ ეს შეთანხმება დაარღვია - პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ პოზიცია შეიცვალა, ისინი, ვინც პრემიერი ან დარგობრივი მინისტრები უნდა გამხდარიყვნენ, გადააგდო, რის გამოც ეს ხალხი ჟვანიას გაემიჯნა და თავად გააქტიურდა.

სინამდვილეში “ახალი მემარჯვენეების” დაფინანსება მთლიანად ბადრიმ იკისრა. ეს, უხეშად რომ ვთქვათ, მისი შპს იყო.

მეც გამიხსენეს. 2000 წლის სექტემბერში ჩემთან ლევან გაჩეჩილაძე მოვიდა, რომელმაც შემომთავაზა, მოდი, შევიკრიბოთ და მომავლის გეგმებზე ვილაპარაკოთ. “ჩვენი თაობა, ახალი გეგმები... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება...”

სიამოვნებით შევხვდი. მართლა ჩვენი თაობის წარმომადგენელი იყო, ლევანის მეუღლე და მე კურსელები ვიყავით, დათო გამყრელიძეც ჩემი კურსელი იყო...

რამდეჯერმე Georgian Glass end mineral Waters Kompany-ს მაშინდელ ოფისში, ჭავჭავაძეზე - მამუკა ხაზარაძის კაბინეტში შევიკრიბეთ მე, მამუკა ხაზარაძე, დათო გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, “მოდი, დავიწყოთ მოძრაობა, დროა, რომ ჩვენმა თაობამ მოიპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი პოლიტიკაში, ქვეყნის მართვაში,” - და მე დავეთანხმე, მაგრამ რეალურ ბერკეტებს მაინც სხვა თაობა ფლობდა.

ამავე საუბარში მითხრეს, თან ძალიან ბოდიშის მოხდით, რომ პროექტში მონაწილეობა სახელგანთქმულ გია თორთლაძეს და ფიქრია ჩიხრაძეს უნდა შესთავაზონ: “იცი, რა, გია თორთლაძე ჩვენი მეგობარია, ჩვენთანაა, შენ ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო? და ფიქრია ჩიხრაძე...” - რომელთანაც მანამდე ასევე დიდი დაპირისპირება მქონდა.

გია თორთლაძის ამბავი ცალკე საუბრის თემაა. მე და გია, უფრო სწორად, გია ჩემზე ადრე, მერე კი უკვე ერთად, მთაში დავდიოდით, ერთად ვიყავით საქართველოს მთამსვლელთა ძირითად გუნდში, ნაკრებში, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წლებში ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. გია არ ითვლებოდა საუკეთესო მთამსვლელად, მაგრამ იყო საუკეთესო მენეჯერი, კარგი ორგანიზატორი, ფანტასტიკური იუმორი ჰქონდა.

შემდგომ საქმიანობის გამო ჩვენი გზები გაიყო, მე ალპინიზმს ჩამოვშორდი. მთელი 90-იანი წლები მე ალპინიზმთან აქტიური ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ჩემს სამეგობროში ხშირად ხუმრობდნენ, თუ როგორ დადიოდა მთაში გია თორთლაძე.

გიამ მთამსვლელობაზე ბიზნესის კეთება დაიწყო. მაგალითად, ასლან აბაშიძისგან რაღაც თანხას მიიღებდა, და თუკი ექსპედიცია ჯდებოდა 50 ათასი, სინამდვილეში ხარჯავდა 10 ათასს, 40 ათასი

რჩებოდა თორთლაძეს – მთელი ბიზნესი ეს იყო. ძირითადად, გია ექსპედიციებში მარტო მიდიოდა და ბევრი მთამსვლელი ამბობდა, რომ ამ ექსპედიციების დროს გია მთაზე არ ასულა. ამას ყურადღებას არავინ არ აქცევდა: ჯერ ერთი, საქართველოში ომი მიმდინარეობდა და ვინ შეამოწმებდა, გია ავიდა თუ არ ავიდა მწვერვალზე, ამიტომ ითვლებოდა, რომ ხალხს მისდამი შური ალაპარაკებდა.

ასე იარა გიამ მთელი 90-იანი წლები. მეგობრები მას პადოშას ვეძახდით და ერთად შეკრებილები ხშირად მის მიერ მორიგი ვითომცდა მწვერვალის დაპყრობაზე ვხუმრობდით.

ასლან აბაშიძის გარდა მან სხვა სპონსორებიც გამოძებნა. ხან თბილისის მერია აფინანსებდა, 1999 წელს კი ზურა ჟვანის თხოვნით სიგარეტის კომპანია “ომეგამ” მას ექსპედიციისთვის კოლოსალური თანხა - 200 000 დოლარი გამოუყო.

ფაქტიურად, ეს თანხა ქართული ალპინიზმის განვითარებას უნდა მოხმარებოდა და არა ერთი ადამიანის თუნდაც ჰიმალაებში გამგზავრებას, მით უმეტეს, რომ ეს ადამიანი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბევრ მთაზე არ ასულა, საქართველოში ჩამოსული კი ამბობდა: “ავედი!”

ერთხელაც კოკამ წყალი არ მოიტანა. 1999 წელს მოხდა ისე, რომ ჰიმალაებში ორი ქართული ექსპედიცია ერთდროულად წავიდა. ერთმა, რომელსაც ჩემი მეგობარი ბენო ქაშაკაშვილი ხელმძღვანელობდა, საჭირო სახსრები დამოუკიდებლად იშოვა, და ევერესტისკენ ტიბეტის მხრიდან, ანუ ჩრდილოეთიდან, ჩინეთიდან წავიდა. მეორე ექსპედიცია და მასთან ერთად ასევე ჩემი მეგობარი, გია თორთლაძე, სამხრეთიდან, ანუ კლასიკური მარშრუტით წავიდა. თორთლაძე ჟვანიამ დააფინანსა.

ორივე დელეგაცია ევერესტზე წარმატებულად ავიდა, მაგრამ გაჩნდა კითხვა მათ შორის ვინ ავიდა მწვერვალზე პირველი? მას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან სხვაობა სულ რამდენიმე დღე იყო, მაგრამ საქართველოში დაბრუნებულ თორთლაძეს მთელი საქართველო შეეგება, პირადად პარლამენტის თავმჯდომარე აეროპორტში დახვდა და პადოშა ქალაქში ხელში ატაცებული შემოიყვანეს. მეორე დელეგაციის ჩამოსვლა არავის გაუგია, ყველაფერმა ძალიან კამერულად ჩაიარა.

ჩავთვალოთ, რომ ეს ჟვანიას საარჩევნო კამპანიის ძალიან ეფექტური ნაწილი იყო.

გადის დღეები, გადის კვირეები და უცებ იმის თაობაზე ალაპარაკდნენ, რომ თორთლაძის, ექსპედიცია ევერესტზე კი ავიდა, მაგრამ თავად გია, რომელიც ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, სადღაც შუაგზაში დარჩა. ამაში არაფერი დრამატული არ არის, ექსპედიცია ავიდა და გიას შეეძლო საერთოდ არაფერი ეთქვა, მაინც ჩაითვლებოდა, რომ მან წარმატებას მიაღწია, მაინც გმირი იქნებოდა. მაგრამ გიას უნდა იცნობდეთ! ძალიან გაღიზიანდა: „როგორ არ ავსულვარ!“

ჩემმა ჟურნალისტმა ამის თაობაზე სიუჟეტი მოამზადა. სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ თბილისში ხმა დაირხა, რომ გია თორთლაძე ევერესტზე არ ასულა.

მე ამ დროს ტელეკომპანიის მორიგი ტექნიკური პრობლემების გამო სადღაც ვარ გადახვეწილი.

ამ სიუჟეტში თვითონ პადოშას ინტერვიუც იყო, ის ამბობდა: „რა სისულელეა! აი, ბატონო, გადაღებული სურათები, აი, აგერ, აპა შერპას კვალი, აი ის დროშა, აგერ - ეს“. ვიდეო არა აქვს, მაგრამ ამბობს, რომ „სურათები აგერაა, რას ლაპარაკობთ, როგორ არ ავსულვარ!“

როგორც მერე გავარკვიე, გიამ შუალედური ბანაკიდან საბაზო ბანაკში გადმოსცა, მწვერვალზე ყველანი ავედითო. სხვა მთასვლელები იმის გამო გაჩუმდნენ, რომ ამ ექსპედიციის წევრები იყვნენ და უხერხულ

დღეში აღმოჩნდნენ.

ცოტა ხანში დიდი სკანდალი ატყდა. სკანდალი დაიწყო არა ამ სიუჟეტის გასვლის გამო, - მისთვის ბევრს ყურადღება არ მიუქცევია, თანაც იქ მხოლოდ კითხვა დაისვა - ავიდა თუ არა პადოშა ევერესტზე, სადაც თავად გია ამტკიცებდა - როგორ არ ასულა!

ამ სიუჟეტის შემდეგ თორთლაძემ დამირეკა. მე ვუთხარი, რომ ჩემთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, იმიტომ რომ ვიცოდი, რაც მოხდა, და ისიც ვუთხარი, რომ სიუჟეტი ვნახე და მე მგონი, სიუჟეტი საშენოა, და ახლა ძალიან თუ დაიწყებ იმის მტკიცებას, რომ ნამდვილად ახვედი, პირიქით, ბევრი კითხვა გაჩნდება-მეთქი. არ დაკმაყოფილდა, ხან ირინა სარიშვილს დაარეკინა, ხან ზურა ჟვანია ათხოვნინა, მოკლედ, მთელი თბილისი, ჩარია, ვისაც, მისი აზრით, ჩვენზე გავლენა ჰქონდა. საბოლოოდ, ვუპასუხეთ, რომ თემას აღარ გავაგრძელებდით.

ამის შემდეგ უზარმაზარი კამპანია დაიწყო. ყველა არხზე - გამოდიოდა და განუწყვეტელ რეჟიმში ჰყვებოდა იმას, რომ მწვერვალზე ავიდა, სადღაც მთამსვლელებიც მიიყვანა, მათთან ერთად იჯდა ეთერში, „აი, ხომ გახსოვთ“, და ესენი მდუმარედ თავს უქნევდნენ. ამ შოუების ძირითადი აზრი ის იყო, რომ უსინდისო „რუსთავი 2“ და მისი უსინდისო ხელმძღვანელობა პადოშას ცილს სწამებს!“

ბოლოს გაბრაზებულმა „საღამო მშვიდობისას“ წამყვანს ნანა ჯაფარიძეს შუა ქაქანში დავურეკე და ვუთხარი, მოდი, გია, რამე ვქნათ - ან თქვან იმ ალპინისტებმა, ვინც შენთან ერთად იყვნენ, რომ ახვედი, თუ არადა, დავამთავროთ ამ თემაზე დისკუსიები-მეთქი. ამაზე გია თორთლაძეს საბოლოოდ მოეშალა ნერვები და მაშინ მთელი თბილისი ლაპარაკობდა, რომ რა არის, რა უბედურებაა, „რუსთავი 2“-ს არანაირი ზნეობა არ გააჩნია, საწყალ ბიჭს ჩაგრავენ, რას ერჩიან, მაგათთვის ხომ წმინდა არაფერია...

დაიწყო დიდი ბრძოლა. მე ვთხოვე ჟურნალისტებს - “იქნებ ადგეთ და გააკეთოთ რამე, გამოიკვლიეთ, ჟურნალისტები ხართ თუ რა, ბოლოს და ბოლოს”.

ხან ბენო ქაშაკაშვილი მოიწვიეს, ხან - სხვა, გაიმართა დებატები, მაგრამ ... საქართველოში ხომ ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია, საბოლოოდ ხომ ყველაფერი ლეგენდად უნდა დარჩეს, და ახლაც ასე გამოვიდა: გაირკვა, რომ რაღაცა მოხდა, მაგრამ რა? აღარავის აინტერესებდა, ავიდა პადოშა თუ არ ავიდა - ეს საქართველოს არ ადარდებს. სამაგიეროდ, ყველამ გაიგო, რომ ”რუსთავი 2” პადოშას ერჩის და კაცი დაიჩაგრა. ასე დამთავრდა ეს ისტორია.

ბუნებრივია, გიასთან ურთიერთობა აღარ მქონდა და როცა მითხრეს, რომ ამ საქმეში გიაც მონაწილეობს, რა თქმა უნდა, გაღიზიანებულმა ვთქვი, რომ ევერესტის ცრუ დამპყრობთან მეგობრობა, ცოტა არ იყოს, ძნელია, მით უმეტეს, იმის შემდეგ, რაც მან გააკეთა.

თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, გიამ მერე ივაჟკაცა და 2001 წელს მართლა ავიდა ევერესტზე. ამით თითქოს დაამტკიცა, რომ პირველადაც ასული იყო. ყოველ შემთხვევაში ამბობდა, ერთხელ კი არა, ორჯერ ავედი მაგათ ჯინაზეო.

როგორც უკვე აღვნიშნე, ”ახლებთან” საუბრის დროს, ფიქრია ჩიხრაძის სახელიც წამოტივტივდა. ლევან გაჩეჩილაძეს ჩემთან ურთიერთობის დროს მანამდეც ჰქონდა მცდელობა, რაღაცეები გაერკვია: ”რა ღირს ეს შენი ტელევიზია, ფული ხომ არ ჩაგვედო, ხომ არ გაყიდდი...” მე პოლიტიკურ ბიზნესში მონაწილეობა არ მიმიღია. პირიქით, ვუთხარი: ”ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მე, როგორც ტელევიზიიის მეპატრონე, სიამოვნებით მივესალმები ახალი პოლიტიკური ძალის გაჩენას, კონკურენციას გინდ ჟვანიასთან, გინდ შევარდნაძესთან, ვისთანაც გინდათ.” ამიტომ დავრჩეთ კარგ ნაცნობებად - დიდი მეგობრობა არასოდეს

გვქონია. მათ თავისი პროექტის კეთება გააგრძელეს, თუმცა მერე აღმოჩნდა, რომ რომ სინამდვილეში ეს ბადრის პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენდა.

ჩვენ არც ერთ გუნდს არ ვეკედლებოდით. ჩვენთვის ვიყავით. ხაზგასმით ვამბობ - პოლიტიკური ამბიცია არ გვქონია. მსგავსი ამბები ჩვენთვის მხოლოდ მედია თვალსაზრისით იყო საინტერესო და თუ ძალით არ გვიბიძგებდნენ, ამ პროცესებში ჩაბმას არ ვაპირებდით.

მაგრამ ხელისკვრა დაიწყო, აშკარად გზაზე გადავეღობეთ. ბუნების ერთგვარი შეცდომა აღმოვჩნდით, მათთვის ჩვენი არსებობა ლოგიკაში არ იჯდა. ყველა ტელევიზია ან რაიმე ბიზნესზე მიბმული ან პოლიტიკური გუნდის ნაწილი უნდა ყოფილიყო, ან არ უნდა ეარსება, სხვა ალტერნატივას ქართული რეალობა არ ცნობდა.

ჩვენ ქართული მასშტაბებით, საშუალო ზომის დამოუკიდებელი ბიზნეს ჯგუფი ვიყავით; ჯგუფიც არა, რეალურად, ამ ორომტრიალში ორი ადამიანი მოვყევით. ჩვენი, როგორც მედიის გავლენა, ძალიან გაიზარდა. თუ გავიხსენებთ მაგ პერიოდის კვლევებს, ეკლესია და „რუსთავი 2“ თანაბარი გავლენით სარგებლობდნენ. თუმცა შემოსავლების და ხარჯის დაბალანსება დღითიდღე ჭირდდა, ვინაიდან ქვეყანა წინ ვერ მიდიოდა და სარეკლამო შემოსავლებიც ვეღარ იზრდებოდა. ამ ფონზე ბადრი გვევაჭრება, რომ ტელევიზია მივყიდოთ.

2000 წელი ჩვენ ბადრისთან მუდმივი მოლაპარაკების რეჟიმში გავიარეთ.

ბადრი - ანუ, უზარმაზარი ფული და უძლიერესი მეგობრები. ერთი მეგობარია ვაჟა ლორთქიფანიძე, მათ მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდათ, ჯერ კიდევ რუსეთიდან. ბადრის სწორედ ვაჟა დაეხმარა საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად. ისინი თბილისშიც ახლობლობდნენ.

ვაჟას გარდა, ბადრის თანამებრძოლი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძეც, რომელიც მაშინ დიდ ძალაუფლებას ფლობდა. კახა თარგამაძე ბადრი პატარკაციშვილის მარჯვენა ხელი გახლდათ.

შეიძლება ითქვას, რომ პატარკაციშვილი სახელმწიფოში, უკვე ძალიან სერიოზულ ბერკეტებს ფლობდა, ფლობდა პოლიტიკურ ძალაუფლებას, აკონტროლებდა ძალოვანებს, უზარმაზარ ფულს. ამ ჯგუფის ხელისუფლების სათავეში მოსვლის საფრთხე ძალიან რეალური იყო. ხალხი, რომელიც ბადრის ორგანიზებულად დაუპირისპირდებოდა, არ ჩანდა.

მეტნაკლებად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია, რომელიც შევარდნაძის დიდი ნდობით სარგებლობდა და კახა თარგამაძეს დიდად ემტერებოდა. შესაბამისად, ის ბადრი პატარკაციშვილის მტერიც იყო. ნუგზარ საჯაიას ჯგუფს წარმოადგენდნენ შევარდნაძის დაცვის უფროსი ნუგზარ პაპაშვილი, გამინისტრებული კობა ნარჩემაშვილი, ვალერი ხაბურზანია, სულხან მოლაშვილი...

ამრიგად, ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ბადრი და მისი ჯგუფი, რომელიც მრავალ მეტასტაზს მოიცავდა, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ასლან აბაშიძესთანაც და შევარდნაძესთან; მეორეს მხრივ - საჯაიას ჯგუფი; და, იყო ზურა ჟვანია, კვლავ შევარდნაძის მხარდამჭერი, პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ჯგუფის რამდენიმე მოთამაშე მინისტრები არიან: სააკაშვილი იუსტიციის მინისტრია, მიშა მაჭავარიანი - შემოსავლების მინისტრი... ჩავთვალოთ, რომ სამი დაჯგუფებაა. ალბათ, მეტიც იყო, მაგრამ სამი - მკვეთრად გამოკვეთილი.

ამ დაჯგუფებებს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა: მედიას მიმართავდნენ, ერთმანეთს

ასუსტებდნენ, უპირატესობების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე სუსტი ჯგუფი საჯაიას ჰყავდა, ყველაზე ძლიერი და გამოცდილი კი - ჟვანიას. ბადრის ჯგუფი წინ სწრაფად მიიწევდა, თანდათან შევარდნაძეზე დაწოლა გააძლიერა და მასზე გავლენაც მოიპოვა. ამის ნათელი დადასტურება იყო „ბორჯომის“ თაობაზე შეთანხმება - ბადრიმ შევარდნაძის ოჯახისგან „ბორჯომის“ აქციები გამოისყიდა და ამით მის ოჯახს ფინანსური გარანტიები შეუქმნა.

ჩვენ ვაკეთებდით ბიზნესს და მივიღეთ წარმატებული კომპანია, მაგრამ არ გვქონდა ფული. არაფერი არ გვქონდა. ზურა ჟვანია შაყირობდა ხოლმე, აი, როგორები ვართ ჩვენ, ახალი ბიზნესმენები, ამერიკელი ცნობილი ბიზნესმენებივით, მილიარდერები რომ არიან და თან წუწურაქები... მას ასე ესმოდა, სინამდვილეში კი ფული მართლა არ გვქონდა, რაღაც გაუმართავი „07 ჟიგულით“ დავდიოდით.

ჰოდა, ჩემი პოზიცია ასეთი იყო: გავყიდოთ ტელეკომპანია და ლეგალურად გვექნება დიდი თანხა. ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავდი. ბოლო-ბოლო, 1994 წელს, როცა ტელევიზიის კეთებას ვიწყებდით, არანაირი სურვილი არ გვქონია, რომ აქტიური პოლიტიკური მოთამაშეები გავმხდარიყავით. ერთადერთი, გვეეჭვებოდა, ამ ფულის მფლობელები, რამდენად დაცულები ვიქნებოდით. მით უმეტეს, რომ მაშინდელ საქართველოში კრიმინალი ჩვეულებრივ საქმედ ითვლებოდა. კვირა არ ჩაივლიდა, პანკისის ხეობაში რომელიმე გამოჩენილი ბიზნესმენი რომ არ გაეტაცებინათ.

საქართველოში ჩვენი არსებობა ძალიან ბევრს აღიზიანებდა და მქონდა საფუძველი მეფიქრა, თუ სად დამახლიდნენ ტყვიას და სად მიპოვნიდნენ მკვდარს, სადარბაზოს ამოსასვლელში, ჩასასვლელში თუ კიდევ სადმე სხვაგან.

ჩვენს ირგვლივ რაღაცა მზადდებოდა. 2001 წლის ივლისის დასაწყისისთვის, ერთის მხრივ, ბადრის მხრიდან აქტივობამ პიკს მიაღწია, მეორეს მხრივ კი შევარდნაძემ შემოგვიტია. ჩვენს წინააღმდეგ მრავალი კამპანია დაიწყო. გაზაფხულზე საგადასახადო შემოსავლების მინისტრის, მიშა მაჭავარიანის ინიციატივით, ჩვენი ეთერის სარეკლამო ქრონომეტრაჟის მონიტორინგი დაიწყეს: სატელევიზიო რეკლამები უნდა დაეთვალათ და თუ რამე დარღვევას აღმოგვიჩენდნენ, ეკონომიკური სანქციები განეხორციელებინათ. ამის თაობაზე გია არსენიშვილმა მითხრა, რომელიც სახელმწიფო მინისტრი იყო და ძალიან არ მოეწონა, როცა „რუსთავი 2-ს“ ასეთი ფორმით შეეხნენ.

იქ კახა თარგამაძე გააქტიურდა, იქ პროკურატურამ დაიწყო „60 წუთის“ წინააღმდეგ გალაშქრება, მანამდე კი უზარმაზარი სკანდალი გადავიტანეთ, კბილებით მოგვიწია გენერალური პროკურორის, ბაბილაშვილის და მისი მოადგილის ბალუაშვილის მოგერიება. ბალუაშვილი “60 წუთის” წამყვანს აკაკი გოგიჩაიშვილს ქვეყნიდან გაქცევას აიძულებდა და კაკო რამდენიმე ღამით ტელეკომპანიის ოფისში ათენებდა.

ეს ყველაფერი აშკარად კამპანიის ხასიათს ატარებდა, საბოლოო მიზნით - ტელევიზია უნდა გაგვეყიდა. კომპანიის დამფუძნებლებმა, მე და დვალმა, საფრთხე ვიგრძენით. ერთი მხრივ, იყო პერსპექტივა იმისა, რომ ყველაფერს დავკარგავდით, მეორე მხრივ კი, გაყიდვის შემთხვევაში, არ იყო არანაირი გარანტია, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა სქემით არ იმუშავებდნენ, არ გვქონდა გარანტია, რომ მშვიდად ცხოვრების საშუალებას მოგვცემდნენ - ჩვენ საწინააღმდეგოდ აშკარად აგროვდებდნენ, ვითომდაც კომპრომატებს და ერთ მშვენიერ დღეს მათ გამოყენებასაც შეეცდებოდნენ.

სანამ ამაზე ვმსჯელობდით, ბადრის ნდობით აღჭურვილი პირი, ვალოდია ვორონოვი თბილისში ჩამოვიდა და შემოგვთავაზა: მოდით, გავაკეთოთ რაღაც პრე-პრე-შეთანხმება, ანუ მოვაწეროთ ხელი ქაღალდს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ჩვენ გვაქვს წინასწარი შეთანხმება ტელევიზიის ყიდვა-გაყიდვაზე და ვიღებთ ვალდებულებას, რომ დისკუსიას გავაგრძელებთ, რათა ჩვენი მოლაპარაკებები

უპერსპექტივო არ გამხდარიყო. მე და ჩემი პარტნიორი დიდი კამათის და ჩხუბის შემდეგ მოვრიგდით, რომ ვორონოვს დავთანხმებოდით. დვალი ამერიკაში ძმასთან გაემგზავრა და მე მარტო დავრჩი. მეორე დღეს, საღამოს რვის ნახევარზე ვაკეში ბადრისთან უნდა მივსულიყავი და მე და მას ამ წინასწარ შეთანხმებაზე ხელი უნდა მოგვეწერა.

ამ პერიოდში ვაჟა ფშაველაზე ვცხოვრობდი, მესამე თუ მეოთხე კვარტალში. მახსოვს, საღამოს ექვსი საათი იყო, სახლიდან გასასვლელად ვემზადებოდი - ვორონოვი უკვე მელოდებოდა და მას უნდა შევხვედროდია და უცებ: „რუსთავი 2“-ზე ჰედლაინის ბადე ირთვება და პაუზის მერე გვეუბნებიან, რომ დღეს 2001 წლის 26 ივლისს საკუთარ სახლში მოკლული გიორგი სანაია იპოვეს.

მე სასწრაფოდ დავურეკე ბადრის, ვუთხარი, რომ სანამ არ გაირკვევა, რა მოხდა რეალურად და სანამ ყველა კითხვას პასუხი არ გაეცემა - რის გამო ან ვინ მოკლა სანაია, მანამდე მოლაპარაკება უნდა შევწყვიტოთ. ბადრი უყოყმანოდ დამეთანხმა. ტელევიზიისკენ დავიძარი, გზად დავრეკე - რა ხდება? ტელევიზიაში სრული ისტერიკაა, ჟურნალისტები ტირიან. ვიღაცა მანქანაში ჩავისვი და დავიძარით სანზონისკენ, სადაც გიორგი სანაია ცხოვრობდა.

ჩემთვის გიორგი სანაიას მკვლელობა დღემდე ბურუსით მოცული საკითხია. გიორგი ჩვენთან 1999 წლის ბოლოს გადმოვიდა. მანამდე მას გაზეთ „რეზონანსიდან“ ვიცნობდი, სადაც კარგ წერილებს აქვეყნებდა. მისი გადმოყვანის სურვილი მეც მქონდა, რადგან ჟურნალისტიკაში ბიჭების ნაკლებობა იყო და მას წარმატებული სატელევიზიო კარიერისთვის ბევრი მონაცემი ჰქონდა: იყო ნიჭიერი და სიმპათიური ახალგაზრდა, ჰქონდა ხმის კარგი ტემბრი, საკმარისი ჟურნალისტური გამოცდილება. თავდაპირველად სანაია კორესპოდენტად მუშაობდა, შემდეგ მიჰყავდა - “ღამის კურიერი,” რომელიც ლეგენდარული გადაცემა გახდა.

მისი მკვლელობა უცნაურად დაემთხვა იმ დღეს, როცა მე ტელევიზიის გაყიდვასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება უნდა გამეფორმებინა. ბუნებრივია, მაშინვე გავიფიქრე, რომ სანაია ამ ხელშეკრულების ჩასაშლელად მოკლეს.

დანარჩენი სულ ბოდვითი თეორიები იყო; მათ შორის, ელენე თევდორაძე

აქტიურად ავრცელებდა ზღაპარს, თითქოსდა სანაიას რაღაც ექსკლუზიური ვიდეომასალა ჩაუვარდა ხელში, რის გამოც ის მოკლეს.

საქმე ის არის, რომ სანაია არ იყო იმ ტიპის ჟურნალისტი რომელსაც შეიძლებოდა რაიმე ექსკლიზიური “ბომბა” მასალა მოეპოვებინა, მას სტუდიიდან ტელე-დებატები მიჰყავდა და მის, მოვალეობაშიც არც შედიოდა ასეთი ტიპის მასალის მოძიება. მით უმეტეს, სანაია არასოდეს ყოფილა რაიმე რეპორტაჟის მოსამზადებლადან პანკისის ხეობაში, სადაც ვითომდა მას ეს კასეტა გადასცეს.

მის მკვლელობასთან დაკავშირებით, ჩემთვის ბევრი რამ უცნობი და გაურკვეველია, ახლაც მხოლოდ აზრს გამოვთქვამ, რომ შესაძლოა ამ მკვლელობის მიზანი, ის იყო, რომ მე „რუსთავი 2“ ბადრი პატარკაციშვილისთვის არ მიმეყიდა. უკვე ვთქვი, რომ საათებიღა რჩებოდა ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე, როცა ტელევიზიით შევიტყვე, რომ გიორგი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვნეს.

იმ პოლიტიკური ჯგუფებიდან, რომელიც ამ შეთანხმების შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტდებოდა, საჯაიას გუნდი იყო, ხოლო გაძლიერებით ბადრი და მისი მეგობრები - თარგამაძე, ჩხარტიშვილი და ლორთქიფანიძე ძლიერდებოდნენ.

ცნობილია, რომ შევარდნაძე მუდმივად ბალანსირების პოლიტიკას ატარებდა. ამ პერიოდში ერთი ყურით უშიშროების საბჭოს მდივანს, ნუგზარ საჯაიას უსმენდა, მეორეთი შინაგან საქმეთა მინისტრ - თარგამაძეს და ორივე ჯგუფზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა.

„რუსთავი 2“-ის ხელში ჩაგდებით ბადრის ჯგუფი მის ნება-სურვილზე წარმართავდა ქვეყნის მომავალს, თუ გავითვალისწინებთ მის გავლენებს, ფინანსურ შესაძლებლობებს და ასევე მის გავლენიან მოკავშირეებს, ეს ძალიან რეალური პერსპექტივა გახლდათ, რომელსაც საჯაიას დაპირისპირებული ჯგუფი ვერანაირ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა.

მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ სანაიას მკვლელობა საჯაიას ინტერესში შედიოდა, მან მოწინააღმდეგის კიდევ მეტად გაძლიერება შეაფერხა.

სანაიას მკვლელობის დღეს ტელევიზია ისტერიკამ მოიცვა. მე რომელიღაც თანამშრომელი მანქანაში ჩავისვი და გიორგის სახლისკენ წავედით. სახლი, სადარბაზო სავსე იყო რიგითი მოქალაქეებით, ჩვენი თანამშრომლებით, იქით პოლიცია და პროკურატურა რაღაცას ფაციფუცობდა და მახსოვს, არავის სჯეროდა, რომ მათი ძალისხმევით გიორგის მკვლელს დააპატიმრებდნენ. უმრავლესობის აზრით, ისინი პროცესუალურ ვალდებულებებს ვალის მოხდის მიზნით ახორციელებდნენ. ეს ამაზრზენი მოსასმენია და ამასთან დამთრგუნველიც, როცა აცნობიერებ თუ როგორი დაუცველები ვიყავით. ამასთან, არ არსებობდა არანაირი გარანტია იმისა, რომ სანაიას მკვლელობის შემდეგ ყველაფერი დასრულდა და სხვებს აღარ შეეხებოდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ შევარდნაძეს შევხვდი. პრეზიდენტი შვებულებაში გადიოდა და სანამ ლიკანში გაემგზავრებოდა, მისმა პრეს-სამსახურის უფროსმა, ვატო აბაშიძემ მასთან შეხვედრა მომიწყო. ამ შეხვედრაზე შევარდნაძეს უნდა დავერწმუნებინე, რომ იგი არაფერს მერჩოდა და სანაიას მკვლელებს თუ მკვლელს აუცილებლად იპოვნიდნენ დასჯიდნენ.

შეხვედრის ბოლოს გადავწყვიტე, გამერკვია იყო თუ არა მის ინტერესში „რუსთავი 2“-ის ბადრისთვის მიყიდვა და ამ შემთხვევაში რამდენად ვიქნებოდი დაცული.

- ბატონო ედუარდ, 1999 წელს, რომ მკითხეთ, რომ შემეძლო თუ არა რუსი ოლიგარქისთვის ტელევიზია მიმეყიდა, აი, ბადრი პატარკაციშვილი მთავაზობს, რომ ტელეკომპანია მას მივყიდო. მეც ვფიქრობ, რომ გავყიდო, მგონი ასე აჯობებს.

შევარდნაძემ გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა, ტელევიზიას, რომ გაყიდი, მერე რას აპირებო?

- ვხედავ, რომ საქართველოში ჩემი ყოფნა არავის უნდა, ჩემი საქმიანობით ბევრს ვაღიზიანებ, საზღვარგარეთ წავალ, ამ პრობლემებს გავერიდები, და მიღებული ფულით რაიმე ახალ საქმეს დავიწყებ.

- არა, შენ ტელევიზიას გაყიდი და ვერსადაც ვერ წახვალ, და ფულსაც აქ დატოვებ! - მეუბნება შევარდნაძე.

- რა ბრძანეთ ბატონო ედუარდ? - ხომ არ მომესმა მეთქი, გაკვირვებულმა ვკითხე.

- ჰოო, ჰოო, ვერსადაც ვერ წახვალ და ფულსაც აქ დატოვებ, - გამიმეორა პრეზიდენტმა.

უცებ წამოვდექი, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი - ცივად ვუთხარი და კარისკენ წამოვედი.

- ცხენი გყაავს? - მეძახის.

- რა ბრძანეთ? - მოვტრიალდი და ვკითხე.

- ცხენი გყაავს შეკაზმული, რომ გამასწრო? - კითხვას მიმეორებს.

- ყველაფერი გასაგებია, ნახვამდის - ვეუბნები და კაბინეტიდან გამოვდივარ.

გაბრაზებული ვატო აბაშიძესთან ჩავდივარ. ეგეც, ბერლინის კედლის დამანგრეველი, დიდი დემოკრატი, თეთრი მელა, მემუქრება, რომ ცარიელ-ტარიელს აქ დამტოვებს. ალბათ დამაპატიმრებს, სხვანაირად ქვეყნიდან როგორ არ უნდა გამიშვას, ვერ წარმომიდგენია. გაცხარებული ვატოს მივეჭერი:

- შევარდნაძეს გადაეცი, რომ არაფერსაც არ ვყიდი, ბოლომდე ვეომები და არაფერს დავუთმობ, - ვეუბნები ფერდაკარგულ აბაშიძეს, რომელიც ჩემს დაწყნარებას ცდილობდა.

ორი დღის შემდეგ, პრეზიდენტის ასევე ლეგენდარულმა დაცვის უფროსმა, სულხან პაპაშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ პრეზიდენტს ჩემთან საუბარი სურდა.

- როგორა ხარ? - მეკითხება შევარდნაძე.

- რა ვიცი, ნელ- ნელა, - ვპასუხობ.

- აი, ახლა ლიკანში ვარ და გიგზავნი ორ ვედრო ოზონს, - მეუბნება და ცდილობს დამამშვიდოს, ვითომ არაფერი მომხდარა. მიხვდა, რომ ძალიან დავიძაბე.

მე მტკიცედ გადავწყვიტე, ტელევიზია აღარ გამეყიდა, რამაც შინაგან საქმეთა მინისტრი ძალიან გააღიზიანა და ვანო ჩხარტიშვილის აგარაკზე დაიქადნა და მერე შემომითვალა, რომ სანაიას მკვლელობის იარაღს ვიპოვნი და ზედ შენი თითის ანაბეჭდები იქნებაო.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „სააკაშვილი მაგიდის ქვეშ იმალებოდა“

http://for.ge/view.php?for_id=46485&cat=2

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას

2016-10-04 15:00:02

პროკურატურის დაფინასებულ გაზეთებში შეკვეთილი წერილები იბეჭდებოდა, რომ, თითქოსდა, სანაიამ ტელევიზიის საქმიანობაში რაღაც ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა და ამის გამო ის მე მოვკალი. პარალელურად, თარგამაძე მპირდებოდა, რომ მკვლელობისთვის დამაპატიმრებდა. ქვეყნის პირველი პირიდან დაწყებული, მთელი სახელმწიფო ჩემს წინააღმდეგ მოიმართა. მაიძულებენ, რომ “რუსთავი 2” აუცილებლად გავყიდო და შემდეგ კიდევ ბუნდოვან მომავალზე დავთანხმდე. მე, რა თქმა უნდა, ამ პერსპექტივას აღარ ვთანხმდები.

29 ოქტომბერს ტელეკომპანიაში უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები შემოიჭრნენ. ცხადია, თარგამაძემ ჩრდილში დარჩენა ამჯობინა.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ ტელევიზიაში უშიშროების შემოჭრის უმთავრესი მიზანი ჩემი ლიკვიდაცია იყო. მათ კაბინეტის ფანჯრიდან უნდა გადმოვეგდე, რასაც თვითმკვლელობად გაასაღებდნენ, თითქოსდა ფინანსური პრობლემების გამო დაპატიმრებას მეთოთხმეტე სართულიდან გადმოხტომა ვამჯობინე.

საზოგადოების მხრიდან დიდმა მხარდაჭერამ უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებს გეგმები აურია. საზოგადოებამ შიშველი ხელებით დაიცვა „რუსთავი 2“ და საპროტესტო ტალღამ პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლა.

საპროტესტო ტალღის მამოძრავებელი ძალა სტუდენტობა აღმოჩნდა, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, ვინაიდან ასეთი დარაზმული სტუდენტობა ეროვნული მოძრაობის შემდეგ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად გამოვიდა ასპარეზზე.

ხალხის საპროტესტო ტალღამ მოვლენების ესკალაცია გამოიწვია და ხელისუფლება კინაღამ დავამხეთ, რისი სურვილიც ნამდვილად არ მქონია.

ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა, რის შემდეგაც კახა თარგამაძე - შინაგან საქმეთა მინისტრი, და უშიშროების მინისტრი - ვახტანგ ქუთათელაძე, პოსტებიდან წავიდნენ.

აღმოჩნდა, რომ ამ ამბების შედეგად ბადრის დაჯგუფებამ ყველაფერი წააგო - სანაიას მკვლელობის შემდეგ ტელევიზია ვერ შეიძინეს და მისმა მარჯვენა ხელმა, თარგამაძემ, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაკარგა. მოიგო ნუგზარ საჯაიამ, რომელიც თანამდებობაზე დარჩა, ძალოვანი უწყებები მისმა კანდიდატებმა ჩაიბარეს - შინაგან საქმეთა მინისტრად კობა ნარჩემაშვილი დაინიშა, უშიშროების მინისტრი - ვალერი ხაბურზანია, სამთავრობო დაცვის სამსახურის უფროსი - სულხან პაპაშვილი.

თარგამაძის გადადგომიდან ერთი თვის შემდეგ ნუგზარ საჯაია საკუთარ კაბინეტში მკვდარი იპოვნეს. საჯაიას სიკვდილი, ისევე როგორც გიორგი სანაიას მკვლელობა, და მოგვიანებით ასევე ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება, რაღაც ჰომოსექსუალური ისტორიებით შეფუთეს.

ბევრისგან გამიგია, რომ საჯაიას თავი არ მოუკლავს, ის მისსავე კაბინეტში მოკლეს. ჩემი ვარაუდით, სანაიას მკვლელობის შემდეგ კლანებს შორის ურთიერთობა მაქსიმალურ კონფრონტაციაში გადაიზარდა და ბრძოლის ეს ეტაპი სტატუს-ქვოს აღდგენით, ანუ საჯაიას სიკვდილით დასრულდა.

სანაიას მკვლელი ნარჩემაშვილის მინისტრობისას დააპატიმრეს, იგი ლევან გაჩეჩილაძის ყოფილი მძღოლი თუ დაცვის წევრი - გრიგოლ ხურცილავა აღმოჩნდა. მისი მტკიცებით, მან სექსუალური ძალადობისგან თავდასაცავად შემთხვევით მოკლა სანაია, რაც ჩემთვის ძნელად დასაჯერებელია. თუმცა, ამ რამდენიმე ხნის წინ ვიღაც ქართველმა ანალოგიურ გარემოებაში ცნობილი ბერძენი ჰომოსექსუალი მომღერალი მოკლა. ამიტომ, სანაიას თაობაზე გადაჭრით რაიმის თქმა ძალიან მეძნელება და მხოლოდ მსჯელობით ვიფარგლები.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა ჩავთვალე, რომ ჩემი მეგობრები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, შევეცადე სანაიას მკვლელობის საქმეზე მეტი ინფორმაცია მიმეღო. მაშინ გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი იყო და მას ვთხოვე, იქნებ ხელახლა გამოეძიებინა ეს მკვლელობა, თუმცა ვერაფერს გავხდი, ჩათვალა, რომ თემა აქტუალური აღარ იყო და, ეგ საქმე შევისწავლე და

გამოსაძიებელი აღარაფერიაო - მიპასუხა.

2002 წლის გაზაფხულზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შალვა ნათელაშვილმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე მიშა სააკაშვილი გავიდა, რომელიც იმ პერიოდში „რუსთავი 2“-ის და “60 წუთის” აქტივობით სარგებლობდა და კორუფციასთან მებრძოლის იმიჯით ქულებს იწერდა. ამ ძალების გამარჯვება ყველასათვის ძალიან მოულოდნელი იყო, უბრალოდ, წინა წლის პოლიტიკურმა რყევებმა ყველას არაქათი გამოაცალა და ასპარეზი პოპულისტებს დარჩათ. ამ მხრივ სააკაშვილს ნათელაშვილი აღემატებოდა, მან არჩევნები მოიგო და, ჩემი აზრით, კატასტროფული შეცდომა დაუშვა - თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი სააკაშვილს დაუთმო, რომელმაც თავის მხრივ ეს პოსტი არ იუკადრისა და მიიღო უშესანიშნავესი სასტარტო მოედანი პიარის საკეთებლად და თან - ბიუჯეტის კონტროლის საშუალება.

ზურა ჟვანიამ არჩევნები სასტიკად წააგო. იგი პირველად გამოვიდა არჩევნებში დამოუკიდებლად და მარცხი განიცადა. მას ემტერებოდა ოპოზიციაც და სხვადასხვა სახელისუფლებო გუნდიც. ჩანდა, რომ ჟვანიას პოლიტიკური კარიერა თავქვე დაეშვა და მას დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა, რომ პოლიტიკური სცენის მიღმა არ აღმოჩენილიყო.

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებმა ახალი რეალობა წარმოქმნა, ბადრი მოვლენების სათავისოდ წარმართვას ესწრაფოდა და აქტიურად ხვდებოდა პოლიტიკური და სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებს, რაღაც მოლაპარაკებებს მართავდა, ამ პერიოდში რიტუალების სასახლეში გაქანებული სარემონტო სამუშაოები გააჩაღა, რაღაც ინფრასტრუქტურებს აწყობდა, ყველა მხრივ დღითი-დღე ძლიერდებოდა.

2002 წლის ივლისის დასაწყისში მისმა უახლოესმა თანაგუნდელმა, ვანო ჩხარტიშვილმა დამირეკა. ამ დროს ის უკვე მთლიანად პატარკაციშვილის პროექტებით იყო დაკავებული და სახელმწიფო თანამდებობა აღარ ჰქონდა.

- შევხვდეთ, ეროსი? - მეკითხება.

- შევხვდეთ, რა პრობლემაა.

მაშინ უკვე დაცვით მიწევდა სიარული. შუადღე იყო. ავედი ყოფილი „ექსიმბანკის“, იმხანად კი მისი „გაერთიანებული ქართული ბანკის“ შენობაში, გრიბოედოვის ქეგლთან. პირველად ვიყავი მის კაბინეტში, სადაც ვანო ტელევიზორებთან მოკალათებილი დამხვდა.

- რაო, ვანო, - ვეკითხები, - რა გაქვს ახალი, საინტერესო, რით გავაგრძელოთ ჩვენი ურთიერთობა? ისე, მე მგონია, არავითარი აზრი არა აქვს ამ ურთიერთობას.

- არა, არა, როგორ არა! მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მეგობარი და შენ უნდა შეხვდეთ, მას შენთვის რაღაც წინადადებები აქვს.

ბუნებრივია, ბადრის გულისხმობდა.

- ვანო, ერთხელ ხომ უკვე ვილაპარაკეთ და არ გამოვიდა ეგ საქმე, და შენ კი იცი, რომ მოლაპარაკება ჩემი მიზეზით არ ჩაშლილა. ეჭვი მეპარება, რომ ამ საუბარს ახლაც რამე დიდი პერსპექტივა ჰქონდეს.

- არა, არა, მე მგონია, რომ უნდა შეხვდეთ, უნდა დაილაპარაკოთ.

- რა უნდა, რაზეა საუბარი? - ვეკითხები.

- რა ვიცი, ახალი წინადადება აქვს. ახალი წინადადება ახალ რეალობაში. ადრინდელი შეცდომები ყველა გათვალისწინებულია.

მე ვიწყებ გახსენებას, თუ რა ტიპის შეცდომები დაუშვეს, ვეუბნები, რომ უკაცრავად, მაგრამ ყველაფერი, რაც მოხდა, მისმა ძმაკაცებმა გააკეთეს - კახას ვგულისხმობ, თარგამაძეს. თუმცა, უკვე ცნობისმოყვარეობა გამიჩნდა, თან 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა და ძალიან მაინტერესებდა, როგორ ლაგდებოდა ახალი რეალობა. მით უმეტეს, შევარდნაძესთან კონფრონტაციული რეჟიმი იქმნებოდა, კონტაქტის არც ერთი მცდელობა არ უნდა დამეტოვებინა უყურადღებოდ, მით უმეტეს, პატარკაციშვილის მხრიდან. ის უკვე საბოლოოდ დაფუძნდა საქართველოში და მის კავშირებზე და მის მოძრაობებზე, მის ირგვლივ ხალხის გაერთიანებებზე უამრავი ჭორი დადიოდა. თავისთავად საინტერესო იქნებოდა მასთან შეხვედრა და შევთანხმდით, რომ ბადრის შევხვდებოდი.

ჩხარტიშვილთან შეხვედრას ამხელა ყურადღებას არ დავუთმობდი, რომ მასთან და ბადრისთან ურთიერთობას “ვარდების რევოლუციამდე” არ მივეყვანე. აქვე მინდა ვთქვა, რომ ეს რევოლუცია არავითარ ამერიკელებს და სოროსს არ მოუწყვია, ეს არის ლეგენდა, რომელიც ინფორმაციის ნაკლებობის გამო საზოგადოების რაღაც ნაწილმა აიტაცა და დღემდე ჰგონიათ, რომ აი, სოროსი და ბრაიზა, თუ მაილსი რომ არ ყოფილიყვნენ საქართველოში არაფერი მოხდებოდა. ისიც ზღაპარია, რომ შევარდნაძემ სააკაშვილს ძალაუფლება ნებით გადააბარა, თუმცა მოვლენებს წინ არ გავუსწრებ და თხრობას ისევ ბადრისთან შეხვედრით განვაგრძობ.

ივლისის ბოლოს ბადრის პირადი ვერტმფრენით მე და ჩხარტიშვილი მასთან ურეკში ჩავფრინდით. ვერტმფრენი მინდორში დაეშვა, სადაც ავტომატებით შეიარაღებული ხალხი ჯიპებით დაგვხვდა. მათ ავტომანქანაში გადაგვსხეს და შეიარაღებული ესკორტის თანხლებით ბადრის სახლისკენ გაგვაქანეს.

ბადრიმ ვანო ჩხარტიშვილის ბიძაშვილისგან ზღვის პირას ხუთსართულიანი სახლი შეიძინა. პლაჟი დაცვას გადაეკეტა, რომ სახლის პატრონი არავის შეეწუხებინა, აქაც სარემონტო სამუშაოებს ატარებდნენ. სახლის კედელზე ბარომეტრი ეკიდა, ეზოში თევზების და ცხოველების ფიტულები ელაგა, სახლში დიდი აკვარიუმი და საზღვაო კვანძებიანი დაფა ჩამოეკიდათ. სიღრმეში დიდი საჩრდილობლებიანი მოსასვენებელი ადგილი ჰქონდა მოწყობილი, პლაჟი კარგად დასუფთავებული ჰქონდათ და ზღვის ნაპირზე სკუტერები იდგა. ოცამდე მზარეული ფუსფუსებდა და ტრაპეზს ამზადებდა. მოკლედ მთელი დღით ბადრის სტუმარი უნდა ვყოფილიყავი.

სანამ საქმეზე დავილაპარაკებდეთ, ბადრი თავის ცნობილ რიტუალს ასრულებდა. „აი, ბერეზოვსკი რეკავს“, - მეუბნება და მასთან მასლაათობს, მერე სხვა ცნობილ რუსებთან გააბა საუბარი.

გავიცანი ბადრის მეუღლე და სახტად დავრჩი: ძალიან სიმპათიური, წყნარი, განათლებული ქალის შთაბეჭდილება დამრჩა და სულ არ მოველოდი, რომ ბადრის ასეთი მეუღლე ეყოლებოდა.

საღამოს, სუფრა ჩრდილში გაიშალა, ათასნაირი კერძი და სასმელი დაახვავეს, მოკლედ სრულ სამოთხეში აღმოვჩნდი.

- მე და შენ საქართველოს უნდა მივხედოთ, - მეუბნება ბადრი, - ხომ ხედავ, ქვეყანა საითაც მიდის, ეკონომკა დასუსტებულია, მე ვიცი ის როგორ გავაჯანსაღო. უამრავი მეგობარი მყავს, რომლებიც ჩვენთან ფულს დააბანდებენ. აი, ახლა, ფრანგებთან მოლაპარაკება მაქვს, რომ ურეკში გოლფის მოედნები

გავაკეთოთ, და ურეკიდან ქობულეთამდე სანაპირო ზოლის მოწყობის საინვესტიციო პროექტი გავაკეთე: ფიჭვნარში დახურულ სარეზიდენციო ზონას ავაშენებთ, სადაც საშუალო ზომის სახლებს ჩავდგამთ, თავისი გამოყოფილი პლაჟით და გოლფის მოედნებით.

შემდეგ, განაგრძო, რომ ქობულეთში ტურისტულ ინფრასტრუქტურას სერიოზულად განავითარებდა. ამავე პერიოდში ბადრიმ ე.წ. "იმედის ქალაქის" პრეზენტაცია მოაწყო, რომელსაც თავიდანვე სკეპტიკურად ვუყურებდი. საბოლოო ჯამში, რაც მან ამ „იმედის ქალაქში" გააკეთა, ძველი ბაზარი დაანგრია და მის ადგილზე შადრევანი ჩადგა. შადრევნების თემა მერე სააკაშვილმა აიტაცა და იმდენი შადრევანი დადგა, ხალხმა - „შადრევან პირველი" შეარქვა.

ბადრის ურეკში დასახლებამ ეს ადგილი ძალიან გააძვირა. ყველაფრის ფასმა მოიმატა. „ბადრი ამას იყიდის, ის მიწის ნაკვეთი მოსწონებია", - გურულებში ასეთი ტიპის საუბრები პოპულარული გახდა და რახან ბადრის უნდა ეყიდა, ყველაფერს აძვირებდნენ.

- შენ გაქვს ტელევიზია, მე მაქვს ფული და პოლიტიკური გამოცდილება. ჩვენ შეგვიძლია ქვეყნის სასიკეთოდ ეს ყველაფერი ერთმანეთს შევუხამოთ და ერთი დიდი და კომფორტული პროექტი შევიმუშაოთ - აგრძელებს ბადრი საუბარს.

- ბადრი, მე არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ გამაჩნია, თუმცა პირდაპირ პასუხი რომ არ გითხრა, დავფიქრდები, პარტნიორებს მოვეთათბირები და რასაც გადავწყვეტთ, შეგატყობინებ, დალაპარაკებას წინ არაფერი უდგას.

კვლავ პოლიტიკურ ორომტრიალში ვეხვეოდი, თუმცა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. ტელევიზიას ვერ გავაჩერებდი, ასე უფრო დაუცველები აღმოვჩნდებოდით, ვმუშაობდით და ყველას თვალში ვეჩხირებოდით, შევარდნაძიდან დაწყებული, ფინანსურ საკითხებამდე - ყველაფერი პრობლემა გაგვიხდა. ცალკე ჟურნალისტებს ავიწროებდნენ და ეს ცალკე თავის ტკივილად გვექცა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე პარტნიორს, დათო დვალს შევხვდი და ვიმსჯელეთ რა გვეღონა. ბადრის არ სურდა, თავად ემართა ქვეყანა, მას სურდა, რომ ჩრდილში დარჩენილიყო და სიტუაცია ჩვენთან ერთად ეკონტროლებინა.

- ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ამიტომ მოდი ირაციონალური გზით წავიდეთ. ბადრის შევთავაზოთ, რომ შევთანხმდეთ საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე და ჩვენ სატელევიზიო რესურსით, ხოლო მან ფინანსებით ვუზრუნველყოთ მისი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება,- თქვა დათომ.

საპრეზიდენტო კანდიდატად სულ ორ ადამიანს განვიხილავდით - მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას. სააკაშვილი თითქმის კამათის გარეშე გამოვრიცხეთ, ვინაიდან ორივეს მიგვაჩნდა, რომ აბსოლუტურად განუჭვრეტადი, პიარზე ორიენტირებული, პოპულისტი კაცი იყო და მისი პრეზიდენტად გახდომა ქვეყანისთვის საფრთხილო წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, მასთან ერთად რაიმე სერიოზული პროექტის რეალიზება შეუძლებელი იყო და სერიოზულად დავფიქრდით - ზურაბ ჟვანიას კანდიდატურაზე.

ზურა ჩვენი თაობის პოლიტიკოსი იყო, ჩვენ საერთო პრინციპები და ხედვები გვქონდა. მას არ ჰქონდა პოლიტიკაში ისეთი სენტიმენტები, როგორიცაა მეგობრობა, ნათესაობა. მას საოცარი ცინიზმით შეეძლო უარი ეთქვა ბევრ კომპრომისზე.

გადავწყვიტეთ, ბადრისთვის შეგვეთავაზებინა, რომ ზურას ერთობლივი ძალებით მივხმარებოდით და

დასაწყისისთვის საპარლამენტო არჩევნები მოეგო, ხოლო შემდეგ ამ სასტარტო პოზიციიდან 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაგვემარჯვა.

ჟვანიას მხარდაჭერის სანაცვლოდ ბადრი მინიმალურ ფასად ტელევიზიას მიიღებდა. გასაყიდ ფასს 2002 წელსვე დავაფიქსირებდით და 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ანუ მას შემდეგ რაც ჟვანია პრეზიდენტი გახდებოდა, ჩვენ ტელე-ბიზნესს დავტოვებდით და „რუსთავი 2“–ის მართვასაც ბადრის გადავაბარებდით.

ჩვენ მივიღებდით ახალი საქმის დასაწყებად საჭირო თანხას და ჩვენი მეგობარი გახდებოდა ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც წინამორბედისგან განსხვავებით ბიზნესის საწარმოებლად ხელს აღარ შეგვიშლიდა. 1999 წელს ჩვენ წარმატებულად დავიწყეთ საკომუნიკაციო ბიზნესი, „ჯორჯიან ონლაინი“ „რუსთავი 2“-ის მაშველი ქამარი გახდა, საიდანაც სატელევიზიო ხარჯების დეფიციტს ვავსებდით.

ჩვენ წინადადება შევიმუშავეთ და ახლა ჟვანია უნდა დაგვეყოლიებინა პროექტში მონაწილეობაზე. ზურა ამ პერიოდში ძალიან დაგვიმეგობრდა, მან პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი პროტესტის ნიშნად „რუსთავი 2“-ში უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების შემოვარდნის გამო დატოვა.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მისი ეს ნაბიჯი გაუგებარი იყო, ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარეს დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად მეტი საშუალება ექნებოდა, თუმცა ზურა ამბობდა, რომ პოსტიდან რომ არ გადამდგარიყო, შევარდნაძე და თარგამაძე პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს ძალის გამოყენებით დაშლიდნენ და შესაძლოა სისხლიც დაღვრილიყო.

ფაქტობრივად, ზურას მის დაუძინებელ მტრებთან გარიგებას ვთავაზობდი. ბადრის გუნდში იყვნენ კახა თარგამაძე, ვანო ჩხარტიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, დათო გამყრელიძე და, მით უმეტეს - ვაჟა ლორთქიფანიძე. ჩვენ გარანტიას ვაძლევდით, რომ თუ ამ ძალასთან დამეგობრდებოდა, მას ბადრი დააფინანსებდა, ჩვენ სატელევიზიო რესურსს მოვახმარდით და შევარდნაძის შემდეგ პრეზიდენტი გახდებოდა არა რომელიმე მარგინალი პოლიტიკოსი, არამედ ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ზურაბ ჟვანია.

შევარდნაძის დამხობა აზრად არ მოგსვლია, სათავეში მოსვლას არჩევნების გზით ვგეგმავდით. მარგინალი პოლიტიკოსები ასლან აბაშიძე, შალვა ნათელაშვილი და მიხეილ სააკაშვილი იყვნენ, კონკურენტებად მათ განვიხილავდით.

ჟვანიას საბურთალოზე მის სახლში შევხვდი. ზურა ოჯახთან ერთად გერმანიაში იენის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მიემგზავრებოდა.

ზურა ფაქტობრივად პოლიტიკურ ემიგრაციაში მიდიოდა, ბოლო არჩევნები წააგო, პარტიის დაფინასებისთვის კაპიკი აღარ ჰქონდა და პოლიტიკურ საქმიანობას წყვეტდა.

- ზურა, ბოლო წლების განმავლობაში შენში დიდი ცოდნა, გამოცდილება და პოლიტიკური ინვესტიციაა ჩადებული და ჩვენს ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ერთ-ერთი გამოკვეთილი პოლიტიკოსი აქედან ასე უბრალოდ გადაიხვეწოს. თვითმფრინავის ეგ ბილეთები ამოიღე და ჩემს თვალწინ დახიე, დარჩი და გამარჯვებამდე ერთად ვიბრძოლოთ.

ჟვანია რომ წასულიყო, სათავეში გარანტირებულად რომელიმე მარგინალი აღმოჩნდებოდა.

ხელისუფლების დანებება არც ბადრისთვის შეიძლებოდა. მაშინვე ვფიქრობდი, რომ საქართველოში

ბადრის გამარჯვება რუსეთის გამარჯვების ტოლფასი იყო. ამასთან, არც თუ სახარბიელო ბეგრაუნდი გააჩნდა, რომელიც რუსეთში კრიმინალურ გარჩევებს და ქონების გადანაწილებას უკავშირდებოდა.

საქართველოში ისეთი პერიოდი იდგა, რომ საქმის გასარჩევად კანონიერ ქურდებთან თავად პროკურორები დადიოდნენ და ქურდები მოსამართლეებს რესტორნებში სცემდნენ. ბადრი ამ სამყაროსგან შორს არ იდგა. მე მას ამ ტიპის ადამიანად განვიხილავდი, განსხვავებით იმ ინტელიგენციისაგან, რომელიც ჯერ ასლან აბაშიძეს ეთაყვანებოდა და მერე ბადრის უმართავდა რიტუალურ ცეკვებს.

- ზურა, დარჩი და ვიომოთ. ჩვენ ფინანსურად გვიჭირს, მაგრამ 2005 წლამდე სულს კბილებით მივიტანთ და შენ საპრეზიდენტო არჩევნებს მოგაგებინებთ.

- კარგი, დავრჩები და ვიომოთ, - დამთანხმდა.

ამის შემდეგ მე და ზურა ერთხელ კიდევ შევხვდით ერთმანეთს და შეჯერებული გეგმით ბადრისთან ურეკში ერთად ჩავედით, სადაც მოლაპარაკებები რამდენიმე დღე გაგრძელდა.

ბადრიმ გვითხრა, რომ მზად არის ეს პროექტი განიხილოს, მაგრამ ითხოვს, რომ ახალ მემარჯვენეებსაც დაეკითხება.

- „ახლები“ ჩემი მეგობრები არიან, მე მათ ვერ ვეტყვი, რომ ახლა ჟვანიასთან დავმეგობრდი და თქვენთან ურთიერთობას ვწყვეტ, მეგობრების მიმართ ღალატი არ მჩვევია, - ამბობს ბადრი და ითხოვს, რომ პროექტში „ახლებიც“ ჩავრთოთ.

- თუ შენ იმას გულისხმობ, რომ „ახლებს“ ვეტოს უფლება აქვთ, მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, ვინაიდან დათო გამყრელიძე უარს იტყვის, რომ მისი ლიდერი ჟვანია გახდეს და თუ მათ გარეშე შეგიძლია გადაწყვეტილების მიღება, მაშინ დროს ვაჯანჯლებთ, - ვეუბნები ბადრის.

ამის შემდეგ ბადრი გვეკითხება, რომ რა გარანტია აქვს, როცა ეს პროექტი განხორციელდება, რომ შეთანხმებას დავიცავთ და პუტინივით არ მოვექცევით.

- გარანტია არის ტელევიზია, რომელსაც აუცილებლად მიიღებ, - ვპასუხობ მე.

- ეს ბიზნესის სფეროა, მას პოლიტიკასთან საერთო არ აქვს. პუტინი ჩემი და ბერეზოვსკის პროექტი იყო, მაგრამ რაც გაგვიკეთა, ყველამ კარგად იცით. ამის გათვალისწინებით მე უფრო მყარი გარანტიები მჭირდება, რომ პირის გატეხვის შემთხვევაში ეს ინსტრუმენტი თქვენს წინააღმდეგ გამოვიყენო, - ამბობს ბადრი და მივხვდი, რომ ასეთ ინსტრუმენტად რაიმე სახის კომპრომატს გულისხმობდა.

- რა უნდა იყოს ისეთი კომპრომატი, რომ თუ კაცი პრეზიდენტი გახდება და შეთანხმების დარღვევას დააპირებს, რომ ამით შეაშინო და აიძულო, რამე ნაბიჯი არ გადადგას? პუტინის მაგალითიც, ხომ ამას მოწმობს?

- კი, ეს ზოგადად ასეა, მაგრამ ისეთი კომპრომატებიც არსებობს, რომელსაც ვერც პრეზიდენტი აუვლის გვერდს.

- მაგალითად? - ცნობისმოყვარედ ვკითხე.

- აი, გენერალი ლებედი ხომ გახსოვთ? ის, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ელცინს, რომ მხარი დაუჭირა?

რა თქმა უნდა, ცნობილი გენერალი ყველამ ვიცოდით. ის შემდეგ კრასნოიარსკის გუბერნატორი გახდა.

- ლებედი ჩვენს პოლიტიკურ პროექტში მონაწილეობდა და შეთანხმება რომ არ დაერღვია, ჩვენ მას პატარა ბიჭი გავაცანით, რომელიც მან გაჟიმა და ჩვენ ეს ფარულად ვიდეოკამერით გადავიღეთ.

ამის გაგონებაზე შოკში ჩავვარდი.

- გამყრელიძემაც ბიჭი გაჟიმა, მის ერთგულებაში რომ ეჭვი არ გეპარება? - ვეკითხები ბადრის.

- არა, არა, - იცინის და გვეუბნება, რომ გამყრელიძეს უნდა დავუმეგობრდეთ.

ამ გარანტიების თემაზე დისკუსიამ დიდი დრო წაიღო. საბოლოო ჯამში ბადრიმ რაღაც შეთანხმება დაწერა, რომელზეც ჟვანიამ ხელი მოაწერა და ეს ქაღალდი უცხოეთის რომელიღაც ბანკში დაიდებოდა და ბადრი მას იმ შემთხვევაში გამოიყენებდა, თუ ზურა მასთან შეთანხმებას დაარღვევდა.

მოგვიანებით ზურამ მითხრა, რომ ამ ფურცელზე რაღაც ბოდვები წერია, რომელსაც ბადრი რატომღაც დაცვის გარანტად მიიჩნევდა.

ბადრი თავს გვევლებოდა, სკუტერებით აჭარის სანაპიროსკენ გავცურეთ. ზურას მხრიდან ეს რისკიანი ნაბიჯი იყო, ასლანი მას აბრალებდა, რომ მის მოწამვლას აპირებდა. ჟვანია ამაზე ხითხითებდა ხოლმე.

უკან მოვბრუნდით და სადილზე ბადრი გვიყვება, რომ რუსეთში რაღაც გააკეთა. მე ვუთხარი, ნამდვილი - ცისფერყანწელივით მოქცეულხარ-მეთქი.

- რა ცისფერი? - უცებ დაიძაბა და ხმა გაუმკაცრდა.

- ჰო, ჰო, ცისფერყანწელები, არ იცი, კაცო, ასეთი ლიტერატურული მიმდინარეობა არსებობდა.

არ იცოდა და ამიტომ ცისფერს ყური რომ მოკრა, დაიძაბა, ეგონა ცუდი რამე ვუთხარი.

- რუსეთში მაგ დროს “სერებრიანნი ვეკ” იყო, - ჩავთვალე, რომ რუსულ ლიტერატურაში მეტად ერკვეოდა.

- რა “სერებრიანნი ვეკ”? - აქეთ მეკითხება.

ამის შემდეგ მე და ზურა “სერებრიანნი ვეკს” ხშირად ვიხსენებდით ხოლმე.

სადილზე მე, ჟვანია, ბადრი და ვანო ჩხარტიშვილი ვისხედით. ბადრის ურეკში ერთი იაფფასიანი მომღერალი ქალი ჰყავდა ჩამოყვანილი, რომელიც ამ დროს მღერის და ამავე დროს საწყალი, გაცრეცილ ფეხსაცმელებიანი შუა ხნის კაცი ვიოლინოზე უკრავდა. ეს მევიოლინე, რომელიც ბათუმიდან ჩამოიყვანეს, ძალიან ჰგავდა აბესალომ ლორიას გმირს ფილმიდან „არ დაიდარდო“.

ეს ოთხი ადამიანი სუფრასთან ვსხედვართ და ეს საწყალი უკრავს. ზურა ძალიან დაითრგუნა - ბობოლები ვსაუზმობთ და ეს კიდევ რაღაც გროშების საფასურად გვართობს. ამის შემდეგ რამდენჯერმე ტკივილით გამახსენა ეს სცენა, გახსოვს, რა საცოდაობას ვუყურებდითო?

ურეკში დათო გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე ჩამოვიყვანეთ. დათო ძალიან გაღიზიანდა და არ სურდა პირველობა ზურასთვის დაეთმო. მან წინადადება წამოაყენა, რომ საუკეთესო გამოვლენილიყო და ამის შემდეგ გადაწყვეტილიყო, ვინ გახდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატი. ზურა წყნარად უსმენდა, არ ეკამათებოდა, მე ვაქტიურობდი და დათოს ვარწმუნებდი, რომ ზურას მეტი გამოცდილება აქვს, თუ გვინდა, რომ რაციონალურად ვიმოქმედოთ, ერთადერთი გამოსავალი ზურას პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენება იქნება მეთქი.

თავდაპირველად დათო ბოლომდე არაფერზე გვეთანხმებოდა, გარკვევით არაფერს ამბობდა, მაგრამ დიდი კონსულტაციების შემდეგ, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ პროექტის რეალიზებას ჩვენი გეგმის მიხედვით შევუდგებოდით.

შესათანხმებელი დაგვრჩა ტელევიზიის გასაყიდი ფასი. ეს შეთანხმება ჩემსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის უნდა მომხდარიყო. ჩხარტიშვილმა კუნძულ როდოსზე დამპატიჟა, სადაც მე ჩავედი და რაღაც თანხაზე შევთანხმდით. ფულს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მივიღებდით, მას შემდეგ, რაც ჩვენი გათვლით, ჟვანია საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებდა. გახარებულმა ვანომ ბადრის დაურეკა და აცნობა, რომ - აი, ამ ფასზე ჩამოვყალიბდით.

მე ჩემის მხრივ პარტნიორებს დავურეკე, რომ აი, ამდენ თანხაზე მოვილაპარაკეთ.

შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ის, რომ ბადრი ტელევიზიას არ გააკეთებდა და პროექტი „რუსთავი 2“-ის საშუალებით განხორციელდებოდა.

რეალობა სხვაგვარად წარიმართა. 2002 წლის შემოდგომიდან სულ მესმოდა ხმები, რომ ეთერში გასასვლელად ორი ტელევიზია ემზადებოდა, ერთს ზაზა შენგელია აკეთებდა, მეორეს - თავად ბადრი. თავდაპირველად ბადრის ტელევიზიას ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილი აკეთებდა, მერე ეს საქმე სხვას გადააბარა.

როცა რუსეთში მეგობარ ჟურნალისტებს ვხვდებოდი, მეუბნებოდნენ, რომ სულ მალე ეთერში ბადრის მაგარი ტელევიზია გავიდოდა და მეკითხებოდნენ, მასთან კონკურენციის მეშინოდა თუ არა.

ბადრი ყველაფერს უარყოფდა - არა, რა სისულელეა, არანაირ ტელევიზიას არ ვაკეთებო.

ვეუბნებოდი, რომ ჩხარტიშვილი აკეთებდა ტელევიზიას და, მე არაფერი ვიციო - მპასუხობდა.

ეჭვი გამიჩნდა, რომ რაღაც არასასურველი ხდებოდა, თუმცა ამის გამო ბადრისთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია.

ბადრის ოფისში ვიკრიბებოდით და იქ უკვე მოქმედების დეტალებს განვიხილავდით. ხანგრძლივი დისკუსია გვქონდა, თუ რა რაოდენობის ფინანსები დაჭირდებოდა ზურას პოლიტიკურ პარტიას წარმატების მისაღწევად. მე ვცდილობდი, ზურასთვის რაც შეიძლება მეტი ფინანსები გადაეხადა.

ნოემბერში ბადრის შევთავაზე, რომ ახალ წელს ახალი პოლიტიკური გაერთიანების პრეზენტაცია მოგვეხდინა. მთელი ქრისტიანული სამყარო შობას ოჯახებში ნათესაურ წრეში აღნიშნავს, ხოლო ახალ წელი საერთო-სახალხო დღესასწაულად ითვლება და მას მთელი მსოფლიო ქუჩებში ზეიმით ხვდება. კომუნისტები შობის ღიად აღნიშნვას ეწინააღმდეგებოდნენ და ქართველები შობის მსგავსად ახალ წელს აღნიშნავდნენ. ყველანი საკუთარ ოჯახებში საცივის და ღვინის თანხლებით ძველ წელს აცილებდნენ და

ტელევიზორში „სტარიე პესნი ო გლავნომ“-ს უცქერდნენ, რომელიც “ირონია სუდბი, ილი ს ლიოგკიმ პარომ” კინოფილმთან ერთად ახალი წლის უცვლელ ატრიბუტად იქცა.

ჩემი გეგმით, ჩვენ შეგვეძლო ბადრის „არტ-იმედის“ საშუალებით ქუჩაში გრანდიოზული ცოცხალი კონცერტი მოგვეწყო და ახალი წლის შესახვედრად ხალხი სახლებიდან გამოგვეყვანა. ასიათასობით მოქალაქე ახალ წელს შეხვდებოდა ისე, როგორც ამას მთელ მსოფლიოში აკეთებენ და კონცერტის ფინალურ ნაწილში ზუსტად ღამის 12 საათზე - სცენაზე ავიდოდნენ - ჟვანია, სააკაშვილი, ბურჯანაძე, გაჩეჩილაძე და გამყრელიძე! ესენი ხელების ერთმანეთზე ჩაკიდებით და ზევით აწევით შეხვდებოდნენ ახალ წელს, ამ ყველაფრის კვინტენსაცია კი გახდებოდა სპეციალურად ამ მომენტისთვის შექმნილი ახალი სიმღერა.

საზოგადოება შევარდნაძის საახალწლო მიმართვის ნაცვლად უცქერდა ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, რომლებიც ერთიანობის დემონსტრირებას მოახდენდნენ და განაცხადებდნენ, რომ ახალგაზრდა თაობა საპარლამენტო არჩევნებზე ერთიანი გუნდით წარდგებოდა.

ხელიხელჩაკიდებულ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სურათები კი მომდევნო დღიდან ქუჩის ბილბორდებზე გამოიფინებოდა.

ბადრის იდეა მოეწონა და ყველანაირ თანადგომას დაგვპირდა. აღფრთოვანებული ჟვანია მეუბნება, რომ მან იცის, ვის შეუძლია მსგავსი ღონისძიების საუკეთესოდ ორგანიზება და ზურამ სოფელ დიღომში, მის სახლში, დათო დოიაშვილი და ნიკა მემანიშვილი მოიყვანა.

ბუხრის პირას დავსხედით და მათ ავუხსენი დეტალურად თუ როგორ წარმომედგინა პროექტის რეალიზაცია. გავწერეთ ბიუჯეტი, ამ თანხის ნაწილს მე ვიხდიდი, ნაწილს ბადრი, თუმცა ამათ ვეუბნები, რომ პროექტს მთლიანად მე ვაფინანსებ, რადგან ბადრის ამის გახმაურება არ სურდა.

კონცერტი უნდა გაეხსნა სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც ვერდის “ნაბუქოს“ „ებრაელ მონებს” შეასრულებდა. ერთია, რომ ეს უმშვენიერესი მუსიკაა, თუმცა ეს მუსიკა მე სხვა მხრივ გამოვარჩიე უფრო - ეს გახლდათ იტალიის ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰიმნი, თავისუფლების და გამარჯვების ჰიმნი. ამ სიმბოლური მუსიკით უნდა გაგვეხსნა კონცერტი.

ახალი წლის დადგომამდე, რამდენიმე წუთით ადრე ნანი ბრეგვაძეს და მის შვილს, ეკა მამალაძეს უნდა ემღერათ და ამ დროს სცენაზე ავიდოდნენ ეს პოლიტიკოსები.

ჩემი ვარაუდით, ეს შევარდნაძის პოლიტიკურად დასამარებას გამოიწვევდა, რასაც თავადაც მიხვდა და გააფრთებულმა პრეზიდენტმა ჯერ გამყრელიძე-გაჩეჩილაძეს ათქმევინა ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი, შემდეგ ჩხარტიშვილმა დამირეკა, რომ ბადრი პროექტს ვერ დააფინანსებდა და ბოლოს ბურჯანაძემ და ჟვანიამაც გადაიფიქრეს.

ჩვენ დამოუკიდებლად გავმართეთ ეს კონცერტი და ათიათასობით ადამიანი პირველად ქუჩაში ერთად შეხვდა ახალი წლის დადგომას, თუმცა გრანდიოზული ჩანაფიქრი შევარდნაძემ ჩაგვიშალა, რამაც ჩემთვის ღონისძიებას პეწი დაუკარგა.

ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით, რომ სინქრონიზებულად გვემოქმედა, თუმცა ახალმა მემარჯვენეებმა დამოუკიდებელი მოქმედებები დაიწყეს. ამის პარალელურად ბადრიმ ამ შეთანხმების საწინააღმდეგოდ ტელეკომპანია “იმედი” შექმნა. უფრო მეტიც, მათ “იმედზე” ჩემი ჟურნალისტების გადაბირება დაიწყეს, რაც რა თქმა უნდა ძალიან უსიამოვნო იყო.

ბადრის ამ ნაბიჯებმა მაფიქრებინა, რომ იგი ახალი გეგმით მოქმედებდა და „ახალი მემარჯვენეების“ სეპარატიული ქმედებებიც ამით აიხსნებოდა.

ამასთან, გავრცელდა ხმები, რომ ბადრიმ „რუსთავი 2“ იყიდა, რაც დესტრუქციულად მოქმედებდა როგორც ჟურნალისტებზე, ასევე კომპანიის სარეკლამო შემოსავლებზე. მე ბადრის დავპირდი, რომ ჩვენს შეთანხმებას, ტელევიზიის გაყიდვაზე, საიდუმლოდ შევინახავდი და ამის გამო ვერ ვამბობდი, გავყიდე თუ არა „რუსთავი 2“.

საერთაშორისო ბაზარზე ტელეპროდუქციის ფასმა “იმედის” გამოჩენის შემდეგ კატასტროფულად მოიმატა. სატელევიზიო პროდუქციას ჩვენ ძირითადად რუსეთში ვყიდულობდით და ახლა კონკურენცია უნდა გამეწია პატარკაციშვილისთვის, რომელიც ტელეკომპანია ოერტე-ს სრული ბატონ-პატრონი გახლდათ და სატელევიზიო სფეროში თითქმის ყველას იცნობდა.

ამავე პერიოდში მის ორბიტაზე გიორგი თარგამაძე გამოჩნდა, რომლის აბაშიძისგან გადმობირებას ბადრი მნიშვნელოვან წარმატებად აფასებდა და თარგამაძეს მომავალ პოლიტიკურ პროექტად განიხილავდა.

“იმედი” ეთერში გავიდა, რასაც მე მშვიდად შევხვდი, ვინაიდან თავს ზევით ძალა არ იყო და რა უნდა მექნა?

მართალია, ფინანსური თვასაზრისით “იმედი” დიდ რესურსს ფლობდა, მაგრამ ჩვენ ჟურნალისტებს თავისუფალი სამუშაო სივრცე შევუქმენით და თითოეული მათგანი იმას აკეთებდა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა. მე მათ საქმიანობაში არანაირად არ ვერეოდი და როცა მათ არჩევანი მიეცათ - რა ერჩივნათ, თავისუფალ რეჟიმში მუშაობის გაგრძელება თუ “იმედის” მაღალი ხელფასები, აბსოლუტურმა უმრავლესობამ, არჩევანი თავისუფლების სასარგებლოდ გააკეთა.

ოქტომბრის პირველ ნახევარში ჩემთვის უკვე სრულიად ცხადი გახდა, რომ “მოქალაქეთა კავშირი”, რომელსაც ამ დროს უკვე “ახალი საქართველო” ერქვა, საარჩევნო კამპანიისას ჩვენს არხზე არაფრის დახარჯვას აპირებდა, ანუ ყველაზე დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ჯგუფისაგან პოლიტიკური რეკლამა არ გვექნებოდა.

მანამდე მე რამდენჯერმე შევხვდი იმ ხალხს, ვინც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შევარდნაძის პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას წარმართავდნენ. ამ შტაბს ფორმალურად სახელმწიფო მინისტრი - ავთო ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა, რეალურად კი, მაშინ შევარდნაძის გარშემო იმდენად დიდი ქაოსი სუფევდა, იქ იმდენი პოლიტიკური ძალა დაჯგუფდა, თან ისეთები, მანამდე ერთმანეთს საერთოდ რომ არ ელაპარაკებოდნენ და ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ, რომ სწორად მომართული მექანიზმის აწყობა და კამპანიის წარმართვა ძალიან ჭირდა.

შევარდნაძის საარჩევნო ბლოკს მთლიანად ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა.

ამ ნაბიჯით ბადრიმ კიდევ ერთხელ დაარღვია ჩვენს შორის არსებული შეთანხმება, ზურა ჟვანიას მხარდაჭერის ნაცვლად 2003 წლის მეორე ნახევარიდან ძალიან აქტიურად დაუახლოვდა შევარდნაძეს. თუმცა, ის მარტო შევარდნაძის ბლოკს არ აფინანსებდა, მან, მისი აზრით, წაუგებელი ტაქტიკა აირჩია და ბადრიმ ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალის დაფინანსება გადაწყვიტა.

ბადრი, ძალიან მდიდარი ადამიანი, ცდილობს, რომ კვერცხი ყველა კალათში ჩადოს, - ეგებ რამდენიმე

მაინც მიიტანოს მიზნამდე. ბადრი სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა ყველას ფინანსური დონორი გახდა. (ჟვანიას აძლევდა 200000-ს)

აგვისტო-სექტემბერში, დიდი ჭიდაობის შემდეგ, ავთო ჯორბენაძესთან შეთანხმებას მივაღწიე, თუ რა ბიუჯეტი უნდა ყოფილიყო ჩვენი არხისთვის გამოყოფილი. ოქტომბრის დასაწყისში, ერთ მშვენიერ დღეს, ავთომ გამოგვიცხადა, რომ მას “რუსთავი 2”-ზე რეკლამის განთავსების არანაირი ინტერესი არ აქვს და რომ შევარდნაძის ბლოკმა გადაწყვიტა, საერთოდ არაფერი განათავსოს ჩვენს არხზე. მიზეზი მარტივია: არსებობს სამი არხი - “იმედი”, “მზე” და საკმაოდ ძლიერი სახლმწიფო მაუწყებლობა, რაც მათ სავსებით აკმაყოფილებს და სავსებით გამოდგება “რუსთავი 2”-ის საპირწონედ. მოკლედ, მითხრეს, კარგად იყავით და ჩვენგან არანაირი ფული არ გექნებათო.

ეს ჩვენთვის საშინელი დარტყმა იყო. მანამდე ჩვენ ჩვენი კალკულაცია გავაკეთეთ და გავთვალეთ, რომ არჩევნების დროს შემოსული ფინანსები ტელეკომპანიის საარსებოდ კიდევ ერთ წელიწადს ან წელიწადნახევარს გვეყოფოდა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯახირით და გაჭირვებით მივაღწევდით.

ახლა კი, ამ აგრესიულ გარემოში, ძალიან გაგვიჭირდებოდა თავის გადარჩენა და “რუსთავი 2” შეიძლება ბაზრიდან საერთოდ ამოვარდნილიყო. თუ კომპანიაში ფინანსური მდგრადობა არ გვექნებოდა, ბუნებრივია, ვერც თანამშრომლებს შევინარჩუნებდით: ჯერ ის ხალხი წავიდოდა, ვისაც “რუსთავი 2”-თან დაკავშირებით “პატრიოტული” განცდები არ ჰქონდა, შემდეგ ნაკლებად თავდადებულები წავიდოდნენ, დარჩებოდნენ ყველაზე ერთგულები, მაგრამ რა... ბოლოს მაინც კოლაფსის წინაშე აღმოვჩნდებოდით. 2005 წლამდე, როცა, კონსტიტუციის თანახმად, ახალი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გამართულიყო, “რუსთავი 2” ვერანაირად ვერ მიაღწევდა.

ჩემი აზრით, სახელისუფლებო ბლოკი ბადრის დირექტივის საფუძველზე სწორედ ამიტომ არ აპირებდა ჩვენს არხზე არც ერთი კაპიკის დახარჯვას. ბადრი ამ გზით ჩვენს ფინასურ გაკოტრებას ცდილობდა.

სხვა გამოსავალი არ გვრჩებოდა - ზურას დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. მას უმძიმესი საარჩევნო გრაფიკი ჰქონდა, ნინო ბურჯანაძე ერთი მიმართულებით მოძრაობდა, ჟვანია - მეორე მიმართულებით. მათ ერთიანი საარჩევნო ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ შექმნეს, რომლის ლიდერი ბურჯანაძე იყო, თუმცა ეს ჟვანიას პროექტი იყო და რეალურად ყველაფერს ის მართავდა. ახლა წარმოიდგინეთ, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე რა მასშტაბის დატვირთვა ექნებოდა პოლიტიკურ პარტიას და მის ლიდერს, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების და პირველობის ამბიცია ჰქონდა. მაგრამ მე და ზურას სხვა ურთიერთობა გვქონდა და ამიტომ მის მოუცლელობაზე არც მიფიქრია.

ზურას მეგრული სამზარეულო გამორჩევით უყვარდა და ჩვენ ერთმანეთს ხშირად დიღმის გზაზე ვხვდებოდით, ზურას ვაშლიჯვარის ოფისის ახლოს მდებარე ერთ ჩინებულ მეგრულ რესტორანში.

2002-2003 წლებში მე, ზურა და დათო დვალი ლამის დღეგამოშვებით ვხვდებოდით ერთმანეთს ამ რესტორანში.

2003 წლის აგვისტოდან ჩვენ შორის ურთიერთობა გაცივდა.

ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ბადრი და შევარდნაძე დემონსტრატიულად დაახლოვდნენ, ბადრი მას ხაზგასმით უჭერდა მხარს, და ზურა, რომელიც, წესით, ამის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო, ასევე ბადრისთან მეგობრობდა. ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარი იყო. ზურას ბადრისთან დამეგობრების ერთადერთი მოტივაცია ფული იყო, რომელსაც იგი საარჩევნოდ ბადრისგან იღებდა.

ზურას შევხვდი და ვუთხარი: “ზურა, უნდა დაგვეხმარო. ბადრიმ თავისი ვალდებულებები ორჯერ არ შეასრულა, რამაც ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩაგვაყენა; ბადრი, როგორც “ახალი საქართველოს” მთავარი დამფინანსებელი, კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ “რუსთავი 2”-თვის სარეკლამო ბიუჯეტი გამოეყოთ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ბადრის ურთიერთობა ძალიან დაძაბულია, მიუხედავად იმისა, რომ ბადრი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უმძიმესი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდე და ჩვენმა კომპანიამ უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ მიაღწიოს, მე მის მიმართ ყოველგვარი აგრესიისგან თავს შევიკავებ. მისგან მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ: უხეში შეფასებებით, ჩვენი ზარალი რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს, და თუ ბადრის უნდა, რომ ჩვენს შორის კონფრონტაცია არ გაღრმავდეს, და ეს კონფრონტაცია ძალიან დამანგრეველი არ იყოს, ყველაფრისათვის, მათ შორის ჩემი და შენი ურთიერთობისათვის, შენი და მისი ურთიერთობისათვის, ის ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით გადაიხადოს ეს თანხა, როგორც კომპენსაცია ჩვენი არხის ასე დაზარალებისთვის”.

ზურა ძალიან შეიშმუშნა. შეხვედრის მერეც საკმაოდ უსიამოვნოდ დავშორდით ერთმანეთს. ნაწყენი არ წასულა, უბრალოდ, ისეთი დაძაბული იყო, რომ მეც ვიგრძენი: ზურა ამ საქმეს ვერ ან არ გააკეთებდა.

მართლაც, მეორე დღის ბოლოს დამირეკა და მითხრა: „იცი რა, მე შევხვდი ბადრის, მას ველაპარაკე და მან გაღიზიანებულმა მკითხა, რა ქუჩურად „მაპრისტავკებს“, რას ჰქვია, ჩემგან ფულს ითხოვს, ჩემგან რა კომპენსაციას ითხოვსო”.

ძალიან ცივი უარი მივიღეთ.

კრიზისი გაღრმავდა.

ისღა დამრჩენოდა, რომ კიდევ ერთხელ შევხვედროდი ავთო ჯორბენაძეს და მეთქვა: “ავთო, შენ პრინციპულ შეცდომას უშვებ“.

იმ პერიოდში, როცა ავთო ჯორბენაძეს საარჩევნო კამპანიის დაგეგმვაზე ველაპარაკებოდით, „რუსთავი 2“ სარეკლამო ბაზრის დაახლოებით 75%-ს განკარგავდა. მე ვეუბნები ჯორბენაძეს: „თუ სხვა ტელევიზიებზე პირობითად 100 დოლარს ხარჯავთ, „რუსთავი 2“-ზე 60-70 დოლარი დაგჭირდებათ - ესაა პროპორცია, ესაა ცქერადობის განაწილება, ამდენი მაყურებელი ჰყავს, ასეთი რეიტინგი აქვს, ასეთი წილი აქვს ამ ბიზნესში. თუ გინდათ იგივეს მიაღწიოთ, რასაც აღწევს, ვთქვათ, „პროქტერ ენდ გემბელი“, „ქოლგეითი“ ან ნებისმიერი საერთაშორისო კომპანია, რომელმაც იცის, რა უნდა გააკეთოს მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, საამისოდ ჩვენზე მეტად არავინ გამოგადგებათ...“

ავთოს მანამდეც ვიცნობდი. ერთი პერიოდი, 1990-1992 წლებში, ჩვენ კოლეგები ვიყავით: მე რუსთავის ჯანდაცვის სამსახურს, ხოლო ავთო - თბილისისას ხელმძღვანელობდა.

ავთო და მე ერთმანეთს შენობით მივმართავდით, ღიად ვსაუბრობთ და ასეთ ღია საუბარში მას ვეუბნები: „თუკი საარჩევნო კამპანიისას არ გაგვითვალისწინებთ, ბუნებრივია, ეს ჩვენთვის დიდი პრობლემა იქნება, მაგრამ თქვენც დიდი პრობლემა გელით“. ავთომ მკითხა: „რას გვთავაზობ? კარგი, დავუშვათ, დაგთანხმდით. თქვენგან რას მივიღებთ არჩევნებში?“ მე ავუხსენი, რომ ისინი, სახელისუფლებლო პარტია, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არიან იმიტომ, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი მათ დაარტყამთ, იმიტომ, რომ შევარდნაძე, მათი მთავარი ძალა, ამდენი წელი ხელისუფლების სათავეშია და ცხადია, თავის დაცვა გაუჭირდებათ. მე ნეიტრალიტეტს ვთავაზობდი ანუ: „როცა მოწინააღმდეგე რაღაცას გააკეთებს, რაიმე ღონისძიებას ჩაატარებს ან თქვენს წინააღმდეგ დემარშს განახორციელებს, აუცილებლად მოგეცემათ პასუხის გაცემის საშუალება. მე ვითამაშებ ობიექტურ რეჟიმში, არც თქვენს და

არც ოპოზიციის მხარეს. ესაა ჩემი ერთადერთი და მთავარი წინადადება“. მანამდე „რუსთავი 2“ საკმაოდ აქტიური იყო, აგრესიულად ანტისახელისუფლებო, და ეს თამაში არ ყოფილა, ასეთი გახლდათ ქვეყანაში შექმნილი რეალობა. ახლა კი ხელაღებით კრიტიკაზე მორატორიუმის გამოცხადებას ვთავაზობდით, თავად პოლიტიკოსებს ვთავაზობდით, თავად ემტკიცებინათ საკუთარი სიმარლე. ჩვენ სიტუაციას არ დავამძიმებდით, არ გავამძაფრებდით.

პასუხად ავთომ მომიგო: „ჩემო კარგო, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს შესაძლებელი და მნიშვნელოვანი იქნებოდა, ერთი წლის წინ, მაშინ როდესაც შენ სრული მონოპოლისტი იყავი. დღეს ძლიერია სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხი, ჩვენ გვაქვს უკვე ორი ძლიერი კერძო ტელევიზია - „იმედი“ და „მზე“, ყველა ეს არხი ჩვენზე მუშაობს თამამად შეგვიძლია ყველა თქვენი წინადადების იგნორირება“.

კიდევ რამდენჯერმე ვცადე მისთვის „რუსთავი 2“-ის როლი და მნიშვნელობა მეჩვენებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვფიქრობ, თავად ავთო არ იყო დაინტერესებული, რომ „რუსთავი 2“-სთვის ფული არ მოეცა, მაგრამ რეალურად იქ სულ სხვა ვითარება იყო და მოგვიანებით, 24 ოქტომბერს, ამის ნათელი დადასტურება მივიღეთ.

საქმე ისაა, რომ ჩვენს ხელისუფლებასთან შეთანხმებას კიდევ ერთი ნაწილი ჰქონდა. „რუსთავი 2“ ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთი ლიცენზიით არსებობდა, მხოლოდ ერთი ლიცენზიით თბილისზე, და ისიც ინვალიდი ლიცენზიით - ჩვენს სიხშირეს აზერბაიჯანის მხრიდან სერიოზული ხელშეშლა ჰქონდა. ჩვენი გავრცელება საკმაოდ შეზღუდული იყო, ჩვენი რეგიონალური მაუწყებლობა - ბეჩავი. ამ დროს „იმედს“ ძალიან კარგი ხარისხის სიგნალი ჰქონდა, ის პროვინციაში ულამაზესი სურათით გავიდა, რაც მნიშვნელოვანი იყო. მას ყველგან უყურებდნენ. ჩვენ კი მხოლოდ ერთი, ძალიან საწყალობელი სიხშირე გვებადა და რეგიონალური პატარ-პატარა ტელევიზიების ნახევრადკუსტარული გადამცემები. შესაბამისად, ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ე.წ. ორტ-ს მეტრული სიხშირე, რომელიც კარგა ხანს უფუნქციოდ იყო ტენდერის გზით გაცემულიყო. ჩვენ, როგორც საქართველოს უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სატელევიზიო კომპანია, ამ ტენდერს ნებისმიერ კონკურენტთან მშვიდად მოვიგებდით. მიუხედავად ამ მოთხოვნის სამართლიანობისა, მას 2003 წლამდე ყურადღებას არავინ აქცევდა. 2003 წელს, როგორც იქნა, დაგვთანხმდნენ და 23 თუ 24 ოქტომბერს სიხშირის გაცემაზე ტენდერი გამოცხადდა.

ამ დროს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელი ვახტანგ აბაშიძე იყო. მას რამდენჯერმე შევხვდი. თავიდან კონკურენტი არ გვყავდა, შემდეგ ბადრის კიდევ ერთმა ბიზნეს-ჯგუფმა - „ტექნომედიამ“, ხაზგასმულად, დემონსტრატიულად შემოიტანა განაცხადი, ანუ ბადრიმ კიდევ ერთი სატელევიზიო სიხშირის შეძენა გადაწყვიტა. მას უკვე ჰქონდა “იმედის” და “მზის” სიხშირეები, რომლებიც ხელისუფლების მხარდაჭერით მიიღო.

ვინაიდან ხელისუფლებამ ერთი ვალდებულება შეასრულა და ორტ-ს სიხშირეზე ტენდერი გამოაცხადა, მე მშვიდად ველოდებოდი ამ ტენდერის ჩატარებას, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ობიექტურად ჩვენ საუკეთესოები ვიყავით და სამართლიანობის შემთხვევაში ამ სიხშირეს მოვიგებდით. ტენდერის წინა საღამოს 23 ოქტომბერს, ოფისში ვატო აბაშიძე და ავთო ჯორბენაძე მესტუმრნენ. კაბინეტში ფრანგული კონიაკი ყოველთვის მქონდა და ვსვამდით “ჰენესს” და ვსაუბრობდით, ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდით. ავთომ თქვა, ხვალ ტენდერია და მოდი, ვივაჭროთო. მე ვუთხარი, სისულელეს თავი დაანებეთ, არანაირ ვაჭრობას არ ვაპირებ, ეს სიხშირე სრულიად სამართლიანად ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენ მას ნებისმიერ შემთხვევაში მივიღებთ-მეთქი. ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენ დავიმსახურეთ და არც იოცნებოთ, რომ რამე სხვანაირად მოხდება-მეთქი. მერე გავიხსენეთ ჩვენი ახალგაზრდობა, ძველი მეგობრობა, დავლიეთ და დავიშალეთ. მანამდე კი ავთოს შევახსენე, რომ მეორე ვალდებულებაც

შესასრულებელი აქვს.

ავთოს ხაზგასმით ვუთხარი: “თუ ამ ვალდებულებას 2 ნოემბრის 8 საათამდე შეასრულებთ, 2 ნოემბრის შემდეგ თქვენს მიმართ ნეიტრალურ რეჟიმში ვიმოქმედებ - არანაირი მხარდაჭერა არ გექნებათ, მაგრამ არც მხარე ვიქნები. მაგრამ თუკი გადაწყვეტთ, რომ „რუსთავი 2“-ზე საარჩევნოდ რეკლამას არ განათავსებთ, ეს ნიშნავს, რომ მწირავთ, თქვენ, ხელისუფლება, მებრძვით, და ბუნებრივია, მე თავს ყველა ჩემს ხელთ არსებული საშუალებით დავიცავ, თქვენს წინააღმდეგ ლეგალურად ვიბრძოლებ”. ავთომ მითხრა, არ ვიცი, მე მაგას ვერ შეგპირდებიო.

- კარგად იფიქრე, ბოლო ვადა 2 ნოემბრის 8 საათია, მერე ყოველ დღე, რომ იგივე თანხა მომიტანოთ და თუნდაც, ეს თანხა ათზე გაამრავლოთ, მე ხელს აღარ მოვკიდებ, - ვუთხარი ჯორბენაძეს.

შუაღამეს კარგა გადაცილებული იყო, როცა მეგობრულად დავიშალეთ. ვატო ძალიან კმაყოფილი წავიდა, მეც კმაყოფილი წავედი და დავიძინე.

ტენდერი დილით, 11 თუ 12 საათზე იყო დანიშნული. კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში უამრავი კამერა დამხვდა, ჟურნალისტები ფუსფუსებდნენ, მაგრამ ვატო არსად ჩანდა. ეს არ მესიამოვნა, მაგრამ ვატო, თავისი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, სამსახურში ისეც ცოტა გვიან მიდიოდა და მეც ჩავთვალე, რომ არაფერი უჩვეულო არ ხდებოდა.

გახდა პირველის ნახევარი, ვატო თავის კაბინეტში შევიდა და მდივანს სთხოვა, ეროსი შემოვიდესო. შევედი.

ვატო გაფითრებული დამხვდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. მითხრა, რომ შევარდნაძესთან იყო და გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა.

გავშრი. ვერ გავიგე, რატომ გადადგა ვატომ ეს ნაბიჯი.

მან მითხრა, რომ შევარდნაძესთან თათბირზე ავთო ჯორბენაძე იყო, შემდეგ ვაჟა ლორთქიფანიძე და ვახტანგ რჩეულიშვილიც მოვიდნენო, იქ ერთი გამიშვი-გამატარე ამტყდარა და მოკლედ, ბადრიმ თავისი გაიტანა - გამოგზავნა თავისი მთავარი დამრტყმელი ძალა, პარლამენტის მისი თავმჯდომარეობის კანდიდატი, ვაჟა ლორთქიფანიძე, მას დაემატა ვახტანგ რჩეულიშვილი და გადაწყვიტეს, “რუსთავი 2”-ს არანაირი სიხშირე არ უნდა მივცეთო. მე ვალდებული ვარ, რომ ამაზე რეაქცია მქონდეს და თანამდებობიდან წავედიო.

ეს ვაჟკაცური ჟესტი იყო. ვატომ ვერ გადააბიჯა ვერც შევარდნაძეს, ვერც ვაჟასთან მეგობრობას და საბოლოო ჯამში საკუთარი თავი იმისთვის გაწირა, რომ საკუთარი იმიჯი შეენარჩუნებინა. ვაჟკაცური საქციელია. არც მანამდე, არც ამის შემდეგ მსგავსი - დასაფასებელი და ღირსეული ნაბიჯი ბევრს არ ჩაუდენია.

ასე რომ, ტენდერი ჩაიშალა და ორტ-ს სიხშირე ვერ მივიღეთ. ეს მოხდა 2003 წლის 24 ოქტომბერს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ვარდების რევოლუცია

ხალხს შევარდნაძის 30-წლიანი მმართველობა ყელში ამოუვიდა. ყველას მობეზრდა მისი კორუმპირებული სისტემა, რომელიც მოსახლეობას მუდმივად ელემენტარული სასიცოცხლო პირობების -

შუქის, წყლის, გაზის, ხელფასის - გარეშე ამყოფებდა და ადამიანებს ისღა დარჩენოდათ უკეთესი მომავლის მოსაწყობად სამუშაოდ საზღვარგარეთ გადახვეწილიყვნენ.

ხალხი საკუთარ სახლებს ყიდდა, რომ როგორმე ქვეყნიდან გაეღწია და ამ ფონზე "60 წუთი" მუდმივად აჩვენებდა იმ კორუმპირებული ჩინოვნიკების ახლად წამოჭიმულ ფეშენებელურ სასახლეებს, რომლებიც ამ ადამიანების გაჭირვების ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ენერგომაფია შუქს საზღვარგარეთ ყიდდა და აქ რეანიმაციებში ადამიანებს უშუქობის გამო გადაუდებელ ოპერაციებს ვერ უკეთებდნენ, რის გამოც ბევრი იღუპებოდა, პოლიციის თავნებობას საზღვარი აღარ ჰქონდა, თუ ვინმეს რაიმე ფული გაუჩნდებოდა, მას ჯიბეში ნარკოტიკს უდებდნენ და შემდეგ ფულს სძალავდნენ, ავტოინსპექტორების გადამკიდე, ტრასებზე მოძრაობა ერთი ხათაბალა გახდა. მთელი ქვეყანა კონტრაბანდას მიჰქონდა, შეძლებული და ფულიანი პირი სასამართლოში ყოველთვის ჩაგრავდა მართალ, მაგრამ უფულო ადამიანს. ბაზრობებზე კრიმინალები ხალხს ფულს აწერდნენ და შემდეგ ამ თანხას სახელმწიფო მოხელეებს უნაწილებდნენ. კანონიერი ქურდები ქვეყნის მართვაში აქტიურად მონაწილეობდნენ, მახსოვს ქუთაისის ერთ-ერთ რესტორანში ქურდებმა მოსამართლეებს სცემეს კიდეც და ამის გამო სასჯელიც არ დაკისრებიათ.

ცალკე პრობლემა იყო რელიგიური უმცირესობების შეუწყნარებლობა. ექსტრემისტული ჯგუფები, რომლებთაც ან ქვემო ქართლის გუბერნატორი მამალაძე, ანაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მფარველობდა, სადაც კი წაასწრებდა სხვა რელიგიის აღმსარებლებს, იქვე პოლიციის თვალწინ სასტიკად უსწორდებოდნენ. ჩვენ ამას მკვეთრად ვაპროტესტებდით და საზოგადოება მხარს გვიჭერდა.

მთელი ამ წლების განმავლობაში "რუსთავი 2" შევარდნაძის კორუმპირებულ და უსამართლო მმართველობას ამხელდა და ამის გამო საზოგადოებაც სიყვარულით და პატივისცემით გვეპყრობოდა. ჩვენს მიმართ პატივისცემას გამოხატავდნენ ის პატიოსანი ჩინოვნიკებიც, რომლებიც პრინციპების თუ სხვა მიზეზების გამო ამ კორუციულ სისტემაში ჩართულები არ იყვნენ და უამრავი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიდნენ.

საზოგადოება "რუსთავი 2"-ს იმედის თვალით უცქერდა. ტელევიზიაში ყოველდღიურად უამრავი უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანი მოდიოდა და სამართალს ჩვენი დახმარებით ეძებდა. მახსოვს ეს ხალხი განცხადებებს გვიტოვებდა, რომ მათ გასაჭირზე რეპორტაჟი მოგვემზადებინა და განცხადებას ადრესატებად თავზე ეწერა: "საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის პრეზიდენტს - ეროსი კიწმარიშვილს, ან რომელიმე გადაცემის რედაქტორს". ეს ხალხი საბოლოო ინსტაციად განგვიხილავდა, სადაც ცენზურის (ამ სიტყვის განმარტებაც არ ვიცოდით) გარეშე ჟურნალისტები მათ გასაჭირს ფართო საზოგადოებამდე მიიტანდა.

ჩვენ ვამბობდით სიმართლეს და საზოგადოება შევარდნაძის მიმართ დღითი დღე კრიტიკულად ეწყობოდა. თუმცა, ამას არ ვაკეთებდით იმის გამო, რომ მერე რევოლუცია მოგვეწყო. შევარდნაძეს არავინ უშლიდა რაიმე საქმის გამოსწორებას, მაგრამ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ვერ ელეოდა და ესენიც იოლ გამოსავალს პოულობდნენ, აცხადებდნენ, რომ თითქოსდა "რუსთავი 2" შევარდნაძეს ებრძოდა და ამის გამო ჩვენ რაღაცეებს ვიგონებდით. შემდეგ ესენი გარკვეული თანხის საფასურად სხვა ტელეკომპანიებში თავიანთთვის სასურველ სიუჟეტებს უკვეთავდნენ და მოსთქვამდნენ, ნახეთ რა კარგი ბიჭი ვარ და "რუსთავი 2"-მა კიდევ ცილი დამწამაო.

სიამაყით ვიტყვი, რომ ჩვენ არასდროს გვივაჭრია ცალკეული ადამიანის ბედითაც კი. არაფრის ფასად არ მიგვიჩქმალავს საზოგადოებისთვის მათი გასაჭირი. უამრავი შემოთავაზება გვქონია, რომ - აი, თუ თქვენ ამ სიუჟეტს არ გაუშვებთ... ყველაფერი აქ მთავრდებოდა. შევარდნაძის სიძე, გია ჯოხთაბერიძე "მაგთის" რეკლამას განათავსებდა თუ "60 წუთის" წამყვანს აკაკი გოგიჩაიშვილს სამსახურიდან გავუშვებდი, აკაკი ჩხაიძე ნახევარ მილიონს იხდიდა თუ რკინიგზის თაობაზე გადაცემას არ გავუშვებდი, შინაგან საქმეთა

სამინისტრო ყოველი წლის დასაწყისში 100 ათას დოლარს გადაიხდიდა თუ პოლიციის უკანონო ქმედებაზე თვალს დავხუჭავდით. ჰქონდათ ცალკეული ჟურნალისტების მოსყიდვის სურვილიც, თუმცა უშედეგო.

დღეს მთელი ელიტა შალვა რამიშვილს ქომაგობს, ჟურნალისტს, რომელმაც პირველივე შემხვედრს 30 ათასი დოლარი გამოართვა იმისთვის, რომ მასზე კრიტიკულ სიუჟეტს ეთერში არ გაუშვებდა და ამ საქციელის შემდეგ მას რამდენიმე პარტიის ლიდერი საარჩევნოდ სიაში ჩასმას უპირებს, რაც ჩემი აზრით, არ არის მორალური საქციელი და მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ ჩემი ჟურნალისტები ასე არასდროს იქცეოდნენ.

ამიტომ სურდათ, რომ "რუსთავი 2"-ს არსებობა შეეწყვიტა და ეს უნდა მომხდარიყო მაქსიმუმ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს ყველა მეტნაკლებად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერი საპრეზიდენტო პოსტის ხელში ჩასაგდებ პლაცდარმად განიხილავდა. ძირითადი მოთამაშეები იყვნენ - შევარდნაძე, რომელსაც ყველა თვალებში შესციცინებდა, რომ მის მემკვიდრედ დაასახელებდა, ასევე ბადრი პატარკაციშვილი, ასლან აბაშიძე და ზურა ჟვანია. თუმცა ბადრი რთულ პარტიას თამაშობდა, იგი აფინანსებდა შევარდნაძის სახელისუფლებო ბლოკს "ახალი საქართველოსთვის", აფინასებდა "ახალ მემარჯვენეებს" და ზურა ჟვანიას "ბურჯანაძე-დემოკრატებს". ბადრი ზურას 2003 წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად 200 ათას დოლარს აძლევდა. ირაკლი ჩუბინიშვილი ყოველი თვის დასაწყისში "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" ვანო ჩხარტიშვილს აკითხავდა და იქიდან ცელოფნის პარკით ეს ფული ოფისში მიჰქონდა. ბადრიმ რამდენიმე ადგილი ნათელაშვილის ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო სიაშიც იყიდა და იქ თავისი ხალხი ჩასვა.

2003 წლის ოქტომბერში სააკაშვილს სერიოზულად არავინ განიხილავდა. არც სააკაშვილი იკლავდა თავს სპონსორის ძიებით, მას როგორც მისი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა რამდენიმე ხნის წინ გაიხსენა, ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა.

ოქტომბრის დასაწყისში "აი-პი-ეს"-მა წინასაარჩევნო გამოკითხვა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ ზურა დამაჯერებლად ლიდერობდა. მას მოჰყვებოდნენ სააკაშვილი და ნათელაშვილი.

სააკაშვილს დედაქალაქზე მეტად რეგიონებში წყალობდნენ. ის შევარდნაძეს და მის გარემოცვას კორუპირებულობისთვის ადანაშაულებდა და ხალხს ეს მოსწონდა. ამასთან სააკაშვილმა ჩაგრულის იმიჯი შეიქმნა, რაც მის მიმართ კეთილგანწყობას აძლიერებდა.

ოქტომბრის ბოლოს წინასაარჩევნოდ ბოლნისში ჩასულ სააკაშვილს და მის მხარდამჭერებს იქაური გამგებელი დაუხვდა და ერთმანეთს სულ ცხვირ-პირი დაუმტვრიეს. ამ ჩხუბში გამგებელიც გაილახა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მიშამ წინასწარ ამ ჩხუბისთვის კარატეს რომელიღაც ფედერაციის წევრები დაიქირავა და მერე ეს ბიჭები ჩიოდნენ, მიშამ ტყუილად გვაჩხუბა, ფული აღარ გადაგვიხადაო.

29 ოქტომბერს სააკაშვილი ზუგდიდში ჩავიდა და იქაც ერთი ამბავი ატეხა, მოკვლას მიპირებდნენო. მიშა ქალაქის ცენტრში მიტინგს მართავდა, მომიტინგეებში ავტომანქანა გამოჩნდა, რომელიც ნელი სვლით ხალხში გზას იკვლევდა. სააკაშვილის მომხრეებმა ავტომანქანა ამოიცნეს - ეს ბადრი ზარანდიას ავტომანქანაა და შიგ მსხდომ პირებს მივარდნენ, გადმოათრიეს და სასტიკად სცემეს.

ბადრი ზარანდია ზუგდიდის ყოფილი სამხედრო კომენდანტი იყო და შემდეგ მხედრიონის ლიდერს ჯაბა იოსელიანს დაუძმაკაცდა, რომელიც მიშას ვერ იტანდა. თვითმართველობის არჩევნების წინ ზარანდიამ ზუგდიდში ჩასული სააკაშვილი სცემა და მას მიშა ერთ-ერთი რესტორნის მაგიდის ქვეშ ემალებოდა. მახსოვს, ზარანდია სააკაშვილს პირდებოდა, რომ მეორედ ზუგდიდში არ ჩაუშვებდა, თუმცა

საპარლამენტო არჩევნების წინ მიშას ეს მუქარა აღარ აშინებდა, ვინაიდან ზარანდია რესტორანში ჩაცხრილეს და საქმე დღემდე გაუხსნელია.

მართალია ის ავტომანქანა ზარანდიას ეკუთვნოდა, თუმცა ამ ინციდენტამდე ერთი წლით ადრე იგი ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ზუგდიდელმა კორესპოდენტმა იყიდა და გადაღებაზე ამ მანქანით დადიოდა. აღნიშნულ მიტინგზეც, ჟურნალისტმა მძღოლს დაურეკა, რომ ანძაზე ვიდეომასალის წასაღებად მისულიყო, რომ ვიდეოკასეტა გადაეცა. მძღოლი ჟურნალისტისკენ მანქანით წავიდა, რომ ვიდეომასალა სხვა ტელეკომპანიებზე ადრე გადაეგზავნა თბილისში და ამის გამო სასტიკად მოხვდა კიდეც.

ამ ინციდენტის შემდეგ გმირი სააკაშვილი ტელეკომპანიებს უყვებოდა, თუ რა სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. კოტე კემულარია ყველას უჩვენებდა პისტოლეტს, რომელიც ვითომდა თავდამსხმელებს წაართვა. არც ეს პისტოლეტი გადაუციათ ნივთმტკიცებად პოლიციისთვის და არც თავდამსხმელები ჩაუბარებიათ პოლიციისთვის. ჟურნალისტი კიდევ ნაცემ მძღოლსა და დამტვრეულ ავტომანქანას მისტიროდა, თუმცა ეს არავისთვის საინტერესო აღარ იყო: მიშამ მაგარი პიარი გაიკეთა.

23 ნოემბერს სააკაშვილის მომხრეები ბათუმში მართლა სასტიკად სცემეს. ყველას ახსოვს ნაცემი კობა დავითაშვილი, გივი თარგამაძე, დავით ბერძენიშვილი. ეს ხალხი როცა დემონსტრაციას წინ მიუძღოდა და მართლა საფრთხეში იგდებდა თავს, სააკაშვილი კაფეში იჯდა, აჭარულ ხაჭაპურს ჭამდა და დიდი ეჭვი მაქვს, ნატრობდა, რომ მორიგი პიარ აქციისთვის, მისი მომხრეები აბაშიძის ხალხს გაელახა.

ამ ცემა-ტყეპის ფონზე სააკაშვილის პოპულარობა მატულობდა, რომელსაც მანამდე მხოლოდ ნათელაშვილ-2-ად განიხილავდნენ.

ოქტომბერში თავად ნათელაშვილის რეიტინგმა მოიკლო, ვინაიდან იგი შევარდნაძის კრიტიკიდან ჟვანია-სააკაშვილის ლანძღვაზე გადაერთო.

ჟვანია-ბურჯანაძემ რესპექტაბელური საარჩევნო კამპანია აწარმოეს, რასაც შედეგი განვითარებულ ქვეყნებში მოაქვს, რომელსაც საქართველო არც მაშინ წარმოადგენდა და არც იმ არჩევნების შემდეგ. ნინო ლიდერის როლში პირველად წარსდგა ამომრჩევლის წინაშე და მისმა გამოუცდელობამაც თავი იჩინა. ამომრჩევლები ბურჯანაძეს ეკითხებოდნენ: თუ თქვენ აგირჩევთ, შუქი გვექნება? გზებს დააგებთ? პენსია გაიზრდება? ნინო პასუხობდა, რომ ეს აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა და პარლამენტი ამ საკითხებს ვერ გადაწყვეტდა. მახსოვს, ვანო მერაბიშვილი თავისი მსტოვრებისგან გებულობდა, თუ რა ილაპარაკა ბურჯანაძემ ამა თუ იმ შეხვედრაზე და ნინოს ამ პასუხზე ხშირად ქირქილებდა.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „რუსთავი 2“-მა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ეგზიტპოლი ჩაატარა. ეგზიტპოლი ჩავატარეთ 2001 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დროსაც და მაყურებელი მიეჩვია, რომ არჩევნების წინასწარ მონაცემს „რუსთავი 2“-ის მეშვეობით უკვე საღამოს 8 საათზე შეიტყობდა.

ეგზიტპოლს ვატარებდით 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც. რამდენიმე არასამთავრობო საერთაშორისო ფონდთან ერთად, სადაც ძირითადი დონორი ჩვენ ვიყავით, დავიქირავეთ ამერიკული “გლობალ სტრატეგი გრუპ”. ამ ორგანიზაციას ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა, თანაც ამერიკელები შემთხვევით არ აგვირჩევია, მათ მონაცემებს საზოგადოება ყველაზე მეტად ენდობოდა. პარალელურად ხელისუფლებამაც დაიქირავა ეგზიტპლისთვის რუსული ორგანიზაცია “ნიკოლო მ“.

არჩევნების მოსალოდნელი შედეგი მაშფოთებდა, თუმცა მამშვიდებდა წინასაარჩევნო კვლევები, სადაც ჟვანია დამაჯერებლად ლიდერობდა. მართალია მას პატარკაციშვილი აფინანსებდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ზურა ლიბერალურ ღირებულებებს არანაირ ფასად არ შეელეოდა და ამას უკავშირდებოდა ჩემი იმედიც. პატარკაციშვილი ჩემთვის საშიში გახდებოდა, თუ არჩევნებში ზურა დამარცხდებოდა. ვნატრობდი, რომ სახელისუფლებო ბლოკს და ბადრი პატარკაციშვილს მარცხი განეცადათ, ვინაიდან ტელეკომპანიის გადარჩენისთვის ეს ერთადერთ გზად მეჩვენებოდა.

არჩევნებამდე ერთი ალიაქოთი ატყდა ამომრჩეველთა საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. ბევრი ამომრჩეველი ამ სიებში თავის თავს ვერ პოულობდა, ზოგს დაბადების თარიღად 1800 წელი ეწერა, ხალხი აპროტესტებდა და ხელისუფლება ვერ ხსნიდა, რატომ აირია სიები.

მოგვიანებით ხელისუფლების მხარდამჭერებმა ამ სიების არევა მე დამაბრალეს. მსგავსი აბსურდი არასდროს მომისმენია, ამიტომ ეს სერიოზულად არც მიმიღია. მე რა შეხება მქონდა სიებთან? არანაირი. ამომრჩეველთა სიები შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა და კომპიუტერული ვერსიის შესაქმნელად კომპანია “აი-ფი-ეს”-ს გადასცა. იმ საანკეტო მონაცემში, სადაც დაბადების თარიღი გაურკვევლად ეწერა, კომპიუტერმა ავტომატურად 1800 წელი ჩაწერა, ამას გარდა მთელი კორპუსები გამორჩათ და აქ მაცხოვრებლები სიაში ვერ მოხვდნენ. ეს ყველაფერი კი მე დამაბრალეს - “რუსთავი 2“-ის დირექტორი გოჩა ქუმსიაშვილი “აი-ფი-ეს”-ში მუშაობს და ეროსის დავალებით ამომრჩეველთა სიებს ეგ აურევდაო. სრული სისულელე! ჩვენ რომ ამის მოხერხება შეგვძლებოდა, ჩემი ციხეში ჩასმა ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ, თუმცა ამაზე თავი არც არასდროს მიმართლებია, აბსურდულ ბრალდებაზე რა პასუხი უნდა გავცე?

არეულმა სიებმა ყველაზე მეტად მე დამაზარალა, ვინაიდან ამით უამრავი ხმა დაკარგა იმ ძალამ, რომლის გამარჯვებაც ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ამის თაობაზე თანმიმდევრულად მოგითხრობთ.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სახელმწიფო ტელევიზიამ, “იმედმა” და “მზემ” ეგზიტპოლის საწინააღმდეგო სერიოზული კამპანია წამოიწყეს. კოკა ყანდიაშვილმა ამ თემაზე რამდენიმე გადაცემა მოაწყო და დასკვნა ერთი გახლდათ: რა საჭიროა ეს ეგზიტპოლი, ის ხომ არაზუსტ მონაცემებს გულისხმობს და ვერსად ვერ გაამართლა! ესეც მიზანმიმართული სისულელე. რეალურად კი მათ ეგზიტპოლის იდეის გაკოტრება სურდათ, რომ შემდეგ მათთვის სასურველი პროცენტები ჩამოერიგებინათ საარჩევნო სუბიექტებისთვის, რასაც არჩევნებთან არაფერი ექნებოდა საერთო და ეს მაჩვენებლები საზოგადოებას უტყუარ ჭეშმარიტებად უნდა მიეღო. ეგზიტპოლის შედეგი კი წინასწარვე ბავშვურ გართობად გამოაცხადეს.

ვფიქრობ, ხელისუფლებამ სამიზნე სწორად შეარჩია, ვინაიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ პოლიტიკური სუბიექტები უკმაყოფილებას ყოველთვის გამოთქვამდნენ და გამარჯვებული ძალა ამას იოლად აბათილებდა - რახან დამარცხდა შედეგიც ამიტომ არ მოეწონათო და საზოგადოებაც ამას მტკივნეულად არ აღიქვამდა. „რუსთავი-2“ პოლიტიკური პარტია არ გახლდათ, თავისუფალი მედია იყო და მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საზოგადოება ენდობოდა. მას ის სანდოობა ჰქონდა, რაც პოლიტიკოსების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ობიექტურად ვერ ექნებოდა, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდნენ.

ჩემი აზრით, ხელისუფლებას აფიქრებდა, რომ ჩვენ ეგზიტპოლის ჩასატარებლად ამერიკული გავლენიანი ორგანიზაცია მოვიწვიეთ, რომელთა კომპეტენტურობასა და წესიერებაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა და ამის გასაბათილებლად თავად ეგზიტპოლის იდეას დაუწყეს დაკნინება. ჩემთვის ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ მმართველ ჯგუფს პატიოსანი არჩევნების ჩატარება არ სურდა. ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც

გაყალბების შემთხვევაში დისონანსის შეტანა შეეძლო - ჩვენი ტელეკომპანია და ეგზიტპოლი გახლდათ.

არჩევნებამდე პოლიტიკურმა ტემპერატურამ მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია. ხელისუფლების მომხრეები სასტიკად ცემდნენ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, ნაძალადევში მაჟორიტარი კანდიდატი დაჭრეს, ვიღაცა მდინარე ყვირილაში გადააგდეს, ლევან პირველმა „რუსთავი 2“-ის ოფისში დებატების შემდეგ, ნაციონალ ბესო ჯუღელს თავი გაუხეთქა... უკვე ვთქვი რაც დაემართათ აჭარაში ჩასულ სააკაშვილის მომხრეებს. იმავე ლევან პირველმა რესტორან ძველ სახლში გივი თარგამაძეს სცემა და შემდეგ იარაღი მოუმარჯვა, რა დროსაც თარგამაძე სააკაშვილის მსგავსად მაგიდის ქვეშ შეძვრა და თავი ასე გადაირჩინა. ამ ამბებს ირონიით სულაც არ ვიხსენებ, მოგვიანებით ხელისუფლებაში მოსულმა სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმაც, ასევე წარმატებით განაგრძეს ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა სასტიკად სცემა და არა მარტო არჩევნების დროს. ხაშურელი დეპუტატი გელაშვილი ამის კარგი მაგალითია.

სახელისუფლებო ბლოკს ოპოზიციონერთა რუსეთის აგენტობისთვის დადანაშაულებაც არ დავიწყებია და პრეს-სპიკერმა ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ ნინო ბურჯანაძეს ბრალი დასდო, იგორ გიორგაძესთან აქვს კავშირი და რაღა თქმა უნდა, ბურჯანაძე რუსეთის აგენტიაო. ჰოი, საკვირველებავ! ამის შემდეგ, თავად სარიშვილი-ჭანტურია გიორგაძის პარტიას ჩაუდგა სათავეში და დღემდე უშიშროების ყოფილი და ამჟამად ძებნილი მინისტრის პოლიტიკურ პარტიას ხელმძღვანელობს. მისი შეფი კი კარგა ხანია მოსკოვში ცხოვრობს.

მშვიდად არც არჩევნების დღეს ჩაუვლია, ჩვენი კორესპონდენტები თბილისსა თუ რეგიონებში დიდი რისკის ხარჯზე აფიქსირებდნენ ყველა უკანონობას, ეს იქნებოდა ე.წ „კარუსელი“ თუ სხვა უმსგავსობა. რუსთავში მაკა ფანქველაშვილმა გადაიღი საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც საარჩევნო ყუთს სადღაც მიაცუნცულებდა, რომ ყუთი კარგად გაეტენა მმართველი პარტიის სასარგებლოდ შემოხაზული ბიულეტენებით.

ამ დარღვევების გაშუქების გამო, ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მათმა მხარდამჭერმა ინტელიგენციამ, როგორადაც თვის თავს უწოდებდა შევარდნაძისადმი მაამებლურად განწყობილი ელიტა, ჩვენ ოპოზიციურ ტელეკომპანიად, ანუ მხარედ გამოგვაცხადეს.

ჩვენ პატიოსნად ვაშუქებდით უკანონობის ამსახველ ვიდეომასალას და ნამდვილად არ მიფიქრია, მხარე ვიყავი თუ ჰორიზონტი. მთავარია, არავის აეჭვებდა თავად გადაღებული ვიდეომასალის უტყუარობა, თავისუფალი მედია საშუალება ვიყავით და მოპოვებულ მასალას მაყურებელს შეულამაზებლად ვაჩვენებდით და თუკი ვინმეს მხარეზე ვიყავით, ვიყავით ხალხის, საზოგადოების მხარეს, რომელიც სიმართლის შესატყობად წლების მანძილზე შემოგვყურებდა. სიუჟეტებში ცუდად ჩნდებოდა ის ხალხი, ვინც ამ უკანონობას ჩადიოდა და ეს სახელისუფლებო პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერები იყვნენ, ვინაიდან გაყალბების საშუალება მხოლოდ მათ გააჩნდათ. ოპოზიციონრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ და ამ გაჭირვებულებს რისი დაშავების თავი ჰქონდათ?!

მოკლედ, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებმა ძალიან ქართულად ჩაიარა. გაიტაცეს ყუთები, ურტყეს ერთმანეთს, და სიახლე აღმოჩნდა ის, რომ უამრავმა ადამიანმა ვერ მისცა ხმა, ვინაიდან საარჩევნო სიებში არ აღმოჩნდნენ. ეს ძირითადად დედაქალაქში ხდებოდა, თუ რატომ - ამაზეც ვისაუბრებ.

ჩემსა და „გლობალ სტრატეჯი გრუპს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ეგზიტპოლის შედეგი არჩევნების დამთავრებისთანავე, ანუ 8 საათისათვის უნდა გადმოეცათ. ამ საათს მოუთმენლად ველოდებოდი. არჩევნების დასრულებამდე ერთი საათით ადრე მობილურ ტელეფონზე ზურა ჟვანიას გუნდის აქტიურმა წევრმა, ხათუნა გოგორიშვილმა დამირეკა და მკითხა:

- ეროსი, იცი შედეგები?

- საიდან უნდა ვიცოდე შედეგები, ჯერ ეგზიტპოლიც არ მიმიღია.

გოგორიშვილი მიხსნის, რომ მარცხდებიან, ვინაიდან ზურას მომხრეები საარჩევნო სიებიდან ამოუღიათ. ძალიან მეწყინა, ეს მოულოდნელი ინფორმაცია იყო, მაგრამ რას ვუშველიდი.

8 საათამდე ცოტა ხნით ადრე თავად ზურა ჟვანიამ დამირეკა. ზურა მიხსნის, რომ არჩევნები გაუყალბეს და თუ მე ეგზიტპოლის შედეგს გამოვაქვეყნებ სწორი არ იქნება. დიდი კამათის შემდეგ, მას ვუთხარი, რომ მე აუცილებლად გამოვაქვეყნებდი ეგზიტპოლის შედეგს, ვინაიდან ეს „რუსთავი 2“-ის რეპუტაციის და ღირსების საკითხი იყო.

„ბოლო ხუთი წლის მანძილზე ხალხი მიეჩვია, რომ ჩვენ ეგზიტპოლის შედეგს ვაქვეყნებთ და რა ვუთხრა, რომ ჟვანიამ მთხოვა და ამიტომ არ გამოვაქვეყნე? მამაზეციერმაც რომ მთხოვოს, მე ამას ვერ გავაკეთებ“, - ვხაოდი ტელეფონში.

- ახლა მე ვეტყვი ნანა დევდარიანს, რომ ქუთაისში ორი უბანი ღამის 12 საათამდე არ დახუროს და იქნებ ამის მერე გაგეშვა ეგზიტპოლის შედეგი?“ - მეკითხება ჟვანია. ქუთაისში მართლა რაღაც ინციდენტები მოხდა, მგონი იქაც საარჩევნო ყუთები გაიტაცეს. ეს წესად ჰქონდათ, სადაც ხელისუფლება ვერ იმარჯვებდა იმ უბნებზე შუქებს აქრობდნენ და მერე საარჩევნო ყუთებს იტაცებდნენ.

- არა-მეთქი, ზურა, როგორც წესი და რიგია ისე მოვიქცევი, როცა მექნება შედეგები მაშინვე ვაქვეყნებ.

ამ პასუხმა ჟვანია ძალიან გააბრაზა და უცერემონიოდ გამითიშა ტელეფონი. ამასობაში 8 საათიც გახდა და მართლაც ქუთაისის ორი უბნის გარდა არჩევნები ყველგან დასრულდა. „გლობალ სტრატეგი გრუპ“-მა ეგზიტპოლის შედეგი არ გადმომიგზავნა. დავიძაბე. დავურეკე სკოტ ელდერს, ამ ჯგუფის ხელმძღვანელს და მეუბნება, რომ შედეგებს ამუშავებენ და ჯერ მზად არ აქვს. გახდა 9 საათი. შედეგი კიდევ არ მოიტანეს. უკვე ძალიან გავბრაზდი, რადგან „კურიერშიც“ ვერ ვაჩვენებდით წინასწარ შედეგს და უკვე ელდერთან საჩხუბრად წასასვლელად გავემზადე, რომ ამ დროს გიგა ბოკერია მესტუმრა. სააკაშვილს ყველა მხრიდან ეუბნებიან, რომ არჩევნებს იგებს, მაგრამ მან არ იცოდა, მე გამოვაქვეყნებდი თუ არა ეგზიტპოლის შედეგს. ბოკერია ამის გასაგებად გამომიგზავნა.

- არა გრცხვენია, გიგა, რას ჰქვია „არ ვაქვეყნებ“?! რა წუთშიც შედეგებს მომიტანენ, მაშინვე ვაჩვენებ, - ვეუბნები ბოკერიას. ბოკერია გაიბადრა და გახარებულმა ჩემივე კაბინეტიდან დაურეკა სააკაშვილს და უთხრა, რომ „ეროსი ეგზიტპოლის შედეგს აჩვენებს“.

ამ დროისათვის არც ერთი ტელეკომპანია ეგზიტპოლის არანაირ შედეგს არ აჩვენებდა, არადა, როგორც უკვე ვთქვი, ხელისუფლებამ პატარკაციშვილის ფულით „ნიკოლო მ“ დაიქირავა.

„თუკი ეგზიტპოლს ვერ გავუშვებ, ვერავინ გაიგებს, რომ შევარდნაძე დამარცხდა“ - გამიელვა თავში და ეს მართლაც ასე იქნებოდა. რეალურ ანუ ხელისუფლებისთვის არასასურველ შედეგს არც ცენტრალური საარჩევნო კომისია და არც ეს „ნიკოლო მ“ არ გამოაქვეყნებდა და განრისხებული მივვარდი ჩემს მიერ დაქირავებული „გლობალ სტრატეგი გრუპი“-ს ოფისში. – „ფული გადაგიხადე? გადაგიხადე. შევთანხმდით, რომ 8 საათზე შედეგებს მომცემდი? შევთანხმდით. მაშინ, მომეცი შედეგი, ხომ ხედავ 10 საათი ხდება!“ - ვეუბნები სკოტს.

ეს დაბნეულია, არ იცის რა ქნას და მეუბნება, რომ მისი სათაო ოფისიდან დაურეკეს, რომ ეგზიტპოლის

შედეგი არ გამოაქვეყნოს. გავგიჟდი - რა სათაო ოფისი?! „ხომ არ გადაირიეთ, შედეგები მომეცით?!“ - უკვე მკაცრად ვითხოვ კუთვნილს. ეჭვი გამიჩნდა, რომ ჟვანიამ დარეკა ამათ სათაო ოფისში და ახლა მათ თავისებურად აუხსნა, რომ ამ ეგზიტპოლის გამოქვეყნება არ შეიძლება, იმიტომ, რომ არჩევნები გაყალბდა და ეს მათ რეპუტაციაზე ცუდად იმოქმედებს.

10 საათზე ეგზიტპოლის შედეგი ხელთ მქონდა, სკოტ ელდერი დამნებდა, ვინაიდან ნახა, რომ სხვა გამოსავალს ნამდვილად არ დავუტოვებდი. თერთმეტის რაღაც წუთებზე ეგზიტპოლის შედეგი მაყურებელს ვაჩვენე:

„ნაციონალური მოძრაობა“ - 20,8; „ახალი საქართველოსთვის“ - 12,9; “ლეიბორისტები”-12,8; “აღორძინება”- 9.7; “ბურჯანაძე- დემოკრატები”- 7,6; “ახალი მემარჯვენეები”- 7,0

ამ შედეგის ნახვის შემდეგ გახარებული სააკაშვილი მომხრეებთან ერთად ქუჩაში გავარდა და გამარჯვებას ზეიმობდა. ამასთან, გაიძახოდა, რომ ძალიან წუხდა, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს?! თუმცა ეგზიტპოლი ამას არ უჩვენებდა, ზურა მეხუთე ადგილზე გავიდა და დიდი რისკი იყო, რომ ბარიერს მიღმა დარჩენილიყო, თუმცა სააკაშვილი მაინც ავად წინასწარმეტყველებდა. ზურა დეპრესიაში ჩავარდა. მას ეჭვი გაუჩნდა, რომ სააკაშვილი სახელმწიფო მინისტრს გაურიგდა და ესენი მის პარლამენტს გარეთ დატოვებას ცდილობდნენ.

მართლაც ყველაზე მეტად საარჩევნო სიები აირია იმ უბნებში, სადაც ზურას მყარი ელექტორატი ჰყავდა: მთაწმინდაზე, ვაკეში, საბურთალოზე, დიდუბეში, ჩუღურეთში. მას ქალაქის ცენტრალურ უბნებში ბევრმა მომხრემ ხმა ვერ მისცა, დაიჩაგრნენ მისი დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატებიც.

სამ ნოემბერს მთაწმინდის საარჩევნო უბანზე “ბურჯანაძე- დემოკრატების” მაჟორიტარმა კანდიდატმა გიგი წერეთელმა დაიჩივლა, რომ მისი მომხრეები არჩევნებამდე ერთი დღით ადრე საარჩევნო სიებიდან ამოიღეს და უამრავმა მხარდამჭერმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო. საპირისპიროდ, კი მთაწმინდის ოლქს სამთავრობო დაცვის ორი ათას კაციანი კონტიგენტი მიაწერეს და მათმა უმრავლესობამ ზემდგომთა ბრძანებით, ხმა სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატს თბილისის ყოფილ პრემიერს, ზურა ბიბილეიშვილს მისცა.

“მთაწმინდა ირჩევს ნაღდ მთაწმინდელს,”- გამოეპასუხა წერეთელს ბიბილეიშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი - გოგა ხაინდრავა, რომელიც საპროტესტო ღონისძიებებზე 15 ნოემბერს გამოჩნდა. რევოლუციამდე სამი დღით ადრე, ახალგაზრდა მწერლებთან ერთად უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა და განაცხადა - „კიი, აბა, ამ უსინდისო ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბაო“. ვითომ თავად არ ხელმძღვანელობდა იმ კანდიდატის საარჩევნო შტაბს, რომელმაც გაყალბებული ხმებითაც ვერ მიაღწია სრულ გამარჯვებას და მეორე ტურში გავიდა. მეორე ტურში რეალურად გია თორთლაძე გადიოდა, მაგრამ ბიბილეიშვილმა ის უბნები გააუქმებინა, სადაც თორთლაძე ლიდერობდა. რევოლუციურ მთავრობაში ხაინდრავა კონფლიქტების დარეგულირების მინისტრი გახდა. თუ რევოლუცია დამარცხდებოდა, ამაგს არც შევარდნაძის კარზე დაუკარგავდნენ.

3 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც რაღა თქმა უნდა, ეგზიტპოლის შედეგებისგან სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ განსხვავდებოდა:

“ნაციონალური მოძრაობა“ - 23,5%; “ახალი საქართველოსთვის” - 24,3%; “ლეიბორისტები” - 14,7%; “აღორძინება”- 8,1%; “ბურჯანაძე- დემოკრატები”- 8,8%; “ახალი მემარჯვენეები” - 6,7%; “მრეწველები” – 7%.

ამ შედეგმა სააკაშვილი გაახელა და უმალვე საპროტესტო აქციები წამოიწყო. ზურას დიდად ეიმედებოდა, რომ არჩევნებს მოიგებდა და შედეგად მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, სათუო გახდა საერთოდ გადალახავდა თუ არა საარჩევნო ბარიერს. ის დეპრესიაში ჩავარდა და ვაშლიჯვრის ოფისში გამოიკეტა.

სამ ნოემბერს სააკაშვილის საპროტესტო აქციას სულ რამდენიმე ასეული კაცი დაესწრო. მიშა ითხოვდა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეალური შედეგი გამოექვეყნებინა და მისი გამარჯვება ეღიარებინა ისე, როგორც ამას ჩვენი ეგზიტპოლი აჩვენებდა.

მეეჭვებოდა, რომ მარტო სააკაშვილი რაიმე შედეგს მიაღწევდა, ის არ იყო დედაქალაქში პოპულარული და თბილისის მოსახლეობის საპროტესტოდ მოსამართად აუცილებელი იყო ზურა ჟვანიას გააქტიურება.

ზურას საკმარისად ვიცნობდი, მისი ხასიათიდან გამომდინარე ის აუცილებლად ძალიან უნდა გამეღიზიანებინა, რომ დეპრესია დაევიწყებინა და ამოქმედებულიყო. 2001 წლის თვითმმართველობის არჩევნებში დამარცხების შემდეგ ზურა პოლიტიკიდან საერთოდ ჩამოშორებას აპირებდა და ოჯახთან ერთად ამერიკაში ლექციების წასაკითხად მიემგზავრებოდა. ნაბიჯს, რომელსაც გადავდგამდი, ზურა გარანტირებულად უნდა გაემწარებინა. ვფიქრობდი, მოცემულ მომენტში მას რა გაბრაზებდა ყველაზე მეტად და მოვიფიქრე: ვაშლიჯვრის ოფისში ზურასთან შესახვედრად - გიგა ბოკერია წავიყვანე. ჯერ ისე ეზიზღებოდა ეს ბოკერია, და ხარს რომ წითელ ნაჭერს აუფრიალებ, ზურაზე ისე იმოქმედა გამარჯვებული ბოკერიას დანახვამ. კაბინეტში შესვლისთანავე მეცა - შენ დაღუპე ყველაფერი, რაც ხდება სულ შენი ბრალიაო, და ამისთვის მლანძღა და მთათხა. გაბრაზდა.

- ზურა ფანჯარასთან მოდი, რაღაც უნდა გაჩვენო, - ვეუბნები მას და ზურა გაკვირვებული მოვიდა.

- ხომ ხედავ ახლა შენი ოფისის ეზოში რამდენი მანქანა დგას? თუ ხვალიდანვე ქუჩაში არ გამოხვალ ერთი კვირის შემდეგ აქ მხოლოდ შენი მანქანა იდგება.

ჟვანიამ ჩემზე უკეთ იცოდა, რომ დამარცხებულ ზურას თანამებრძოლები მიატოვებდნენ, მაგრამ ბოკერიას თანდასწრებით რომ ამას ვეუბნებოდი, ეს არჩევნებში მარცხზე მეტად აღელვებდა. მან კიდევ იბუზღუნა, იბუზღუნა და ჩვენ წამოვედით.

4 ნოემბერს დილით ირაკლი ჩუბინიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ თქვენი წასვლის შემდეგ ზურამ 2 საათი გამოიძინა, მერე ადგა და ყველას გამოგვიცხადა, მოემზადეთ, ხვალიდან ისევ ვიქოქებითო და მართლაც 4 ნოემბერს ჟვანიამ ფილარმონიაში მოხრეები შეკრიბა და არჩევნების შედეგები გააპროტესტა. ჟვანია სააკაშვილს შეუერთდა. მიშა ითხოვდა, რომ გამარჯვებულად ეღიარებინათ, ჟვანია აცხადებდა, რომ არჩევნები გაყალბდა.

5 ნოემბერს ცეესკომ ახალი მონაცემები გამოაქვეყნა:

“ნაციონალური მოძრაობა - 22,0; “ახალი საქართველოსთვის”- 24,7; “ლეიბორისტები” - 13,5; “აღორძინება” - 6,5; “ბურჯანაძე-დემოკრატები” - 8,85; “ახალი მემარჯვენეები” - 7,76; “მრეწველები” – 6.

5 ნოემბერს სახელმწიფო კანცელარიასთან გამართულ საპროტესტო მიტინგზე ანტიტერორისტული ცენტრის უფროსმა, ლევან კენჭაძემ ნანა ლეჟავას ვიდეოკამერა დაუმტვრია. ხელისუფლებას მხოლოდ „რუსთავი 2“ აღიზიანებდა.

6 ნოემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აჭარიდან საარჩევნო მონაცემები ჩამოიტანეს. შედეგი

გაუგონარი: 284 ათასი ამომრჩევლიდან “აღორძინებამ” 270 ათასი ხმა მიიღო. ამასთან, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 50 ათასით გაუზრდიათ. 6 ნოემბერს ასლანი უკვე ფავორიტი გახდა და შესაბამისად პარლამენტის თავმჯდომარეობაზე პრეტენზიაც გაუჩნდა. ჯერ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი, ხოლო შემდეგ - პრეზიდენტობაც, ასლანს ამის სურვილი ჰქონდა. აჭარის ხმების გათვალისწინებით ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

“ნაციონალური მოძრაობა - 18,5; “ახალი საქართველოსთვის” - 20,2; “ლეიბორისტები” - 11,7; “აღორძინება” - 21,0; “ბურჯანაძე- დემოკრატები” - 7,76; “ახალი მემარჯვენეები” - 6,5; “მრეწველები”- 5

შედეგების გამოქვეყნების შემდეგ უკმაყოფილოები დარჩნენ შალვა ნათელაშვილი და ირინა სარიშვილი-ჭანტურია. სარიშვილი-ჭანტურიამ შევარდნაძეს ულტიმატუმი წაუყენა - ჟვანია ხმებს აყალბებს და თუ იგი ბარიერს მიღმა არ დარჩება, მაშინ მე საარჩევნო სიიდან ამომიღეთო. შალვა ნათელაშვილმაც თქვა, რომ უცხოეთში ხმები ჟვანიას სასარგებლოდ ყალბდება და თუ ასე გაგრძელდა, მე პარლამენტში შესვლაზე უარს ვაცხადებო. შალვას, რა თქმა უნდა, აწყობდა, რომ ცოტა პარტიას გადაელახათ ბარიერი, ასე ხომ მეტ მანდატს მიიღებდა, რაც მისთვის მეტ პოლიტიკურ და ფინანსურ სარგებელს ნიშნავდა. არც ერთს არ გაუპროტესტებია ის ფაქტი, რომ აჭარაში არჩევნები საშინლად გაყალბდა. 6 ნოემბერს სააკაშვილის, სარიშვილის და ნათელაშვილის პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა: ჟვანია პარლამენტში არ უნდა შესულიყო. ამით სააკაშვილი პოსტშევარდაძისეული პერიოდისთვის საპრეზიდენტო მარათონში ყველაზე საშიში მეტოქის გამოთიშვას ესწრაფვოდა.

არც ზურა იჯდა გულხელდაკრეფილი და მას უცხოეთიდან ხმები ნამდვილად ჩამოუვიდა, ისევე როგორც “ახლებს” და “მრეწველებს”. თუმცა, ასლანის შედეგის გადასაფარად იქაც სახელისუფლებო ბლოკი ლიდერობდა. ემიგრანტები, რომლებიც შევარდნაძის ხელისუფლებამ აიძულა, რომ ლუკმაპურის საშოვნელად სხვა ქვეყნებში გადახვეწილიყვნენ, ვითომდა შევარდნაძეს აძლევდნენ ხმას. მოსკოვში თითო ამომრჩეველი 8 წამში ასწრებდა ხმის მიცემას, ეს შედეგი ქვემო ქართლში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სააკაშვილმაც გაიმეორა. სადღაც სვეტლოგრადში, რომელსაც შესაძლოა რუკაზეც ვერ იპოვით, ქართველ ემიგრანტებს არჩევნებზე დიდად უაქტიურიათ და ხმები „მრეწველების“, „ახლების“ და შევარდნაძის სასარგებლოდ მიუციათ. თუმცა, გადამოწმების შემდეგ, საარჩევნო უბნის მისამართზე სუპერმარკეტი აღმოჩნდა, რომელიც ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენს, მამუკა ჯინჭარაძეს ეკუთვნოდა. ნოვოსიბირსკში საარჩევნო უბანი, ვითომდაც, ვიღაცის კერძო კომუნალურ ბინაში მოუწყვიათ.

არჩევნების გაყალბება სახეზე გახლდათ. ჩვენ არჩევნების შემდეგ “კმარას” კლიპებს მუდმივად ეთერში ვატრიალებდით. ეს კლიპები ალექსანდრე ლომაიამ მოამზადებინა და საზოგადოებას არჩევნების გამყალბებლებს ვუჩვენებდით. “ეს არ არის მისი სახე” - ისმოდა ტექსტი გამყალბებლების სახეების ფონზე.

7 ნოემბერს ოფისში ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა რაღაც გაფრთხილების წერილი გამომიგზავნა, “კმარას” ეს კლიპები აღარ აჩვენო, თორემ სასამართლოში გიჩივლებთო. ყურადღება არ მიმიქცევია, პირიქით - ახალ ახალ გამყალბებლებს ვამათრახებდით.

ამასთან საღამოს დებატებზე იწვევდნენ დაპირისპირებულ მხარეებს და გამყალბებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ დებატებში, როგორც წესი, მარცხდებოდნენ. ეს საუბრები თითქმის ნონ-სტოპის რეჟიმში მუშაობდა.

ჟვანია და სააკაშვილი ცალ-ცალკე ცდილობდნენ ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგის დაფიქსირებას, თუმცა მე მათ ვუთხარი, რომ თუკი რომელიმე მათგანი ხელისუფლებასთან

გარიგდებოდა, მის წინააღმდეგ „რუსთავი 2“ აუცილებლად მწვავე რეაგირებას მოახდენდა. ხმებით ვაჭრობას არაფერი საერთო ჰქონდა არჩევნებთან და ამ მომენტში გამყალბებლებთან გარიგება ამორალურად მიმაჩნდა.

8 ნოემბერს დიდი საპროტესტო მანიფესტაცია გაიმართა. საღამოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა, ზაზა შენგელიამ დამირეკა და მითხრა, რომ ჯორბენაძეს და ხელისუფლების სხვა პირებს ჩემთან შეხვედრა სურდათ. საღამოს მე შენგელიას სახლში მივედი, სადაც ავთო ჯორბენაძე, შევარდნაძის დაცვის უფროსი სულხან პაპაშვილი, შინაგან და უშიშროების მინისტრები დამხვდნენ. მათ აწუხებდათ ქუჩაში გამოსული ხალხი და მთხოვდნენ, რომ საპროტესტო მიტინგი პირდაპირი ეთერიდან გამომერთო.

- რა ვქნათ, ახლა რა გავაკეთოთ? - მეკითხება ჯორბენაძე.

- ავთო, მე შენ გაფრთხილებდი, გეუბნებოდი, რომ რაც მეკუთვნოდა, ის უნდა გადაგეხადა, შენ პატარკაციშვილს დაუჯერე და ჩემი ტელეკომპანიის დახურვა გადაწყვიტე. რაც მიიღე, ხომ ხედავ?

- კი, მაგრამ, ჩვენ თანახმა ვართ 5 მილიონი ახლავე გადაგიხადოთ, თუ მიტინგებს აღარ გააშუქებ და მოვლენებს ნეიტრალურ რეჟიმში გააშუქებ.

- არა, ეს საქმე აღარ გამოვა, - ვპასუხობ მე.

- აბა, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

- რა ქენით და თუ შევარდნაძე რამე სისულელეს გიბრძანებთ, გიჟის ხალათი ჩააცვით, გაკოჭეთ და დააშოშმინეთ, - ვურჩიე გამოსავალი.

არ ვიცი, შევარდნაძეს რა გადასცეს, მაგრამ ამერიკის ელჩის, მაილსის შუამავლობით, მეორე დღეს ბურჟანაძე, ჟვანია და სააკაშვილი შევარდნაძეს მოსალაპარაკებლად კანცელარიაში ეწვივნენ. ამაზე ძალიან გავცხარდი. მე ვითხოვდი, რომ ეს შეხვედრა ნეიტრალურ ადგილზე შემდგარიყო, ესენი მაინც კანცელარიაში ესტუმრნენ, რითაც შევარდნაძემ აჩვენა, თუ ვინ იყო ოჯახის უფროსი.

ამ შეხვედრამ ის შედეგი გამოიღო, რომ სააკაშვილმა რესპექტაბელური ჟვანია-ბურჯანაძის ფონზე კვლავ ქულები ჩაიწერა. შეხვედრიდან გამოვარდა, შევარდნაძე ჩაუშესკუა და მე მასთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვსო - იძახა. შევარდნაძემ თავი მოისაწყლა, დარღვევებზე არაფერი ვიციო და ჟვანიას შეთავაზა, რომ მოდი, სამუშაო ჯგუფი შევქმნათ, რომ დარღვევები აღმოვხვრათო. ეს იყო სრულიად უადგილო შეთავაზება. შევარდნაძე მოვლენებს ადექვატურად ვერ აფასებდა და რამდენიმე დღის შემდეგ ეს ყველასთვის თვალნათელი გახდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ზურა მომიტინგეებთან ჩავიდა და განაცხადა, რომ შევარდნაძის დანიშნული პარლამენტი ვერ უნდა შეიკრიბოსო. ამის პასუხად ნათელაშვილი გაიძახოდა, რომ სოროსი, რაღაც სომხური ლობი და მადლენ ოლბრაიტი რევოლუციას აწყობენო. შემდეგში მხოლოდ სომხურ ლობს და სოროსს ახსენებდა, ოლბრაიტი დაივიწყა.

სააკაშვილი კი ახალ საპარლამენტო არჩევნებს თანხმდებოდა, თუ ერთდროულად საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩატარდებოდა. მან იგრძნო, რომ საპროტესტო გამოსვლების შემდეგ მისი რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა.

10 ნოემბერს ცსკო-მ ახალი მონაცემი დააფიქსირა, სადაც უკვე შევარდნაძის საარჩევნო ბლოკმა ასლანს

გადაასწრო:

“ნაციონალური მოძრაობა - 18,1; “ახალი საქართველოსთვის” - 20,6; “ლეიბორისტები” - 12,2; “აღორძინება” - 18,8; “ბურჯანაძე- დემოკრატები”- 8,81; “ახალი მემარჯვენეები” - 6,7; “მრეწველები”- 4,9

10 ნოემბერს სააკაშვილის და ჟვანიას მომხრეებმა პარლამენტის წინ შიმშილობა გამოაცხადეს. “შევარდნაძემ აღიაროს არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება ან გადადგეს”, - მოითხოვდნენ მოშიმშილეები.

10 ნოემბერს “მრეწველებმა”, “ლეიბორისტებმა” და “აღორძინების” წარმომადგენლებმა ერთობლივი პრესკონფერენცია მოიწვიეს და გამოაცხადეს, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს ინტერვიუებს აღარ მისცემდნენ და აღარც თავთავიანთ ოფისებში შეუშვებდნენ. ცოტნე ბაკურიამ გამოაცხადა, რომ ჩვენ დანაშაულებრივი დაჯგუფება ვიყავით და მან იცოდა, რომ ჩვენ ორი გლობალური სექტა გვაფინასებდა, “ლეიბორისტები” ამტკიცებდნენ, რომ თურმე ჟვანიამ 14 მილიონ დოლარად მოგვისყიდა. სრული იდიოტიზმი.

11 ნოემბერს შევარდნაძემ ბადრი პატარკაციშვილს გადასცა ჯილდო - “სახალხო აღიარებისთვის.”

11 ნოემბერს ჯორბენაძის მითითებით სამგორის რაიონის სასამართლომ იმ საარჩევნო უბნების შედეგები გააუქმა, სადაც “ბურჯანაძე-დემოკრატების” მაჟორიტარი კანდიდატი მიხეილ მაჭავარიანი ლიდერობდა. ჟვანიამ და მაჭავარიანმა ერთი ამბავი ატეხეს, მანდატს გვართმევენო, თუმცა მიტინგებზე აცხადებდნენ, რომ უკანონოდ არჩეულ პარლამენტში არ შევიდოდნენ.

12 ნოემბერს ზაზა შენგელიამ კვლავ დამირეკა და მთხოვა, კიდევ ერთხელ შევხვედროდი ჯორბენაძეს და ძალოვან მინისტრებს. ეს შეხვედრაც შენგელიას ბინაზე შედგა და პირველი შეხვედრის მსგავსად უშედეგოდ დამთავრდა. ის თანხა, რომელსაც არჩევნების წინ ჯორბენაძეს ვთხოვდი, მე საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხელისუფლების და ბადრის წინააღმდეგ საბრძოლველად, საკუთარი ტელეკომპანიის გადასარჩენად მჭირდებოდა და არა გასამდიდრებლად. რის სანაცვლოდ ამეღო ფული, რომ მშვიდად მეცქირა გამარჯვებული ჯორბენაძე-პატარკაციშვილისთვის? ესენი ხომ პირველივე ხელსაყრელ მომენტში სასტიკად გამისწორდებოდნენ? ამიტომ იმ მილიონების აღებაზე უარი ვთქვი და კვლავ პირდაპირ ეთერში ვაჩვენებდი საპროტესტო აქციებს, ყოველ საღამოს დებატები იმართებოდა და “კმარას” რეკლამასაც ვაჩვენებდი. ამ დროს პირველად ვაჩვენე დოკუმენტური ფილმი სერბულ რევოლუციაზე, სადაც რეგიონებიდან ჩამოსულ ხალხთან ერთად ბელგრადელებმა მილოშევიჩი დაამხეს.

12 ნოემბერს შუაღამით ჯორბენაძე და სააკაშვილი საიდუმლოდ შეხვდნენ ერთმანეთს. სააკაშვილი, რომელიც ორი დღის წინ აცხადებდა, რომ შევარდნაძესთან მოლაპარაკებას წყვეტდა, ჯორბენაძეს ეთათბირებოდა. მე მათი შეხვედრის თაობაზე ტელევიზიით ამერიკის ელჩისგან შუადღისით შევიტყვე. სააკაშვილი მანამდე გატრუნული იყო, ვითომ არაფერი მომხდარა. მაილსი წინ და უკან დარბოდა, რომ როგორმე ოპოზიციას ხელისუფლებასთან საერთო ენა გამოენახა და “პროცესები კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არ გასულიყო”.

სააკაშვილი უხერხულ დღეში ჩავარდა, შესაძლოა არ ეგონა, თუ მაილსი ჯორბენაძესთან მის ღამეულ შეხვედრას არ გაახმაურებდა, თუმცა ფაქტის წინაშე დადგა და, მაილსის თხოვნით შევხვდითო - თავს იმართლებდა. თავის მხრივ ჯორბენაძე ამტკიცებდა, რომ სააკაშვილთან პრობლემის გადაჭრის გზებს განიხილავდა. ზურა თამაშგარე დატოვეს. 2009 წელს ჟურნალისტებთან 4-საათიანი შეხვედრისას, სააკაშვილმა ჯორბენაძესთან შეხვედრის მიზეზი დაასახელა: ის დამატებით სამ სადეპუტატო მანდატს

ითხოვდა, 32 ადგილის ნაცვლად - 35-ს. სულ ეს იყო მისი რევოლუციონერობა. მანამდე კიდევ ჟვანია სამგორის სადეპუტატო მანდატს მისტიროდა.

ფაქტია, რომ ესენი საპარლამენტო ადგილებს ითხოვდნენ. ხელისუფლება მათ უარეს შემთხვევაში სასურველი რაოდენობის მანდატებს არ მისცემდა, მხოლოდ მე არ დავიტოვე და თავად ჩავიხერგე უკან დასახევი გზა. ჯორბენაძე სააკაშვილს პირდებოდა, რომ მას გამარჯვებულად გამოაცხადებდნენ, მაგრამ "ნაციონალები" სახელისუფლებო ბლოკს 0,1 პროცენტით გაუსწრებდა. სააკაშვილს ეს პირობა არ აკმაყოფილებდა, მას პარლამენტში მეტი კანდიდატის გაყვანა სურდა. ჯორბენაძეს და სააკაშვილს ფარული ალიანსი ჰქონდათ. დაუკვირდით, რევოლუციის შემდეგ სააკაშვილმა შევარდნაძის ჩინოვნიკებს ტყავი გააძრო, ფულები გადაახდევინა, ციხის კედლები ახეხინა და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, რომელიც შევარდნაძის საარჩევნო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა, ამ ეგზეკუციას გადაურჩა. მას არც კაპიკი გადაუხდია და არც მის ბიზნესს შეხებია ვინმე. ამიტომ, ზურას ეჭვი, რომ სააკაშვილი ჯორბენაძესთან ერთად ცდილობდა, მის პარლამენტს გარეთ დატოვებას, სავსებით ლოგიკურია.

13 ნოემბერს, ანუ მეორე დღეს როცა ჯორბენაძე მოლაპარაკებიდან გაწბილებული გავუშვი, ცსკო-მ „რუსთავი 2"-ს აკრედიტაცია გაუუქმა.

14 ნოემბერს ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა არმაზ თავაძემ "კმარას" რეკლამის გაშვების გამო ვაკის სასამართლოში გვიჩივლა.

14 ნოემბერს ახალმა მემარჯვენეებმა გამოაცხადეს, რომ ისინი პარლამენტში შევიდოდნენ. ამ დროს ცსკო-ს მონაცემი შემდეგია:

"ნაციონალური მოძრაობა - 17,5; "ახალი საქართველოსთვის"- 20,7; "ლეიბორისტები" – 12; "აღორძინება" - 18,5; "ბურჯანაძე- დემოკრატები"- 8,81; "ახალი მემარჯვენეები" - 6,7; "მრეწველები"- 5,18.

სად უნდა შესულიყვნენ "ახლები"? ამ მონაცემებით ხომ ბარიერს ვერ ლახავდნენ? მაგრამ მათ ბადრის იმედი ჰქონდათ, რომ 7-პროცენტიან ბარიერს ის გადაალახვინებდა. მე ამ მომენტით ვისარგებლე და მამუკა ხერხეულიძის სახლში ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეებს და დათო გამყრელიძეს შევხვდი. მათ ვურჩევდი, რომ ჟვანია-სააკაშვილის საპროტესტო აქციას შეერთებოდნენ. გიორგი მეთანხმებოდა, მაგრამ გამყრელიძემ დაიჟინა, რომ ჟვანიასთან და სააკაშვილთან არ გაერთიანდებოდნენ და ჩემი ინიციატივა საპროტესტო აქციის გასაძლიერებლად წარუმატებლად დასრულდა.

შალვა ნათელაშვილისთვის იდეალური სურათი შეიქმნა. პარლამენტში ვერც "მრეწველები" და ვერც "ახლები" ხვდებოდნენ, თუმცა "ბურჯანაძე-დემოკრატებზე" მიუთითებდა, რომ საარჩევნო ბარიერი ვერც მათ გადალახეს. 14 ნოემბერს შალვა აცხადებდა, რომ შევარდნაძემ სააკაშვილი გამარჯვებულად უნდა აღიაროსო. შალვას სურდა, რომ სიტუაცია ჩამცხრალიყო, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, უკვე მერამდენედ, პარლამენტს გარეთ დარჩებოდა. მისმა პარტიულმა აქტივმა ნათელაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატად გამოაცხადა. ისიც, საპრეზიდენტო სავარძელს თავისებურად უმიზნებდა

საარჩევნო ბარიერის გადასალახად ძალიან ჯახირობდნენ "მრეწველები," მათ საზღვარგარეთიდან 20 ათასი ხმა დაუმატეს, მაგრამ ასლან აბაშიძემ და ლევან მამალაძემ იმდენად გაბერეს საარჩევნო სიები, რომ ბარიერის გადასალახად აღარც ეს ხმები ჰყოფნიდათ. ცსკო-მ თამასის დასაწევად ბათილი ხმების რაოდენობა სათვალავში აღარ მიიღო, რომ როგორმე არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა შეემცირებინა, რათა "ახლებს" და "მრეწველებს" პარლამენტში შესვლა მოეხერხებინათ, თუმცა ეს ნაბიჯი მხოლოდ "ახლებს" წაადგათ.

14 ნოემბერს ოპოზიციამ ქუჩაში 50 ათასი კაცი გამოიყვანა. ეს იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი აქცია, რომელიც 22 ნოემბრამდე გაიმართა.

15 ნოემბერს შიმშილობის აქცია შეწყდა და ოპოზიცია ხალხის თბილისში ჩამოსაყვანად რეგიონებში გაემართა. შევარდნაძემ კიდევ ერთი არაადექვატური გამოსავალი მონახა და ოპოზიციას რამდენიმე მეორეხარისხოვანი საპარლამენტო კომიტეტის დათმობას დაპირდა. ცხადი იყო, რომ შევარდნაძე სიტუაციას ვერ აკონტროლებდა, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ ძულდა ხალხს მისი მმართველობა. მისი გარემოცვა კი მაამებლურად ამშვიდებდა, რომ არაფერი სერიოზული ოპოზიციის ძალისხმევას არ მოყვებოდა. ამის გამო შევარდნაძე არაფრის დათმობას არ აპირებდა. იგი ბათუმში ასლან აბაშიძეს ესტუმრა და იქ მიიღო გარანტია, რომ ასლანი მას ყველანაირ დახმარებას აღმოუჩენდა. შესაძლოა, რომ ორი „ბაბუ“ გარიგდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ასლანის კანდიდატი დაიკავებდა. ამ შეხვედრის შემდეგ ასლანის მხარდამჭერები გააქტიურდნენ და პარლამენტის წინ შეიკრიბნენ.

19 ნოემბერს „ახალი მემარჯვენეების“ მაჩვენებელი 6,9 პროცენტი გახდა. ცხადია, ხელისუფლება „ახლების“ პარლამენტში შესაყვანად ბადრის თანხაზე ევაჭრებოდა. თუმცა ცესკო-ს ეს მცდელობა ნათელაშვილმა გააპროტესტა და გამოაცხადა, რომ თუ „ახლები“ პარლამენტში შევიდოდნენ, მაშინ ლეიბორისტები პირველ სხდომას არ დაესწრებოდნენ.

19 ნოემბერს სამთავრობო თათბირზე შევარდნაძემ პირველი არხის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია გააკრიტიკა და მას უსაყვედურა, რომ ხელისუფლების ინტერესს „მზე“ და „იმედი“ უფრო იცავდნენა, ვიდრე სახელმწიფო ტელეკომპანია. ეს ტელეკომპანიები ცდილობდნენ, მიტინგები ისეთი რაკურსით გადაეღოთ, რომ მიტინგზე რაც შეიძლება ცოტა ხალხი გამოჩენილიყო, ამით ხელისუფლების დაკვეთას ახორციელებდნენ. ზაზა შედარებით, ნეიტრალურად აშუქებდა პროცესებს, თუმცა მარტო ეს არ იყო შევარდნაძის გაბრაზების მიზეზი.

საქმე ისაა, რომ ნოემბრის მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე, მე ზაზა შენგელიასთან და მის მოადგილე კახა ბექაურთან ერთად სარეკლამო კომპანია „მაგი მედია“ დავაფუძნე. ეს კომპანია ფლობდა „რუსთავი 2“-სა და პირველ არხზე რეკლამის გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებას და შევარდნაძეს ენა მიუტანეს, რომ შენგელია ეროსი კიწმარიშვილის ბიზნეს-პარტნიორიაო. ამიტომ წამოაძახა შევარდნაძემ შენგელიას, რომ ან ჩვენსკენ იყავი ან იმათკენო. ზაზა გადადგომას აპირებდა, თუმცა ტელევიზიაში ავთო ჯორბენაძემ მიაკითხა და მოთხოვა, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა, ვინაიდან სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებდა. იგივე არგუმენტით, მე შენგელიას გადადგომა მოვთხოვე და მან გადადგომა ამჯობინა.

19 ნოემბერსვე ვაკის სასამართლომ ქურდულად ჩაატარა სასამართლო სხდომა და ანტიმონოპოლიურ სამსახურს სარჩელი დაუკმაყოფილა: ჩვენ „კმარას“ რეკლამის გაშვების გამო 130 ათასი დოლარით დაგვაჯარიმა. დღეს ამ ანტიმონოპოლიური სამსახურის ყოფილი უფროსი არმაზ თავაძე სადაზღვევო კომპანია „ირაოში“ მიშა სააკაშვილის ბიზნეს-პარტნიორია!

20 ნოემბერს ცსკო-მ პროპორციული წესით არჩევნების საბოლოო შედეგი გამოაქვეყნა:

„ნაციონალური მოძრაობა“ - 18,8; „ახალი საქართველოსთვის“ - 21,58; „ლეიბორისტები“ – 12; „აღორძინება“ - 18,84; „ბურჯანაძე-დემოკრატები“- 8,75; „ახალი მემარჯვენეები“ - 7,35; „მრეწველები“- 6,17.

ამ პერიოდში ბრძოლა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტისთვის პიკს აღწევს. ბადრი პატარკაციშვილი

ვაჟა ლორთქიფანიძეს, ხოლო ასლან აბაშიძე - ჯემალ გოგიტიძეს ლობირებდნენ. ჯემალ გოგიტიძემ ბადრი პატარკაციშვილისთვის რიტუალების სასახლის ჩამორთმევა და მისი ლტოლვილებისთვის გადაცემა მოითხოვა, ვითომ ძალიან აწუხებდა ამ ხალხის ბედი. მეტიც, გოგიტიძე ბადრის საქართველოდან გასახლებას ითხოვდა, ძებნილია და რუსეთს გადავცეთო. ამ ბრძოლის ერთადერთი მიზეზი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი გახლდათ, ანუ ეს პოსტი ბადრის და ასლანს პრეზიდენტად გახდომისთვის ტრამპლინად ესაჭირეობოდათ.

20 ნოემბერს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, რომლებიც ამ უკანონოდ არჩეულ პარლამენტს ვითომდა ბოიკოტს უცხადებდნენ, დეპუტატის მანდატის მისაღებად აუცილებელი სამედიცინო შემოწმება გაიარეს. როგორც ვიცი, ჟვანია-ბურჯანაძის ჯგუფიდან შარდის ანალიზი მხოლოდ ვასილ მაღლაფერიძეს არ ჩაუბარებია. გია ბარამიძე აცხადებდა, რომ შარდის ანალიზი იმის დასამტკიცებლად ჭირდებოდა, რომ ნარკომანი არ იყო. ვითომ ვინმე ადანაშაულებდა, რომ როდესმე ნარკომანი იყო. სააკაშვილმა 20 ნოემბერს პირველმა ჩააბარა შარდი და ამის შემდეგ გაემართა დასავლეთში საპროტესტო ელექტორატის თბილისში ჩამოსაყვანად.

საკაშვილი საპროტესტო აქციების ლიდერი გახდა. მან თბილისზე მარში წალენჯიხიდან დაიწყო. ჩვენ მის ყოველ გადაადგილებას პირდაპირ ეთერში ვაჩვენებდით: აი, მიშა მომხრეებთან ერთად წალენჯიხიდან გამოვიდა, შევიდა ზუგდიდში, ქუთაისში და ა.შ.

21 ნოემბერს, საღამოს, მიშა გორში ჩავიდა. გორიდან მიშას ყველაზე მეტი 200 ავტომანქანა გამოჰყვა, სადაც ჰა-ჰაა 1000 მომხრე თუ იქნებოდა. ამასთან ეს კოლონა სავალი ნაწილის ორივე ზოლზე ნელი სვლით მოძრაობდა, ის ავტომანქანებიც იძულებით შეერიათ რომლებთა მძღოლებს აქციასთან საერთო არაფერი ჰქონდათ. მცხეთასთან მოახლოებულ კოლონას ჩვენი ოპერატორი ბაქარ შარაშენიძე ჯვრის მონასტრიდან იღებდა და მართლა შთამბეჭდავი სურათი გამოვიდა: ჩაბნელებულ ტარასაზე წინ მოიწევდა სინათლის გველეშაპი. „რუსთავი 2“-ის მეშვეობით თბილისელებმა დეტალურად იცოდნენ ავტოკოლონის გადაადგილების მარშრუტი და დიდი დიღმის, დიღმის მთელი მოსახლეობა მათ დასახვედრად ქუჩებში გამოეფინა. 21 ნოემბერს მე კიდევ ერთხელ ვაჩვენე ფილმი სერბულ რევოლუციაზე, მუდმივად კადრში იყო სააკაშვილის ავტოკოლონა და მეორე დღისით დედაქალაქის ათეულ ათასობით მოსახლეობა და მთელი რეგიონები თბილისში ჩამოვიდნენ.

ჟვანიას იდეა იყო, რომ კანცელარია მანამ მოგვექცია ალყაში, ვიდრე შევარდნაძე არ გადადგებოდა. სამი დღე რომ კანცელარიაში ვერ შევა, გადადგებაო - ამბობდა ზურა. მე და დვალი ვამბობდით, რომ თავისუფლების მოედნიდან პარლამენტისკენ დავძრულიყავით, რომ შევარდნაძეს სხდომა არ ჩაეტარებინა. ვისაც უნახავს ეს კადრები, იოლად დარწმუნდება, რომ ზურა მომიტინგეებთან ერთად რუსთაველის პროსპექტიდან კანცელარიისკენ მიემართებოდა. მე რვა მონიტორი მქონდა ჩართული და ყველაფერს ვხედავდი, რა ხდებოდა პარლამენტში, პარლამენტის წინ თუ ოპოზიციურ მომიტინგეებთან. ყველას დავხაოდი, რომ პარლამენტისკენ, პარლამენტისკენ წადით, სხდომა უკვე იკრიბება მეთქი.

შევარდნაძის პრობლემა ის იყო, რომ ბოლო მომენტში გამყრელიძემ პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა. სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრეც კი ის პარლამენტში არ მიდიოდა. არადა, მის გარეშე ქვორუმი ვერ იკრიბებოდა, ნათელაშვილი გაცხარებული იყო, რომ “ახლებს” და “ბურჯანაძე-დემოკრატებს” საარჩევნო ბარიერი გადაალახვინეს და ის თვლიდა, რომ ამის გამო მას უსამართლოდ ჩამოართვეს მანდატები. ამიტომ პირველ სხდომას არც ნათელაშვილის ფრაქცია ესწრებოდა.

„ახლების“ ოფისში, სადაც დეპუტატების გარდა ჟურნალისტებიც მრავლად იმყოფებოდნენ, მოულოდნელი ზარი დაირეკა და ამ ზარის შემდეგ გამყრელიძემ აზრი შეიცვალა: მან გამოაცხადა, რომ სხდომას უნდა დაესწრონ. პირველად პარლამენტში ბადრის დები გავარდნენ. როგორც მოგვიანებით

შევიტყვე, გამყრელიძეს იმ სატელეფონო საუბრისას დაპირდნენ, რომ კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ, იგი პრემიერ-მინისტრი გახდებოდა.

ამასობაში სააკაშვილმა დაცვის კორდონი გაარღვია და პარლამენტში შეიჭრა. დღემდე ვფიქრობ, რომ პარლამენტში მისი შეჭრა შევარდნაძის დაცვის ყოფილი უფროსის, სულხან პაპაშვილის დამსახურებაა. პაპაშვილი რევოლუციამდე ირაკლი ოქრუაშვილთან მეგობრობდა. ამ ქმედების სანაცვლოდ, მან არამარტო ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო, არამედ რევოლუციიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 31-ე ქარხანა კონსიგნაციის წესით შეიძინა.

იმისათვის, რომ პარლამენტში შეჭრილ ხალხს ეჩვენებინა, რომ შეუიარაღებლები იყვნენ, დათო მუმლაძემ მოიფიქრა, ხელში ვარდები დაეჭირათ და ხელებაწეულები შესულიყვნენ სხდომათა დარბაზში.

შევარდნაძე ამ დროს ციფრულ განხეთქილებაზე საუბრობდა. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ ქვეყანას არავინ მართავდა.

შევარდნაძე გაიქცა. სააკაშვილი გმირი და უკვე მომავალი პრეზიდენტი გახდა. მე და დვალმა მაშინვე თავში ხელი შემოვირტყით: „ახლა დაგვერხა, ეს გადარეული პრეზიდენტი გახდება“.

თუმცა მაგის დრო არ იყო, რევოლუცია ბოლომდე უნდა მიგვეყვანა. მოგვიანებით, ზურა ჟვანია მიყვებოდა, რომ პარლამენტში ერთ ერთ კაბინეტში ტახტზე მეძინა, გასაღვიძებლად შემანჯღრიეს და ვხედავ თავზე იგორ ივანოვი მადგასო.

სააკაშვილიც დაიბნა - გავგიჟდი, როცა გავიგონე, რომ მიტინგზე ვიღაც სიტყვით რუსულად გამოდიოდა. ჩავედი და ვხედავ - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრია. მოკლედ, არავინ იცოდა, რა მიზნით ჩამოვიდა თბილისში იგორ ივანოვი, თუმცა მას არ სურდა იმ შედეგის მიღება, რომელიც „ვარდების რევოლუციამ“ მოიტანა. შევარდნაძის გადადგომიდან მესამე დღეს მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თბილისში არანაირი ხავერდოვანი რევოლუცია არ მომხდარა და ეს გადატრიალება ქართველ ხალხს კარგს არაფერს მოუტანსო.

მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ ელოდა. ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფი ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მზად არ იყო, ან საიდან უნდა ყოფილიყვნენ მზად, როცა სააკშვილის პარტიაში ყველაზე გამოცდილი ადამიანი ვანო მერაბიშვილი იყო. შევარდნაძის უნიათობით მათ ძალაუფლება პირდაპირ ციდან ჩამოუვარდათ.

ერთადერთი, რაც მამშვიდებდა, ის იყო, რომ ხელისუფლების სათავეში ზურა ჟვანიაც მოვიდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან ზურა მიშას აუცილებლად „შეჭამდა“. ზურას სიკვდილამდე მის გარემოცვას ჰქონდა განცდა, რომ ის იმდენად ძლიერი იყო, მტკვარს თუ ეტყოდა აღმა წადიო, მდინარე აღმა წავაო. თუმცა ყველაფერი ასე არ განვითარდა.

რევოლუციის შემდეგ

შევარდნაძის გადადგომიდან მეორე დღეს, პარლამენტში გიგი წერეთლის კაბინეტში მე, მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე შევიკრიბეთ. ბურჯანაძეს თან ახლდა მეუღლე - ბადრი ბიწაძე. შეხვედრის ინიციატორი ზურაბ ჟვანია გახლდათ.

მას სურდა, რაც შეიძლება მალე გაერკვია თავისი სტატუსი. პრეზიდენტი სააკაშვილი ხდებოდა, ჟვანია - პრემიერ-მინისტრი, მაგრამ მას არ სურდა შევარდნაძის პერიოდის სახელმწიფო მინისტრის მსგავსი

უფლებები ჰქონოდა. ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებდა. უმაღლესი სახელისუფლებო თანამდებობები ამგვარად გადაინაწილეს და მერე სამივენი ჩემკენ შემობრუნდნენ და ჟვანიამ მკითხა - შენ რა გეგმები გაქვს? მეკითხებოდნენ, ჩვენ თანამდებობი დავინაწილეთ და შენ რა გსურს? “არაფერი არ მინდა. რა ბედნიერებაა, რომ ერთი მეგობარი პრეზიდენტი მეყოლება, მეორე - პარლამენტის თავმჯდომარე და მესამე - პრემიერ-მინისტრი. მე ბიზნესს გავაგრძელებ. ერთადერთი, როგორც მედია-საშუალების წარმომადგენელი, გთავაზობთ: მე ვიზრუნებ, რომ თქვენ დაიცვათ თქვენივე შეთანხმება თანამშრომლობაზე. თუკი რომელიმე თქვენგანი უსამართლოდ დაუპირისპირდება მეორეს, მე ტელევიზიის საშუალებით უსამართლოდ დაჩაგრულს გამოვექომაგები,” - ვუპასუხე და ესენი ჩემს წინადადებაზე დათანხმდნენ.

ჩემი გავლენიდან გამომდინარე, შემეძლო მომეთხოვა ვიცე-პრემიერის ორი პორტფელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ორი პოსტი და საპარლამენტო ფრაქცია, ულაპარაკოდ დამთანხმდებოდნენ. თუკი მოვინდომებდი, დიდი ალბათობით, პრემიერ-მინისტრიც გავხდებოდი. ამის გამო ჟვანია დამიპირისპირდებოდა, მაგრამ ჩემს უკან უზომოდ პოპულარული ტელეკომპანია იდგა, საპარლამენტო არჩევნების წინ უზარმაზარი რესურსი გამაჩნდა, რომელსაც, თუ გამოვიყენებდი, ამ ჯგუფს სერიოზულად დავაზარალებდი. სააკაშვილი პრეზიდენტი ულაპარაკოდ გახდებოდა, მაგრამ ამ პერიოდში ჟვანიას რა რესურსი ჰქონდა? არც არაფერი. მას საპარლამენტო ფრაქციაც არ გააჩნდა.

მე არაფერი მომითხოვია, “რუსთავი 2”-ში დავრჩი. ეს არ გახლდათ ჩემი შეცდომა, ეს იყო ჩემი პოზიცია, რომელმაც ამ რევოლუციისთვის გულწრფელად ყველაფერი გავიღე.

მართალია, წიგნებიდან ვიცოდი რევოლუციის შემდეგ იაკობინელების ბედის თაობაზე, თუნდაც 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე, მაგრამ მე ამ დიალექტიკას უნდა გავქცეოდი. რევოლუციის სხვა ლიდერებს ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველაფერი გავუკეთე და აქედან არაფერი მიმიღია და ესენი რატომ უნდა გამხდარიყვნენ ჩემი მტრები?

24 ნოემბერს ხელისუფლება ჰაერში იყო გამოკიდებული. შევარდნაძე გადადგა, მაგრამ ჯარი და პოლიცია ჩვენ არ გვემორჩილებოდა. ხალხი ქუჩაშია გამოსული. ამ სიტუაციაში ჩვენს შორის რაიმე დაპირისპირების გაჩენა, ყველას დაგვაზარალებდა. ჩვენი შეხვედრის შემდეგ ყველაფერი გაირკვა და ამიტომაც, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

25 ნოემბერს სასტუმრო “მარიოტის” შესასვლელში ვანო ჩხარტიშვილი შემხვდა.

- ვაა, ვანო, შენ კიდევ ცოცხალი ხარ? - ვეუბნები ნახევრად სერიოზულად.

- კი, აბა როგორ? ჩემმა მეგობრებმა რევოლუცია მოაწყვეს და სათავეში მოვდივართ, - მპასუხობს ჩხარტიშვილი, ბადრი პატარკაციშვილის უახლოესი მეგობარი და შევარდნაძის ყველაზე დიდი მხარდამჭერი!

კინაღამ ინფარქტი მივიღე. ჩემი ინიციატივით ისევ შევიკრიბეთ რევოლუციის ლიდერები და მოვითხოვე პასუხი, თუ რატომ იყვნენ რევოლუციის შემდეგ ჩხარტიშვილი და მისნაირები გაპარპაშებულები.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „ბარამიძე ამბობდა, რურუა მკვლელიაო“

http://for.ge/view.php?for_id=46500&cat=3

For.ge

2016-10-05 15:00:10

For.ge აგრძელებს ეროსი კიწმარიშვილის მოგონებების გამოქვეყნებას

****

ჩვენთვის მთავარი იყო, 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე მშვიდად მივსულიყავით. კონსტიტუციით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს - ნინო ბურჯანაძეს - უფლება არ ჰქონდა თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა სახელმწიფო და ძალოვანი მინისტრები. ამდენად, შესაძლებელი იყო საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვითარება შევარდნაძის გუნდს ეკონტროლებინა.

25 ნოემბერს სახელმწიფო მინისტრი ჯორბენაძე გადადგა. მასთან სააკაშვილს ჰქონდა ურთიერთობა და მან გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი გაჯიუტდა და გადადგომას არ აპირებდა. მინისტრი, რომლის ბრძანებით კახეთიდან მომავალ მომიტინგეებს ფეხებში ტყვია ესროლეს, გადაკეტეს რიკოთის უღელტეხილი, მისი მითითებით სცემდნენ ჟურნალისტებს, აზერბაიჯანიდან მომიტინგეების დასაშლელად შემოჰქონდათ ცრემლსადენი გაზი, დაუპირისპირდა პირადად მიხეილ სააკაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობას აგრძელებდა, რაც რა თქმა უნდა, ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

“მერიოტში” შეხვედრა მქონდა, როცა მითხრეს, რომ ნარჩემაშვილი გადადგომას არ აპირებდა. ამ დროს თან მახლდნენ ნიკა რურუა და გიგა ბოკერია. სასწრაფოდ დავურეკე ნარჩემაშვილს და ვუთხარი:

- კობა, როგორ ბედავ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ პოსტიდან გადადგომას არ აპირებ? გაძლევ 20 წუთს, ამ პერიოდში თუ შენ ტელევიზიით გადადგომის თაობაზე განცხადებას არ გააკეთებ, ჩემი ფეხით მოვალ სამინისტროში და ყურით ჩაგათრევ შენს მეხუთე იზოლატორში.

ამ ტონით მას სულიერად გასატეხად ვესაუბრე, სხვები თხოვდნენ, მე მოვთხოვე რომ პოსტიდან დაუყოვნებლივ გადამდგარიყო.

ნარჩემაშვილი 15 წუთში გადადგა. ტელევიზიით ყვებოდა, ტელეფონზე მირეკავენ და მემუქრებიან გადადექიო, ცრემლებს აღვარვარებდა, უნდა გადავდგეო.

დეზორიენტირებული ჯარისკაცები პარლამენტის წინ მოდიოდნენ და ჩაგბარდითო, გვეუბნებოდნენ. ამას აკეთებდნენ რიგითი პოლიციელებიც. ეს ძალიან სახალისო საცქერი იყო.

ნარჩემაშვილის გადადგომის მოთხოვნა მე არ ამიხირებია. სააკაშვილმა დამირეკა და შემომჩივლა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგომას არ აპირებდა. ამიტომ გავხდი იძულებული, რომ კობას მკაცრად მოვთხოვე პოსტი დაეტოვებინა. ჩემი მონაწილეობა ამგვარ ისტორიებში საყმაწვილო ჟურნალ “ერალაშის” ერთ სერიას მაგონებდა, “ჩემპიონი” ჰქვია. პიონერები ბანაკში ერთმანეთს სირბილში ეჯიბრებიან. ბანაკის ჩემპიონი მაღალი, გამხდარი ბიჭია და მწვრთვნელად ჰყავს, დაბალი, “შუსტრი” თანატოლი. ეს მწვრთვნელი მიდის და შეგირდის კონკურენტებს ზვერავს, თუ ვინ როგორ ფორმაშია, მერე მოდის და ჩემპიონს აკვალიანებს, თუ ვინ შეიძლება მას აჯობოს. მარათონი იწყება და მწვრთვნელი შეგირდს თან მისდევს. გაიქცევა, სადღაციდან გასაგრილებლად წყალს მოუტანს, მერე კიდევ გაასწრებს, გაიგებს ვინ არის მის შეგირდზე წინ წასული, მობრუნდება, ეტყვის რა მანძილით ასწრებს კონკურენტი,

ბოლოს კიდევ გაასწრებს და ფინიშზე დახვდება და გამარჯვებული ხელში აჰყავს.

მეც, ზუსტად ასეთი როლი მქონდა, ჩემს მარათონს ხომ დავრბოდი, ესენიც ხელში აყვანილები დამყავდა და ფინიშის გადაკვეთისას მათ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს ვულოცავდი. ეს უბრალოდ კომედია იყო.

მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ამ პერიოდში მივიღე უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს - ირაკლი ალასანიას უკავშირდება. ნინო ბურჯანაძეს მისი უშიშროების მინისტრად დანიშნვა სურდა. მინისტრი ხაბურძანია ბოლო ხანს რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსნებთან აქტიურად მეგობრობდა, კერძოდ - პატრუშევთან. მე ამ დანიშნვას არ დავეთანხმე, მეშინოდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ალასანია ძალაუფლების ხელში აღებას ვერ მოასწრებდა და რამე ცუდი თუ მოხდებოდა, ხაბურძანიას პასუხს ვეღარ მოვთხოვდით. ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე ალასანიას თავად ვუთხარი. ირაკლი ალასანიას გზა შემდეგ სხვანაირად განვითარდა. მას ბოკერია და ოქრუაშვილი დაუპირისპირდნენ და რომ არა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, საერთოდ უმუშევარი დარჩებოდა. მოგვიანებით, მან ცოტა ხანს თავდაცვის სამინისტროში იმუშავა.

მთავარ საფრთხედ პატარკაციშვილს განვიხილავდი. სააკაშვილს ვურჩევდი, რომ ბადრი ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენდა და ვითხოვდი, რომ მას თავისი ტელევიზია "იმედი" თავის შენობიან-აპარატურიანად საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის ეჩუქებინა. სანაცვლოდ, ჩვენ ბადრის კომპენსაციას გადავუხდიდით და შემდეგ რაც უნდოდა, ის ეკეთებინა, უნდა ბიზნესში დარჩეს, უნდა - პოლიტიკაში. ამას ვითხოვდი, არა როგორც ბიზნესმენი ან ტელევიზიის მფლობელი, არამედ როგორც რევოლუციით მოსული ერთ-ერთი ხელისუფალი, რომლისთვისაც მთავარი რევოლუციის შედეგის შენარჩუნება იყო.

მაშინ "იმედი" რევანშიზმის ბუდეს წარმოადგენდა. ბადრის იქ დაბოღმილი ადამიანები გადაჰყავდა - გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია, მათე კირვალიძე და გაზეთ "ალიას" სხვა შავბნელი ჟურნალისტები. რევოლუციის დროს "იმედი" სასტიკად პროსახელისუფლებო კურსს ატარებდა. მთავარი ომი "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ აწარმოეს არა გაზეთებმა, არამედ ამ ტელეკომპანიამ. მომიტინგეებს ისეთი რაკურსით აჩვენებდნენ, რომ კადრში რაც შეიძლება ცოტა ხალხი გამოჩენილიყო. მათი მაშინდელი კორესპოდენტი და დღეს უკვე, სააკაშვილი მთავარი საყრდენი სატელევიზიო სივრცეში - ალეკო ფარულავა, ოპოზიციური მიტინგის მონაწილეებს - „ეგრეთ წოდებულ ხალხს" ეძახდა.

ბადრი გაწბილებული იყო, ვინაიდან თუკი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები დამტკიცდებოდა, ის პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას შექმნიდა და "ვარდების რევოლუციამ" მას გეგმები ჩაუშალა. გავიხსენოთ, ვის რა შედეგი ჰქონდა იმ არჩევნებში. ამერიკელების ეგზიტპოლის მიხედვით - ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა- 20,8%, ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" - 12, 9%. ამ ბლოკს მთლიანად ბადრი აკონტროლებდა, გარდა სულხან პაპაშვილის ერთი ფრაქციისა, მას ეკუთვნოდა ლეიბორისტული პარტიის გამსვლელი სიის ნახევარი და ამ პარტიამ მიიღო - 12,8%. ჟვანიასთან კავშირით ის აკონტროლებდა "ბურჯანაძე-დემოკრატებს," მთლიანად მისი იყო "ახალი მემარჯვენეები", რომლებიც დაახლოებით ხმების 7%-ს აგროვებდნენ. "აღორძინებაც" არ იქნებოდა ბადრისგან შორს მდგომი ძალა.

ახლა მთავრობის ეგზიტპოლის, ანუ "ნიკოლო ემის" მონაცემები ვნახოთ: ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" - 22,1%, ბურჯანაძე-დემოკრატები - 16,4%, ლეიბორისტები - 13,5%, ნაციონალური მოძრაობა - 13,2%, "ახალი მემარჯვენეები" - 11,3%, პლუს მაჟორიტარები. ბადრის 75 მაჟორიტარიდან 50 გარანტირებულად მხარს უჭერდა. მოგვიანებით, როცა მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ძალაში დატოვეს, ამ ფრაქციას ბადრის უახლოესი მეგობარი ვანო ჩხარტიშვილი ჩაუდგა სათავეში. 235 დეპუტატიდან საკონსტიტუციო უმრავლესობა 160 კაცი გამოდიოდა. ძალიან უხეში გათვლებით, ჟვანია-

სააკაშვილი ერთადაც რომ ყოფილიყვნენ და ჟვანია პატარკაციშვილს განდგომოდა, მათ მხოლოდ 40-45 პროპორციული მანდატი ექნებოდათ, დანარჩენ დეპუტატებს კი ბადრი გააკონტროლებდა. “აღორძინების” ლიდერი ასლან აბაშიძე ივაჭრებდა, მაგრამ ბადრისთან მაინც ითანამშრომლებდა. ბადრი 160-170 კაცს ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობას თავისუფლად აგროვებდა.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მისი მეგობარი - ვაჟა ლორთქიფანიძე ხდებოდა, ხოლო “ახალი მემარჯვენეების” ლიდერი, დავით გამყრელიძე - პრემიერ-მინისტრი. ამიტომ დათანხმდა გამყრელიძე შევარდნაძეს და ბოლო მომენტში სესიაზე ქვორუმის შესაკრებად პარლამენტში შევიდა.

ბადრი არჩევნებიდან 6 თვის თავზე აბსოლუტურად ქმედუუნარო შევარდნაძეს პოსტიდან გადააყენებდა, ისევე როგორც მან და ბერეზოვსკიმ რუსეთში ელცინი გადააყენეს და ამის შემდეგ პრეზიდენტი თავად გახდებოდა. ბადრი რუსეთში დაშვებული შეცდომის გამეორებას აღარ აპირებდა, მან ერთხელ მეც მითხრა, რომ პუტინზე კომპრომატები გვქონდა და ამიტომ ვფიქრობდით, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ ის ერთგულად გვემსახურებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდაო.

ბადრის პრეზიდენტად გახდომის პირველი მცდელობა ჩაეშალა და ის შევარდნაძის ელიტასთან ერთად რევანშისთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. მათი რუპორი “იმედი” გახლდათ და ამას უკავშირდებოდა ჩემი სიფრთხილეც. ამასთან, არ გვემორჩილებოდა ჯარი, იქით კოდორის ხეობის გუბერნატორი და შეიარაღებული ფორმირება “მონადირის” მეთაური ემზარ კვიციანი აქტიურობდა, პარტიზანების დაჯგუფება “ტყის ძმების” ლიდერი დათო შენგელიაც მასთან ერთად მოძრაობდა.

ჩვენი მტერი კრწანისის რეზიდენციაში გამოკეტილი შევარდნაძე აღარ იყო, მტრულად განეწყო მისი კორუმპირებული ელიტა, მთელი სისტემა. ჩვენ არ გვყავდა პოლიცია, სპეცსამსახური, არ გვქონდა ფინანსები და გვიპირისპირდებოდა კარგად ორგანიზებული ძალა.

ამის გამო, მივდივარ მიშასთან და ვეუბნები: „მიშა, თუ ჩვენ გვინდა რევოლუციის შედეგების შენარჩუნება, რაღაც უნდა გავითვალისწინოთ“. მაკიაველის მიხედვით, თუ გინდა ქალაქი შეინარჩუნო, ორი ალტერნატივაა - ან უნდა გაურიგდე არსებულ ელიტას, ან უნდა გაჟლიტო ის და ახალი ელიტა შექმნა. გაჟლეტაში დახვრეტას არ ვგულისხმობდი, შევარდნაძის ე.წ ინტელიგენციისთვის ელიტის ფუნქცია უნდა წაგვერთმია და ახალი ელიტა შეგვექმნა.

სააკაშვილმა მოგვიანებით ეს თეორიები ერთმანეთში აურია, თავისი ელიტის შექმნაც დაიწყო და, ნაწილობრივ, ძველსაც გაურიგდა. ფაქტიურად, მან ამ ელიტების ცუდი ნაზავი მიიღო. ამას უკავშირდება მისი ახლანდელი პრობლემები ეკონომიკაში და საზოგადოებრივ გავლენებშიც. მას დასაყრდენი აღარ ჰყავს. დარჩა მხოლოდ ე.წ. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები, რომელთა ლოიალობა მხოლოდ ხელფასთანაა დაკავშირებული. ნუგზარ წიკლაურის და ეკა ხერხეულიძის, ანუ ზვიადიზმის ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი გამოვლინებების და ხათუნა ოჩიაურის გარდა, იდეური მხარდამჭერები აღარ ჰყავს. გიგა ბოკერია მისი ერთ-ერთი უკანასკნელი დამცველია. წარმოგიდგენიათ? მან მოახერხა და ის ხალხი, რომლებიც მის სიახლოვეს ათასობით იდგნენ, საერთოდ შემოეფანტა. ის ახლა მხარდამჭერებს ყიდულობს, ამიტომ ამ მოსყიდულებს მასთან არანაირი იდეური სიახლოვე არ აკავშირებთ.

ახლა, რა გააკეთეს ჟვანიამ და სააკაშვილმა? მომკიდეს ხელი და ბადრისთან შესარიგებლად “ქაჯეთის ციხეში” ძალით წამათრიეს. ჩემი და ბადრის შეხვედრას ჩხარტიშვილი, სააკაშვილი, ჟვანია და ჩუბინიშვილი ესწრებოდნენ.

მახსოვს, ბადრის სტილიზებული კუთხე ჰქონდა - თავისი ბავშვობის იტალიური ეზო, სახლის აივანზე კი არღნით ხელში, იპოლიტე ხვიჩიას ცვილის ფიგურა იდგა.

ამ შეხვედრის შემდეგ მე და ბადრი ერთმანეთს აღარ უნდა დავპირისპირებოდით, ვინაიდან ჩვენ ორივენი ჟვანია-სააკაშვილის მეგობრები ვიყავით. ამან შოკი მომგვარა. ბადრი აღიარებდა, რომ შერიგება სურდა და ამის დასტურად დამპირდა, რომ კომუნიკაციების სფეროში ერთი თეთრის ინვესტიციასაც არ განახორციელებდა. პირველი ორი დაპირება მან არ შეასრულა. დამპირდა, რომ ტელევიზიას არ შექმნიდა და "რუსთავი 2"-ის საწინააღმდეგოდ "იმედი" შექმნა, "ჯორჯიან ონლაინს" "ტელენეტი" დაუპირისპირა. ახლა, მაიძულებდნენ, მისთვის მესამედ დამეჯერებინა. რევოლუციის შემდეგ ყველაფერი უცებ დაავიწყდათ, თითქოს ბადრი არ იყო მათი, ამ შემთხვევაში - რევოლუციონერების, სამკვდრო-სასიცოცხლო მტერი. ყველაფერი დალაგდა და მე გავხდი დასაწყნარებელი. ამის გამო თითქოს "სოსკა" მომცეს, აჰა, შენ ტელეკომუნიკაციებიო.

შევთანხმდით, რომ ბადრი ტელეკომუნიკაციების სფეროს მითმობდა. მოგვიანებით მე და დათო დვალმა მართლა ჩავიბარეთ „ელექტროკავშირის" მენეჯმენტი და კომპანიის საშემოსავლო ნაწილი ისე გავზარდეთ, რომ არც ერთი თეთრი აქედან მოგება არ მიგვიღია. „ელექტროკავშირი" ზარალიდან უზარმაზარ მოგებაზე გავიყვანეთ.

იმავე შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ბადრი ტელებიზნესში დარჩებოდა. ჩემი აზრით, ეს ჟვანიას იდეა იყო. მან სააკაშვილი დაარწმუნა, რომ მათთვის მე ბადრიზე საშიში ვიყავი და „რუსთავი 2"-ის საპირწონედ "იმედი" მოიაზრეს. „რუსთავი 2"-ის პოპულარობა არც ჟვანიას ეწერებოდა, არც სააკაშვილს. მე მეწერებოდა და ამას საფრთხედ მიიჩნევდნენ. ბურჯანაძეს ამ კონტექსტში საერთოდ არ განიხილავდნენ. ისინი მას სერიოზულ ფიგურად არ აღიქვამდნენ და ეს პარლამენტის როლის დაკნინებით მალევე გამოჩნდა.

მე ჟვანიას მეგობრად მივიჩნევდი და მას ვენდობოდი. საერთოდაც, ადამიანებს ძალიან ადვილად ვენდობი და ასევე იოლად ვუჯერებ. პოლიტიკაში ეს თვისება არავის ჭირდება, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ შევარდნაძის რეჟიმი უსისხლოდ მოვიშორეთ, ეიფორიაში ჩამაგდო. არავის წინაშე არანაირად ვალდებულები არ ვყოფილვართ, არც შეერთებული შტატების, არც რუსეთის, ბიზნესმენების თუ სამხედროების. ჩვენ ქვეყნის განვითარება სუფთა ფურცლიდან უნდა დაგვეწყო, რისთვისაც 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებზე ხალხმა სააკაშვილს და ჩვენ ყველას ნდობის 96 პროცენტიანი მანდატი მოგვცა. ეს არ იყო მხოლოდ სააკაშვილისთვის მიცემული ხმები. ნოემბერში მას ამომრჩეველთა მხოლოდ 20 პროცენტი უჭერდა მხარს, იანვარში კი მან ხმების 96 პროცენტი მიღო. ასეთ მოკლე ხანში, ასეთი გრადაცია წარმოუდგენელია. ეს ხმები ერთად მოვიპოვეთ „რუსთავი 2"-მა, სააკაშვილმა, ჟვანიამ და ბურჯანაძემ. იმაზე საუბარს აღარ ვაპირებ, ამ ოთხეულიდან თითოეულს რა მხარდაჭერა და პოპულარობა ჰქონდა. ჩემთვის მთავარი იყო, რომ ამ გაერთიანებას უამრავმა ადამიანმა თავისი იმედები დაუკავშირა.

2003 წლის 20 დეკემბერს „რუსთავი 2"-ის შენობას ე.წ "მუხა" ესროლეს. მსხვერპლს სასწაულებრივად გადავურჩით. ბომბი ფანჯარას ასცდა და კედელს მოხვდა, თორემ ოთახში აფეთქდებოდა და იმ დროს "კურიერის" სტუდიაში მომუშავე ხალხს დახოცავდა. რთული დრო იყო და რომელიმე ჩვენგანის სიკვდილს უმართავი სიტუაციის გამოწვევა შეეძლო. პირადი დაცვა გიორგი სანაიას სიკვდილის შემდეგ ავიყვანე. ჟვანიას დაცვის 5 წევრი შემცირებაში მოყვა და ისინი დავიქირავე. რევოლუციის შემდეგ ჟვანიამ და სააკაშვილმა დაჯავშნული ავტომანქანით სიარული მომთხოვეს. ბურჯანაძის, სააკაშვილის ან ასლან აბაშიძის ნაქონი ავტომანქანით უნდა მესარგებლა, მაგრამ შემდეგ დაჯავშნული ავტომანქანები თავად დაიტოვეს და ჩემთვის არაფერი მოუციათ. ამ აფეთქების შემდეგ იძულებული გავხდი, ჩემს

უსაფრთხოებაზე მეტი ყურადღება გამომეჩინა და ბიზნესმენმა დათო ზოდელავამ თავისი ძველი ამერიკული ჯიპი მათხოვა. სასაცილო სანახავი ვიყავი თუ როგორ დავდიოდი ამ "კონსერვის ქილით." დათოზე კი მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

ამ პერიოდში გაჩნდა სახელგანთქმული სლოგანი "გამარჯვებული ხალხის ტელევიზია", რომელიც მაშინდელ ოპოზიციას დღემდე ყურს ჭრის და შემდეგ ეს სალანძღავ სიტყვად აქციეს. ჩვენ დავიწყეთ ტელევიზიის რებრენდინგი, ვინაიდან ტელევიზიის იმიჯი მნიშვნელოვანწილად "ვარდების რევოლუციას" მოვახმარეთ. გვსურდა იმ ხალხის შემობრუნება, ვინც რევოლუციის მხარდამჭერი არ იყო; ასევე იმათიც, ვინც რევოლუციას მხარს უჭერდა, მაგრამ რისთვისაც იბრძოდა, ის შედეგი მაშინვე ვერ მიიღო. ბუნებრივია, ბევრს ეგონა რომ რევოლუციის მერე გავიღვიძებდით და უცებ, ახალ და უკეთეს საქართველოში ვიცხოვრებდით. ჩვენ რევოლუციიდან დისტანცირებას ვერ მოვახდენდით, პირიქით, მის პოზიტიურ როლზე ვსაუბრობდით და ამის გამო გაჩნდა ეს სლოგანიც, რომელსაც ჩემი ინიციატივით ფონად ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია დაედო.

პრეზიდენტის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებდა, როცა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი გარდაიცვალა. ნინო ბურჯანაძე ბაქოში სამძიმარზე წასვლას აპირებდა და საპრეზიდენტო რეისით შევარდნაძეც თან უნდა წაეყვანა.

გეგონებოდა, ვითომ ეს შევარდნაძე რამდენიმე დღის წინ არ დაგვემხო. თითქოს არაფერი მომხდარა, ვითომ ვადის ამოწურვის შემდეგ გადადგა და თავის მემკვიდრესთან ერთად თავისი მეგობრის დასაფლავებაზე მიემგზავრებოდა. ნინოსთან ახლო ურთიერთობა არ მქონდა და ამიტომ ჟვანიას დავურეკე და ვუთხარი, რომ ჩემთვის ბურჯანაძის საქციელი მიუღებელი იყო, მის საქციელს საზოგადოებაც ნეგატიურად აღიქვამდა და შევარდნაძე პრეზიდენტის რეისით არ წაეყვანა.

ამის შემდეგ შევარდნაძე დამოუკიდებლად ჩავიდა ბაქოში, მე მისი გაწვალება არ მდომებია, უბრალოდ, გუშინ კაცი დავამხეთ და დღეს ისევ ჩვენთან ერთად დადის... ეს რა ლოგიკაა?

ამან ბურჯანაძე გაანაწყენა, თუმცა ვთვლი, რომ ჟვანიაც მას ეთანხმებოდა და ჩემმა კატეგორიულობამ გადააფიქრებინა შევარდნაძესთან ერთად ბაქოში გაფრენა.

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ დამირეკა და მითხრა, რომ თბილისში რუსეთის ხელისუფლებისგან ძებნილი ბორის ბერეზოვსკი ჩამოვიდა. გავგიჟდი. ბადრი პატარკაციშვილთან ჩამოვიდოდა, აბა სხვასთან ვისთან? ვიცოდი, რომ შევარდნაძის დროს ის და რომან აბრამოვიჩი ბადრის არცთუ იშვიათად სტუმრობდნენ, მაგრამ რევოლუციის შემდეგ როგორ გაბედა აქ ჩამოსვლა? ეს ჩემს გეგმაში არანაირად არ ჯდებოდა, ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის გამოკეთებას ხელს ნამდვილად არ შეუწყობდა, ხოლო ჩვენ ეს მიზანი დავისახეთ.

ვალერი ხაბურძანიამ ვიდეოკასეტა მომცა, სადაც ნათლად ჩანდა ბორის ბერეზოვსკიმ აეროპორტში თუ როგორ გადმოკვეთა სახელმწიფო საზღვარი.

ბუნებრივია, ეს კადრები ტელევიზიით ვაჩვენე და ეს ინფორმაცია რუსულ საიტებზე მომენტალურად გაჩნდა, რასაც რუსეთის ხელისუფლების გაღიზიანება მოჰყვა. ამის შემდეგ ჩვენი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რატომ ჩამოვიდა ბერეზოვსკი?

მე სააკაშვილს დავურეკე და ვკითხე, რა უნდოდა ბერეზოვსკის თბილისში. ბუნებრივია, ბადრისთან იყო, მაგრამ კიდევ ვინ მიიწვიეს ამ შეხვედრაზე? ამაზე სააკაშვილმა პირში წყალი ჩაიგუბა, არაფერი მიპასუხა. ვერაფერს მივხვდი. ჩემთვის, ძნელი საფიქრებელი გახლდათ, რომ რევოლუციიდან რამდენიმე დღის

შემდეგ, ჟვანიამ და სააკაშვილმა ბერეზოვსკისთან მეგობრობა დაიწყეს. ვხვდებოდი, რომ ესენი უჩემოდ რაღაც გარიგებებს დებდნენ, შეხვედრებს აწყობდნენ, მაგრამ იყო რაღაც, რასაც მაშინ ვერ დავუშვებდი. მოგვიანებით გავიგე, რომ ბადრისთან ამ შეხვედრას ჟვანია, სააკაშვილი და ვანო ჩხარტიშვილიც ესწრებოდნენ. ბერეზოვსკიც ამათი თანხმობით ჩამოსულა და რაღაც მოლაპარაკებებს მართავდა.

სანამ ამ ყველაფერს შევიტყობდი, ჩვენმა კორესპოდენტმა ინტერვიუ თხოვა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ვალერი ჩხეიძეს. მას ჰკითხეს, თუ როგორ მოახერხა საერთაშორისო ძებნილმა, ავანტიურისტმა - ბერეზოვსკიმ საქართველოში შემოსვლა?

ვალერი ჩხეიძემ უპასუხა, რომ ის აუცილებლად დასჯის მათ, ვინც გამოიჩინა სამსახურებრივი დაუდევრობა თუ გულგრილობა და ვერ დააფიქსირა საზღვრის უკანონოდ გადმომკვეთი, მაგრამ ბერეზოვსკი თუ კიდევ გაბედავს ასეთი ფორმით აქ ჩამოსვლას, ის აუცილებლად განახორციელებს ყველა იმ ზომას, რაც საერთაშორისო კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

ამ ფრაზამ ჩხეიძის კარიერას დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა. იგი ჯერ საბჭოთა უშიშროების საკადრო ოფიცერი და ავღანეთის ომის ვეტერანი იყო, მაგრამ შემდეგ საქართველოს სამსახურში ჩადგა და მის წესიერებაზე ძალიან ბევრი ისტორია მომისმენია. ის რუსეთის სპეცსამსახურებთან არ თანამშრომლობდა, პირიქით, ძალიან აქტიურად ეხმარებოდა აშშ-ის ცენტრალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელიც ჩვენი უმთავრესი მეგობარი ქვეყნის სპეცსამსახურს წარმოადგენს.

ცოტა მოგვიანებით, ვალერი ჩხეიძემ საბედისწერო შეცდომაც დაუშვა, რამაც მისი კარიერა დაასრულა. მან სააკაშვილს საპრეზიდენტო ინაუგურაციის შემდეგ ე.წ. ჯარის ალბომი საჩუქრად გადასცა. სააკაშვილი უშიშროების ჯარში მსახურობდა. სასაზღვრო ჯარები უშიშროების სისტემაში შედიოდა. მე არ დამავიწყდება სააკაშვილის შეშფოთებული სახე, როცა მან თავისი სამხედრო სამსახურის ამსახველი ფოტოალბომი ნახა: მიშა სამხედრო ფორმით, რუს სამხედროებთან ერთად. იმ წუთში მისი სახე საშინელ გაღიზიანებას გამოხატავდა. ეს ორი ისტორია ვალერი ჩხეიძისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ამის შემდეგ, როგორც ვიცი, მას ემუქრებოდნენ და აიძულეს თანამდებობიდან გადამდგარიყო. ვალერი ჩხეიძე ემიგრაციაში წავიდა. ის დიდი ხნის განმავლობაში უკრაინაში ცხოვრობდა. მას პირდაპირ სამაგიერო გადაუხადა ბადრი პატარკაციშვილმა და “ზედმეტი” საუბრისთვის პასუხი აგებინა.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ბერეზოვსკიმ უკრაინაში გადაბარგება განიზრახა. მიმაჩნია, რომ რაღაც კავშირი შეიკრა ბერეზოვსკის, ჩვენი რევოლუციის ლიდერებსა და უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის ლიდერთა შორის. ბერეზოვსკიმ უკრაინის რადის დეპუტატს, დავით ჟვანიას 15 მილიონი დოლარი გადასცა, რომლითაც ვიქტორ იუშენკოს საპრეზიდენტო კამპანია დაფინანსდა.

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ თბილისში უკრაინის ჯერ კიდევ ოპოზიციის ლიდერი - იუშჩენკო ჩამოვიდა. ვანო მერაბიშვილმა რამდენიმე პირთან ერთად ის ისნის მეტროს სიახლოვეს მდებარე სომხურ რესტორანში დაპატიჟა. ეს რესტორანი გარედან სადად გამოიყურება, მაგრამ უგემრიელეს სომხურ კერძებს: გუფთას, დაბეგვილ ხორცს, სომხურ ყველს ამზადებენ. ეს რესტორანი ზურა ადეიშვილის და ვანო მერაბიშვილის საყვარელი ადგილია. ვანოც და ზურაც სამცხიდან არიან, ზურას ოჯახი მოგვიანებით გადასახლდა კახეთში. სომხური სამზარეულო მათთვის სოფელ უდედან კარგად ნაცნობია.

აი, ამ რესტორანში მასპინძლობდნენ იუშენკოს და სუფრის ერთმა წევრმა ჩემი სადღეგრძელო თქვა: მოდი, ეროსის გაუმარჯოს, რომელმაც ეს რევოლუცია გააკეთა, ქვეყანას შევარდნაძე და ეს კორუმპირებული ხალხი მოაშორა, მისი ტელევიზია რომ არ ყოფილიყო, არაფერიც არ იქნებოდაო.

ვანო მას საუბარს უცბად აწყვეტინებს და ქართულად, ძალიან აგრესიულად ეუბნება - რა სისულელეს ლაპარაკობ, რა შუაშია ეროსი და „რუსთავი 2“, ეს ტელევიზია არ იქნებოდა და სხვა ტელევიზია გვექნებოდა, ჩვენ მაინც მოვიდოდით ხელისუფლებაში.

ამ პიროვნებას არ ვასახელებ, არ მინდა პრობლემები შეექმნას... დამირეკა და მითხრა, ესენი მე მგონი ვერ არიან, მგონი პრობლემები გექნება, მაგათ შენზე აკრეფილი აქვთო. მე ვუთხარი, რა სისულელეა, რამდენი ვიღაცა რაღაცას დაიბოდიალებს-მეთქი. ენის მიტან-მოტანა არასოდეს მიყვარდა. თუმცა რა გამოდიოდა? სააკაშვილმა და ჟვანიამ - ბადრი ჩვენი მეგობარიაო და მასთან შემარიგეს, შემდეგ უჩემოდ რაღაც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ბერეზოვსკისთან და ვანო მერაბიშვილი, რომელიც სააკაშვილის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირია, იძახის - ეროსი რა შუაშია ვარდების რევოლუციაშიო. სასიამოვნო მოსასმენი ნამდვილად არ იყო, თუმცა ჩავთვალე, რომ ეს მერაბიშვილის კერძო აზრი იყო და არა რევოლუციის “მამების.” ამაზე გაბრაზება არ შეიძლებოდა.

დეკემბერში ირაკლი ოქრუაშვილი შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნეს. ის ჩემთან მოვიდა და აკანკალებული ხმით მთხოვა - გეხვეწები პიარში დამეხმარეო. თანამდებობაზე სადღაც პროვინციაში მიდიოდა და თავის გამოჩენა სურდა. მე ვუთხარი, არა გრცხვენია, შენ ოღონდ კარგი საქმე გააკეთე და რას ჰქვია, მხარდაჭერა არ გექნება, ჯერ ერთი, იქ არის ჩვენი სპეკკორესპონდენტი, მერე იქ მუშაობს რეგიონული ტელეკომპანია “თრიალეთიც”.

მე ვიცი, მან შემდეგ რა საქმეებიც დაიწყო მიხეილ ქარელთან და პოლიციის უფროს სუხიტაშვილთან ერთად, კონტრაბანდის გაკონტროლება გზების გადაკეტვებით თავად დაიწყეს. შემდეგ ბევრი რაღაც მოვისმინე, მაგრამ იმ მომენტში ირაკლი საკმაოდ გულწრფელი მომეჩვენა. ის თავიდან ბორდელებს ხურავდა და კონტრაბანდულ გზებზე თხრილებს ავლებდა, რაღაცას აქტიურობდა და კარიერული წინსვლისთვის ემზადებოდა.

მიშასთვის ირაკლი „მეორე მე“ იყო. მიშა უმამოდ გაიზარდა. რაც დაიბადა, მის მშობლებს ერთად არ უცხოვრიათ, რაც მოზარდის ფსიქიკაზე ცუდად აისახება. მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ მას კლასში ძალიან ჩაგრავდნენ. მან ბავშვობაში უმძიმესი დაავადება - მენინგოენცეფალიტი გადაიტანა, ინფექციური დაავადება, რომელიც სერიოზულ კვალს ტოვებს, მას ახლაც აქვს კოორდინაციის პრობლემა. თუ დაუკვირდებით, სააკაშვილი მოუწესრიგებელი კოორდინაციის ადამიანია, მას სამხედრო მარშით სიარულიც არ შეუძლია. ბაქოში ილხამ ალიევთან პირველი ვიზიტის დროს ვნახე - ერთსა და იმავე ხელს და ფეხს ერთდროულად წევდა. ვფიქრობ, მის ხასიათში ჩადებული იმპულსურობა ამ დაავადებასაც უკავშირდება. მას ყოველთვის პიონერის დაღეჭილი ყელსახვევი ეკეთა, ანუ ჩვევა, რომელიც „ბიბისიზე“ გამოჩნდა, მის ბავშვობასთანაა დაკავშირებული.

მიშასთვის ოქრუაშვილი იყო ადამიანი, რომელიც ბავშვობის შიშებს და სკოლის ჩაგვრების ემოციებისგან ათავისუფლებდა. ის მიშას თვალში იყო მაჩო. სხვათა შორის, ოქრუაშვილი მინისტრობის დროს თანამშრომლებთან სიუხეშით, დაუნდობლობით, ძალიან აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა და ითვლებოდა, რომ ქუჩურ თემებშიც მაგარი იყო.

მიშა განათლებულია, ტალანტი აქვს, მაგრამ მშიშარაა და ამ შიშს მის წარმოდგენაში ოქრუაშვილი ფარავდა. ამიტომ ვერ იმეტებდა მიშა მას გასაწირად და ოქრუაშვილიც მიიჩნევდა, რომ მიშა მის წინააღმდეგ წასვლას ვერ გაბედავდა.

დღეს ოქრუაშვილის როლი ქუჩურ ნაწილში რურუამ აიღო, დანარჩენ ნაწილში - ბოკერიამ. ერთი ოქრუაშვილი შეიცვალა ბოკერია-რურუათი, ამიტომ არიან ისინი მისთვის ასე ახლო ადამიანები.

ძალიან გამიკვირდა, როცა 5 იანვრის არჩევნების შემდეგ საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე მოსაწვევი არ გამომიგზავნეს! როცა ვიკითხე, რატომ არ გამომიგზავნეთ მოსაწვევი-მეთქი, პროტოკოლის სამსახურს გამორჩიო - მიპასუხეს. ინაუგურაციაზე მაინც მივედი და მომათავსეს არა იმ სექტორში, სადაც დეპუტატები თუ ვიღაც ჩინოვნიკები ისხდნენ, არამედ უკან - სოროში, მერამდენიღაცა რიგში.

მთელ ამ პერიოდში თანამდებობაზე დასანიშნად სულ რამდენიმე ადამიანს გავუწიე რეკომენდაცია. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, კახა კობერიძემ მთხოვა, ახალ მინისტრს იმის გამო არ აეთვალწუნებინა, რომ ძველი და გამოცდილი კადრი იყო. გახსოვთ, რომ ამათმა თანამდებობებზე პარტიული ნიშნით ახალგაზრდების დანიშვა დაიწყეს და სტაჟიან თანამშრომლებს ათავისუფლებდნენ. ასევე მიხეილ სააკაშვილს ვთხოვე, „რუსთავი 2“-ის გადაცემა “კურიერის” წამყვანის, ნათია ლაზაშვილის ქმარი, რომელიც ეკონომიკის მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრად დაენიშნა.

ჯანდაცვის მინისტრად შესანიშნავი ექიმის, ირაკლი სასანიას კანდიდატურა შევთავაზე. ზურა ჟვანიამ თავი მოიკლა და მინისტრად არ დანიშნა. მან ეს პოსტი მის პარტიულ მეგობარს, გიგი წერეთელს ჩააბარა და ეს კიდევ სამი კვირის შემდეგ პოსტიდან გადადგა. ჯანდაცვის მინისტრად შემდეგ “დიდი” რეფორმატორი ლადო ჭიპაშვილი გამონახეს, რომელმაც ხალხს გული გაუხეთქა - ქათმის გრიპი ჩვენი მოსახლეობის 15 პროცენტს ამოწყვეტსო.

ჟვანიამ არ ამიხსნა, თუ რატომ არ სურდა სასანიას მინისტრად დანიშვნა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის და სასანია ერთ ეზოში გაზრდილან, ზურა ბავშვობაში არასპორტული, მამიკოს და დედიკოს ბიჭი იყო და ბავშვები ფეხბურთის თამაშისას კარშიც არ აყენებდნენ. ზურას ბავშვობისდროინდელი ეზოს ეს ურთიერთობები მწარედ ახსოვდა და ამის გამო სასანიას მიმართ არაობიექტურობას იჩენდა. ერთადერთი, მასზე იძახდა, რომ მესამე კლასში ოროსანი იყო.

აი, ამ კრიტერიუმით დაიწუნა სასანია, თუმცა ვატყობდი, რომ მან ეს ნაბიჯი გააზრებულად ჩემს საწინააღმდეგოდ გადადგა. ჟვანია - სააკაშვილს ჩემი ზედამხედველობა, რაზეც 24 ნოემბერს შევთანხმდით, არაფერში ჭირდებოდათ და ამიტომ ჩემი გავლენის შემცირებას ცდილობდნენ. მათ ძალთა ბალანსის თავიანთ სასარგებლოდ დარღვევა დაიწყეს.

მე და ჩემმა პარტნიორმა, დათო დვალმა, გადავწყვიტეთ, რომ კომუნიკაციების ბიზნესში გადავრთულიყავით. “რუსთავი 2” კი საზოგადოებრივ ტელევიზიად გადაგვექცია. ვაპირებდი ტელევიზიის აქციები ჟურნალისტებისთვის და საზოგადოების პატივსაცემი ადამიანებისთვის მეჩუქებინა. ამის თაობაზე სააკაშვილსაც ვუთხარი. თუმცა, ამ პროექტს ტელევიზიის ბალანსის გამოსწორების გარეშე ვერ განვახორციელებდით.

ტელევიზიას ყოველწლიურად 3 მილიონი დოლარი დეფიციტი ჰქონდა, რომელსაც ჩვენ “ჯორჯიან ონლაინიდან” ვავსებდით.

ეს დეფიციტიც პატარკაციშვილის გამო გაგვიჩნდა, ვინაიდან 2001 წელს ჩვენ უკვე მომგებიანი კომპანია გავხდით. ბადრიმ ფასები ხელოვნურად გაზარდა, მე თუ ვუხდიდი ოპერატორს 300 ლარს, მან 1000 დაუნიშნა, თუ ჟურნალისტს ჩემთან მაქსიმუმ 1000 ლარი ჰქონდა, ბადრიმ 1500 დაუნიშნა. მე თუ სერიალს 50 დოლარად ვყიდულობდი, ამან 500 დოლარად იყიდა. მე მეუბნებოდნენ, - კი, ძველი მეგობარი ხარ, მაგრამ 500 დოლარს თუ არ გადაიხდი, მაშინ “იმედს” მივყიდითო. საერთაშორისო ბაზარზეც გააქტიურდა. მან “გლობოსთან” ექსკლუზიური ხელშეკრულება გააფორმა და ბრაზილიური სერიალები დაისაკუთრა. კონკურენცია აუტანელი გახდა. შემოსავალი იგივე გვქონდა, ხარჯი კი რამდენჯერმე

გაიზარდა. ამას ომის ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე კონკურენციის. მეორეს მხრივ, კომპრომისს ხარისხთან დაკავშირებით არ ვაკეთებდით, ვერც ჟურნალისტს შევუმცირებდით ხელფასს, ისეც ოპტიმიზირებული გვქონდა ყველაფერი.

გარდა ამისა, მე და ჩემს პარტნიორებს გვსურდა, რომ "რუსთავი 2" ისევ დამოუკიდებელ, თავისუფალ ტელეკომპანიად გვექცია. მე რევოლუციის ერთ-ერთი ავტორი ვიყავი და პოლიტიკურ პროცესებში საკმაოდ ჩაბმული, რაც ჩვენს ჟურნალისტებს მოვლენების ობიექტურად გაშუქებისთვის ხელს უშლიდა. ამიტომ ტელევიზიიდან ჩემი დისტანცირებით ტელევიზია უფრო თავისუფალი გახდებოდა. თავად ჟურნალისტებიც არჩევანის წინაშე დადგნენ, ახალი ხელისუფლების წევრებთან მეგობრობდნენ და ესაც ხელს უშლიდა მოვლენების ობიექტურად გაშუქებას.

ჟურნალისტები შევკრიბე და ვუთხარი, ვისაც გინდათ ჟურნალისტობა, დარჩით, ვისაც გინდათ თანამდებობა, არჩევანი გაქვთ და წადით. გურამ დონაძე პირველი გაიქცა, ნანა ინწკირველიც წავიდა, ტაბატაძე საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

ერთ დღესაც, სააკაშვილმა დამირეკა და კრწანისის რეზიდენციაში ასვლა მთხოვა, ის ჯერ კიდევ იქ ცხოვრობდა.

ავდივარ კრწანისში, ლავრენტი ბერიას ყოფილ სახლში. ძალიან ლამაზი სახლია, სადაც ორი ასასვლელია, თუ ეზოდან შედიხარ, მარმარილოს ფოიეში ხვდები, მერე დიდი დარბაზია ბუხრით, საიდანაც აივანზე გადიხარ და თბილისის ულამაზესი ხედი იშლება. მიშამ მთელი ეს ტერიტორია, სახლიან-ეზოიანად, 10 მილიონად გაყიდა. მაშინ ამბობდა, რომ მას ვითომ არაფერი ჭირდებოდა და მოკრძალებულად იცხოვრებდა. ახლა კი ავლაბარში 200 თუ 300 მილიონიან სასახლეს იშენებს.

ბერიას სახლში მხვდება მიშა და, კიდევ, გამხდარი, ინტელიგენტური გარეგნობის, ფერმკრთალი, სადღაც ასე 45 წლის კაცი, ძვირფას, მაგრამ სადა კოსტიუმში, ნაქსოვ პერანგში. მთლად ქართული იერი არ აქვს, გარეგნობასა და ჩაცმულობაზე ეტყობა, რომ მდიდარია. იმ პერიოდში, სადაც მივდიოდი ყველგან პირდაღებულები მხვდებოდნენ, ცოცხალ ლეგენდასავით მიყურებდნენ. ამ კაცს დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით მსგავსი არაფერი გამოუხატავს, თავისუფლად, მშვიდად შემხვდა. ამან გამაკვირვა და ცოტა დავიძაბე, ჩავთვალე, რომ ან ქართველი არ იყო, ანაც მე საერთოდ არ მიცნობდა. ამასობაში მიშამ ერთმანეთი გაგვაცნო და ეს კაცი ყველაზე მდიდარი ქართველი - ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა, რომელზეც მეც უამრავი ლეგენდა მსმენოდა. მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ის მიშასთან ძალიან დაახლოებული ყოფილა.

2 ნოემბრის არჩევნებსა და რევოლუციის წინა პერიოდში ივანიშვილი მიშას მთავარი დონორი იყო. დანარჩენ პარტიათა უმეტესობას და ზურაბ ჟვანიას პატარკაციშვილი აფინანსებდა. ჟვანიას არ სურდა საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილთან ერთ ბლოკში გაერთიანება, რასაც მე ვაპროტესტებდი, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ერთიანი ძალით უფრო იოლად დავამარცხებდით შევარდნაძის რეჟიმს. ეს მცდელობა ჯერ კიდევ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისას მქონდა, მაგრამ ამათი გაერთიანება არც მაშინ მოხერხდა. ჟვანიას გარემოცვის წევრები სააკაშვილს კრიმინალებისაგან დაფინანსების გამო აკრიტიკებდნენ. ამბობდნენ, რომ სააკაშვილი თვითმართველობის არჩევნებში კანონიერმა ქურდმა ტარიელ ონიანმა დააფინანსა, რაც ფანტაზიის სფერო სულაც არ არის. სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია ბიზნესმენ მიხეილ სურგულაძესთან მეგობრობს, რომელიც თავის მხრივ ტარიელ ონიანის უახლოესი მეგობარიცაა.

სააკაშვილმა მე და ბიძინა ერთმანეთს გაგვაცნო და რამდენიმე ხნით მარტო დაგვტოვა. ბიძინა ძალაუფლებას შეჩვეული კაცის ტონალობით მესაუბრა. ის ამ ტიპის საუბარს შეჩვეულია, როცა მისი

ნათქვამი განხილვას აღარ ექვემდებარება.

- მიხარია, რომ გაგიცანით და ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ იმისთვის, რაც გააკეთეთ. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ეს რევოლუცია არ მოხდებოდა. სულ მქონდა განცდა, რომ "რუსთავი 2"-ს გაყიდდით. მე ვიცოდი, რომ ბადრის თითქმის ნაყიდი ჰქონდა თქვენი ტელევიზია და ამის გამო მე-9 არხს ვაფინასებდი, რათა მთელი სატელევიზიო სივრცე მას არ გაეკონტროლებინა, - მითხრა ბიძინამ.

ბადრის მიმართ უარყოფითად საუბრობდა, რაც გულზე სალბუნივით მომხვდა. გამეხარდა იმ ფონზეც, რომ სააკაშვილი და ჟვანია ბადრისთან დამეგობრობას ცდილობდნენ. ჩემთვის ეს დიდი სიურპრიზი იყო.

- მინდა მადლობა გამოვხატო თქვენს მიმართ და რახან ბადრი დამარცხდა, მე მე-9 არხი აღარ მჭირდება, თქვენ გაჩუქებთ მის ტექნიკას, სიხშირეს, შენობებს და რაც მოგეწონებათ ყველაფერი წაიღეთ.

გამიხარდა. კაცი მეცენატია, გჩუქნის. რაც შეეხება პერსონალს, თუ ვინმეს საჭიროდ ჩათვლით თქვენათან გადაიყვანეთ, დანარჩენებზე მე ვიზრუნებ ქუჩაში, რომ არ დარჩნენო...

ასე გადმოვიდა "რუსთავი 2"-ში ანუკა ქინქლაძე, გადმოვიტანეთ ჩართვის მეორე მანქანა, ტოიოტას ჯიპზე დამონტაჟებული უძვირფასესი ტექნიკა. ბევრი არაფერი წამომიღია, ძირითადად, ბიძინასაც წეწავდნენ, ბევრი ფული ჰქონდა გადაყრილი.

„მეცხრე არხის" ტერიტორიაც დავათვალიერეთ, ვნახე შენობები, ყველა ადგილი ფეხით მოვიარე და ეს ადგილი ჩვენთვის უინტერესო აღმოჩნდა. ეს ის ტერიტორიაა ახლა სადაც "ორთაჭალის ტურფა" შენდება, მერე ამ მიწის გამო დიდი ხმაური ატყდა და ნაცემი დეპუტატი ვალერი გელაშვილი რეანიმაციაშიც მოხვდა. ჩვენ გვაჩუქეს და უარი ვთქვით.

ივანიშვილმა იცოდა, რომ ჩვენ ტელევიზიის აქციების დარიგებას და მის საზოგადოებრივ მაუწყებლობად გადაქცევას ვაპირებდით. ამ თემაზე თვითონ ჩამოაგდო საუბარი. ამ პროექტის განსახორციელებლად თავად შემომთავაზა დახმარება.

მან მითხრა, რომ "რუსთავი 2"-ის ანგარიშზე 20 მილიონ დოლარს ჩარიცხავდა, რათა ტელეკომპანიას დეფიციტი აღარ შექმნოდა, ხოლო მომავალი აქციონერების სია ერთად უნდა ჩამოგვეწერა. ის აპირებდა ტელევიზიის დამფუძნებლებისთვის მატერიალური კომპენსაცია გადაეხადა.

მას სურდა, რომ ტელევიზიის გენერალურ დირექტორად ისევ მე დავრჩენილიყავი, თუმცა მე ვიუარე, ვინაიდან ზუსტად იმიტომ გავდიოდი ტელევიზიიდან, რომ ჩემი სახელი მას ობიექტურობაში უკვე ხელს უშლიდა.

- ერთადერთი თხოვნა მაქვს, ეს ჩვენი შეთანხმება საიდუმლოდ დარჩეს, მე რუსეთში ვშოულობ ფულს და არ მინდა პუტინმა და რუსეთის ხელისუფლებამ გაიგოს, აქ რას ვაკეთებ. ამის გამო შესაძლოა პრობლემები შემექმნას, - მთხოვა მან.

მე ვუთხარი, ერთადერთი ადამიანი, ვისაც ყველაფრის საქმის კურსში ვაყენებ, არის ჩემი პარტნიორი დათო დვალი და მას საკუთარ თავზე მეტად ვენდობი. ამასთან, ჩემს ინტერესში არ შედის ამ პროექტის

ჩაშლა.

ამ საუბარს სააკაშვილიც ესწრებოდა, ისიც კმაყოფილი ჭყლოპინებდა. ერთმანეთს კარგად დავშორდით. ამის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ შევხვდით ერთმანეთს. “ქართუს” შენობაში ერთად ვისადილეთ მე, ბიძინამ და კახა ლომაის ძმამ, რომელიც “ქართუ ჯგუფს” ხელმძღვანელობდა. ჩვენი პროექტის ირგვლივ დეტალებს ვათანხმებდით, თითქმის დავმეგობრდით, მართლა სასიამოვნო იყო ჩემთვის ასეთი ალტრუიზმი. ადამიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვეხმაროს, ამხელა მატერიალურ დანახარჯზე მიდიოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ბიძინა გაქრა. მე მასთან შეხვედრაზე მივედი და მის ნაცვლად ლომაიას ძმა დამხვდა, რომელმაც გადმომცა, რომ ივანიშვილს ვანო ჩხარტიშვილმა დაურეკა და ჰკითხა - მართლა “რუსთავი 2”-ს ყიდულობო?

ამის მერე ბიძინა ივანიშვილი საერთოდ აღარ მინახავს. არც მიცდია მისი მოძებნა, მაგრამ გამოვიდა, რომ მან რაღაც მთხოვა და მე ეს ვერ შევასრულე.

ვიღაცამ ჩვენი შეთანხმება გაახმაურა, რაც პირობის დარღვევა იყო. ზუსტად ვიცი, რომ მე და დვალს არავისთვის არაფერი გვითქვამს, ეს არანაირად გვაწყობდა. ლომაიას ძმა ივანიშვილის თანამშრომელი იყო და ამას ნამდვილად ვერ გაბედავდა, ეს მისთვის თვითმკვლელობა იქნებოდა.

რჩება მხოლოდ მიშა სააკაშვილი. შედეგიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეთანხმება მან ჩაშალა. მას დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სატელევიზიო არხი არ ჭირდებოდა. ასეთ არხს ვერც ხელში ჩაიგდებდა, როგორც ეს მოგვიანებით გააკეთა და ძნელადაც თუ გააკონტროლებდა, ვინაიდან აქციებს საზოგადოებისთვის ნაცნობ წესიერ და პრინციპულ ადამიანებს ვჩუქნიდით. ამიტომ ზუსტად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი და ივანიშვილის შეთანხმება მიშას ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ამ პერიოდში მახსოვს, ირაკლი ჩუბინიშვილმა საკრალური ფრაზა მითხრა, რომელიც თავში ჩამრჩა: მიშას “რუსთავი 2”-ის ეშინია და იძახის - არ მინდა რაღაც დროის მერე “რუსთავი 2”-ზე, “60 წუთში” ჩემზე ჟურნალისტური გამოძიება მოამზადონ, რომ მე სახლი მაქვს ლონდონშიო. მას ეშინოდა “60 წუთში” მოხვედრის, ამ გადაცემის ნახევარი თანამშრომლები სამუშაოდ უშიშროების სამინისტროში გადაიყვანა. მან ბიძინას შემოთავაზება დაბლოკა და ყველაფერი ისე გააკეთა, ვითომ თავად მე დავარღვიე შეთანხმების პირობა.

ბიძინამ სიტყვა შეასრულა, ყველაფერი რასაც დაგვპირდა - გადმოგვცა, მაგრამ გაქრა. როგორც ვიცი, შემდეგ, მან ის 20 მილიონი ვანო მერაბიშვილს მისცა, რომლის მცირე ნაწილი “რუსთავი 2”-ის წილის გამოსყიდვისას დათო დვალს გადაუხადეს, დანარჩენი ვანომ და მაგ ბიჭებმა სად წაიღეს, მათ გარდა არავინ იცის.

თებერვლის დასაწყისში, საპრეზიდენტო ინაუგურაციიდან ერთი თუ ორი კვირის შემდეგ მიშა პრეზიდენტის რანგში პირველი ვიზიტით მოსკოვში მიემგზავრებოდა.

სააკაშვილს ვთხოვე, რომ მოსკოვში მის ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდოდი და ვიზიტის მომზადებაში დავეხმარებოდი. ამას ვაპირებდი არა როგორც დიპლომატი, არამედ კერძო პირი, ვისაც რუსეთში ძალიან კარგი ჟურნალისტური სამეგობრო წრე გააჩნდა. ჩემი მეგობრები არიან კისილიოვი, საროკინა, ვენედიქტოვი, პარფიონოვი, მანანა ასლამაზიანი: მათ ჰქონდათ კლუბი, რომელსაც “კლუბ 42” ერქვა და გაერთიანებულები იყვნენ ძალიან გავლენიანი ჟურნალისტები, რომლებიც რუსეთში ჟურნალისტური ეთიკის უმაღლეს სტანდარტს ამკვიდრებდნენ. ვიცნობდი სატელევიზიო ბიზნესის

წარმომადგენლებსაც.

ვინაიდან მოსკოვში ეს მიშას პირველი ვიზიტი გახლდათ, ვთვლიდი რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ დაიწყებდნენ რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტები ურთიერთობას. შევარდნაძეს პუტინის უბრალოდ ეშინოდა, საბჭოთა პარტიულ ფუნქციონირებს კგბ-ს შიში ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ პუტინთან შეხვედრისას, ვიზუალურადაც ჩანდა, რომ შევარდნაძე ამ როლიდან ვერ გამოვიდა. ამას დაემატა ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძემ პანკისში კრიმინალური ანკლავის მოსაშლელად რუსეთს სპეცოპერაციის ჩატარებაზე უარი უთხრა. კარგად მოიქცა თუ ცუდად, ამის გამო პუტინი შევარდნაძეზე განაწყენდა და მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია და საქართველოს სავიზო რეჟიმი დაუწესა. მიმაჩნია, რომ ამისგან კარგიც მივიღეთ: ჩვენ დემონსტრირება მოვახდინეთ, რომ ნამდვილად დამოუკიდებლები ვიყავით და ჩვენი სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა დროშა, გერბი და ჰიმნი ბუტაფორია არ იყო.

გარდა ამისა, ითვლება, რომ შევარდნაძემ დაანგრია საბჭოთა კავშირი და შემდეგ ბერლინის კედელი, რასაც რუსული სამხედრო და იმპერიული ელიტა მას ვერ პატიობდა. ამიტომ შევარდნაძეს აღარ ენდობოდნენ. შევარდნაძე მიიჩნევდა, რომ რუსებმა ორჯერ მოუწყვეს მას ტერაქტი. საქართველოს შევარდნაძის გამო სჯიდნენ, მაგრამ აქ სიტუაცია შეიცვალა რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში ის ადამიანები მოვიდნენ, რომლებმაც შევარდნაძე დაამხეს. რუსეთთან ახალი ურთიერთობების დასაწყებად პრეზიდენტების პირველ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველი, რაც გავაკეთე, რუსეთში ჩვენს ელჩს, ზურა აბაშიძეს შევხვდი. ზურა აბაშიძეს მდიდარი დიპლომატიური გამოცდილება აქვს. მისი კარიერა საბჭოთა კავშირიდან დაიწყო, იყო ამ ქვეყნის ელჩი ინდოეთში, შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში.

იგი ირაკლი აბაშიძის შვილია, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უცნობილესი საზოგადო მოღვაწე გახლდათ, მას რუსეთში უამრავი მეგობარი ჰყავს, რომლის გამოყენებასაც ახლა ვაპირებდით. ამას დაუმატეთ რუსეთში მოღვაწე გავლენიანი ქართველები - ზურა წერეთელი, დათო იოსელიანი, გიორგი გიგინეიშვილი, ლეო ბოკერია, გია დანელია, მელორ სტურუა - საქართველოს დიდი პატრიოტი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საბჭოთა ჟურნალისტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აშშ-ში "იზვესტიას" კორესპონდენტი იყო.

2004 წელს მელორ სტურუას 80 წელი შეუსრულდა. მიშა სააკაშვილს დიდი ხვეწნით დავაწერინე მისი ღირსების ორდენით დაჯილდოების ბრძანება, რომელიც მოსკოვში მისთვის დაბადების დღეზე უნდა გადამეცა, მაგრამ სტურუამ დამირეკა - დაბადების დღეს სხვა მიხდის, მას ასლან აბაშიძე დაუპატიჟებია და მოსვლას აპირებსო. ამის გამო მე ორდენი გავუგზავნე, დაბადების დღეზე აღარ მივსულვარ.

რუსეთში პატივსაცემი ადამიანია ვიქტორ გელოვანი, ერთადერთი ქართველი მარშალის - არჩილ გელოვანის ვაჟი.

ზურა აბაშიძეს ვთხოვე რუსეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარესთან, ევგენი პრიმაკოვთან შევეხვედრებინე. პრიმაკოვი გავლენიანი კაცია და მას პუტინის შესახებ ბევრი სასარგებლო რჩევის მოცემა შეეძლო. შევარდნაძე მასზე განხორციელებულ ბოლო ტერაქტში პრიმაკოვს ადანაშაულებდა. შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას პრიმაკოვი ამ უწყებაში მუშაობდა. "ძალიან ცუდად მექცეოდა, სულ ეჭვიანობდა, რომ ფარულად მის წინააღმდეგ ვმოქმედებდი" - მითხრა პრიმაკოვმა. მათ ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ პრიმაკოვის დედა თბილისშია დასაფლავებული, შევარდნაძის დროს აქ შეგნებულად არ ჩამოდიოდა.

პრიმაკოვის საყვარელი რესტორანი “კურა” “ჩისტიე პრუდიზე”მდებარეობს. იქ შევიკრიბეთ: პრიმაკოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, პრიმაკოვის სიძე, მძახალი, მისი ბავშვობის ქართველი მეგობარი, გია დანელია, მელორ სტურუა, დათო იოსელიანი და მე.

ამ სუფრაზე პრიმაკოვს ვეუბნები

- ევგენი მაქსიმოვიჩ, ვიცი, რომ შევარდნაძეს ვერ იტანდით. ჩვენ რევოლუცია მოვახდინეთ და შევარდნაძე გადავაყენეთ, რომელიც თქვენი და ჩვენი აზრითაც, საქართველოსთვის კარგს ვერაფერს აკეთებდა. ახლა ახალი პრეზიდენტი გვყავს, ახალგაზრდა, ტალანტის მქონე, ენერგიული, გვინდა ახალი კარგი საქართველოს აშენება და ჩვენი მთავარი ამოცანაა რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება. მოგვეხმარეთ. პრეზიდენტმა მე გამომგზავნა პუტინთან შეხვედრის მოსამზადებლად და ეგებ გვითხრათ, როგორ უნდა მოიქცეს სააკაშვილი, რომ მან და ვლადიმერ პუტინმა ერთმანეთს გაუგონ. თავადაც გესმით, რამხელა მნიშვნელობა აქვს ორი პრეზიდენტის კარგ ურთიერთობას. კარგი იქნება თუ პუტინთან შეხვედრამდე სააკაშვილი თქვენთან კონსულტაციას გაივლის.

სიამოვნებითო, - მითხრა, -აუცილებლად დავეხმარებიო”.

მე მართლაც სერიოზულად დავაინტერესე პრიმაკოვი. სააკაშვილის პირველი ვიზიტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ პრიმაკოვი თბილისში ჩამოვიდა. პრივატული შეხვედრები ჰქონდა ჯერ ჟვანიასთან, მერე მე და ჟვანია შევხვდით. მისი ხელშეწყობით 2004 წლის მაისში თბილისში ბიზნეს-ფორუმი ჩატარდა, რომელშიც რუსმა ოლიგარქებმა მონაწილეობა მიიღეს.

პრიმაკოვი თბილისშია გაზრდილი და ის თავისებური პატრიოტია ჩვენი ქვეყნის. მას უყვარს ეს ქალაქი, ქართველები და თავისებურად აენთო, სურვილი გაუჩნდა, დაგვხმარებოდა და დამპირდა, რომ სააკაშვილს პუტინთან შეხვედრის წინ დააკვალიანებდა.

მეორეს მხრივ, ჩემს მეგობარ ჟურნალისტს, მანანა ასლამაზიანს ვთხოვე სააკაშვილისთვის რუს ტოპ-ჟურნალისტებთან შეხვედრაში დამხმარებოდა.

ვაპირებდი შევხვედროდი ჟურნალისტ ნატალია გევორქიანს, რომელმაც პუტინზე პირველი წიგნი დაწერა. ნატალია რუსეთის პრეზიდენტს თვეების განმავლობაში ყველგან თან დაყვებოდა და ამ წიგნს მასთან ერთად წერდა. მან ბევრი რამ იცოდა პუტინზე და იმაზეც, თუ როგორ უნდა იმუშაო მასთან.

ჩემთვის რუსეთის პოლიტიკის შიდა სამზარეულო საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც ამ ინფორმაციას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოვიყენებდით. ნაკლებად მაინტერესებდა, პუტინი ლიბერალია, დემოკრატია თუ ვინაა, ან მისი საგარეო პოლიტიკის ვექტორები საითაა მიმართული. ეს რუსების პრობლემაა, ჩემი პრობლემა გახლდათ, რომ რუსეთს საქართველოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა.

სააკაშვილის ვიზიტის და ჩვენი ქვეყნების დაახლოების, რუსული ინვესტიციების საქართველოში ჩადების გეგმებზე ვსაუბრობდით, პრიმაკოვს სიყვარულს ვეფიცები და ამ დროს ზურა აბაშიძეს საგარეო საქმეთა მინისტრი, თედო ჯაფარიძე ურეკავს. ზურას ჯერ ფერი დაეკარგა, მერე გალურჯდა და ამბობს, რომ მინისტრმა შეატყობინა, რომ ის ელჩობიდან გამოწვეულია!

ზურა შემობრუნდა ჩემსკენ და გაკვირვებული მიყურებს მე - რევოლუციის ერთ-ერთ ავტორს, რომელიც

მასთან ერთად გეგმებს ვაწყობდი. თედო ჯაფარიძემ ზურას უთხრა, რომ მისი ელჩობიდან გამოწვევა მას არ გადაუწყვეტია.

მაშინვე ჟვანიას დავურეკე და ვკითხე, პრეზიდენტის ვიზიტამდე სამი დღით ადრე, რატომ გაიწვიეს ელჩი? ზურა მეუბნება - მე არ ვიციო, და ყურმილს მიშა სააკაშვილს აჩეჩებს - აჰა, ამას ელაპარაკეო.

- შენ არ იცი, მაგან რუსეთში არჩევნები გააყალბა, მაგან ისეთი რაღაცეები ჩაიდინა, როგორ შეიძლება მაგის მანდ ყოფნა, კიდევ მადლობა თქვას, რომ არ ვიჭერ, - ხავის მიშა.

2003 წლის ნოემბრის არჩევნების დროს საუბრობდნენ, რომ რუსეთში ხმები ედუარდის და მემარჯვენეების სასარგებლოდ ძალიან გაყალბდა, მაგრამ ელჩი რა შუაში იყო? რუსეთში ელჩობისას მეც ჩავატარე საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ არც გამიგია, საელჩოში ისე მოვიდა საარჩევნო კომისია, ჩაატარა არჩევნები და ხმების 60-65% მიშას პარტიამ აიღო.

- ჩაიაროს ამ შენმა ვიზიტმა და აბაშიძე მერე გაიწვიე, - ვუთხარი სააკაშვილს.

მიშამ მიპასუხა, რომ ახლა ელჩად ჩემს უახლოეს თანამებრძოლს კოტე კემულარიას ვნიშნავ და რუსებისთვის ეს უფრო მაგარი მესიჯი იქნება, ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის გასაძლიერებლად, მანდ ჩემს მეგობარს ვნიშნავ.

ზურა აბაშიძე გაშრა, მე სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

იქ იმდენად კარგად აღზრდილი ადამიანები ისხდნენ, რომ ამ ინფორმაციაზე ფურთხება და დედის გინება არ დაუწყიათ. სუფრა დაიშალა, ზურა დარჩა დაბნეული და პარალიზებული. გასათვალისწინებელია, რომ პრეზიდენტის ვიზიტი ყოველთვის დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ვიზიტს კვირეების მაძილზე ამზადებენ. აბაშიძემ უამრავი შეხვედრა დაუგეგმა სააკაშვილს და მოულოდნელად მას ასე უპატივცემულოდ მოექცა.

პრეზიდენტს მოსკოვში დავხვდი. პირველი შეხვედრა სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, პრიმაკოვთან ჰქონდა. პრიმაკოვმა გააკეთა ყველაფერი, მიეხმარა. მათ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან პრიმაკოვი თავის შთაბეჭდილებებს პუტინს გაუზიარებდა. პრიმაკოვმა პუტინი შეხვედრისთვის პოზიტიური განწყობით მოამზადა. თუმცა, შემდეგ, მიშა პრიმაკოვის როლს ძალიან აუბრალოებდა, წარმატება ჩემთვისაც რომ არ გაეზიარებინა.

იმავე საღამოს მეორე შეხვედრა ჟურნალისტებთან გვქონდა. ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტის კომუნალურ სამოთახიან ბინაში ჯინსებში გამოწყობილი სააკაშვილი წავიყვანე. რუსების მიერ გამოყოფილ პრეზიდენტის დაჯავშნულ ლიმუზინში ვსხდებით მე და მიშა და ესკორტის თანხლებით მივდივართ ამ ოჯახში, სადაც გვხვდება 50-60-მდე ჟურნალისტი.

მათ შორის ბევრი ცნობილი ჟურნალისტი. იქაურობა ხალხით გაიტენა. ეს პრივატული შეხვედრა იყო, რა თქმა უნდა, კამერების გარეშე. ამ შეხვედრის პეწიც ეგ იყო - არაფორმალურ ვითარებაში, მიშა ჯინსებში იატაკზე იჯდა და პლასტმასის ჭიქებით ვსვამდით, არაყს, ღვინოს და ათას თემაზე ვსაუბრობდით.

ამ ჟურნალისტებს თავიდან სააკაშვილის მიმართ ძალიან სკეპტიკურად განწყობა ჰქონდათ, თუმცა მე ვეუბნებოდი, არა, ჩვენიანია, ლიბერალია, თავისუფალი ადამიანი, ჰიპი!

მართლაც, დაინახეს ახალგაზრდა ბიჭი, ჯინსებში, იატაკზე, სადაც ხალიჩებიც არ ეფინა და მისდამი

სიმპათია გაუჩნდათ. ფაქტიურად, რუსული ჟურნალისტიკის მეტრები მიშასთან დავამეგობრე. რაც აინტერესებდათ, ყველაფერზე ისაუბრეს. შეხვედრის შემდეგ, მეც კმაყოფილი ვიყავი და მიშაც ჭყლოპინებდა.

დილით სააკაშვილი პუტინს უნდა შეხვედროდა. მან ამ შეხვედრაზე 45 წუთი დააგვიანა იმიტომ, რომ მას ჯერ სასტუმროს აუზში ბანაობა გადაუწყვეტია. მისი ბანაობაც თავისებური კომედიაა, უნდა ნახოთ მიშას ბანაობა: ეს ორმეტრიანი, არასპორტული კაცი, სანამ წყალში ჩახტება, ჰაერშივე ხელების ქნევას იწყებს, თითქოს უნდა გაფრინდესო და ზღართანით ეშვება წყალში, რაც სასაცილო სანახაობაა.

იბანავა, აუზიდან ამოსვლა დააგვიანდა, მას დროის შეგრძნებაც საკმაოდ არეული აქვს და ამის გამო რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე 45 წუთით დააგვიანდა. პუტინთან შეხვედრაზე წავიდნენ მიშა, კოტე კემულარია, რომელიც ელჩი არ იყო, მაგრამ სააკაშვილი მას ელჩად ასაღებდა, რაც პროტოკოლის დარღვევაა, ოქრუაშვილი და პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელი.

მეორე კომიკური ისტორია ის იყო, რომ მან სხვადასხვა შარვალი და პიჯაკი ჩაიცვა, რაც ხშირად ემართებოდა. მაშინ ვთვლიდით, რომ იგი მაღალი მატერიებით იმდენად იყო დაკავებული, რომ ასეთ წვრილმანებს ვერც კი ამჩნევდა. საერთოდაც, დიდი ადამიანები ხომ დაბნეულები არიან?! მიშას შეიძლებოდა სხვადასხვა ფეხსაცმელი ცმოდა და ეს ითვლებოდა იმ შარმად, იმ ქარიზმად, რომლის გამოც ხალხს სააკაშვილი უყვარდა.

პუტინთან შეხვედრის შემდეგ მიშა აღარ მინახავს. მე მასთან უკვე დისტანცირებული ვიყავი და პრეზიდენტთან ურთიერთობისას წესს ვიცავდი, მას თავისი ახლო წრის ხალხი შემოერტყა: თედო ჯაფარიძე, გელა ბეჟუაშვილი, დიდი შავი სათვალით ფოიეში სრულიად მოულოდნელად ბიძამისი თემურ ალასანია გამოჩნდა. იქვე ვნახე უცნაური პერსონაჟები - ძმები ხიხინაშვილები, რომლებიც რუსეთის დაზვერვის შეფის, პატრუშევის მეგობრები არიან, მერე მათ ჩვენთან მეტალურგიულ ქარხანაზე დიდი პრეტენზიები ჰქონდათ; მიშა სურგულაძე - ტარიელ ონიანის ძმაკაცი. მოკლედ, სასტუმრო “მერიოტში” უცნაური წარმოშობის ქართველები “გაიჩითნენ”.

პუტინ-სააკაშვილის შეხვედრის დეტალებზე ოქრუაშვილი მომიყვა. დაგლიჯა, ძალიან მაგარი ვიზიტი იყოო, - იძახდა ოქრუაშვილი. რატომ, ირაკლი-თქო - ვკითხე. ჩვენ ვიცოდითო, რომ როცა პუტინი კარგ ხასიათზეა, რელაქსაციის დროს იგინებაო, როცა ჩვეულებრივზე 2-3 -ჯერ გაგრძელებული შეხვედრის შემდეგ გამოვედით და საქმიანი ლანჩი გაიმართა, პუტინი იგინებოდაო, ანუ ძალიან კმაყოფილი დარჩაო?!

ამის შემდეგ, სააკაშვილი რუს ბიზნესმენებს შეხვდა. ამ შეხვედრაზე მე, გოგი თოფაძე და სააკაშვილი ვიყავით. თოფაძე წამოიყვანა როგორც უდიდესი ქართველი ბიზნესმენი, მეინსტრიმი. იგი, რატომღაც, მიშასთან ახლობლობდა. შეგხვდნენ ჩუბაისი, დერიპასკა, ბენდუქიძე - მაშინ ჯერ იქაური ოლიგარქი, გენერალოვი, იტერას ხელმძღვანელი - მაკაროვი, სულ 15 ტოპბიზნესმენი.

მოსკოვურმა ვიზიტმა კარგად ჩაიარა. მიშას და პუტინის ურთიერთობა ფანტასტიურად დაიწყო. მათ ერთმანეთს გაუგეს და ერთმანეთს დიდი სიმპათიით დაშორდნენ. იმის ლაპარაკი, რომ პუტინი თავიდანვე გადაკიდებული იყო მიშაზე, არასწორია.

ჩემთვის გაუგებარი დარჩა, საიდან გაჩნდა ის უცნაური ხალხი ჩვენს ირგვლივ და რა ესაქმებოდათ ტარიელ ონიანის ძმაკაცებს პრეზიდენტის გარემოცვაში?

მე ხომ ჩემი მისია შევასრულე, გარდა ამისა, მიშას ქალებსაც ვართობდი, ლელა კილაძეს - სააკაშვილის გრიმიორს, და მარიკა ვერულაშვილს რესტორან-კაფეებში დავატარებდი. სააკაშვილს გრიმიორი ოფიციალურად, სატელევიზიო გამოსვლების წინ გრიმის წასასმელად ჭირდებოდა და მას პირისფარეშივით სულ თან დაატარებს. ლელა კილაძე ახლა გრიმიორი აღარაა, თბილისის მერიაში ძალიან დიდი თანამდებობაზე მუშაობს და დიდ საქმეებს აკეთებს.

სავაჭრო პალატა

ახალმა ხელისუფლებამ უცნაური საკადრო პოლიტიკა დაიწყო. ეს ძალიან მანერვიულებდა და ხშირად ვფიქრობდი ჰქონდა, თუ არა ჟვანიას პრემიერ მინისტრის და სააკაშვილს - პრეზიდენტის კომპეტენცია. 2003 წლის შემოდგომაზე სააკაშვილი ვერც კი იოცნებებდა, რომ წლის ბოლოს პრეზიდენტი გახდებოდა. ამიტომ არც თავად და არც მისი გუნდი ამხელა ძალაუფლების ხელში ასაღებად მზად არ იყვნენ. სააკაშვილის გუნდს მისი პარტიის წევრები - ვანო მერაბიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, გია ხევიაშვილი, გია ნაცვლიშვილი და კოტე კემულარია წარმოადგენდნენ.

“თავისუფლების ინსტიტუტი” სადღაც, ნახევრად დანგრეულ შენობაში შეხიზნული ცალკე ჯგუფი იყო, რომლის წევრებს მაქსიმალიზმისთვის პერიოდულად ხან მამა ბასილის მხარდამჭერები, ხანაც ლევან მამალაძის “ზონდერკამანდები” ცემდნენ. ბოკერია, ლევან რამიშვილი და ამ ჯგუფის სხვა წევრები სულ ცემა-ტყეპაში ჰყავდათ, ამიტომ ისინი ხალხს ეცოდებოდა, თუმცა მათ წინააღმდეგ პროპაგანდა ძლიერად მუშაობდა და ხალხს არწმუნებდა, რომ ისენი იეღოველები იყვნენ, რის გამოც ბევრს ეზიზღებოდა.

სააკაშვილის გუნდში არ იყო ზურა ადეიშვილი, რომელსაც, მიშას თხოვნით, მოგვიანებით ვარწმუნებდი, რომ იუსტიციის მინისტრი გამხდარიყო. სააკაშვილის გუნდს არც კახა ლომაია წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, არც სააკაშვილმა და არც ჟვანიმ არ იცოდნენ, რისთვის უნდა გამოეყენებინათ ხელისუფლება. შესაძლოა, ზურა ჟვანიამ თავის შესაძლებლობები დროებით დამალა, რომელსაც მომავალში, თუ პრეზიდენტი გახდებოდა, მერე გამოიყენებდა. მიშამ მხოლოდ ის იცოდა, რომ პრეზიდენტი შევარდნაძის და მისი გარემოცვის ლანძღვით გახდა და პირველივე დღიდან ყოფილი ჩინოვნიკების მასობრივი დაპატიმრება დაიწყო.

ინგლისელმა ჟურნალისტმა, ჯონათან ლითლმა ამ კამპანიის თაობაზე ძალიან საინტერესო წერილი დაწერა, სათაურად ერქვა “საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ - ლიბერალურ-ბოლშევიზმის ახალი ექსპერიმენტი.” ეს წერილი მოგვიანებით წავიკითხე და გავოცდი, იმდენად კარგად ასახავს 2004 წლის მარტ-აპრილის მოვლენებს.

ვფიქრობდი, რომ მიშაც და ზურაც “ლიბერალები” იყვნენ. ზურაზე ახლაც ასე ვფიქრობ, თუმცა სააკაშვილი არანაირი ლიბერალური ღირებულების მატარებელი არ აღმოჩნდა, ის კლასიკური ავტორიტარული მმართველია.

ხელისუფლებში მოსვლის შემდეგ სააკაშვილს მარტივი და ცინიკური გეგმა ჰქონდა. მას მიაჩნდა, რომ მოკლე დროში ეფექტის მისაღწევად ძველი შენობების ფასადები უნდა ეღება და ეღება. მისი აზრით, თუ რუსთაველის პროსპექტს თანამედროვედ მოაწყობდა, მას ლამპიონებით გაანათებდა და ფასადებს შეალამაზებდა ხალხი ამით კმაყოფილი იქნებოდა. შემდეგ კი იმ პოპულარობის ფონზე, რომელიც მას გააჩნდა - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეეცდებოდა. მისთვის და ქვეყნისთვის სამწუხაროდ,

როგორც აღმოჩნდა, მან დასახული გეგმა, მხოლოდ ფასადების შეღებვის ნაწილში შეასრულა.

რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ რევოლუცია არ მსურდა. მე ეს მართლა არ მინდოდა. მოვლენების ასეთ განვითარებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: შევარდნაძე სუსტი მმართველი იყო და ის და მისი კორუმპირებული გარემოცვა ხალხს მობეზრებული ჰქონდა; „რუსთავი 2“-ს ხელისუფლება და ბადრი პატარკაციშვილი განვითარების საშუალებას უსპობდნენ. ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძოდით და ამას რევოლუცია მოჰყვა, რის შემდეგაც ფიქრი დავიწყე, თუ როგორ უნდა გამოგვეყვანა ქვეყანა კრიზისიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჩვენ, ცხოვრების დონით, ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა ვიყავით. შევარდნაძის დროს საქართველო ეკონომიკური თვალსაზრისით და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, არა მარტო სომხეთს და აზერბაიჯანს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა ქვეყანას ჩამორჩებოდა.

მართალია, პოლიტიკური ძალაუფლების აღებას მოვერიდე, ვინაიდან ტელევიზიის მფლობელი ვიყავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ქვეყნის განვითარების კონცეფციის შექმნასაც გამოვკლებოდი.

მიმაჩნდა, რომ ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად ჩვენ არც სათანადო ცოდნა გვქონდა და არც საამისო გამოცდილება, ამიტომ ქვეყნის განვითარების კონცეფციის დამუშავება უცხოელი ექსპერტებისთვის უნდა შეგვეკვეთა. ასეთად ეგორ გაიდარი მესახებოდა. გაიდარმა რუსეთის პოსტსაბჭოთა ეკონომიკა კაპიტალისტურ რელსებზე გადაიყვანა. ის კარგად იცნობს იმ სირთულეებს, რაც მსგავსი ტიპის ეკონომიკების გაჯანსაღებას ესაჭიროება და მას შევთავაზე, კიდეც დაეწერა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მისეული ხედვები. გაიდარი დამთანხმდა, მან ამისთვის 250 ათასი დოლარი მოითხოვა, რაც აბსოლუტურად მისაღები ფასია. მზად ვიყავი ეს თანხა ჩემი ჯიბიდან გადამეხადა.

ვინაიდან გაიდარი მაინც პოსტსაბჭოთა ეკონომიკის ექსპერტია, მისი ნაშრომი ძირითად დოკუმენტად არ უნდა წარმოგვედგინა. მქონდა ინიციატივა, ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე სოლიდური კონფერენცია ჩაგვეტარებინა. ჩემი წარმოდგენით, უნდა მოგვეწვია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის რამდენიმე ლაურეატი, გამოჩენილი რეფორმატორები და ასევე მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოგვეწვია ცნობილი ეკონომისტები.

გვქონდა წინადადება, რომ ეს კონფერენცია კენიაში ჩაგვეტარებინა. შეგვეძლო მყუდრო გარემოში ჩავკეტილიყავით და ეს ფუნდამენტური ნაშრომი შეგვექმნა. ჩვენი მხრიდან მე და პრემიერ-მინისტრი ვგეგმავდით ამ კონფერენციაში მონაწილეობას. სააკაშვილს მსგავსი ტიპის პრობლემები არ აწუხებდა. მისთვის მაშინ უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ იჟღერებდა ახალი ჰიმნი.

მინდოდა შეგვექმნა საქართველოს მრავალწლიანი განვითარების გეგმა, რაზეც დღესაც ვლაპარაკობ. ამ გეგმით უნდა მომხდარიყო ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და ნორმალური, განვითარებული ქვეყნის წყნარად ჩამოყალიბება.

გვსურდა, რომ თვითოეულ სფეროს განვითარებაზე გაწერილი პროგრამით გვემუშავა. გლობალური ეკონომიკის პირობებში რა უნდა გამხდარიყო სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტული დარგი, რა იქნებოდა საექსპორტო კულტურები, ჩაი მოგვეყვანა თუ არა? მეღვინეობა როგორ განგვევითარებინა, სად, რომელ რაიონში აჯობებდა მეცხოველეობის განვითარება, შეგვესწავლა ტრადიციული და ახალი ბაზრები. ეკონომიკის რა სფეროები წამოგვეწია - მძიმე მრეწველობა, მოპოვებითი მრეწველობა, ტურიზმი თუ სხვა. რა უნდა ყოფილიყო პრიორიტეტი მეცნიერებაში, განათლების სფეროში და ასე შემდეგ. მთავარია, რომ ეს პრობლემები სისტემურად განიხილებოდა. უნდა შეხედო სად არის შენი ტრადიციული ბაზრები, რომელი დარგის განვითარება შეგიძლია, ქვეყანას რისი წარმოების პოტენციალი აქვს,

შეგვეფასებინა ადამიანური რესურსები - ასეთ ფუნდამენტურ გამოკვლევას ვაპირებდით.

ამ დოკუმენტის მომზადების შემდეგ უნდა შემდგარიყო მთავრობის ეკონომიკური გუნდი, რომელიც რეფორმატორულ ღონისძიებებს კვალიფიციურად განახორციელებდა. ჩვენ საამისო ხალხი არ გვყავს, ამიტომ უცხოეთში კვალიფიციური ადამიანები მინისტრებად უნდა დაგვექირავებინა.

ჩვენ პრემიერ-მინისტრად კარგა ხანს ბრიტანეთის მოქალაქე ლადო გურგენიძე გვყავდა, თავდაცვის მინისტრად - ისრაელის მოქალაქე კეზერაშვილი, ეკონომიკის მინისტრად ამერიკის მოქალაქე - ეკა შარაშიძე, რუსეთის მოქალაქეები არიან - საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე და ეკონომიკის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი - კახა ბენდუქიძე.

არ ვიცი ეს ხალხი რა ნიშნით შეარჩიეს, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ჩვენთვის, მთავარი იყო ქვეყნის წინსვლისთვის ჭკვიანი მინისტრები გვყოლოდა, მათი მოქალაქეობას სულ არ მივაქცევდით ყურადღებას.

რეფორმები ხალხისთვის მძიმე იქნებოდა და ამიტომ მათი ავტორები გარანტირებულად არაპოპულარულები იქნებოდნენ. მათი ნაშრომი შედეგს წლების შემდეგ მოიტანდა. მთავარი იყო შეგვექმნა რეფორმის ფუნდამეტი, რომელიც შეუქცევად პროცესად გადაიქცეოდა. ჩემი წინადადება გახლდათ, რომ რეფორმატორებისთვის ე.წ “ოქროს ქოლგა” შეგვექმნა, ანუ 5 წლის შემდეგ, როცა შედეგს მივიღებდით, თითოეული მათგანი რამდენიმე მილიონ დოლარს მიიღებდა და მშვიდად გააგრძელებდა ცხოვრებას.

ჩემთვის სამაგალითოა დუბაის ფენომენი. პირდაპირ სასწაულია, რაც გაერთიანებულ ემირატებში ხდება: ამ უდაბნოში ლამის ყოველდღე შენდება ცათამბჯენები, უდაბნოში ერთი პალმის შენახვაზე ყოველწლიურად დაახლოებით 5 000 დოლარი იხარჯება, იხსნება უნივერსიტეტები და ამ ფენომენის ფუნდამენტი ბრიტანულ განათლებაში დევს, რომელიც შეიხის ოჯახის რამდენიმე წევრმა მიიღო. მათ ქვეყანაში ინგლისელი ექსპერტები ჩამოიყვანეს და მათთან ერთად შექმნეს ეს საოცრება. ამ ქვეყანაში ნავთობიდან და გაზიდან შემოსავალი მთლიანი ბიუჯეტის მხოლოდ შვიდ პროცენტს შეადგენს.

გასული 5 წლის მანძილზე ჩვენ რომ რეფორმები გაგვეტარებინა, ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდებოდა. ფასადების ღებვით მხოლოდ ფასადურ წარმატებას მოიმკი, აგვისტოს ომმა ეს, სამწუხაროდ, ნათლად აჩვენა.

შესაძლოა, ასეთი შედეგის მიზეზი, ისიც იყო რომ სააკაშვილი საკადრო პოლიტიკას ძალზე ზერელედ ეკიდებოდა. ალბათ თავიდანვე განზრახული ჰქონდა, რომ ყველაფერი თვითონ ემართა და ამის გამო დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ვინ რისი და როგორი მინისტრი იქნებოდა.

ძალოვან მინისტრებს პრეზიდენტი ნიშნავდა, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებაში არასოდეს ჩავრეულვარ. აქ პროფესიონალი კადრები უნდა დაეწინაურებინათ და წარმოდგენა არ მქონდა, ვინ ივარგებდა თავდაცვის, უშიშროების ან შინაგან საქმეთა მინისტრებად.

ჩემთვის გაუგებარი იყო, რა დამსახურებისთვის დანიშნეს, გიგი წერეთელი ჯანდაცვის მინისტრად. გიგი წერეთელი შევარდნაძეს ოპოზიციაში ისე ჩაუდგა, რომ არც მანამდე და არც ამის შემდეგ, მის წინააღმდეგ ხმა არასოდეს ამოუღია. 5 ნოემბერს საპროტესტო აქციაზე გაიარ-გამოიარა, მერე შეხედა მოვლენებს, 20 ნოემბერს წავიდა და შარდი ჩააბარა, რომ ამ გაყალბებული არჩევნებით, დეპუტატის მანდატი მიეღო და რევოლუციის შემდეგ, უცბად სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში აღმოჩნდა. გიგი ყველა ხელისუფლებაში იქნება, ის მარადიული ფიგურაა, სააკაშვილს სულ არ დაუპირისპირდება, ისე გადაინაცვლებს მომავალ ხელისუფლებაში.

ეს კაცი დანიშნეს ჯანდაცვის მინისტრად და ორ კვირაში თქვა, აღარ მინდა მინისტრობა, ისევ პარლამენტარობა მირჩევნიაო და ალღომ არ უმტყუნა: მას შემდეგ რამდენიმე ჯანდაცვის მინისტრი გამოიცვალა, გიგი მერამდენიმეღაცედ გახდა დეპუტატი და თავს კომფორტულად გრძნობს.

ასევე, გაუგებარი გახლდათ კონფლიქტების დარეგულირების მინისტრად გოგა ხაინდრავას დანიშვნა. ხაინდრავა არანაირი რევოლუციონერი არ იყო, გოგა 15 ნოემბერს შეუერთდა საპროტესტო აქციის მონაწილეებს და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უმალვე მინისტრად დანიშნეს.

თავდაპირველად, კონფლიქტების დარეგულირების მინისტრად ნიკა რურუას კანდიდატურას განიხილავდნენ და ჟვანია მის გამინისტრებას აპირებდა, მაგრამ გია ბარამიძე სასტიკი წინააღმდეგი წავიდა, მკვლელია, ბანდიტი, “ბოროტების საძმოს” წევრი იყოო, - გაიძახოდა და ჟვანიამ მის დანიშვნაზე თავი შეიკავა და მინისტრი ხაინდრავა გახდა. ხაინდრავა ზურასთან მეგობრობდა და ეს ფაქტორი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას ის მინისტრად დაენიშნა.

ამ ხალხის კომპეტენტურობაშიც და გულწრფელობაშიც ეჭვი მეპარებოდა, ორივენი ბოლო მომენტში შემოგვიერთდნენ და თუ რევოლუცია დამარცხდებოდა, წერეთელს შარდი ჩაბარებული ჰქონდა და დეპუტატი გახდებოდა, ხაინდრავას კი დამსახურება ჰქონდა - ის ხომ ოპოზიციის კანდიდატებს უპირისპირდებოდა არჩევნებში, რასაც მას ალბათ დაუფასებდნენ.

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, ნიკა ტაბატაძემ სანაიას მკვლელობის შემდეგ მიმატოვა და ინგლისში წავიდა, მერე ამერიკაში ჩავიდა და რევოლუციამდე გაქრა. არადა, მე მას “რუსთავი 2”-ის წილის 10 პროცენტი ვაჩუქე, იმის დასამტკიცებლად, რომ მას ძალიან ვენდობოდი. ეს ტაბატაძე რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდა და სააკაშვილმა მასზე მკითხა, რას იტყვი ეკონომიკის მინისტრად რომ დავნიშნოო. “აუ, არა! რატომ?! რა ეკონომიკის მინისტრი ტაბატაძე იქნება, რაის ეკონომიკა, ეგ უბრალოდ უსინდისო კაცია”, - ვუკივლე სააკაშვილს.

ტაბატაძეზე ნაწყენი ვიყავი. შუა გზაში ჯერ აქ ჩვენ მიგვატოვა და მერე ინგლისში მისი მეუღლე, ნინო ქაჯაიაც მიატოვა, რომელმაც აქ ჟურნალისტის წარმატებულ კარიერაზე უარი თქვა და მაგას “დეკაბრისტის” ცოლივით უკან გაჰყვა.

მეც უსინდისოდ მომექცა. ის ნაჩუქარი წილი გაყიდა და ფული შეირგო, ხოლო კრიტიკულ სიტუაციაში ერთხელაც არ გავხსენებივართ.

მიუხედავად ამისა, მე სააკაშვილს მაინც ვუთხარი, მაგის დანახვაც არ მინდა და შენ სადაც გაგეხარდება იქ დანიშნე - მეთქი.

სააკაშვილი ადგა და ტაბატაძე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნა. ეკონომიკის მინისტრად რატომ ნიშნავდა ან საგარეო საქმეთა სამინისტროში რატომ დანიშნა - ერთმა სააკაშვილმა უწყის.

ძირითად მიზნად, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას ვისახავდით და ჟვანიამ ეკონომიკის მინისტრად აბსოლუტურად მოუმზადებელი, 26 წლის ახალგაზრდა - ირაკლი რეხვიაშვილი სრულიად უარგუმენტაციოდ დანიშნა.

რეხვიაშვილის დანიშვნამდე ეკონომიკის მინისტრის პოსტი მე შემომთავაზეს.

მიხეილ სააკაშვილმა დამირეკა და პეროვსკაიას ქუჩაზე ნორვეგიულ რესტორანში დამპატიჟა. ეს რესტორანი იმით იყო ცნობილი რომ მწვადს ქვებზე წვავდნენ. მივედი. აქ დამხვდნენ სააკაშვილი, ჟვანია, მიშა მაჭავარიანი და ირაკლი ჩუბინიშვილი.

სააკაშვილმა ამათი თანდასწრებით მითხრა: ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ და ვფიქრობთ, რომ იქნებ შენ გახდე ეკონომიკის მინისტრი.

პირველად რევოლუციის მეორე დღესვე ვთქვი თანამდებობაზე უარი, მიშას არც ამჯერად დავთანხმდი. ჩემი არგუმენტაცია მარტივად ჩამოვაყალიბე: მანამ, სანამ მე „რუსთავი 2“-ის მფლობელი და დირექტორი ვიყავი, ჩემი მინისტრად დანიშვნა შეუძლებლად მიმაჩნდა, ვინაიდან მერე მართლა ოლიგარქობას დამაბრალებდნენ, რაც ძალიან არ მსურდა და ამასთან, სააკაშვილს ვურჩიე, იქნებ მინისტრად ჩემზე გამოცდილი ეკონომისტი დაენიშნა. ამის მერე დანიშნეს მინისტრად ეს ირაკლი რეხვიაშვილი.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ზურა ჟვანიამ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტობა შემომთავაზა. ჟვანიას თქმით, ეს არ იყო სახელმწიფო თანამდებობა, შემეძლო ბიზნესში ლეგალურად დავრჩენილიყავი და პარალელურად ქვეყანაში ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე მემუშავა. ჟვანიას სიხარულით, დაუფიქრებლად დავთანხმდი და რამდენიმე დღეში სავჭრო პალატის წევრთა ყრილობა გაიმართა.

ყრილობაზე პრემიერ-მინისტრი და ეკონომიკის მინისტრები მოვიდნენ. ჟვანიამ ბიზნესმენებს მიმართა, რომ პალატის თავმჯდომარედ მათ სიხარულით წარუდგენდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენს და მის მეგობარს - ეროსი კიწმარიშვილს.

“ვიოცნებოთ, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლიდან პირველივე წელს, ინვესტიციამ მილიარდს გადააჭარბოს, აი ეს არის ჩემი ორიენტირი” - ვუთხარი ბიზნესმენებს და დავპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი მათთვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შესაქმნელად.

მე გავხდი საჭრო პალატის ხელმძღვანელი, რაც პრესამ შეაფასა, რომ ხელისუფლებამ ბიზნესის სახედ კიწმარიშვილი აირჩია. საზოგადოებას და მით უფრო ბიზნესმენებს, თავიანთი მენტალობიდან გამომდინარე ისე წარმოედგინათ, რომ ყველა საქმეს და მათ შორის ბიზნესმენთა დავებს გადავწყვეტდი. ისინი ფიქრობდნენ, რომ მე ბიზნესში “ქურდი” გავხდი.

ჩემამდე სავაჭრო პალატას ედუარდ შევარდნაძის მძახალი, პაატას სიმამრი გურამ ახვლედიანი ხელმღვანელობდა. ამ დროს ის უკვე ქვეყნიდან გაიქცა. მის სახელს ბევრი ჩრდილოვანი საქმიანობა უკავშირდებოდა, იგი არაოფიციალურად მართავდა ფოთის პორტს, მასვე მიაწერდნენ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის 150 მილიონ დოლარიან დავალიანებას.

პირველად, რაც ამ თანამდებობაზე ყოფნისას გავაკეთე, კინოთეატრ “ამირანის” დარბაზში ბიზნესმენთა ყრილობა მოვიწვიე. ვფიქრობდი, რომ აუცილებელიად უნდა გამოგვეცხადებინა ფინანსური ამნისტია. ეს მთავარ ღონისძიებად მესახებოდა. ჟვანიამ შემომთავაზა, ყრილობის მუშაობაში ბიზნესმენთა ფედერაციაც გაგვერია, რომლის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი გახლდათ. მე დავთანხმდი, თუმცა მერე ბადრი ფინანსური ამნისტიის ავტორობაში შემომიზიარა.

ყრილობას მსხვილი და საშუალო ბიზნესის 1000 წარმომადგენელი დაესწრო. ვინც თავს ბიზნესმენად

თვლიდა ყველა დავაპატიჟებინე.

პირველ რიგში ვსხედვართ: ჟვანია, სააკაშვილი და მე. ყრილობა მე გავხსენი. მე ვთქვი, რომ სახელმწიფომ ბიზნესს სამართლიანი თამაშის წესები უნდა დაუწესოს, რათა ბიზნესმენი პირნათელი იყოს ბიუჯეტის და ქვეყნის წინაშე, ხოლო მეორეს მხრივ, თავად დაცული იყოს ხელისუფლებისგან. მიმაჩნდა, რომ შევარდნაძის დროს, უვარგისი საგადასახადო კოდექსი გვაიძულებდა შემოსავლები დაგვემალა და ბევრი უსამართლო გადასახადისთვის გვერდი აგვევლო. მას შემდეგ, რაც ჩვენ ხელისუფლების სათავეში მოვედით, უნდა შევეცადოთ, რომ ყველა იყოს მხოლოდ კანონის წინაშე ვალდებული და არავითარი სხვა ვალდებულება მათ არ ჰქონდეთ.

ჩემი ინიციატივით, ხელისუფლებას ახალი საგადასახადო კოდექსი უნდა მიეღო, სადაც გადასახადები ოპტიმიზირებული გახდებოდა და თანაც შემცირდებოდა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მაშინ ბიზნესს გააჩნდა ამ კოდექსის ბუნდოვანი შინაარსი იყო. ერთი და იგივე წინადადებას შენ კითხულობდი ერთნაირად, შენი ფინანსისტი წაიკითხავდა მეორენაირად, და როცა საგადასახადო სამსახურის წარმომადგენელი მოგაკითხავდა ის ამას მესამენაირად წაგიკითხავდა. შემდეგ ეს ჯიბიდან კოდექსის მუხლის განმარტებას გააძრობდა და მისი მიხედვით ვალებს დაგიწესებდა და მერე იწყებოდა ვაჭრობა, რომ მოდი ამდენს გადაგიხდი და ეს ვალი ჩამომაწერე. ამის გამო ყველა კრიმინალურ საქმიანობას ჩავდიოდით, მოკლედ, რომ ვთქვათ, საქართველოში ბიზნესმენს თუ რამის კეთება უნდოდა, ყველას რაღაცა უნდა მოეპარა. საგადასახადო კოდექსი დამოკლეს მახვილივით გვეკიდა თავზე.

ფინასური ამინისტიის გამოცხადებით ჩვენ ბიზნესმენებთან ურთიერთობას სუფთა ფურცლიდან დავიწყებდით. მხოლოდ ერთი პირობა გვქონდა, ყველას უნდა გამოეცხადებინა რა თანხა ჰქონდა ბიუჯეტისთვის გადამალული, რომელსაც ამნისტია ჩამოაწერდა და რის შემდეგაც, ახალი სამართლიანი საგადასახადო კოდექსის მიხედვით პატიოსნად უნდა დაეწყოთ გადასახადების გადახდა.

ჩემს შემდეგ პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა დაადასტურეს, რომ ჩემს ინიციატივებს მხარს უჭერდნენ.

ამის შემდეგ, ტრიბუნაზე ბადრი პატარკაციშვილი მივიპატიჟე. ბადრი სცენაზე ამოვიდა და ჩემს გვერდით დადგა. უამრავი სურათი გადაგვიღეს, გაზეთები ჯერ წერდნენ, რომ ჩვენს შორის კონფრონტაცია დასრულდა, ხოლო მოგვიანებით ჩვენს ერთობლივ ფოტოებზე დააწერეს: „ვინ გაიმარჯვებს ოლიგარქების ომში“.

ბადრის მიმართ მე ტოლერანტულად განვეწყვე, ამიტომ მივიპატიჟე ტრიბუნაზე. მე მისგან ყოველთვის თავს ვიცავდი, არც ერთხელ კონფრონტაციაზე პირველი არ წავსულვარ. თუ დაპირისპირება დასრულდებოდა მე ეს ნამდვილად არ მეწყინებოდა.

მინდოდა სავაჭრო პალატა ბიზნესმენთა აქტიური შეხვედრების ადგილად მექცია. ეს მის ძველ ვიწრო და მოუხერხებელ ოფისში წარმოუდგენელი იყო, ეს ფართი მხოლოდ კულუარული შეხვედრებისთვის გამოდგებოდა, მე კიდევ ღია, საჯარო ფორუმების თუ შეხვედრების ჩასატარებლად ვემზადებოდი.

ზურა ჟვანიას ვთხოვე, რომ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე „საქინფორმის“ ნახევრად უფუნქციო შენობა უზურფუქტის წესით, სავაჭრო პალატას გადმოსცემოდა. ეს საბჭოთა პერიდში, 30-იან წლებში ე. წ. სოცარტის სტილში აგებული ულამაზესი შენობაა. საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი შედევრი. ჩემი გეგმით, მოზიდული ინვესტიციების საშუალებით ეს შენობა მოწვეულ რუს არქიტექტორებს საბჭოთა სტილში უნდა გაერემონტებინათ. ამ მიზნით, საქინფორმის დირექტორად “რუსთავი 2”-ის წამყვანი ნინო ხოშტარია დავანიშნინე, რომელსაც, ჩემი აზრით, საკმაოდ კარგი გემოვნება აქვს.

განახლებული სავაჭრო პალატის პირველ სართულზე პრესკონფერენციების დარბაზი უნდა მომეწყო, სადაც ბიზნესმენები ჟურნალისტებს შეხვდებოდნენ. აქვე ახალგაზრდა ბიზნესმენებისთვის სასწავლო სემინარებს ჩავატარებდით. ეს უნდა გამხდარიყო უცხოელ ბიზნესმენებთან კომუნიკაციის ადგილი. მეორე მხარეს, იქ სადაც, სარდაფში თეატრია განთავსებული, მსხვილი ბიზნესმენებისთვის დახურული კლუბი უნდა მოგვეწყო. ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც ამ კლუბის ძვირადღირებულ ბარათს იყიდდა ამ კლუბის წევრი გახდებოდა და მათთვის საინტერესო საკითხებზე ნებისმიერი რანგის და ინტერესის შეხვედრებს მოვაწყობდი. შენობის მეორე სართულზე თავად სავაჭრო პალატა განთავსდებოდა, თავისი დივერსიფიცირებული მიმართულებებით.

ფაქტობრივად, ქალაქის ცენტრში სახელმწიფო ერთი თეთრის დაუხარჯავად ულამაზეს და უძვირეს შენობას მიიღებდა, რომელშიც ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ მრავალმხრივი მუშაობა გაჩაღდებოდა.

სამწუხაროდ, ჩემი პროექტი რიგი მიზეზების გამო, რომელსაც შემდგომ მოგახსენებთ, ვერ განხორციელდა. ეს შენობა, კი მგონი 5 მილიონ დოლარად გაყიდეს და ის დღესაც ბინძურად გამოიყურება, სადაც პირველ სართულზე სიგარეტის ჯიხურებია ჩამწკრივებული.

პარალელურად, ჩემი ბიზნესის განვითარებაზე ვზრუნავდი. ”ჯორჯიან ონლაინში” ჩემს პარტნიორებთან, დათო დვალთან და მერაბ ბუზალაძესთან ერთად კომუნიკაციის ბიზნესის განვითარების მარტივი სქემა შევიმუშავეთ.

ფიქსირებულ ქსელებს, რომელსაც პოპულარული ენით, ქალაქის ტელეფონს ვეძახით, ახალ სეგმენტს, ე.წ უმავთულო სატელეფონო კომპანიას დავუმატებდით და უმსხვილეს კომპანიას მივიღებდით, რომლის საერთო კაპიტალიზაცია სოლიდური თანხა გახდებოდა. ამ უკაბელო სატელეფონო კომპანიის შესაქმნელად ლიცენზიის აღებას ვაპირებდი. ჩვენ უკვე შეთანხმებული ვიყავით ფრიდონ ინჯიასთან, ვისაც კერძო კომპანია “ახალი ქსელები” ეკუთვნის, ჩვენი რესურსები გაგვეერთიანებინა. ამ რესურსით გავერთიანდებოდით „ელექტროკავშირთან“, რომელიც სახელმწიფო კომპანიად დარჩებოდა, მაგრამ ამ ყველაფრის მენეჯმენტს, ხუთი წლის ვადით ჩვენ განვახორციელებდით.

„ელექტროკავშირს“ 300 000 აბონენტი ჰყავდა, „ახალ ქსელებს“ - 180 000.

დადგენილია, რომ საშუალოდ, ერთი სატელეფონო აბონენტი 300 დოლარი ღირს. 300 000 აბონენტის პირობებში ელექტროკავშირის მთლიანი ღირებულება 90 მილიონი გამოდიოდა, თუმცა ეს არარეალურად მაღალი ფასია, ვინაიდან ამ 300 ათასიდან აქტიური 150 000 ათასი აბონენტია, ანუ თბილისის მოსახლეობა. რაიონების აბონენტთაგან წლიური შემოსავალი მიზერულ თანხას შეადგენს. შევარდნაძის პერიოდში პირობითად „ელექტროკავშირის“ ფასი 50 მილიონს თუ შეადგენდა.

ჩვენი მენეჯმენტის პირობებში, როცა სერვისს გავზრდიდით, დავამატებდით საკაბელო ტელევიზიას, ინტერნეტს, ოპტიკურ - ბოჭკოვან კაბელს, და მომხმარებელთა არეალს მნიშვნელოვნად გავზრდიდით, 5 წლის თავზე ამ კომპანიის ფასი ნახევარი მილიარდი გახდებოდა.

ამის შემდეგ, თვითონ სახელმწიფო გადაწყვეტდა, როგორ გაეყიდა ეს კომპანია: პირველი, შესაძლოა კომპანია დაექსაქსა და ცალ-ცალკე სეგმენტად გაეყიდა. მარტო ვაკის 22-იან ატეესს 100 მილიონ დოლარად გავყიდდით. მეორე გზა იყო, კომპანიის ლონდონის ბირჟაზე გაყიდვა. მესამე, შეგვეძლო ეს სტრატეგიული ინვესტორისთვის მიგვეყიდა, ისეთებისთვის, როგორებიცაა - ბრითიშ ტელეკომი, თურქტელეკომი, ფრანსტელეკომი ან დოიჩეტელეკომი.

ჩვენ აქ უნდა მოგვეყვანა მსხვილი ინვესტორი და არა სპეკულიანტები ყაზახეთიდან, რომელთაც, რაღაც ფული ჩადეს ამ ბიზნესში და ეს სფერო სულს ღაფავს, რის გამოც ხან სატელეფონო და ხანაც ინტერნეტ მომხმარებელია დაზარალებული. სფერო არ ვითარდება. ჩვენმა ხელისუფლებამ „ელექტროკავშირი“ 80 მილიონ დოლარად გაყიდა, როცა ჩვენი გეგმით ამაზე მეტ თანხას ერთი ატეესის გაყიდვიდან მივიღებდით. ასეთი სტრატეგიით, ჩვენ ყველა მოვიგებდით. თუკი მე 50 მილიონიან კომპანიას ნახევარ მილიარდ დოლარის ღირებულებამდე გავზრდიდი, ჩვენი ბიზნეს ჯგუფი წარმატებული ბიზნეს პროექტისთვის 10 პროცენტს მიიღებდა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმაა.

გარდა იმისა, რომ ვაპირებდით „ელექტროკავშირის“ მენეჯმენტის ხელმძღვანელობას, ჩვენი საკომუნიკაციო ბიზნესი 5-6 სეგმენტს მოიცავდა. შესაძლებელი იყო მობილური კომპანიაც შემექმნა და ფიჭური კავშირგაბმულობის სეგმენტშიც დავმკვიდრებულიყავით. ამას გარდა, რახან ბიზნესში დარჩენას ვაპირებდი, გადავწყვიტე მეხამრიდის ფუქცია მეკისრა და ხელისუფლებაში გადაბარგებული რევოლუციონერებისთვის ფინანსურად ხელი გამემართა.

მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ინაუგურაციის შემდეგ პირდაპირ აჭარაში ჩავიდა და ბათუმში ასლან აბაშიძემ მას, როგორც ქვეყნის მთავარსარდალს, სამხედრო აღლუმი მოუწყო. სააკაშვილი დემონსტრირებას ახდენდა, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი ის იყო. ცხადად ჩანდა, რომ მიშა ასლან აბაშიძის თავნებობას არ დაუშვებდა. მით უფრო, რომ აბაშიძე ცენტრალურ ხელისუფლებას აღიზიანებდა, აჭარა შევარდნაძის დროინდელი მაღალჩინოსნების თავშესაფარი გახდა. ასე შეაფარა ბათუმს თავი რკინიგზის ყოფილმა ხელმძღვანელმა აკაკი ჩხაიძემ, რომელზეც გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და პასუხისგების თავიდან ასაცილებლად მან ბათუმს მიაშურა, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გია ბარამიძემ მის დასაპატიმრებლად ვერტმფრენით სპეცრაზმი გადასხა და ოპერაცია წარმატებით ჩაატარა.

ხელისუფლებას ბუნებრივია აშფოთებდა სარფის საბაჟოც, რომელსაც ის ვერ აკონტროლებდა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენდა.

ბათუმში ვიზიტის შემდეგ, სააკაშვილმა საპრეზიდენტო ფიცი დავით აღმაშენებლის საფლავზე - გელათის მონასტერში დადო და მის უპირველეს მიზნად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გამოაცხადა. მან მითებში გადაინაცვლა. სააკაშვილის ამ მიმართულებით სწრაფვა ასლანს თრგუნავდა, ისევე როგორც თრგუნავდა თავად სააკაშვილიც: ასლანი სიმაღლით, მგონი მეტრი და 55 სანტიმეტრია, მიშა კიდევ - 2 მეტრზე მაღალი.

გარდა პოლიტიკური ოპონირებისა, აბაშიძე და სააკაშვილი ერთმანეთს პიროვნულადაც ემტერებოდნენ. რამდენიმე წლით ადრე, მიშა საპარლამენტო არჩევნებში კენჭს ვაკის რაიონში იყრიდა და არჩევნების წინ თბილისში ვიდეოკასეტები გავრცელდა, სადაც მიშა აბანოში ბანაობის დროს ვიღაც მეგობარ ქალს ესაუბრებოდა და თან ანანიზმს ეწეოდა. ამ კასეტას მიშას მეტოქე კომპრომატად იყენებდა. ეს ვიდეომასალა აჭარაში, დაბა ჩაქვის სასტუმროში ფარულად გადაიღეს და სააკაშვილი ამის გამო აბაშიძეს ადანაშაულებდა. ამდენად, მიშას ასლანის მიმართ შურისძიებაც ამოძრავებდა.

სააკაშვილი ასლანზე ზეწოლას აძლიერებდა. იქ ჯერ რესპუბლიკური პარტია გააქტიურდა, რომელთა ლიდერებს ასლანთან დიდი ხნის დაპირისპირება ჰქონდათ, მერე ვანო მერაბიშვილმა და გივი თარგამაძემ ასლანის გარემოცვის წევრების და მაღალი თანამდებობის პირების მოსყიდვა და გადმობირება დაიწყეს, რის გამოც დაძაბულობამ პიკს მიაღწია. მე ამ დროს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პროექტებზე ვმუშაობდი და ამ პროცესებში არ ვმონაწილეობდი. ჩემთვის შემაშფოთებელი გახლდათ ის, რომ ასლანს გარემოცვაში ვიღაც რუსი გენერალი ნეტკაჩოვი ჰყავდა, რომელიც იქ რაღაც

სპეცრაზმებს აყალიბებდა და ვშიშობდი, რომ დაპირისპირება სისხლისღვრაში არ გადაზრდილიყო.

სიტუაციის განსამუხტად ასლანთან მორიგეობით ჩავიდნენ ზურაბ ჟვანია, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, მაგრამ ამ ვიზიტებმა შედეგი ვერ მოგვცა.

ამის შემდეგ, სააკაშვილს ვუთხარი, რომ მე ჩავიდოდი ასლანთან მოსალაპარაკებლად. ჩემთვის ამის გაკეთება უფრო იოლი იყო, ვინაიდან მე სახელმწიფო თანამდებობა არ მქონდა, რაც ლავირების მეტ საშუალებას მაძლევდა, თანამდებობრივი პასუხიმგებლობისგან თავისუფალი ვიყავი და შემეძლო თამამად მესაუბრა. მთავარი იყო, გამეგო რა სურდა ხელისუფლებას ასლანისგან, რომ მისთვის სათქმელი ზუსტად ჩამომეყალიბებინა.

ხელისუფლებას სურდა, რომ ასლანი გადამდგარიყო და ამის სანაცვლოდ უსაფრთხოების გარანტიას მიიღებდა. მისი ოჯახი შეინარჩუნებდა იმ ბიზნესებს, რომელიც მანამდე გააჩნდათ. ასევე თუ ქვეყნის დატოვებას მოისურვებდა მას უსაფრთხოების კორიდორს გაუკეთებდნენ. მისი გადადგომის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტს მისი ვაჟი - გიორგი ჩაიბარებდა.

ასლანს, რომელსაც განდიდების მანია სჭირდა და ფიქრობდა, რომ დედამიწა მის ირგვლივ ტრიალებდა, ვერავინ უბედავდა პირდაპირ თქმას, რომ ერთადერთი გამოსავალი მისი თანამდებობიდან წასვლა იყო. ეს მისია ჩემს თავზე ავიღე და გადავწყვიტე ბათუმში ნიკა რურუა წამეყვანა. ეს იმიტომ, რომ გიორგი აბაშიძე მის ძმასთან მეგობრობდა.

გიორგი აბაშიძე ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა. ის ძვირადღირებული მანქანებით მოძრაობდა, ერთობოდა, თავს აწონებდა ქალებს, მაგრამ ამას პროვინციულ ბათუმში ნაკლები ფასი ჰქონდა, ამიტომ მისი გართობის ძირითადი ადგილი თბილისი იყო. ეს ყველა ქართველი ახალგაზრდისთვის ასეა, გასართობად ბათუმი და ზღვა მხოლოდ ზაფხულშია კარგი. მართალია, გიორგი აბაშიძეს ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ასლანის შვილობით ევროპული ახალგაზრდობის “ტუსოვკის” წევრი ვერ გახდებოდა, მას ამის გაქანება არ ჰქონდა. სად ეამაყება ქართველს რომ კარგად ჩანდეს? შარდენზე, ვაკეში, ბარნოვზე... აი, აქ დადიოდა გიორგიც და აქაურ ახალგაზრდებთან ინტეგრირებული იყო. მამამისისგან განსხვავებით, რომელიც დედაქალაქში საერთოდ არ ჩამოდიოდა, გიორგის თბილისური კავშირები გვაძლევდა საშუალებას, რომ ის თანამდებობრივადაც ასლანის მემკვიდრედ განგვეხილა.

რურუამ წინასწარ დაურეკა გიორგი აბაშიძეს და გადასცა, რომ მამამისთან მოსალაპარაკებლად ჩავდიოდით და ამ შეხვედრის ორგანიზება გაეკეთებინა.

ბათუმში ჩემი მანქანით წავედით. ყოველთვის დამთრგუნველად მოქმედებდა მდინარე ჩოლოქზე ავტონომიის საზღვრის გადაკვეთა. ასლანს იქ პოლიციელთა გაძლიერებული რეჟიმი ჰქონდა დაწესებული. თუმცა, ამ ჯერზე ძალიან თავაზიანად დამხვდნენ, უკვე ძალიან ცნობილი ადამიანი ვიყავი და დიდი ფაცი-ფუცით ბათუმამდე ესკორტით ჩაგვაცილეს.

ბათუმში კორტებთან მდებარე სასტუმროსთან გიორგი აბაშიძე გველოდებოდა. ეს ტერიტორია საგანგებოდ დაცული ჰქონდათ, ყველა ხის უკან შეიარაღებული პირი იდგა და ერთი კილომეტრის რადიუსში ასლანის და მისი გარემოცვის გარდა არავის ჰქონდა გავლის უფლება.

გიორგი აბაშიძეს პირველად შევხვდი, ძალიან გამხდარი, ფერმკრთალი, დაღლილი თვალებით იყურებოდა და წყნარად საუბრობდა. მისი მონსტრობის თაობაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ, თუმცა პირად ურთიერთობაში უსიამოვნო შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. როგორც ამბობდნენ, მაშინ აქტიური ნარკომანი

იყო.

გიორგის ავუხსენი, რომ ვითარების ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო და სახელმწიფოს გავლენის გაძლიერება მათი ოჯახის ინტერესების შეულახავად რომ განხორციელებულიყო, მაქვს წინადადება, რომ ასლანის ადგილი შენ დაიკავო, ვინაიდან ის ჯიუტი კაცია, დღევანდელ ხელისუფლებასთან ბოლომდე გაფუჭებული აქვს ურთიერთობა და მასთან მორიგება ძალიან არარეალურად ჩანს მეთქი.

გიორგიმ წყნარად მომისმინა, მას არც შეკითხვები დაუსვამს და არც წყენა გამოუხატავს, - კი, რა თქმა უნდა, მამაჩემს შეგახვედრებთო და ამბის გადასაცემად ასლანთან წავიდა.

ახლა ველოდებოდი, რომ ასლანი თავისი ცნობილი რიტუალიდან გამომდინარე, მთელ დღეს აქ დაგვაყუდებდა, მაგრამ გიორგიმ სწრაფადვე დაგვირეკა, ასლანი ნახევარ საათში მიგიღებთო და მისი რეზიდენციისკენ წავედით.

ასლანს მისაღებში თბილისიდან გაქცეული ფირმა “ომეგას” პრეზიდენტი ზაზა ოქუაშვილი და მისი მეუღლე, ყოფილი პარლამენტარი ნატო ჩხეიძე ელოდებოდნენ.

კაბინეტში შევედით, შემდეგ ასლანი მეორე ოთახიდან შემოვიდა და ხელის ჩამორთმევის დროს ზრდილობიანი, ღიმილიანი სახით ვეკითხები - როგორ ბრძანდებით ბატონო ასლან?

- როგორ ვიქნები შენს ხელში, - მპასუხობს ის და მე ვიცინი, ჩავთვალე რომ მეხუმრება.

ჩემს სიცილზე ასლანს სახე მოეღუშა. “შენი მოაწყვე ეს რევოლუცია, შენ დაღუპე ეს ქვეყანა, ხო ხედავ რა დღეში ვართ და რა არის აქ სასაცილო” - შემომწყრა ის.

- ბატონო ასლან, მთლად ასე არ არის ყველაფერი და ახლა იმიტომ ჩამოვედი, რომ თუ თქვენს თავს რაიმე ცუდი ხდება ეს პრობლემაც იქნებ როგორმე მოვაწესრიგოთ, - ვეუბნები მას.

- გისმენ, - მპასუხობს ის.

- ბატონო ასლან, მე ბევრი ვიცი თქვენი ოჯახის ისტორიის შესახებ და ხშირად მომისმენია თქვენგან, რომ ხართ მრავალსაუკუნოვანი, უცნობილესი ქართული გვარის წარმომადგენელი და თქვენმა გვარმა და თქვენმა ოჯახმა ბევრი იღვაწა, რომ აჭარა საქართველოს ფარგლებში დარჩენილიყო და ამაში თქვენს წინაპარს მემედ აბაშიძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ამიტომ მე ვთვლი, რომ იგივე თქვენი გვარის ისტორიიდან გამომდინარე, თქვენ უფლება არ გაქვთ, რომ საქართველოს იტორიაში ახლა ცუდი როლი ითამაშოთ, მე მაქვს თქვენთან წინადადება, რომელსაც თუ დათანხმდებით, ვფიქრობ მთელ ქვეყანას გამოადგება.

- რას გულისხმობ, იქნებ პირდაპირ მითხრა, - მოუთმენლად მკითხა ასლანმა.

- ბატონო ასლან, საქართველოს პატრიოტი ხართ და თქვენი გვარის, ასე ვთქვათ, კარგი ტრადიციის გამგრძელებელი, ამიტომ ახლა უნდა გაითვალისწინოთ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით ძლიერი ხელისუფლება გვყავს, რომელიც მოვლენებზე ადექვატურად რეაგირებს, ამიტომ სიტუაციის განსამუხტად, საჭიროა, რომ ამ ხელისუფლებას კანონის და კონსტიტუციის ფარგლებში დაემორჩილოთ, მაგრამ ვთვლი, რომ თქვენ ეს არ შეგიძლიათ და იქნებ რამე ფორმით სხვა გამოსავალი მოვძებნოთ, არც თქვენი ოჯახის ინტერესი რომ შეილახოს და საქმეც გამოვიდეს.

- რას გულისხმობ, - იკითხა ასლანმა.

მე ვუთხარი, რომ ახლა ის დროა, რომ, ასე ვთქვათ, ჩემოდნები ჩაალაგოთ და ხელისუფლება დათმოთ, ჩვენ ხელშეუხებლობის გარანტიას მოგცემთ და ვფიქრობთ, რომ თქვენს ადგილზე თქვენი შვილი გიორგი დარჩეს მეთქი.

ამ საუბრისას ვატყობ ასლანს ფერი ეცვლება, ეს კაცი უცბად ლურჯდება, მერე წითლდება, მწვანდება და უცბად გაცოფებული სკამიდან წამოხტა და ყვირილი დაიწყო - ჩემს კაბინეტში რას მიბედავთ, რას მეუბნებით, რომ მე პოსტიდან და ქვეყნიდან წავიდეო?

- ჰო, გეუბნებით, რომ პოსტიდან უნდა წახვიდე, - მშვიდად ვეუბნები ასლანს.

- ამ თემაზე კი არა, საერთოდ აღარ მინდა თქვენთან საუბარი, - იყვირა ასლანმა და ოთახიდან გავარდა. ჩვენც წამოსასვლელად წამოვდექით. რურუა და გიორგი აბაშიძე გაფითრდნენ. ასლანის კაბინეტის ტრაგიკული ისტორიები ხომ ყველასთვის ნაცნობია. სულაც არ იყო გამორიცხული ნოდარ იმნაძის ისტორია განმეორებულიყო.

მე და რურუა ჩამოვდივართ კიბეებზე და ეს თვალებს აცეცებს, საიდან შეიძლება, რომ გვესროლონ. მთელ შენობაში ასლანს შეიარაღებული "ამბალები" ეყენა. ეზოში ჩამოვედით და მანქანით უკან გამოვემგზავრეთ. გიორგი აბაშიძე გზაში დაგვეწია, მამამისის საქციელის გამო ბოდიში მოგვიხადა და ზრდილობიანად დაგვემშვიდობა.

სააკაშვილმა ასლანზე წნეხი გააძლიერა და 2004 წლის 5 მაისს ასლან აბაშიძე ოჯახთან ერთად მოსკოვში გაიქცა.

2003 წლის თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში "ბურჯანაძე- დემოკრატების" ბლოკი "ნაციონალურ მოძრაობას" შეუერთდა და ამ საარჩევნო სუბიექტს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა. რევოლუციის შემდეგ ეს არც იყო გასაკვირი. ამომრჩეველთა უდიდესი მხარდაჭერის გამო, იმდენი დეპუტატი გაყავდათ, რომ ამხელა მხარდაჭერის გამო ვანო მერაბიშვილმა, რომელიც საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა, აღარ იცოდა სიაში ვინ ჩაეწერა. მეც შემომთავაზა, ერთი ათი კაცი მოიფიქრე, რომ სიაში ჩავწეროო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამხელა წარმატებისთვის ეს ჯგუფი მზად არ იყო, ამიტომ საქმე კურიოზამდე მივიდა. მე შემეძლო გამეხსენებინა სოფელში მცხოვრები ნათესავები, მეგობრები ან უბრალოდ კარგი ნაცნობები და პარლამენტში ერთი ფრაქცია მექნებოდა. თუმცა, პოლიტიკური ძალაუფლების აღებაზე არასდროს მიფიქრია და ვანოს ვუთხარი, საპარლამენტო სიები ჩემი საქმე არ არის, ვინც გინდა სიაში ის ჩაწერე-თქო. სამწუხაროდ, პარლამენტში ისეთი ხალხი მოხვდა, მათ უმრავლესობას მარტო ოჯახში იცნობდნენ და ფაქტობრივად უამრავმა ადამიანმა შრომითი ბიოგრაფია დეპუტატობით დაიწყო, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მანამდე ბოლნისსა და ზუგდიდში შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთი-ორჯერ მარჯვედ ქვები ესროლეს.

ვშიშობდი, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მაღალი რეიტინგის გამო, პარლამენტი ერთპარტიული გახდებოდა და პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური პარტიები ქუჩის აქციებს დაიწყებდნენ, რაც ნებისმიერი ხელისუფლებისთვის უსიამოვნოა. ამას ემატებოდა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც იმდენად უსუსურები და მორჩილები იყვნენ, რომ ყველაფერს მხარს უჭერდნენ.

პარტიების წინასაარჩევნო რეიტინგის მიხედვით, მეორე ადგილზე ლეიბორისტები გადიოდნენ, მაგრამ საეჭვო იყო, გადალახავდნენ თუ არა საარჩევნო შვიდპროცენტიან ბარიერს. მე ვანო მერაბიშვილს

ვესაუბრე, რომ იქნებ შალვა ნათელაშვილს დავხმარებოდით, რომ პარლამენტში მოსახვედრად საჭირო რაოდენობის ხმები მიეღო.

ამის შემდეგ, ნათელაშვილს რამდენჯერმე შევხვდი. პირველ შეხვედრაზე შალვა სულ ბუზღუნებდა და მეჩხუბებოდა, რადგან თვლიდა რომ ის მე დავღუპე. ნათელაშვილმა სააკაშვილს 2001 წლის ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში მოუგო, ამიტომ ის ფიქრობდა, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი მას ჰქონდა და შევარდნაძის შემდეგ პრეზიდენტი გახდებოდა. მისთვის მოულოდნელად, რევოლუცია მოხდა და პრეზიდენტი ამ რევოლუციის ხარჯზე სააკაშვილი გახდა. ამიტომ გამწარებული ნათელაშვილი გულისჯავრს იყრიდა, მისი აზრით, პრეზიდენტობა მე დავაკარგვინე რადგან "ვარდების რევოლუცია" მოვაწყვე. მან ერთხელ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა კიდეც, რომ ეროსი კიწმარიშვილი და "რუსთავი 2" რომ არ ყოფილიყვნენ სააკაშვილი "უბნის კოლორიტი" იქნებოდაო, აი, "პლეხანოველი" გიჟი მარინას ვარიანტი.

შალვას ვუთხარი, რომ ჩვენ მას დავეხმარებოდით, ტელევიზიის საშუალებით, კიდევ რამენაირად, რომ პარლამენტში შემოსულიყო. ჩემი რჩევა იყო, რომ "მრეწველთა" პარტიასთან გაერთიანებულიყო, რაც საქმეს ყველას გაგვიადვილებდა. შალვა ძალიან დაინტერესდა, ვინაიდან მისი პარტიის ფინანსები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გაიყვანს თუ არა ხალხს პარლამენტში. ის გამსვლელ სიაში ხშირად ყველასთვის უცნობ ხალხს წერდა, ცხადია, მატერიალური დაინტერესების გამო, რომლებიც შემდეგ პირველივე სხდომაზე სახელისუფლებო ფრაქციაში გარბოდნენ.

ხელისუფლებამ სხვაგვარად განსაჯა, "მრეწველები" და "ახალი მემარჯვენეები" გააერთიანა და ესენი შეიყვანა პარლამენტში. ცხადია, ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება ბადრი პატარკაციშვილთან მეგობრობის გამო მიიღეს. დამარცხებულმა ბადრიმ მაინც მოახერხა, რომ პარლამენტში ფრაქცია შეექმნა.

საპარლამენტო სიების დაკომპლექტებისგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ უფრო აქტიურად უნდა ჩავრეულიყავი კონსტიტუციური ცვლილებების მიღების პროცესში.

ზურა ადეიშვილმა საქმის კურსში ჩამაყენა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების გამო კონსტიტუციაში ცვლილებები შეჰქონდათ, ბურჯანაძე პარლამენტის ინსტიტუციონალურ დასუსტებას აპროტესტებდა და ამაზე სულ ბუზღუნებდა. ადეიშვილს ვუთხარი, რომ შენ, სააკაშვილი და ბურჯანაძე ყველანი იურისტები ხართ და როგორმე უჩემოდ გადაწყვიტეთ რა სახის კონსტიტუციური ცვლილებები უნდა გაატაროთ მეთქი.

ჩემი პრობლემებით გადაღლილი ვიყავი და ვფიქრობ ზერელედ მოვეკიდე ამ საკითხს. საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტზე მეტი უფლებები მიიღო, რის გამოც საქართველოში ბევრი პროცესი არასწორი გზით წარიმართა.

ამის გამო ბურჯანაძე დღემდე მსაყვედურობს, რომ მე ძალთა ბალანსის თაობაზე სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის 24 ნოემბრის შეთანხმება არ დავიცავი, რომელიც ამ შეთანხმების გაკონტროლებას გულისხმობდა.

ნინო ბურჯანაძემ ასევე გააპროტესტა საპარლამენტო კვოტები. თუ არ ვცდები "ნაციონალური მოძრაობის" სიით პარლამენტში საბოლოოდ 135-ზე მეტი დეპუტატი მოხვდა, საიდანაც ბურჯანაძის კვოტა მგონი 15 კაცი იყო.

სააკაშვილი ამ დროს კანცელარიაში თავის კაბინეტს "რუსთავი 2" ში ჩემი კაბინეტის ყაიდაზე

არემონტებდა და სახელმწიფო ჰიმნის შერჩევით იყო დაკავებული. არჩევნების წინ, მისი მთავარი საზრუნავი და გასართობიც - ახალი ჰიმნი გახლდათ. მან ბაბინაზე ფალიაშვილის მუსიკა მომასმენინა, რომელიც ცუდი ხარისხით იყო ჩაწერილი და თავად მუსიკაც, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ თითქოს დაუმთავრებელია. “არა, ჩვენ ახლა ამ მუსიკის ხელახალ არანჟირებას გავაკეთებთ და ეს იქნება ახალი ჰიმნი” - ჩემს შეფასებას არ დაეთანხმა სააკაშვილი და ჰიმნის მუსიკაზე მუშაობა გააგრძელა.

ჟვანიასთან დაპირისპირება

რევოლუციის შემდეგ მე და ზურა ჟვანია დემონსტრაციულად ვმეგობრობდით, თუმცა ჩვენს ურთიერთობას ძნელად თუ დაარქმევდი მეგობრობას.

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენს შორის დაძაბულობა რამდენჯერმე წარმოიქმნა: პირველად, 2003 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, როცა მე მას ვუთხარი, რომ ბადრი პატარკაციშვილს ჩემთვის დარღვეული შეთანხმების სანაცვლოდ პირგასამტეხლო უნდა გადაეხადა. ჟვანიამ მხარი არ დამიჭირა, რაც ჩემი ტელეკომპანიის არსებობისთვის შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო. მეორედ, მაშინ განაწყენდა, როცა შეუძლებელს მთხოვდა, “გლობალ სტრატეგი გრუპის” ეგზიტპოლის შედეგი არ გამოაქვეყნო, ვიცი, რომ არასასურველი რეიტინგი მაქვსო. შემდეგ ბადრი პატარკაციშვილს კომპანია “ბრითიშ პეტროლიუმიდან” 35 მილიონი დოლარის მიღებაში დაეხმარა, როცა მე მიმაჩნდა, რომ ეს თანხა სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ, თითქოს კვლავ დათბა ჩვენი ურთირთობა, როცა მან სავაჭრო პალატის თავმჯდომარედ წარმადგინა, ჩემი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

შემდეგ ისევ დაგვეძაბა ურთიერთობა და ამის მიზეზი სახელმწიფო ტელევიზიის დაფინანსების საკითხი გახდა. მე ვითხოვდი, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნილი სახელმწიფო პირველი არხი ძლიერ ტელეკომპანიად ჩამოყალიბებულიყო. ამ არხს ხელისუფლების რუპორის ფუნქცია უნდა ეტვირთა, ვინაიდან “რუსთავი 2” მუდმივად ამ ფუნქციას ვერ შეასრულებდა. თავდაპირველად მე ხელისუფლებას ლოიალური დამოკიდებულებით ვანებივრებდი, რადგან მიმაჩნდა, რომ ახალი ხელისუფლება ჯერ სუსტი იყო და მას დახმარება ესაჭიროებოდა. ჟვანიას ავუხსენი, რომ „რუსთავი 2“-ის ფუნქცია არ იყო ხელისუფლების ქება-დიდების ტირაჟირება, ეს, ჩვენს ჟურნალისტებს, რომლებიც თავისუფალი ადამიანები იყვნენ, არც ესმოდათ და წარმოდგენაც არ ჰქონდათ ეს როგორ კეთდებოდა. ამ ჟურნალისტებმა რევოლუციისთვის დარაზმეს ხალხი, რევოლუციამ გაიმარჯვა და ამის შემდეგ ესენი თავისუფლად აზროვნებას როგორ გადაეჩვეოდნენ? მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნდა, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც, როცა არხი პროტესტის ნიშნად უამრავმა საინტერესო ადამიანმა დატოვა.

ამიტომ, ჟვანიას შევთავაზე, მე გამათავისუფლე ამ წნეხისგან, სახელმწიფო პირველ არხს დაფინანსება გაუზარდე, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი ძლიერი ტელეკომპანია გაკეთდეს მეთქი.

პირველი არხის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია რეფორმირების და არხის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის 25 მილიონ ლარს ითხოვდა. იმხანად ამ ტელეკომპანიის ბიუჯეტი 12 მილიონ ლარს შეადგენდა.

25 მილიონის გაგონებაზე ჟვანია გადაირია, ძალიან ბევრიაო. შენგელიას მაქსიმალურად დავაწურინე ბიუჯეტი, რაღაც პროექტების განხორციელებაზე უარი ვათქმევინე და ამ პირობებში არხს სასიცოცხლოდ 15 მილიონი ლარი ესაჭიროებოდა.

თურქეთში ვიყავი, როცა ზაზა შენგელიამ დამირეკა და მითხრა, რომ პირველ არხს 9 მილიონი ლარი

გამოუყვეს.

გავგიჟდი. თურქეთიდან ჟვანიას დავურეკე და ვეჩხუბე. მიმაჩნდა, რომ მას სპეციალურად არ სურდა, არც სახელმწიფო არხის გაძლიერება და “რუსთავი 2”-ის რეიტინგიც თუ დაბლა დაიწევდა, ესაც არ ეწყინებოდა, ვინაიდან ამ პერიოდში ბადრისთან გარიგებული იყო და მას მხოლოდ “იმედის” მზარდი პოპულარობა ახარებდა. ჩვენ კი პრესაში უკვე დაგვცინოდნენ, რომ “გამარჯვებული ხალხის ტელევიზია” სახელისუფლებო არხი გახდაო.

თურქეთიდან 3 მაისს დავბრუნდი. ეკა ხოფერიამ, საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, მითხრა, რომ ვიღაც ანდრიაძეებს ელიავას ბაზრობის წილებს ართმევდა “პაპუასა” - ზაზა პაპუაშვილი, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ ჟვანიას პოლიტიკურ ოპონენტს ვახტანგ რჩეულიშვილს პარლამენტში თავი გაუტეხა და ჟვანიას გუნდს “კუალდად” ჰყავდა. „მერე გააკეთე სიუჟეტი. მე რატომ მითანხმებ?”- ვეკითხები ხოფერიას“. „არა, იცი რა ხდება? მასთან ერთად ზურა ჟვანიას ძმა - გოგლა ჟვანიაც არის და რა ვიცი, საქმის კურსში ჩაგაყენე” - მითხრა ხოფერიამ.

ხოფერიას ვუთხარი, რომ მე თავზე ხელის გადასმას აღარავიზე ვაპირებდი და როგორც მას უნდოდა ისე მოემზადებინა სიუჟეტი.

სიუჟეტი ეთერში გავიდა და გააფრთებულმა ჟვანიამ დამირეკა:

- ეს რა გააკეთე, ჩემს ძმას როგორ შეეხე? - აკანკალებული ხმით მეუბნება, - შენ არ იცი, რა დღეში ჩაგვაგდე, დედაჩემი ძალიან ცუდად გახდა, ამას არ გაპატიებ,” - მემუქრება პრემიერ-მინისტრი.

მე ვუპასუხე, რომ “ჯერ ერთი, მე არაფერი გამიკეთებია, მეორეც, საერთოდ არ ვერევი ჟურნალისტების საქმიანობაში და ეს როგორც გინდა ისე გაიგე”. „მაშინ ყველაფერი გასაგებიაო”, - და მან ტელეფონი გათიშა.

მეორე დილას, როცა გავიღვიძე ჩემს წინააღმდეგ უბინძურესი ცილისმწამებლური კამპანია უკვე დაწყებული ჰქონდათ. ჟვანიამ საამისოდ შექმნა შტაბი, რომელის ხელმძღვანელობა “რეზონანსის” რედაქტორს ლაშა ტუღუშს შეთავაზეს, მაგრამ მან ეს არ იკადრა. “აღარ უნდა დამთავრდეს ეს კიწმარიშვილი და მისი ამბიციები?!” -ამუნათებდნენ ლაშას, რომ მათ წინადაებაზე დათანხმებოდა.

ამ შტაბს ჩემს საწინააღმდეგოდ, ვითომდაც კომპრომატები უნდა შეეგროვებინა და პრესით და ტელევიზიით მისი ტირაჟირება მოეხდინა. რეალურად კი, ჟვანიას თანაშემწეს, ეთერ მაისაშვილს, რედაქციებში ცილისმწამებლური წერილები და კონვერტში ჩადებული 500 დოლარი ერთად დაჰქონდა, რის გამოც ბევრი გაზეთის რედაქტორი უღირსად მოიქცა. აქეთ დეპუტატი ხათუნა გოგორიშვილი “მეორე ფრონტს” ხელმძღვანელობდა და ეს კამპანია კარგა ხანს არ გაჩერებულა, მე ამასობაში ამერიკაში გავიქეცი, მაგრამ მაინც ვერ დაშოშმინდნენ. ბევრი წერილი შევინახე, რომელთაც ასეთი სათაურები ჰქონდათ:

“რა გაუმხილა სააკაშვილზე ლეიბორისტებს ეროსი კიწმარიშვილმა აშშ-ი გაქცევის წინ”, “ეროსიმ რკინიგზა დაანგრია”, “დანაშაულებრივი გარიგება ქართულ ეკონომიკას ანადგურებს” - სადაც ეწერა, რომ -“ეროსი ჩამოალაბორანტეს, არ არის გამორიცხული თვითონაც გადადგა, როდესაც მიხვდა, რომ დანაპირების შესრულების თავი არ ჰქონდა”.

“კიწმარიშვილს იტალიელებიც აუმხედრდნენ”, “კიწმარიშვილ-ქაშაკაშვილის დუეტი ხიხინაშვილის წინააღმდეგ ახალ ინტრიგებს ამზადებს”. “რატომ გააკოტრა კიწმარიშვილმა „რუსთავი 2”, “რატომ

დასცხო “ვერსიამ” კიწმარიშვილს”, “რა ვერ გაიყვეს პატარკაციშვილმა და კიწმარიშვილმა”, “როგორც ჩანს, კლანურ ბიზნესს ვარდების რევოლუცია ვერ მოერია”.

“რუსთავი 2“-ზე რაღაც სიუჟეტი გავიდა იმის თაობაზე, რომ ურეკში “აზოტის” ქარხნის კუთვნილი პანსიონატი გაიყიდა, სადაც ადრე ამ ქარხნის მუშები იაფად ისვენებდნენ. პანსიონატი საეჭვო ვითარებაში ოზურგეთელმა ვინმე ტარიელ ბერიძემ იყიდა, რომლის უკან რეალურად პატარკაციშვილი იდგა. “ვერსია” წერდა:

“ამ სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ ტელეკომპანია “იმედმა” კიწმარიშვილის მაკომპრომიტირებელი მასალები სასწრაფოდ მოიკვლია და მათზე დაყრდნობით, სავაჭრო პალატის შეფს ინტრიგანისა და პროვოკატორის იარლიყი მიაწება, ამასთან არც მისი სამიზნეების გაშიფვრა დავიწყნია, ამისთვის ქვემო ქართლის გუბერნატორის სოსო მაზმიშვილის გარშემო აგორებული შავი პიარი გაიხსენა და ქვემო ქართლის უმსხვილესი ობიექტების გარდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორიაც ამოსწია. იტალიელი ინვესტორების გაძევება, ქარხნის ხელოვნურად გაკოტრება სწორედ ეროსი კიწმარიშვილის მიერ იყო ორგანიზებული. ეროსი კიწმარიშვილს ინტერესები მძიმე მეტალების გარდა ქალისა და მამაკაცის თეთრეულშიც ჰქონია, თუმცა თუ „იმედის“ პათოსით ვიმსჯელებთ, სავაჭრო პალატის შეფს კონკურენტებთან შანტაჟის გზით ბრძოლის გაგრძელების შემთხვევაშიც, მაინც არაფერი გამოუვა და სრული კრახი გარანტირებული იქნება”.

ტელეკომპანია “იმედი” საშინელ ბრალდებებს მიყენებდა. გიორგი ახვლედიანი, რომელიც ახლა დეპუტატი გახდა, „მოამბის“ ყოფილი წამყვანის, დავით სოკოლოვის ინტონაციით, პირდაპირ ეთერში საშინელ ბრალდებებს ახმოვანებდა. მას სიუჟეტიც არ ჰქონდა, უბრალოდ იმ შტაბში დაწერილ ცილისმწამებლურ საშინელ ტექსტებს კითხულობდა.

პარალელურად, ჟვანიას დირიჟორობით ხმებს მიყრიდნენ, რომ “ამ ეროსის ძალიან ბევრი მოუნდა, დიდი ამბიცია აქვს, რაღაც ბევრი მოინდომა. პრეზიდენტობა მოუნდა და ზურას პრემიერობას ეცილება და საერთოდ ამ კაცმა სახე საერთოდ დაკარგა”.

მე მათთვის არანაირი პასუხი “რუსთავი 2”-ის საშუალებითაც კი არ გამიცია. მე და ჩემს პარტნიორებს ჩვენი ტელეკომპანია პირადი ინტერესებისთვის არასდროს გამოგვიყენებია.

უბრალოდ ვიცოდი, რომ ამ კამპანიას ჟვანია ხელმძღვანელობდა და ველოდებოდი, პრეზიდენტი მას როდის გააჩერებდა, როდის შეაწყვეტინებდა ამ კამპანიას.

ზოგიერთი რედაქტორი ჩემი განქიქებით სიამოვნებას იღებდა, მათ ჩემთან პირადი ანგარიში ჰქონდათ.

ამ მხრივ გაზეთების ”ახალი ვერსიის” და “ყველა სიახლის” გამომცემელი, მალხაზ რამიშვილი აქტიურობდა. ის ადრე „რეზონანსის“ ერთ-ერთი მეპატრონე იყო. მას ზურა ჟვანია დაეხმარა და საბეჭდი მანქანის შესაძენად 400 ათასი დოლარის გრანტი მოაპოვებინა. ამის შემდეგ ზურა ჟვანია და მალხაზ რამიშვილი მეგობრობდნენ. რაღაც დროის შემდეგ, რამიშვილმა „რეზონანსში“ თავისი წილი დაკარგა, ასევე დაკარგა “მამაჩემის რადიოც”, რომელიც მას ეკუთვნოდა.

მას 2003 წლის დასაწყისში ფინანსური პრობლემები შეექმნა. იგი ჩემთან მოვიდა და შემომთავაზა, რომ “ახალი ვერსიის”, “ყველა სიახლის” და კიდევ რაღაც ჟურნალებს უშვებდა და 50 პროცენტს დამითმობდა, თუკი მე ჩემი ტელეკომპანიის ეთერით ამ პროდუქციას რეკლამას გავუწევდი.

მართალი გითხრათ, დიდად არ მოვხიბლულვარ ამ იდეით, მაგრამ მას შევთავაზე, რომ დროის რაღაც მონაკვეთი საცდელად აგვეღო, როცა მე ამ ჟურნალ-გაზეთებს რეკლამას გავუწევდი და შემდეგ რეზულტატის მიხედვით, გვემსჯელა წილებზეც და ამ საქმის გაგრძელება-არგაგრძელებაზეც.

ასეც გავაკეთე, მე ამ პროდუქციას რეკლამას ვუწევდი, მაგრამ არანაირი შედეგი ამას არ მოჰქონდა. სხვა გამომცემლები დაიძაბნენ, სულ კითხულობდნენ, საიდან გაუჩნდა რამიშვილს იმდენი ფული, რომ მისი პროდუქციის ფართო რეკლამირებას ახერხებდა.

საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ დროც და ფულიც წყალში გადავყარე და რამიშვილს შევუთვალე, რომ მე ამ პროექტიდან გავდიოდი. ის ამაზე დაიბოღმა და მერე ჟვანიამ შანსი გაუჩინა, რომ ამ ბოღმისგან დაცლილიყო.

ჩემს საწინააღმდეგო კამპანიაში ჩაერთო შალვა რამიშვილი, “სახელგანთქმული” „202“-ის შემოქმედი, რომელსაც მე “დარდუბალა” შევუკვეთე, აპარატურა ვაყიდინე და ამ გადაცემას მთლიანად ჩემი დაფინანსებით აკეთებდა.

ისიც ჩემი მტრების რიგში ჩადგა და ჩემზე დასაცინ სიუჟეტებს აკეთებდა. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ რაღაცაზე ორნაირად რეაგირებენ: ან ცხვირ-პირს ულეწავენ, მართლა პირდაპირი მნიშვნელობით, ან სასამართლოში უჩივიან, მე არც ერთი გავაკეთე არც მეორე იმიტომ, რომ ელოდებოდნენ, რომ ნერვები მიმტყუნებდა და ამას გავაკეთებდი.

ამ ცილისმწამებლური კამპანიის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ შევიტყვე, რომ ჟვანიას სურდა ჩემთვის ობსტრუქცია მოეწყო და როგორც სავაჭრო პალატის ვითომდა არშემდგარი თავმჯდომარე, თანამდებობიდან გადავეყენებინე. თუმცა, ამ პერიოდში მხოლოდ ჟვანია აღარ იყო ჩემი გაღიზიანების მთავარი სუბიექტი.

ეს გახდა, ის ბოლო წვეთი, რომლის გამოც 2004 წლის აგვისტოში პრეზიდენტთან მივედი და გამოვუცხადე, რომ მე თანამდებობიდან გადავდექი.

(გაგრძელება იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „სააკაშვილმა არჩევნები გააყალბა“

http://for.ge/view.php?for_id=46516&cat=3

For.ge

2016-10-06 14:00:22

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ “ “რუსთავი 2”-ის დაარსების შემდეგ, მშვიდობიანი ერთი დღეც არ მქონია, არც მე და არც დათო დვალს. უამრავ წნეხს, ზეწოლას, დაპირისპირებას გავუძელით და 2003 წელს “ვარდების რევოლუციაᲐ” მოვაწყვეთ. ვფიქრობდი, რომ ამის შემდეგ საქმიანობას უფრო მშვიდ რიტმში გავაგრძელებდით, ამიტომ გამარჯვების შემდეგ მოვეშვი, მოვდუნდი და ყველა ტკივილმა თავი იჩინა, რომელსაც იმ დაძაბულობის ფონზე, არც ყურადღებას ვაქცევდი და მაინც და მაინც ვერც ვამჩნევდი.

რელაქსირება ვერც მოვასწარი, რომ შემდეგ უარესი “საგიჟეთი” დამეწყო. ჟვანიამ ბინძური და

ცილისწამებლური კამპანია გამიჩაღა, თუმცა ამაზე მეტად ჩემს პარტნიორებთან ურთიერთობის დაძაბვა მაღელვებდა.

დაპირისპირება პარტნიორებთან

მე, დათო დვალს და ჯარჯი აქიმიძეს 25 წლიანი მეგობრობა გვაკავშირებდა. 17-18 წლის ვიყავით როცა მთაში ერთმანეთი გავიცანით და მას შემდეგ უფულობა, გაჭირვება და უამრავი განსაცდელი ერთად გადავიტანეთ. ჯარჯის ტელევიზიაში მუშაობის რესურსი არ აღმოაჩნდა და ამის გამო „ “რუსთავი 2““-ის მართვაში არ მონაწილეობდა. ფლობდა მესამედ წილს და ვინაიდან ტელეკომპანიას მოგება არ მოჰქონდა, დივიდენდს ვერ იღებდა. მე და დათოს ეს გვაწუხებდა, ვინაიდან ჩვენ ხელფასს მაინც ვიღებდით, ხოლო ჯარჯის ობიექტური გარემოების გამო ესაც არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, მე და დათოს ყველაფერზე ერთნაირი შეხედულება არ გვქონდა, რაც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია, მით უფრო - ბიზნეს სფეროში, ხშირად გვიკამათია უამრავ საკითხზე - ფინანსურზე, პრინციპებზე, შეხედულებებზე, კომპანიის განვითარების გზებზე, ოპერატიულ მართვაზე და ასე შემდეგ. ასეთი კამათები ჩვენი ურთიერთობისთვის პრობლემად არ ქცეულა, ამას შესაძლოა ხელს ისიც უწყობდა, რომ მუდმივად საომარ რეჟიმში ვიმყოფებოდით, რაც გვაიძულებდა ერთმანეთის მიმართ მტკიცე ურთიერთობა გვქონოდა. ყოველთვის ვაცნობიერებდი, რომ ჩვენს სიმტკიცეზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, და არა მარტო “რუსთავი 2”-ის მომავალი.

2003 წლის სექტემბერში დვალს უფრო ღრმა ტიპის კრიზისი დაეწყო, ვიდრე ეს ადრე ემართებოდა. ეს გამოიწვია იმან, რომ დვალი “რუსთავი 2”-ის განვითარების პერსპექტივას ვეღარ ხედავდა. მან მოიფიქრა გეგმა, რომლის მიხედვით ჩვენ პატარკაციშვილთან ერთად ზურა ჟვანია პრეზიდენტად გაგვეხადა, რის შემდეგ მზად ვიყავით ტელეკოპანია ბადრისთვის მიგვეყიდა. ამ პროექტს ბადრიმ უღალატა, შემდეგ ჟვანიამაც გვიღალატა, როცა იგი არ დაგვეხმარა პატარკაციშვილისგან პირგასამტეხლო რომ აგვეღო. დათოს გეგმა წარუმატებელი აღმოჩნდა, რის გამოც დვალი დეპრესიაში ჩავარდა. სექტემბრიდან მოყოლებული 2 ნოემბრის არჩევნებამდე ის სახლიდან არ გამოდიოდა და მასთან საუბარსაც ვერ ვახერხებდი. ამ პერიოდში მთლიანად ჩემზე გადაიარა ტელევიზიის მართვამ, იქ ეგზიტპოლის ორგანიზებამ, მერე ამ ეგზიტპოლის გამოქვეყნებაზე ჟვანიასთან დაპირისპირებამ.

2 ნოემბრის შემდეგ რევოლუციურ სიტუაციებში დვალი აქტიურად ჩაერთო და შესანიშნავი აზრები ჰქონდა. რევოლუციის შემდეგ, როცა ნახა, რომ ბადრი პოლიტიკურად გადარჩა და სააკაშვილს და ჟვანიას დაუმეგობრდა, ამის გამო კვლავ დეპრესია დაემართა და ჩვენი დაპირისპირებაც აქედან დაიწყო.

თავდაპირველად პრეტენზიით მომმართა, რომ ტელეკომპანია ხელისუფლების მიმართ ლოიალური გახდა და მკითხა, თუ რატომ აღარ აკეთებდნენ ჟურნალისტები მწვავე სიუჟეტებს.

მე ჩემი პოზიცია მქონდა, ჩემთვის მთავარი იყო სააკაშვილის საპრეზიდენტი ინაუგურაციამდე ქვეყანა მშვიდობიანად მისულიყო. ბუნებრივია, პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ხელისუფლება სუსტი იქნებოდა, ამის გამო რევანშის საფრთხეც არსებობდა. ამას დაუმატეთ, რომ პროვოკაციებს აწყობდნენ, ჩვენ ყუმბარა გვესროლეს, ყოფილი გუბერნატორი კვიციანი დაუმორჩილებლობას გვიცხადებდა და წინააღმდეგობას მარტო შიშველი ხელებით არ აპირებდა, ჩემთვის უცნობი მიზნით ბერეზოვსკი შემოაპარეს ქვეყანაში.

ამასთან, ხელისუფლება ფორმირებულიც კი არ იყო და ჟურნალისტებს ვისზე უნდა ეკეთებინათ მძაფრი სიუჟეტები?

ინაუგურაციის შემდეგ, 100 დღის მანძილზე, საყოველთაოდ მიღებული ნორმაა, რომ თუ ხელისუფლებამ რაიმე საშინელება არ მოიმოქმედა, მძაფრ კრიტიკაზე მასმედია მორატორიუმს აცხადებს და ეს წესი მე არ მომიფიქრებია.

ვფიქრობდი, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ჩვენი მხრიდან სიტუაციის გამწვავება მიზანშეუწონელი იყო.

ამას მაისის დასაწყისში აჭარის მოვლენები დაერთო, მე ჟურნალისტებს ვეხვეწებოდი ყოველი სიტყვა აეწონათ, რომ მდგომარეობა მეტად არ დაგვეძაბა.

დვალი არ მეთანხმებოდა და მან სუბორდინაცია დაარღვია. „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი მე ვიყავი და საინფორმაციო პოლიტიკის თუ კომპანიის ოპერატიული მართვის ფუნქცია მე მეკისრებოდა. ამ დროს, დათო ჟურნალისტებს თავისთან იბარებდა და მის აზრებს თავზე ახვევდა, ჟურნალისტებიც დაიბნენ, სახეზე იყო ორხელისუფლებიანობა და აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ.

შევეცადე დათოსთან საერთო ენა გამომენახა, რომ შემენარჩუნებინა მასთან მეგობრობაც და კომპანიაც, რომელსაც ჩვენი ოჯახების კეთილდღეობა უკავშირდებოდა. დათოს ვუთხარი, მოვილაპარაკოთ და რასაც შენ მეტყვი, იმას გავაკეთებ, ოღონდ სუბორდინაცია დაიცავი მეთქი. ვერაფერს მივაღწიე, კომპიუტერთან იჯდა და “ჩათაობდა”, პასუხს აღარ ამბობდა.

კიდევ ერთი მიზეზი, რამაც ჩვენი ურთიერთობა დაანგრია, “ღამის კურიერის” დახურვა გახდა, რომელიც ეკა ხოფერიას მიჰყავდა. ეს გადაცემა მარაზმად იქცა, პოლიტიკოსები, სამსახიობო ბომონდი, ყოველდღე გაუთავებლად 3-4 საათი პირდაპირ ეთერში ისხდნენ და ათას თემაზე, რომ იტყვიან, წაქცევამდე საუბრობდნენ. ხოფერიას ვეჩხუბებოდი, რომ გადაცემისთვის გაქვს 40 წუთი, როგორმე ამ დროში ჩაეტიე. ეს არ გამოდიოდა, ღამის ორ საათზე ჩავრთავდი ტელევიზორს, ვხედავ ლაყბობას აგრძელებენ.

შემდეგ ანალოგიური გადაცემები “იმედზე” და სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზეც დაიწყეს.

ამ პოლიტიკოსებსაც საქმე გაუჩნდათ, საღამომდე წამოწოლილები გაზეთებს კითხულობდნენ, შემდეგ საღამოს რომელიმე ტელევიზიის ეთერში, ხანაც კი ორგან მისვლას ასწრებდნენ და სიბრძნეებს აფრქვევდნენ.

გადავწყვიტე, ამ სიგიჟეს ბოლო მოღებოდა. ტელეკომპანიის ოპტიმიზაციას ვაპირებდი და ერთადერთი ამ მიზნით, გადაცემის დახურვა გადავწყვიტე.

თუმცა, ვეჭვობდი, რომ თუ მარტო მე დავხურავდი ღამის თოქშოუს, ეს საბაბს მისცემდა უამრავ ადამიანს, რომ ჩვენთვის წამოეძახებინათ, სამთავრობო არხი გახდა და ტელედებატებიც ამიტომ დახურაო. არადა მაშინ ვის ეშინოდა ტელედებატების, პირიქით სულ ის მაწუხებდა - პარლამენტში, მხოლოდ ერთი პარტია არ გავიდეს მეთქი.

ჟვანიას ვუთხარი, რომ პატარკაციშვილსაც დაეხურა ღამის ეს მასკარადი. ზაზა შენგელიას თვითონვე ავუხსენი სიტუაცია და სამივე ტელეარხზე ღამის დებატები ერთდროულად დაიხურა.

ამის შემდეგ, მე და დვალი ყვირილის გარეშე ვეღარ ვკამათობდით. მასთან სასაუბროდ მივდიოდი და იქიდან ხან ჩემი ხავილი ისმოდა, ხანაც დვალის. საერთო ენას ვეღარ ვპოულობდით, რის გამოც ემოციებზე კონტროლს ვკარგავდი.

ამასთან, მე სამსახურში 9 საათზე მივდიოდი, დათო დასვენებული 4 საათზე მოდიოდა და მერე ნერვებს მიშლიდა.

აუცილებლად უნდა განგვეხილა ბიძინა ივანიშვილის წინადადებაც, რომელიც ტელევიზიის მომავალს ეხებოდა და დამფუძნებლებს რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო, თუმცა ათასი რამის მომიზეზებით, ხან არ ეცალა, ხან მერე ვისაუბროთო და ეს საკითხიც, ვერ განვიხილეთ, რაც ძალიან მთრგუნავდა.

ბოლოს მას შევთავაზე, ოღონდ მეგობრობად დავრჩეთ და მზად ვარ ყველაფერი გადმოგაბარო, გენდობი - საქმეს წაიყვან და მე სულ წავალ ამ ქვეყნიდან, გინდა შენ შემეშვი და მე გადავწყვეტ ყველაფერს, მოკლედ, როგორც მეტყვი ისე მოვიქცევი მეთქი. მან ვერაფერი გადაწყვიტა, ისევ იმ დეპრესიაში ჩავარდა და კონფლიქტმა პიკს მიაღწია.

ასეთმა დაძაბულმა ურთიერთობამ დაუსრულებელი ციკლის სახე მიიღო და მაისამდე - 7 თვე გაგრძელდა.

უნივერსიტეტი

ყოველთვის მჯეროდა და ახლაც ვფიქრობ, რომ თბილისის უნივერსიტეტის საუკეთესო რექტორი გია დვალი იქნება. რა თქმა უნდა, ამას იმიტომ არ ვამბობდი რომ იგი ჩემი მეგობრის - დათო დვალის ძმაა, მე ახლაც ასე ვფიქრობ.

მიმაჩნია, რომ გია დვალი დღეს ერთ-ერთი დიდი ქართველი ფიზიკოსი და მეცნიერია. იგი ლექციებს კითხულობდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, სადაც 2000 წელს ნიუ იორკის საუკეთესო მეცნიერად დაასახალეს და ამ ქალაქის მერმა რუდოლფ ჯულიანიმ უზარმაზარი ჯილდო გადასცა. გიას სხვადასხვა დროს კიდევ უამრავი ჯილდო და გრანტი აქვს მოპოვებული. შემდეგ იგი მუშაობდა შვეიცარიაში, ჟენევის ტბის ახლოს მდებარე ფიზიკოსთა მექაში - თერმში, სადაც გია მონაწილეობდა საუკუნის პროექტში, რომელიც ნაწილაკების აჩქარებას ეხება.

საქართველოში ამ კაცს ნაკლებად იცნობდნენ და მე მის, როგორც მეცნიერის, პოპულარიზაციას ვეწეოდი. გიასაც ბავშვობიდან ვიცნობ, მასაც მთაში დავუმეგობრდი. პირველად მისი რექტორად დანიშვნის იდეა სახელმწიფო მინისტრს, ავთო ჯორბენაძეს შევთავაზე, მაგრამ შევარდნაძის დროს საბჭოთა სამეცნიერო ელიტას მათგან განსხვავებული მენტალობის და გაქანების კაცის რექტორად დანიშვნას ვინ გაუბედავდა და ჩემი აზრი იდეის დონეზე დარჩა.

რევოლუციის შემდეგ მე სააკაშვილს და ჟვანიას შევთავაზე რომ გია უნივერსიტეტის რექტორად მოეწვიათ. გიას აქვს თანამედროვე საუნივერსიტეტო ცოდნა, სარგებლობს ძალიან კარგი რეპუტაციით, წამყვანი უნივერსიტეტების სამეცნიერო წრეებთან კარგი ნაცნობობა აქვს და ვვარაუდობდი, რომ ჩვენს უნივერსიტეტს რეგიონში სამეცნიერო ცენტრად აქცევდა. მას შეეძლო აქ წამყვანი, ცნობილი მეცნიერები მოეწვია რომლის შემდეგ უნივერსიტეტის სახელი შესაძლოა იმ ბრენდად ქცეულიყო, სადაც მუშაობა და სწავლა პრესტიჟული გახდებოდა. უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა კიდევ, შენობებს სახაჭაპურეებზე და რაღაც ამდაგვარ ობიექტებზე აქირავებდა, რომ ფული ეშოვნა.

მიშას მოეწონა ჩემი იდეა და ამერიკაში პირველი ვიზიტისას გია დვალს შეხვდა. მას საქართველოში ჩამოსვლა და უნივერსიტეტის რექტორობა შეთავაზა. ამის შემდეგ ამ თემაზე სერიოზულად დაფიქრდა.

მან გადაწყვიტა, რომ ძირითად სამსახურში - ნიუ-იორკის უნივერსიტეტში აკადემიურ შვებულებას აიღებდა და თავდაპირველად აქ ერთი წლით ჩამოვიდოდა. თუმცა მე მუდმივად ვუჩიჩინებდი, რომ ერთი წელი

ძალიან ცოტა დროა და თუ სულ ჩვენთან იმუშავებ ძალიან კარგი იქნება, ხოლო სამეცნიერო სემინარებზე სიარულს აქედანაც მოახერხებ მეთქი.

გია თბილისში მაისში ჩამოვიდა, როცა მე და მის ძმას ძალიან დაძაბული ურთიერთობა გვქონდა. ამის თაობაზე გიას ვთხოვე, რომ ჩვენი ურთიერთობის გამოსასწორებლად იქნებ რამე ეღონა. ვუთხარი, რომ არ ვიყავი დაინტერესებული კონფრონტაციით და პირიქით, ძალიან მსურდა რაიმე გამოსავალი გვეპოვნა. მიმაჩნდა, რომ ჩვენ შეგვეძლო იმ წინაღობების გადალახვა, რომელიც ერთმანეთს შორის წარმოგვექმნა და რომელზეც არაერთხელ მითქვამს, არამარტო "რუსთავი 2" –ის ან ცალკეული ჩვენი ოჯახების, შესაძლოა ქვეყნის მომავალი განგვესაზღვრა, რომლის ხელისუფლების ბედიც "რუსთავი 2"-ის საინფორმაციო პოლიტიკაზე იყო ჩამოკიდებული.

გიამ ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის არაფერი გააკეთა, მან პილატესავით "ხელები დაიბანა" და გვერდზე გადგა.

გიას ჩამოსვლიდან მეორე თუ მესამე დღეს მე და ის სააკაშვილს თავის კაბინეტში შევხვდით. სადილზე გია და მიშა შეთანხმდნენ, რომ მეორე დღის 12 საათზე გია უნივერსიტეტში მივიდოდა და როინ მეტრეველი მას საზეიმოდ გადაულოცავდა რექტორობას. გია ამ პირობით დაშორდა სააკაშვილს, ხოლო მისი წასვლის შემდეგ მე ისევ სააკაშვილთან დავრჩი და ვესაუბრებოდი, რომ ჟვანია უსამართლოდ გადამეკიდა.

ამასობაში სააკაშვილს რაღაც აზრი მოუვიდა და მთხოვა გიას დაურეკე, რაღაც უნდა ვუთხრაო. მე დავურეკე გიას და ტელეფონი მიშას გადავაწოდე. მიშამ მას შეთავაზა, რომ იქნებ როინ მეტრეველი რექტორობიდა გადადგომის შემდეგ უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაეტოვებინათ, მას არანაირი ფუნქცია არ ექნება, უბრალოდ რბილად ჩამოშორდება უნივერსიტეტსო. მე არ მომისმენია გიამ რა უთხრა, მიშამ ამ პასუხის შემდეგ - კარგი, კარგიო თქვა და საუბარს ამით მორჩნენ.

აპრილიდან მე, გია და დათო ვაკეში, ერთ სახლში დავსახლდით და კარის მეზობლები გავხდით. საღამოს მე, გია და ჩვენი საერთო მეგობარი - ბენო ქაშაკაშვილი ჩემს აივანზე სასაუბროდ დავსხედით. გიას როინ მეტრეველთან ერთად მუშაობა არ ხიბლავდა და ცოტა ანერვიულებული იყო. სიმართლე ვთქვათ, მე ვერაფერს საგანგაშოს მის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნაში ვერ ვხედავდი. იმის გათვალისწინებით, რომ ელიტის ნაწილი და გავლენიანი პირი იყო, სააკაშვილი მას კონფრონტაციის გარეშე ანაცვლებდა, გიასაც ასე ვამშვიდებდი. თან ჩემი პრობლემები მაწუხებდა და გიას ვეუბნებოდი იმას, რაც მისი ძმისთვისაც მრავალჯერ მითქვამს, რომ ჩვენი კონფლიქტი ქვეყანაში ბევრ ნეგატიურ პროცესს გამოიწვევდა, ამიტომ რამე უნდა გვეღონა, რომ დათო შემომერიგებინა.

ჩემი ვარაუდი მოგვიანებით გამართლდა კიდეც, როცა ხელისუფლებამ ტელეკომპანია წაგვართვა და რამაც სააკაშვილს ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება ასჯერ გაუადვილა. ამის გამო მე იძულებული გავხდი ქვეყანა დამეტოვებინა და თავი ამერიკას შევაფარე.

მეორე დილის 12 საათზე გია უნივერსიტეტის რექტორი უნდა გამხდარიყო, თუმცა დღის პირველ საღზე სააკაშვილი მირეკავს და მეკითხება - რატომ არ მივიდა გია 12 საათზე უნივერსიტეტში? ვერაფერი ვუპასუხე, ნამდვილად არ ვიცოდი რა მოხდა და ბენო ქაშაკაშვილს დავურეკე, იქნებ მან მითხრას თუ რამე იცის მეთქი.

- გია წუხელ ვენის რეისით ამერიკაში გაემგზავრა, - მეუბნება ბენო.

კინაღამ შევიშალე! რა ამერიკაში, მე რატომ არ შემატყობინე მეთქი, - ჩხუბი დავუწყე.

- “ძმებმა ასე გადაწყვიტეს და ვეღარ გითხარი, თანაც შუა ღამით გაღვიძება მომერიდა,” - მპასუხობს ბენო.

ხშირად მომისმენია, რომ გია დვალს და სააკაშვილს ერთად როგორ უნდა ემუშავათ, აბსოლუტურად სახვადასხვა ტიპები არიან, განსხვავებული ტემპერამენტის და ასე შემდეგ.

ყველაზე მეტად გიგი თევზაძე ნერვიულობდა, როცა გაიგო, რომ გიას რექტორად ნიშნავდნენ. არ ვიცი, მას რა მოლოდინი ჰქონდა უნივერსიტეტთან მიმართებაში, მაგრამ გიას კარგად იცნობდა, მათი მეუღლეები კლასელები და დაქალები არიან და გიგი სულ იძახდა - გიას რა უნდა თბილისის უნივერსიტეტში, რათ უნდა ეს რექტორობა. მას ეს პერსპექტივა ძალიან აწუხებდა.

გიას ამერიკაში გაპარვამ ძალიან ცუდ დღეში ჩამაგდო. წარმოიდგინეთ, პრემიერ-მინისტრი გადამეკიდა, პარტნიორთან საუბარსაც ვეღარ ვახერხებდი და ამას დაემატა ისიც, რომ პრეზიდენტს, რომელმაც ერთი კვირით ადრე ასლან აბაშიძე დაამხო და ფიქრობდა რომ “აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ და იქით გორასა ძვრას ვუზამ,” უცებ ჩემმა პროტეჟემ უნივერსიტეტის თემაზე ცხვირი წაატეხინა.

ამერიკიდან დაბრუნება, ტელევიზია და საპრეზიდენტო არჩევნები

ამერიკაში ცხოვრებამ სიმშვიდეს მიმაჩვია. საქართველოში განვითარებულ მოვლენებს “გარედან” მშვიდად და ყურადღებით ვადევნებდი თვალს. საქართველოში დაბრუნება ძალიან მსურდა. გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი და ჩემს ქალაქში, რუსთავში ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო, მსურდა ქალაქის მერი გავმხდარიყავი.

შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს დავურეკე და ვუთხარი რუსთავის მერობას ვაპირებ და შენ რამე საწინააღმდეგო ხომ არ გექნება არჩევნებში კენჭი რომ ვიყარო-მეთქი. მერაბიშვილი გაშრა. ჩემგან ასეთ წინადადებას არ ელოდა და თავიდან დაიბნა. საბოლოოდ ვანომ არადელიკატურად უარყოფითად მიპასუხა: რუსთავის მერად დათო ნადაშვილს ვნიშნავთ და ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილიაო. ნადაშვილს ვიცნობ, ჩვენს კომპანიაში ბუღალტრად მუშაობდა და მერაბიშვილი დავამშვიდე, მაგასაც მივხედავ, უსამსახუროდ არ დავტოვებ მეთქი. მაინც უარი მითხრა.

შემდეგ ამავე საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს დავურეკე, ვთხოვე, სააკაშვილისთვის გადაეცა ჩემი განზრახვა. ცოტა ხნის შემდეგ ნინომ დამირეკა და მითხრა, რომ სააკაშვილს ძალიან გაუკვირდა შენი გადაწყვეტილება და უარი შემოგითვალაო.

ამის შემდეგ გიგა ბოკერიას დავურეკე და მინდოდა მასთან გამერკვია, რატომ არ სურდათ რუსთავში ჩემი დაბრუნება. ამანაც პასუხი ვერ გამცა, რაღაც გაურკვეველად ისაუბრა. მოკლედ, პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ ამჯობინა, რომ რუსთავის მერად ნადაშვილი დაენიშნათ.

ოქტომბერში ნიუ-იორკში გიგა ბოკერია და გიგი უგულავა ჩამოვიდნენ. მათ შევხვდი და ვისაუბრეთ. ბოკერიამ გამომიცხადა, შენ საქართველოში შეიძლება დაბრუნდე, მაგრამ ისეთი გადაწყვეტილებების მიმღები ვეღარ იქნები, როგორიც ამერიკაში წამოსვლამდე იყავიო. გამეცინა, მაფრთხილებს, რომ საქართველოში ახლა მე ვწყვეტ საკითხებსო. ვუპასუხე, რა სისულელეა, საქმის საკეთებლად მსურს ჩამოსვლა და მერად გახდომასაც ამიტომ ვაპირებდი-მეთქი. დაწყნარდა. ბოკერიამ შემომთავაზა საპენსიო ფონდს ჩაუდექი სათავეშიო. მე დავთანხმდი, თუმცა არც ეს დაპირება აღმოჩნდა რეალური.

მერე თვითონ აღარ მაინტერესებდა, ესენი რას შემომთავაზებდნენ და ჩამოსვლა გადავწყვიტე. ეს

რამდენიმე მიზეზის გამო გადავწყვიტე: პირველი, ვხედავდი, რომ სააკაშვილი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. გირგვლიანის და სხვათა გახმაურებულმა მკვლელობებმა სერიოზულად შეარყია მისი რეპუტაცია. ამით კარგად სარგებლობდა ბადრი პატარკაციშვილი, ვხედავდი, რომ ტელეკომპანია "იმედი" ძალიან გაძლიერდა და ხელისუფლებაზე შეტევას ახორციელებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელისუფლება, უნამუსოდ მომექცა, უამრავი შეთანხმება უსინდისოდ დაარღვია, მაინც ვფიქრობდი, რომ თუ პატარკაციშვილი ხელისუფლებაში მოვიდოდა, ეს პირადად ჩემთვის და ქვეყნისთვის გაცილებით ცუდი შედეგის მომტანი გახდებოდა. ბადრის რევანშის განხორციელება სურდა. ახლა, წარმოიდგინეთ, ხელისუფლების სათავეში ჩემი მეგობრები მოვიყვანე, ესენი მტრად გადამეკიდნენ და რევანშისტების გამარჯვებით უარესი რომ მელოდებოდა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა.

ვიცოდი, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პატარკაციშვილს მოსყიდული ჰყავდა. ბადრის რომან აბრამოვიჩის ნაჩუქარი, 120 ათას დოლარიანი ბრილიანტის თვლებით მორთული ოქროს საწერ-კალამი ჰქონდა. მან ეს ძვირფასი ნივთი ოქრუაშვილს აჩუქა, რომელიც იმ დროს გენერალური პროკურორი გახლდათ. ოქრუაშვილი გაბრწყინებული შეჰყურებდა ამ საწერ-კალამს და ერთხელ, მეც მაჩვენა, ბადრიმ მაჩუქაო, ამაყობდა. ამის, შემდეგ ოქრუაშვილი ბადრისთან მეგობრობდა.

2007 წლის იანვარში საქართველოში დავბრუნდი. აქ დაბრუნებულს საზოგადოებრივი მაუწყებლის აწყობაში დახმარება მთხოვეს და მეც დავთანხმდი. საშუალება მომეცა ცოდნა, რომელიც ტელევიზიის სფეროში დამიგროვდა, ახალი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაქმნელად გამომეყენებინა.

თებერვლის ბოლოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა დამირეკა და მთხოვა, გუდაურში სასრიალოდ მივდივარ, ნახევარ საათში შავნაბადას რეზიდენციაში ამოდი და იქედან ვერტმფრენით ერთად გადავფრინდეთო.

შავნაბადიდან მე, სააკაშვილი და მისი ბიძაშვილი, ნიკა ალასანია, გუდაურში ერთად გავფრინდით. გზაში სააკაშვილს ყურსასმენები ეკეთა და მუსიკას უსმენდა, ამის გამო ვერაფერზე ვილაპარაკეთ. გუდაურში ნიკა რურუა დაგვხვდა, რომელსაც ეტყობოდა, რომ პრეზიდენტთან ძალიან დაახლოებულა.

მიშას დაცვა კუდში დაყვებოდა და სასრიალო ბილიკის მთელ სიგრძეზეც სნაიპერები იდგნენ.

სააკაშვილის სრიალის ყურება ერთი სიამოვნებაა. სულ გგონია, რომ დაეცემა, მაგრამ, არა, არ ეცემა და სასაცილოდ მისრიალებს, ტლანქად მოძრაობს და წონასწორობას არ კარგავს.

მან საბაგიროზე ერთ-ერთი ასვლისას მკითხა, თუ რას ვფიქრობდი ირაკლი ოქრუაშვილზე. რასაც ვფიქრობდი პირდაპირ მწარედ ვუთხარი. "რას ფიქრობ, ის რომ პრემიერ-მინისტრად დავნიშნო," - შემომიბრუნა კითხვა. ტვინში სისხლმა ამასხა.

- ამის დედა ვატირე, მე რაც გაგიკეთე კარგად იცი, მიუხედავად ამისა, ამერიკაში ისე წავედი ერთხელ არ დაგირეკავს და გიკითხავს, რას შვრები ან როგორ ხარ. ორი წელი ნიუ-იორკში ჩემთვის, წყნარად ვიჯექი, ხმა არაფერზე ამომიღია და ჩემთვის რუსთავის მერობაც არ გაიმეტე. ეს ოქრუაშვილი რევოლუციის მეორე დრეს გუბერნატორად დანიშნე, მესამე დღეს - გენერალურ პროკურორად, მეოთხე დღეს - შინაგან საქმეთა მინისტრად, მერე თავდაცვის მინისტრად, მერე - ეკონომიკის მინისტრად. მიუხედავად ამისა, ეტყობა, შენზე განაწყენებულია, დააცადე ერთი-ორი წელი, თუ მეგობარია და უბრალოდ გაუგებრობა მოგიხდათ, მაშინ წყენა გაუნელდება, თუ მტრობა ჩაიდო გულში, ამასობაში ესეც გამოჩნდება. თუ მისი განწყობა არ იცი, რატომ უნდა დანიშნო პრემიერ-მინისტრად, ჩემთვის გაუგებარია, - ვუთხარი სააკაშვილს.

ჩემი აზრით, სააკაშვილმა გადამამოწმა, მოვიაზრებოდით თუ არა მე და ოქრუაშვილი ერთ გუნდში და, ამასთან, როგორც მერე გამოჩნდა, იგი ნამდვილად აპირებდა მის პრემიერ-მინისტრად დანიშნვას. ეს ჩემს გამო არ გადაუფიქრებია, ჩემზე ათასჯერ მეტად დაახლოებული პირები ეხვივნენ გარს. გუდაურიდან ჩვენი ურთიერთობა დათბობისკენ წავიდა.

ჟინვალამდე "ჰამერით" წამოვედით, ჟინვალში "მერსედესში" გადავსხედით და თბილისში უშიშროების საბჭოს მდივნის, კოტე კემულარიას ოჯახში მიმიყვანა. აქ დაგხვდნენ ქალაქის მერი უგულავა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, სანდრა ბავშვებთან და მშობლებთან ერთად. კემულარიას მეუღლე გემრიელ ელარჯს აკეთებს და მიშას ამიტომაც ჰყვარებია აქ სტუმრობა.

მოკლედ, მიშამ ისევ თავის საახლობლო წრეში გამრია, ჩემდამი სიმპათია და ყურადღება გამოიჩინა.

რამდენიმე ხანში საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის, თამარ კინწურაშვილის მრჩევლად დამნიშნეს. პირველად ტელევიზიაში რომ მივედი, რეინკარნირებული ბუდასავით მიყურებდნენ. ყველა ინტერვიუს მთხოვდა და კამერებით კუდში დამსდევდნენ. ერთ-ერთი ვრცელი ინტერვიუ ჟურნალ "ცხელ შოკოლადს" მივეცი. 4-5 საათი ყველაფერზე გულწრფელად ვისაუბრე. ეს ჟურნალი თვეში ერთხელ გამოდის და სანამ ინტერვიუ დაიბეჭდებოდა, ტელევიზიის პროგრამების რედაქტორი კანში სატელევიზიო გადაცემების გამოფენაზე წავიყვანე. ამის შემდეგ, თავად კინწურაშვილი ამერიკაში ტელე-აპარატურის შესარჩევად და საყიდლად ჩავიყვანე. ვცდილობდი, სწრაფად გადამეცა მისთვის ჩემი ცოდნა, ვინაიდან ამ ტელევიზიაში დიდხანს დარჩენას არ ვაპირებდი. ამერიკაში კინწურაშვილმა ერთი-ორჯერ მაწყენინა: მას ძალიან სურდა ოპერატორ თემურ გოგოლაძის "რუსთავი-2"-დან საზოგადოებრივ მაუწყებელში გადაყვანა და ამერიკაში მას ჩემს თვალწინ იბირებდა. ამით სუბორდინაცია დაარღვია, ჩემს კომპეტენციაში ისე შემოიჭრა, სულ არ უგრძვნია უხერხულობა. ჩავთვალე, რომ გამოუცდელი მენეჯერია და წყენა არც შემიმჩნევია.

გადაწყვეტილი მქონდა, რომ "რუსთავი-2"-დან კადრებს არ წამოვიყვანდი, ვინაიდან ამაზე სააკაშვილი განაწყენდებოდა და იმ კოლექტივსაც ნდობას ვუცხადებდი, რომელიც ყოფილ "პირველ არხზე" დამხვდა. თუმცა, ასეთი დათრგუნული კოლექტივი მანამადე არსად მენახა. ერთ ჯგუფს საერთოდ არაფრის კეთება არ უნდოდა, მეორე ჯგუფს იმის საშუალებას არ აძლევდნენ, ის გაეკეთებინათ, რაც უნდოდათ, მესამე, კარიერისტების ჯგუფი, კინწურაშვილს სულ თან დაყვებოდა. საინფორმაციო პოლიტიკას კი ბოკერია და რამიშვილი გეგმავდნენ და საინფორმაციო გადაცემის უფროსი მას, უბრალოდ, ახორციელებდა. ფრანგი კონსულტანტი ოლივიე მიშელი გაგიჟებული ჰყავდათ. კაცი საფრანგეთიდან მოიწვიეს და თავისუფალი ტელევიზიის ნაცვლად, კომუნისტური ტელევიზიის გაკეთებას აიძულებდნენ.

კინწურაშვილს ტელევიზიის საერთოდ არაფერი გაეგებოდა. ჟურნალისტები ანეკდოტად მიყვებოდნენ, რომ მან ერთხელ ოპერატორს ღამით ქუჩის გადაღება დაავალა. ოპერატორმა ღამის განათება მოსთხოვა, რაც ფარანივით ანათებს და ვიდეო კამერას ზემოდან უმაგრებენ. ამან კიდევ ღამის განათება, გაიგონა და პრობლემას მარტივად, ერთი სატელეფონო ზარით წყვეტდა, ქალაქის მერს უგულავას ურეკავდა და თხოვდა ღამით ქუჩას ვიღებთ და დამატებით ლამპიონი ჩამოგვიკიდეო.

სასაცილო იქნებოდა, რომ არა ის უზარმაზარი დაფინანსება, რომელსაც ეს ტელევიზია იღებს და ეს ფული მხოლოდ ხელისუფლების პროპაგანდას ხმარდება.

ამერიკაში დედაჩემს ოპერაცია გავუკეთე და ამის გამო თბილისში კინწურაშვილზე ორი კვირით გვიან დავბრუნდი. ჩამოვედი და შეცვლილი დამხვდა. მას "ცხელ შოკოლადში" ჩემი ინტერვიუ წაუკითხავს. ყდაზე ჩემი სურათი და დიდი სათაური -"ის დაბრუნდა" დაუბეჭდავთ. რა ჩემი ბრალი იყო, თუ ეს ჩემს

ზედმეტ ამბიციად ჩათვალეს? ეს ჩემგან არ მომდინარეობდა, ჟურნალის პოზიცია გახლდათ.

ინტერვიუში ვამბობდი, რომ გოგი გვახარიას სიამოვნებით მივიღებდი სამსახურში. კინწურაშვილმა თავის კაბინეტში პრეტენზიულად მითხრა, რომ გვახარიას, მე კი არა თავად მოიყვანდა და მე არავინ არაფერს მეკითხებოდა. მერე შენიშვნა მომცა, ინტერვიუს დროს სახელმწიფოს მაღალჩინოსნებზე ფამილარულად არ უნდა ისაუბრო, თანამდებობის პირები ბატონობით მოიხსენიეო.

ამან, ისე იმოქმედა, ხარს წითელ ნაჭერს რომ აუფრიალებენ და ძალიან გახელდება. ასეთ შენიშნვას მაძლევდა თამარ კინწურაშვილი, რომელიც როცა "თავისუფლების ინსტიტუტში" მივდიოდი, შეშინებული თვალებით შემომცქეროდა. ძალიან გავბრაზდი და ვუთხარი: შენს ადგილზე ახლა კარგი იქნებოდა შენი ქმარი ყოფილიყო, თავ-პირს დავალეწავდი მეთქი. შეშინებული სადღაც გაიქცა და დაიმალა.

ამ ინციდენტის შემდეგ, ბოკერიას და ლევან რამიშვილს ვესაუბრე და ვუთხარი, რომ მე გავაკეთებდი მხოლოდ დილის გადაცემას, რის დასაფინასებლადაც კინწურაშვილს მინიმალურ ბიუჯეტს წარვუდგენდი. დამთანხმდნენ.

სანამ კინწურაშვილი თანხას გამოყოფდა, ჩემი ფულით დილის გადაცემის ძველი სტუდია გავარემონტე. თუმცა მერე სხვა პრობლემის მომიზეზებით, დროს მიწელავდნენ და გადაცემის მომზადებას აჯანჯლებდნენ.

ამასობაში, ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი ცნობილი და სკანდალური ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია "იმედს". ამ მომენტშიც დავურეკე ბოკერიას და ვუთხარი, "იმედის" საპირწონედ საზოგადოებრივი არხიც უნდა გაეძლიერებინათ და მე ჩემს დილის გადაცემას დავიწყებ მეთქი. მან ეს თხოვნაც უპასუხოდ დატოვა.

ჩემი აზრით, ის გუნდი, რომელიც ღამ-ღამობით სააკაშვილთან შავნაბადაზე იკრიბებოდა, ჩემს ნებისყოფას ცდიდა და მაიძულებდნენ, რომ ოქრუაშვილის მსგავსად, სკანდალური ინტერვიუ მიმეცა და ხელისუფლებას დავპირისპირებოდი. მერე მეც ციხეში ჩამსვამდნენ. მათ არ მოსწონდათ, რომ სააკაშვილს მათსავით მლიქვნელურად არ ვესაუბრებოდი და ეჭვიც, გაუჩნდათ, რომ მოკლე ხანში შესაძლოა ისევ სერიოზული გადაწყვეტილებების ერთ-ერთი ავტორი გავმხდარიყავი, რაზეც ეს ბოკერია ნიუ-იორკში შფოთავდა.

თავიდანვე ვთქვი, რომ ჩემი დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი ბადრი პატარკაციშვილის რევანშისტული მოძრაობის გამარჯვების შიში იყო. ბუნებრივია, ამის გამო, იმ მოვლენებს, რომელიც ნოემბერში ოქრუაშვილის გამოსვლას მოჰყვა, თვალს შორიდან ვადევნებდი.

2 ნოემბერს, დილით ვანო მერაბიშვილმა დამირეკა და მთხოვა, შევხვედროდი. მან რუსეთში ელჩად წასვლა შემომთავაზა. მე გამიკვირდა - „ძლივს საქართველოში დავბრუნდი და სად უნდა წავიდე, რისთვის მიშვებთ იქ?" კაი, კაი, ეს ამბები, რომ ჩაივლის მერე ვილაპარაკოთ ამაზეო.

სახლში, რომ დავბრუნდი, დავფიქრდი და ეს წინადადება ჭკუაში დამიჯდა. სააკაშვილისგან განსხვავებით, მერაბიშვილი ომის მოწინააღმდეგე გახლდათ და ვიფიქრე, ჩემი რუსეთში გამწესებით შესაძლოა ამ ქვეყანასთან ახალი, ნორმალური ურთიერთობის დაწყებას აპირებენ-მეთქი. ამ მიზნისთვის მზად ვიყავი კვლავ გავცლოდი აქაურობას. მაღელვებდა ყოფილი ელჩი, ირაკლი ჩუბინიშვილი, მერე რომ არ დაეწყო საუბარი, ეროსიმ ჩემი ადგილი დაიკავაო. ამაზე მიპასუხეს, არ იდარდო, ჩუბინიშვილი ფორმალურად არის ელჩი, რეალურად კი მოსკოვში თავისი ბიზნესით არის დაკავებულიო.

7 ნოემბერს მიშამ საშინელი შეცდომა დაუშვა. მან მომიტინგეები დაარბია და "იმედში" შეიჭრა. სასტიკად

გაუსწორდა ჟურნალისტებს. მაშინ ნანახი არ მქონდა, თუ რა სასტიკად სცემდნენ ხალხს ქუჩაში. რუსთაველის პროსპექტზე საკრებულოს თავმჯდომარის ბეგაშვილის "მარშიც" მოგვიანებით ვნახე და დავრწმუნდი, რომ ეს ყველაფერი მიშამ, "იმედის" დასარბევად მოაწყო. ტელეკომპანია დაარბია და ქვეყანაში ქაოსი მიიღო. ბადრი პატარკაციშვილის პოპულარობა საკმაოდ გაიზარდა.

მანამდე ბადრი და მიშა "იმედის" თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. მიშა საქართველოს რკინიგზას "იმედში" ცვლიდა. ბადრის მეგობარმა, ვანო ჩხარტიშვილმა, სააკაშვილის ფავორიტ ბიზნესმენ დოდიკა შარანგიასთან ერთად საქართველოში აზერბაიჯანული ნავთობკომოანია "სოკარი" შემოიყვანა. შარანგია ამ ბიზნესიდან სახელმწიფოს წილს - 25 პროცენტს იღებდა. მიშა ბადრის შარანგიას და ჩხარტიშვილის მეშვეობით ევაჭრებოდა. მიშა ბადრის 99 წლიანი მმართველობით გადასცემდა რკინიგზას, თუკი ბადრი სანაცვლოდ "იმედს" დათმობდა. რკინიგზის აქტივი დაახლოებით მილიარდნახევარს დოლარს შეადგენდა. ერთი პერიოდი ესენი ამ გარიგებაზე შეთანხმდნენ კიდეც და 2007 წლის აგვისტოში გამოცხადდა, რომ რკინიგზას ბრიტანული კომპანია შეიძენდა, რომელიც სინამდვილეში პატარკაციშვილის ფირმა გახლდათ.

ერთი შეხედვით, აბსურდული შეთანხმებაა, ვინაიდან ერთი ტელევიზიის სანაცვლოდ მილიარდ-ნახევარი დოლარი ძალიან დიდი თანხაა. თუმცა, ეს არ იყო მხოლოდ კომერციული გარიგება, სააკაშვილი ამ გარიგებით ხელისუფლებაში დარჩენის საკითხს წყვეტდა. პატარკაციშვილმა ოქრუაშვილის გამოყენებით, "ვარდების რევოლუცია 2" დაგეგმა. ეს იყო სპეცოპერაცია, რომელიც მიზნად ბადრის გაპრეზიდენტებას ისახავდა. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ ნოემბრის მოვლენებისთვის რუსეთში ქართველმა კრიმინალებმა დიდძალი თანხა შეაგროვეს. სწორედ ამ პერიოდში "სტანდარტბანკიდან' ვანო ჩხარტიშვილმა ხელზე 20 მილიონი დოლარი გამოიტანა.

ბერეზოვსკისგან განსხვავებით, ბადრი პუტინთან ნამდვილად მეგობრობდა. იგი პრეზიდენტისგან შერისხულ ბერეზოვსკის მეგობრულად გვერდში ამოუდგა და რუსეთი მასთან ერთად დატოვა. ეს იყო, მისი ადამიანური პოზიცია, სხვანაირად მას შეეძლო რუსეთში დარჩენა და ბიზნესის გაგრძელება. 2006 წელს, ბერეზოვსკიმ გამოაცხადა, რომ პატარკაციშვილთან უთანხმოებები ჰქონდა და ამიტომ მათ ბიზნეს აქტივები გაიყვეს. ეს მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა, თუ გაიხსენებთ, პატარკაციშვილის სიკვდილის შემდეგ, ბერეზოვსკი ძალიან ნერვიულობდა, რომ მას და ბადრის ბელარუსში ქარხანა ჰქონდათ ნაყიდი და შიშობდა, ლუკაშენკომ ხელმეორედ არავის მიყიდოსო. ამის შიშით, მან დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად ბელარუსში ადვოკატი ზელცერი გაგზავნა, რომელიც მინსკში დააპატიმრეს.

ცხადია, მათ არაფერი ჩხუბი არ მოსვლიათ, ბადრის რუსეთში დაბრუნება სურდა და ბერეზოვკისთან აფიშირებული მეგობრობა ხელს უშლიდა. შემდეგ, მან პუტინს საკუთარი გაზეთი "კომერსანტი" აჩუქა. საქართველოში გაპრეზიდენტებით მას სურდა რუსეთში ბიზნეს აქტივები დაებრუნებინა. იგი საქართველოს რუსეთის ხელისუფლებასთან სავაჭრო ობიექტად განიხილავდა. რუსეთი საქართველოში მისი გაპრეზიდენტებით სასურველ რეჟიმს მიიღებდა.

გასული წლის ნოემბერში ჩვენ ეს საფრთხე ავიცილეთ. ბადრის უკან რუსეთის ხელისუფლება იდგა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აქციის მონაწილეები რუსეთის აგენტები, ანაც მხარდამჭერები იყვნენ. პატარკაციშვილმა "იმედის" და ოქრუაშვილის საშუალებით ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ხალხი თავის სასარგებლოდ მომართა. მან გადაწყვიტა, ოქრუაშვილის გამოყენებით ძალაუფლება ხელში აეღო და ამიტომ ტელევიზიის მილიარდნახევრად გაყიდვაზე უარი თქვა.

მიუხედავად "იმედის" ჟურნალისტების მიმართ ჩემი ნეგატიური დამოკიდებულებისა, რომლებიც რამდენიმე პირის რუპორებად იქცნენ, მათ შორის ვანო მერაბიშვილისაც, ცხადია, რომ მიშა მათ ძალიან ცუდად მოექცა. "იმედის" დარბევამ ხელისუფლებას რეპუტაცია შეულახა. სიტუაციის განსამუხტად მიშამ 5

იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა.

2 დეკემბერს სააკაშვილმა დამირეკა და მე, მერაბიშვილი და ზურა ადეიშვილი მასთან შავნაბადას სანხედრო ბაზაზე მოწყობილ რეზიდენციაში ავედით. აქ მიშას ახალი გარემოცვა დამხვდა: ნიკა რურუა, ეკა შარაშიძე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ალექსანდრე ლომაია, გოკა გაბაშვილი, გიორგი არველაძე, დათო კეზერაშვილი, ნიკა გვარამია...

სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ მე ვუხელმძღვანელებდი მის საარჩევნო პიარ-კამპანიას. დამსწრეებს ეს არ მოეწონათ, სულ შიში ჰქონდათ, რომ მე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში მონაწილეობა არ მიმეღო. მაგრამ რას იზამდნენ? მიშას გადაწყვეტილებას მონურად ასრულებენ და ჩემს დანიშნვასაც უნდა შეგუებოდნენ.

ამ მომენტისთვის ეს ჯგუფი მთლიანად დეზორგანიზებული იყო, არავითარი სტრატეგია არ ჰქონდათ, უბრალოდ დივნებზე წამოშხლართულები ლაზღანდარობდნენ, ხორხოცებდნენ, ჭამდნენ-სვამდნენ და ქვეყნის მომავალი სულ ფეხებზე ეკიდათ. ასეთი ატმოსფერო არსად შემხვედრია, “რუსთავი 2”-დან მოყოლებული სამუშაო დისციპლინა ისე გამიჯდა სულში, რომ ჩემი თავიც მებრალებოდა, არათუ - ქვეყანა, რომ აი, ეს ტინგიცები წყვეტდნენ ჩემს და სხვების ბედს.

საარჩევნოდ აბსოლუტურად არასწორი აქცენტები ჰქონდათ დასმული. გიორგი არველაძე აბეჭდინებდა სააკაშვილის სარეკლამო ჟურნალს, სადაც ათასი სისულელე ეწერა. სარეკლამო კამპანიის სლოგანი მოფიქრებული არ ჰქონდათ და ჟურნალს ბეჭდავდნენ. ამ ჟურნალში ათასი სულელური დაპირება იყო, დაახლოებით ასეთი, რომ ყველა “პრასტიტუტკას” ეყოლებოდა კლიენტი, ყველა კლიენტს -”პრასტიტუტკა”, ყველა ბავშვს ექნება “სოსკა,” ყველა დედას ეყოლება ქმარი, ქვაბში იქნება ქათამი, გარაჟში გექნებათ ოთხი ავტომანქანა, პენსია 300 დოლარი გახდება და ამ ტიპის სხვა ბოდვები. ამავდროულად, ამ ჟურნალში დაბეჭდეს პუტინის, რუსი ჯარისკაცების კარიკატურები, რაც ასევე ამ ტიპის ჟურნალისთვის სისულელეს წარმოადგენს. ამ ჟურნალის შემდგენელი “ცნობილი” ქართველი მწერალი მამუკა ხერხეულიძე გახლდათ. მისი დაბეჭდვა 200 ათასი ლარი დაუჯდათ, ანუ ეს ფული პირდაპირ წყალში გადაყარეს.

მე სამუშაო სივრცე მოვითხოვე. დადიანის ქუჩაზე ოფისი უმალვე გამომიძებნეს. მოვითხოვე ინტერნეტი, ტელევიზორები და სხვა აუცილებელი ნივთები. ჩემი დაჟინებით, დავიწყეთ საიმიჯო ამერიკული კომპანიის მოძებნა და ეკა შარაშიძემ ორ დღეში კომპანია “გრინბერგი” ჩამოიყვანა. მე საერთო მენეჯერობას ვწევდი.

ყოველ დილით მაგიდაზე მედო წინა დღის სატელევიზიო გადაცემების რეიტინგები. ასევე აქტიურად ვიყენებდი ე.წ “ფოკუს ჯგუფებს.” ამ ჯგუფის ათეულობით წევრს ხელფასს ვუხდიდი, რომ სატელევიზიო გადაცემებისთვის ეცქირათ და მერე სატელეფონო ინტერვიუში ეთქვათ, რა მოეწონათ ან არ მოეწონათ საპრეზიდენტო კანდიდატების გამოსვლებიდან. მათ არ იცოდნენ ეს გამოკითხვა რომელი კანდიდატისთვის კეთდებოდა. “ფოკუს” ჯგუფი მეტნაკლები სიზუსტით მთელი საზოგადოების განწყობას გამოხატავდა. ყოველ დილით ხელთ მქონდა საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო რეიტინგები.

ჩემთან ერთად შტაბში მუშაობდნენ გოკა გაბაშვილი, ნიკა გვარამია, გიორგი არველაძე და გიგი უგულავა, შსს-დან - შოთა უტიაშვილი. ესენი ჩემს ხელმძღვანელობას ძნელად ეგუებოდნენ. ერთმანეთსაც ებრძოდნენ და მეც ნერვებს მიშლიდნენ. ხალხი, რომელიც ვარდების რევოლუციის შედეგებს ნთქავდა და ახლაც ნთქავს, ვერ იტანდა, რომ მიშას ეროსი კიდევ დასჭირდა. ესენი ერთმანეთის ჩაშვებით, ხელის შეშლით და ინტრიგებით სააკაშვილთან ქულების ჩასაწერად იბრძოდნენ. ამის იქით ვერაფერს აკეთებდნენ, მათ საამისოდ არც ცოდნა და არც განათლება არ აქვთ.

10 დეკემბრიდან 24 დეკემბრამდე მენეჯმენტს წუთით არ დაუსვენია. მიშა 12-13 საათზე იღვიძებდა და პირველად ჩემთან რეკავდა - ეროსიკო, აბა რა რეიტინგი მაქვს დღეს? მეც სიმართლეს უხეშად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვეუბნებოდი. ღამით მას კიდევ ვხვდებოდი და პრობლემურ საკითხებს განვიხილავდით. ამ შეხვედრების დროს მიშას გარემოცვა სულ მლიქვნელობდა და პირფერობდა. სააკაშვილს ატყუებდნენ, რომ მაღალი რეიტინგი ჰქონდა. ეს მე ძალიან მაცოფებდა, ყველას ვეჩხუბებოდი, რეიტინგის შედეგი მე მაქვს, გამოკვლევას მე ვაწარმოებ და თქვენი მონაცემები მცდარია-მეთქი.

ამ პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი ნოდარ სარჯველაძე (?) დავიქირავე. ის მიშას გარემოცვას ასწავლიდა, თუ როგორ ელაპარაკათ ოპონენტთან. ეს ხალხი სატელევიზიო ეთერში გასვლამდე ჩემთან ტრენინგს გადიოდა. მათ ვეუბნებოდით, რომ ოპონენტის მიმართ მეგობრულები და კეთილგანწყობილები ყოფილიყვნენ.

შევქმენით სააკაშვილის საარჩევნო ახალი სლოგანი -”საქართველო სიღარიბის გარეშე.” აქამდე მათ სლოგანად ჰქონდათ - “გასაკეთებელი კიდევ ბევრია”. მე ვამბობდი, რომ ამ სლოგანით მხოლოდ მოწინააღმდეგე ისარგებლებდა, ისინი გაგვაბითურებდნენ, ვინაიდან იტყოდნენ - ”მოსაკლავი კიდევ ბევრია, დასაჭერი, დასარბევი კიდევ ბევრია, დასანგრევი, მოსაპარი კიდევ ბევრია” და ასე გაუთავებლად. ჩვენ შევქმენით სლოგანი ”საქართველო სიღარიბის გარეშე”, რომელიც პირველად უტიაშვილმა მოიფიქრა.

გიორგი არველაძე აპირებდა ქუჩის ბილ-ბორდებზე “ფლეი ბოის” “ნაშების” სურათების ფონზე - “მიშა მაგარია” დაეწერა. ეს ნაღდად “მაგარი” იქნებოდა, ხალხი შიმშილის ზღვარზეა და რა რეაქცია ექნებოდა სააკაშვილს ნახევრად შიშველ ქალებთან ჩახუტებულს, რომ შეხედავდა? მის საწინააღმდეგოდ კიდევ ერთი საღადაო თემა გახდებოდა.

მე ამომრჩეველს შევთავაზე მოხუც ბებიაზე თავმიდებული მიშა და სლოგანი “საქართველო სიღარიბის გარეშე.”

17 დეკემბერს ბადრი პატარკაციშვილმა საარჩევნო კამპანია დაიწყო და რა სისულელეებსაც მიშა პირდებოდა ხალხს, მან ეს ყველაფერი სამზე გაამრავლა და სამჯერ მეტ დაპირებას იძლეოდა. მიშა იძახდა: კომპიუტერი ყველა ხუთოსან მოსწავლეს, ბადრი იმეორებდა - სამი კომპიუტერი ხუთოსნებს, კომპიუტერები - ოთხოსნებსაც, მიშა ხალხს 100 დოლარ პენსიას პირდებოდა, ბადრი - მომენტალურად სამას დოლარს.

ბადრის რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა. ეს მაშფოთებდა. ამერიკელებთან ერთად მიშას ავუხსენი, რომ თუ მსგავსი სისულელეების თქმას თავს არ დაანებებდა, კატასტროფა ემუქრებოდა. მიშა 24 დეკემბრამდე გვიჯერებდა, მერე სპეციალურ-ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის კოდუას და პატარკაციშვილის საუბრის აუდიო ჩანაწერი გამოაქვეყნეს და მიშა მეტად აღარ გაგვკარებია. ამ აუდიოკასეტის გამოქვეყნებამდე მიშას რეიტინგი 30-32 პროცენტი იყო, მას და პატარკაციშვილს აუცილებლად მოუწევდათ მეორე ტურში ბრძოლა, ვინაიდან ბადრის უკვე გამოკითხულთა 24 პროცენტი აძლევდა ხმას.

ჩემი მონაცემებით, საბოლოოდ, ხუთ იანვრამდე მიშას მაქსიმუმ ამომრჩეველთა 44-45 პროცენტი უჭერდა მხარს, მაგრამ ფაქტია, რომ მეორე ტური აღარ გამართულა, მიშა გამარჯვებულად გამოცხადდა. მან არჩევნები გააყალბა, ვინაიდან მისი რეიტინგიდან გამომდინარე, გაყალბების გარეშე პირველივე ტურში ვერანაირად ვერ გაიმარჯვებდა. ეს იმ უჭკუობის და სისულელის გამო დასჭირდა, რასაც წინასაარჩევნო პერიოდში აკეთებდა. როცა სლოგანში სიღარიბეს ახსენებ, საარჩევნო კამპანიაც მოკრძალებული უნდა

აწარმოო, ამათმა კიდე ყველა სადარბაზოზე სააკაშვილის სურათები ჩამოკიდეს, არეული ჰქონდათ კონცეფციები, არველაძე და სხვები საარჩევნოდ გამოყოფილ თანხებს სისულელეებში ხარჯავდნენ.

ბადრის საუბრის აუდიოჩანაწერის გამოქვეყნებამ პირდაპირ სულზე მოუსწროთ. სააკაშვილის გუნდს თვით კრიტიკულ სიტუაციაშიც კი არ ჰქონდა მოვლენებისადმი სერიოზული და ადექვატური განწყობა. არჩევნების წინა დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრმა თუ არ ვცდები თურქეთიდან სამხედრო მანქანები "კობრები" ჩამოიყვანა. შუაღამისას შავნაბადას რეზიდენციიდან სააკაშვილის მეთაურობით 50-60 ავტომანქანით აეროპორტის დასახლებაში ამ "კობრების" სანახავად წავედით. რაღა სანახავად, სააკაშვილი, მერაბიშვილი და ესენი ყველანი დასხდნენ საჭესთან და 25-30 სამხედრო მანქანით ქალაქში სეირნობა და შეჯიბრება გამართეს. ამ ყველაფერს შორიდან ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ვერ იყო ქვეყანაში სიტუაცია ჯანზე. გიჟების დოღი გეგონებოდა. "ესენი ახალგაზრდები არიან, ეს ყველაფერი სიშლეგით მოსდით, მაგრამ ეს ლომაია რაღამ გააგიჟა, ეგ ხომ ჩემზე უფროსია მეთქი", - ვფიქრობდი.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საპარლამენტო არჩევნები უნდა გამართულიყო და მე დეპუტატად გახდომას ვაპირებდი. 11 იანვარს სააკაშვილმა დამირეკა და მას შევხვდი. მიშამ შემომთავაზა, რომ რუსეთში ელჩად წავსულიყავი. ვუთხარი, რომ ჩემი გეგმა მაქვს, მირჩევნია აქ დავრჩე მეთქი. "არა, რა, შენ ეს ყველაფერი ჯერ კარგად არ გესმის, ახლა რუსეთში ხარ საჭირო, იქიდან ინვესტიციები უნდა მოიზიდო და სიტუაციაც დასალაგებელი გვაქვს რუსეთის ხელისუფლებასთანო". კარგი, მოვიფიქრებ- მეთქი და ნინო ბურჯანაძესთან წავედი. ნინოს ვუთხარი, რომ სააკაშვილი რუსეთში ელჩად მნიშნავს, მაგრამ მგონია, ამას აქედან ჩემს მოსაცილებლად აკეთებს მეთქი. ბურჯანაძემ - მეც ასე ვფიქრობო, მითხრა. ნინოს შევთავაზე საპარლამენტო არჩევნებისთვის ახალი პარტია შეგვექმნა, სადაც ნინო პირველი ნომერი იქნებოდა და არჩევნებში ცალკე მივიღებდით მონაწილეობას. ამდენ გიჟებში ნინო ერთადერთი დარბაისელი და ნორმალური პოლიტიკოსი ჩანდა. მაშინ ხალხშიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა და არც საზღვარგარეთ ჰქონდა ურიგო რეპუტაცია. ნინომ ვერაფერი მითხრა, ვერ მიპასუხა, აპირებდა თუ არა პარტიის შექმნას.

სხვა ალტერნატივა აღარ მქონდა და რუსეთში ელჩად დანიშვნას დავთანხმდი. იმ იმედით, რომ პრეზიდენტს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში დავეხმარებოდი.

საქართველოს ელჩი რუსეთში

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მე, მიხეილ სააკაშვილის პიარ-კამპანიას ვხელმძღვანელობდი. როგორც აღმოჩნდა, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პრეზიდენტმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ, ჩემი თავიდან მოცილება განიზრახა და სააკაშვილმა რუსეთში საქართველოს ელჩობა შემომთავაზა.

ეს შემოთავაზება ჩემთვის ახალი არ ყოფილა, ვინაიდან, ამის თაობაზე ნოემბრის კრიზისის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილიც მესაუბრა. თუმცა სერიოზულად ამ წინადადებაზე, იანვარში, სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ დავფიქრდი.

თუ დავთანხმდებოდი, ბუნებრივია, საცხოვრებლად მეუღლესთან და შვილებთან ერთად, ამჯერად მოსკოვში მომიწევდა გადაბარგება. ორწლიანი ამერიკული ემიგრაციის შემდეგ, ისევ უცხოეთში, ნიუ-იორკიდან რუსეთის დედაქალაქში. ამას მოითხოვდა სააკაშვილი და ეს ძნელი გასაგები არც ჩემი ოჯახისთვის ყოფილა. მათ რეალურად იცოდნენ, თუ ვინ და რა ზეწოლით დამათმობინა ტელეკომპანია "რუსთავი 2", ტელეკომპანია, რომლის შექმნას და განვითარებას მეგობრებთან ერთად, თითქმის მთელი სიცოცხლე შევალიე.

თავისთავად, რუსეთში ელჩად დანიშვნა ნებისმიერისთვის დიდი პატივია და ეს ჩემთვისაც, ასე იყო. თუკი

მოსკოვში ჩემი გადასვლით პრეზიდენტიც თავს უფრო მშვიდად იგრძნობდა, მით უფრო კარგი. მე იქ საქმის საკეთებლად მივდიოდი.

მიმაჩნია, რომ გასულ წელს, რუსეთის ხელისუფლებას ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილის გააქტიურება საქართველოს მის სატელიტ ქვეყნად გადასაქცევად დასჭირდა. მას შემდეგ, რაც ეს გეგმა რიგი მიზეზების გამო ჩავარდა, ვფიქრობდი, რომ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის დარეგულირება ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა უნდა გამხდარიყო. რუსეთთან კი ძალიან დაძაბული ურთიერთობა გვქონდა.

პირველ რიგში, რუსეთს აღიზიანებდა და აღიზიანებს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა. ძნელად წარმოუდგენიათ პერსპექტივა, რომ ერთ დღესაც, შესაძლოა, საქართველოდან მოსკოვს ვინმემ რაკეტები დაუმიზნოს. ნატო-ს სტამბულის გადაწყვეტილების თანახმად, მათ საქართველოში სამხედრო ბაზებიც დაკარგეს. რუსეთის წინა პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თვლიდა, რომ ქართველი პოლიტიკოსები არასანდო პარტნიორები არიან.

ედუარდ შევარდნაძის გარემოცვის წევრებიდან ვიცი, რომ 1999 წელს შევარდნაძე პუტინს შეუთანხმდა, რომ ჩეჩენი "ბოევიკების" გასაკონტროლებლად რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩვენს მხარეზე რუს სამხედროებს ჩააყენებდა. მოგვიანებით, მან ამერიკის მოთხოვნით, თუ სხვა მიზეზით, ეს შეთანხმება დაარღვია და პუტინი გააცურა. ამის შემდეგ, შევარდნაძე პუტინთან შეხვედრების დროს, თავს სულ უხერხულად გრძნობდა.

რუსეთი "ვარდების რევოლუციის" დროსაც განაწყენდა. მაშინ, პუტინმა თბილისში საგანგებო დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი გამოგზავნა. ივანოვს შევარდნაძე ბათუმში უნდა ჩაეყვანა, რაც მისი გათვლით ორხელისუფლებიანობას გამოიწვევდა, აქეთ თბილისში რევოლუციის ლიდერები თავისი მხარდამჭერებით იქნებოდნენ, იქით კიდევ - ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი. შევარდნაძემ ბოლო მომენტში გეგმა შეიცვალა და - გადავიფიქრე, აღარ მინდა ბათუმში წამოსვლა, უნდა გადავდგეო. ამის გამო, ივანოვს მისია ჩაუვარდა, რისთვისაც, როგორც მოგვიანებით მოსკოვში მითხრეს, ის საკმაოდ გაკიცხეს. რუსეთში მყარად დაიჯერეს, რომ "ვარდების რევოლუცია" ამერიკული პროექტია.

მათ ასლან აბაშიძის აჭარიდან გაშვებაც მტკივნეულად გადაიტანეს. ასლანი პირწმინდად პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი გახლდათ. იგი იყო რუსეთის დასაყრდენი საქართველოში. ერთ მშვენიერ დღეს ის აჭარიდან გაიქცა და რუსეთმა აჭარაზე გავლენა დაკარგა.

"ვარდების რევოლუცია" და ასლან აბაშიძის ხელისუფლებიდან განდევნაც მშვიდობიანად, უსისხლოდ დამთავრდა. პუტინი ამის გამო თვლიდა, რომ ჩვენ სათანადოდ არ დავაფასეთ რუსეთის როლი ამ პროცესებში. ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელსაც, საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი ესწრებოდა, პუტინმა სააკაშვილს უთხრა: "რებიატა, ვოტ მი ვამ პამაგლი, ვი ვზიალი სიტუაციუ ვ რუკი გრუზიი, ნო ნი ა ჩიომ ნე დოგოვარივალის, პოტომ ს ადჟარიეი ტოჟე ნე დოგოვაროვალის ი ვი ვზიალი პოდ კონტროლ ადჟარიუ. ვი ვიდავლივაიტე ნაში ინტერესი იზ გრუზიი".

საქართველოს აწ გარდაცვლილმა პრემიერ მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ რუსეთს ბათუმში ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა შესთავაზა. ბათუმში გამოიყოფოდა შენობა, სადაც რუსეთის და საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლები ერთობლივად იმუშავებდნენ სამხრეთიდან ტერორისტული საფრთხეების წინააღმდეგ. ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ ჩვენმა ხელისუფლებამ მისი ყველა ინიციატივა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებას უკავშირდებოდა უკუაგდო და

საერთოდ დაივიწყა. მათ შორის ანტიტერორისტული ცენტრის იდეაც.

მანამდე კი რუსეთის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ იგი მზად არ იყო აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ შეეძლო გადაეწყვიტა სამხრეთ ოსეთის საკითხი. ამ მიმართულებით აქტიურობდა ზურა ჟვანიაც, იგი კონფლიქტის დარეგულირების ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობდა. მის იდეას თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნაზე, სეპარატისტების ლიდერი ედუარდ კოკოითიც მხარს უჭერდა.

სააკაშვილის პირველი გაპრეზიდენტების დროს კონფლიქტის ზონაში ეთნიკურ ნიადაგზე შუღლი და დაპირისპირება აღარ არსებობდა. აღარ არსებობდა ქსენოფობიები. ხალხი ჩვეულებრივად დადიოდა ცხინვალში. ბევრი გორელი ცხინვალში მუშაობდა კიდეც. ფაქტობრივად, კონფლიქტი ჰგავდა გადამწიფებულ ნაყოფს, რომელიც ხეზე ჰკიდია და პატარა ნიავიც კი ჩამოაგდებს. ფაქტობრივად კონფლიქტისგან შემორჩენილი იყო კრიმინალური ანკლავი, რომელიც კონტრაბანდული ტვირთების, ნარკოტიკებისა და ყალბი ფულის საშუალებით ორივე მხარის კრიმინალებს ასაზრდოებდა. ეს რუსებმაც იცოდნენ, რომ ასე იყო და ეს მათთვის არ იყო რთულად გადასაჭრელი თემა.

პირდაპირ გვითხრეს, რომ კი, ჩვენ მზად ვართ, მაგრამ - მოვილაპარაკოთო. მაშინ არც ნატოს თემაზე და არც ორიენტაციის შეცვლაზე ლაპარაკი არ იყო. ლაპარაკი იყო იმაზე, რაც იმ მომენტისთვის რუსეთისთვის იყო აქტუალური, ეს იყო სამხედერო ბაზების საკითხი.

ჩვენი ხელისუფლება რუსეთის ინტერესების სრული იგნორირებით ცხინვალის რეგიონში იარაღით “შევარდა”, რისთვისაც არანაირად მზად არ იყო. მაშინ მე მქონდა საშუალება და გავეცანი პენტაგონის დასკვნას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჩვენ და ცალ-ცალკე აღებული ოსი და აფხაზი სეპარატისტები თანაბრად შეიარაღებულები ვიყავით, ხოლო ერთად აღებული სეპარატიტები ორჯერ აჭარბებდნენ ჩვენს შეიარაღებას. აქედან გამომდინარე, არაფრის თავი არ გვქონდა, მაგრამ სააკაშვილისთვის ეს არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ფაქტორი. მას დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა ამბიცია, რომ საქართველოს ისტორიაში ახალი დავით აღმაშენებელია, საპრეზიდენტო ფიციც ხომ მის საფლავზე დადო და “დიდ სარდალ“ ოქრუაშვილთან ერთად უაზრო ომი გააჩაღა. გახსოვთ, ალბათ, როგორ ბაქი-ბუქობდა ოქრუაშვილი სტრატეგიული სიმაღლეები ავიღე და ათეულობით ჩეჩენი დაქირავებული მებრძოლები დავხოცეთო, რაც ტყუილი აღმოჩნდა. ამ სიმაღლის, თუ არ ვცდები - თლიაყანის, აღებისას ოსური ე.წ “ომონის” ერთი წევრი ფეხში დაჭრილა და ვინაიდან დროული სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს, სისხლისაგან დაიცალა. აი ამას მიაღწიეს და ამით ტრაბახობდნენ.

შედეგად, 2004 წლის აგვისტოში ხელახლა გამძაფრდა ქართულ-ოსური ურთიერთობები, დაიღუპა 20-ზე მეტი ადამიანი და სასტიკად გადავიკიდეთ რუსეთი, რომელიც ჟარგონის ენაზე, რომ ვთქვათ - კვლავ “გადაგდებული” აღმოჩნდა.

ამ დროიდან სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ზღვარსგადასული რიტორიკა წამოიწყო, თუმცა არც მანამდე აკლებდა ხელს.

2004 წლის შემოდგომიდან დაიწყო უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუცია. ამ ისტორიაში ქართველები ძალიან აქტიურობდნენ. ქართველი ჩეგევარა, გივი თარგამაძე, რომელიც პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, იქით გიგა ბოკერია - რევოლუციის “ბურევესტნიკი” და მათთან ერთად 30-40 ქართველი დეპუტატი მუდმივად იდგნენ კიევში დამოუკიდებლობის მოედანზე მიმდინარე საპროტესტო მიტინგზე. მათ ორი მოტივაცია ჰქონდათ: პირველი - უკრაინელი ქალები და გულაობა და მეორე - კიევში ქართული დროშების ფრიალით სააკაშვილის ამბიციებს აკმაყოფილებნენ.

ვიქტორ იუშენკო სააკაშვილთან მეგობრობდა, როგორც მეგობრობენ ოპოზიციის ლიდერები, მაგრამ სხვადასხვა ჯიშისანი არიან. იუშენკო არის ლიბერალი, რბილი, როგორც ქუჩის ორატორი - არადინამიური. ის მიტინგზე ისე გამოდიოდა, როგორც პროფესორი აუდიტორიაში ლექციას რომ კითხულობს. იგი აღმოჩნდა შესანიშნავი მენეჯერი, რომელიც იყო პრემიერ-მინისტრ კუჩმას ხელისუფლებაში და მის დროს ჩაეყარა საფუძველი ძალიან ბევრ რეფორმას. უკრაინის ეკონომიკური აღმავლობა მის სახელს უკავშირდება. ანუ, არის კარგი, ჭკვიანი მენეჯერი, მაგრამ ეს არ არის ქუჩის ტიტული, ის არ არის სააკაშვილივით აგრესიული და არც ავტორიტარიზმისკენ აქვს მიდრეკილება.

მოკლედ, რუსეთის ჯინაზე ჩვენი დეპუტატები ფეხს არ იცვლიდნენ კიევის დამოუკიდებლობის მოედნიდან და ამ დროშებს აფრიალებდნენ. მოგვიანებით გივი თარგამაძე და კიდევ სხვებიც, თბილისში, შარდენის ქუჩაზე ტრაბახობდნენ, ვითომ მათ გააკეთეს ნარინჯისფერი რევოლუცია, მათ მოამზადეს "ატპორის" მოძრაობა.

კიევში ქართველების ზღვარგადასულ აქტივობას ჩვენთვის რუსების გაგიჟებისა და გაღიზიანების მეტი არაფერი მოუტანია.

რუსული პროპაგანდის მანქანა ჩვენს საწინააღმდეგოდ ბოლომდე დაიქოქა და "ვარდების რევოლუცია" ამერიკულ პროექტად გამოაცხადეს. სააკაშვილის გამო, რევოლუციის ლიდერებსაც ამერიკის აგენტობაში გვადანაშაულებდნენ.

"ვარდების რევოლუცია" პოსტსაბჭოთა სივრცეში მაგალითად იქცა და გამოსვლები დაიწყო ყირგიზეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში. მახსოვს, ილხამ ალიევი ამის გამო ძალიან დაიძაბა. ჩვენი აქტივისტები ამ გამოსვლებშიც აქტიურობდნენ. ამის გამო დამფრთხალმა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა სააკაშვილთან დამეგობრება ამჯობინა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მილიარდბით ინვესტიციის ჩადებას დაპირდა. საბოლოოდ, რა ფულიც აქ ჩადო, ყველამ ვნახეთ, მაგრამ ამით ნაზარბაევმა საკუთარ ოპოზიციას აჩვენა, რომ იგი იმ რევოლუციონერ პრეზიდენტთან მეგობრობდა, რომლის მიბაძვასაც თავად ცდილობდნენ.

ამ მაგალითების ფონზე რუსეთში სერიოზულად ნერვიულობდნენ და რუსმა ინტელექტუალებმა დისკუსიები წამოიწყეს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადი რევოლუციები ერთადერთი საშუალება იყო გაბატონებული ელიტების შესაცვლელად. ეს თემა პუტინის და მისი გარემოცვის მსჯელობის საგანი გახდა. ფერად რევოლუციებში ჩვენი ხელისუფლების აქტიურობამ საქართველო - რუსეთის დაპირისპირება სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა და გაცილებით ფართო მასშტაბები მიიღო.

2005 წლის თებერვალში ზურაბ ჟვანია მოკლული თუ გარდაცვლილი იპოვნეს. როგორც უკვე ვთქვი, ის ინიციატივები და ვალდებულებები, რომელიც მას ჰქონდა რუსეთთან, სააკაშვილმა ყველაფერი შეწყვიტა და დაივიწყა.

2005 წლის ზაფხულში საქართველოში ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტს რუსების მხრიდან გაღიზიანება და ჩვენი ხელისუფლებისთვის კი ძალაუფლების თავში ავარდნა მოჰყვა. თუ რატომ - ამაზე ცოტა მოგვიანებით ვიტყვი.

საქართველოში ბუშის ვიზიტს ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო ძალიან პატარა და პროვინციული მენტალობის ქვეყანაა. როდესაც ჩვენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ვიყავით, მთელი ქართული საზოგადოება დიდი იმედებით და მოლოდინებით ხვდებოდა რუსეთის იმპერატორს. ჰქონდათ დიდი დისკუსია, თუ რა ეთხოვათ იმპერატორისთვის – სამხედრო სასწავლებელი თუ უნივერსიტეტი. ბოლოს სთხოვეს სამხედრო სასწავლებელი, მაინც თავისი გაიტანა ქართველების ჩინ-

მედლებისადმი სიყვარულმა.

ჩვენ იმ ცნობიერებით გვიწევდა განვითარება, როცა ფიქრობდნენ რომ ნიკიტა ხრუშჩოვის ჩამობრძანება, ჩვენთვის უდიდესი პატივი იყო, ხოლო ბრეჟნევის ჩამოსვლა – ქვეყნის განვითარებისთვის საეტაპო მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი ქართველი იყო, თბილისში მგონი სულ ერთხელ ჩამოვიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველო დიდი იმპერიის პერიფერია გახლდათ.

რაც შეეხება, მსოფლიო თანამედროვე წესრიგს, იმაზე საუბრისგან თავს შევიკავებ, ვართ თუ არა ამერიკის გუბერნია. ბუშის შემთხვევაში საქმე გვქონდა სტატუსით მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანის ვიზიტთან.

ბუნებრივია, რომ ამ ჩამოსვლას ჰქონდა თავისი წინაპირობა. ეს წინაპირობა ”ვარდების რევოლუცია” იყო - ის, რაც მე თუ სხვამ და ამ ხალხმა ერთად გავაკეთეთ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ვართ ევროპელი ერი, რომელიც არ ურიგდება უსამართლობას, ებრძვის კორუფციას, რომელსაც უნდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარება.

ბუშის ჩამოსვლას უნდა ეთამაშა უდიდესი როლი, ეს უნდა გამხდარიყო დიდი ინვესტიციების და საქართველოს ახალი რეპოზიციონირების საშუალება, ამერიკული ბიზნესის და ეკონომიკის ჩვენსკენ მოტრიალება, ახალი ადგილის ძებნა ქვეყნის განვითარებისათვის და ა.შ.

ბუშის ვიზიტი ჩვენთვის ნიშნავდა საქართველოსთვის მოცემულ დაახლოებით 5 მილიარდ დოლარს! ბუშის ერთი დღით ჩამოსვლა, საღამოს ერთი შალახოს წაცეკვება და ხინკლის ჭამა იყო დაახლოებით 5 მილიარდის ინვესტიცია. სინამდვილეში რა მოხდა? რა უყვეს ამ ფულს ჩვენმა “ჯიგრებმა”? მათ ეს ფული სახლის გასათბობად გამოიყენეს! ეს ფული დაწვეს, როგორც ბუხარში შესაყრელი შეშა, და არა როგორც ახალი ენერგეტიკის შესაქმნელი მექანიზმი.

ამას გარდა, ეს ადამიანები - ოქრუაშვილი, რურუა, ბოკერია, მერაბიშვილი ბუშის ვიზიტის შემდეგ ვეღარ ვიცანი. სააკაშვილზე აღარაფერს ვამბობ. ეს თავში ავარდნა ხომ სააკაშვილისგან მოდიოდა. მათ გადაწყვიტეს, რომ უკვე ყველაფერი შეუძლიათ, ბუში მათთან ჩამოვიდა, იცეკვა, ხინკალი ჭამა მათთან ერთად. ამის შემდეგ დადგა კრიზისული პერიოდი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. არა იმიტომ, რომ ბუშმა გვითხრა ,რუსეთს დაუპირიპირდითო, არამედ იმიტომ, რომ ამათ გადაწყვიტეს, რომ ესენი არიან ამ ტერიტორიის ლიდერები, რომ მათ ხელშია ახლა აღმოსავლეთ ნახევარსფეროს განვითარება და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება პოსტსაბჭოთა სივრცეში და დაიწყეს ყველაფრის კეთება, რამაც მიგვიყვანა 2008 წლის აგვისტოს ამბებამდე.

აი, ამ პერიოდიდან მოყოლებული სააკაშვილი ემზადება ომისთვის, ის ოცნებობს ომზე, ის ქმნის არმიას, მისთვის ნატო-ში გაწევრიანება საერთოდ არ არის ამოცანა, ამოცანა არის არმია, რომელიც დაამარცხებს აფხაზ და ოს სეპარატისტებს. ამის ფონზე ლაპარაკი, რომ სამშვიდობო ინიციატივები იყო წარდგენილი სააკაშვილის მხრიდან და რუსები არ იღებდნენ და აფხაზებმა ხელი გვკრეს - არის ტყუილი.

ბუშის ვიზიტის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენელთა სამხედრო რიტორიკა აშკარად თვალში საცემი გახდა. ამის შემდეგ დაიწყეს აქტიურად რეზერვისტთა სამხედრო ბანაკების შექმნა და საომრად მზადება.

2006 წლის გაზაფხულზე სააკაშვილი ბუშთან შესახვედრად ამერიკაში ჩავიდა. მას ბუშმა პირდაპირ უთხრა, რომ სამხრეთ ოსეთში საომარი ქმედების დაწყება დიდი რისკის შემცველი იქნებოდა.

ბუშთან შეხვედრის შემდეგ, მე, მიხეილ სააკაშვილი, ნიკა რურუა, დანიელ ქუნინი და კიდევ რამდენიმე

ადამიანი სავახშმოდ მექსიკურ რესტორანში წავედით. მახსოვს, სააკაშვილს ვუთხარი - მიუხედავად იმისა, რომ ჯარი გაძლიერდა, თქვენ არ გყავთ კვალიფიციური ოფიცრები, რომლებიც სტრატეგიულ მოქმედებებს დაგეგმავენ და ეს ცუდ შედეგებს მოგვიტანს-მეთქი.

როგორ არ გვყავსო, მიპასუხა სააკაშვილმა და ნიკა რურუას ჰკითხა: „რა ჰქვია იმ ბიჭს, ფეხბურთს მაგრად რომ თამაშობს?“ მისი რწმენით, რახან ის ოფიცერი მაგარი ფეხბურთელი იყო, აქედან გამომდინარე მაგარი სტრატეგიც იქნებოდა.

შემდეგ, რუსეთის ძალიან დიდი გაღიზიანება ე.წ რუსი “შპიონების” დაჭერამ გამოიწვია. ჩვენმა სამართალდამცავებმა დაიჭირეს “გრუ”-ს ოფიცრები, რაც ცივი ომის შემდეგ არსად აღარ მომხდარა. ალყა შემოარტყეს ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ოლქის შენობას, დაპატიმრებული სამი რუსი ოფიცერი ჩააყენეს ორმეტრიანი ქართველი პოლიციელების მწკრივის წინ და და ასე, თავში რტყმით და მათი დამცირებით ვაჩვენეთ მთელს მსოფლიოს, თუ რა მაგარი ბიჭები ვართ ჩვენ და როგორ არ გვეშინია რუსეთის. სააკაშვილმა ჩაატარა პიარ-აქცია და ასეთ ქმედებაზე, დამცირებაზე რუსები პასუხს, რომ არ გაგვცემდნენ, ეს შეიძლებოდა ბავშვს დაეჯერებინა. ჩვენ ლომის ხახაში ჩავყავით ხელი.

ეს ამბავი 2006 წლის სექტემბერში ადგილობრივი თვითმართველობების არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მოხდა. სააკაშვილის ამოცანა ამ არჩევნების მოგება გახლდათ. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე „ნაციონალურ მოძრაობას“ რესპუბლიკური პარტია გამოეყო და ერთმანეთში სკანდალები და დაპირისპირებები ჰქონდათ. პარტიის რეიტინგის ასაწევად პრეზიდენტმა ამგვარი უგუნური და ბრიყვული ხრიკი მოიფიქრა. ვითომ პრეზიდენტისთვის ერთი პარტიის საარჩევნო შედეგს ქვეყნის მომავალზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

რუსეთმა ამის შემდეგ აკრძალა მის ტერიტორიაზე ქართული პროდუქციის შეტანა.

შემდეგ იყო პრეზიდენტის მონაწილეობით განმუხურის პატრიოტთა ბანაკის ინციდენტი, ასევე სხვადასხვა სპეცოპერაციები.

ჩემი მთავარი მიზანი, რის გამოც რუსეთში ელჩობას დავთანხმდი, ომის თავიდან აცილება იყო. ჩემთვის, როგორც “ვარდების რევოლუციის” ერთ-ერთი მთავარი მონაწილისთვის, არ იყო სულ ერთი, თუ რა გზით წაიყვანდა ქვეყანას ამ რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლება. მიხეილ სააკაშვილს პირობა დავუყენე, რომ რუსეთში მუშაობისას იგი ხელს არ შემიშლიდა თავისი როყიო რეპლიკებით რუსეთის ხელისუფლების მისამართით და მეორე: მქონდა ინფორმაცია, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გიგა ბოკერია თავისი არასახარბიელო იმიჯის გამო პარლამენტს ჩამოშორდებოდა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნებოდა. ჩემი მოთხოვნა იყო, რომ ბოკერია ჩემს საქმეში არ ჩარეულიყო, ვინაიდან ასეთ ვითარებაში რუსეთში ჩემს მუშაობას აზრი არ ექნებოდა. პრეზიდენტი ულაპარაკოდ დამთანხმდა.

2008 წლის 20 იანვარს მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი ჩამოვიდა. საპრეზიდენტო გამოსვლისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკის მთავარი ვექტორი რუსეთთან დამეგობრებაა. მან ხელი გაუწოდა რუსეთს სამეგობროდ.

ინაუგურაციის შემდეგ პრეზიდენტი და ლავროვი სასაუბროდ შეხვდნენ ერთმანეთს. ლავროვმა ისაუბრა გადაუყწყვეტელი პრობლემების თაობაზე, შესთავაზა თავისი მიდგომები ამ პრობლემების დასარეგულირებლად და გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის მიმართ. სააკაშვილმა უპასუხა, რომ მისთვის საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება სულაც არ იყო მთავარი ამოცანა. მან დასძინა, რომ იგი არ აპირებდა ნატო-ში წერილის გაგზავნას მაპ-ის მოსათხოვად.

იუშენკო ამას აპირებს და მეო, წერილს არ გავგზავნიო. ამ საუბრის ჩანაწერი აქვს რუსული მხარის პროტოკოლს და ის ექნებათ საქართველოშიც. ლავროვი კმაყოფილი დარჩა, თუმცა...

პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა, მაპ-ის მოთხოვნის წერილი იუშენკოზე ადრე გაგზავნა ნატო-ში! სწორედ ასეთი ქმედებების შედეგად თვლიდნენ რუსეთში, რომ სააკაშვილი არის გადამგდები და მასთან სერიოზულ ლაპარაკს აზრი არ აქვს. რუსეთის ელიტაში სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები მრავლად არიან. “ზა ბაზარ ატვეჩაეშ” - ეს მათი ფილოსოფიაა, რასაც დაპირდები - უნდა შეასრულო, მათ ასე ესმით. სამწუხაროდ, რუსებს სააკაშვილის ასეთი მოქმედებების გრძელი ჩამონათვალი აქვთ.

პრეზიდენტმა პარლამენტს ჩემი კანდიდატურა რუსეთში ელჩად დანიშნვაზე განსახილველად იანვრის ბოლოს წარუდგინა. საკომიტეტო მოსმენაზე ჩემი კანდიდატურა სულ ტაშის კვრით მიიღეს. იმიტომ კი არა, რომ იმ დარბაზს მე ვუყვარდი, ან ჩემი კომპეტენცია ან კვალიფიკაცია აინტერესებდათ... ზოგადად ვინ ვიყავი - იცოდნენ, მაგრამ დეპუტატებისთვის მთავარი იყო, რომ პრეზიდენტმა წარმადგინა. ერთადერთი შეკითხვა პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის დაქალმა, ნინო ნაკაშიძემ დამისვა - თქვენი კომპეტენცია ამ სფეროშიო, და ვიცე სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა პასუხის მიცემა არ მაცალა, - ”როგორ გეკადრებათ ქალბატონო, ბატონი ეროსი არის თუ არისო”. და სულ ეგ იყო.

თებერვლის ბოლოს პარლამენტმა ელჩად დამამტკიცა. ჩემთან ერთად დაამტკიცეს ჩინეთში საქართველოს ელჩიც, თბილისის საკრებულოს სახელგანთქმული თავმჯდომარე, აი, ის – “ბადრის რა” ბეგაშვილი. “ბადრის რაო” - ნოემბერში ქუჩაში რომ დარბოდა და სახალხოდ იგინებოდა. ალბათ იმ გინების გამო ღვაწლი დაუფასეს.

ელჩად დავინიშნე, ოღონდ რწმუნებათა სიგელი არ გადამიცია.

წესია ასეთი, ელჩად დანიშვნის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრო აგზავნის წერილს მეორე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომ აქვს პატივი წარუდგინოს ელჩის თანამდებობაზე ესა და ეს ადამიანი. ამის შემდეგ მეორე ქვეყანა აგზავნის თანხმობის წერილს და ამას ე.წ. “აგრემანი” ჰქვია. სუვერენული ქვეყანა თვითონ წყვეტს, ვინ იქნება მისი წარმომადგენელი მეორე ქვეყანაში, ამიტომ ამ ქვეყნიდან პასუხიც ყოველთვის დადებითა. მაგრამ ამ წესის დაცვა არის უძველესი დიპლომატიური ტრადიცია.

საშუალოდ, სტატისტიკური ვადა თანხმობის მიღებამდე არის ერთი თვე. ბუნებრივია ერთ საათში პასუხს არავინ არ დაგიწერს და რიტუალი სრულდება. როცა ქვეყნებს შორის არის ცუდი ურთიერთობა, ან განსაკუთრებულად ცუდი ურთიერთობა, აგრემანი შეიძლება 2 თვეზე მეტხანს არ მოვიდეს. ეს ცუდი ურთიერთობის ხაზგასმაა, თამაშის ნაწილია. დიპლომატიაში ხომ რიტუალები, ქცევები, ჟესტები, საუბარზე მეტს ნიშნავს, ეს არის მთელი ხელოვნება.

დიპლომატები შეიძლება პიანისტებს შეადარო. ყველა ვისაც მუსიკალურ სასწავლებელში უსწავლია და ნოტები იცის, პიანინოზე უკრავს, მაგრამ ვიღაც უკრავს შესანიშნავად და ვიღაც მხოლოდ “აკაკუნებს”. დიპლომატია არის მართლა ხელოვნება და მართლა “არტი”, ადამიანთა შორის ურთიერთობის ხელოვნებაა, ის მოითხოვს მაღალ განათლებას, ზოგად და იქაური წრის ჩვევების ცოდნას, ეს მთელი სიღრმეებია. ეს არ არის ის, რომ უნივერსიტეტი დაამთავრო, დიპლომი აიღო და¿მორჩა, საგანი იცი. დიპლომატია ცხოვრების ძალიან ბევრი ასპექტის ერთიანობაა. ამის ნაწილია ეს “აგრემანიც”.

რას გააკეთეს რუსებმა ჩემს “აგრემანზე”? რომ შევადაროთ თუ რამდენ ხანში მისცეს აგრემანი ჩემს წინამორბედ ელჩს, ირაკლი ჩუბინიშვილს, გამოვა, რომ მათ ფაქტიურად ამ პერსონის მიღებაზე უარი თქვეს. მის შემთხვევაში დიდხანს გრძელდებოდა “აგრემანის” მოლოდინი და მესიჯები გამოუშვეს, რომ

მათ ჰქონდათ რაღაც უსიამოვნო განცდები თვითონ ჩუბინიშვილთან.

მე ცხრა დღეში მივიღე “აგრემანი”. რატომ? იმიტომ, რომ დანიშვნის მომენტიდან, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა დამამტკიცა, მე ვაკეთებდი ძალიან ენერგიულ მესიჯებს რუსეთის მიმართულებით, რომ მე ახალ ენერგეტიკას, ახალ მიდგომებს, ახალ იდეებს ჩავიტანდი საქართველოს პრეზიდენტის სახელით. ანუ რუსებს კიწმარიშვილი კი არ გაეხარდათ, როგორც ელჩი, არამედ მათ გამოხატეს მზადყოფნა დიალოგისთვის. ანუ მათ სააკაშვილის განცხადება ინაუგურაციაზე, რომ ის ხელს უწვდიდა რუსეთის ხალხს და რუსეთს და შემდეგ კიდევ ჩემი მესიჯები, ახალი კარგი ურთიერთობების დამყარებისთვის სწრაფვად მიიღეს. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა გია ვაშაძე, რომელიც საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. “აგრემანის” მოცემამდე იმ ქვეყანაში ჩასვლა, სადაც ელჩად ხარ დანიშნული და იქ რაიმე აქტივობის განხორციელება, ძალიან ცუდ ტონად ითვლება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას ჯერ არ მოუცია თანხმობა და შენ იქ რაღაცას აქტიურობ. “აგრემანის” მოსვლამდე მე მოსკოვში ორჯერ ჩავედი და ეს გავაკეთე სრულიად გააზრებულად.

პირველად, ეს იყო მარტის დასაწყისში. მიხეილ სააკაშვილი პუტინთან შეახვედრად მიდიოდა და ბოლო მომენტში მეც თან წამიყვანა. მახსოვს, როგორ დაიძაბა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, როცა პირველად ჩავედი მოსკოვში. მე უფლება არ მქონდა, დავსწრებოდი მათ შეხვედრას, მაგრამ არაფორმალურ შეხვედრებში მონაწილეობას მივიღებდი.

არცერთ შეხვედრაზე, სადაც მას შეეძლო ჩემი არაფორმალური წარდგენა, როგორც მომავალი ელჩისა, არსად არ შემიმჩნია. მაგალითად - ქართულ სათვისტომოსთან ეკლესიაში შეხვედრაზე. არადა, იქაურ ქართველებს 2004 წლის შემდეგ, რაც სააკაშვილმა ყოფილი ელჩი ზურაბ აბაშიძე გამოიწვია, სხვა ელჩი თვალით ნანახი არ ჰყავდათ. ხალხი ელოდებოდა, რომ პრეზიდენტი მათ ახალ ელჩს წარუდგენდა, თანაც ყველანი მცნობდნენ, მათთან ვიდექი და პრეზიდენტმა კრინტიც არ დაძრა ჩემზე. დაკვირვებული ვარ, სააკაშვილს საჯაროდ ჩემზე არასოდეს არცერთი სიტყვა არ უთქვამს, არცერთ კონტექსტში. სიტყვა „ეროსი კიწმარიშვილი“ მისთვის არის ტაბუირებული. ეს მისი ფსიქიკის ნაწილია, ჩემს მიმართ დამოკიდებულების ნაწილი.

ქართულ სათვისტომისთან შეხვედრაზე სააკაშვილს ჩვეული “იაღლიში” მოუვიდა. თბილისიდან სათვისტომოს თამჯდომარის, თემურ სტურუას სახელზე გამოწერილი ღირსების ორდენი და სიგელი წაიღო და მერე ეკლესიაში მღვდელს გადასცა! ცალკე სტურუა დატოვა გაოგნებული და ცალკე - მოძღვარი, იმის გამო, რომ ეს სხვისი ორდენი მისცა. იქ, ეკლესიაში, რაღაცა მოეწონა გადაიფიქრა და ორდენი სათვისტომოს მეთაურს აღარ მისცა. მერე მე მომიწია რეალური ორდენის და სიგელის ჩატანა.

ეს ერთ-ერთი მაგალითია სააკაშვილის დრამატულად შეცვლის. ნიშანი ხალხის მიმართ მისი აგდებული დამოკიდებულების, რის ყველაზე თვალშისაცემი მაგალითი მოსკოვში ჩვენი გამგზავრების დროს თვითმფრინავში ვნახე.

პრეზიდენტი თვითმფრინავის სალონში “შემოქროლდა” და თითქოს ვერავინ შეამჩნია, ისე, რომ არავის მისალმები, თავის ადგილზე დაჯდა.

კინოში მაინც უნდა ჰქონდეს ნანახი, რომ როცა ზოგადად პრეზიდენტი თვითმფრინავში შედის, მას ხვდება ეკიპაჟი და მისი მეთაური. ის ართმევს სათითაოდ ხელს ყველას, რაც უბრალოდ ადამიანურ ჩვევასთან ერთად ხაზგასმული პატივისცემაა მათ მიმართ, ვისაც იმ მომენტში ქვეყნის პირველი პირის სიცოცხლე აბარია. რას აკეთებს სააკაშვილი? ეს საერთოდ ზედ არ უყურებს არც ერთს ჯდება და იწყება ფრენა.

კარგი, ვთქვათ, ეს მომსახურე პერსონალია, არცერთ თანამდებობის პირს, რომელიც სალონშია, საერთოდ ზედაც არ უყურებდა. თანამდებობის პირები კი იყვნენ: უშიშროების საბჭოს მდივანი კახა ლომაია, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე, დაზვერვის შეფი გელა ბეჟუაშვილი, ეკონომიკის მინისტრი ეკა შარაშიძე, მათ გარდა - პარლამენტარი მარიკა ვერულაშვილი, ფრიდონ თოდუა და გია ვაშაძე. თუ ვინმესთან ურთიერთობა მოუნდებოდა ხელით ანიშნებდა ან გადასძახებდა და ესენი ეახლებოდნენ.

თვითმფრინავში სააკაშვილის ერთ-ერთი რიტუალია გაუგებარი, უმდაბლესი ხარისხის ქართული პოპ-მუსიკის ხმამაღლა მოსმენა ყუსასმენების გარეშე. ამიტომ ყველა იძულებულია ამ მუსიკას უსმინოს. თანაც კასეტას თუ დისკს წამდაუწუმ წინ და უკან ახვევს და ყველას გულს უწუხებს. პერიოდულად ემართება ისტერიკა, ითხოვს რაღაც დისკს, რომელიც არასოდეს აუტანია თვითმფრინავში და ყვირის, სად არის ის დისკიო, უყვირის დაცვას, სტიუარდესებს, ეს დაბნეული საწყალი ხალხი შეშინებული იყურება აქეთ-იქით.

მანამდე კი სააკაშვილი ყოველთვის ცდილობდა ყველასთან ყურადღებიანი ყოფილიყო და ეს მისი ხაზგასმული თვისება იყო, მაგრამ ეს აღმოჩნდა მისი ნიღაბი. ალბათ გახსოვთ, მეტროებში ჩავარდებოდა და მემანქანიდან დაწყებული ყველას ხელს ართმევდა. სხვადასხვა ოფისებში შედიოდა და ხალხს ხაზგასმულად ზრდილობიანად ესალმებოდა.

მას ეს უკვე აღარ სჭირდებოდა და აღარც ის აღელვებდა, დაქოქილი თვითმფრინავი, თუ როგორ ელოდებოდა მას საათობით.

რუსეთში ცალკე ანეკდოტის თემად იქცა მისი გადაფრენები რუსეთის ტერიტორიაზე. წესია, როცა ქვეყნის პირველი პირის თვითმფრინავმა სხვა ქვეყნის ტერიტორიას უნდა გადაუფრინოს, ამის თაობაზე ამ ქვეყნის აერო ნავიგაციის სამსახურს დიპლომატიური ხაზით ატყობინებენ. მაგალითად, ევროპაში მიფრინავდა, 900-ჯერ ცვლიდა გაფრენის დროს და საკონსულოს თანამშრომლებიც იძულებულები იყვნენ 900-ჯერ დაკავშირებოდნენ რუსეთის აერონავიგაციის სამსახურს და მუდმივად ეუწყებინათ პრეზიდენტის რეისის ახალი დრო, ანაც ბოლოს შესაძლოა ეთქვათ, რომ სააკაშვილმა ფრენა გადაიფიქრა, ხვალ შემოგეხმიანებით. ამის გამო საწყალი საკონსულოს თანამშრომლები გაწამდნენ.

მისი იმპულსური ხასიათი 2002-2003 წლებში ქარიზმის ნაწილი იყო და ეს ძალიან ბევრისთვის აბსოლუტურად მომხიბვლელი იყო. ეს ყველას მოგვწონდა და ვამბობდით, აუ, რა უშუალოა მიშა და ა.შ. თუმცა, თუ როგორ “წაადგა” ქვეყანას მიშას ეს იმპულსურობა, საქართველოს რუკაზე თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს.

ცალკე თემაა თავად პრეზიდენტის თვითმფრინავი. ეს არის 15-კაციანი, მცირე ზომის ახალი თვითმფრინავი. მას აქვს პატარა სალონი, თავისი პატარა და დიდი გასაშლელი დივნებით. დიდი დივანი შეგიძლია საწოლად გადააკეთო. მისი იმპულსების კვალი სალონსაც ნათლად ატყვია: ის ღვინით ზოგგან მიწუწულ-მოწუწული და გაბინძურებულია.

თავად ეს თვითმფრინავი სააკაშვილმა სრულიად არაკანონიერი გზით შეიძინა: „საქართველოს ბანკმა“ კრედიტი მისცა თავდაცვის სამინისტროს და ეს თვითმფრინავიც მათ იყიდეს. კრედიტი არის ძალიან კაბალური და ბიუჯეტით გარანტირებული. კრედიტის პროცენტიანად თვითმფრინავი ალბათ 80 მილიონი დაჯდება იმიტომ, რომ ძალიან მაღალპროცენტიანი ხანგრძლივი კრედიტია. თვითმფრინავი ეკუთვნის თავდაცვის სამინისტროს, თუმცა სააკაშვილი სარგებლობს, რაც უკანონოა. თავისთავად, პრეზიდენტს რომ თვითმფრინავი ჰყავდეს, ამაში არაფერია არის გასაკვირი, მაგრამ ეს ის სააკაშვილია, რომელიც, როცა პრეზიდენტი გახდა, ე.წ “ვიპ” გასასვლელითაც არ სარგებლობდა. ოთხი წლის წინ აცხადებდა, რომ აეროპორტში ტრაპთანაც ავტობუსით ხალხთან ერთად მივიდოდა და ჩინოვნიკებსაც ამისკენ

მოუწოდებდა. აი ამიტომ არის ამ თვითმფრინავის თემა საინტერესო და მნიშვნელოვანი.

უკანონო გზით ძვირადღირებული თვითმფრინავი დაისაკუთრა იმ სააკაშვილმა, რომელსაც არც თვითმფრინავი უნდოდა, არც რეგალიები, არც პრივილეგიები. ახლა კი, როგორი რეზიდენციაც ააშენა ავლაბარში, ეს ყველამ ნახა, აჭარაში ბობოყვათის რეზიდენციაში კეთდება უმდიდრესი რემონტი, ერთი რეზიდენცია აქვს წეროვანში, მეორე შავნაბადაზე, ზუგდიდში გააკეთა უზარმაზარი რეზიდენცია. ადამიანმა, რომელიც 4 წლის წინ სრულიად სხვა ზღაპრებს ყვებოდა.

უკვე ვთქვი, რომ მოსკოვში სააკაშვილმა როგორც დანიშნული ელჩი, არსად არ წარმადგინა, საერთოდ იგნორირება გამიკეთა. არც ვიცი, იქ რატომ წამიყვანა. ჩემთვის მთავარი ამბავი უკანა გზაზე, იმავე თვითმფრინავში, მოხდა:

სააკაშვილი სალონში ფეხზე იდგა და მე, ვაშაძეს და ბეჟუაშვილს გვესაუბრებოდა. მან ჩემთვის ძალიან მოულოდნელად გამოაცხადა, რომ აგვისტოში საქართველოს დედაქალაქს სოხუმში გადაიტანდა.

- რას იზამ მიშა? როგორ? - ვკითხე.

- ეგრე იქნება, - მიპასუხა.

მისმა გარემოცვამ, ყველა იქ მყოფმა, ეს ამბავი ძალზე ჩვეულებრივად მიიღო იმიტომ, რომ ჩემგან განსხვავებით ისინი მასთან ერთად ხშირად დაფრინავდნენ. სააკაშვილი რომ ომის დაწყებას აპირებდა, ელჩის სტატუსში მე ეს პირველად მოვისმინე, ყველა იქ მსხდომმა ეს იცოდა და მათ არაფერი გაუპროტესტებიათ, პირიქით ჰა-ჰა-ჰა - გააგრძელეს ლაღობა.

თანაც, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ამ მიმართულებით პუტინს სააკაშვილი არანაირად არ დაუიმედებია. პირიქით, სააკაშვილი გაღიზიანდა, პუტინი მკაცრად მესაუბრაო.

“მე მაქვს შანსი ამ ომის თავიდან ასაცილებლად”,- ვუთხარი საკუთარ თავს და გადავწყვიტე გამეძლიერებინა სააკაშვილის გარემოცვის ის ფრთა, რომელიც ომის დაწყებას მხარს არ უჭერდა. ვფიქრობდი, რომ ამ ხალხს შევეშველებოდი, თუ ჩემი მხრიდან დავუმატებდი არგუმენტებს, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს, და ჩვენ შევძლებდით ომის თავიდან აცილებას. ასეთებად პირველ რიგში, პრაგმატული აზროვნების გამო, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, ზურაბ ადეიშვილს და შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს მოვიაზრებდი. თუმცა, მათი ტყუილად მეიმედებოდა, რაზეც ცოტა მოგვიანებით მოგითხრობთ.

მეორედ მოსკოვში ერთი კვირის თავზე წავედი. როგორც კერძო პირმა დესპანის მოწვევით ავიღე ვიზა. ვსარგებლობდი ელჩის მანქანით, მაგრამ მანქანას არ ეკეთა საქართველოს დროშა. მივედი საელჩოში და ხაზგასმულად არ ავედი ელჩის რეზიდენციაში და გავჩერდი სასტუმროში. ამას ხედავდა საელჩოს დაცვა და იკითხეს, რას აკეთებსო? რაზეც უპასუხეს, რომ ჩვენს ელჩს რწმუნებათა სიგელი არ გადაუცია და ოფიციალურად ელჩი არ არისო.

მაშინ ვნახე, რომ საელჩო მიტოვებული ჰქონდათ. ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან რუსეთიდან ზურა აბაშიძის გამოწვევის შემდეგ იქ დანიშნეს კოტე კემულარია, რომლის წარდგენისას სააკაშვილმა თქვა, რომ კოტე მისი მეგობარი იყო. რუსეთში კემულარია კარგად მიიღეს, მაგრამ მე კოტეს ვერც პროფესიონალიზმს შევაფასებ, ვერც გაკეთებულ საქმეს, იქ სულ რამდენიმე თვე გაჩერდა, იგი მალევე აქ მინისტრად გადმოიყვანეს.

შემდეგ დანიშნეს ვალერი ჩეჩელაშვილი, რომელიც პროფესიონალი საკადრო დიპლომატია და ითვლებოდა, რომ კარგი ელჩი იქნებოდა. იგი 2005 წლის გაზაფხულზე უკვე სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსმა, ირაკლი ჩუბინიშვილმა შეცვალა. ელჩების სწრაფად ცვლას საელჩოს კადრების ცვლაც მოჰყვა, რაც მის მუშაობას ნაკლებად ქმედუნარიანობას იწვევდა.

ირაკლი ჩუბინიშვილის ელჩად წასვლის მოტივი ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები იყო. მე და ირაკლი ძალიან ახლოს ვიყავით, ვმეგობრობდით და მისი წასვლა ჩემთვის გასაგები იყო: იგი გარბოდა ამ გარემოცვიდან. მან თავისი თავი ამ სისტემაში ცოტა ხნით დაინახა. მისთვის საკუთარი ინტერესები ყოველთვის პირველ ადგილზეა, ცოტა ეგოისტია, ეს არც კარგია, არც ცუდია, უბრალოდ ასეთი ხასიათი აქვს.

მიშა მას ეკონომიკის მინისტრობას სთავაზობდა. თუ დაუკვირდებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყველა ხელმძღვანელი, ჩუბინიშვილის გარდა, შემდეგ ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა. არველაძე, შარაშიძე. ბოლო გამონაკლისია ადეიშვილი, რომელიც გადაიყვანეს იუსტიციაში თუ პროკურატურაში.

მოკლედ, ირაკლი გაექცა მიშას, თავი მოისაწყლა, ჯერ ვითომ კვდება, ავად არის, მერე ცოლს გაშორდა და ამის გამო თბილისში ცხოვრება აღარ შეუძლია. წავიდა და მოსკოვში ცხოვრება მოიწყო. მან ცნობილი ქართველი ბიზნესმენის, მიხეილ ხუბუტიას ფულით საელჩო და ელჩის რეზიდენცია კარგად გაარემონტა, გაარემონტა ბინა ელჩის აგარაკზე, იყიდა კარგი მანქანა.

ირაკლი, როგორც ელჩი ,არც არაფერს არ აკეთებდა, მას არც არავინ არაფერს ეკითხებოდა და მისი საქმიანობა არც არავის აინტერესებდა. მას ჰქონდა ზედმეტსახელი, „ჩელოვეკ ნევეძიმკა“, კომპოზიტორმა გია ყანჩელმა დაარქვა. მას მანამდე მოსკოვში რაღაც ბიზნესი ჰქონდა და ძველი მეგობრები შემოიკრიბა ირგვლივ.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ სააკაშვილი სულ გაიძახოდა ხუთჯერ შევხვდი პუტინსო. პუტინთან შეხვედრა და ზოგადად პრეზიდენტების შეხვედრა, ეს არ ნიშნავს, რომ ორი კაცი შეხვდება ერთმანეთს და უცებ რაღაცას გადაწყვეტენ, რომელსაც მერე ხალხი შეასრულებს. ამ შეხვედრებს წინ თუ დიდი სამზადისი არ აქვს, შედეგი ვერ მიიღწევა. შეხვედრის მომზადებაა ყველაზე პრინციპული ნაწილი, როცა პრეზიდენტები რაღაცაზე ბედნიერი სახით ხელს აწერენ, ეს ამის შედეგია და ამგვარი ფუქცია ჩვენს საელჩოს საერთოდ დაკარგული ჰქონდა. დაკარგული ჰქონდა მატერიალური ქონებაც.

ბოლო წლების მაგალითზე მოსკოვში ქართული ქონების ისტორია არის ნიმუში, თუ როგორ კარგავს საქართველო ქონებას ტერიტორიებივით. ეს არის ამის კლასიკური მაგალითი.

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისას მოსკოვში ჩვენ ვფლობდით შემდეგ ქონებას: საელჩოს შენობას, რომელიც მდებარეობს “მალი ტვერსკი პერეულოკ” ნომერ ხუთში. ეს სახლი აშენებულია მე-20 საუკუნის დასაწყისში, იყო ცნობილი რუსი არქიტექტორის სოლოვიოვის თუ საველიევის პროექტი და არის ძალიან ლამაზი სახლი. კომუნისტების დროს სახლს გასაფართოებლად მიშენება გაუკეთეს. ის არის საქართველოს საკუთრება, ოღონდ საკუთრების დამადასტურებელი საბუთები არ გაგვაჩნია. არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლების დროს, თითი არავის გაუნძრევია ამ საკითხის გადასაწყვეტად. ორი წლის წინ ქალაქის მერმა გიგი უგულავამ “დედა ენის” ძეგლთან რუსეთის კულტურის ცენტრისათვის მიწა გამოყო, მერე ბიძინა ივანაშვილს მიყიდა და რუსებმა კულტურის ახალი ცენტრი გახსნეს. ამის სანაცვლოდ ჩვენ შეგვეძლო რუსებისთვის საელჩოს პრობლემის მოგვარება მოგვეთხოვა. ეს დღემდე მიგდებული თემაა, ჩვენია, მაგრამ ჩვენი არ არის, თანაც ისტორიული ძეგლია.

მეორე - ე.წ. “სასტუმრო სახლი” რამდენიმესართულიანი სატუმრო, თავისი რესტორნით, რომელიც

საელჩოდან 100 მეტრში მდებარეობდა. მას შემდეგ, რაც ჩვენებმა აქ რუსი “შპიონები” დაიჭირეს და გაყარეს, ამ ამბიდან მცირე დროის შემდეგ ამ შენობაში ნიღბიანი რუსი სპეცრაზმელები შეცვივდნენ და შენობა წაგვართვეს. ქართველები გამოყარეს და ეს შენობა ვიღაცას გადასცეს არენდით. თუმცა, სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე მეგობრებმა საქართველოს საელჩოს თანამშრომლები გააფრთხილეს, გამოყრას გიპირებენ და შენობა დაიცავითო. ამ შემთხვევაში დაცვა ნიშნავდა, რომ იქ ერთი დიპლომატი მაინც უნდა ყოფილიყო და ამ შენობას თითს ვერ დააკარებდნენ, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. ჩვენ დავკარგეთ სასტუმრო, ეს იყო რამოდენიმე ათეული ნომერი, სადაც შეიძლებოდა საქართველოდან ჩასულები იაფად გაჩერებულიყვნენ. მოსკოვში კი ერთი დღე-ღამით საშუალო კლასის ნომერი 600-700 ევრო ღირს.

მესამე შენობა იყო ქართული კულტურის ცენტრი “მზიური”, რომელიც მდებარეობდა ძველ არბატზე. იგი იყო ჩვენი სიამაყის საგანი. შევარდნაძის პერიოდში იქ ვერ გაიგებდი, ვინ იყო პატრონი - შავები თუ წითლები, მოკლედ, სულ გარჩევების საგანი იყო. სააკაშვილმა 2005 თუ 2006 წელს გამოაცხადა, რომ მან „მზიურის“ გაყიდვა გადაწყვიტა. რატომ გადაწყვიტა - არავინ იცის, როცა ათეულ ათასობით ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს მოსკოვში და ამ ცენტრში ათასი რაღაც იყო, ანსამბლები, სკოლა და ა.შ.

სააკაშვილს თითქოს კეთილშობილური იდეა ჰქონდა: გავყიდოთ” მზიური”, რომელიც 25 მილიონი ღირს და სხვადსხვა ქვეყნებში ვიყიდოთ საელჩოებისთვის შენობები, ამით იჯარის ფულს აღარ გადავიხდით. გეგმავდა, რომ ნიუ-იორკში, ლონდონში და მინიმუმ 4-5 “ტოპ” ქალაქში. უნდა გვეყიდა საელჩოსთვის შენობა, ღირსეული საქმე იყო თითქოს, მაგრამ ეს ფული წავიდა სადღაც და არანაირი საელჩო არასოდეს საქართველოს არსად არ შეუძენია.

ჩემი ჩასვლის შემდეგ მე გავიგე, რომ შენობა ყაზახებს უყიდიათ, “ზარალებმა”, ვიღაცეებმა ყაზახურ ბანკს აყიდვინეს და ამ ბანკს ფინანსური პრობლემების გამო „მზიურის“ გაყიდვა უნდოდა. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ქართველებსაც ჰქონდათ ამ შენობის შესყიდვის სურვილი და მათ არ მიყიდეს. მაგალითად, ზურაბ წერეთელი ნაწყენი ამბობდა, რომ მე მინდოდა მეყიდაო.

მე მინდოდა ყაზახებისგან შენობის უკან გამოსყიდვა და დამფინანსებლის ძებნა დავიწყე. ვფიქრობდი, საქართველოდან წასული მდიდარი ადამიანებისთვის შემეთავაზებინა, იქნებ მათ გამოესყიდათ ეს შენობა. კი ბატონო, ის დაეტოებინათ თავიანთ საკუთრებაში, მაგრამ ყოფილიყო ქართული კულტურის ცენტრი. მართვის უფლებით 50 წლით გადმოეცათ ჩვენთვის. საქართველო როდესაც გაძლიერდებოდა, მას გამოისყიდიდა. რატომ უნდა დავკარგოთ ჩვენი ისტორიული ფესვები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე? მას ხალხი ინახავს, უფრთხილდება და ეს არის ჩვენი გავლენა, კულტურა, რითაც ვამაყობთ. ქართველებს უდიდესი როლი აქვთ ნათმაშევი რუსეთის და მოსკოვის ისტორიაში. ეს ყველაფერი ჩვენი კულტურის ნაწილია, ეს არის ჩვენი ფუნდამენტი. აბა სხვა რა არის ცივილიზაცია? ერთი მიწის ნაგლეჯზე თუ დარჩი და არცერთ ენაზე აღარ ილაპარაკე, მაშინ განუვითარებელი ტომი ხარ. ამიტომ ჩემთვის “მზიურის”კულტურის ცენტრის დაბრუნება იყო პრიორიტეტული.

სპონსორის პოვნა, თანაც ამგვარი პირობით, რა თქმა უნდა, ძნელი აღმოჩნდა. თუმცა ამ ძიებისას, ფრიად საინტერესო პიროვნება გავიცანი, თბილისელი ქურთი ზელიმხან მუცოევი, რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და ამჟამად “დუმის” დეპუტატი.

თუმცა “მზიურის” გამოსყიდვა ვეღარ მოვასწარი. იგი 25 თუ 27 მილიონ დოლარად აზერბაიჯანელებმა იყიდეს და იქ გაიხსნება აზერბაიჯანის კულტურის ცენტრი. მე არც რასისტი ვარ არც მეზობლებისადმი მაქვს ცუდი დამოკიდებულება და თუ აზერაიჯანელები იყიდიან ქონებას რუსეთში, ამაზე გული არ დამწყდება, მაგრამ მოსკოვის მთავარ ქუჩაზე, სადაც წარმოშობით ქართველი ბულატ ოკუჯავას ძეგლი დგას, სადაც ყველა მოსკოველმა იცოდა, რომ იყო ქართული კულტურის ცენტრი “მზიური”, აწი

ისწავლიან, რომ იქ აზერბაიჯანის კულტურის ცენტრია.

“მანეჟში” დიდი ტურისტული გამოფენა იმართებოდა და ჩემს ერთ-ერთ მრჩეველს, რომელსაც კულტურის საკითხები ეხებოდა, იქ გავყევი. საქართველოს გარდა თითქმის ყველა ქვეყანა იყო წარმოდგენილი. იყვნენ აფხაზებიც. ქართული მთიულური მუსიკის ხმა შემომესმა, მივედი შევხედე, რაღაც დუნედ ირჯებოდნენ, მათი მიხრა-მოხრაც არ მომეწონა. აზერბაჯანელი ბიჭები ცეკვავდნენ! აბსოლუტურად სხვა ტემპერამენტით, უფრო კარგით თუ ცუდით - სხვა თემაა, მაგრამ სხვა ტემპერამენტით და სხვანაირად ცეკვავდნენ. ჩვენი ტანსაცმლით, ჩვენი მუსიკით. დამთავრდა ცეკვა და გამოაცხადეს: “ტანეც კავკაზსკი”! რუსისთვის ეს უკვე აღარ არის ქართული კულტურა!

მეოთხე შენობა, რომელიც გვეკუთვნოდა იყო ელჩის აგარაკი. კიდევ ერთი მტკივნეული ისტორიის თემა. ეს შენობა გვქონდა იჯარით და ისიც წაგვართვეს. ელჩის აგარაკი ძალიან მნიშვნელოვანი სოციალიზაციის ნაწილია. რას ვგულისხმობ სოციალიზაციაში: ელჩის აგარაკი პრესტიჟულ უბანში, სადაც მეზობლად ცხოვრობდნენ გავლენიანი რუსი პოლიტიკოსები და სხვადასხვა ქვეყნის ელჩები. შაბათ-კვირას აგარაკზე შეგიძლია დაპატიჟო შენი კოლეგა, ჟურნალისტები. აგარაკიც შენი ქვეყნის მდგომარეობის მაჩვენებელია და ჩვენ ესეც დავკარგეთ.

ბოლოს საქართველოს საკონსულოს ისტორია, რომელიც იმის მაჩვენებელიცაა, თუ როგორი სახელმწიფოებრივი აზროვნება აქვთ სააკაშვილის ხელისუფლების წევრებს. საკონსულოს საკუთარი შენობა არ აქვს და ის განთავსებულია ნაქირავებ ფართში, რომლის მფლობელი არის მიშა სააკაშვილის საყვარელი ბიზნესჯგუფი, რომელსაც წარმოადგენს ვინმე დოდიკა შარანგია და მისი მეგობრები, გალელი თუ ოჩამჩირელი ბიჭები. მათ მოსკოვში ბლომად ფული იშოვნეს. აქ საქართველოში თავდაცვის ყოფილ მინისტრთან, ირაკლი ოქრუაშვილთან მეგობრობდნენ. ისინი ფლობენ რესტორნებს: “მატრიოშკა”, “ტოკიო”, “ძველ სახლი”. მათ ყველაზე დიდი ბიზნესაქტივები აქვთ. მათ “დაკრიშეს” ვანო ჩხარტიშვილის ნავთობ-პროდუქტების ბიზნესიც. ცხოვრობენ “ქორთიარდ მერიოტში”, მგონი ნახევარი სასტუმრო უჭირავთ. სატუმროს წინ, თავისუფლების მოედანზე, სადაც მაქანების გაჩერება აკრძალულია, მათი ძვირადღირებული ავტომანქანები დგას. ჩვენ ამის გამო დიდ ჯარიმას გადაგვახდევინებდნენ, ესენი სააკაშვილთან მეგობრობის გამო კანონზე მაღლა დგანან, მათ კანონი არ ეხებათ. ეს არის ის, რასაც შევარდნაძის დროს სააკაშვილი მონდომებით ებრძოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, კონსულმა დამირეკა და მითხრა, თბილისიდან ბრძანება მომივიდა, რომ საკონსულოს შენობა უნდა დავტოვოო. მას საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ბაქრაძემ, საკონსულოს საელჩოს შენობაში გადატანა უბრძანა. ბაქრაძემ ამის თაობაზე, მე ელჩს, არაფერი მითხრა, რაც სუბორდინაციის დარღვევაა.

საგარეო უწყება საელჩოების კოორდინატორია. ელჩი არის ის თანამდებობის პირი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი. ელჩი არ ინიშნება საგარეო უწყების მიერ, საგარეო საქმეთა ხელმძღვანელი ისეთივე კოლეგაა ელჩისთვის, როგორც სხვა ელჩი. საგარეო საქმეთა მინისტრი არც ნიშნავს და არც ხსნის ელჩს. ელჩი სახელმწიფოს სახელით ლაპარაკობს, ელჩს უწერია რწმუნებათა სიგელში, რომ ეს ადამიანი წარმოადგენს საქართველოს რუსეთის ფედერაციაში და ის საუბრობს საქართველოს სახელით.

კონსულმა საშველად მე დამირეკა. მას მიეჭრნენ ამ დოდიკა შარანგიას “ბიჭები” და ულტიმატუმი წაუყენეს, 24 საათს გაძლევთ და ხვალ საღამომდე საკონსულო დაცალეთო. ეს შეუძლებელია, ვინაიდან საკონსულოს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვაა საჭირო. ამასთან ერთად, საკონსულომ, სადაც ყოველდღიურად უამრავი ხალხი მიდის, საელჩოში როგორ უნდა იფუნქციონიროს? ეს საელჩოს პარალიზებას გამოიწვევდა.

ამ მიზეზების გამო კონსულმა ზურაბ პატარიძემ მათ აუხსნა, რომ მისი უშუალო უფროსისგან, ანუ ჩემგან ამგვარი ბრძანება არ ჰქონდა და ვერაფერს გააკეთებდა. ამის გამო კონსულს ესენი ქუჩურად საქმეს ურჩევდნენ - შენმა მინისტრმა თქვა, დროზე დავცლით და შენ ვინა ხარო. გაბრაზებულმა შარანგიამ ბაქრაძეს დაურეკა, მინისტრმა კი მოსკოვში გადარეკა და კონსულს უსაყვედურა, რატომ არ ცლი შენობასო. რა უნდა ექნა ზურაბ პატარიძეს? მინისტრმა ვიღაც ბიჭებთან საქმის გარჩევისას გაამტყუნა და დარტყმის ქვეშ დააყენა კაცი, რომელიც ქართველების მოსკოვიდან დეპორტაციის დროს 24 საათი მუშაობდა და პოლიციის განყოფილებებიდან ათავისუფლებდა თანამემამულეებს. აი, ასეთი სახელმწიფო მიდგომა ახასიათებს ჩვენს პარლამენტის თავმჯდომარეს.

მე სასწრაფოდ მივედი ბაქრაძესთან კაბინეტში და მოვთხოვე აეხსნა, თუ რატომ მოიქცა ასე. მე არაფერ შუაში ვარო, და მან ხელი ზევით აიშვირა. კარგი, პრეზიდენტს მე დაველაპარაკები მეთქი. ვანო მერაბიშვილმა მიბრძანაო- დამიზუსტა. აბსურდი! შინაგან საქმეთა მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრს ბრძანებებს აძლევს.

საბოლოოდ, თავად შევხვდი შარანგიას და შევთავაზე, ან ერთი თვე მოგვეცი საკონსულოს დასაცლელად, ანდა აჯობებს, შენობის საფასურის ნახევარს მილიონ დოლარს მე გადავიხდი, ნახევარი შენ გადაიხადე და სანამ სხვა საშუალება გამოჩნდება საკონსულოს მივაქირავოთ ეს შენობამეთქი. არ დამთანხმდა. საკონსულოს შენობის გაყიდვა ეჩქარებოდა, ალბათ იმის გამო, რომ გავლენიანი მეგობრებისაგან ინფორმაცია ჰქონდა, რომ მალე სააკაშვილი ომს დაიწყებდა და ქონების “გაქეშება” ეჩქარებოდა.

2008 წლის თებერვალში მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ ბუშს შეხვდა. ამ შეხვედრის შემდეგ სააკაშვილის გარემოცვამ დაიწყო საუბარი, რომ ამერიკა სააკაშვილს დათანხმდა ტერიტორიალური მთლიანობის აღსადგენად ომი დაეწყო. მათ ამისათვის მზადება დაიწყეს. ვაშინგტონიდან ჩემი მეგობრები ასეთი შეთანხმების სინამდვილეს კატეგორიულად უარყოფდნენ. მათ მითხრეს, მსგავსი არაფერი ყოფილაო. ბუშმა სააკაშვილს უთხრა, რომ თუ დაინტერესებული ხართ ჩვენი მხარდაჭერით, მაშინ ჩვენთან შეთანხმების გარეშე არანაირი ნაბიჯი არ გადადგათო. ბოკერია და ესენი კიდევ თავის ფანტაზიებს რეალობად ასაღებდნენ.

უკვე ელჩი ვიყავი და კრეტინულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. რწმუნებათა სიგელი გადაცემული არ მქონდა, ანუ ჯერ არ დავნიშნულვარ და უკვე ომს იწყებ, რა ელჩობაზეა საერთოდ ლაპარაკი, მაიმუნობაა, მეტი არაფერი. აქ მარტო ელჩობაზეც არ იყო საუბარი, როცა ხედავ, რომ შენი ქვეყანა უფსკრულისკენ მიდის, იჩეხება და რაღაცნაირად გინდა უშველო.

პირველი, რაც გავაკეთე, აშშ-ს ელჩთან მივედი, მინდოდა გამერკვია მართლა იყო ასეთი ლაპარაკი თუ არა. ელჩმა მითხრა, რომ პირველი არა ხარ, ვისგანაც მსგავსი ამბავი გავიგეო. ვუთხარი, იქნებ ამ კაცს ზუსტი მესიჯი მისცეთ მეთქი, მე მესმის რომ თვითონ იგონებენ და ომისკენ მიდიან, და თუ ძმა ხარ, იქნებ ომს გადავრჩეთ მეთქი. დამეთანხმა, მართალი ხარო და რაღაც აქტიურობა დაიწყო.

მე ვთვლიდი, რომ ეს არ იყო საკმარისი, ამიტომ გავრბივარ მიშასთან, ავდივარ შავნაბადას რეზიდენციაში. აქ დამხვდნენ მიშა, კეზერაშვილი და ბაქრაძე. ბურჯანაძე უკვე გადამდგარია და ბაქრაძეა ე. წ. სიის პირველი ნომერი და მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე, ახალი ნამინისტრალი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებდა დოდიკა შარანგიას შიშით და ვანო მერაბიშვილის ბრძანებით.

პირდაპირ დავიწყე, რას აკეთებთ მეთქი, რა ომზეა ლაპარაკი, ვითომ დიდი მზადყოფნა გაქვთ და იძახით, რომ ბუში მხარს გვიჭერს... და ასე შემდეგ. სააკაშვილი დაიძაბა და მკითხა, შენ ეგ ბრაიზამ გითხრაო? არა-მეთქი და ის საუბარი შევახსენე, 2006 წელს მექსიკურ რესტორანში, რომ გვქონდა

მე ახლაც ისეთივე აზრის ვარ ქართული ჯარის სტრატეგიულ შესაძლებლობებზე. შესაძლოა ბიჭები ახლა უკვე გაწრთვნილები, ნავარჯიშევი არიან, მაგრამ ხელმძღვანელობა არა გვყავს ანუ ოპერატიული მართვა, ოფიცრობა და საერთოდ თუ წარმოგიდგენია რუსეთთან ომი რას ნიშნავს მეთქი, ხომ იცი, რომ აფხაზებთან ომი რუსებთან ომს ნიშნავს?

“კეზერა” ჩაერთო საუბარში და იმას მივუბრუნდი, და რომ მგონია, როგორც 2004 წელს მაშინდელმა გვარდიის სარდალმა თავთუხაშვილმა თავი დახარა, როცა ვკითხე გაქვს თუ არა ომის დაწყების და როკის გვირაბის გაკონტროლების თავი მეთქი, ესეც შეშინებული დახრიდა თავს, მაგრამ მეუბნება, რაო, მეო, ამაზე მაგარი ჯარი უახლოესი ოთხი წელი არ მეყოლებაო. როგორ არ გეყოლება-მეთქი, პამიდორი ხომ არ არის, რომ გადამწიფდეს. ჯარს რაც უფრო წრთვნი და ავარჯიშებ, მით უფრო უკეთესი ხდება. არაო, ახლა პიკშიაო. რუსები სანამ დივიზიების მობილიზაციას დაიწყებენ, სანამ ძალებს დაამატებენ, სანამ იქ გზებს გაიყვანენ, თანაც მაგათ ჯარში საშინელი კორუფციაა და არაფრის თავი მაგათ არა აქვთ, მოკლედ სანამ ეგენი გონზე მოვლენ, დედას ვუტირებთო.

ამას რომ მეუბნებოდა, თან ერთი-ორჯერ ამერიკელი “რეინჯერივით” გადაპარსულ თავზე გადაისვა ხელი.

ამის გაგონებაზე, სააკაშვილიც იშტაზე მოვიდა და ნიშნის მოგებით მკითხა, ხედავ, რა ხდებაო?

“ვაი შენს ეროსის”, - გავიფიქრე იმ წუთში.

მოკლედ, ომის საწინააღმდეგო ერთი არგუმენტი “გამიცამტვერეს”.

მიშას მივუბრუნდი და ვკითხე, ვთქვათ, ძაან მაგარი ბიჭები ვართ და ძაან მაგარი არმია გვყავს, მოგება-წაგება ხომ იცი ძმები არიან, შანსები ხომ 50X50-ზეა და ომი რომ წააგო? მერე ხომ გამოუსწორებელ შედეგს მიიღებ, შენც ხომ დაემხობი და თუ რამე სიკეთეს აკეთებთ, ყველაფერი დაინგრევა-მეთქი. ჩემი აზრით, აფხაზეთში საომრად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წახვიდე, თუ თბილისში ხელისუფლებას დაკარგავ და აქედან გაგაგდებენ, თეორიულად შეიძლება მერე წახვიდე დაესხა აფხაზეთს და უკან გმირად დაბრუნდე.

მაცალეთ წლის ბოლომდე, რუსეთთან სიტუაციის გამოსწორების პერსპექტივას ვხედავ, არის საამისო რესურსი.

ვერ გადავარწმუნე. ეს თუ ივნისამდე არ გავაკეთეთ, მერე უღელტეხილებზე თოვლს აიღებს და ჩრდილო კავკასიელები გადმოსვლას შეძლებენო. ვკითხე, დესანტს ვერ გადმოსხამენთქო? არაო, დესანტი ვერ შემოვაო,- კბილებში გამოსცრა კეზერაშვილმა.

დათო ბაქრაძეს ვკითხე, ვაშინგტონში შეხვედრისას ბუშმა მოგცათ ომის დაწყების თანხმობა? მან თავი დახარა. მიშას ეს ყველაფერი არ მოეწონა და დაიძაბნენ.

ჩვენი ეს საუბარი აპრილში შედგა და აფხაზეთში ომის დაწყებას მაისის დასაწყისში აპირებდნენ.

მეორეს მხრივ, სოჭის ოლიმპიური თამაშების დროისთვის, აფხაზეთის გაყინულ კონფლიქტად დატოვება რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა. რუსებმა დაიწყეს სააკაშვილის პროვოცირება, რომ მან აფხაზეთის შემოსაერთებლად თავისი ოცნების ნაბიჯი გადადგას. რუსები აპირებდნენ კოდორის ხეობაზე კონტროლის

დამყარებას და შემდეგ აფხაზეთიდან ქართველების გამოყრას. რუსებს ამის გაკეთება აგვისტოში სურდათ, მაგრამ აფხაზები ევაჭრებოდნენ, რომ ოპერაცია, ზაფხულის საკურორტო სეზონის დამთავრების შემდეგ დაეწყოთ. მათ სეზონის ჩაგდება არ სურდათ. 2007 წელს აფხაზეთში 2 მილიონი ტურისტი ჩავიდა. ამდენი ტურისტი ჩვენთან მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ საბჭოთა პერიოდში ჩამოდიოდა.

მართალია აფხაზეთში ჩასული თითო ადამიანი იქ ათასებს და ათიათასებს არ ხარჯავს, მაგრამ თითომ 300 დოლარიც რომ დახარჯოს, 600 მილიონი დოლარი გამოდის, რაც ასეთი პატარა პოპულაციისთვის უკვე საკმაოდ დიდი ფულია.

აპრილის ბოლოს, სააკაშვილთან საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ გია ვაშაძემ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დამირეკა და მითხრა, სააკაშვილს მოეწონა შენი იდეა და რუსი ჟურნალისტები ჩამოიყვანეო. რახან მიშას ჩემი ეს იდეა გაახსენდა, ვიფიქრე, ალბათ საომარ კურსს იცვლისთქო. სააკაშვილი მაისის დასაწყიში ეპატიჟებოდა რუს ჟურნალისტებს.

მაისის დასაწყისში რუსეთში 1 და 9 მაისის დღესასწაულებთან დაკავშირებით ბევრი დასვენების დღეა. ლოთობა 30 აპრილს იწყება და 11 მაისამდე მოსკოვი პარალიზებულია. ვისაც ფული აქვს, ამ დროს დასასვენებლად მიდის. ქალაქი იცლება. ასევე იქცევიან ჟურნალისტებიც, ვინაიდან ამ დროს პოლიტიკურად ცხოვრება მკვდარია.

ამის გამო ელიტური ჟურნალისტების ჩამოყვანა ვერ მოვახერხე, მაგრამ მათ შემადგენლობას მაინც არა უშავდა. 7 მაისს ჩამოვიყვანე "ეხო მასკვის" ფანტასტიური ჟურნალისტი, ასევე „კომერსანტი", „ოგონიოკი", „ვლასტ", „იზვესტია", მედვედევისა და ლავროვის სამი ტოპ-სააგენტოს წარმომადგენლები.

სააკაშვილს ბათუმში ჩინურ რესტორანში შევახვედრე. მიშას უთხრეს, კოდორის ხეობაში გვინდა წასვლაო, ამან - რა პრობლემაა, წადითო. ძალიან გაუხარდათ. აჭარაში ვარშალომიძე თან გადაგვყვა.

პატრიარქთან გვქონდა ძალიან ლამაზი და ხანგრძლივი შეხვედრა. ისინი მოიხიბლნენ პატრიარქის უშუალო, ადამიანური, მეგობრული დამოკიდებულებით. მერე თბილისი დავათვალიერებინე, მერე ბათუმი და ბოლოს კახეთი, სიღნაღი. პოლიტოლოგებთან გვქონდა შეხვედრა. ქართველმა ექსპერტებმა იმის მაგივრად, რომ თავიანთი პოზიცია დაეფიქსირებინათ, ზოგადად რუსების გამო ჟურნალისტებს შეუტიეს. ეს ცოტა არ მომეწონა, სიტუაცია რომ გამენეიტრალებინა, წამოვიყვანე, ხინკალი ვაჭამე, მერე წავედით კახეთში, ღვინის ქარხანა ვაჩვენე, თან ვეუბნებოდი, რომ თქვენმა ემბარგომ კარგი შედეგი გამოიღო, კარგი ღვინო დადგა და ის აუცილებლად დაბრუნდება ისევ თქვენთან მეთქი.

სიღნაღში ჩასვლამდე კახეთის გუბერნატორს, ლევან ბეჟაშვილს დავურეკე და ვთხოვე, რუსი ჟურნალისტები ჩამომყავს და ფიროსმანის მუზეუმი დაგვახვედრე ღია და შემდეგ, სიღნაღში ჩემი მეგობრის გოგა კალანდაძის სახლში ვიქნებით და ანსამბლები „წინანდალი" და „გურჯაანი" მჭირდება, ჩვენი სიმღერები ძალიან მოეწონებათთქო. ესენი 25-27 წლის ახალგაზრდები იყვნენ, ისეთი თაობა, რომლებიც საერთოდ არ იცნობდნენ საქართველოს. საქართველოში პირველად იყვნენ.

ბეჟაშვილს ყურიც არ შეუბერტყავს. ფიროსმანის მუზეუმიც დაკეტილი დამახვედრა და არც ის ანსამბლები გამოგზავნა. ამის გამო სააკაშვილს დავურეკე და ვუთხარი, ეგ ძაან უცნაური ბიჭია, თუ შენს სტუმრებს ასე ისტუმრებს, სხვებს როგორ მოექცევამეთქი.

მოსკოვში სააკაშვილს ფანასტიური პრესა გაუკეთეს. მიშაც კმაყოფილი იყო. ძალიან კარგი წერილები დაწერეს. „იზვესტიას" ჟურნალისტს წერილი არ დაუბეჭდეს და სამსახურიდან გააგდეს, ისეთი აღფრთოვანებული სტატია დაწერა საქართველოზე, მიშაზე და ასე შემდეგ. ფანტასტიური გოგო იყო,

განათლებული. ტირილით დამირეკა და ბოდიში მომიხადა სტატიას ვერ ვბეჭდავო.

9 მაისს, როცა რუსეთი ფაშიზმზე გამარჯვების დღეს აღნიშნავს, ეს ჟურნალისტები ჯერ კიდევ თბილისში იყვნენ. მე, როგორც ელჩმა და როგორც, თუ გნებავთ იმიჯმეიკერმა, სააკაშვილს ვთხოვე, ვაკის პარკში მისულიყო, გვირგვინი მიეტანა და დაპატივი მიეგო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთათვის. მიეტანა გვირგვინები და ომის ვეტერანებს შეხვედროდა. რუსეთში დამკვიდრდა აზრი, რომ ჩვენ ამ დღეს აღარ აღვნიშნავდით, ლამის ბენდერელებს გვადარებდნენ, რომლებსაც ყველაფერი რუსული ეზიზღებათ. ამბობდნენ, რომ რუსების წინააღმდეგ გახსენით ოკუპაციის მუზეუმი და ა.შ.

მიშა ვაკის პარკში არ წავიდა, რაც, ვფიქრობ, არ არის კარგი საქციელი. თავი დავანებოთ რუსეთს, ამ ომში შვიდასი ათასი ქართველი წავიდა და ნახევარი უკან ვეღარ დაბრუნდა, სხვადასხვა ფრონტზე დაიღუპნენ. ფაქტიურად, ჩვენი მოსახლეობის 15 პროცენტი ამ ომში დაიხოცა და ამ ქვეყნის პრეზიდენტი უარს აცხადებს გამარჯვების პარკში ერთი გვირგვინის დადებაზე.

ქართველები ამ ომში არ ომობდნენ რუსების წინააღმდეგ, ფაშიზმს ებრძოდნენ.

ესტონელების ისტორია სხვა არის, მათთან რუსები იყვნენ როგორც ოკუპანტები და ამიტომ ვერ იტანდნენ წითელ არმიას. ამას ვუხსნიდი რუს ჟურნალისტებსაც, რომ ჩვენ და ესტონელებს სხვადასხვა დამოკიდებულება გვქონდა 9 მაისთან დაკავშირებით. ბოლოს ისიც ვთქვი, რომ ბაბუაჩემიც ამ ომში დაიღუპა და ჩვენთვისაც სამამულო ომი იყო მეთქი.

ზურა ჟვანია პარლამენტში ვეტერანებს მიღებას უწყობდა და მათ ასაჩუქრებდა. მაშინ “რუსთავი 2”-ც მხარს უჭერდა ამ აქციას და პირადად ვაძლევდი ხოლმე ფულს დეპუტატ ხათუნა გოგორიშვილს ამ ღონისძიების ჩასატარებლად.

ერთიც არის - რაც 2003 წლამდე მოხდა სააკაშვილისთვის არაფერი მნიშვნელოვანი არ არის. რაც მას არ უკავშირდება, მისთვის მნიშვნელოვანი არ არის. მან გმირთა მოედანზე აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალური დაფა დაკიდა და მუდმივი ცეცხლი დაანთო, რაც ძალიან კარგია. ეს მის სახელს უკავშირდება და იქ ალბათ ხშირად მივა, მაგრამ განა მას რამე დაუშავეს იმ მოხუცებმა, რომლებმაც 9 მაისს გამარჯვების დღის აღსანიშნავად ვაკეში ძლივს მიაღწიეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალამდე?

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რწმუნებათა სიგელი 15 მაისს უნდა ჩამებარებინა. მოსკოვში წასვლამდე პატრიარქთან მივედი და ილია მეორეს კურთხევა ვთხოვე. მე ეს არ გამიკეთებია კამერების წინ, პიარისთვის, რასაც პოლიტიკოსები ხშირად აკეთებენ. მე პატრიარქს დავეკითხე, რისი გაკეთება შეეძლო ჩვენს ეკლესიას და რისი გაკეთება შემეძლო მე, მის წიაღში მყოფ ქართველს რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. პატრიარქს გულწრფელად ვუთხარი, რომ ქვეყანა ომის ზღვარზეა, ჩვენთანაც გაძლიერდა ე.წ “ომის პარტია”და ამის გამო შეშფოთებული ვარ მეთქი. პატრიარქი დამეთანხმა, ამ საკითხზე ბევრს ვფიქრობ და ძალიან მაშფოთებსო.

პატრიარქმა დამლოცა და კურთხევა მომცა, დამაიმედა, ყველაფერში დაგეხმარებიო. - პატრიარქმა მითხრა, შენ შეგიძლია ქართულ-რუსული ურთიერთობა დაარეგულირო. დარწმუნებული ვარ, შენ ამას გააკეთებო. “ოღონდ, - პაუზა გააკეთა, პატრიარქი მძიმედ ავად არის და მეტყველება ცოტა უჭირდა, - შენ ხომ რუსეთში დიდხანს დარჩები?” - მკითხა. მე, პირიქით, მინდა ორი ვადითაც დავრჩე, - ვუპასუხე, - ვიცი რა არის გასაკეთებელი რუსეთთან ურთიერთობაში და თუ თქვენც და ხელისუფლებაც მხარს დამიჭერს, ძალიან ადვილად შეიძლება სიტუაციის დალაგება-თქო.

- არაო, მითხრა, - დიდხანს დარჩი, მაგრამ არ იფიქრო, რომ რუსებთან ასე მარტივად გამოვა რამეო, ეგენი ძალიან რთულები არიან და ასე ადვილად მაგათ გულს ვერ მოვიგებთო. მაგრამ შენ მაინც სცადეო. რომ გიყურებ და გისმენ, მჯერა, რომ შენ ამის გაკეთება შეგიძლია. შენ არა მარტო სააკაშვილის და საქართველოს ელჩი ხარ, ეკლესიის ელჩიც ხარო.

მთავარი, რაც ყველაზე მძიმე იყო ჩემთვის და დღემდე მახსენდება, მასთან მისვლამდე თავს მსუბუქად ვგრძნობდი, ხომ ხდება, რომ რაღაც პროცესების მასშტაბებს უცებ მთელი სიღრმით ვერ გაიაზრებ. პატრირქთან საუბრის შემდეგ ძალიან დავმძიმდი, საქართველოს წინაშე ჩემი პასუხიმგებლობა, არ ვიცი გაათმაგდა, თუ, კიდევ რამდენჯერ გაიზარდა.

ჩემი მრჩეველის, ვახტანგ ტატუნაშვილისგან ვიცოდი, რომ რუსეთის ახალი პრეზიდენტის მეუღლე ძალიან მორწმუნეა. მისი გავლენით ასეთივეა ვლადიმერ მედვედევიც. ტატუნაშვილი დამპირდა, რომ მათ მოძღვარს გამაცნობდა, რამაც ძალიან გამახარა. ამის გამო, პატრიარქს ვთხოვე, რუსეთის პრეზიდენტისა და მისი მეუღლისთვის გადასაცემად რაიმე საჩუქარი გაეტანებინა. პატრიარქმა, კარგიო, ოღონდ ერთი-ორი საათი მაცადეო.

მართლაც, 2 შემდეგ საათის დამიბარა და სამი სხვადასხვა ჯვარი და ორი წერილი გადმომცა. წერილები და ჯვრები რუსეთის მოქმედი და ახალი პრეზიდენტებისთვის და მესამე ჯვარი მედვედევის მეუღლისთვის.

15 მაისს, როცა მე რწმუნების სიგელის ასლის გადასაცემად მივედი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ვისაც პირველად შევხვდი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამმართველოს უფროსს კენინს, ვუთხარი პრეზიდენტებისთვის ჩვენი პატრიარქის გამოგზავნილი საჩუქარები მაქვს მეთქი. პროტოკოლს ჩააბარეო და მეც ასე მოვიქეცი. წესით მედვედევთან შეხვედრა რწმუნებათა სიგელის ორიგინალის გადასაცემად ივლისის ბოლოს მიწევდა, მაგრამ შემდეგ თარიღმა სექტემბერში გადაიწია და ამიტომ ვამჯობინე მისი საჩუქრის პროტოკოლისთვის ჩაბარება, ხოლო სვეტლანა მედვედევას საჩუქარი 2 დღის შემდეგ მის მოძღვარს კრემლთან ახლოს მდებარე ეკლესიაში გადავეცი.

მამა ვლადიმერ ვოლგინი ძალიან კარგი პიროვნება აღმოჩნდა. ჩვეულებრივი მღვდელია, მაღალი სასულიერო წოდება არ აქვს. მითხრა, ზუგდიდში საეკლესიო სიწმინდეების სანახავად ვიყავი და მაშინ მქონდა ბედნიერება ილია მეორეც მენახაო. პატრიარქზე ძალიან მოწიწებით საუბრობდა, უდიდეს საეკლესიო მოღვაწედ მოიხსენიებდა.

მოძღვარი თბილად დამემშვიდობა და სამი დღის შემდეგ დამირეკა. მითხრა, რომ ქალბატონ სვეტლანას ჯვარი გადასცა. იგი ძლიან აღშფოთებულა, როცა გაუგია, რომ მისი მეუღლის ჯვარი ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა სამინისტროში იმყოფებოდა. საქართველოს პატრირქის მიერ ნაკურთხი ჯვარი ჩვენთვის სიწმინდეაო და მან იზრუნა იმისათვის, რომ პრეზიდენტის პროტოკოლმა ძალიან სწრაფად ჩააბარა ადრესატებს საჩუქარი. ამ ამბით, მამა ვლადიმერიც ძალიან კმაყოფილი ჩანდა.

მეც კმაყოფილი დავრჩი. პატრიარქის დახმარებით, შეგვეძლო რუსეთის პრეზიდენტის ოჯახთან პირდაპირ დაკავშირება. პირადი მოძღვარი პრეზიდენტის ოჯახში საკვირაო სადილებს ესწრება, მათთვის იმდენად ახლობელი ადამიანია, ეს ძალიან ფაქიზი თემაა და მასზე ღრმად საუბარი არ შეიძლება, ფაქიზი იმ გაგებით, რომ ძალიან ინტიმურ მხარეს ეხება, მაგრამ მე არ გამომიყენებია ეს ბოროტი მიზნით, ამიტომ ვთვლი, რომ მასზე საუბარი შემიძლია.

რადგან ვნახე, რომ სვეტლანა იმისოვნა ასეთი აქტიური იყო, გამიჩნდა აზრი, იქნებ სანდრა და ის დამეკავშირებინა ერთმანეთისთვის.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ მიღებას პრეზიდენტის პირადი მოძღვარი ვლადიმირ ვოლგინი მეუღლესთან ერთად დაესწრო. თუმცა ეს სხვა ისტორიაა და მას ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ.

15 მაისს სრულუფლებიანი ელჩი გავხდი. მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლო ოფიციალურად საქმიანობის წარმოება. ელჩისთვის ყველაზე საყვარელი რიტუალი პრეზიდენტისთვის რწმუნებათა სიგელის გადაცემაა. მიდიხარ პრეზიდენტის სასახლეში მეუღლესთან ერთად, გადასცემ სიგელს, გაიცნობ, იღებ სამახსოვრო ფოტოს, რის შემდეგაც მასთან ერთად შამპანურის თანხლებით ფურშეტს ესწრები.

მე სიგელი თურქეთის, აშშ-ს, ბრიტანეთის და უკრაინის ელჩებთან ერთად უნდა გადამეცა, თუმცა აგვისტოს მოვლენების გამო ვეღარ მოვასწარი.

გამოუცდელი ადამიანისათვის ცალკე პრობლემაა ერთმანეთისთვის მამის სახელით მიმართვა. იძულებული ხარ ერთი სახელის მაგივრად აუცილებლად ორი დაიმახსოვრო. ზურა აბაშიძემ მასწავლა, სახელი და მამის სახელი ერთ სახელად დაიმახსოვრეო. მე ძალიან მიყვარს ჩემზე გამოცდილ და განათლებულ ადამიანებთან რაიმე საკითხზე კოსულტაციის გავლა, ეს პრობლემას არასდროს მიქმნიდა. ესეც swრაფად ავითვისე. მივედი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, რომლის ინიციალები კგბ არის და იოლად დავიმახსოვრე, კარასინ გრიგორ ბორისის ძე.

გრიგორი ბორისიჩი არის მართლა ძალიან სიმპათიური, ოღონდ კლასიკური რუსი არისტოკრატი, მაღალი, ახოვანი. სხვათა შორის, ბოლოს ის იყო რუსეთის ელჩი დიდ ბრიტანეთში. აქვს რაღაც უმაღლესი დიპლომატიური წოდება. ანუ გარდა თანამდებობისა აქვს დიდი რანგი და პლიუს, ძალიან გავლენიანია, არის ძალიან ცნობილი საეკლესიო ცენტრი “მარფა მარიევსკაია ობიტელ”, რომლის “პოპეჩიტელსკი” საბჭოს წევრია. ამ საბჭოში არიან მედვედევის ცოლი, რკინიგზის უფროსი, პუტინის თანამებრძოლი იაკუნინი და სხვა ძალიან გავლენიანი რუსები.

მე დამწყები დიპლომატი ვიყავი, ის - ძალიან გამოცდილი, და გადავწყვიტე მასთან ღია და გახსნილი დიალოგით გავსულიყავი ფონს. ამიტომ წავედი გულწრფელობაზე, რითაც თავის დროზე იგივე შევარდნაძემ დასავლეთის კეთილგანწყობა დაიმსახურა.

გრომიკოს მერე, რომელსაც “მისტერ ნო”-ს ეძახდნენ, მოვიდა ღიმილიანი კაცი, რომელმაც მართალია ინგლისური არ იცოდა, მაგრამ იღიმოდა და რაღაც ანეკდოტებს ყვებოდა. მას დღემდე კარგ მინისტრად მიიჩნევენ. ძალიან ბევრი ადამიანი დღემდე პატივს სცემს და საგარეო საქმეთა სამინისტროში ყოფილ მინისტრებთან ერთად შევარდნაძის სურათიც ჰკიდია.

კარასინს პირდაპირ ვუთხარი, რომ არა ვარ უბრალო ელჩი. მე ვარ ადამიანი, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი ვითამაშე იმ რევოლუციაში, რომელსაც თქვენ ვერ იტანთ. ამიტომ, ნუ განმიხილავთ უბრალოდ ახალაგაზრდა ელჩად, მე შემიძლია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, დროის მოგების მიზნით, კომუნიკაცია უშუალოდ სააკაშვილთან ვიქონიო. ”შენი ეს განწყობა მომწონს, მაგრამ ჩვენ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა გვაქვს” - მიპასუხა

მე ჩავთვალე, რომ იმ მომენტში მე მას გადავეცი ჩემი სურვილი და ენერგია, რომ თუ პრობლემა გვაქვს, გადავწყვიტოთ.

ამის შემდეგ “რია-ნოვოსტის” ოფისში პრესკონფერენცია ჩავატარე, სადაც ვთქვი რომ, დედას გეფიცეხით, ჩვენ ომის დაწყება არ გვინდა მეთქი, და “ჩვენში” გულწრფელად ჩემს თავს და ქართველებს ვგულისხმობდი, საქართველოს სახელით ვლაპარაკობდი და არ ვიტყუებოდი. ჟურნალისტებსაც

მოეწონათ ჩემი გულწრფელობა და უცებ ყველამ გამიცნო, თან საკმაოდ პოზიტიური მესიჯით - ომი არ გვინდა.

(დასასრული იქნება)

ეროსი კიწმარიშვილი: „სანდრა რულოვსი ფეხების ბაკუნით მთხოვდა, მოსკოვში რუსი მილიონერებისთვის საღამო გამემართა“

http://for.ge/view.php?for_id=46538&cat=3

For.ge

2016-10-07 14:00:10

დიპლომატიაში დამკვიდრებული წესია, რომ ახლადდანიშნული ელჩი პირველად იმ ქვეყანაში ყველაზ სტაჟიან ელჩს უნდა შეხვდეს. ასეთი სიერა-ლეონეს ელჩი აღმოჩნდა და მე ტრადიციის დასაცავად მასთან წავედი. მოგვიანებით, ჩვენმა მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა და საპარლამენტო კომისიაზე ჩვენების მიცემისას დეპუტატებმაც, გამაკრიტიკეს რა გესაქმებოდა სიერა-ლეონეს ელჩთანო. სხვებზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ მინისტრის მხრიდან ეს უბრალოდ იმას ნიშნავდა, რომ საერთოდ ვერ ერკვეოდა, რა სფეროში მუშაობდა, ჩვენდა სამწუხაროდ, რა თქმა უნდა.

ამის შემდეგ ელჩებთან შეხვედრები რანგის და მნიშვნელობის მიხედვით დავგეგმე. პროამერიკული კურსის დემონსტრირება, რომ არ გამომსვლოდა პირველი ვიზიტით ამერიკის ნაცვლად, საფრანგეთის ელჩს ვესტუმრე.

საფრანგეთის საელჩოში საკმაოდ ცივად დამხვდნენ.

მიღებული წესია, როდესაც ელჩის მანქანა დროშით მოდის, ჭიშკარი იხსნება და საელჩოს ეზოში პირდაპირ გიშვებენ. ამათ ჯერ ქუჩაში მალოდინეს, შემდეგ ეზოში შესვლისას - კიდევ 5 წუთი, შესახვედრად არავინ გამოვიდა, შემდეგ ამიყვანეს და ფოიეში გამაჩერეს. სამივე ეს ფაქტი დიპლომატიის ენაზე არაკეთილგანწყობას ნიშნავს. სხვანაირად არ შეიძლება იყოს - ქვეყანა, რომელმაც დიპლომატია მეცნიერებად აქცია, არის საფრანგეთი. საელჩოს კედელზე გამოფენილია რუსეთში მოღვაწე ფრანგი დიპლომატების სურათები დაწყებული მე-16 საუკუნედან.

საფრანგეთის ელჩთან თბილი საუბარი მქონდა, მაგრამ მთლიანად ეს ქცევები მიჩვენებდა, რომ რაღაცით გაღიზიანებულები იყვნენ. ანუ საფრანგეთი თავს რუსეთის მთავარ ევროპულ მოკავშირედ განიხილავს და შენი მოქმედებები მისი მთავარი მოკავშირის მიმართ მისთვის სასიხარულო არაა.

მეორე შეხვედრა გერმანიის ელჩთან მინდოდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო მას მოგვიანებით შევხვდი.

რატომ არის ამერიკა ყველაზე აქტიური და მნიშვნელვანი ქვეყანა? - იმიტომ, რომ ხალხი ჰყავს “სმარტი” და აქტიური! ამერიკელები თვითონ მესტუმრნენ! მათ ამ დროს ელჩი დანიშნული არ ჰყავდათ და ელჩის მოადგილე და პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი მოვიდნენ. ამით ამერიკელებმა აჩვენეს, რომ მეგობარი ქვეყნები ვართ და მეორეც, დაინტერესებულები არიან, როგორ განვითარდება ჩვენი

რუსეთთან ურთიერთობა.

ამის შემდეგ შევხვდი გერმანიის ელჩსაც, სადაც ასევე ცუდად მიმიღეს. ესაც დამკვიდრებული წესია, როცა მანქანაში ელჩი ზის, ამ მანქანის ანტიტერორისტული შემოწმება არ შეიძლება. ჩემმა მძღოლმა მითხრა, რომელიც 15 წელია მძღოლია, ასეთი შემოწმება აქამდე არასოდეს ყოფილაო. ესეც ჩვენს მიმართ გარკვეული გაღიზიანების და უნდობლობის ნაწილი იყო.

ყველა ელჩთან ვისაც მე შევხვდი, მთავარი, რაც იყო, ვეუბნებოდი, რომ პრეზიდენტისგან მქონდა დავალება რამენაირად დაგველაგებინა რუსეთთან ურთიერთობა. დაახლოებით 15-20 ვიზიტი გავაკეთე სხვადასხვა საელჩოებში.

თვე-ნახევრის განმავლობაში, გარდა ძირითადი საქმიანობებისა, ანუ უშუალო შეხვედრებისა რუსეთის პოლიტიკურ თუ სხვა მნიშვნელოვან წრეებთან, ყოველდღიურად ერთ ან ორ ელჩს ვხვდებოდი იმიტომ, რომ დრო გვქონდა დაკარგული და ვნერვიულობდი, რომ დაკარგულის ანაზღაურება მომესწრო.

ჩვენ საუბრისას ვცვლიდით ინფორმაციას რუსეთის შიდა სიტუაციასთან დაკავშირებით. თუ არა შენი კოლეგისაგან, ვისგან შეიძლება გაიგო რას ფიქრობენ საქართველოზე რუსეთში და შენი და მათი ხედვები შეადარო.

ბუნებრივია, 200-ვე ელჩთან ვერ იმეგობრებ, ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ლათინური, აზიური, არაბული ან აფრიკული ქვეყნების მიმართ, ჩვენი და მათი ინტერესები რუსეთისადმი აბსოლუტურად განსხვავებულია, და შესაბამისად, მათთან შეხვედრა ჩემთვის გარდა ადამიანური ურთიერთობისა არაფრის მომცემი არ იქნებოდა.

ჩემი ინტერესის წრეს წარმოადგენდნენ ის ქვეყნები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები ჩვენთვის საჭირო პროცესებში ანუ მეგობარი ქვეყნები, ევროკავშირის და დსთ-ს ქვეყნები. დსთ-ს ქვეყნები და მათი ელჩების უზარმაზარი გამოცდილება კიდევ ცალკე თემაა.

რუსეთი არ არის მეორეხარისხოვანი სახელმწიფო, შესაბამისად, დსთ-ს ქვეყნებიდან მოსკოვში ძალიან გავლენიან ხალხს ნიშნავენ, რომლებიც ე.წ “ტოპ ელჩები” არიან. მაგ. ძალიან გავლენიანი იყო უკრაინის ელჩი, ყაზახეთის ელჩი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეა, რომელზეც საუბრობდნენ, რომ რაღაც დროებითი პრობლემა შეექმნა, თორემ ნაზარბაევის შემდეგ ყაზახეთში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცია. მის სახის გამომეტყველებაზე და ურთიერთობებშიც უმალ იგრძნობდი, რომ დიდი ძალაუფლების მქონე ადამიანთან გქონდა საქმე. ასევე ფოლად ბულბულ-ოღლი, აზერბაიჯანის ყოფილი კულტურის მინისტრი და ქვეყნის პრეზიდენტის პირადი მეგობარია. ძალიან საინტერესო ელჩი ჰყავდა ლიტვას, ლატვიის ელჩი, საკადრო დიპლომატი და ერთ-ერთი ყველაზე მეგობრულად განწყობილი ადამიანი ჩვენს მიმართ. ფანტასტიკური ქალი იყო ესტონეთის ელჩი, რომელმაც თავის კისერზე გადაიტანა რუსეთ-ესტონეთის კრიზისი. მე როცა ჩავედი, მას ვადა უმთავრდებოდა, ერთხელ შევხვდით მის გაცილებაზე. ჩათვალე, რომ მოსკოვში ჩადიან ტოპ დიპლომატები და გავლენიანი ადამიანები, ეს არ არის რომელიღაც მესამეხარისხოვანი ქვეყანა.

შესაბამისად, ამ ადამიანებთან ურთიერთობა და მათი ცოდნა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ევროკავშირისა და რუსეთის სამიტის შემდეგ, პირველი რაც გავაკეთე, შევხვდი ევროკავშირისა და სლოვაკეთის ელჩებს, რადან მაშინ სლოვაკეთი იყო ევროკავშირის თავმჯდომარე. მათგან მივიღე ინფორმაცია, რაც ამ სამიტზე საქართველოს უკავშირდებოდა.

გერმანიის ელჩი გეუბნება, რა იყო ფრანკ შტაინმაიერისა და ლავროვის შეხვედრაზე მნიშვნელოვანი, ის,

რაც შენს ქვეყანას ეხება. ეს არის კლასიკური ურთიერთობა, შენ აძლევ ინფორმაციას, ის გაძლევს რაღაცას და სურათი იქმნება. მე ამ ინფორმაციას მაშინვე თბილისში ვაგზავნიდი. გიორგი ზაქარაშვილი, ჩემი მთავარი მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში, დღეში წერდა სამ-ოთხ მოხსენებით ბარათს. ვინ კითხულობდა ამ ბარათებს - ეს კიდევ ცალკე საკითხია.

ეკა ტყეშელაშვილმა მინისტრად დანიშვნიდან უმოკლეს დროში კვალიფიციურ კადრებს სამსახურები დაატოვებინა. მისი დანიშვნიდან ერთი კვირის შემდეგ სამსახური დატოვა მინისტრის მოადგილემ და ერთ-ერთმა საუკეთესო დიპლომატმა ნიკოლოზ ვაშაკიძემ. მან ამ ქალბატონისგან შეურაცჰხყოფა ვერ აიტანა და წავიდა უწყებიდან. ასევე წავიდა ბევრი ადამიანი, სამმართველოს უფროსები, დეპარტამენტის უფროსები იმის გამო, რომ მოვიდა ადამიანი, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა დიპლომატიაზე.

კიდევ ერთი კომიკური ისტორია: მან მინისტრის მისაღებში რკინის კარი დაკიდა.

კარი შეცვალა მისაღებში, თავისი კაბინეტი წინ. ამ კარს დაუყენა ვიდეოთვალი და ზარი და კარის გაღებაზე თანხმობას ან მდივანი იძლეოდა ან თვითონ მინისტრი. ეს იყო საოცარი შოკი დიპლომატებისთვის. მთელი სამინისტრო გაოგნებული დადიოდა. საგარეო საქმეთა სამინისტრო არ არის ის ადგილი, სადაც ყოველდღიურად უამრავი ხალხი დადის. ეს არ არის სოფლის მეურნეობის, ან შინაგან საქმეთა ან ჯანდაცვის სამინისტრო, სადაც მართლა ბევრი ადამიანი მიდი-მოდის. აქ ურთიერთობენ მხოლოდ ქართული და უცხოური დიპლომატიური წრეების წარმომადგენლებთან, რომლებსაც პროტოკოლის შესაბამისად იღებენ და ეს ურთიერთობები ყოველთვის დარეგულირებულია. ამასთან, მინისტრი სამსახურში როგორც წესი დღის მეორე ნახევარში მიდის.

მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია სამსახურში 8-9 საათზე ერთი საათით შეირბენს, კაბინეტში სიგარეტს მოწევს, მეგობარს დაელაპარაკება და ისევ გარეთ გაიქცევა. მისთვის ეს არ არის სამსახური, ეს ე.წ "პერევალოჩნი" პუნქტია.

ნიკოლოზ ვაშაკიძის ნაცვლად მინისტრის მოადგილედ დანიშნეს ნინო კალანდაძე. აქ რა დამსახურებისთვის დანიშნეს, მარტო თვითონ და სააკაშვილმა იციან. ადამიანი, რომელიც საერთოდ აზრზე არ არის, სად არის, მითუმეტეს საერთოდ წარმოდგენა არა აქვს ე.წ. "სინუსსერვისზე", ანუ როგორ მიდის საქმის წარმოება, ნოტა როგორ უნდა დაიწეროს, ან წერილი როგორ უნდა დაიგზავნოს, ფაქტობრივად სამინისტრო დანგრეულია.

აქედან გამომდინარე, სამინისტროს ეფექტურობა ძალიან დაბალია. ეს ყველა ფეხის ნაბიჯზე ჩანდა. ამის მაგალითია ისიც, რომ ბოლო წლებში 26 მაისის დამოუკიდებლობის დღეს საელჩო საერთოდ არ აღნიშნავდა. მე გადავწყვიტე აუცილებლად აღმენიშნა ეს დღე. მე შემეძლებოდა მომეწვია რუსეთის ელიტა, გავლენიანი ხალხი, ერთი, შეიძლება ვთქვათ მათ დასამეგობრებლად და მეორეც, მათთვის მეჩვენებინა, რომ ჩვენ მაგარი ქვეყანა ვართ, წინ მივდივართ და ეს ღონისძიება, ამის დემონსტრირებაც უნდა ყოფილიყო.

ვიკითხე სად ტარდებოდა ხოლმე მსგავსი სადღესასწაულო ღონისძიებები და გავარკვიე, რომ მნიშვნელოვან მიღებებს ზურა წერეთელთან აწყობდნენ. მეც მირჩიეს, თუ რამეს აკეთებ ზურასთან გააკეთე, თორემ ეწყინებაო. მე ეს არ მინდოდა, მაგრამ იყო ორი გარემოება, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლიდი: პირველი - წერეთლის დარბაზი ძალიან დიდია და ასეთი მიღებისთვის შეუფერებელი, სივრცეში ჩაიკარგები, შუა დარბაზში ძალიან დიდი ქანდაკება დგას, დარბაზის ბოლოში კიდევ დეკაბრისტთა ცოლების დიდი კომპოზიცია. ეს დარბაზი კამერული საღამოსთვის ნამდვილად არ გამომადგებოდა. მეორეც, რუსეთის ელიტა დისტანცირებულია საზოგადოების სხვა ფენებისგან და თუკი საქართველოში შესაძლებელია, რომელიმე მიღებაზე პრეზიდენტთან ერთად მოხვდე, რუსეთში ეს

გამორიცხულია. გადავწყვიტე ორი მიღება ჩამეტარებინა,

25 მაისს საელჩოში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის და ქართველებისთვის და 26 მაისს სასტუმრო “სლავიანსკაიაში” რუსეთის ბომონდისა და დიპლომატებისათვის.

ამ ღონისძიებისთვის საელჩოს სულ 20 ათასი დოლარი ჰქონდა, რითაც მოსკოვში ვერაფერს გააკეთებ, უბრალო დარბაზის ქირაობას არ ეყოფა. სპონსორები გამოვძებნე, რუსეთში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ მიხეილ ხუბუტიამ საელჩოში ჩასატარებელი მიღება დააფინანსა, “მადნეულმა” - სატუმრო “სლავიანსკაიას” მიღება. სასტუმროს დირექტორი ქართველი მჟავანაძეა, რომელმაც დარბაზი მინიმალურ ფასად მოგვაქირავა.

25 მაისს საელჩოში 350 ქართველი მოვიდა. საქართველოს გარეთ სამშობლოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას განსხვავებული ემოცია აქვს, ამათმაც გაიხარეს ტრადიციის აღდგენით, ერთმანეთის ნახვით. იყო ჰიმნი, აღვმართეთ სახელმწიფო დროშა, უკრავდა შესანიშნავი ახალგაზრდა პიანისტი, რომელსაც მოსკოვში ხუბუტია პატრონობს და კინაღამ მოვკვდი: ოთხი საათი გაღრეჯილი ვიდექი და სხვადასხვა ხალხთან სურათებს ვიღებდი, რომლებიც გაცნობის შემდეგ სათითაოდ მთავაზობდნენ ქვეყნის გადარჩენის გზებს, მიყვებოდნენ რუსეთ-საქართველოს და საკუთარ პრობლემებზე.

26 მაისს ჩვენს მიღებაზე მივივიყვანე მოსკოვის საუკეთესო ჯაზ-ბენდი, რომელიც ამერიკის საელჩოს მიღებებზე უკრავს ხოლმე, სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოდან როგორც დიპლომატიური ტვირთი უნიკალური ქართული ღვინო “ქისი”და 5 წლის დაძველებული საფერავი ჩავიტანე. აკრძალულ თითო ბოთლ ქართულ ღვინოზე, შესაძლოა ჯარიმად 700 რუბლი გადაგვეხადა, მაგრამ ჩვენს მიღებაზე ქართული ღვინო უნდა ყოფილიყო, ემბარგოს პირობებშიც.

მოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარასინი, მე და მან სცენიდან მივმართეთ შეკრებილ საზოგადოებას. “გვინდა მეგობრობა და კეთილმეზობლობა”-ვუთხარი სტუმრებს.

გვესტუმრნენ კინორეჟისორები ელდარ რიაზანოვი და გიორგი დანელია, ჟურნალისტები კისელიოვი, ვენედიქტოვი, ბიზნესმენები, მათ შორის ბათუმელი აფხაზი თენგიზ აჩბა, ასევე ზელიმხან მუცოევი და ყველა “ტოპ” სახელმწიფოს ელჩი. იმღერეს ნანი ბრეგვაძემ და ბუბა კიკაბიძემ. ზურა წერეთელი მალე წავიდა, პარიზში მივფრინავო...

თითოეულ სტუმარი დავასაჩუქრე: საქართველოს დროშიანი ჩანთებში ეწყო: ორი ბოთლი ღვინო და ერთიც ჭაჭა, ლამაზად დასურათებული წიგნები “საქართველო” და “თბილისი,” ქართულ დროშიანი “ბრელოკი.”

ასეთი მასშტაბური მიღება იმ წელს რუსეთში არც ერთ საელჩოს არ ჰქონია. ძალიან დიდი და კარგი რეზონანსიც გამოიწვია. ყველა ჩვენს მიღებაზე საუბრობდა. არსად ასე მასობრივად საჩუქრებს არ არიგებენ, მხოლოდ “ბრელოკებს” და ყვავილებსაც კი.

მე კიდევ ამ საღამოს შემდეგ მქონდა განცდა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა “დათბებოდა” და აღარასოდეს გაცივდებოდა. ეს ჩემი გულწრფელი სურვილი იყო.

ამ სურვილის განსახორციელებლად კი ყველაფერს ვაკეთებდი, რაც შეიძლება, რომ ერთმა ელჩმა გააკეთოს. ვიფიქრე, რომ მართალია სააკაშვილს ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ვლადიმერ პუტინთან, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავდა, რომ ჩვენ მეზობელთან ურთიერთობას ვეღარ გამოვასწორებდით. ახალი იმედები რუსეთის ახალ პრეზიდენტს, ვლადიმერ მედვედევს დავუკავშირე.

ალბათ, ყველას ახსოვს, პუტინის მიმართ სააკაშვილის ოდიოზური გამოსვლები და ფრაზეოლოგია. ამის გათვალისწინებით, ერთადერთ რამეს ვითხოვდი,

სანამ ჩემი მუშაობა, რაიმე შედეგს მოიტანდა, სააკაშვილს რუსეთის ახალი პრეზიდენტი არ გაელანძღა.

“თანამედროვე განვითარების ინსტიტუტი”, ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი რუსეთის პრეზიდენტი მედვედევია. ეს ორგანიზაცია რუსეთში მედვედევის ერთ-ერთ დასაყრდენად მოიაზრება. ახალი რუსეთის გაჩენის რესურსი ამ ხალხთანაც არის დაკავშირებული. ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ბანკ “რენესანს კაპიტალის” ვიცე პრეზიდენტი -იგორ იურგენსი. ამავე დროს, იგი მეცნიერიცაა და ერთ-ერთი ადამიანია, მათ შორის ვინც ბიზნესმენ ხადარკოვსკის დაპატიმრებას მხარი არ დაუჭირა და ეს გააპროტესტა.

იურგენსი მალე გამოსცემს ძლიან სერიოზულ ნაშრომს „დემოკრატია - განვითარების რუსული მოდელი“, რომელიც მედვედევის სამოქმედო პროგრამად მოიაზრებოდა. ეს არის ძალიან პროგრესული იდეების კრებული, სადაც საუბარია სიტყვის თავისუფლების დაცვასა და თავისუფალ მრავალ პარტიულ

არჩევნებზე, ბიზნეს გარემოს ლიბერალიზაციაზე და ა.შ

მედვედევს გარემოცვაში მრავლად ჰყავს ლიბერალური ფასეულობების მატარებელი ხალხი, რომლებიც რუსეთის ლიბერალურ სახელმწიფოდ გარდაქმნას ესწრაფიან. ეს არის თანამედროვე თაობა, რომლებმაც განათლება ევროპაში მიიღეს, ევროპაშივე სწავლობენ მათი შვილები, აქვთ დიდი ბიზნეს ამბიციები და დიდ ქონებასაც ფლობენ ევროპის ქვეყნებში. მათი მიზანი ევროპასთან ინტეგრაციაა. უფრო მეტიც, ისინი შაბათ-კვირას ევროპაში ატარებენ. მაგალითად, ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი პარასკევს თავისი თვითმფრინავით რივიერაზე ან სადღაც მიფრინავს და კვირას ღამე ბრუნდება.

იგორ იურგენსს ივნისის შუა რიცხვებში შევხვდი და შევთავაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივებზე კონფერენცია ჩაგვეტარებინა.

მე და იგორ იურგენსი ადვილად შევთანხმდით, რომ კონფერენციის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო, სად იკვეთებოდა და სად განსხვავდებოდა ჩვენი ქვეყნის ინტერესები და პოზიციები. გაგვერკვია ათვლის წერტილი, საიდანაც ჩვენი ხელისუფლებები კონფრონტაციული რეჟიმიდან გამოსვლას მოახერხებდნენ.

კონფერენცია მოსკოვში 19 ივნისს დაინიშნა. ჩვენი შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ. ვფიქრობდი, ჩვენი მხრიდან ვინ წამეყვანა ამ კონფერენციაზე. მხოლოდ ის ხალხი რომ წამეყვანა, ვისზეც ვფიქრობდი, რომ სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ, ვთქვათ ზურაბ აბაშიძე, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარაშვილი, ვშიშობდი კონპროდუქტიულ შედეგს მივიღებდი, ვინაიდან ჩვენი ხელისუფლება ამ ხალხს არ სწყალობდა და ეჭვითაც უყურებდა. ამიტომ მერე რომ არ ეთქვათ, ეროსიმ მოსკოვში სააკაშვილის მტრები შეკრიბაო, უშიშროების საბჭოს მდივანს, ალექსანდრე ლომაიას შევთავაზე, თავიანთი კანდიდატები დაესახელებინა. საბოლოოდ, წავედით მე, ზურა აბაშიძე, ამათი მხრიდან წამოვიდა დათო აფრასიძე, რომელიც საინტერესო ადამიანია, მას უბრალოდ ცუდი მეგობრები ჰყავს, თორნიკე გორგაძე, დიპლომატი, საქართველოს და საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც ძალიან კარგად იცნობს აქაურ სიტუაციასაც და სხვა რომ ვეღარ მოვიფიქრე, წავიყვანე თემურ იაკობაშვილი, კონფლიქტების დარეგულირების მინისტრი. ფაქტიურად, შეხვედრის ფორმატი დავარღვიეთ, ვინაიდან დელეგაციაში მოქმედი მინისტრი გვყავდა.

შეხვედრა შედგა მოსკოვის ცენტრში, ამ ინსტიტუტის სუპერგარემონტებულ შენობაში. თავად შენობა უზარმაზარი ბაღის შუაშია განთავსებული. ამ ნიუანსებს, ვიხსენებ, იმიტომ რომ იოლად რწმუნდებოდი,

რომ “თანამედროვე განვითარების ინსტიტუტი”- არ არის ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია.

შეხვედრაზე რუსეთის მხრიდან დაგვხვდნენ თავად იგორ იურგენსი, რუსეთის ყოფილი უშიშროების საბჭოს თამჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, რუსეთის სათათბიროს ზედა პალატის წევრი მარგელოვი და კიდევ ორი გავლენიანი პოლიტოლოგი.

გვქონდა დიდი დისკუსია, ოღონდ ძალიან მეგობრული. მოგვიანებით, იურგენსმა მითხრა, კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად სპეციალურად შევარჩიე ეს შემადგენლონბაო.

საინტერესო იყო ამ შეხვედრაზე იგორ ივანოვის გამოჩენა. ვფიქრობდი და მიმანიშნეს კიდეც, რომ იგი პრეზიდენტ მედვედევის დავალებით შემოგვიერთდა. მისი დონის ფიგურები, როგორც წესი ასეთ არაფორმალურ შეხვედრებს არ ესწრებიან.

პირველად მოხსენებით ივანოვი გამოვიდა. მან ხელისუფლებების ურთიერთობები ოთხმოცდაათიანი წლებიდან მიმოიხილა, ძირითადად პრეტენზია ჰქონდა, რომ ჩვენ მათ ხშირად ვატყუებდით. სიტყვა “გადაგდება” არ უთქვამს, მაგრამ ამას გულისხმობდა. მეორე, რუსეთის მხრიდან დათმობებს საქართველოს ხელისუფლება საკუთარ წარმატებად და რუსეთის მარცხად განიხილავდა, რაც რუსეთს მომავალში დათმობებზე წასვლის სურვილს უკარგავდა.

სხვათა შორის, რუსები ამას ხშირად მეუბნებოდნენ, ჩვენ შეგვიძლია რაღაც ნაბიჯები გადავდგათ, გადავწყვიტოთ რაღაც პრობლემები, მაგალითად, ღვინის თემა, რუსეთში ქართული ღვინის აკრძალვა პოპულარული ნაბიჯი არ აღმოჩნდა, მაგრამ “გამოხტება” თქვენი პრეზიდენტი და იტყვის, აი, დედა ვუტირეთ რუსეთს. საკითხებს წყნარად, მიზანმიმართული მუშაობით გადავწყვეტთო.

ივანოვის ხედვა ეს იყო რუსეთის პატრიოტის, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის თვალსაზრისი. ის ნამდვილად არ არის ჩვენი ქვეყნის მიმართ რეაქციულად განწყობილი.

ჩვენი მთავარი პრეტენზია კონფლიქტურ რეგიონებს უკავშირდებოდა. გასული წლის 16 აპრილს, პუტინის ბრძანებით, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს იურისდიქციას გვერდი აუარა და პირდაპირი ურთიერთობების დამყარება დაიწყო როგორც აფხაზ ისე ოს სეპარატისტებთან. აფხაზეთში რკინიგზის სარეაბილიტაციოდ სარკინიგზო ჯარები შეიყვანა. ამას პოლიტოლოგები ხსნიდნენ, ვითომდა საკუთარი მოქალაქეების დაცვის სურვილით, მოგეხსენებათ, რომ მანამდე კონფლიქტის ზონის მაცხოვრებლებს პირდაპირ ჩამოურიგეს რუსული პასპორტები. ბუნებრივია, ამაზე ვაფიქსირებდით, რომ რუსეთი მოქმედებდა როგორც აგრესორი. მათი მთავარი არგუმენტი იყო, რომ თქვენ გინდათ აფხაზები და ოსები მშივრები დახოცოთ, გყავდეთ ისინი ბლოკადაში და იარაღის ჟღარუნით ეს ხალხი მუდმივად თავდასხმის მოლოდინში გყავდეთ, მაგრამ ჩვენ ამის საშუალებას არ მოგცემთ.

ყველაზე ცუდად იაკობაშვილი, გამოვიდა, რომელიც იყო აგრესიული და მას პერიოდულად ვაწყნარებდი. თუმცა, ჩვენ დიალოგი დავიწყეთ, კონსტრუქციულ რეჟიმში ვიმუშავეთ და მას გავაგრძელებდით, რომ არა აგვისტოს ომი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოგვიწევს რუსებთან დიალოგის გაგრძელება, სხვანაირად უბრალოდ წარმოუდგენელია რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა. ჩვენ მეზობლად გვხვდა, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო, რომელთანაც საერთო ენის გამოძებნა აწი უფრო გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ მუდმივად ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ.

აი ეს კონფერენცია მოგვიანებით საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა კომპრომატად წამომიყენა, ეროსი კიწმარიშვილი არაკომპეტენტური ელჩი იყო, რაღაც ნჯო-ს შეხვდა მოსკოვშიო. ეს იმ ყაიდის ბრალდებაა, სიერა-ლეონეს ელჩს რატომ შეხვდაო.

სინამდვილეში ეს ყველაფერი სააკაშვილისგან მოდიოდა, მის კაბინეტში გეგმავდნენ, თუ რა წამოეძახებინათ ჩემთვის, რით მოეშალათ ნერვები, თუმცა დიდი სისულელეს ამბობდნენ და აი, რატომ: მე პრეზიდენტმა წარმადგინა ელჩის თანამდებობაზე, პარლამენტმა სრული უმრავლესობით დამატკიცა და თუ არაკომპეტენტური ვიყავი, მაშინ სად იყვნენ ეს კომპეტენტური პირები, ან სად გამოჩნდა მათი ჭკუა და გამჭრიახობა? ეს სამარცხვინო საქციელია, რომელსაც სააკაშვილის საამებლად ჩადიან და ამ მლიქვნელობას სახელმწიფოებრივ ქცევასთან საერთო არაფერი აქვს.

ელჩს ჰყავს აპარატი, რომლის შენახვა სახელმწიფოს იაფი არ უჯდება და ეს აპარატი მას ინფორმაციით ამარაგებს, რისთვისაც გვარიან სამუშაოს ასრულებს. ელჩი ფილტრავს ინფორმაციას და იღებს გადაწყვეტილებას და ამ დროს თუ სახელმწიფო არ გენდობა, მაშინ რისთვის კეთდება ეს ყველაფერი? რატომ ხარჯავენ საელჩოს შენახვაზე ამდენ ფულს?

მინდა ვთქვა, რომ რუსეთში ჩვენს საელჩოში ნამდვილად არ არის კომპეტენტური და გონიერი დიპლომატების ნაკლებობა. ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებსაც ჩვენ ერთად საქართველოს ხელისუფლებას ვაწვდიდით, მალე გამოჩნდა, რომ სწორედაც კომპეტენტური იყო. ასე მაგალითად, ივნისის ბოლოს ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სასაუბროდ მიიწვია საქართველოს ელჩი ჰოლანდიაში, მაია ფანჯიკიძე და საქართველოს ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების ნუსხა გადასცა. მე ვნახე ეს დოკუმენტი და იგივე ამოვიკითხე, რასაც ჩვენ ვწერდით - საქართველომ დაანებოს თავი აგრესიულ რიტორიკას და იმუშავეთ რუსეთის ახალ პრეზიდენტთან საერთო ენის გამოსანახად.

ამის წაკითხვა გამიხარდა და გულიც დამწყდა იმის გამო, რომ ხელისუფლება ჩინოვნიკებს არ აფასებს. დიპლომატიის სფერო საერთოდ მეორე და მეათე ხარისხოვან სფეროდ გადააქციეს. დიპლომატების პერსპექტივა და სიხარული რა არის? წლობით ელოდებიან უცხოეთში დანიშვნას, რაც ნიშნავს უფრო მაღალ ხელფასს, სტატუსს, შვილების უკეთეს სკოლებში მოხვერას.

დიპლომატებად ასაქმებენ “ნაციონალური მოძრაობის” პარლამენტს გარეთ დარჩენილ პირებს, უბრალოდ, რომ დასაქმებულები ჰყავდეთ, ხელფასი აიღონ და საზღვარგარეთ იარონ. ამით გზას უღობავენ კვალიფიციურ ხალხს, რომლებმაც დიპლომატიას ნახევარი სიცოცხლე შეწირეს, ყველა საფეხური გაიარეს, მუშაობდნენ სამ-ხუთ კუპონად და ამაყები იყვნენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიურ სამსახურს აშენებდნენ.

ასეთ ხალხს უფროსებად დაუნიშნეს დაქალები, მეგობრები, ნათესავები და გამოუცხადეს, რომ ამ სამსახურში ისინი უპერსპექტივოები არიან. წარმატებული კარიერა მხოლოდ “ნაციონალურ მოძრაობაზე” გადის. პარტიული ნიშნით ლიტვაში ელჩად დანიშნეს სრულიად გაუგებარი ადამიანი. რუსეთის საელჩოს დახურვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ ელჩის მანქანა „აუდი ა-80“ გავლენიანი შვილის წყალობით გაუგზავნეს იტალიაში საქართველოს ელჩს კოტე გაბაშვილს. უფრო მეტად ეს მანქანა უკრაინაში საქართველოს ელჩს, მერაბ ანთაძეს ჭირდებოდა, რომელსაც ძველი, დანგრეული მანქანა ხშირად უფუჭდება ხოლმე. ნურას უკაცრავად, ეს არავის აინტერესებს. ეს ჩვეულებრივი ნეპოტიზმია, რომელსაც სააკაშვილი ვითომდა ებრძვის.

მედვედევის გარემოცვასთან დაკავშირების გარდა, აუცილებლად მიმაჩნდა პუტინის პოზიციების შერბილებაზეც მემოქმედა. მას სააკაშვილთან უკვე პირადი ანტიპათია ჰქონდა. ამის გამო უშუალოდ მასთან შეხვედრა ვერაფრით მოვახერხე და დასახმარებლად კვლავ ევგენი პრიმაკოვს მივაკითხე. იგი მაშინ რუსეთის სავაჭრო პალატის პრეზიდენტად მუშაობდა, მაგრამ გაცილებით დიდი გავლენით სარგებლობდა. იგი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, საგარეო დაზვერვის უფროსი, მას ფსბ-ში პატივს სცემენ, ასევე პუტინის გარემოცვაც, და რუსეთს ერთგულად ემსახურება. მაგრამ იგი თბილისელია, უყვარს

თბილისი, თავისი პლეხანოვის პროსპექტი, ჰყავს ქართველი სიძე, პირველი ცოლიც ქართველი ჰყავდა და თავის მემუარულ წიგნში სულ ამაზე წერს. -"ევგენი მაქსიმოვიჩ, წავიკითხე თქვენი წიგნი" - ძალიან უყვარს, როდესაც მის წიგნს წაიკითხავ, სულ გამოწმებს, ეს გახსოვს, ის როგორ მოგეწონა და ა.შ.

"შენი წიგნის ნახევარი საქართველოზეა," - მართლა ასეა, სულ თბილისზე ყვება. თუ ასე შეგტკივა თბილისზე გული, ამ სიბერის დროს ჩვენი ქვეყნისთვის კეთილი საქმე გააკეთე, დამეხმარე დავარეგულიროთ იმ ქვეყნების ურთიერთობები, სადაც ახლა ცხოვრობ და რომელშიც გაიზარდე-მეთქი. არანორმალურია, ქართველებსა და რუსებს შორის ასეთი ცუდი ურთიერთობა რომ არის.

- მოვიფიქროთ რამე, შევკრიბოთ საქართველოში ცნობილი გამოჩენილი რუსები, ჩავიდეთ საქართველოში ხალხს შევხვდეთ, მოვეფეროთ ერთმანეთს, რომ ქართველებიც დაარწმუნეთ, რომ თქვენც გსურთ ჩვენთან მეგობრობა, იმის საწინააღმდეგოდ, რასაც პროპაგანდა ქადაგებს. ეს ნამდვილად გვიშველის".

მას ეს აზრი მოეწონა.

- შეეშვით იმის თქმას რომ სააკაშვილი არ მოგწონთ, იქამდე შევარდნაძე არ მოგწონდათ, მანამდე გამსახურდია. რუსეთის მოსაწონი საქართველოში არასოდეს არ მოვა იმიტომ, რომ საქართველოს ყოველთვის თავისი ინტერესები ექნება. არც აფხაზეთსა და არც სამხრეთ ოსეთს არასოდეს თავს არ დავანებებთ იმიტომ, რომ ეს ჩვენი ტერიტორიებია. ახლა გვაქვს კარგი შანსი, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს უნდა რომ ურთიერთობა გამოსწორდეს".

მისი არ მჯერაო, - მიპასუხა, - რუსეთის პოლიტიკურ ინსებლიშმენტში აქვთ ჩამოყალიბებული აზრი - სააკაშვილი არის მატყუარა, გადამგდები, იმპულსური, არასერიოზული კაცი, რომელთან ურთიერთობაც უპერსპექტივოა.

- ევგენი მაქსიმოვიჩ, საქმე პრეზიდენტში ხომ არაა, მთავარი ხომ საქართველოა.

- იცი რა, ეროსი, მე ახლა საქმეს ჩამოშორებული ვარ, თანაც ეს არ არის ჩემი სფერო, - პაუზა გააკეთა - მაგრამ თუ მიბრძანებენ, სიამოვნებით ჩავერთვები ამ საქმეში.

მართლა ასეც კი არ არის, რომ საქმეებს ჩამოშორებული იყოს, მუშაობს ერაყის თემებზე, მოძრაობს ქურთისტანში, სულ მოვლინებებშია. 80 წლის კი არის, მაგრამ თავის საქმეს კარგად აკეთებს.

კარგი, ეგებ პუტინთან კონტაქტის დამყარებაში მაინც დამეხმარო-მეთქი. შენი მოწაფე უშაკოვი, ამერიკაში რუსეთის ყოფილი ელჩი მისი ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს და მასთან როგორმე დამაკავშირეთ-მეთქი. კი, ბატონოო - დამთანხმდა.

უშაკოვმა მეორე დღესვე დამირეკა. მის ზარს ასე მალე ნამდვილად არ ველოდებოდი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად თბილიშში გამოსაფრენად ვემზადებოდი. ბოდიში მოვუხადე, რომ მასთან შეხვედრას ვერ ვასწრებდი და ვუთხარი, მალე დავბრუნდები და აუცილებლად დაგირეკავთ-მეთქი. ივლისის დასაწყისში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო გაფუჭდა. უშაკოვთან დამეგობრება ვერ მოვასწარი, ვფიქრობდი, რომ მას მალევე შევხვდებოდი, თუმცა როგორც აღმოჩნდა, სამოქმედოდ დრო იმაზე ბევრად ნაკლები მქონდა, ვიდრე ვფიქრობდი. აგვისტოს კატასტროფა ახლოვდებოდა

როგორც უკვე გითხარით, ივნისის ბოლოს გრიგპრი კარასინინთან ერთად თბილისში გამოვემგზავრე. ქართველი და რუსი ბიზნესმენების ფორუმს დავესწარით. კარასინი პატრიარქს შევახვედრე. მერე პატრიარქთან მარტო მივედი და მის მიერ გატანებული ჯვრების ისტორია მოვუყევი. ამჯერად მას კიდევ ვთხოვე დახმარება. პრეზიდენტის და მისი მეუღლის მოძღვარი ეკლესიას არემონტებს და ქართული ხატი ხომ არ ვაჩუქოთ მეთქი?

მე ასეთი რამ არასოდეს მინახავს, ხუთი საათის განმავლობაში ეძებდა შესაფერის ხატს. ხან ერთი ხატი გამოითხოვა ერთი ეკლესიიდან, ხან მეორე.

ათამდე ხატი მოატანინა და გასატანებლად არც ერთი არ მოეწონა. ბოლოს, მისი მისაღები ოთახის კედლიდან 12 მოციქულის ულამაზესი ტიხრული მინანქრით შესრულებული ხატი ჩამოხსნა და ეს წაიღეო, მითხრა.

წარმოუდგენელია იმ სიხარულის აღწერა, რაც მამა ვლადიმერმა გამოხატა საქართველოს პატრიარქის მიერ ნაჩუქარი ხატის ნახვისას. ალბათ, იმ წუთში დედამიწაზე ერთ-ერთი უბედნიერეს ადამიანთაგანი იყო. მან მკითხა, შეიძლება ხატს სადმე დავაწეროთ, რომ საქართველოს პატრიარქის ნაჩუქარია?

რამდენიმე ხნის შემდეგ ილია მეორე მოსკოვში ჩასვლას აპირებდა და წინასწარ მოვილაპარაკეთ, რომ ამ ეკლესიას ესტუმრებოდა.

რუსული ეკლესია რუსული დერჟავნიკური პოლიტიკის ნაწილია და მათი პატრიარქი ალექსი მეორე ძალიან ახლოს იყო პუტინთან. პუტინმა რუსეთის გაქრისტიანების 1020 წელთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე, ჩვენი პატრიარქი არ მიიწვია. სპეციალურ შემაღლებულ ადგილას ისხდნენ პუტინი, რუსეთის და სომხეთის პატრიარქები.

არაერთხელ დავრწმუნდი, რომ რუსეთის სამღვდელოება ილია მეორეს ძალიან დიდ პატივს სცემს. პუტინისა და რუსეთის ეკლესიის სიახლოვის მიუხედავად, რუსეთის საპატრიარქომ აფხაზეთის და ოსეთის ეპარქიების ცნობაზე ხაზგასმულად უარი თქვა. ჩვენი პატრიარქი და ეკლესია არის ერთ-ერთი სერიოზული ხელმოსაჭიდი, რომელიც დღეს რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად და შემდგომ რაღაცის მისაღწევად გაგვაჩნია.

პრეზიდენტი მედვედევი რუსეთის გაქრისტანების 1020 წლის იუბილეს არ დასწრებია, ის ამ დროს ხანტიმასიისკში (დსთ-ს პრეზიდენტების სამიტს ესწრებოდა.

ხანტიმასიისკის სამიტის შემდეგ ევროპელ დიპლომატებს მედვედევზე წარმოდგენა შეეცვალათ. მეგობარი ქვეყნების ყველა ელჩი მეუბნებოდა, რომ მედვედევმა აბსოლუტურად ჩამოყალიბებული პრეზიდენტის შთაბეჭდილება დატოვა. ის ყველა საკითხზე გვერდიდან ჩარევის გარეშე დამოუკიდებლად მსჯელობდა, მან საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს რამდენჯერმე დემონსტრაციულად შეაწყვეტინა საუბარი, რომელიც მის “დახმარებას” ცდილობდა.

ერთადერთი საკითხი, რომელზეც ლავროვმა ისაუბრა, აფხაზეთის თემა იყო. მან თქვა, რომ კოდორის ხეობაში ქართველებს შეიარაღებული სამხედრო ნაწილები შეჰყავთ და აფხაზეთის საზღვარზე პროვოკაციებს აწყობენ.

მედვედევისთვის პრობლემური ივნისის თვე გახდა. მან დიდი შვიდეულის სხდომაზე მხარი დაუჭირა ზიმბაბვესთვის სანქციების დაწესებას, ვინაიდან ზიმბაბვეს მთავრობამ არჩევნები გააყალბა და დიდი

შვიდეული და რუსეთი მას ახალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას აიძულებდნენ.

დიდი შვიდეულის ამ გადაწყვეტილებიდან მესამე დღეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა ზიმბაბვესთვის სანქციების დაწესებას მხარი აღარ დაუჭირა და ვეტოს უფლებით ისარგებლა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და გაერო-ში მათი ელჩი პრეზიდენტს შეეწინააღმდეგენ.

ეს იყო პირველი სერიოზული ფაქტი, რამაც დასავლეთს აფიქრებინა, რომ მედვედევს რუსეთში ძალაუფლება არ ჰქონდა. მედვედევის და მისი ლიბერალური გარემოცვის იმიჯი სერიოზულად შეილახა. გამოჩნდა, რომ სიტუაციას კვლავ ვლადიმერ პუტინი აკონტროლებდა. პუტინს კი ომის დაწყება სააკაშვილზე ნაკლებად არ სურდა.

ამის გათვალისწინებით, მე სააკაშვილს რეკომენდაციით მივმართე, ხელი მოეწერა კონფლიქტის ზონებში ცეცხლის განუახლებლობის თაობაზე გაეროში საქართველოს ელჩის, ირაკლი ალასანიას და აფხაზ სეპარატისთა ლიდერ სერგეი ბაღაფშის შეთანხმებისთვის. სააკაშვილი მაშინ არ დამთანხმდა, თუმცა, მოგვიანებით 20 სექტემბერს ამ შეთანხმებას, როგორც რუსეთის წინაშე კაპიტულაციის ნაწილს, ხელი მოაწერა.

პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმი

პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე სააკაშვილი და მედვედევი პირველად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ვიმედოვნებდი, რომ ამ შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტები ახალ ურთიერთობებს ჩაუყრიდნენ საფუძველს. სააკაშვილს შეხვედრის წინ მედვედევის ფსიქოლოგიური პორტრეტი მოვუმზადე.

შევხდი მრავალ ადამიანს ვისაც ამა მიმართულებით, რაიმე ინფორმაციის მოწოდება შეეძლო. მათ შორის ცნობილ ჟურნალისტს, ნიკოლაი სვანიძეს, რომელიც მედვედევზე წიგნს წერდა. მედვედევი სამაღლით 162 სანტიმეტრია, მას ამის გამო კომპლექსი აქვს, სააკაშვილს დავუწერე, რაში გამოიხატებოდა მისი ეს ხასიათი. მივუთითე, როგორ ესაუბრა მასთან მეგობრულად ისე, რომ პრეზიდენტს ფამილარობად არ მიეღო. ყველაფერი ჩამოვუთვალე, რა მოსწონს რა აღიზიანებს, თუ როგორ საათს ატარებდა და რა მუსიკას უსმენდა. სააკაშვილმა, ბუნებრივია, ეს არ წაიკითხა, მისთვის ყოველდღიური მუშაობა უცხოა, ასეთი რამ არ იცის. თუ სადმე ლენტი არ აქვს გასაჭრელი, იმ დღეს ან მინისტრების გამოცვლას იწყებს, ანაც არაფერს აკეთებს. მას არასდროს ჰქონია მოქალაქეთა მიღების დღე ან საათი.

პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმის დროს, მთელი რუსეთი ეიფორიაში იმყოფებოდა. ამ დროს მათმა ჰოკეისტებმა ევროლიგა მოიგეს, რუსმა მომღერალმა დიმა ბილანმა ევროვიზიაზე გაიმარჯვა, ნავთობის ფასმა ბარელზე 140 დოლარს მიაღწია და აქედან კოლოსალური შემოსავლები ჰქონდათ. ამ ფორუმსაც დავოსის ალტერნატიულ აღმოსავლურ პროექტად განიხილავდნენ. აქტიურად აწარმოებდნენ პეტერბურგის, რუსეთის მეორე დედაქალაქის ე.წ. პრომოუშენს. პეტერბურგში ჩავიდა დსთ-ს ყველა ლიდერი და გავლენიანი ბიზნესმენი, რაც რუსებს ეამაყებოდათ.

ფორუმი ორი დღე გრძელდებოდა. პირველ დღეს ყველა ქვეყნის პრეზიდენტი სათითაოდ ხვდებოდა მედვედევს. მეორე დღეს, უშუალოდ ფორუმზე, მედვედევს დიდი გამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი „გაზპრომის სტენდთან“ და ამის შემდეგაც პრეზიდენტები არაფორმალურ შეხვედრებს გამართავდნენ. ბუნებრივია, ეს ფორუმი ინვესტიციების კუთხითაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მე დანიშნულ დროს სააკაშვილის დასახვედრად აეროპორტისკენ გავემგზავრე. აეროპორტში მისული არ ვიყავი, პრეზიდენტმა თვითმფრინავიდან დამირეკა, სასწრაფოდ საქართველოს რუკა მჭირდებაო. ნუ, კაი, ჭირდება - ჭირდება. დავურეკე საელჩოს თანამშრომლებს, რომლებიც მაშინ პეტერბუგში იყვნენ,

სადღაც რაღაცას მიაგნეს და ინტერნეტიდან ამობეჭდეს რუკის ერთი ფურცელი ა-4 ფორმატზე. პროტოკოლითაა გათვალისწინებული, რომ მე პრეზიდენტს აეროპორტში უნდა დავხვდე და მასთან ერთად წამოვიდე სააკაშვილისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში. ჩემთვის ვფიქრობდი, მივალთ რეზიდენციაში და მიიღებს რუკას, ცაში სად მივადგე, ან რა საქართველოს რუკა მოუნდა. ეტყობა რაღაც მნიშვნელოვანი გაახსენდა.

“პულკოვოს” აეროპორტში რიგრიგობით ეშვებიან პრეზიდენტების თვითმფრინავები. სხვებთან შედარებით ჩვენი თვითმფრინავი არის ყველაზე პატარა, ზოგს აქვს ტუ-154, ზოგს დიდი „ბოინგი“, მაგალითად ყაზახეთის პრეზიდენტის დელეგაცია დაახლოებით საათნახევარი იცლებოდა.

ჩვენი პრეზიდენტის თვითმფრინავი, ამ ფონზე, რა თქმა უნდა მოკრძალებულად გამოიყურება, სამაგიეროდ მისი დელეგაცია არ გამოიყურებოდა მოკრძალებულად. მასთან ერთად ჩამოფრინდნენ: მისი თანაშემწე ნატო ყანჩელი, გაურკვეველი სტატუსის მქონე ალანა გაგლოევა - მისი პრესმდივანი თუ მდივანი, ასევე - სააკაშვილის გრიმიორი ქალი, საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი, მისი მოადგილე გია ვაშაძე და უშიშროების საბჭოს მდივანი.

ასევე პროტოკოლით გათვალისწინებულია, რომ ელჩი სპეციალურად პრეზიდენტისთვის გამოყოფილ ავტომანქანაში უნდა ჩაჯდეს, რომელსაც დაცვის ესკორტი მიაცილებს. სააკაშვილმა კიდევ, დაადო თავი და გარბის მანქანისკენ. „მიშა, მე რა ვქნა, გამოგყვე?“ - დავუძახე მას. „ჰო, ჰო, აბა რა უნდა ქნა“, - მითხრა და მეც მის მანქანაში ჩავჯექი.

ბუნებრივია, ამ მანქანაში მნიშვნელოვან საკითხებზე ვერ ისაუბრებ, შესაძლოა საუბარი იწერებოდეს.

ფორმატით მედვედევთან შეხვედრაზე პრეზიდენტი და კიდევ ორი პირი უნდა წავიდეს. ვიცი, რომ როგორც ელჩი მე უნდა წავიდე, მაგრამ მეორე მხრივ, არ ვიცი სააკაშვილთან ერთად კიდევ ვინ წამოვა, იმიტომ რომ სააკაშვილი ძალიან უცნაურ გადაწყვეტილებებს იღებს - ეს იმ ოპერიდან, რამდენად პროფესიულად მომზადებული საგარეო საქმეთა მინისტრი გვყავს. წარმოიდგინეთ: პრეზიდენტი ჩამოდის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად და მედვედევთან შეხვედრაზე მიჰყავს მისი მოადგილე - გრიგოლ ვაშაძე. რაც სერიოზული სკანდალია და ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილი ამ გოგოს არ ენდობოდა.

წავედით მე, ვაშაძე და სააკაშვილი. შევდივართ დიდ სასახლეში, სადაც გველოდება 30-40 ჟურნალისტი, გაისმის ფოტოაპარატების ჩხაკუნი. ველოდებით ჩვენ რიგს. გრაფიკით, ჩვენ ბოლო პრეზიდენტის წინ უნდა შევხვედროდით მედვედევს. ბოლო იყო ნაზარბაევი თუ იუშენკო.

რამდენიმე წუთის შემდეგ პროტოკოლმა შეგვიყვანა დარბაზში, სადაც რუსეთის პრეზიდენტი შემოვიდა. მოგვესალმა ჯერ სააკაშვილს, მერე ვაშაძეს და მე. მათი მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ, ლავროვი, პრეზიდენტის თანაშემწე საგარეო პოლიტიკურ საკითხებში პრიხოდკო და პროტოკოლის წარმომადგენელი, რომელიც საუბრის ჩანაწერს აკეთებდა.

გარეგნულად მედვედევი დაძაბული არ ჩანდა, პრეზიდენტები საუბრობენ, ჩვენ რა თქმა უნდა ჩუმად ვართ. საუბარი მედვედევმა დაიწყო, მან თქვა, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში ბევრი პრობლემაა და სურვილი მაქვს ეს პრობლემები გადავწყვიტოთ. შემდეგ ცოტა ხნით, კიდევ ისაუბრეს ეკონომიკაზე, ინფლაციაზე და მერე ძირითად თემაზე გადავიდნენ.

სააკაშვილმა აი ის რუკა ამოიღო და გაშალა. ახლა გავიგე თურმე ეს რისთვის ჭირდებოდა და ამ ფურცელზე ხატავს, აი ეს არის ოსეთი, აქ ცხოვრობს რაღაცა 30 000 კაცი, აი ეს არის აფხაზეთი, აქ 60

ათასი კაცი ცხოვრობს. ოჩამჩირეში ცხოვრობს სულ 5 ათასი კაცი, უხსნის მედვედევს. მედვედევს ეჭვი შეეპარა მიშას დასახელებულ ციფრების სიზუსტეზე და საუბარი შეაწყვეტინა მან საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების საფუძველზე, სააკაშვილს ეს ციფრები ჩაუსწორა.

სამწუხაროდ სააკაშვილმა ამ საკითხში დილეტანტიზმი გამოავლინა და გამოჩნდა, რომ მედვედევთან სასაუბროდ არ მომზადებულა.

შემდეგ მან რუსეთის სარკინიგზო ჯარების მიერ ოჩამჩირეში რკინიგზის გაყვანაზე გამოთქვა პრეტენზია, რაზეც მედვედევმა უპასუხა, რომ ერთი თვის-თვენახევრის განმავლობაში გაიყვანდა ამ ჯარებს. მიშამ მზადყოფნა გამოთქვა, აფხაზებთან და ოსებთან სამშვიდობო ინიციატივების გაღრმავებაზე, რაზეც მედვედევმა თქვა, რომ მიესალმებოდა ასეთი პროცესის დაწყებას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ითხოვდა, შეასრულეთ საერთაშორისო ვალდებულებები, შეიარაღებული ძალები გამოიყვანეთ კოდორის ხეობიდან და სააკაშვილს ხელი უნდა მოეწერა ალასანია-ბაღაფშის შეთანხმებაზე, რომელიც ძალის გამოუყენებლობას გულისხმობს. მედვედევის თქმით, დაძაბულობის მოსახსნელად ეს ღონისძიებები საკმარისი იქნებოდა.

სააკაშვილმა კეთილმეზობლური ურთიერთობის აუცილებლობაზე წამოიწყო საუბარი. მედვედევმა მას ჰკითხა, როგორ წარმოგიდგენია ჩვენი კეთილმეზობლობა თუ თქვენს ტერიტორიაზე განლაგდება სამხედრო ბაზები, საიდანაც რუსეთს რაკეტებს დაუმიზნებენ? მას ნატო არ უხსენებია, მაგრამ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ ჩვენს სწრაფვაზე მიგვანიშნა.

საპასუხოდ სააკაშვილმა 3-4 წუთი გაურკვევლად ისაუბრა, პირდაპირ პასუხს ვერ ამბობდა, ბოლოს თქვა, რომ - კი, ჩვენ მზად ვართ ყველაფერი გადავსინჯოთ, გადავსინჯოთ ჩვენი მიდგომები. ფაქტიურად, მიშამ ირიბად უთხრა, რომ მე მზად ვარ ნატოზე უარი ვთქვა, თუ გადამაწყვეტინებ ჩემს პრობლემებს.

ისეთი განცდა მქონდა, რომ სააკაშვილი უმიზნოდ ბევრს ლაპარაკობდა. ის საერთოდ არ იყო მომზადებული ამ შეხვედრისთვის. საპირისპირო მხარეს იყო მედვედევი, რომელიც სააკაშვილთან შეხვედრამდე 4-5 პრეზიდენტს შეხვდა, ფურცლებში არც იყურებოდა, ჩახედვაც არ ჭირდებოდა ყველაფერი გაზეპირებული ჰქონდა.

შეხვედრა დაგეგმილი 30 წუთის ნაცვლად 55 წუთი გაგრძელდა. პროტოკოლის თანამშრომელმა ოთხჯერ შემოაღო კარი, შემდეგი პრეზიდენტი მედვედევთან შესახვედრად უნდა შემოსულიყო. სააკაშვილმა თხოვა მედვედევს, რომ კიდევ შეხვედროდნენ სასაუბროდ. მედვედევი დათანხმდა - ოღონდ, ეს შეხვედრა მოვამზადოთ, ამისთვის კი შეასრულეთ ვალდებულებები.

სააკაშვილმა შეხვედრის ბოლოს გამოთქვა იმედი, რომ რუსეთის ახალი პრეზიდენტისგან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დიდ გარღვევას ელოდებოდა. ამაზე პირდაპირი თანხმობა ვერ მიიღო. მან შეხვედრაზე ვერ მოისმინა, თუ როდის მოგვცემდა რუსეთი აფხაზეთს ან მოგვცემდა კი საერთოდ?

ასეთი გარღვევა ასე ერთბაშად რომ არ მოხდებოდა, ჩემთვის დღესავით ნათელი იყო. შეხვედრის შედეგად უკმაყოფილო არ ვიყავი. მედვედევმა თანხმობა გამოთქვა სააკაშვილთან კიდევ ერთ შეხვედრაზე, რაც, ჩემი აზრით, ომს თავიდან აგვაცილებდა.

რაც შეეხება პრობლემების გადაწყვეტას, ვფიქრობდი, რომ შეგვეძლო ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნით დაგვეწყო. სააკაშვილი დილა-საღამოს რუსეთს აგინებდა, ასევე იქცეოდნენ ჩვენი პოლიტიკოსები, საპასუხოდ - რუსებიც, და დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. მანამ პოლიტიკური კლიმატი არ დათბებოდა, მეტის მოლოდინი ცოტა არარეალურად მეჩვენებოდა.

მედვედევთან შეხვედრის შემდეგ სააკაშვილი გაღიზიანებული იყო და სულ იღრინებოდა. იმუქრებოდა, რომ კონფლიქტის ზონაში განთავსებულ რუს სამხედროებს, სამშვიდობო მანდატს ცალმხრივად გაუუქმებდა და ოკუპანტებად გამოაცხადებდა.

მე მიშას ვარწმუნებდი, რომ ამის გასაკეთებლად აჩქარება არ ივარგებდა, ვინაიდან ჯერ ერთი, მიშამ არ იცოდა ამაზე ჩვენი მეგობარი ქვეყნების პოზიცია და შესაძლოა, ამ ნაბიჯს უფრო გაერთულებინა ჩვენი მდგომარეობა.

სააკაშვილს და ლომაიას ერთი სანერვიულო ჰქონდათ - თუკი რუსები მდინარე ენგურის გასწვრივ გამაგრდებოდნენ, ესენი სამხედრო მარშს ვეღარ განახორციელებდნენ.

რუსებმა დიდი ხნის წინ გაიგეს, რომ ჩვენ აფხაზეთში ომის დაწყებას ვაპირებდით. ამაზე გრიგორი კარასინმა პირდაპირ მითხრა, მანამ სანამ იარაღის ჟრარუნს არ შეეშვებით, ნუ გვთხოვთ პასუხს, თუ რატომ შეხვდა პრეზიდენტი სერგეი ბაღაფშს, ან რატომ შევიყვანეთ კონფლიქტის ზონაში სარკინიგზო ჯარები.

მთავარი იყო ის, რომ რუსი პოლიტიკოსების ნაწილი სააკაშვილის პროვოცირებისთვის ფიქრობდა, რომ მისთვის უნდა ეგრძნობებინათ, რომ რუსეთი ომში არ ჩაერეოდა, ხოლო მეორე ნაწილს საჭიროდ მიაჩნდა, მიშა გაეფრთხილებინა, რომ ომის დაწყება მისთვის საბედისწერო ნაბიჯი გახდებოდა.

მიშა ლომაიასთან მომავალ გეგმებს აწყობდა, რომელიც მშვიდობას არ უკავშირდებოდა.

მედვედევთან შეხვედრის შემდეგ სააკაშვილს მეთიუ ბრაიზამ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ დაურეკა. სააკაშვილმა ტელეფონის ზარს არ უპასუხა. ამ დროს ბრაიზაც პეტერბურგში იმყოფებოდა. მან შემდეგ მორიგეობით დაურეკა ლომაიას, ნატა ყანჩელს და არც ამათ უპასუხეს.

მიშა დაბრუნდა მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში და გარემოცვის რომელიღაც წევრთან ორი საათით იქ ჩაიკეტა.

შუაღამისას ყველანი ერთად ნევის პროსპექტზე, ვიღაც სომხის იტალიურ რესტორანში წავედით. აქ მთელი ორი საათი ვისხედით და ამ ხნის განმავლობაში, მიშას დაცვა ქუჩაში იდგა, რაც საკმაოდ უსიამოვნო სანახავი იყო. ასეთი ფორმით ნევის პროსპექტზე, ქალაქის ცენტრში თითქმის აღარავინ დადის.

რესტორნიდან მე გვიან ღამით სპეციალურად ბრაიზასთან შესახვედრად წავედი. მას ვუთხარი, რომ მიშა რუსეთთან საბოლოო კონფრონტაციაზე წასვლას აპირებს, შენს ტელეფონს არ აიღებს და იქნებ სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს დაარეკინო მეთქი.

ფორუმის მეორე დღისთვის ადრიანად მოვემზადე. დილით კი გავიგე, რომ სააკაშვილს ღამით რაღაცამ მოუარა, დაქოქა თვითმფრინავი და თბილისში გავარდა. ეს რუსებს ბუნებრივია ეწყინათ, რაც მითხრეს კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ფორუმი უცერემონიოდ მიატოვა, რუსულმა ტელევიზიებმა მასზე დადებითი, საკმაოდ ნორმალური სიუჟეტები გაუშვეს. ხაზგასმულად კორექტული იყო “ორტ.”

მოგვიანებით, გავიგე, რომ მიშა ერთი კვირა რაისსაც ემალებოდა. მან რამდენჯერმე სახელმწიფო მდივნის ზარსაც არ უპასუხა.

ცოტა ხნის შემდეგ რაისი მას ბერლინში შეხვდა. ცოტა მოგვიანებით, რაისი იძულებული გახადა, რომ თბილისში ჩამოსულიყო. მსოფლიოს აგიჟებდა და ყველას აქეთ იქით დაარბენინებდა. ივნისის დასაწყისში სააკაშვილი ცოტა დამშვიდდა.

ივნისში გაჩნდა შანსი, რომ სააკაშვილი და მედვედევი კიდევ ერთხელ შეხვედროდნენ ერთმანეთს. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თავის დაბადების დღეზე დსთ-ს პრეზიდენტები მიიპატიჟა. მის დაბადების დღეს დაარსდა ასევე დედაქალაქი ასტანა და ნაზარბაევი ორივე მოვლენას აღნიშნავდა. წინასწარ ვიტყვი, რომ სააკაშვილი და მედვედევი ასტანაში შეხვდნენ და დისკოთეკაზეც ერთად წავიდნენ. ბრაიზა აღფრთოვანებული იყო, სააკაშვილს ფანტასტიური შეხვედრა ჰქონდა მედვედევთანო.

ყაზახეთში წასვლამდე კი პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის უფროსმა, ზურა დარჩიაშვილმა დამირეკა და მთხოვა, ზურა წერეთელს დაურეკე, იქნებ ნაზარბაევისთვის რაიმე საჩუქარი მოიფიქროს და ყაზახეთში გაგვატანოსო.

საჩუქრების თემა ცოტა რთულია, მიშას გემოვნებაში უჭირს და მისი საჩუქარი ყოველთვის უგემოვნობით გამოირჩევა, ანტიკური ხანის ოქროს ნაკეთობებს იღებს და მათ ასლებს აკეთებინებს. თავისთავად, ორიგინალი ძალიან ლამაზია, მაგრამ მიშას გემოვნებით შეფუთული მისი ასლები ძალიან უგემოვნოა.

მახსოვს, როცა ელდარ რიაზანოვი თბილისში ჩამოვიდა, მიშამ რესტორან „ძველ სახლში“ დამპატიჟა. მაშინაც რიაზანოვითვის რაღაც ამდაგვარი ფინთი რამის ჩუქებას აპირებდნენ, მე დავურეკე ჩემს მეგობარს და ელდარ რიაზანოვს კირილ ზდანევიჩის ნახატი ვაჩუქე. მახსოვს, სიხარულით გადაირივნენ ის და მისი მეუღლე.

მე დავურეკე ზურა წერეთელს და სააკაშვილის თხოვნა გადავეცი. წერეთელმა რომ გაიგო საპრეზიდენტო საჩუქარს ითხოვდნენ, ცოტა უხერხული პაუზა გააკეთა. მერე, მოგვიანებით გავიგე, რატომაც... მას ანალოგიური თხოვნით ადრეც მიმართავდნენ და არასდროს ამ საჩუქრებში გადახდილ თანხას არ უნაზღაურებდნენ. თანხა კი ასეულ ათასობით ჰქონიათ მისაცემი.

ზურაბ წერეთელმა მითხრა, საჩუქრის რამდენიმე ვარიანტს მოვიფიქრებ და დაგირეკავო. ის ამ დროს სამკურნალოდ პარიზში იმყოფებოდა. მანამ ბატონი ზურა მოიფიქრებდა, მე ერთი იდეა გამიჩნდა და დარჩიაშვილს ვუთხარი: „ყაზახეთის პრეზიდენტის შვილი, დარიგა ნაზარბაევა, რომელიც ყაზახეთის მომავალ პრეზიდენტად განიხილება, შესანიშნავად მღერის რუსულ რომანსებს. მან კონსერვატორია მოსკოვში დაამთავრა, მე დავესწარი მის კონცერტს და მომისმენია მისი შესანიშნავი სიმღერისთვის. ძალიან კარგი იქნება, თუ სააკაშვილი ნანი ბრეგვაძეს წაიყვანს ასტანაში და ის ნაზარბაევის პატივსაცემად დარიგასთან ერთად რუსულ რომანსს შეასრულებს“.

ჩემი აზრით, ამაზე კარგს ვერაფერს მოიფიქრებდნენ, ვინაიდან, ნანი ბრეგვაძე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ძალიან პოპულარულია და ეს ნაზარბაევს მოეწონებოდა, გაუხარდებოდადა მის შვილსაც, რომელიც ნანისთან ერთად რუსულ რომანსს იმღერებდა და რაც, ასევე რუსეთის პრეზიდენტისთვისაც რევერანსი იქნებოდა.

არ ვიცი, რა არ მოეწონა, და მიშამ ჩემი იდეა დაიწუნა. თვითონ რა მოიფიქრა, ვერ გეტყვით, პროტოკოლის სამსახურიდან დამირეკეს და მითხრეს, აღარც წერეთლის საჩუქარი გვჭირდებაო.

დაახლოებით ამ პერიოდში საელჩოში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ყოფილი პროკურორი, ამირან შამათავა მოვიდა. ის პეტერბურგში პუტინთან ერთად სწავლობდა, ჯგუფელები ყოფილან და ახლა ამის გამო შარში იყო გახვეული. მისი შვილი თბილისში, ყაზახეთის საკონსულოში მუშაობდა. დაზვერვის დეპარტამენტში დაიბარეს და უთხრეს, მამაშენი პუტინის ძმაკაცია, ჩვენი აგენტი გახდი, წადი რუსეთში და პუტინის დახმარებით კარიერას გაიკეთებ და ინფორმაციები მოგვაწოდეო. შამათავა არ თანხმდებოდა და ამის გამო ავიწროებდნენ. ეს ამირან შამათავა ყოველწლიურად ხვდებოდა პუტინს, როცა ჯგუფელები ტრადიციულად იკრიბებოდნენ. დავპირდი, დაგეხმარები-მეთქი, მაგრამ დაზვერვის უფროსმა გელა ბეჟუაშვილმა შემომითვალა, ჩემი საქმეა და მე ვიცი, რასაც ვაკეთებო.

4 ივლისს რუსეთში ქართველთა კავშირის თავმჯდომარემ, მიხეილ ხუბუტიამ დამირეკა. მან მითხრა, რომ პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციის უფროსს ნარიშკინს ესაუბრა. ნარიშკინი თბილისში ვიზიტს გეგმავს, 17-19 ივლისს აქ დაგეგმილი იყო რუსული კულტურის დღეები და მისი ვიზიტის ოფიციალური მიზეზი ეს იყო, თუმცა მას პრეზიდენტთან შეხვედრა სურდა.

საქართველოში 1991 წლის შემდეგ, როცა პრეზიდენტი გამსახურდია ყაზბეგში პრეზიდენტ ელცინს შეხვდა, არც ოფიციალური, არც არაოფიციალური ვიზიტით ამხელა თანამდებობის პირი აღარ ჩამოსულა. გასათვალისწინებელია, რომ რუსეთში ადმინისტრაციის უფროსი ნებისმიერ მინისტრზე გავლენიან ფიგურად ითვლება. მე ამ პერსპექტივამ ძლიან გამახარა. შესაძლოა ამ ვიზიტს ქვეყნებს შორის დაპირისპირება მნიშვნელოვნად შეემცირებინა და მხარეებს როგორმე ომზე ფიქრი თავიდან ამოეგდოთ.

ჩემზე არანაკლებ გახარებული იყო მიშა ხუბუტია - ქართველი ბიზნესმენი, რომლის ქონება რუსეთში მრავალ ასეულ მილიონად არის შეფასებული. იგი ფლობს სანადირო იარაღის მაღაზიების ქსელს. მე ხუბუტია პირველად მოსკოვში გავიცანი. თავის 10 წლის შვილთან ერთად რესტორანში შემხვდა და როგორც სათვისტომოს თავმჯდომარე, ელჩს გამეცნო. მანამდე მერაბიშვილთან ძმაკაცობდა. წინა ელჩის თხოვნით, მოსკოვში საელჩო და ელჩის რეზიდენცია გაარემონტა, რაშიც მილიონ დოლარამდე დაუხარჯავს. იგი ზუგდიდელია და იქ სამონადირეო მეურნეობის მშენებლობა დაიწყო, ქალაქში ააშენა სასტუმრო. მას სურდა, რომ თავის ქვეყანაში, მშობლიურ ქალაქში ყოფილიყო დაფასებული. მოსკოვში არაერთ ქართველ ხელმოკლე ადამიანს პატრონობს, ფინანსურად ხელს უწყობს ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს. გეგმა ჰქონდა, რომ რუსეთის ქართველთა ყრილობა ჩაეტარებინა, რასაც რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტები დაესწრებოდნენ. ასეთი ყრილობები მოსკოვში აზერბაიჯანელებმა და სომხებმა ჩაატარეს მას პუტინი დაესწრო.

მოგვიანებით, ჩვენმა ხელისუფლებამ ხუბუტია რუსეთის აგენტად გამოაცხადა და მისი და მისი ნათესავების შევიწროება დაიწყო. თუ არ ვცდები, ჯერ მამა თუ ძმა დაუპატიმრეს და სამეგრელოში მიწა წაართვეს.

ამის მიზეზი გახდა მის მიერ ორგანიზებული ქართველ და რუს ვეტერანთა საფეხბურთო მატჩი. თამაშის შემდეგ, სატელევიზიო ინტერვიუში ხუბუტიამ თქვა, რომ არ შეიძლებოდა რუსი პოლიტიკოსების უცერემონიო ლანძღვა გინება, ეს ხელს უშლის ქვეყნებს შორის საიმედო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სააკაშვილს ეს არ მოეწონა და მას მთელი რისხვა დაატეხა თავს. გამოაცხადეს, რომ ხუბუტიამ ვითომდა რუსეთის ფსბ-ს დავალებით გაარემონტებინა საელჩო. არადა, საელჩოში უმნიშვნელო წვრილმანის შესაცვლელადაც თბილისის ნებართვაა საჭირო. ამ ბიუროკრატიული პროცედურების გამო, საელჩოს ძველი ტელეფონის თანამედროვე აპარატით შეცვლაც კი ძალიან გამიჭირდა. ხუბუტია ამათი თანხმობის გარეშე, ვერაფერსაც ვერ გააკეთებდა.

ხუბუტიასთან საუბრის შემდეგ, ნარიშკინის ვიზიტისთვის მზადება დავიწყე. ნარიშკინი საპრეზიდენტო დიდი თვითმფრინავით აპირებდა ჩამოფრენას. მართალია, არაფორმალური ვიზიტი იყო, მაგრამ მას რეგალიების სრული დაცვით უნდა დავხვედროდით. ვიზუალურადაც გამოჩნდებოდა, რომ რუსეთის მაღალი თანამდებობის პირი გვეწვეოდა.

ნარიშკინი უნდა შეხვედროდა თავის კოლეგას, სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსს, ზურა ადეიშვილს, შემდეგ - პრეზიდენტს და, რაც მთავარია, მას პრეზიდენტ მედვედევის საქართველოში მოწვევის ოფიციალური წერილი უნდა მიეღო. აქამდე სააკაშვილს რუსეთის პრეზიდენტი ოფიციალურად არასდროს დაუპატიჟებია.

ნარიშკინმა ხუბუტიას დაუდასტურა, რომ მედვედევს საქართველოში ჩამოსვლა სურდა. თარიღი კი მის თბილისში ვიზიტზეც იყო დამოკიდებული.

პირველ რიგში, მოსალოდნელი ვიზიტის თაობაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გია ვაშაძეს დავურეკე. ის ძალიან სკეპტიკურად მეკითხება - „დარწმუნებული ხარ?“ კი-მეთქი. „საიდან გაქვს ინფორმაცია?“ ხუბუტიამ მითხრა-მეთქი. ეს ირონიულად მიიღო. ვაშაძეს ვთხოვე, პრეზიდენტი საქმის კურსში ჩააყენე, რომ მედვედევს ჩამოსვლა სურს. ოღონდ დროებით ნუ იტყვი, რომ ამ ისტორიაში ხუბუტიაა გარეული, თორემ მასზე ნაწყენი თუ გაბრაზებულია და შესაძლოა ცუდი რეაქცია ჰქონდეს მეთქი.

ვაშაძე დამპირდა, რომ საიდუმლოს არ გაამხელდა.

ამ საუბრიდან რამდენიმე საათის შემდეგ ზურა ადეიშვილს დავურეკე. აბა, მოემზადე, ნარიშკინი ჩამოდის-მეთქი. ადეიშვილს დიდი ენთუზიაზმი ვერ შევატყვე, კარგი იქნება თუ 13 ივლისამდე ჩამოვა, მერე ერთი კვირა სადღაც მივდივარ და აღარ მეცლებაო. საერთოდ ადეიშვილი “ჩაკეტილი” ადამიანია, არ არის კომულიკაბელური და ზოგადად არ უყვარს შეხვედრები. ამიტომ მისი პასუხი დიდად არ გამკვირვებია.

რამდენიმე წუთში ადეიშვილმა თვითონ დამირეკა: ”ვანო მერაბიშვილმა შემოგითვალა, ნარიშკინი ჩამოვიდეს, მაგრამ ხუბუტია თან არ ჩამოყვეს”.

მე ვუთხარი, ხუბუტია რუსებს მოჰყავთ და ჩვენი რა საქმეა მეთქი? არაო, ვანო ამბობს, ხუბუტია არ ჩამოვიდეს, თორემ დავიჭერო.

ამ დროს ეს ხუბუტია თვალებში შემომციცინებს და მეუბნება, ხო კაი ბიჭი ვარ, ნახე რამდენი სიკეთე გავაკეთეო. “რა შუაშია ხუბუტია, ოღონდ მედვედევი და ნარიშკინი ჩამოვიდნენ და გინდა ჟირინოვსკი წამოიყვანონ, რას ბოდავთ”, - შევუღრინე ადეიშვილს. მაინც ვერაფერი გავაწყვე, არაო, რუსებს უთხარი ეგ არ წამოიყვანონო.

რა უნდა მექნა, დავადგინე, ზუსტად როდის ჩამოვიდოდა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და ჩვენს პროტოკოლის სამსახურს ვაცნობე, რომ 17-18 ივლისს ორდღიანი ვიზიტით გვეწვეოდა, მანამადე კი საქართველოში ამერიკის სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი ჩამოდიოდა. რაისის ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე კონფლიქტის ზონაში ჩვენი სამშვიდობო ძალების ოთხი ჯარისკაცი ოსებმა დაიჭირეს. ჩვენებს სიმთვრალის გამო გზა დაებნათ თუ რაღაც ამგვარი მოხდა და ისინი დაიჭირეს. საქმეში ეუთოს დამკვირვებლები აქტიურად ჩაერთვნენ და ეს ჯარისკაცები მეორე დღესვე გაათავისუფლეს. შუადღისას ეს ბიჭები უკვე გორში იყვნენ. ამის შემდეგ, 5 საათზე სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია და მაგიდაზე სულ მუშტები აბრაგუნა, მერაბიშვილს დავალება მისცა, თუ ჩვენს სამხედროებს დილის 8 საათამდე არ გაათავისუფლებენ, გავალებ, მათ დასახსნელად

სპეცოპერაცია ჩაატაროო.

მეორე დღეს, როგორც დიდი გამარჯვება, გათავისუფლებული ქართველი ჯარისკაცები ტელევიზიით გვაჩვენეს.

ამ პროვოკაციის საპასუხოდ, რუსეთის რამდენიმე სამხედრეო თვითმფრინავმა ჩვენი საჰაერო სივრცე დაარღვია და 45 წუთის მანძილზე ჩვენს ტერიტორიაზე შემოფრინდნენ. ჩემი ინფორმაციით, ეს თვითმფრინავები ძალიან დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდნენ და რამდენიმე ადგილზე სანგრებიც დაცხრილეს. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ჩვენი სამხედროები რაღაც გადაადგილებებს ახორციელებდნენ კონფლიქტის ზონის სიახლოვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, რუსებმა განცხადებაც გააკეთეს, რომ ეს ღონისძიება პროვოკაციების, რეგიონში სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და ქართველი სამხედროების გახურებული თავების გასაგრილებლად გააკეთეს.

ამ საჰაერო ინციდენტის დროს კოდოლიზა რაისი თბილისში იმყოფებოდა და მას არწმუნებდნენ, რომ თვითმფრინავების შემოფრენა მის საწინააღმდეგოდ განხორციელდა.

კონდოლიზა რაისი თბილისიდან ახალი წასული იყო, რომ სააკაშვილმა მობილურ ტელეფონზე დამირეკა. შუადღის 2 საათი იყო და მე ამ დროს ზურაბ წერეთელთან ვიყავი. “რაო, მოდის ნარიშკინი?“ კი-მეთქი - ვუპასუხე პრეზიდენტს. ”კაი, ჩამოვიდეს. გადაეცი მაგათ, რომ ჩვენ ამერიკელებისაგან მაგარი მხარდაჭერა გვაქვს”.

ამას მეუბნებოდა მობილურ ტელეფონზე! რაღაც დიდ გულზე იყო და “გონორით” ლაპარაკობდა. საუბრის ტონიც ნეგატიური ჰქონდა. ეს ის დრო იყო, ბოკერიაც რომ იძახდა, კონდოლიზა რაისმა ომის თანხმობა მოგვცაო, რაც, აშკარად დაუჯერებელი ტყუილი იყო.

საღამოს სამსახურში მივბრუნდი და მეუბნებიან, რომ სააკაშვილმა რუსეთის მიმართ ძალიან მკაცრი განცხადებები გააკეთა. საგარეო საქმეთა სამინისტროდან შემატყობინეს, რომ უშიშროების საბჭოზე, შენი მოსკოვიდან გამოწვევის საკითხი განიხილებაო.

- რა გამოწვევის გადაწყვეტილება, - გავგიჟდი, - ნარიშკინი ჩამოდის, მედვედევის ვიზიტს ვამზადებ...

შევკრიბე ჩემი თანამშრომლები. სად მიწვევენ, ნარიშკინია ჩამოსასვლელი.

რა უნდა მეთქვა? ის ღამე, როცა გამოწვევის გადაწყვეტილება მიიღეს, ფაქტიურად ერთად ვისხედით, ვსვით კონიაკი, ვისაუბრეთ, მათ ვუთხარი, მაპატიეთ, ისე არ გამოვიდა, როგორც, ვფიქრობდი-მეთქი....

ყველა გრძნობდა, რომ ხელისუფლება ძალიან დიდ სისულელეს აკეთებდა. მე მათ ავუხსენი, რომ ჩემი გამოწვევა, შესაძლოა, ორი მიზეზით არის გამოწვეული, ერთი, რომ ზოგადად ეს ცუდი მესიჯია; მეორე - ჩემს წინააღმდეგაც მოქმედებენ. ისინი გრძნობდენ, რომ თუ მე მოსკოვში ელჩად დამტოვებდნენ, ბევრ პროცესს გავაჩერებდი. მათ უკვე ომის გადაწყვეტილება ჰქონდათ მიღებული და მე დავიწყე ამ გადაწყვეტილების ხელის შეშლა. ეს ხელის შეშლა გამოიხატება იმაში, რომ ნარიშკინის და მედვედევის ჩამოყვანა უნდა...

მართლაც, შუა ღამისას დამირეკეს და მაცნობეს, რომ თბილისში უნდა ჩამოვსულიყავი. ეს მოხდა იმ დღეს, როცა რაისმა დატოვა თბილისი. მეორე დღეს, 10 ივლისს, ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ რუსეთიდან ელჩი კონსულტაციისთვის გამოიძახეს.

ამ ამბის გახმაურებისთანავე ამერიკის საელჩოდან დამირეკეს. ელჩის მოადგილე და საელჩოს პოლიტიკური დეპარტამეტის დირექტორი საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით პირდაპირ გაოგნებულები იყვნენ. გვირჩევდნენ, ელჩის გამოწვევა ყველაზე აგრესიული ნაბიჯია და მანამდე იქნებ საპროტესტო ნოტა გაგეგზავნათ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და მათგან მოითხოვეთ პასუხი, რატომ დაარღვიეს თქვენი ქვეყნის საჰაერო სივრცე.

ელჩის გამოწვევამდე, შესაძლო იყო რუსეთში ჩვენი დიპლომატიური დონე დაგვექვეითებინა. იქ ელჩის ნაცვლად დესპანი გვეყოლებოდა, ხოლო ელჩის გამოწვევას უკიდურეს ზომად შემოვინახავდით.

მოკლედ, ამერიკელები ელჩის გამოწვევის ფაქტს ნეგატიურად შეხვდნენ.

მოვიდა ევროკავშირის ელჩი რუსეთში მარკ ფრანკო. ისიც ძალიან განერვიულებული იყო. მეკითხება, რაში გჭირდებათ ელჩის გაწვევა, ამით ხომ დიპლომატიურ ურთიერთობას წყვეტთ რუსეთთან?

მე ვუპასუხე, რომ მე მხოლოდ ხელისუფლების გადაწყვეტილებას ვასრულებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ ვეთანხმები.

ამ ხალხმა ჩემი გაცნობა მეტ-ნაკლებად კარგად მოასწრო და ჩემს სამშვიდობოდ მიმართულ საქმიანობას სიმპათიით უყურებდნენ.

საოცრად, ცუდად ვგრძნობდი თავს, გამახსენდა პატრიარქის რჩევაც, დიდი ხნით დარჩი რუსეთში სამუშაოდ, ისე შედეგს ნაკლებად მიიღებო. რა უნდა მექნა?

უმწეო ვიყავი, რამე მეღონა კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ჩემთვის, ცხადი იყო, რომ სააკაშვილი ჩვენთვის არასასურველ პროცესს აღარ შეაჩერებდა.

ჩამოვდივარ თბილისის აეროპორტში, დამხვდნენ ჟურნალისტები, რომლებსაც ვეუბნები, ბოდიშს ვუხდი ქართველ ხალხს და რუსეთში ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომ მართლა ვერ მოვახერხე თვე-ნახევრის განმავლობაში სიტუაციის გადარჩენა. სხვა რა მეთქვა?

რუსეთთან საერთო ენა ვერაფერში გამოვნახეთ, ჩემი აზრით, ეს ანომალიაა. მქონდა იდეა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მინისტრებს თავის რუს კოლეგებთან პირდაპირი კავშირები გაებათ. დღესაც, ჩვენი მინისტრები, რომ გააჩერო და კითხო, ვინ არის რუსეთში ანალოგიური სამინისტროს ხელმძღვანელი, ვერ გეტყვიან, წარმოდგენა არ აქვთ. მარტო ის კი არ არის, რომ არ იციან, მათ მიმართ აგდებული დამოკიდებულება აქვთ. ჩემთვის ეს ძალიან გაუგებარია. ვფიქრობდი დამეგობრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ 25 წლის გოგო-ბიჭებმა რა საეთო უნდა გამონახონ ორ-სამჯერ უფროს რუს კოლეგებთან? ეს კიდევ ცალკე თავის ტკივილია.

პრიმაკოვის ქართველ ნათესავებზე უკვე მოგახსენეთ. სერგეი ლავროვიც ხომ თბილისშია გაზრდილი. მას დედა აქაური სომეხი ჰყავს, მისი ორი თანაშემწიდან ერთი ქართველია, მეორე - სომეხი. ჰყავს ბევრი თბილისელი მეგობარი, მათ შორის -იურა კობალაძე, მსოფლიო დონის მოქანდაკე ჟორა ფრანგულიანი. თბილისელთა წრეში ტრიალებს და მასთან საერთო ენას ვერ ვპოულობთ?! ეს, უბრალოდ, არანორმალურია!

3 ივლისს მოსკოვში დიდი აუქციონი “ბრენდ რასიი” გაიმართა. მეც მიმიწვიეს და შემომთავაზეს აუქციონზე გასაყიდად რამე წარმედგინა. მივიტანე 1963 წელს ჩამოსხმული ერთი ბოთლი “საფერავი.” ვაჭრობა 100 ევროდან დაიწყო და მაღაზიების ქსელის “სპორტ მასტერის“ მფლობელმა 5000 ევროდ

შეიძინა!

ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების საკითხი უკვე სავაჭრო თემად იყო ქცეული. ხისტი პოზიცია, რომ - მორჩა, თქვენთვის ბაზარი ჩაიკეტა, დარბილდა და ცალკეული კლანები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, პირველი ვინ შეიტანდა ჩვენს ღვინოს. ასე მოხდა მოლდავური ღვინის შეტანაზეც, გაჩნდნენ ახალი მონოპოლისტები, რომლებმაც დაიწყეს ამ ღვინის ბიზნესი რუსეთის ბაზარზე. ქართულ ღვინოს რუსეთში ვინ შეიტანდა, ჩვენთვის აბსოლუტურად უინტერესოა. მთავარი იყო, ამხელა ბაზარზე ქართული ღვინო გაეყიდათ. მახსოვს, როცა რუსი ჟურნალისტები კახეთში ჩავიყვანე, გლეხები, ღვინის ქარხნების მეპატრონეები, იმედთ მეუბნებოდნენ, იქნება ეს ღვინო შენ მაინც გაგვასაღებინო რუსეთშიო. სამწუხაროდ, ვერც მათი იმედის გამართლება მოვასწარი.

ჩემი აზრით, მაღალი ინტელექტის და განათლების მქონე ახალგაზრდები ერთმანეთისკენ გზას აუცილებლად გაიკვლევენ. მოსკოვში პირველად გავიგე რეჟისორ ბაკურ ბაკურაძის ვიანაობა. მან შარშან რუსეთის მთავარი კონოფესტივალის “კინოტავრის” მთავარი ჯილდო მოიგო. საინტერესო რეჟისორია რეზიკო გიგინეიშვილი, იგი ყველაზე მოდური კინორეჟისორის, ბონდარჩუკის ჯგუფის წევრია და დამოუკიდებლად იღებს ფილმებს.

ამ წრის ხალხს აქ ჩამოსვლა არ გაუჭირდება, მაგრამ ჩვეულებრივ, რიგით რუსებსაც უნდათ აქ ჩამოსვლა და არ იციან, როგორ ჩამოვიდნენ. საქართველო მათ მხოლოდ უფროსებისგან სმენიათ და ეს ქვეყანა აინტერესებთ.

კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ერთი საათი მელაპარაკა, რომ ქართველი ცოლი ჰყავს და შემჭამა, რამე გააკეთე საქართველოსთვისო. შევთავაზე, 300-400 სტუდენტი ქალაქ გორში წამოიყვანე, ინფრასტრუქტურა გვაქვს, ხალხი რუსულად საუბრობს და გპირდები, კარგ დროს გაატარებენ-მეთქი. სხვაგანაც შეიძლებოდა წაყვანა, მაგრამ მშვიდობის შესანარჩუნებლად მე ნამდვილად გორი მერჩივნა.

ტურიზმთან დაკავშირებით სერიოზულ პროექტს ვამუშავებდი. რუსეთში საქართველოს პოპულარიზაციისთვის ვამზადებდი ერთ საათიან ტელე-გადაცემას “უტრა ს გრუზინამი.” აქ ვაჩვენებდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე გადაღებულ სარეკლამო ფილმებს, ქართულ მოკლემეტრაჟიან ფილმებს, რეპორტაჟებს და ა.შ

ამ პროექტის თაობაზე ტელეკომპანია “მირ”-ის დირექტორს შევხვდი და დავითანხმე, რომ ეს გადაცემა რუსეთის რეგიონალურ ტელევიზიებში გავიდოდა. რეგიონს ვამბობ, თორემ კრასნოდარის მხარე ორი საფრანგეთის ხელაა. ვაპირებდი, ჩამომეყვანა პროვინციული ტელევიზიების გადამღები ჯგუფები, რომლებსაც მთელ საქართველოს მოვატარებდი და უკან დაბრუნებულები ამ რეპორტაჟებს თავიანთ ტელევიზიებში გაუშვებდნენ. ამ გზით საქართველოში არცთუ მცირე რაოდენობის რუს ტურისტს ჩამოვიყვანდით.

ამის თაობაზე ზურაბ ადეიშვილს ვკითხე კიდეც, ერთდროულად 400 რუსი ტურისტი რომ ჩამოვიყვანო, კახეთში თუ დააბინავებ მეთქი? ვერაო, ამდენი ადგილი არ გვაქვსო. მთელ კახეთში 400 ტურისტს ვერ ვაბინავებთ და ჩვენ ტურისტული ქვეყანა ვართ? რა დაჭირდებოდა ამ ინფრასტრუქტურის მოწყობას?

5-6 უპილოტო თვითმფრინავის ფასად ჩვენ ამ პრობლემას გადავჭრიდით! ის თვითმფრინავები კიდევ აღარც გვყავს, ჩამოგვიგდეს.

რუსი ტურისტები კახეთში უნდა ჩაგვეყვანა, ფიროსმანის მუზეუმია, იქით ალავერდი, შუამთა, გრემი, წინანდალი, სანახავების მეტი რა გვაქვს. მთავარი თემა უნდა ყოფილიყო ღვინის ტურები. 20-20 კაციან

ჯგუფებს ღვინის ქარხნებში მივიყვანდით, სადაც წინასწარ გამზადებულ ღვინით სავსე ათლიტრიან ძველებურ “ბაჩონკებზე” მის სახელს დააწერდნენ, ვინც ამ ღვინოს იყიდდა. თავის ქალაქში დაბრუნებულს შეეძლო ეამაყა, რომ ის ღვინო მისთვის იყო დაწურული, რაც სხვებსაც გაუჩენდა აქ ჩამოსვლის სურვილს.

ქართული ალპინიზმი 1923 წლის დეკემბერში დაიბადა. ამის ფუძემდებელი იყო გიორგი ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძის შვილი. პირველი ასვლა მოხდა მყინვარწვერზე. გეგმაში მქონდა, რომ ქართული ალპინიზმის 85 წლისთავთან დაკავშირებით, აგვისტოში ან სექტემბერში მყინვარწვერზე ავსულიყავით სამი დელეგაცია: რუსები, ქართველები და ოსები.

ამით უნდა დაგვეწყო ალპინიზმის აყვავება სვანეთში, რაჭაში და ხევში. სპეციალურად რამდენჯერმე დავესწარი რუსეთის ალპინიზმის ფედერაციის ღონისძიებებს. რუს ალპინისტებს სვანეთის მთები მონატრებული აქვთ და აქ ჩამოსვლა ყველას ძალიან უნდოდა.

ასე გახდა ხორვატია ძალიან პოპულარული ტურისტული ქვეყანა. მთელი მოსკოვის სტუდენტობა დასასვენებლად ხორვატიაში დადის და ჩვენ ისინი აქეთ უნდა შემოგვებრუნებინა. რუსი ტურისტების გარეშე ჩვენთან ტურიზმის განვითარება წარმოუდგენელი საქმეა. თუმცა ეს ამჟამად უკვე შორეული პერსპექტივაა.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძის დამსახურებით საქართველომ ენერგეტიკული დერეფნის ფუნქცია შეიძინა, ჩვენ ამერიკისა და ევროპის ყურადღების ზონაში აღმოვჩნდით. ჩვენ შევიძინეთ ფუნქცია და დასავლეთის ინტერესთა სფეროდ ვიქეცით. ამის შემდეგ ჩვენ აუცილებლად უნდა გვეზრუნა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის. მით უფრო, რომ ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი, ჩუმად, დახურული და კორუფციული სქემებით, რუსებს მივყიდეთ. ახლაც ვფიქრობ, რომ ჭკვიანურად მოქმედების შემთხვევაში, ჩვენი დასავლეთისკენ ლტოლვა, რუსებისთვის ასეთი მტკივნეული არ გახდებოდა.

თბილისში დაბრუნებისთანავე საგარეო საქმეთა სამინისტროში მივედი და მინისტრის მოადგილეს, გია ვაშაძეს ვკითხე: „როდის დამაბრუნებთ მოსკოვში?“ ”როცა რუსებისგან რაიმე დადებით მესიჯს მივიღებთ. მანამდე დაისვენე, უკან ჯერ ვერ დაგაბრუნებთ,” - მიპასუხა ვაშაძემ.

ჩემი რუსეთიდან გამოწვევის მესამე დღეს რუსეთის ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი, გაგვეხსნა საქართველო-რუსეთის საზღვრის ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტი. მანამდე რუსები ამ პუნქტის გახსნას აჯანჯლებდნენ, ფეხს ითრევდნენ, ხან რემონტს იმიზეზებდნენ და ხან - რას. რუსებმა შემოგვითვალეს, თუ თქვენ მზად ხართ საზღვრის ამ მონაკვეთის გასახსნელად, ჩვენ შეგვიძლია საზღვარი დღესვე გავხსნათო.

კანცელარიაში სააკაშვილთან მივედი და ვკითხე: „ამაზე მეტი კარგი მესიჯი რა გინდათ?“ “არა, ეს საკმარისი არ არის” - იყო პასუხი. ამის საპასუხოდ პრეზიდენტს ვთხოვე, დამაბრუნეთ რუსეთში, სამუშაო მაქვს, ივლისის შემდეგ სექტემბრამდე რუსეთის ელიტა დასასვენებლად წავა და ორ თვეს დავკარგავ. არა უშავს, სექტემბრიდან გააგრძელე მუშაობაო.

ვნერვიულობდი, ნარიშკინის ვიზიტის ჩაშლით რუსეთის პრეზიდენტის ჩამოსვლის პერსპექტივაც დაიკარგებოდა.

ამის შემდეგ კიდევ ერთი მესიჯი მივიღეთ. მედვედევმა სააკაშვილი პიატიგორსკში დოღზე დაპატიჟა. თუმცა, ვერც ამან შეაცვლევინა სააკაშვილს აზრი, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა აღგვედგინა.

ჩემი თბილისში დაბრუნებიდან მეხუთე დღეს მოსკოვიდან „იტარ-ტასის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ, მიხაილ გუსმანმა დამირეკა. რუსეთში გუსმანს გავლენა აქვს, ჩრდილოვანი ტიპის ლიდერია. მეგობრობს აზერბაიჯანის და ყაზახეთის პრეზიდენტებთან. გუსმანმა მითხრა, რომ ნარიშკინის ვიზიტი ჩაიშალა, მაგრამ სააკაშვილთან პრეზიდენტ მედვედევის მესიჯების სათქმელად მე მაგზავნიან. მართალია გუსმანზე პატარა წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ ნარიშკინთან შედარებით დაბალი რანგის ფიგურაა, სააკაშვილთან შესახვედრად პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ნაცვლად „იტარ-ტასის“ დირექტორის მოადგილე გამოგზავნეს.

მიხაილ გუსმანი სააკაშვილთან აჭარაში წავიყვანე, პრეზიდენტი ამ დროს იქ იმყოფებოდა. აჭარიდან ასლან აბაშიძის გაქცევის შემდეგ სააკაშვილმა ეს მხარე საზაფხულო რეზიდენციად გადააქცია. ვფიქრობდი, აჭარას ააყვავებდა და ყველას აჩვენებდა, ავტონომიის ფარგლებში როგორ შეიძლებოდა რეგიონის განვითარება, მაგრამ ასე არ მოხდა. მან სანაპიროზე ბულვარი დააგრძელა, საყვარელი შადრევნები დააყენა და ფრანგული, ჰოლანდიური, ჩინური და ლაზური რესტორნები გახსნა. ამ რესტორნებში დაატარებს თავის ამალას და სტუმრებთანაც თავს იწონებს, შეხედეთ პროვინციულ ქალაქშიც კი რამდენნაირი რესტორნები გვაქვსო.

მე რამდენჯერაც მივედი ჩინურ და ჰოლანდიურ რესტორნებში, ყოველთვის ერთადერთი კლიენტი ვიყავი. ვერ გეტყვით, ცუდ დროს შევდიოდი თუ ხალხი იქ საერთოდ არ დადის. ამ რესტორნებთან ერთად მიშა თავს იწონებს ასლან აბაშიძის გაკეთებული გვირაბით, მის დროსვე მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მიერ დაწყებული მშენებლობებით. ბიზნესმენმა ბიძინა ივანაშვილმა ქობულეთის შესასვლელთან გასართობი ატრაქციონი გააკეთა და ესეც, რა თქმა უნდა, სააკაშვილმა მიიწერა. ინვესტიციების მხრივ ასლან აბაშიძის შემდეგ აჭარაში არანაირი გარღვევა არ მომხდარა. თურქებმა მცირე თანხა დააბანდეს, მერე ისინი ვიღაცამ “გადააგდო,” ვიღაცას ბიზნესის წილში “ჩაუჯდნენ,” ან საქმე სულ წაართვეს - ჩვეულებრივი ისტორიები, რაც ასლანის დროსაც ხდებოდა. აქედან გამომდინარე, იქაურებს ვერც სამუშაო ადგილები შეუქმნეს, მაგრამ სამაგიეროდ აჭარლები ხშირად ხედავენ პრეზიდენტს. ეს ცვლილება თვალშისაცემია.

სააკაშვილმა გრანდიოზული რემონტი ჩაუტარა ბობოყვათის რეზიდენციას და იქ ხშირად ხედავენ აბაშიძის სწრაფმავალი კატერებით მოსეირნეს. პრეზიდენტი სასტუმრო “ჯორჯიან პალასში” მთელი ზაფხულის მანძილზე, ყველას თვალწინ 15 თუ 16 წლის ქართველ მომღერალ გოგონას ეფლირტავებოდა.

პრეზიდენტი თვის მანძილზე ორ კვირას უცხოეთში ატარებს, საიდანაც სამუშაო ვიზიტის ხანგრძლივობა მხოლოდ სამი დღე თუ იქნება, ერთ კვირას ბათუმში და ერთი კვირა შეიძლება თბილისში გაძლოს.

მას უცნაური დღის განრიგი აქვს: 12-13 საათზე იღვიძებს, შემდეგ საღამოს 5-6 საათამდე რას აკეთებს, კაცმა არ იცის, სამსახურში მიდის საღამოს და მერე ღამით იწყებს აქტიურად მოძრაობას. მისთვის ყოველდღიური სამსახური უცხოა, თუ სადმე ლენტი არ აქვს გასაჭრელი. დახურულ სივრცეს ვერ იტანს, კაბინეტსაც ამიტომ ვერ ეგუება და ამიტომ სულ აქეთ-იქით დაქრის. პრეზიდენტი, როცა ბათუმშია, ამ დროს მინისტრებიც იქ ცხოვრობენ. ამალაში ყოფნა მათი “საპატიო” მოვალეობაა.

მანამ, სანამ სააკაშვილი საკუთარ თვითმფრინავს იყიდდა, პრეზიდენტის პროტოკოლის თანამშრომლები თვითმფრინავის ბილეთებს მისთვის ერთდროულად 7-8 მიმართულებით ყიდულობდნენ. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ არავინ იცოდა იმ დღეს საით მოუნდებოდა პრეზიდენტს გაფრენა! ნიუ-იორკში მე ეს ჩემი თვალით ვნახე. მათ შეიძინეს მსოფლიოს 8 ქალაქისკენ ბიზნეს კლასის ბილეთები, სააკაშვილისთვის და მისი თანმხლები 9-10 პირისთვის. ეს ძალიან ძვირია. მოგზაურობაზე მიშა შესაძლოა დღეში ხარჯავს იმდენს, რამდენსაც შევარდნაძე მთელი წლის განმავლობაში!

ომში დამარცხებული პრეზიდენტი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ნიუ-იორკში გაემგზავრა. ოღონდ ნიუ-იორკში ჩასვლამდე, რატომღაც ლონდონში შეიარა, მერე საიდანღაც მაიამიში "ამოყვინთა" და ამის მერე მივიდა ასამბლეაზე. ვინმემ იცის, რა უნდოდა მას მაიამიში და ან ლონდონში? საგადასახადო სამსახური აქ ბიზნესმენებს "აუთოებს" გადასახადების ამოღებისას და ეს ამ ფულით ერთობა! ამ გართობის შემდეგ ჩამოდის საქართველოში შეშფოთებული, შეწუხებული სახით და ცრემლებს აღვარვარებს, თუ როგორ უჭირს ქართველ გლეხს და რა ცუდ დღეში არიან უსახლკაროდ დარჩენილი დევნილები.

მას ამის გამოაშკარავების ეშინია და ამიტომ უნდა დამონებული ჰყავდეს მასმედია. მას მივლინებებში თან დაყავს "ჯიბის" ჟურნალისტები, რომლებსაც მოსამსახურეებად განიხილავს და რასაც უნდა იმას აკეთებინებს. ამ ჟურნალისტებს საკუთარი თვალით აქვთ ნანახი, როგორი სამუშაო ვიზიტებითაც დადის სააკაშვილი საზღვარგარეთ, მაგრამ პირისფარეშს რა უფლება აქვს პატრონის ამბები "ოჯახის" გარეთ გამოიტანოს? ასეთი ჟურნალისტები პრეზიდენტის სერვისის ნაწილს შეადგენენ და მათ კარნახის გარეშე რამის თქმა აკრძალული აქვთ.

მე და მიხაილ გუსმანი ბათუმში ავტომანქანით წასვლას ვაპირებდით, მაგრამ ამ დროს პრეზიდენტის მეუღლე ბათუმში მიფრინავდა და ჩვენც მას დავემგზავრეთ. სანდრა რულოვსი ბოლომდე პირველი ლედის როლში გახლდათ, მოდურად გამოწყობილი. ცხადია, მისთვის უცხო აღარ არის პარიზის, ლონდონის თუ ნიუ-იორკის "ტოპ" ბუტიკები. ჩემზე შესაძლოა ნაწყენი იყო, ვინაიდან ფეხების ბაკუნით მთხოვდა, მოსკოვში რუსი მილიონერებისთვის საღამო გამემართა და მისი მემურული წიგნი "იდეალისტის ნაამბობი" გაგვეყიდა. მე უარი ვუთხარი, ვინაიდან ქვეყნებს შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია და საქართველოს პრეზიდენტის მეუღლისთვის "ივენთის" მოსაწყობად შეუფერებელი დრო იყო.

თვითმფრინავში გუსმანმა მითხრა, მე და სააკაშვილს ერთნაირი გემოვნება გვაქვს, ორივეს "ბარბერის" ფირმის ტანსაცმელი მოგვწონსო. ამასთან დაკავშირებით მხიარული ისტორია მომიყვა: პარიზში პერანგის საყიდლად მაღაზიაში შევედი, ჩემთვის სასურველი პერანგი გამჭოლ თაროზე იდო, აი, ისეთზე, ორივე მხრიდან, რომ შეგიძლია ტანსაცმელი აიღო, მივედი მის ასაღებად, მაგრამ, მეორე მხრიდანაც, ვიღაცამ ხელი დაავლო და უფრო ჯანიანად თავისკენ გაქაჩა და ხელიდან გამსტაცა. შემოვბრუნდი და მიხეილ ნიკოლოზის ძე აღმოჩნდაო.

ბათუმში დღის პირველ საათზე ჩავედით. პროტოკოლმა გვირჩია, სანამ ზუსტად გავიგებ პრეზიდენტი რომელ საათზე შეგხვდებათ, გირჩევთ სასტუმროში დაბინავდეთ, ისადილოთ და მერე ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიეროთ. ეს თავგადასავალი უკვე გადატანილი მქონდა. ასლან აბაშიძესთან შეხვედრის მოლოდინში, ჯემალ გოგიტიძე და სხვები ბათუმის ქუჩებსა და რესტორნებში ასე მატარებდნენ აღმა-დაღმა.

რა ძალა მქონდა? დავიწყე სააკაშვილთან შესახვედრად რიტუალის შესრულება. სასტუმროში დავბინავდით, პრეზიდენტის სტუმარი ვასადილე, რიტუალის ნაწილია, ისიც, რომ საამისო თანხები ჩემი ჯიბიდან უნდა ვიხადო, მერე ბათუმის ბოტანიკურ ბაღში წაგვიყვანეს, გეგონება მიშას გაშენებული იყოს ეს ორასწლოვანი ხეები, რაც მართალია, ძალიან მომწონს ეს ადგილი, გულის გახეთქვამდე ლამაზია.

შვიდი თუ რვა საათი იყო, ჩქარა, ჩქარა - პრეზიდენტი გველოდებაო, ჩაგვსხეს მანქანაში და ქედისკენ გაგვაქანეს. ერთი საათის შემდეგ მაქანა რომელიღაც რესტორანთან გააჩერეს. მე და გუსმანი გადმოვედით, ვხედავთ რესტორანი ცარიელია და დაცვის შეიარაღებულ პირებს ალყა აქვთ შემორტყმული. ჩავედით რესტორნის ეზოში და მდინარის ნაპირზე გაშლილ სუფრასთან ზის მიშა. სუფრასთან ისხდნენ ისრაელის პარლამენტის თავდაცვის და იურიდიული კომიტეტის თამჯდომარე, მასთან ერთად ვიღაც ბანდიტური გარეგნობის პირი, თემურ იაკობაშვილი, რომელიც ისეთი საქმიანი სახით იჯდა და კრიალოსანს ათამაშებდა, "მოსადის" შეფი თუ არა, მისი მოადგილე მაინც გეგონებოდა.

კიდევ იყვნენ ალანა გაგლოევა, ჰაბსბურგების გვარის 50 წლამდე ასაკის ვიღაც პრინცესა, თანმხლებ ახალგაზრდა კაცთან ერთად და ორი გაურკვეველი საინფორმაციო საშუალების ინგლისურენოვანი ჟურნალისტი. მათ მე და გუსმანიც შევუერთდით.

გუსმანმა ჩუმად ხელი გამკრა და გაგლოევაზე მანიშნა, ეს არის ის ლეგენდარული ქალიო? ჰო-მეთქი - თავი დავუქნიე. „არ გეწყინოს, მაგრამ ასეთი სიტუაცია მხოლოდ ბანანის რესპუბლიკებში მინახავს" - ჩამიჩურჩულა.

მეც დავიბენი - რუსეთის პრეზიდენტის ემისარი ნამდვილად შეუსაბამო ქვეყნების თუ პროფესიის ხალხთან მოხვდა.

საუბრობდნენ ყველაფერზე და თანაც ყველა ენაზე. გუსმანი საუბრობდა რუსულად, ებრაულად და ინგლისურად, იაკობაშვილი დროდადრო ებრაულად, სხვები ინგლისურად.

სააკაშვილი სულ ჭამდა. დროდადრო წუხდა, რომ წონაში მოიმატა. მე ვუთხარი, რომ გუსმანი თბილისიდან იტალიაში, წონის დასაკლებ სპეციალურ ცენტრში მიდიოდა და თუ გინდა იქ შენც წადი, კვირაში 8 კილოს მოიკლებ მეთქი.

სამხრეთ იტალიაში, ქალაქ მერანოში, ჰენრი შენოს კლინიკა მდებარეობს. ადრე ის ავსტრიის დედოფლის, სისის ზამთრის რეზიდენცია იყო. ძალიან პოპულარული ადგილია, თავისი ულამაზესი ბაღით და საცურაო აუზით. ამ კლინიკაში ხშირად ჩადიან სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები და ბიზნესმენები.

მიშას ჭკუაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი და მერანოში წასვლის სურვილი გაუჩნდა. გუსმანმა, ვინაიდან პირველად ის ჩადიოდა ამ კლინიკაში, სააკაშვილს შეთავაზა, მითხარით როდის დააპირებთ წასვლას და აპარტამენტს დაგიჯავშნიო. "ორშაბათის იქ ვიქნები", - ეუბნება სააკაშვილი. გუსმანს ეს ხუმრობა ეგონა, ვინაიდან ხუთშაბათი დღე იყო და ორი დღის შემდეგ პრეზიდენტი როგორ გაფრინდება, როგორც წესი, პრეზიდენტებს წინასწარ რამდენიმე თვის სამუშაო გრაფიკი აქვთ შედგენილი. ამიტომ ჩათვალა, რომ სააკაშვილმა იხუმრა.

სააკაშვილმა გუსმანი დაარწმუნა, რომ არ ხუმრობდა, გუსმანი დარწმუნდა, რომ ეს მთლად ორდინალური პრეზიდენტი არ იყო და სააკაშვილი რამდენიმე დღის შემდეგ მართლა გაემგზავრა იტალიაში წონის დასაკლებად.

თუმცა, მანამდე რუსეთის პრეზიდენტის ემისარი სხვამხრივაც გააკვირვა. სუფრაზე გამოაცხადა, რომ ჯონ მაკკეინმა უნდა დამირეკოს, მის ზარს ველოდებიო. თუმცა სუფრა ისე მორჩა, მაკკეინს არ დაურეკავს. მიგვავიწყდა კიდეც ეს ამბავი.

როდესაც ბათუმისკენ ვბრუნდებოდით, უცებ პრეზიდენტის ესკორტი შეჩერდა. სააკაშვილი გადმოხტა მანქანიდან და მობილურზე ლაპარაკით, მდინარის ნაპირისკენ წავიდა. დაახლოებით 10 წუთი ილაპარაკა. რა ხდება-თქო - ვიკითხე. მაკკეინმა დაურეკა და იმას ელაპარაკაო!

მაგარი სანახაობა იყო, აქეთ რუსეთის პრეზიდენტის გამოგზავნილი კაცი, იქით ეს მაკკეინს ელაპარაკება - რუსეთის მიმართ ყველაზე აგრესიულად განწყობილ პრეზიდენტობის კანდიდატს. ამას მარტო სააკაშვილი თუ მოახერხებდა.

შუაღამისას სააკაშვილი ერთ-ერთ სასტუმროს ნომერში პირისპირ 40 წუთი ესაუბრა მიხეილ გუსმანს.

მეორე დღეს მე და მიხეილ გუსმანი თბილისისკენ მანქანით წამოვედით. გზად ძალიან ბევრი სამხედრო მანქანა ვნახეთ, კოლონები დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართებოდნენ, თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით. შევშფოთდი. რამდენიმე დღის შემდეგ პარლამენტ რიგგარეშე სესიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ხუთი ათასი კაცით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.

ამან კიდევ უფრო დამაეჭვა, მაგრამ დასამშვიდებლად უფრო მეტი არგუმენტი მქონდა.

მიხეილ სააკაშვილი მერანოდან სამ აგვისტომდე არ უნდა დაბრუნებულიყო. შემდეგ 7 აგვისტოს პეკინში ოლიმპიადაზე წასვლას აპირებდა და მაგის ამბავი, რომ ვიცი, იქ ათი დღე მაინც დარჩებოდა. შემდეგ პიატიგორსკში მედვედევს დოღზე ჰყავდა დაპატიჟებული და ვფიქრობდი, სექტემბრამდე, ანუ ჩემს მოსკოვში დაბრუნებამდე, სერიოზულ საფრთხეებს ავცდებოდით.

თუმცა, ჩემდა გასაკვირად, სააკაშვილი მერანოდან ვადაზე ადრე დაბრუნდა. პირველ აგვისტოს ის უკვე თბილისში ყოფილა. შემდეგ გორის სამხედრო ჰოსპიტალში ჩავიდა, რაც ტელევიზიით ვნახე. ვხედავ წონაში მოუკლია, გაახალგაზრდავებულია და მსუბუქად დადის. ოღონდ მეტი ვერ გაძლო, მერანოში დიეტის მთავარი ნაწილია, რომ დღეში მხოლოდ 600 კალორია უნდა მიიღო, ეს კიდე დღეში 5000 კალორიას მიჩვეულია და იქ რა გააჩერებდა. დაქოქა თვითმფრინავი და უკან გამოვარდა.

5 აგვისტოს დაბადების დღე მქონდა და პრეზიდენტს მესიჯი გავუგზავნე, მცხეთაში რესტორან "სერაფიტაში" გეპატიჟები მეთქი. საღამოს ექვს საათზე დამირეკა და მომილოცა. მინდოდა მოსულიყო, რომ გამერკვია, რას აპირებდა, მაგრამ მომიბოდიშა ვერ მოვალო. "როდის მაბრუნებ მოსკოვში,"- ვეკითხები. "მალე არბალეტით დაგაბრუნებ," - მიპასუხა და ჩვენ ამ თემაზე აღარ გვისაუბრია.

7 აგვისტოს ოჯახით ამერიკის საელჩოში ვიზების ასაღებად წავედით. უფროსი შვილი ლუკა ნიუ-იორკში სწავლობს და სტუდენტური ვიზა უნდა გაგვეგრძელებინა. მასთან ერთად მანამ, სანამ გოგოებს მოსკოვში სწავლა დაეწყებოდათ, მე და იას, ჩემს მეუღლეს, გვსურდა ამერიკაში მთელი ოჯახით ჩავსულიყავით.

ამერიკის საკოსულოში უცნაურად მომექცნენ. დიპლომატიური ეტიკეტია, რომ როცა ელჩი მოდის მას საკონსულოში სხვანაირად ხვდებიან, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებს, არა იმიტომ, რომ ვინმეზე უკეთესი ვარ, უბრალოდ ეს ქცევის ნორმაა. აქ კიდევ, ჩამაყენეს რიგში და ორი საათი ველოდებოდი კონსულთან გასაუბრებაზე გასვლას. ძალიან გავბრაზდი, გამოვიჯახუნე საკონსულოს კარი და სახლში წამოვედი. დღის სამ საათზე სააკაშვილმა დამირეკა და მეუბნება, ეროსი ცხინვალში ომი დაიწყოო.

- მიშა რა ომი, ხომ არ გაგიჟდით, რას ლაპარაკობ, - ვეუბნები სააკაშვილს.

მას სურდა, რომ მე მასთან კანცელარიაში მივსულიყავი და მის გარემოცვასთან ერთად ომის დაწყებაში დამედანაშაულებინა და მეგინებინა რუსები, მერბინა სამხედრო შტაბებში და საომარ პროცესში ჩავრთულიყავი. მე ამაზე ცივი უარი ვუთხარი და ეს ჩვენი ბოლო საუბარი იყო.

ჩემთვის ნათელი იყო, რომ სააკაშვილმა სერიოზული პროვოკაცია წამოიწყო და ჩვენ კატასტროფა გვემუქრებოდა. ჩემთან სახლში ორი ქალბატონი მუშაობს, სოხუმიდან დევნილი და მეორე გორელი, სოფელ ტყვიავიდან. მოვუბრუნდი მათ და ვუთხარი, რომ დავიღუპეთ, რუსებს მთელი ეს წლები ხელები ექავებოდათ და ახლა საბაბი მივეცით, დედას გვიტირებენ, შესაძლოა თბილისიც დაბომბონ მეთქი.

სამწუხაროდ, ეს მართლაც ასე მოხდა. დაიღუპა ხალხი, კიდევ დაიკარგა ტერიტორიები, უამრავმა ხალხმა

დაკარგა სახლ-კარი და ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მე ვფიქრობდი, რომ სანამ ზურა ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი საღ ჭკუაზე იყვნენ, სააკაშვილს ომის დაწყების საშუალებას არ მისცემდნენ. გიგა ბოკერია რომ ომის მომხრეთა შორის იყო, ეს კარგა ხნის წინ ვიცოდი.

აღმოჩნდა, რომ ერთადერთი ვიყავი იმ პირთა შორის, ვისაც სააკაშვილისთვის უშუალოდ შეეძლო ეთქვა, რომ სისულელე არ ჩაედინა და დანაშაულებრივი ნაბიჯი არ გადაედგა. მე მინდოდა მშვიდობა და მჯეროდა, რომ ჩვენ ამ გზით შეგვეძლო ტერიტორიების დაბრუნებაც და აფხაზების და ოსების შემორიგებაც. შეგვეძლო რუსეთთან ერთად მშვიდობიანად თანაარსებობა და ეს შანსი სააკაშვილმა კარგა ხნით დაგვაკარგვინა.

გავიხსენოთ 2004 წლის საპრეზიდენტო ინაუგურაცია გელათში დავით აღმაშენებლის საფლავზე. ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ სწორად ვერ შევაფასეთ, თუ რა შედეგი შეეძლო მოეტანა ჩვენთვის იმპულსური და ექსცენტრიული სააკაშვილის მიერ დავით აღმაშენებლისთვის მიბაძვას.

მე ვიდექი იქ, სადაც ვთვლიდი, რომ საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა. ვიდექი იმის მხარეს, რომელიც ნაკლებ ბოროტებად მიმაჩნდა. შემდეგ გავხდი ელჩი, რომ როგორმე საქართველო რუსეთთან საომარ დაპირისპირებაში არ აღმოჩენილიყო. მე ეს ვერ მოვახერხე და მხოლოდ ამის მერე დავუპირისპირდი სააკაშვილს, თორემ სააკაშვილი კარგი იყო თუ ცუდი, რევოლუციამდეც ძალიან კარგად ვიცოდი. მას ჩვენს წრეში არმაგედონს ვეძახდით. ის იყო ადამიანი, რომელიც აშკარად მეორედ მოსვლის საფრთხეს ქმნიდა. ჩვენ მიშა სააკაშვილის პრეზიდენტობაზე ფსონი არასოდეს დაგვიდევს. უბრალოდ, სიტუაციამ მოიტანა და შემთხვევით ის იმ ტალღაზე აღმოჩნდა, რომელიც მისთვის არ იყო წარმოქმნილი.

შესაძლოა, ვინმემ მეც დამადანაშაულოს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის შტაბს ვხელმძღვანელობდი, მაგრამ რა უნდა მექნა, თუკი ახლაც ვფიქრობ, რომ რევანშისტების გამარჯვება ქვეყანას უფრო მეტ განსაცდელს მოუტანდა? სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ ცუდსა და მასზე უარეს კანდიდატთაგან ვირჩევთ ქვეყნის პირველ პირს. მაშინ სააკაშვილი ყველაზე უარესად არ წარმომედგინა.

პირველად, როცა ვნახე, რომ ქვეყანა დიქტატურისკენ მიდიოდა აქაურობას საერთოდ გავეცალე. ზურაბ ჟვანიას სიკვდილი მაფიქრებინებს, რომ ურიგოდ არ მოვქცეულვარ. მეორედ, როცა, სააკაშვილმა, ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა, გადავდექი და იგი მოურიდებლად საჯაროდ ვამხილე.

ნოემბერში ძლივს მოვახერხე, რომ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ საპარლამენტო კომისიას დავეკითხე. კომისიის სხდომაზე დამხვდნენ ჩემი ძველი ნაცნობები, რომლებიც პარლამენტში “ვარდების რევოლუციის” წყალობით მოხვდნენ. შემდეგ მათ სააკაშვილისადმი ერთგულების და მონური მორჩილების გამო ცხოვრებაც მოიწყვეს და ჩემდამი აგრესიული დამოკიდებულების გამოხატვით, შანსი მიეცათ, “პატრონი” ესიამოვნებინათ და სანაცვლოდ მორიგი სალაფავი მიეღოთ.

საპარლამენტო კომისიის სხდომაზე მე ვთქვი, რომ ცხინვალში ომი სააკაშვილმა დაიწყო, რისთვისაც კომისიის თავმჯდომარე დაპატიმრებით იქვე დამემუქრა.

რა თქმა უნდა, დაპატიმრების არ შემშინებია, ასეთ მუქარებს შეჩვეულიც ვარ, მაგრამ საწყენია, რომ ხელისუფლება სიმართლის გამო კვლავ ციხით იმუქრება. გრჩება შთაბეჭდილება, რომ ბოლშევიკების შემდეგ არაფერი შეცვლილა. მე ასეთი საქართველოსთვის არასდროს მიბრძოლია! პირიქით, “რუსთავი 2”-დან მოყოლებული მე და ჩემი მეგობრები, სულ ასეთ საქართველოს ვებრძოდით! ასეა დღესაც, ამ ბრძოლის დაწყებიდან 15 წლის თავზე და ვფიქრობ, რომ სულ მალე ჩვენს ქვეყანაში ლიბერალური

ფასეულობები ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდება.

რაც შემეხება მე... გადავწყვიტე, რომ ამ პროცესს შორიდან არ ვუყურებ!

P.S. ეს ისტორია დათო მუმლაძემ მიამბო. სწორედ მას ვუმადლით იმას, რომ ჩვენს რევოლუციას ვარდებისა დაერქვა. პარლამენტის სხდომათა დარბაზში შესული მომიტინგეები შეიარაღებული რომ არავის ჰგონებოდა, მათ ხელები უნდა აეწიათ, და აი, დათომ მოიფიქრა - მოდი, ვარდებით შევიდეთ! მისი იდეა ლიდერებს უმალვე მოეწონათ. ეს იყო და ეს. ექსპრომტი. ქართული ვარდების რევოლუციის სიმბოლო, უკრაინის "ნარინჯისფერი რევოლუციისაგან" განსხვავებით, იმიჯმეიკერების შემოქმედების ნაყოფი არ ყოფილა. საქართველოს ვარდების რევოლუცია გახლავთ სრულიად დამოუკიდებელი მოვლენა, არცერთ სხვა პროცესს არ ჰგავდა, ასე ვთქვათ, სუფთა ქართული ფენომენი იყო.

მოკლედ, დათომ ასეთი ამბავი მომითხრო:

იმერელი არისტოფანე თუ ოლიფანტე ვიწრო წრეებში ცნობილი რევოლუციონერია. ის ხან ფედერალისტია, ხან - სოციალისტი, ხან - უკლონისტი, ხან - ის, ხან - ეს... ამ რევოლუციონერობაში გაატარა მთელი თავისი ცხოვრება, განგრენა დაიმართა, ფეხი დაკარგა - მოკლედ, ძალიან დაზარალდა.

ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ეს ჩვენი ნაფედერალისტალ-ნარესპუბლიკელარ-ნასოციალისტარი არისტოფანე თუ ოლიფანტე მივიდა ბათუმში, ბოლშევიკურ ობკომში, და გამოაცხადა, რამე სამსახური დამაწყებინეთო, თქვენთან მინდა მუშაობაო. იმათ უთხრეს, წადი, არისტოფან, თავი დაგვანებეო, მოგვშორდიო, შენღა გვაკლდიო. მაგრამ თან შეეცოდათ ეს ცალფეხა კაცი და უთხრეს, ჰა, ობკომის გვერდით ჯიხური ჩადგი და წყალი გაყიდე ხოლმეო.

არისტოფანეც ადგა და ჯიხური ჩადგა, დაიწყო წყლის გაყიდვა და საკმაოდ იხეირა: სარჩო-საბადებელი გაუჩნდა, ცოტა წელში გაიმართა, ოჯახი დააპურა. ამ ამბავმა - არისტოფანე გამდიდრდაო - მის სოფლამდეც მიაღწია, და ერთ დღესაც მისი ერთი თანასოფლელი არისტოფანეს საძებნელად ბათუმში ჩავიდა - ობკომში ჩვენი კაცი მუშაობსო, არისტაფანე აწი დიდი კაციაო, და მივაკითხავ, ეგება მოგვხედოს რამეო.

მივიდა კაცი ობკომში და უთხრეს, რა ობკომი, რის ობკომი, არისტოფანე წყალს ყიდის აგერ ჯიხურშიო. ეს რომ დაინახა, მეზობელმა არისტოფანეს უთხრა, ვაი შენს პატრონს! წყლის გაყიდვა თუ გინდოდა, შე კაცო, გდებულიყავი შენთვის, რას ერჩოდი ამ ნიკოლოზს. წყალსაც გაყიდდი და ფეხიც შეგრჩებოდაო...

არისტოფანეს ამბავი ძალიან ჰგავს მრავალი რევოლუციონერის და რევოლუციის მონაწილის ისტორიას. მეც მქონდა ტელევიზია, ბიზნესი და საყვარელი საქმე, მყავდა მეგობრები - და ეს ყველაფერი იმისათვის დავთმე, რომ ეს რევოლუცია მომხდარიყო, დამთავრებულიყო ისე, როგორც დამთავრდა. ყველაფერი დამთავრდა და მეც ყველაფერი დავკარგე. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ მაინცდამაინც არისტოფანეზე არ დავიწყებ საკუთარ პროეცირებას, ვთვლი, რომ ამ რევოლუციისთვის ყველაფერ ამის გაკეთება და ყველაფერ ამის დაკარგვა ღირდა, თუ შედეგი ის იქნებოდა, რაც მე 2004 წლის დასაწყისში მეგონა.

(დასასრული)